ოთარ გაჩეჩილაძე

ქართული ენა

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1992

81. 2 Гр
ბ 247

წიგნი მესამე შესწორებული გამოცემაა. მასში სათანადო განმარტებებით მოცემულია პრაქტიკული ხასიათის სავარჯიშოები ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, სინტაქსში, ორთოგრაფიაში, პუნქტუაციაში, ლექსიკოლოგიასა და სტილისტიკაში.

განკუთვნილია აბიტურიენტებისათვის.

რედაქტორი პროფ. ალ. ღლონტი

რეცენზენტები: დოც. ო. ურიდია
დოც. ტ. სულაბერიძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1992

4310020000
Г
608(06)92

ISBN 5—511—00404—9

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი განკუთვნილია აბიტურიენტებისათვის. მასში გათვალისწინებულია ქართული ენის თითქმის ყველა საკითხი: ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, ორთოგრაფია, პუნქტუაცია, ლექსიკოლოგია და სტილისტიკა.

წიგნი, თეორიულ საკითხებთან ერთად, ძირითადად, შედგება პრაქტიკული ხასიათის სავარჯიშოებისაგან. ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის ნაწილებში სავარჯიშო მასალებად უმთავრესად მოხმობილია სიტყვათა და წინადადებათა ურთიერთსაპირისპირო ფორმები ამა თუ იმ გრამატიკული კატეგორიის ან სხვა რომელიმე მოვლენის გასაანალიზებლად და სათანადო განმაზოგადებელი დასკვნების გასაკეთებლად. გამოყენებულია აგრეთვე ე. წ. სქემები, რომლებიც უნდა შეივსოს დანიშნულებისამებრ მითთვის გათვალისწინებული ენობრივი ნიმუშებით და სხვ.

სავარჯიშოებს ცალკეულ თემებთან დაკავშირებით თან ერთვის ზოგადი გრამატიკული დახასიათებები „ცნობისათვის“, რაც საშუალებას იძლევა მიმდინარე სამუშაოების გზადაგზა შესამოწმებლად და ცოდნის სისტემაში მოსაყვანად.

ორთოგრაფიაში სავარჯიშო სახეებად გამოყენებულია: სიტყვებში წერტილების ადგილას ჩაემატება გამოტოვებული თავსართი ან ბოლოსართი მართლწერის წესების მიხედვით; ან: ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები ფრჩხილების გახსნის შემდეგ დაიწერება კონტექსტისათვის შესატყვისი მართებული ფორმით; ან კიდევ: გაიხსნება ფრჩხილები და, როგორც წესი მოითხოვს, რთული სიტყვების შემადგენელი ნაწილები დაიწერება ერთად ან დეფისით და სხვ.

პუნქტუაციაში ვარჯიშობა უმეტესად უსასვენებნიშნებო წინადადებებში სასვენი ნიშნების აღდგენით წარმოებს, შეტანილია აგრეთვე კარნახით დასაწერი სავარჯიშო ტექსტები. კარნახის დამთავრების შემდეგ ცოდნის თვითშემოწმებისათვის დაწერილი უნდა შედარდეს დაბეჭდილთან. როგორც ორთოგრაფიულ, ისე პუნქტუაციურ სავარჯიშოებს მოსდევს მართლწერის შესაბამისი წესები და განმარტებები „ცნობისათვის“ ტიპობრივი ნიმუშების ჩვენებით.

ლექსიკოლოგიაში ვარჯიშობა მიმდინარეობს სიტყვათა მრავალმნიშვნელობიანობის გამოხატვის შესაძლებლობათა გამორკვევაზე,

სინონიმების, ანტონიმების, ომონიმების, ფრაზეოლოფიზმების გამოყენების ჩვევათა დანერგვაზე.

გრამატიკულ-სტილისტური სავარჯიშოები ითვალისწინებს სტილისტურად უფრო ზუსტი და ხელსაყრელი მორფოლოგიური ფორმების (სახელების, ზმნების) შერჩევას და მათ დანიშნულებისამებრ გამოყენებას წინადადებაში, სტილზე მუშაობას წინადადების სახეებთან დაკავშირებით და სხვ. გრამატიკულ-სტილისტურ სავარჯიშოებს დართული აქვს საანალიზო მაგალითებზე მითითებული ნუმერაციის შესაბამისი ახსნა-განმარტებები იმავე რიგის მიხედვით.

საილუსტრაციო-სავარჯიშო მასალები — ცალკეული სიტყვები, წინადადებები, ტექსტები — ძირითადად ამოკრებილია მხატვრული ძეგლებიდან. აქა-იქ შეტანილია ჩვენ მიერ მიზნობრივად შედგენილი წინადადებებიც. სავარჯიშოები ორთოგრაფიაში, უპირველეს ყოვლისა, თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის ნორმებს ემყარება.

ავტორი ეყრდნობა მოსამზადებელ განყოფილებაზე მუშაობის დაგროვილ გამოცდილებას და იმასაც, რომ იგი წლების განმავლობაში ლექციების კურსს კითხულობს ქართული ენის სწავლების მეთოდიკაში ფილოლოგიის ფაკულტეტსა და აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის შესაბამის სპეციალობაზე, საჭიროებისამებრ იყენებს სპეციალურ სამეცნიერო და მეთოდიკურ ლიტერატურას. ყოველ საქმიან შენიშვნას ავტორი მადლიერების გრძნობით მიიღებს და გაითვალისწინებს მას წიგნის მორიგ გამოცემაში.

სიტყვა, ბგერა, ასო

სავარჯიშო 1. წაიკითხეთ მაგალითები და გამოარკვიეთ, რამდენი ერთეულისაგან შედგება თითოეული წინადადება. გადმოეცით, რა ჰქვია ამ ერთეულებს და რას აღნიშნავს თითოეული მათგანი წინადადებაში.

1. განთიადს ნათელი ემატებოდა (ს. კ.); 2. ელიზბარს ძალიან უყვარდა ნადირობა (ვ. ფ.); 3. შველი მიადგა ჭიშკარს და წივილი დაიწყო (ა. წ.).

სავარჯიშო 2. გადაიწერეთ ლექსის ნაწყვეტი. გამოარკვიეთ, რამდენი უმცირესი (დაუშლელი) ნაწილისაგან შედგება თითოეული სიტყვა ლექსის ნაწყვეტში.

სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა,
მაგრამ თქვენს ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა:
თქვენ ჩემთან ივლით განუყრელად, ვით ჩემი გული,
თქვენთან, ჰე, მთებო, ბუნებითა შეუღლებული! (ი. ჭ.).

გადმოეცით: ა) რისგან შედგება ყოველი წარმოთქმული სიტყვა და რას უწოდებენ მის წერილობითს თუ ბეჭდურ ნიშანს (დაახასიათეთ ისინი). ბ) მეტყველების რამდენი უმცირესი (უმარტივესი) ნაწილია დღევანდელ სალიტერატურო ქართულში; აქვს თუ არა თითოეულ მათგანს თავისი საკუთარი წერილობითი ნიშანი.

სავარჯიშო 3. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, წყვილ-წყვილად მოყვანილ სიტყვებში რას იწვევს ბგერის დამატება ან ერთი ბგერის შეცვლა მეორით. აღნიშნეთ, რა ფუნქცია აკისრია ბგერას სიტყვაში.

ა) ალი — ვალი, ვალი — თვალი, ზარი — ბზარი, ერი — ბერი, ორი — ღორი, ომი — ლომი, ველი — შველი.

ბ) დარი — ბარი, ბარი — ხარი, კარი — ჭარი, ღომი — ლომი, ურემი — ირემი, კვალი — რვალი, ჭორი — ქორი.

გ) ქარი—ქალი, ნამი—ნალი, ხელი—ხევი, ხელი—ხილი, ხილი—ხიდი, ბარი—ბაღი.

სავარჯიშო 4. ჩამოწერეთ ყველა ასო და მათი სახელები ანბანურ რიგზე.

ნიმუში: ა — ანი
ბ — ბანი

სავარჯიშო 5. ა) მოიფიქრეთ ანბანური რიგის შესაფერისი სიტყვები თანამიმდევრულად და დაალაგეთ ისინი რვეულში ანიდან ჰამდე. შეიტანეთ ისეთი სიტყ-

გებიც, რომლებსაც დასაწყისი ასო ერთნაირი ექნებათ, მაგრამ მომდევნო — სხვა.

ნიმუშში: აბასთუმანი
ადგილი
ბავშვი
ბალიში
. . . . .

ბ) მოიფიქრეთ ადამიანთა გვარები და დაალაგეთ ანბანურ რიგზე.

ნიმუშში: აბაშიძე
აგიაშვილი
ბერძენიშვილი
. . . . . .

გადმოეცით, რა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ანბანის თანამიმდევრობის ზეპირად ცოდნას.

ბგერების დახასიათება

სავარჯიშო 6. ჩაიხედეთ სარკეში და წარმოთქვით თვითდაკვირვებით ბგერები: ბ, პ, ფ, მ; დ, ტ, თ; ძ, წ, ც. გადმოეცით, რომელმა საწარმოთქმო ორგანოებმა მიიღო მონაწილეობა ბგერების წარმოქმნაში. გაიხსენეთ ავრეთვე სხვა საწარმოთქმო ორგანოები და ჩამოთვალეთ.

სავარჯიშო 7. ჩამოწერეთ ცალკე ხმოვანი და ცალკე თანხმოვანი ბგერები ანბანური რიგის მიხედვით. გადმოეცით, რამდენი ხმოვანი და რამდენი თანხმოვანია ქართულ ენაში; რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ხმოვანი და თანხმოვანი ბგერები.

სავარჯიშო 8. გააკეთეთ რვეულში ქვემოთ მოცემული სქემა. გამოარკვიეთ, რომელ ჯგუფებს განეკუთვნება წარმოთქმის ადგილის მიხედვით სეეტში ჩამოწერილი თანხმოვნები (ბაგისმიერი, კბილისმიერი და ა. შ.). დაუწერეთ თითოეულს თავ-თავისი სახელწოდება შესაბამის ადგილას. შეიტანეთ ჯგუფებში საითანადო თანხმოვნები.

თანხმოვანთა ჯგუფები წარმოთქმის ადგილის მიხედვით

	ბ
	დ
	ვ
	ძ
	ჯ
	გ
	უ
	ჰ

ამასთან ერთად, გადმოეცით, სად (ე. ი. რომელ სამეტყველო ორგანოსთან) წარმოითქმის ნ, რ, ლ ბგერები და რას უწოდებენ მათ.

დაახასიათეთ თანხმოვანთა ჯგუფები წარმოთქმის ადგილის მიხედვით.

სავარჯიშო 9. ა) ჩამოწერეთ ცალ-ცალკე მჟღერი და ყრუ ბგერები. აღნიშნეთ, რამდენია მჟღერი ბგერა და რამდენია ყრუ; რომელ ბგერებს მიეკუთვნებიან ხმოვნები და რატომ.

ბ) ხმოვანთა სიმჟღერის თვისების გამოსარკვევად მიიდეთ თითი ხორხზე (უფრო ხორხის გამოშვერილ ბრტილზე) და წარმოთქვით ხმოვნები გაგრძელებით. გადმოეცით, რა მოსდის ხორხში მოთავსებულ ხმის სიმებს ხმოვნების წარმოთქმის დროს.

გ) მჟღერ და ყრუ თანხმოვანთა სიმჟღერისა თუ სიყრუის თვისებების გამოსარკვევად დაიცეთ ორივე ყურა თითებით და წარმოთქვით მჟღერი და ყრუ ბგერები თანმიყოლებით: ბ-პ-ფ, დ-ტ-თ, ძ-წ-ც; ჭ-ხ, ჟ-შ და სხვ. გადმოეცით, რა შეამჩნიეთ მჟღერი თანხმოვნების წარმოთქმისას და როგორ მოისმიან ყრუ ბგერები.

სავარჯიშო 10. მიიტანეთ ხელის გული პირთან ახლოს და წარმოთქვით ყრუ თანხმოვნები ერთმეორის შემდეგ პ-ფ, ტ-თ, წ-ც, ჭ-ჩ, კ-ქ. გადმოეცით, რა განსხვავება შეამჩნიეთ ბგერათა შორის წარმოთქმისას და რა და რა ტერმინები იხმარება მათ აღსანიშნავად (დაახასიათეთ თითოეული).

სავარჯიშო 11. გააკეთეთ რვეულში ქვემოთ მოცემული სქემა. შეიტანეთ შესაფერისი ბგერები მათთვის განკუთვნილ სვეტში.

მჟღერი ბგერები		ყრუ თანხმოვნები	
ხმოვნები	თანხმოვნები	მკვეთრები	ფშვინვიერები

სავარჯიშო 12. შეადგინეთ სქემები ქვემოთ მოცემული ნიმუშების მიხედვით. შეიტანეთ სქემებში სამეულა და წყვილეული ბგერები შესაბამისად. ცალკე ჩამოწერეთ ცალეულები.

ა) სამეულებიხ სქემა

ბგერები		ბაგისმიერი	კბილისმიერი	წინა ნუნისმიერი	უკანა ნუნისმიერი	უკანა სასისმიერი
მჟღერი						
ყრუ	მკვეთრი					
	ფშვინვიერი					

ბ) წყვილეულებიხ სქემა

ბგერები	წინა ნუნისმიერი	უკანა ნუნისმიერი	უკანა სასისმიერი
მჟღერი			
ყრუ			

გ) ჩამოწერეთ ცალეულები

დაახასიათეთ სამეული, წყვილეული და ცალეული ბგერები.

მ ა რ ც ვ ა ლ ი

სავარჯიშო 13. დამარცვლეთ და ისე გადაიწერეთ სიტყვები: დ ე დ ა, ს ა ა თ ი, მ ე რ ხ ი, მ ა გ ი დ ა, მ ა ტ ა რ ე ბ ე ლ ი, გ ა ა უ მ ჯ ო ბ ე ს ა, ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო. გადმოეცით, რომელი ბგერა ქმნის სიტყვაში მარცვალს; რამდენი მარცვალია თითოეულ სიტყვაში; რას ჰქვია მარცვალი.

სავარჯიშო 14. მოძებნეთ ერთმარცვლიანი, ორმარცვლიანი, სამმარცვლიანი და მეტმარცვლიანი სიტყვები; დამარცვლეთ ისინი შესაძლო შემთხვევაში და ისე ჩაიწერეთ რვეულში. გადმოეცით, რამდენმარცვლიანი შეიძლება იყოს სიტყვა.

სავარჯიშო 15. დამარცვლეთ ქვემოთ მოყვანილი სიტყვები შესაძლო შემთხვევაში და ისე გადაიწერეთ. გამოარკვიეთ ცალკეულ სიტყვებში: სადაა ერთი და იგივე — მარცვალი და სიტყვა, მარცვალი და ბგერა; სადაა ხმოვანი მარცვლის ნაწილი, მარცვალი სიტყვა ან სიტყვის ნაწილი.

ცა, კლდე, ფრთა, ცეცხლს, წვრთნის, კედლის, გაიშალა, ია, აუნთო, გაულამაზებია; ხე — ხელიანი, ხელობა, სახელოვანი; ძე — გაძევება, გაძევებული; ბუ — ბუდე, ბუნაგი, საბუდარი...

სავარჯიშო 16. დამარცვლეთ ქვემოთ მოყვანილი სიტყვები და ისე გადაიწერეთ. მონახეთ მათში ღია და დახურული მარცვლები. გადმოეცით, როდისაა მარცვალი ღია და როდისაა დახურული.

ქალაქი, ბაღი, სოფელი, სარკე, მონადირე, დაწერა, წავიდა, ხატვა, აშშენებელი.

სავარჯიშო 17. დამარცვლეთ სიტყვები და ისე გადაიწერეთ ნაწყვეტი. გამოარკვიეთ, როგორია შედგენილობის მიხედვით ეს მარცვლები; რამდენი მარცვალი-თითოეულ სტრიქონში.

ცა იწმინდება და სისხამ დილით
მზე ერეკება ღრუბლების ფარას.
ვარდის ბაღნარში ეცემა ჩრდილი.
ქუჩას ბალმა და ყვავილი ფარავს (ლ. ა.).

სავარჯიშო 18. ქვემოთ მოყვანილი სიტყვები ჯერ დამარცვლეთ, შემდეგ შესაძლო შემთხვევაში დაყავით ისინი სტრიქონიდან სტრიქონზე გადასატანად. გადმოეცით, ემთხვევა თუ არა ერთმანეთს სიტყვის დამარცვლა და იმავე მარცვლების მიხედვით გადატანა სტრიქონიდან სტრიქონზე.

ნავი, მამაცი, ბავშვი, ია, აუნთია, აიშენა.

სავარჯიშო 19. მოიგონეთ სიტყვის დამარცვლისა და სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანის წესები და გადმოეცით:

1. გაიკვეთება თუ არა გადასატანად ერთმარცვლიანი სიტყვები: დ ღ ე ს, ხ ვ ა ლ, გ რ ძ ნ ო ბ ს, მ ჩ ხ ვ ლ ე ტ ს და მისთ. თუ არ გაიკვეთება და არ გადაიტანება, აღნიშნეთ რატომ.

2. როგორ გადაიტანება ღია, ე. ი. ხმოვანზე გათავებული მარცვლისაგან შემდგარი სიტყვები: გ ა ა კ ე თ ა, ს ა ა თ ი, მ ე ე ნ ა ხ ე, ს ა ხ ა დ ი ლ ო....

3. რა წესი ვიცით იმ სიტყვების გადატანის შესახებ, როცა მათი წინა ან ბოლო მარცვალი მხოლოდ ერთი ხმოვნისაგან შედგება: ი ა, ა უ შ ე ნ ე ბ ი ა, ი ა რ ღ ი და მისთ.

4. რა ხერხს მიემართავთ გადატანის დროს, როცა სიტყვის შიგნით რამდენიმე თანხმოვანი იყრის თავს ერთად: ს ა რ კ ე, მ ა რ ც ვ ა ლ ი, ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ი...

მოიგონეთ თანხმოვანთა ჰარმონიული ჯგუფები, რომელთა გათიშვა არ შეიძლება. ჩამოწერეთ სათანადო ჯგუფების შემცველი სიტყვები და დამარცვლეთ.

ფონეტიკური მოვლენები

სავარჯიშო 20. წაიკითხეთ მაგალითები და გამოარკვიეთ, რომელი ბგერა რომელს დაემსგავსა ქვემოთ მოყვანილ სიტყვებში. გადმოეცით, რა ჰქვია ასეთ ფონეტიკურ მოვლენას (დაახასიათეთ მოვლენა).

1. შეშა→სეშა; 2. ცეცხლი→სეცხლი; 3. შიში→სიში; 4. ჭიკარტი→ჩისკარი.

სავარჯიშო 21. წაიკითხეთ მაგალითები და გამოარკვიეთ: ა) რომელი ბგერა ჰქცევა სხვა ბგერად ქვემოთ მოყვანილ სიტყვებში. გადმოეცით, რა ჰქვია ასეთ ფონეტიკურ მოვლენას (დაახასიათეთ მოვლენა).

1. რბილი ←ლბილი; 2. ქართული←ქართური; 3. რაჭული←რაჭური; 4. ფრანგული←ფრანგური; 5. გამშრალი←გამშრარი.

ბ) რომელ სიტყვებშია მომხდარი ფონეტიკური მოვლენა და რომელში არა:

აფხაზური-აჭარული, შინაური-გარეული, გორული-კახური, თბილისური-ხევსურული, სპარსული-მონღოლური, გამდნარი-გამშრალი.

მოიყვანეთ მსგავსი მაგალითები.

სავარჯიშო 22. წაიკითხეთ მაგალითები და გამოარკვიეთ, რა ფონეტიკურ მოვლენას აქვს ადგილი ქვემოთ მოყვანილ სიტყვებში (დაახასიათეთ ფონეტიკური მოვლენა).

1. თერთმეტი←ათერთმეტი; 2. თორმეტი←ათორმეტი; 3. თექვსმეტი←ათექვსმეტი; 4. მეთაური←მეთაური; 5. ნათესაობა←ნათესავობა; 6. სათაგური←სათაგური; 7. კიოდა←კიოდა; 8. მამიდა←მამისდა; 9. რკინიგზა←რკინისგზა; 10. გამბედაობა←გამბედავობა.

მოიყვანეთ მსგავსი მაგალითები.

სავარჯიშო 23. წაიკითხეთ მაგალითები და გამოარკვიეთ, რა ფონეტიკურ მოვლენას აქვს ადგილი ქვემოთ მოყვანილ სახელთა ფუძეებში (დაახასიათეთ მოვლენა).

1. კალამი→კალმის, კალმით, კალმად, კალმები; 2. კედელი→კედლის, კედლით, კედლად, კედლები; 3. მგელი→მგლიანი, სამგლე, უმგლო, მგლური.

მოიყვანეთ მსგავსი მაგალითები.

სავარჯიშო 24. წაიკითხეთ მაგალითები და გამოარკვიეთ, რა ფონეტიკური მოვლენაა მომხდარი ქვემოთ მოყვანილ სახელთა ფუძეების ბოლოში (დაახასიათეთ მოვლენა).

1. მთა→მთის, მთით, მთები; 2. კლდე→კლდის, კლდით; 3. ხტომა→ხტომის, ხტომით; 4. მეგობრობა→მეგობრობის, მეგობრობით; 5. სისპეტაკე→სისპეტაკის, სისპეტაკით.

მოიყვანეთ მსგავსი მაგალითები.

სავარჯიშო 25. წაიკითხეთ მაგალითები და გამოარკვიეთ, რა ფონეტიკურ მოვლენას აქვს ადგილი ქვემოთ მოყვანილ სიტყვებში (დაახასიათეთ მოვლენა).

1. ხვნა←ხნვა (ხნავს); 2. ხვრა←ხრვა (ხრავს); 3. კვლა←კლვა (კლავს); 4. შეკვრა←შეკრვა (შეკრავს); 5. დაკაწვრა←დაკაწრვა (დაკაწრავს).

მოიყვანეთ მსგავსი მაგალითები.

ფონეტიკის ზოგადი დახასიათება

(ცნობისათვის)

ფონეტიკის საგანი. ფონეტიკა არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის ენაში არსებულ ბგერებს. იგი არკვევს, თუ რა ბგერებია ენაში, როგორია. ეს ბგერები და რა წესით შეეწყობიან ისინი ერთმანეთს სიტყვაში.

სიტყვა, ბგერა, ასო. წინადადება სიტყვის ან სიტყვებისაგან შედგება. ყოველი სიტყვა რაიმეს აღნიშნავს. სიტყვა მნიშვნელობის მქონე ერთეულია.

ყოველი წარმოთქმული სიტყვა შედგება ბგერებისაგან. ბგერა მეტყველების უმცირესი (დაუშლელი) ნაწილია. მაგ.: **ცა** ორი ბგერისაგან შედგება, **დღე** — სამი ბგერისაგან, **დედა** — ოთხისაგან, **სკამი** — ხუთისაგან.

ასო არის დაწერილი (ან დაბეჭდილი) ნიშანი ბგერისა. ბგერა წარმოითქმის, ასო კი იწერება (იბეჭდება).

ანბანი. დღევანდელ სალიტერატურო ქართულში 33 ბგერაა. ამდენივეა მისი გრაფიკული ნიშანი — ასო. ეს ასოებია:

ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ო, პ, ჟ, რ, ს, ტ, უ, ფ, ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჯ, ჰ.

ყოველ ასოს თავისი სახელწოდება აქვს. რიგზე დალაგებულ ყველა ასოს ეწოდება ა ნ ბ ა ნ ი. სიტყვა ა ნ ბ ა ნ ი წარმომდგარია პირველი ორი ასოს შეერთებისაგან ან+ბან-ი.

ასოთა რიგი და სახელები:

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი	კ	ლ	მ	ნ	ო	პ
ან	ბან	გან	დონ	ენ	ვინ	ზენ	თან	ინ	კან	ლას	მან	ნარ	ონ	პარ

ჟ	რ	ს	ტ	უ	ფ	ქ	ღ	ყ	შ	ჩ	ც	ძ	წ
ჟან	რაე	სან	ტარ	უნ	ფარ	ქან	ღან	ყარ	შინ	ჩინ	ცან	ძილ	წილ

ჭ	ხ	ჯ	ჰ.
ჭარ	ხან	ჯან	ჰაე.

ასოთა თანამიმდევრობის ზეპირად ცოდნა აუცილებელია სიების შედგენისათვის, ლექსიკონით სარგებლობისათვის და სხვ.

ბგერათა წარმოქმნა. ბგერის წარმოქმნა ცალკე თუ სიტყვაში ხდება საწარმოთქმო ორგანოების საშუალებით.

საწარმოთქმო ორგანოებია: ფილტვები (საიდანაც ჰაერის ნაკადი მოედინება), სასუნთქი მილი, ხორხი, ხმის სიმები, პირის ღრუ, ენა,

ბაგეები, კბილები, ქვედა ყბა, ცხვირის ღრუ...; ამათგან ენა, ბაგეები, ქვედა ყბა, სახმო სიმები მოქმედი აქტიური ორგანოებია.

ხმოვანი და თანხმოვანი ბგერები. ბგერები ორ ჯგუფად იყოფა: ხ მ ო ვ ნ ე ბ ა დ და თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ე ბ ა დ. ხმოვანი ქართულში ხუთია: ა, ე, ი, ო, უ; დანარჩენი ოცდარვა — თანხმოვანი. ხ მ ო ვ ა ნ ი ისეთი ბგერაა, რომლის წარმოთქმისას ფილტვებიდან ამონადენი ჰაერის ნაკადი დაუბრკოლებლად (თავისუფლად) მოედინება. თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ი ისეთი ბგერაა, რომლის წარმოთქმისას ჰაერის ნაკადი დაბრკოლებას ხვდება.

თანხმოვანთა ჯგუფები წარმოთქმის ადგილის მიხედვით. თანხმოვანთა წარმოთქმაში სხვადასხვა სამეტყველო ორგანოები მონაწილეობენ: ბაგეები, კბილები, კბილ-ბაგე და სხვა.

ამის მიხედვით გვაქვს:

ბ ა გ ი ს მ ი ე რ ი ბ გ ე რ ე ბ ი: ბ, ფ, პ, მ; კ ბ ი ლ ი ს მ ი ე რ ი: დ, თ, ტ; კ ბ ი ლ-ბ ა გ ი ს მ ი ე რ ი: ვ; წ ი ნ ა ნ უ ნ ი ს მ ი ე რ ი: ძ, ც, წ, ზ, ხ (სისინა ბგერები); უ კ ა ნ ა ნ უ ნ ი ს მ ი ე რ ი: ჯ, ჩ, ჟ, შ, (შიშინა ბგერები); უ კ ა ნ ა ს ა ს ი ს მ ი ე რ ი: გ, ქ, კ, ლ, ხ; ხ ა ხ ი ს მ ი ე რ ი: ყ; ხ ო რ ხ ი ს მ ი ე რ ი: ჰ, ნ, რ, ლ ნ ა რ ნ ა რ ა ბგერებია. წარმოთქმის ადგილის მიხედვით ისინი ნუნისმიერთა ჯგუფს განეკუთვნებიან.

მუღერი და ყრუ ბგერები. ხმოვნები (ა, ე, ი, ო, უ) მუღერი ბგერებია, რადგან მათი წარმოთქმის დროს ხმის სიმები პერიოდულად ირხევიან და ჟღერენ. ხმის სიმები ირხევიან და ჟღერენ აგრეთვე ზოგიერთი თანხმოვნის წარმოთქმის დროსაც. ამიტომ მათ მ უ ღ ე რ თანხმოვნებს უწოდებენ; ე ს ე ნ ი ა: ბ, გ, დ, ვ, ზ, ლ, მ, ნ, უ, რ, ღ, ძ, ჯ. ქართულში სულ 18 მუღერი ბგერაა: ხუთი ხმოვანი და ცამეტი — თანხმოვანი.

ზოგიერთი თანხმოვნის წარმოთქმის დროს ხმის სიმები არც ირხევიან და ამიტომ არც ჟღერენ. ისინი ყრუდ მოისმიან. ამ თვისების გამო მათ ყ რ უ თანხმოვნებს ეძახიან; ე ს ე ნ ი ა: თ, კ, პ, ხ, ტ, ფ, ქ, უ, შ, ჩ, ც, წ, ჭ, ხ, ჰ. ქართულში ყრუ თანხმოვნები სულ თხუთმეტია.

მკვეთრი და ფშვინვიერი თანხმოვნები. ზოგიერთი ყრუ ბგერის წარმოსათქმელად საკმარისია პირის ღრუში დაგროვილი ჰაერის მარაგი. ენის რომელიმე ნაწილი სწრაფად მოსხლტება მიბჯენილ ადგილს და მიეცემა ბგერებს: ტ, წ, ჭ, კ, უ. ამათ მ კ ვ ე თ რ ი თანხმოვნები ჰქვია. იგივე ხდება პ თანხმოვნის წარმოთქმის დროსაც, ოღონდ აქ ენა არ იღებს მონაწილეობას. ჰაერი სწრაფად გამოაპობს ბაგეებს. ქართულში მკვეთრი თანხმოვანი ექვსია.

ზოგიერთი ყრუ ბგერის წარმოთქმის დროს საჭიროა ჰაერის დიდი რაოდენობა. ამოდის ჰაერის ნაკადი და ისმის ფშვინვა. ამიტომ მათ ფ შ ვ ი ნ ვ ი ე რ ე ბ ი ეწოდება. ფშვინვიერი თანხმოვანი ქართულში ხუთია; ე ს ე ნ ი ა: თ, ფ, ქ, ჩ, ც.

სამეულები, წყვილეულები, ცალეულები. ს ა მ ე უ ლ ე ბ ი ა: ბ, პ, ფ. (ბაგისმიერნი); დ, ტ, თ (კბილისმიერნი); ძ, წ, ც (წინა ხუხისმიერნი); ჯ, ჭ, ჩ (უკანა ნუნისმიერნი); გ, კ, ქ (უკანა სასისმიერნი); სულ ხუთი სამეულია. ხუთ ადგილას სამ-სამი თანხმოვანი იწარმოება: ერთი მყღერი და ორ-ორი ყრუ. ყრუ ბგერებში ერთი მკვეთრია, ერთიც — ფშვინვიერი.

წ ყ ვ ი ლ ე უ ლ ე ბ ი ა: ზ, ს; ჟ, შ; ღ, ხ. აქ სამ მყღერს თითო ყრუ ბგერა მოეპოვება.

ც ა ლ ე უ ლ ე ბ ი ა: ვ, მ, ნ, რ, ლ. ეს თანხმოვნები განმარტოებით დგანან, ე. ი. არა აქვთ შესაბამისი ყრუ ბგერა. ზოგიერთ ყრუ თანხმოვანსაც აკლია სათანადო მყღერი; ა ს ე თ ე ბ ი ა: ჰ, ჳ.

მარცვალი. მარცვალი არის ერთი ხმოვანი ან ჯგუფი ხმოვნისა და თანხმოვნისა (ან ხმოვნისა და თანხმოვნებისა), რომლებიც ჰაერის ერთი ტალღის ამოღებით წარმოითქმის.

ყოველი სიტყვა იმდენი მარცვლისაგან შედგება, რამდენი ხმოვანიცაა მასში. გვაქვს ერთმარცვლიანი, ორმარცვლიანი და მეტმარცვლიანი სიტყვები (ქვა, ცა, ია, მაგიდა...).

მარცვალი შეიძლება იყოს ღია ან დახურული. თუ მარცვალი ხმოვნით თავდება, იგი ღიაა (დე-და), თუ თანხმოვნით — დახურული (კარ-გი).

თუ სიტყვა წინა სტრიქონზე არ ეტევა, მის გასაკვეთად და გადასატანად უნდა დავიცვათ შემდეგი ძირითადი წესები:

1. ერთმარცვლიანი სიტყვა არ გაიკვეთება (მაგ.: ცეცხლს). იგი ან დარჩება წინა სტრიქონზე, ან გადავა მომდევნოზე.

2. ერთი ხმოვნისაგან შედგენილი მარცვალი არც უნდა დარჩეს წინა სტრიქონზე და არც უნდა გადავიდეს მომდევნოზე; არა ამგვარად: ა-უშენებია ან აუშენები-ა, არამედ ასე: აუ-შენებია ან აუშენე-ბია.

3. სიტყვის გაკვეთა ყოველთვის შეიძლება ხმოვნით გათავებულ მარცვალზე (სა-ათი, საა-თი).

4. სიტყვის შიგნით რამდენიმე თანხმოვნის თავმოყრისას პირველი თანხმოვანი უნდა მიეკუთვნოს წინა სტრიქონს, ხოლო დანარჩენი — მომდევნოს (ბარ-გი, ყურ-ძნის). არ შეიძლება გაითიშოს თანხმოვანთა ჰარმონიული ჯგუფები: ფხ, თხ, ცხ, ჩხ, ბღ, დღ, ძღ, ჯღ, პყ, ტყ, წყ, ჭყ. მაგ.: ზაფხული — ზა-ფხული (და არა ზაფ-ხული).

ფონეტიკური მოვლენები. ბგერის ცვლილებას სიტყვაში ფონეტიკური მოვლენა ჰქვია. ფონეტიკური მოვლენებია: ასიმილაცია, დისიმილაცია, ბგერის დაკარგვა, კუმშვა, კვეცა, ბგერის გადასმა...

ასიმილაცია. ერთი ბგერის მიერ მეორის დამსგავსებას ეწოდება ასიმილაცია. მაგ.: ძველად იყო ს ი მ შ ი ლ ი, ახლა არის შ ი მ შ ი ლ ი. როგორც ვხედავთ, შ ბგერამ ს შ-დ აქცია, ე. ი. მოხდა ა ს ი მ ი ლ ა ც ი ა ანუ დამსგავსება.

დისიმილაცია. ორი ბგერისგან ერთის განმსგავსებას სიტყვაში ეწოდება დისიმილაცია. მაგ.: წინათ იყო ლ ბ ი ლ ი, ახლა არის რ ბ ი ლ ი. ამათგან ლ ბ ი ლ შ ი ლ გადასხვაფერდა, გადაიქცა რ-დ და მივიღეთ რ ბ ი ლ ი. ე. ი. მოხდა დ ი ს ი მ ი ლ ა ც ი ა ანუ განმსგავსება. დისიმილაციის მაგალითებია: ფ რ ა ნ გ-უ ლ-ი—ფ რ ა ნ გ-უ რ-ი, გ ა მ წ ყ რ-ა ლ-ი—გ ა მ წ ყ რ-ა რ-ი და სხვ.

ბგერის დაკარგვა. სიტყვაში მოსალოდნელი ანუ ნავარაუდევი ბგერის დაკარგვას, მის ამოღებას სიტყვიდან ბ გ ე რ ი ს დ ა კ ა რ გ ვ ა ჰქვია. მაგ.: ძველად იყო: ა თ ე რ თ მ ე ტ ი, ა თ ო რ მ ე ტ ი, ა თ ო თ ხ მ ე ტ ი, ა თ ე ქ ვ ს მ ე ტ ი; ახლა გვაქვს: თ ე რ თ მ ე ტ ი, თ ო რ მ ე ტ ი, თ ო თ ხ მ ე ტ ი, თ ე ქ ვ ს მ ე ტ ი. როგორც ვხედავთ, თავკიდური ხმოვანი ამ სიტყვებში ყველგან დაკარგულია. ბგერის დაკარგვას აქვს ადგილი აგრეთვე სიტყვებში: მ ე თ ა უ რ ი—მ ე თ ა(ვ)უ რ ი, ს ა თ ა უ რ ი—ს ა თ ა(ვ)უ რ ი, ტ ა ნ ი ს ა მ ო ს ი—ტ ა ნ ი(ს)ს ა მ ო ს ი, ც ი ო დ ა—ც ი(ვ)ო დ ა და სხვ.

კუმშვა. თანხმოვნიანი სახელის ფუძიდან უკანასკნელი ხმოვნის ამოვარდნას კ უ მ შ ვ ა ჰქვია. ფუძის კუმშვას იწვევს ხმოვნით დაწყებული დაბოლოების დართვა. მაგ.: თანხმოვანზე გათავებულია სახელი — უ რ ე მ-ი, მისი ფუძეა უ რ ე მ, ფუძე შეიკუმშება (ამოვარდება ე ხმოვანი) სათანადო ბოლოსართების დართვისას: ურმ-ის, ურმ-ით, ურმ-ად, ურმ-ებ-ი, ურმ-იან-ი, სა-ურმ-ე, ნა-ურმ-ალ-ი და სხვ.

კვეცა. ა-სა და ე-ზე ფუძედაბოლოებულ სახელებს შეიძლება ეს ხმოვნები ჩამოშორდეთ ხმოვნით დაწყებული დაბოლოების დართვით. ასეთ ფონეტიკურ მოვლენას კ ვ ე ც ა ჰქვია. მაგ.: ძმა, მზე ა-სა და ე-ზე ფუძედაბოლოებული სახელებია, რომლებსაც ფუძე ეკვეცებათ ხმოვნით დაწყებული დაბოლოების დართვისას: ძმა — ძმ-ის, ძმ-ით, ძმ-ებ-ი, უ-ძმ-ო, ძმ-ურ-ი, ძმ-ობა; მზე — მზ-ის, მზ-ით, მზ-იანი და სხვ.

ბგერათა გადასმა. სიტყვაში ბგერათა ადგილის შეცვლას ეწოდება ბგერათა გადასმა. მაგ.: ათ-რვა-მეტი→თ-რვა-მეტი→თ-ვრა-მეტი. როგორც ვხედავთ, ვ ბგერამ ადგილი გამოიცვალა და გადავიდა რ-ს წინ. ბგერათა გადასმის მაგალითებია: ხვნა—ხნვა, კვლა—კლვა, ძვრა—ძრვა და სხვ.

მეგყველების ნაწილები

სავარჯიშო 20. გააკეთეთ რვეულში ქვემოთ მოცემული სქემა. მოიფიქრეთ მაგალითები მეტყველების ნაწილებზე თანამიმდევრულად და შეიტანეთ ისინი სქემაში მათთვის განკუთვნილ ადგილას (ათ-ათი თითოეულზე).

არსებითი სახელი	ზედსართავი სახელი	რიცხვითი სახელი	ნაცვალსახ.	ზმნა	ზმნიზედა	თანდებული	კავშირი	ნაწილაკი	მოქმედებული

გადმოეცით, მეტყველების ნაწილთაგან რომელი სიტყვებია დამოუკიდებელი და რომელია დამხმარე; რომელი დგას განცალკევებით (დაახასიათეთ ისინი ცალცალკე).

სახელები

არსებითი სახელი

სავარჯიშო 27. მოიფიქრეთ სათანადო კითხვების შემცველი არსებითი სახელები და ჩაიწერეთ რვეულში თავიანთი კითხვებითურთ. გადმოეცით, რას აღნიშნავს არსებითი სახელი; რა კითხვებზე პოგვიგებენ ისინი.

სავარჯიშო 28. შეადგინეთ სქემა ნიმუშის მიხედვით. მოიფიქრეთ სვეტებში მოცემული ამა თუ იმ შინაარსის შემცველი არსებითი სახელები და შეიტანეთ მათში თავ-თავის ადგილას (ათ-ათი თითოეულზე). დაახასიათეთ ჯგუფები შინაარსის მიხედვით თანამიმდევრულად.

სულიერი სახელი	უსულო სახ.	ვინ ? ს. სახ.	რა ?ს. სახ.	საკუთარი სახელი	საზოგადო სახელი	კონკრეტული სახელი	აბსტრაქტ. სახელი	ნივთ. სახ.	ქრებითი სახ.	მოქმ. სახ.

სავარჯიშო 29. მოიფიქრეთ სინონიმები და ანტონიმები არსებით სახელებზე, დაწყვილეთ და ისე ჩაიწერეთ რვეულში. გადმოეცით, რას ჰქვია სინონიმი და რას ჰქვია ანტონიმი.

ნიმუშები:	სინონიმები	ანტონიმები
	1. კომში — ბია	1. დღე — ღამე
	2.	2. . . . .

სავარჯიშო 30. ჩამოწერეთ ბრუნვათა სახელები დადგენილი რიგის მიხედვით. აღნიშნეთ, რამდენი ბრუნვაა ქართულ ენაში და რომელია ეს ბრუნვები.

სავარჯიშო 31. გადაიწერეთ და დაბოლოეთ სათანადო ბრუნვის ნიშნებით ქვეშთ მოყვანილი არსებითი სახელი.

სახელობითი	ამხანაგ
მოთხრობითი	ამხანაგ
მიცემითი	ამხანაგ
ნათესაობითი	ამხანაგ
მოქმედებითი	ამხანაგ
ვითარებითი	ამხანაგ
წოდებითი	ამხანაგ

გადმოეცით, რა ნიშანი დაერთო სახელს ამა თუ იმ ბრუნვაში (გაუსვით ქვეშ ზაზი); რამდენი სახით შეიძლება შეგვხვდეს ერთი და იგივე სახელი წინადადებაში გამოყენების თვალსაზრისით; რა ჰქვია თითოეულ მათგანს; რას ჰქვია ბრუნება.

სავარჯიშო 32. გადაიწერეთ და განავრცეთ სათანადო ნიშნით ქვემოთ ნაბრუნები არსებითი სახელი.

სახელობითი	ბავშვ-ი
მოთხრობითი	ბავშვ-მა
მიცემითი	ბავშვ-ს
ნათესაობითი	ბავშვ-ის
მოქმედებითი	ბავშვ-ით
ვითარებითი	ბავშვ-ად
წოდებითი	ბავშვ-ო

აღნიშნეთ, რომელ ბრუნვებს ეხება ნიშნების გავრცობა; რა შემთხვევაში იხმარება გავრცობილი ფორმები ჩვეულებრივ მეტყველებაში (დაასახელეთ მაგალითები).

სავარჯიშო 33. გააკეთეთ რვეულში ქვემოთ მოცემული სქემა. სქემაში ნაბრუნები არსებითი სახელების ბრუნვის ფორმიდან გამოყვაით ფუძეზე დართული ბრუნვის ნიშნები და როგორც პირველი, ისე მეორე შეიტანეთ მათთვის განკუთვნილ სვეტში.

გამოარკვიეთ: ა) რომელ ბრუნვებშია სახელის ფუძე სრული და რომელშია უსრული; გაუსვით ქვეშ ხაზი (გადმოიცით, რას ჰქვია სრული და უსრული ფუძე).

ბ) რომელ სახელთანაა ფუძე შეკუმშული და რომელთანაა შეკეცილი (გადმოიცით, რას ჰქვია კ უ მ შ ვ ა და რას ჰქვია კ ვ ე ც ა). დაასახელეთ ის ბრუნვები, რომლებშიც ხდება კუმშვა და კვეცა.

ბრუნება	ფუძე	ბრუნვის ნიშანი	ბრუნება	ფუძე	ბრუნ. ნიშანი
სახ. სოფელ-ი			სახ. მიწა		
მოთხ. სოფელ-მა			მოთხ. მიწა-მ		
მიც. სოფელ-ს			მიც. მიწა-ს		
ნათ. სოფლ-ის			ნათ. მიწ-ის		
მოქმ. სოფლ-ით			მოქმ. მიწ-ით		
ვით. სოფლ-ად			ვით. მიწა-დ		
წოდ. სოფელ-ო			წოდ. მიწა-(ვ)		

სავარჯიშო 34. გადაიწერეთ ქვემოთ მოყვანილი არსებითი სახელები; ჩასვით ისინი ფუძის გამოსარკვევ ბრუნვაში. აღნიშნეთ: ა) რომელ ასოზე მთავრდება მისი ფუძეები — თანხმოვანზე თუ ხმოვანზე, ბ) რამდენგვარია ფუძეთა მიხედვით არსებითი სახელები და რას უწოდებენ თითოეულს, გ) როგორ უნდა მოვუნახოთ სახელის ფუძე.

სახლი, ბარი, ფანქარი, მდინარე, წყარო, დაფა, რუ, გიორგი.

სავარჯიშო 35. გადაიწერეთ და დაამთავრეთ არსებითი სახელის ფუძეები რიცხვისა და ბრუნვის ნიშნების დართვით ორივე მრავლობითში.

	I მრ.	II მრ.
სახ.	კაც	კაც
მოთხ.	კაც	კაც
მიც.	კაც	კაც
ნათ.	კაც	კაც
მოქმ.	კაც	—
ვით.	კაც	—
წოდ.	კაც	კაც

გადმოეცით, რამდენი მრავლობითი აქვს სახელებს ქართულ ენაში და რა და რა ნიშნები აწარმოებს მათ; მათ შორის რომელია ახალი და რომელია ძველი; რას უწოდებენ პირველს და რას უწოდებენ მეორეს.

სავარჯიშო 86. მოიგონეთ და ჩამოწერეთ არსებითი სახელები (გეოგრაფიული სახელები, ადამიანთა საკუთარი სახელები, ნივთიერებათა სახელები, განყენებული სახელები და მოქმედების სახელები), რომლებსაც ჩვეულებრივ მხოლობითი აქვთ, მრავლობითის ფორმები კი არ გააჩნიათ; აღნიშნეთ, რატომ (აბრუნეთ ისინი ზეპირად).

სავარჯიშო 87. გადაიწერეთ და შეადარეთ ქვემოთ ნაბრუნები თანხმოვანზე გათავებული საზოგადო არსებითი სახელების ფუძეები ერთმანეთს.

	მხ. რ.	I მრ.	II მრ.	
სახ.	წიგნი მხატვარი	წიგნები მხატვრები	წიგნნი	მხატვარნი
მოთხ.	წიგნმა მხატვარმა	წიგნებმა მხატვრებმა	წიგნთ(ა)	მხატვართ(ა)
მიც.	წიგნს მხატვარს	წიგნებს მხატვრებს	წიგნთ(ა)	მხატვართ(ა)
ნათ.	წიგნის მხატვრის	წიგნების მხატვრების	წიგნთ(ა)	მხატვართ(ა)
მოქმ.	წიგნით მხატვრით	წიგნებით მხატვრებით	———	———
ვით.	წიგნად მხატვრად	წიგნებად მხატვრებად	———	———
წოდ.	წიგნო მხატვარო	წიგნებო მხატვრებო	წიგნნო	მხატვარნო

აბრუნეთ და შეადარეთ ერთმანეთს ავრეთვე: ქალაქი — სანთელი, ნიგოზი, ხაპონი.

გადმოეცით, ზემოთ ნაბრუნებ და თქვენ მიერ ნაბრუნებ თანხმოვანფუძიან სახელთაგან: ა) რომელი სახელების ფუძეა უცვლელი და რომლებში ხდება ხმოვნის ამოღება; სად (ე. ი. ფუძის რომელ ადგილას) და რომელ ბრუნვებში იკარგება ხმოვნები; რად იქცევა სრული ფუძე.

ბ) რომელი ხმოვნების ამოღება წარმოებს ფუძეში; რა შემთხვევაში იკარგება ო უკვალოდ და რა შემთხვევაში ტოვებს კვალს იგი ვ-ს სახით; რომელ მარცვლებზე დამთავრებულ სახელებს ეკარგებათ ხმოვნები უმთავრესად; რა იწვევს ხმოვნების დაკარგვას.

გ) რამდენ ქვეჯგუფად იყოფა თანხმოვანზე გათავებული საზოგადო სახელები ფუძეთა მიხედვით და რა და რა ტერმინები იხმარება მათ აღსანიშნავად.

სავარჯიშო 88. გადაიწერეთ და შეადარეთ ქვემოთ ნაბრუნები ხმოვანზე გათავებული საზოგადო არსებითი სახელების ფუძეები ერთმანეთს.

	მხ. რ.		I მრ.		II მრ.	
სახ.	მთა	ორმო	მთები	ორმოები	მთანი	ორმონი
მოთხ.	მთამ	ორმომ	მთებმა	ორმოებმა	მთათა	ორმოთა
მიც.	მთას	ორმოს	მთებს	ორმოებს	მთათა	ორმოთა
ნათ.	მთის	ორმოს	მთების	ორმოების	მთათა	ორმოთა
მოქმ.	მთით	ორმოთი	მთებით	ორმოებით	———	———
ვით.	მთად	ორმოდ	მთებად	ორმოებად	———	———
წოდ.	მთა(ო)	ორმო(ვ)	მთებო	ორმოებო	მთანო	ორმონო

აბრუნეთ და შეადარეთ ერთმანეთს აგრეთვე მდინარე და კუ.

ვაღმოაცით, ზემოთ ნაბრუნები და თქვენ მიერ ნაბრუნებ სახელთაგან:

ა) რომელი სახელების ფუძეში ხდება ხმოვნების დაკარგვა; სად (ე. ი. ფუძის რომელ ადგილას) და რომელ ბრუნვებში; რად იქცევა სრული ფუძე.

ბ) რომელი ხმოვნები იკარგება ფუძეში და რა იწვევს ხმოვნების დაკარგვას მხოლობითსა და ეს-იან მრავლობითში.

გ) რამდენ ქვეჯგუფად იყოფა ხმოვანზე გათავებული საზოგადო სახელები ფუძეთა მიხედვით და რა ტერმინები იხმარება მათ აღსანიშნავად.

დ) დაასახელეთ ა ხმოვანზე გათავებული ის საზოგადო სახელები, რომლებიც ფუძეს არ იკვეცენ, ახსენით რატომ.

სავარჯიშო 39. გაიხსენეთ კუმშვად-კვეცადი სახელები და აბრუნეთ რვეულში. აღნიშნეთ, კუმშვად-კვეცად სახელებს რამდენ ბრუნვაში ეკუმშებათ და ეკვეცებათ ფუძე.

სავარჯიშო 40. გამოარკვიეთ, რომელ ბრუნვებშია ფორმით ერთნაირი არსებითი სახელები წინადადებაში.

1. ა) ტყეში წ ყ ა რ ო ს წყალს წავაწყდი[1] — ბ) ტყეში წ ყ ა რ ო ს წავაწყდი.

2. ა) დურგალმა უ რ ო ს ტარი დაუგო — ბ) დურგალმა უ რ ო ს ტარს თლა დაუწყო.

3. ა) მესაათემ ო ქ რ ო ს საათი შეაკეთა — ბ) მესაათე ო ქ რ ო ს ყიდულობდა.

4. ა) ვ ა ნ ო ს ძმა სოფელში წავიდა — ბ) ვ ა ნ ო ს სოფელი ძალიან უყვარს.

გადმოეცით, რა ხერხი გამოიყენეთ ფუძეუკვეცელი სახელების ბრუნვების გასარჩევად.

სავარჯიშო 41. შეადგინეთ ქვემოთ მოცემული სქემა. აბრუნეთ სქემაში მოცემული არსებითი სახელები. შეატანეთ ბრუნვის ნიშნები მათთვის განკუთვნილ სვეტში.

---

[1] საილუსტრაციო-სავარჯიშო წინადადებები სათანადო წყაროს მითითების გარეშე ჩვენ მიერაა (ო. გ.) შედგენილი მიზნობრივად.

ბრუნვები	თანხმოვან-ფუძიანი	ბრუნვის ნიშ.	ხმოვანი	ბრუნვის ნიშ.	შველცელები	ბრუნვის ნიშ.
სახელობითი	კაცი, მწერალი		ძმა, მებაღე		რკო, ჭრიჭინა	
მოთხრობითი						
მიცემითი						
ნათესაობითი						
მოქმედებითი						
გვთარებითი						
წოდებითი						

სავარჯიშო 42. აბრუნეთ ადამიანთა საკუთარი სახელები.

თამარი, თინა, ვანო, ნუნუ, პეტრე, გიორგი.

აღნიშნეთ, რა თავისებურებას იჩენენ ადამიანთა საკუთარი სახელები ბრუნების დროს და რამდენგვარია ისინი ფუძეთა მიხედვით (დაახასიათეთ ცოცხალი).

ზედსართავი სახელი

სავარჯიშო 43. გადაიწერეთ შაგალითები. გამოარკვიეთ, რას დაერთვიან ზედსართავი სახელები და რას გამოხატავენ ისინი.

დიდი	ქვა
პატარა	„
სველი	„
მძიმე	„
მჩატე	„
შავი	„
ბრტყელი	„
მრგვალი	„
ხავსიანი	„
უხავსო	„

განმარტეთ, რას ჰქვია ზედსართავი სახელი.

სავარჯიშო 44. გადაიწერეთ შაგალითებიდ. დაუსვით შესაფერისი კითხვები ზედსართავ სახელებს და მიუწერეთ მათ გასწვრივ.

მზიანი (დღე) —
ძლიერი (ქარი) —
თეთრი (თოვლი) —
ცივი (ზამთარი) —
უმცროსი (შვილი) —
უფროსი (ძმა) —
პატარა (მეგობარი) —
სოფლელი (ამხანაგი) —
აქაური (კაცი) —
იქაური (ყურძენი) —
ჩვენებური (სიმღერა) —
გუშინდელი (ვახშამი) —
შარშანდელი (თოვლი) —
წუხანდელი (ამბავი) —

ჩამოთვალეთ ზედსართავი სახელის კითხვები. აღნიშნეთ, არსებითთან ნახმარი ზედსართავი სახელი რა წევრია წინადადებაში.

სავარჯიშო 45. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ: ქვემოთ მოყვანილ ზედსართავ სახელთაგან რომელია პირველადი (გაუსვით ქვეშ ერთი ხაზი) და რომელია ნაწარმოები (გაუსვით ქვეშ ორი ხაზი); რა და რა სიტყვებისაგან მიიღება ნაწარმოები ზედსართავები; რას უწოდებენ პირველადსა და რას უწოდებენ ნაწარმოებ ზედსართავ სახელებს.

თეთრი, მაღალი, კარგი, ლამაზი, ქუდიანი, უქუდო, ბავშვური, სოფლელი, აქაური, გუშინდელი, ჩვენებური, სუფთა, ღონიერი, ანკარა.

სავარჯიშო 46. დახაზეთ რვეულში ქვემოთ მოცემული სქემა. სვეტში მოცემული ძირეული ზედსართავებისაგან სათანადო მაწარმოებლების დართვით შესაძლო შემთხვევაში აწარმოეთ შესაბამისი ხარისხის ფორმები. შეიტანეთ სვეტებში მათი სახელწოდებანი ძირეულის გასწვრივ.

ვითარებითი ზედსართავი სახელები

ძირეული		
თეთრი		
შავი		
მაღალი		
მწავე		
ლამაზი		
ტკბილი		
კარგი		
ყვითელი		

გადმოეცით, რამდენი ხარისხის ფორმა მოეპოვება ვითარებით ზედსართავებს; რა ჰქვია ძირეულ ფორმას და რა მისგან ნაწარმოებს; რას აღნიშნავს ნაწარმოები ფორმები და რა და რა ნიშნები აწარმოებს თითოეულ მათგანს (დაახასიათეთ ისინი).

სავარჯიშო 47. მოიფიქრეთ სინონიმები და ანტონიმები ზედსართაო სახელებზე. დაწყვილეთ ისინი.

ნიმუში:	სინონიმები	ანტონიმები
	წმინდა — სუფთა	დიდი — პატარა

სავარჯიშო 48. გადაიწერეთ ქვემოთ მოყვანილი ზედსართავი სახელები და ისე დაჯგუფეთ ფუძეთა მიხედვით. გამოარკვიეთ, რამდენგვარია ფუძეთა მიხედვით ზედსართავი სახელები, განსხვავდებიან თუ არა ამ მხრივ ისინი არსებითი სახელების ფუძეებისაგან.

მაღალი, სქელი, პატარა, დიდი, გრძელი, სუფთა, მსუბუქი, ლურჯი, მცირე, თეთრი, მწუხანე, მოკლე, ვიწრო, ფართო, უენო, ყრუ, ბლუ.

სავარჯიშო 49. გამოარკვიეთ, რომელი ზედსართავი სახელი ახლავს არსებითს და რომელია დამოუკიდებლად ნახმარი ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში. აღნიშნეთ, რას ახლავს, ჩვეულებრივ, ზედსართავი სახელი.

ავი ძაღლი არც თვითონ ჭამს და არც სხვას აჭმევს (ანდ.) — ა ვ ს თუ ავი არ ვუწოდო, კ არ გ ს სახელად რა დავარქვა (დ. გ.).

სავარჯიშო 50. გადაიწერეთ და შეადარეთ ერთმანეთს თანხმოვანზე გათავებული დამოუკიდებელი ზედსართავი სახელის ბრუნვის ფორმები არსებითისას. გამოყავით ბრუნვის ნიშნები დეფისით. გაუსვით ქვეშ ხაზი შესაბამისი არსებითი და ზედსართავი სახელების იმ ფუძეებს, რომლებშაც ხმოვანია დაკარგული.

სახ.	თეთრი	სახლი	მაღალი	კარავი
მოთხ.	თეთრმა	სახლმა	მაღალმა	კარავმა
მიც.	თეთრს	სახლს	მაღალს	კარავს
ნათ.	თეთრის	სახლის	მაღლის	კარვის
მოქმ.	თეთრით	სახლით	მაღლით	კარვით
ვით.	თეთრად	სახლად	მაღლად	კარვად
წოდ.	თეთრო	სახლო	მაღალო	კარავო

გადმოეცით: რამდენ ქვეჯგუფად იყოფა თანხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელები და რომლებია ისინი; განსხვავდებიან თუ არა ზედსართავი სახელები არსებითი სახელების ბრუნებისაგან, როცა ისინი დამოუკიდებლად არიან ნახმარი.

სავარჯიშო 51. გადაიწერეთ და შეადარეთ ხმოვანზე გათავებული დამოუკიდებელი ზედსართავი სახელის ბრუნვის ფორმები არსებითისას. გამოყავით ბრუნვის ნიშნები დეფისით. გაუსვით ქვეშ ხაზი შესაბამისი არსებითისა და ზედსართავი სახელების იმ ფუძეებს, რომლებშიც ხმოვანია მოკვეცილი.

სახ.	პატარა	კარადა	ფართო	ორძო
მოთხ.	პატარამ	კარადამ	ფართომ	ორმომ

მიც.	პატარას	კარადას	ფართოს ორმოს
ნათ.	პატარის	კარადის	ფართოს ორმოს
მოქმ.	პატარით	კარადით	ფართოთი ორმოთი
ვით.	პატარად	კარადად	ფართოდ ორმოდ
წოდ.	პატარა(ვ)	კარადა(ვ)	ფართო(ვ) ორმო(ვ)

ამგვარადვე ამბრუნეთ და შეადარეთ ერთმანეთს: მწვანე და მდინარე, ყრუ და რუ.

კ ი თ ხ ვ ი ე თ ი: რამდენ ქვეჯგუფად იყოფა ხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელები და რომლებია ისინი; განსხვავდებიან თუ არა ასეთი ზედსართავები არსებითი სახელების ბრუნებისაგან, როცა ისინი დამოუკიდებლად არიან ნახმარი.

სავარჯიშო 52. გადაწერეთ მაგალითები. ამბრუნეთ დამოუკიდებელი ზედსართავი სახელი შესაბამის არსებით სახელთან ერთად. გაუსვით ხაზი ზედსართავის იმ დაბოლოებებს, რომლებიც არსებით სახელთან ბრუნების დროს მოიკვეცებამ მთლიანად ან ნაწილობრივ. გამოყავით ბრუნვისა და რიცხვის ნიშნები დეფისით.

	მხ. რ.		მრ. რ.	
სახ.	დიდი	სახლი	დიდი	სახლები
მოთხ.	დიდმა	სახლმა	დიდმა	სახლებმა
მიც.	დიდს	სახლს	დიდს	სახლებს
ნათ.	დიდის	სახლის	დიდის	სახლების
მოქმ.	დიდით	სახლით	დიდით	სახლებით
ვით.	დიდად	სახლად	დიდად	სახლებად
წოდ.	დიდო	სახლო	დიდო	სახლებო

გ ა დ მ ო ე თ ი თ: ა) არსებითთან ბრუნებისას ზედსართავი სახელების რომელ ბრუნვებს ეკვეცებათ ნიშნები მთლიანად ან ნაწილობრივ (ნაწილობრივ შეკვეცისას რომელი ასოები იკვეცება და რომელი რჩება);

ბ) რომელ რიცხვშია ზედსართავი სახელი, როცა არსებითი მრავლობითშია.

სავარჯიშო 53. გადაიწერეთ მაგალითები. დააკვირდით ზედსართავი სახელის ფორმას, როცა არსებით სახელთან ერთადაა ნახმარი. აღნიშნეთ, რა ფორმითაა ნახმარი ხმოვანფუძიანი ზედსართავი; როგორ უნდა გავიგოთ ზედსართავის ესა თუ ის ბრუნვა მოცემულ შემთხვევაში.

	მხ. რ.		მრ. რ.	
სახ.	სუფთა	ოთახი	სუფთა	ოთახები
მოთხ.	სუფთა	ოთახმა	სუფთა	ოთახებმა
მიც.	სუფთა	ოთახს	სუფთა	ოთახებს
ნათ.	სუფთა	ოთახის	სუფთა	ოთახების
მოქმ.	სუფთა	ოთახით	სუფთა	ოთახებით
ვით.	სუფთა	ოთახად	სუფთა	ოთახებად
წოდ.	სუფთა	ოთახო	სუფთა	ოთახებო

სავარჯიშო 54. ამბრუნეთ ზედსართავი სახელები არსებითთან შებრუნებული რიგით სხვა დანარჩენ ბრუნვებში:

სახ.	მთა მაღალ-ი	ველ-ი მწვანე
მოთხ.		
მიც.		
ნათ.		
მოქმ.		
ვით.		
წოდ.		

გადმოეცით, როგორ ამბრუნვის ზედსართავი სახელები, როცა ისინი დგანან არსებითი სახელების შემდეგ; სად ვხვდებით ასეთ რიგს უფრო ხშირად.

რიცხვითი სახელი

სავარჯიშო 55. გადაიწერეთ ქვემოთ მოყვანილი კითხვები და მიუწერეთ მარჯვნივ სათანადო რიცხვითი სახელები.

რამდენი? —
რიგით რომელი? მერამდენე? —
მერამდენედი? —

განმარტეთ, რას ეწოდება რიცხვითი სახელი; რამდენგვარია რიცხვითი სახელი და რას აღნიშნავს თითოეული.

სავარჯიშო 56. ქვემოთ ჩამოთვლილ არსებით სახელებს შეუწყვეთ რაოდენობითი რიცხვითი სახელები შესაძლო შემთხვევაში.

სახლი, ქალაქი, მოწაფე, მერხი, ჰაერი, ღვინო, თოთი, ფანქარი, წიგნი, ფქვილი, სილამაზე, მშვიდობა, გაკეთება, მაგიდა, ვაშლი, ფიქრი, ფოთოლი, ვაზი, ლობიო, შაქარი, მინდორი.

გადმოეცით, რომელი საგნის სახელთან იხმარება რიცხვითი სახელი და რომელთან არ იხმარება, აღნიშნეთ რატომ.

სავარჯიშო 57. ჩამოთვალეთ და ისე ჩაიწერეთ რვეულში:

ა) გარკვეული რიცხვის აღმნიშვნელი რაოდენობითი რიცხვითი სახელები;

ბ) გაურკვეველი რიცხვის აღმნიშვნელი სახელები.

გადმოეცით, რას აღნიშნავს და რა კითხვაზე მოგვიგებს რაოდენობითი რიცხვითი სახელები.

სავარჯიშო 58. წაიკითხეთ ნაწყვეტი. გამოარკვიეთ, რომელი რიცხვითი სახელი ახლავს არსებით სახელს და რომელია დამოუკიდებლად ნახმარი.

სერზე მიდის სამი მგელი, ტუჩ-მოკლე და კუდა-გრძელი,
ერთმანეთს ეუბნებიან: ჭალას არის ლურჯა ცხენი;
ერთმა თავსა დაუაროს, ორმა გავკრათ გავას ხელი (ხალხ.).

გადმოეცით, რას ახლავს, ჩვეულებრივ, რიცხვითი სახელი და რა წევრია იგი წინადადებაში.

სავარჯიშო 59. 1. ჩამოთვალეთ და ჩაიწერეთ რვეულში: ა) მარტივი რაოდენობითი რიცხვითი სახელები მთლიანად, ბ) რთული რიცხვითი სახელები, რომლებიც სიტყვისაგან შედგება (დაშალეთ ისინი).

ნიმუში: ოცდაათი (ოც-და-ათ-ი).

გ) ჩამოთვალეთ და ჩაიწერეთ რამდენიმე რიცხვითი სახელით გამოხატული რიცხვითი სახელი. აღნიშნეთ, ერთად იწერება ისინი თუ ცალ-ცალკე.

2. გადაიწერეთ და ქვემოთ მოყვანილ რთულ რიცხვით სახელებს მიუწერეთ გასწვრივ თავ-თავისი სრული ფორმა ფრჩხილებში. გამოარკვიეთ, რა და რა ფუძეების შეერთებით არიან ისინი წარმომდგარი და რა ფონეტიკურ მოვლენას აქვს ადგილი თითოეულში.

თერთმეტი ( ), თორმეტი ( ), ცამეტი ( )
თოთხმეტი ( ), თხუთმეტი ( ), თექვსმეტი ( )
ჩვიდმეტი ( ), თვრამეტი ( ), ცხრამეტი ( )

სავარჯიშო 60. სათანადო რიცხვითი სახელებისაგან მაწარმოებლების დართვით აწარმოეთ რიგობითი რიცხვითი სახელები (სიტყვებით).

ნიმუში: ხუთი — მეხუთე.

გადმოეცით: რას აღნიშნავს და რა კითხვაზე მოგვიგებს რიგობითი რიცხვითი სახელები; რომელი რიცხვითი სახელის ფუძისაგან იწარმოება რიგობითის ფორმები და რა და რა ნიშნებით.

სავარჯიშო 61. გადაიწერეთ და გამოარკვიეთ, რომელ ბრუნვაში დგას ქვემოთ მოყვანილი რიგობითი რიცხვითი სახელები (გამოყავით ბრუნვის ნიშნები), დაურთეთ მათ სახელობითი ბრუნვის ნიშანი ი და ისე მიუწერეთ ნაწარმოები ფორმები თითოეულ მათგანს შესაბამისად ისრების შემდეგ.

მესამედ→
მეოთხედ→
მეხუთედ→
მერვედ→
მეთორმეტედ→

გადმოეცით, რისგან იწარმოება წილობითი რიცხვითი სახელი, როგორ იწარმოება და რა კითხვაზე მოგვიგებს იგი.

სავარჯიშო 62. დააკვირდით ქვემოთ მოცემული რიცხვითი სახელების ფუძეებს. გადმოეცით ზეპირად, რომელ ასოზე უმთავრდებიან ფუძეები რაოდენობითს, რიგობითსა და წილობით რიცხვით სახელებს. დაახასიათეთ ისინი ფუძეთა მიხედვით.

რაოდენობითი	რიგობითი	წილობითი
ერთი	მეორე	მეხუთედი
ორი	მესამე	მეათედი
სამი	მეათე	მეასედი
ოთხი	მეასე	მემილიონედი
ხუთი	მეათასე	
ექვსი		
შვიდი		
რვა		
ცხრა		
ათი		
ოცი		
ასი		
მილიონი		

სავარჯიშო 88. აბრუნეთ დამოუკიდებელი რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელები. გამოყავით ბრუნვის ნიშნები.

სახ.	**ორ-ი**	**რვა**	**მეორე**	**მეხუთედ-ი**
მოთხ.				
მიც.				
ნათ.				
მოქმ.				
ვით.				
წოდ.				

2. აბრუნეთ რიცხვითი სახელები არსებითთან და წილობითთან ერთად.

სახ.	**ათ-ი**	**მანეთ-ი**	**ორ-ი მესამედ-ი**
მოთხ.			
მიც.			
ნათ.			
მოქ.			
ვით.			
წოდ.			

დახასიათეთ: ა) როგორია, საზოგადოდ, რაოდენობითი რიცხვითი სახელის გრამატიკული რიცხვისა და ბრუნების წარმოების თავისებურებანი;

ბ) როგორ ბრუნვიან თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი რიცხვითი სახელები ცალკე და არსებითთან ერთად.

ნაცვალსახელი

სავარჯიშო 84. გადაიწერეთ მაგალითები და გამოარკვიეთ, მეტყველების რომელი ნაწილების ნაცვლადაა გამოყენებული ნაცვალსახელები მომდევნო წინადადებებში; გაუსვით ქვეშ ხაზი თითოეულ მათგანს.

1. ა) თინა VI[1] კლასში სწავლობს, ბ) ის ფრიადოსანი მოსწავლეა.

2. ა) თინა ბეჯითი მოსწავლეა, ბ) ასეთი მოსწავლე ყველას უყვარს.

3. ა) თინას კლასში ათი ხუთოსანია, ბ) ამდენივე ხუთოსანია VI[2] კლასშიც.

გარჩევა, რას ჰქვია ნაცვალსახელი.

ამასთანავე: ა) დასახელებულ მაგალითებში შეუწყვეთ სათანადო კითხვები ნაცვალსახელებს და იმ მეტყველების ნაწილებს, რომლებსაც ისინი ცვლიან. აღნიშნეთ, რა კითხვებზე მიუგებს ნაცვალსახელები.

ბ) გამოარკვიეთ, რა და რა წევრია ნაცვალსახელები სააანალიზო წინადადებებში. აღნიშნეთ, წინადადების რა წევრად შეიძლება იყოს კიდევ ნაცვალსახელი გამოყენებული.

სავარჯიშო 85. გააკეთეთ რეებულში ქვემოთ მოცემული სქემა. გამოარკვიეთ, ნაცვალსახელთა რა და რა შინაარსობრივ ჯგუფს განეკუთვნებიან სვეტებში მოცემული ნაცვალსახელები. დააწერეთ სახელწოდება თითოეულ ჯგუფს თავზე მაითვის განკუთვნილ ადგილას. შეიტანეთ ჯგუფებში სათანადო ნაცვალსახელები.

ნაცვალსახელთა ჯგუფები

მე...	ეს...	ჩემი...	ვინ...	ვინც...	არავინ...	ვინმე...	თვით...

დაახასიათეთ თითოეულ ჯგუფში შემავალი ნაცვალსახელები თანამიმდევრობით.

სავარჯიშო 86. გადაიწერეთ, ბასვით ქვემოთ მოყვანილი პირის ნაცვალსახელები სხვა დანარჩენ ბრუნვებში.

სახ.	მე	შენ	ჩვენ	თქვენ
მოთხ.				
მიც.				

ნათ.				
მოქმ.	—	—	—	—
ვით.	—	—	—	—
წოდ.	—		—	

ამასთანავე: ა) თითოეულ ბრუნვას შეუნაცვლეთ მოკლე-მოკლე წინადადებებში მოცემული ბრუნვიანი სიტყვები.

ნიმუში: მე (ბავშვი) სურათს ვხატავ.

ბ) დაახასიათეთ მე, შენ, ჩვენ, თქვენ ნაცვალსახელების ბრუნვათა წარმოების თავისებურებანი.

სავარჯიშო 67. გადაიწერეთ მაგალითები. დამოუკიდებლად ნაბრუნები ჩვენებითი ნაცვალსახელები შეადარეთ არსებითი სახელის შესაბამის ბრუნვებს (გამოყავით ბრუნვის ნიშნები). აღნიშნეთ, ჩანს თუ არა მათ შორის ამ მხრივ რაიმე სხვაობა. ამის შემდეგ ბრუნეთ არსებით სახელთან ერთად. გადახაზეთ ის დაბოლოებები, რომლებიც ბრუნების დროს ჩამოსცილდებათ.

სახ	ეს მთა	ეგ მთა	ის მთა (იგი)
მოთხ.	ამან მთამ	მაგან მთამ	იმან მთამ (მან)
მიც.	ამას მთას	მაგას მთას	იმას მთას (მას)
ნათ.	ამის მთის	მაგის მთის	იმის მთის (მის)
მოქმ.	ამით მთით	მაგით მთით	იმით მთით (მით)
ვით.	ამად მთად	მაგად მთად	იმად მთად —
წოდ.	— მთა(ვ)	— მთა(ვ)	— მთა(ვ)

დაახასიათეთ, როგორ იბრუნვის ეს, ეგ, ის, ეგი ჩვენებითი ნაცვალსახელები ცალკე და არსებითთან ერთად.

სავარჯიშო 68. გადაიწერეთ მაგალითები. ახრუნეთ ნარ-ით მრავლობითში დასმული ჩვენებითი ნაცვალსახელები სხვა დაწარჩენ ბრუნვებში, გამოყავით ბრუნვის ნიშნები.

სახ. მოთხ.	ესენი	ეგენი	ისინი	ოგინი
მიც.				
ნათ.				
მოქმ.	—	—	—	—
ვით.	—	—	—	—

დაახასიათეთ ნარ-თანიან მრავლობითში დასმული ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნვათა წარმოების თავისებურება. აღნიშნეთ, როგორ უნდა გავიგოთ, რომელი ბრუნვის მნიშვნელობით არის ნახმარი ფორმით ერთნაირი ნაცვალსახელები.

სავარჯიშო 69. გადაიწერეთ მაგალითები. აბრუნეთ ვინ და რა კითხვითი ნაცვალსახელები სხვა დანარჩენ ბრუნვებში.

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ვი-ნ რა	რა-ებ-ი
მოთხ.		
მიც.		
ნათ.		
მოქმ.		
ვით.		

ამასთანავე, შეუნაცვალეთ ვინ ნაცვალსახელის თითოეულ ბრუნვას მოკლე-მოკლე წინადადებებში მოცემული ბრუნვიანი სიტყვები.

ნიმუში: ვინ მოვიდა? — კაცი მოვიდა.

დაახასიათეთ ვინ და რა ნაცვალსახელების ბრუნვათა წარმოების თავისებურება.

სავარჯიშო 70. აბრუნეთ რვეულში კუთვნილებითი ნაცვალსახელები: ჩ ე მ ი, შ ე ნ ი, მ ი ს ი, ჩ ვ ე ნ ი, თ ქ ვ ე ნ ი, მ ა თ ი, თ ა ვ ი ს ი რომელიმე არსებითთან ერთად. გადმოეცით, რით განსხვავდებიან ისინი ზედსართავი სახელის ბრუნებისაგან.

სავარჯიშო 71. აბრუნეთ რვეულში: ა) უარყოფითი ნაცვალსახელები (ა რ ა ვ ი ნ, ე ე რ ა ვ ი ნ, ნ უ რ ა ვ ი ნ). აღნიშნეთ, რომელი მარტივი ნაცვალსახელების მსგავსად იბრუნვიან ისინი.

ბ) ა რ ა რ ა, ე ე რ ა რ ა, ნ უ რ ა რ ა. აღნიშნეთ, რომელ ბრუნვებში გვხვდება ისინი. აქედან, რომელ ბრუნვებშია წარმოდგენილ სრული სახით (ოღონდ გათიშე ი) და რომელში — შემოკლებით.

სავარჯიშო 72. ა) გადმოეცით, როგორია განსაზღვრებითი ნაცვალსახელების თვით და თვითონ ბრუნების თავისებურებანი.

ბ) აბრუნეთ ნაცვალსახელი ყველა ცალკე და არსებითთან ერთად დანარჩენ ბრუნვებში.

სახ.	ყველა	ყველა	ამხანაგი
მოთხ.			
მიც.			
ნათ.			
მოქმ.			
ვით.			
წოდ.			

დაახასიათეთ, რა თავისებურება აქვს ნაცვალსახელს ყ ო ე ლ ა ცალკე ბრუნვისას და როგორ იბრუნვის არსებითთან ერთად; აღნიშნეთ, რა თავისებურება აქვს მას მრავლობითში.

(ცნობისათვის)

არსებითი სახელის ზოგადი დახასიათება

არსებითი სახელი აღნიშნავს საგანს. მისი კითხვებია: ვინ? რა? ვინ? — კაცი, ქალი, ექიმი, მასწავლებელი და სხვ. რა? — ხარი, ჩიტი, მწერი, ქვა, ბალახი, სკამი და სხვ.

არსებითი სახელის ჯგუფები შინაარსის მიხედვით. შინაარსის მიხედვით არსებით სახელებში გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები: სულიერთა და უსულოთა, ვინ ჯგუფისა და რა ჯგუფის, კონკრეტული და აბსტრაქტული, საკუთარი და საზოგადო, კრებითი, ნივთიერებათა და მოქმედების სახელები.

სულიერი ჰქვია არსებით სახელს, რომელიც თავისი საკუთარი ძალით მოძრაობს. ამ ჯგუფს მიეკუთვნება ადამიანების, ცხოველების, ფრინველების, თევზების, მწერების, ქვეწარმავლების სახელები.

უსულო ჰქვია ისეთ საგანს, რომელსაც თავისი ძალით მოძრაობა არ შეუძლია: სკამი, ტყე, ხავსი, ფანქარი და სხვ.

ვინ ჯგუფის სახელი საკუთრივ ადამიანს აღნიშნავს (კაცი, მუშა, მეჩაიე, ინჟინერი...), რა ჯგუფის სახელი — ადამიანის გარდა ყველა სხვა დანარჩენ სულიერსა და უსულო არსებით სახელს (ცაქერი, ქათამი, ორაგული, ქვა, მცენარე, მინდორი და სხვ.).

კონკრეტულია არსებითი სახელი, რომელიც აღნიშნავს რეალურად (ფიზიკურად) არსებულ საგანს ან ისეთ საგანს, რომელიც ქმნის საგნობრივ წარმოდგენას (მგელი, კლდე, სახლი, რვეული...).

აბსტრაქტულია (განყენებულია) სახელი, რომელსაც ნივთიერი (ფიზიკური) სახე არ გააჩნია (მეგობრობა, სილამაზე, ბედნიერება...).

საკუთარი ჰქვია ერთ რომელიმე საგნის სახელს; ასეთებია: ადამიანთა საკუთარი სახელები (შოთა, გრიგოლ, თამარ...), გვარები (ალავიძე, რამიშვილი...), ცხოველთა სახელები (ლურჯა, ნიკორა...), გეოგრაფიული სახელები (თბილისი, ლონდონი, თელავი...).

საზოგადო სახელი აღნიშნავს მრავალ ერთნაირ საგანს: მაგიდა, თითი, წიგნი, მთა და სხვ.

საზოგადო სახელთაგან გამოიყოფა: ა) კრებითი სახელები, თუ ისინი აღნიშნავენ ადამიანთა, ცხოველთა ან ფრინველთა კრე-

ბულს; ასეთებია: ხალხი, ერი, სტუდენტობა, გუნდი, ჯოგი, ხროვა, ნახირი და სხვ. შეიძლება კრებითობის მნიშვნელობა მიიღოს რომელიმე საზოგადო სახელმაც. მაგ.: მეცხვარემ ცხვარი გაშალა. ცხვარი აქ კრებითი სახელია.

ბ) ნივთიერებათა სახელები: ოქრო, წყალი, ფქვილი და სხვ.

ბევრია ისეთი სახელი, რომელიც მოქმედებას ან მდგომარეობას აღნიშნავს: კეთება, აშენება, დგომა, წოლა და სხვ.

ბრუნება. წინადადებაში ერთი და იგივე სახელი ჩვეულებრივ წარმოდგენილია შვიდი სხვადასხვა სახით. თითოეულ ამ სახეს ბრუნვა ჰქვია. ბრუნვათა სახელებია: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი, წოდებითი. თითოეულ ბრუნვას თავისი ნიშანი აქვს.

მაგალითი:

სახელობითი	წიგნი
მოთხრობითი	წიგნმა
მიცემითი	წიგნს
ნათესაობითი	წიგნის
მოქმედებითი	წიგნით
ვითარებითი	წიგნად
წოდებითი	წიგნო

შავად დაბეჭდილი დაბოლოებანი სათანადო ბრუნვის ნიშნებია. სახელთა ცვლას ბრუნვათა მიხედვით ბრუნება ჰქვია.

ბრუნვის ნიშნის გავრცობა. მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვათა ნიშნები შეიძლება გავრცობილ იქნას ა ბგერის დამატებით; მაგალითად: კაც-სა, კაც-ისა, კაც-ითა, კაც-ადა.

ფუძე. სახელის იმ ნაწილს, რომელსაც ბრუნვის ნიშნები ერთვის, ფუძე ჰქვია. მაგ., ქალ-ი, ქალ-მა, ქალ-ს, ქალ-ის, ქალ-ით, ქალ-ად, ქალ-ო. ფუძე აქ არის ქალ. სახელის ფუძეს საგნობრივი მნიშვნელობა აქვს. ფუძე შეიძლება იყოს სრული ან უსრული (ამაზე ქვემოთ).

ფუძის მონახვის ხერხი. ფუძის მოსანახავად სახელი უნდა ჩავსვათ მოთხრობით ბრუნვაში (რადგან ფუძე აქ სრულად არის მოცემული), ჩამოვაშოროთ ბრუნვის ნიშანი და დარჩება ფუძე. მაგ. ფანქარ-ი (სახ.) — ფანქარ-მა (მოთხ.) — ფუძეა ფანქარ. ფრთა (სახ.)— ფრთა-მ (მოთხ.) — ფუძეა ფრთა.

სახელის ფუძე ბოლოვდება თანხმოვანზე ან ხმოვანზე. სახელი, რომელიც თანხმოვანზე ბოლოვდება, თანხმოვანფუძიანია,

რომელიც ხმოვანზე — ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ი. თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ი ა: ქალაქი, ბაღი, ფოთოლი, ინჟინერი და სხვ.; ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ი ა: მიწა, ორმო, მდინარე, რუ, გიორგი და სხვ.

რ ი ც ხ ვ ი. ქართულ ენაში რიცხვი ორია: მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი და მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი. მხოლობითის ფორმა ერთ საგანს აღნიშნავს (კაცი, სკამი, ხე...); მრავლობითისა აღნიშნავს ერთზე მეტ საგანს (კაცები, სკამები, ხეები...).

ქართულში მრავლობითი ორგვარად იწარმოება: ებ სუფიქსით და ნ და თ-თი. ებ სუფიქსი უშუალოდ ერთვის ფუძეს, ხოლო ბრუნვის ნიშანი იწერება რიცხვის ნიშნის შემდეგ (წიგნ-ებ-ი, წიგნ-ებ-მა...). ნარ-თანიან მრავლობითში რიცხვის ნიშანი ნ დაერთვის ფუძეს სახელობითსა და წოდებითში (კაც-ნ-ი, კაც-ნ-ო), თ ნიშანი — მოთხრობითში, მიცემითსა და ნათესაობითში გავრცობილი სახით (კაც-თ(ა). ეს უკანასკნელი გამოხატავს ერთ-ერთ ბრუნვასაც. მოქმედებითსა და ვითარებითში ამგვარ მრავლობითს ებ-იანი მრავლობითი ენაცვლება.

ებ-იანი მრავლობითი ახალია და ძალიან გაერცელებულია დღევანდელ ქართულში; ნარ-თანიანი ძველია და იშვიათად იხმარება. ამის გამო ებ-ნიშნიანს პირველ მრავლობითს ეძახიან, ნარ-თანიანს — მეორეს.

ბ რ უ ნ ე ბ ი ს ნ ი მ უ შ ი:

	I მრ.	II მრ.
სახ.	შვილ-ებ-ი	შვილ-ნ-ი
მოთხ.	შვილ-ებ-მა	შვილ-თ(ა)
მიც.	შვილ-ებ-ს	შვილ-თ(ა)
ნათ.	შვილ-ებ-ის	შვილ-თ(ა)
მოქმ.	შვილ-ებ-ით	—
ვით.	შვილ-ებ-ად	—
წოდ.	შვილ-ებ-ო	შვილ-ნ-ო

ზოგიერთი სახელი, ჩვეულებრივ, ვერ აწარმოებს მრავლობითი რიცხვის ფორმებს, მათ მარტო მხოლობითის ფორმა გააჩნიათ. ასეთებია: გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი და ა დ ა მ ი ა ნ თ ა ს ა კ უ თ ა რ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი (თბილისი, კავკასიონი, მტკვარი..., ნიკოლოზი, ეთერი, თინათინი...); ნ ი ვ თ ი ე რ ე ბ ა თ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ი (თაფლი, ლობიო, ფქვილი...); ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი (მშვიდობა, სილამაზე, ერთგულება...); მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი (ცითხვა, ბარვა, ჭამა, წოლა, დგომა...).

ჩამოთვლილი სახელებიდან შეიძლება რომელიმე მათგანმა გაიჩინოს მრავლობითის ფორმაც მხოლოდ სხვა მნიშვნელობით ხმარების

დროს. მაგ., თინას წიგნის კითხვა უყვარს (არ შეიძლება ითქვას: წიგნის კითხვები უყვარს). მაგრამ ჩვეულებრივია სხვა მნიშვნელობით მისი ხმარება, როცა ამბობენ: გამომცდელმა აბიტურიენტს კითხვები დაუსვა.

ჯგუფები ფუძეთა მიხედვით. როგორც ითქვა, სახელი შეიძლება იყოს **თანხმოვანფუძიანი** ან **ხმოვანფუძიანი.**

თანხმოვანფუძიანი საზოგადო სახელების ბრუნება. ამგვარი ფუძის მქონე სახელებში გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი: **ფუძეუკუმშველი** და **ფუძეკუმშვადი.** ფუძეუკუმშველი სახელების ფუძე ბრუნების დროს სულ უცვლელია, კუმშვადებისა კი იცვლება: ეკუმშებათ ფუძე სამ ბრუნვაში (ნათ., მოქმ., ვით.) და **ებ**-იან მრავლობითში. კუმშვისას ფუძეში, ჩვეულებრივ, იკარგება **ა** და **ე** ხმოვნები. ამის გარდა, სუსტდება **ო** და მის ადგილას ჩნდება **ვ.** ეს **ვ**-ც იკარგება, თუ მის მეზობლად არის რომელიმე ბაგისმიერი თანხმოვანი (**ბ, პ, ფ**) ან ხმოვანი **ო.** ასეთ შემთხვევებს, ჩვეულებრივ, ადგილი აქვს სახელის იმ ფუძეებთან, რომლებიც ბოლოვდებიან მარცვლებზე: **ალ, ელ, ან, ენ, არ, ერ, ამ, ემ, ოლ, ონ, ორ.** კუმშვას იწვევს ხმოვნით დაწყებული დაბოლოების დართვა, მხოლობით რიცხვში ბრუნვის ნიშანი (**ის, ით, ად**), მრავლობითში — რიცხვისა (**ებ**).

ფუძეუკუმშველი საზოგადო სახელების ბრუნების ნიმუში:

მხ. რ.		I მრ.	II. მრ.
სახ.	ქალ-ი	ქალ-ებ-ი	ქალ-ნ-ი
მოთხ.	ქალ-მა	ქალ-ებ-მა	ქალ-თ(ა)
მიც.	ქალ-ს	ქალ-ებ-ს	ქალ-თ(ა)
ნათ.	ქალ-ის	ქალ-ებ-ის	ქალ-თ(ა)
მოქმ.	ქალ-ით	ქალ-ებ-ით	———
ვით.	ქალ-ად	ქალ-ებ-ად	———
წოდ.	ქალ-ო	ქალ-ებ-ო	ქალ-ნ-ო

ასევე იბრუნვის: კაცი, ცხენი, ჩიტი, იარაღი, ბარი, პიონერი და სხვა მრავალი.

ფუძეკუმშვადი საზოგადო სახელების ბრუნების ნიმუში:

I. ფუძიდან ამოღებულია **ა.**

მხ. რ.		I მრ.	II მრ.
სახ.	კალამ-ი	კალმ-ებ-ი	კალამ-ნ-ი
მოთხ.	კალამ-მა	კალმ-ებ-მა	კალამ-თ(ა)
მიც.	კალამ-ს	კალმ-ებ-ს	კალამ-თ(ა)
ნათ.	კალმ-ის	კალმ-ებ-ის	კალამ-თ(ა)

მოქმ.	კალმ-ით	კალმ-ებ-ით	——
ვით.	კალმ-ად	კალმ-ებ-ად	——
წოდ.	კალამ-ო	კალმ-ებ-ო	კალმ-ნ-ო

2. ფუძიდან ამოღებულია ე

	მხ. რ.	I მრ.	II მრ.
სახ.	ბეღელ-ი	ბეღლ-ებ-ი	ბეღელ-ნ-ი
მოთხ.	ბეღელ-მა	ბეღლ-ებ-მა	ბეღელ-ო(ა)
მიც.	ბეღელ-ს	ბეღლ-ებ-ს	ბეღელ-თ(ა)
ნათ.	ბეღლ-ის	ბეღლ-ებ-ის	ბეღელ-თ(ა)
მოქმ.	ბეღლ-ით	ბეღლ-ებ-ით	——
ვით.	ბეღლ-ად	ბეღლ-ებ-ად	——
წოდ.	ბეღელ-ო	ბეღლ-ებ-ო	ბეღელ-ნ-ო

3. ფუძეში ო-ს შეენაცვლება ვ, ან ეს უკანასკნელი სულ ამოვარდება.

	მხ. რ.	მრ. რ.	ვხ. რ.	მრ. რ
სახ.	მაწონ-ი	მაწვნ-ებ-ი	კოკორ-ი	კოკრ-ებ-ი
მოთხ.	მაწონ-მა	მაწვნ-ებ-მა	კოკორ-მა	კოკრ-ებ-ა
მიც.	მაწონ-ს	მაწვნ-ებ-ს	კოკორ-ს	კოკრ-ებ-ს
ნათ.	მაწვნ-ის	მაწვნ-ებ-ის	კოკრ-ის	კოკრ-ებ-ის
მოქმ.	მაწვნ-ით	მაწვნ-ებ-ით	კოკრ-ით	კოკრ-ებ-ით
ვით.	მაწვნ-ად	მაწვნ-ებ-ად	კოკრ-ად	კოკრ-ებ-ად
წოდ.	მაწონ-ო	მაწვნ-ებ-ო	კოკორ-ო	კოკრ-ებ-ო

ფუძე შეიძლება შეერთშოს სხვა სახელებთანაც (კარავი —კარვის, კარვები: კაკაბი — კაკბის, კაკბები; ნაბადი — ნაბდის, ნაბდები; ხოხოპი — ხოხბის...).

ასევე იბრუნვის: ნამგალი, კედელი, მარანი, ბერძენი, ფანჯარი, ბეპერი, სალამი, ირემი, ობოლი, იორი და სხვ. მრავალი.

ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელების ბრუნება. საზოგადო სახელები, რომელთა ფუძე ხმოვანზე ბოლოვდება, შეიძლება იყოს კვეცადი, უკვეცელი ან კუმშვად-კვეცადი. კვეცა დამახასიათებელია საზოგადო სახელებისათვის. იკვეცება ა და ე ხმოვნები. შეკვეცა არ ხდება ო-ზე და უ-ზე დაბოლოებულ სახელებში (ორმო, რუ...); იკვეცება ხმოვნები ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში.

ა-ზე დაბოლოებულ სახელებთან შეკვეცა ხდება ებ-ნიშნიან მრავლობითშიც. შეკვეცას იწვევს ხმოვნით დაწყებული დაბოლოების დართვა: ბრუნვის ნიშნები ის (ნათ.), ით (მოქმ.); რიცხვის ნიშანი (ებ).

ფუძეკვეცადი სახელების ბრუნების ნიმუში:

	მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	დედა	დედ-ებ-ი	მდინარე	მდინარე-ებ-ი
მოთხ.	დედა-მ	დედ-ებ-მა	მდინარე-მ	მდინარე-ებ-მა
მიც.	დედა-ს	დედ-ებ-ს	მდინარე-ს	მდინარე-ებ-ს
ნათ.	დედ-ის	დედ-ებ-ის	მდინარ-ის	მდინარე-ებ-ის
მოქმ.	დედ-ით	დედ-ებ-ით	მდინარ-ით	მდინარე-ებ-ით
ვით.	დედა-დ	დედ-ებ-ად	მდინარე-დ	მდინარე-ებ-ად
წოდ.	დედა-(ე)	დედ-ებ-ო	მდინარე-(ე)	მდინარე-ებ-ო

დ ე დ ა სიტყვის მსგავსად იბრუნვის ა-ზე გათავებული მრავალი საზოგადო სახელი: მამა, ძმა, ბიძა, ქვა, ზღვა, მუხა, კაბა, დაფა და სხვ.

მ დ ი ნ ა რ ე სიტყვის მსგავსად იბრუნვის ე-ზე გათავებული სახელები: ტყე, კლდე, ხე, კიბე, მებაღე, მეეტლე, სახე და სხვ.

კუმშვად-კვეცადი სახელების ბრუნება. ასეთი სახელები ქართულში ცოტაა; ესენია: ქვეყანა, მოყვარე, ქარხანა, ფანჯარა, ბეგარა. მათ ფუძეში ერთდროულად ხდება როგორც კუმშვა, ისე კვეცა.

ბრუნების ნიმუში:

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	მოყვარე	მოყვარ-ებ-ი
მოთხ.	მოყვარე-მ	მოყვარ-ებ-მა
მიც.	მოყვარე-ს	მოყვარ-ებ-ს
ნათ.	მოყვარ-ის	მოყვარ-ებ-ის
მოქმ.	მოყვარ-ით	მოყვარ-ებ-ით
ვით.	მოყვარ-ად	მოყვარ-ებ-ად
წოდ.	მოყვარე-(ე)	მოყვარ-ებ-ო

ფუძეუკვეცელი სახელების ბრუნება. ფუძეუკვეცელი სახელების ფუძე ბოლოვდება ო და უ ხმოვნებზე. ფუძეში აქ არავითარი ცვლილება არ ხდება, მაგრამ სამაგიეროდ ცვლილება მოსდის ბრუნვის ნიშნებს ნათესაობითსა და მოქმედებითში; ნათესაობითში ის ნაცვლად გვაქვს ს, ხმოვანი ი დაკარგულია (ამის გამო ფორმით იგი მიცემითს ემსგავსება), მოქმედებითში გვხვდება თი, ით-ის ნაცვლად (აქაც ი ხმოვანი დაკარგულია და ბოლოში ი არის დართული). ბრუნვის ნიშნები კვლავ აღდგება ებ-იან მრავლობითში.

ბრუნების ნიმუში:

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ორმო	ორმო-ებ-ი
მოთხ.	ორმო-მ	ორმო-ებ-მა

მიც.	ორმო-ს	ორმო-ებ-ს
ნათ	ორმო-ს	ორმო-ებ-ის
მოკმ.	ორმო-თი	ორმო-ებ-ით
ვით.	ორმო-დ	ორმო-ებ-ად
წოდ.	ორმო-(ე)	ორმო-ებ-ო

ასევე იბრუნვის: ურო, უთო, ქატო, პალო, რკო და სხვ.; აგრეთვე: ბუ, კუ, ღრუ, ძუძუ.

ზედსართავი სახელის ზოგადი დახასიათება

ზედსართავი სახელი ჰქვია ისეთ სახელს, რომელიც საგნის თვისებას ან ნიშანს გამოხატავს. მისი კითხვებია: რ ო გ ო რ ი? რ ო მ ე ლ ი? ს ა დ ა უ რ ი? რ ო დ ი ნ დ ე ლ ი?

ზედსართავი სახელი ორგვარია: ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი და მ ი მ ა რ თ ე ბ ი თ ი.

ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი ა პირველადი ზედსართავი სახელი: დიდი, შავი, წმინდა, ტკბილი და სხვ.

მ ი მ ა რ თ ე ბ ი თ ი ა ზედსართავი, რომელიც ნაწარმოებია სახელის ან ზმნიზედისაგან. მაგ.: ცხენი — ცხენიანი, ჩვენ — ჩვენებური, აქ — აქაური, გუშინ — გუშინდელი...

ვითარებითს ანუ პირველად ზედსართავებს აქვთ ხარისხის ფორმები: ერთი ძირეულია, ხოლო ორი მისგან ნაწარმოები: თეთრი — უ თ ე თ რ ე ს ი — მ ო თ ე თ რ ო. ისინი მეტნაკლები ოდენობით გამოხატავენ საგნის თვისებას და ერთმანეთის მიმართ ხარისხის ფორმებია. ძირეულ ფორმას დადებითი ჰქვია, მისგან ნაწარმოებს კი უ ფ რ ო ო ბ ი თ ი და ო დ ნ ა ო ბ ი თ ი. უფროობითს აწარმოებს თავსართი უ და ბოლოსართი ეს (უ-დიდ-ეს-ი), ოდნაობითს კი — თავსართი მო და ბოლოსართი ო (მო-დიდ-ო).

ზედსართავი სახელი, ჩვეულებრივ, არსებით სახელთან ერთადაა (მაღალი სახლი), მაგრამ შეიძლება შეგვხვდეს დამოუკიდებლად: „ავს რომ ა ვ ი არ ვუწოდო, კ ა რ გ ი როგორ უნდა ვაქო? (დ. გ.). დამოუკიდებელი ზედსართავი არსებითი სახელის მსგავსად იბრუნვის.

თანხმოვანფუძიანი ზედსართავი

ფუძეუკუმშველი

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	დიდ-ი	დიდ-ებ-ი
მოთხ.	დიდ-მა	დიდ-ებ-მა
მიც.	დიდ-ს	დიდ-ებ-ს
ნათ.	დიდ-ის	დიდ-ებ-ის
მოქმ.	დიდ-ით	დიდ-ებ-ით
ვით.	დიდ-ად	დიდ-ებ-ად
წოდ.	დიდ-ო	დიდ-ებ-ო

ფუძეუკუმშვადი

	მხ. რ.	მრ. რ.
	დაბალ-ი	დაბლ-ებ-ი
	დაბალ-მა	დაბლ-ებ-მა
	დაბალ-ს	დაბლ-ებ-ს
	დაბლ-ის	დაბლ-ებ-ის
	დაბლ-ით	დაბლ-ებ-ით
	დაბლ-ად	დაბლ-ებ-ად
	დაბალ-ო	დაბლ-ებ-ო

ხმოვანფუძიანი ზედსართავი

ფუძეკვეცადი

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	პატარა	პატარ-ებ-ი
მოთხ.	პატარა-მ	პატარ-ებ-მა
მიც.	პატარა-ს	პატარ-ებ-ს
ნ.თ.	პატარ-ის	პატარ-ებ-ის
მოქმ.	პატარ-ით	პატარ-ებ-ით
ვით.	პ.ტარა-დ	პატარ-ებ-ად
წოდ.	პატარა-(ვ)	პატარ-ებ-ო

ფუძეუკვეცელი

	მხ. რ.	მრ. რ.
	ფართო	ფართო-ებ-ი
	ფართო-მ	ფართო-ებ-მა
	ფართო-ს	ფართო-ებ-ს
	ფართო-ს	ფართო-ებ-ის
	ფართო-თი	ფართო-ებ-ით
	ფართო-დ	ფ-რთო-ებ-ად
	ფართო-(ვ)	ფართო-ებ-ო

თანხმოვანფუძიანი ზედსართავი არსებითთან. თანხმოვანფუძიანი ზედსართავი არსებითთან ერთად ხმარებისას რამდენადმე კიდევ იბრუნვის.

მაგალითები:

	მხ. რ.		მრ. რ.	
სახ.	თეთრ-ი	სახლ-ი	თეთრ-ი	სახლ-ებ-ი
მოთხ.	თეთრ-მა	სახლ-მა	თეთრ-მა	სახლ-ებ-მა
მიც.	თეთრ	სახლ-ს	თეთრ	სახლ-ებ-ს
ნათ.	თეთრ-ი	სახლ-ის	თეთრ-ი	სახლ-ებ-ის
მოქმ.	თეთრ-ი	სახლ-ით	თეთრ-ი	სახლ-ებ-ით
ვით.	თეთრ	სახლ-ად	თეთრ	სახლ-ებ-ად
წოდ.	თეთრ-ო	სახლ-ო	თეთრ-ო	სახლ-ებ-ო

ბრუნვის ნიშნები მთლიანად შენახულია სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში; მიცემითსა და ვითარებითში სულ ჩამოშორე-

ბული აქვთ, ხოლო ნათესაობითსა და მოქმედებითში მოკვეცილია თანხმოვნები (ს, თ), დარჩენილია ხმოვანი ი.

ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ი ზ ე დ ს ა რ თ ა ვ ი ა რ ს ე ბ ი თ თ ა ნ. ხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელი არსებითთან ბრუნების დროს არ იცვლება.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

	მხ. რ.		მრ. რ.	
სახ.	მწვანე	მინდორ-ი	მწვანე	მინდორ-ებ-ი
მოთხ.	მწვანე	მინდორ-მა	მწვანე	მინდორებ-მა
მიც.	მწვანე	მინდორ-ს	მწვანე	მინდორებ-ს
ნათ.	მწვანე	მინდორ-ის	მწვანე	მინდორ-ებ-ის
მოქმ.	მწვანე	მინდორ-ით	მწვანე	მინდორ-ებ-ით
ვით.	მწვანე	მინდორ-ად	მწვანე	მინდორებ-ად
წოდ.	მწვანე	მინდორ-ო	მწვანე	მინდორ-ებ-ო

ზ ე დ ს ა რ თ ა ვ ი ა რ ს ე ბ ი თ თ ა ნ მ ე ო რ ე მ რ ა ვ ა ლ ო ბ ი თ შ ი. ნარ-თანიან მრავლობითში არსებით სახელთან ბრუნების დროს ბოლოთანხმოვნიანი ზედსართავი იცვლება ორ ბრუნვაში: სახელობითსა და წოდებითში, სხვა დანარჩენ ბრუნვებში ფუძის სახითაა წარმოდგენილი. ხმოვანფუძიანი ზედსართავი აქაც უცვლელია.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

სახ.	მაჰაც-ნი	მეომარ-ნ-ი	ანკარა	წყარო-ნ-ი
მოთხ.	მამაც	მეომარ-თ(ა)	ანკარა	წყარო-თ(ა)
მიც.	მამაც	მეომარ-თ(ა)	ანკარა	წყარო-თ(ა)
ნათ.	მამაც	მეომარ-თ(ა)	ანკარა	წყარო-თ(ა)
მოქმ.	———	———	———	———
ვით.	———	———	———	———
წოდ.	მამაც-ნო	მეომარ-ნ-ო	ანკარა	წყარო-ნ-ო

ზ ე დ ს ა რ თ ა ვ ი ა რ ს ე ბ ი თ ი ს შ ე მ დ ე გ. თუ არსებითი სახელი პირველ ადგილზეა და ზედსართავი მეორეზე, ზედსართავიც არსებითის მსგავსად იბრუნვის. ასეთი რიგი უფრო ხშირად პოეზიაში გვხვდება.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

სახ.	ვეხა	მაღალი	პილპილი	მწარე
მოთხ.	ვეხა-მ	მაღალ-მა	პილპილ-მა	მწარე-მ
მიც.	მეხა-ს	მაღალ-ს	პილპილ-ს	მწარე-ს
ნათ.	ვეხა-ის	მაღალ-ის	პილპილ-ის	მწარ-ის

მოქმ.	მუხ-ით	მაღლ-ით		პილპილ-ით	მწარ-ით
ვით.	მუხა-დ	მაღლ-ად		პილპილ-ად	მწარე-დ
წოდ.	მუხა-(ე)	მაღალ-ო		პილპილ-ო	მწარე-(ე)

რიცხვითი სახელის ზოგადი დახასიათება

რიცხვითი სახელი ჰქვია ისეთ სიტყვას, რომელიც აღნიშნავს საგნის რაოდენობას (ხუთი), რიგს (მეხუთე) ან ნაწილს (მეხუთედი). ამის მიხედვით რიცხვითი სახელები გვაქვს: რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი.

რიცხვითი სახელი ახლავს ისეთი საგნის სახელს, რომელიც შეიძლება დაითვალოს: ხუთი ამხანაგი, ორი სკამი, ათი წიგნი და სხვ. რიცხვითი სახელი არ შეიძლება ახლდეს ისეთ სახელს, რომელსაც ვერ დაეთვლით: ჰაერი, ფქვილი, წყალი, სიმშვიდე, აშენება და სხვ.

რიცხვითი სახელი, ჩვეულებრივ, არსებით სახელთან ერთადაა. ამ შემთხვევაში ის მსაზღვრელია. რიცხვითი სახელი ზოგჯერ დამოუკიდებლადაც არის ნახმარი. მაგ.: ეს ჩურჩული ერთმა მეორეს გადასცა. მეორემ — მესამეს (ნ. ლომ.).

რაოდენობითი რიცხვითი სახელი აღნიშნავს საგნის რაოდენობას. მოგვიგებს კითხვაზე: რამდენი? — ერთი, ორი, ათი, ასი და სხვ.

რიცხვითი სახელი შედგენილობით ორგვარია: მარტივი და რთული. მარტივი რიცხვითი სახელი ერთი ფუძისაგან შედგება: ასეთებია ერთიდან ათამდე ჩათვლით რიცხვითი სახელები; ავრეთვე: ოცი, ასი, მილიონი. ამათ გარდა გვაქვს გაურკვეველი რიცხვითი სახელებიც: **ბევრი, მრავალი, ცოტა.**

რთული რიცხვითი სახელი, რომელიც ორი ან მეტი სიტყვის შეერთებით არის მიღებული. რთულ ფუძიანებია: თერთმეტი (←ათ-ერთ-მეტი), თორმეტი (←ათ-ორ-მეტი), ცამეტი (←ათ-სამ-მეტი), თოთხმეტი (←ათ-ოთხ-მეტი), თხუთმეტი (←ათ-ხუთ-მეტი), თექვსმეტი (←ათ-ექვს-მეტი), ჩვიდმეტი (←ათ-შვიდ-მეტი), თვრამეტი (←ათ-რვა-მეტი). ცხრამეტი (←ათ-ცხრა-მეტი).

რიცხვის გამოსახატავად ხშირად რამდენიმე რიცხვითი სახელია გამოყენებული. ისინი ცალ-ცალკე იწერება. მათ შედგენილ რიცხვით სახელებსაც უწოდებენ; ასეთებია: ას ოცდახუთი, ათას ხუთას ოცდახუთი და სხვ.

რიგობითი რიცხვითი სახელი აღნიშნავს საგნის რივს. ის მოგვიგებს კითხვაზე: რიგით რომელი? მერამდენე? — პირველი, მეორე, მეათე, მეასე და სხვ.

რიგობითი რიცხვითი სახელები მიიღება რაოდენობითის ფუძეზე

მე თავსართისა და ე ბოლოსართის დართვით (მე-ხუთ-ე, მე-შვიდ-ე, მე-ას-ე). და-თი შეერთებულ რიცხვით სახელებთან რიგობითის ფორმები მეორე ნაწილს მოუდის (ერთიდან ცხრამეტამდე); ითქმის: მე-ცხრამეტ-ე, მე-ოც-ე, ოცდა-მე-ხუთ-ე (და არა მეოცდახუთე, მეოცდაათე) და სხვ.

წ ი ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი თ ი ს ა ხ ე ლ ი ნაწარმოებია რიგობითი რიცხვითი სახელისაგან. ფუძედ აღებულია ვითარებითი ბრუნვის ფორმა (მეორე — მეორე-დ, აქედან კი მეორე-დ-ი). ორიოდე სახელია, რომელიც ნაწარმოებია ნა თავსართით და ალ ბოლოსართით: ნა-სამ-ალ-ი (-მესამედი).

რ ი ც ხ ვ ი თ ი ს ა ხ ე ლ ი ს ჯ გ უ ფ ე ბ ი ფ უ ძ ე თ ა მ ი ხ ე დ ვ ი თ. რაოდენობითი რიცხვითი სახელები თანხმოვანფუძიანია; ხმოვანზე უთავდებათ ფუძე მხოლოდ რვა და ცხრა რიცხვით სახელებს.

რიგობითი რიცხვითი სახელის ფუძე ე ხმოვანზე მთავრდება (მეხუთე). გამონაკლისია პ ი რ ვ ე ლ ი. წილობითი რიცხვითი სახელები ყველა თანხმოვანფუძიანია (მესამედ-ი).

რ ი ც ხ ვ ი თ ი ს ა ხ ე ლ ი ს ბ რ უ ნ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს. რაოდენობით რიცხვით სახელებს, ჩვეულებრივ, არ გააჩნიათ წოდებითი ბრუნვა და ებ-იანი მრავლობითი. ხმოვანფუძიანი დამოუკიდებელი რიცხვითი სახელები ფუძეს იკვეცენ ბრუნების დროს. ეკვცებათ ხმოვანი ა ნათესაობითსა და მოქმედებითში (რვა — რვ-ის, რვ-ით; ცხრა — ცხრ-ის, ცხრ-ით). არსებითთან ბრუნებისას რიცხვითი სახელი სათანადო ფუძის ზედსართავი სახელების მსგავსად იბრუნვის.

ნაცვალსახელის ზოგადი დახასიათება

ნაცვალსახელი ჰქვია ისეთ სიტყვას, რომელიც გამოყენებულია არსებითი სახელის, ზედსართავი სახელისა და რიცხვითი სახელის ნაცვლად გარკვეულ შემთხვევაში, ნაცვალსახელი სახელის მაგვრობას ეწევა. აქედან გამომდინარეობს მისი სახელწოდებაც.

ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ თ ა ჯ გ უ ფ ე ბ ი. ნაცვალსახელთა ჯგუფებია:

1. პ ი რ ი ს ა: მე, შენ, ის (იგი), ჩვენ, თქვენ, ისინი (იგინი), თავი. ამათგან პირველი პირის ნაცვალსახელებია: **მე** და **ჩვენ**; მეორე პირისა — **შენ** და **თქვენ**; მესამე პირისა — **ის** (იგი) და **ისინი** (იგინი). „თავი“ არსებითი სახელია (მაგ.: „თავი დაიბანა“). ხშირია მისი ნაცვალსახელად გამოყენებაც: „თავი შეაკლა“, „თავი შეირცხვინა“ და სხვ. მას უკუქცევით ნაცვალსახელსაც ეძახიან. პირის ნაცვალსახელთაგან ბრუნვისა და რიცხვის წარმოება არ შეუძლიათ: **მე. შენ, ჩვენ,**

თქვენ ნაცვალსახელებს. რიცხვის გაგება ახლათ მხოლოდ ჩვენ — თქვენ ფორმებს (მე — ჩვენ, შენ — თქვენ).

2. ჩ ვ ე ნ ე ბ ი თ ი: ეს, ეგ, ის (იგი); ასეთი, ეგეთი (აგეთი), ისეთი; ამნაირი, მაგნაირი, იმნაირი; ამისთანა, მაგისთანა, იმისთანა; ამდენი, მაგდენი, იმდენი. ეს ნაცვალსახელები წინადადებაში გამოიყენება მსაზღვრელად და ეთანხმება საზღვრულს ბრუნვაში.

შენიშვნა. ეს, ეგ, ის (იგი) ჩვენებითი ნაცვალსახელებიც არის და პირისაც, მაგ.: ის მოვიდა (პირისაა ის), ის კაცი მოვიდა (აქ ის ჩვენებითია).

3. კ უ თ ვ ნ ი ლ ე ბ ი თ ი: ჩემი, შენი, მისი (იმისი); ჩვენი, თქვენი, მათი (იმათი), თავისი (თვისი). წინადადებაში კუთვნილებითი ნაცვალსახელი გამოიყენება მსაზღვრელად და იბრუნვის საზღვრულთან ერთად.

4. კ ი თ ხ ვ ი თ ი: ვინ? რა? რომელი? როგორი? რანაირი? რამდენი? სადაური? როდინდელი? ვისი? რისა?

შენიშვნა. ვისი და რისა კითხვასთან ერთად კუთვნილებასაც გამოხატავენ. ამიტომ მათ კითხვით-კუთვნილებითსაც ეძახიან.

5. მ ი მ ა რ თ ე ბ ი თ ი: ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რანაირიც, რამდენიც, სადაურიც, როდინდელიც, ვისიც, რისაც.

მიმართებითი ნაცვალსახელები მიიღება კითხვითი ნაცვალსახელებისაგან ც ნაწილაკის დართვით. ისინი ორ წინადადებას აერთებენ ერთმანეთთან: „ვ ი ნ ც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია!“ (რუსთ.).

6. უ ა რ ყ ო ფ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი: არავინ, ვერავინ, ნურავინ (ნუვინ); არაფერი, ვერაფერი, ნურაფერი; არარა (შემოკლებით არრა, არა), ვერა (ვერრა), ნურა.

7. გ ა ნ უ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ო ბ ი თ ი: ვიღაც, რაღაც, რომელიღაც, როგორღაც; ვინმე, რამე, რომელიმე, როგორიმე; ერთი, კაცი, ზოგი (ზოგიერთი).

განუსაზღვრელობით ნაცვალსახელად ზოგჯერ გამოყენებულია არსებითი სახელი კ ა ც ი. მაგ.: მაგას კაცმა უთუოდ ჰკვა უნდა ასწავლოს—მაგას კაცმა (ე. ი. ვინმემ, ვიღაცამ) ჰკვა უნდა ასწავლოს. ასევე გამოყენებულია განუსაზღვრელობითად რიცხვითი სახელი ერთი: იყო ერთი ღარიბი კაცი (— იყო ვიღაც ღარიბი კაცი).

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების უმეტესობა იწარმოება კითხვითი ნაცვალსახელისაგან მე ან ღაც ნაწილაკების დართვით.

8. გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი თ ი: თვით (თვითონ), თითოეული, ყოველი, ყველა, სხვა.

ნაცვალსახელთა ბრუნებისათვის. ნაცვალსახელთა ბრუნებისას თავისებურებას იჩენენ:

პ ი რ ი ს ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი: **მე, შენ, ჩვენ, თქვენ.** ესენი უბრუნველი ნაცვალსახელებია. **მე** არ იცვლება სახელობითს, მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვებში. ნათესაობითის ფორმა იქნება **ჩემ** თანდებულითურთ: ჩემ-თვის, ჩემ-გან, ჩემ-მიერ.

შენ ნაცვალსახელი სრულებით არ იცვლება. აქვს წოდებითიც, მაგრამ სხვა სიტყვასთან ერთად: „შე ოჯახაშენებულო!" „შე კაი კაცო!" და მისთ.

ასევე არ იცვლება **ჩვენ** და **თქვენ**, ოღონდ **შენ** ნაცვალსახელის მსგავსად **თქვენ** შეკვეცილი ფორმით წოდებითში დასმულ სხვა სიტყვასთან ერთად იხმარება: „თქვე დალოცვილებო!" ნათესაობითის ფორმა მხოლოდ თანდებულით იხმარება: ჩემთვის, შენგან, ჩვენგან, ჩვენკენ, თქვენ მიერ.

იმის გამოსარკვევად, თუ რომელ ბრუნვაშია ნახმარი ესა თუ ის ნაცვალსახელი, მას უნდა შევუნაცვლოთ ბრუნვიანი სიტყვა. მაგ.: ჩვენ (ბავშვები) ექსკურსიაზე მივდივართ, ჩვენ (ბავშვებმა) ექსკურსიაზე წასვლა გადავწყვიტეთ, ჩვენ (ბავშვებს) ექსკურსიაზე წასვლა ძალიან გვახარებს.

ჩ ვ ე ნ ე ბ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი: **ეს, ეგ, ის, იგი** იხმარება სახელობითში; სხვა ბრუნვებში ენაცვლებათ ფუძეები: **ამა, მაგა, იმა, მა.** როცა მსაზღვრელია, **ამა, მაგა, იმა** ფუძეები იკვეცენ ბოლოკიდურ ა-ს (ეს კაცი, ამ კაცმა, ამ კაცს...).

კ ი თ ხ ვ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი: **ვინ** და **რა. ვინ** ნაცვალსახელს ერთნაირი ფორმა აქვს სახელობითსა და მოთხრობითში (ვინ), სხვა ფორმით იხმარება მიცემითსა და ნათესაობითში (ვის). მაგ.: ვინ მოვიდა? — ბავშვი მოვიდა, ვინ მოიტანა? — ბავშვმა მოიტანა. ვის ჰკითხეს? — ბავშვს ჰკითხეს, ვის-თვის გინდა? — ბავშვისთვის. ნათესაობითში **ვის** იხმარება თანდებულით (ვის-გან).

რა ნაცვალსახელი მხოლობითში კვეცადია, მრავლობითში უკვეცელი (რა — რ-ის — რ-ით — რა-ებ-ი).

სხვა ნაცვალსახელები ჩ ე მ ი, შ ე ნ ი, ჩ ვ ე ნ ი, თ ქ ვ ე ნ ი, ა ს ე თ ი, ი ს ე თ ი, ყ ვ ე ლ ა, ყ ო ვ ე ლ ი და სხვა შეთანხმებული მსაზღვრელის მსგავსად შეეწყობა საზღვრულს.

სახელთა წარმოქმნა

სავარჯიშო 73. გადაიწერეთ ქვემოთ ნაბრუნები არსებითი სახელი და იმაზე სახელის ფუძისაგან წარმოქმნილი სიტყვები. გამოყავით სათანადო მაწარმოებლები ორივე მათგანში.

ბავშვი	ბავშვიანი
ბავშვმა	უბავშვო
ბავშვს	ბავშვური
ბავშვის	ბავშვობა
ბავშვით	საბავშვო
ბავშვად	
ბავშვო	

წარმოქმნილი ფორმების ბრუნვის ფორმებთან ლექსიკური (შინაარსობრივი) და გრამატიკული შედარება-შეპირისპირებით გამოარკვიეთ, რას ნიშნავს სიტყვის ორგვარი ცვლილება: ბრუნება და წარმოქმნა. პირველ შემთხვევაში (ბრუნებისას) რა არის ცვალებადი და რა არის უცვლელი; რა და რა იცვლება მეორე შემთხვევაში (წარმოქმნის დროს).

სავარჯიშო 74. გადაიწერეთ და შეადარეთ ძირეული და წარმოქმნილი სიტყვის ფორმები ერთმანეთს. გამოარკვიეთ, სახელის რომელ ნაწილს ერთვის სართი და სად; რა ჰქვია თითოეულს; აქედან რომელი იხმარება იშვიათად.

რიცხვი — ურიცხვი
ქუდი — ქუდიანი
ვენახი — სავენახე

სავარჯიშო 75. შეადგინეთ სქემა ნიმუშის მიხედვით. შეავსეთ იგი მასში მოცემული საანალიზო მასალებით. დაშალეთ წარმოქმნილი სახელები შემადგენელ ნაწილებად და მოათავსეთ ყოველი ნაწილი მისთვის განკუთვნილ ადგილას.

წარმოქმნილი სახელები	თავსართი	ამოსავალი ფუძე ანუ ძირი	ბოლოსართი	ბრუნვის ნიშანი
კაცური				
ცხენიანმა				
მეურმეს				
საყვავილე				
საგანძურის				
უქუდოდ				
მედალოსანი				
ურიცხვი				

შეადარეთ მნიშვნელობის მცველი სართები და ბრუნვის ნიშნები ერთმანეთს. გამოარკვიეთ: ა) აქვთ თუ არა მათ რაიმე მნიშვნელობა დამოუკიდებლად; ბ) რას უცვლიან ბრუნვის ნიშნები სიტყვას და რას უცვლიან წარმომქმნელი აფიქსები; გ) მნიშვნელობის მცველ სართსა და ბრუნვის ნიშანთაგან რომელი მათგანი ერთვის ფუძეს და რომელი შედის ფუძეში.

სავარჯიშო 76. შეადგინეთ სქემა ნიმუშის მიხედვით. მოიფიქრეთ შესაფერისი ძირეული სიტყვები და სვეტებში მოცემული ბოლოსართების დართვით აწარმოეთ ისინი პირველ სვეტში ნაჩვენები ნიმუშის მიხედვით (ათ-ათი მაგალითი თითოეულზე). გამოარკვიეთ, რა მნიშვნელობის სახელი აწარმოა ამა თუ იმ ბოლოსართმა ძირეულისაგან განსხვავებით. დააწერეთ შინაარსის აღმნიშვნელი სახელწოდება თავზე თითოეულ მათგანს.

იკო	ა	იან	იერ	ოსან	ოვან	ეთ	ელ	ურ	ობა	ება	ნარ
და- დაიკო											

სავარჯიშო 77. შეადგინეთ სქემა ნიმუშის მიხედვით. მოიფიქრეთ შესაფერისი ძირეული სიტყვები და სვეტებში მოცემული თავსართ-ბოლოსართების დართვით აწარმოეთ ისინი პირველ სვეტში ნაჩვენები ნიმუშის მიხედვით (ათ-ათი მაგალითი თითოეულზე), გამოარკვიეთ, რა მნიშვნელობის სახელი აწარმოა ამა თუ იმ თავსართმა და ბოლოსართმა ძირეულისაგან განსხვავებით. დააწერეთ შინაარსის აღმნიშვნელი სახელწოდება თავზე სქემაში თითოეულ მათგანს.

მე—ე	მე - ურ	უ—ო	უ-ურ	სა - ეთ	ნა—არ	ნა—ევ	სი—ე	სა—ე	სა—ო	სა-ურ	
ურემი მეურმე											

სავარჯიშო 78. შეადარეთ სახელთა ფუძეები ერთმანეთს:

ა) ოციანი, სამოსანი შდრ. ოცდასამი; ბ) სამი, ოცი, ხუთი შდრ. სამოცდახუთი; ქალი, ვაჟი შდრ. ქალ-ვაჟი.

გამოარკვიეთ, თუ პირველი ორი (ოციანი, სამოსანი) ძირეული სახელისაგანაა ნაწარმოები აფიქსებით (იან, ოსან), მესამეში (ოცდასამი) რამდენი სიტყვაა გაერთიანებული და რა ფორმით.

რამდენი სიტყვაა გაერთიანებული სახელებში (სამოცდახუთი, ქალ-ვაჟი) და რა ფორმით.

გადმოეცით, რა ჰქვია ისეთ სახელებს, რომლებიც შედგენილია ორი ან მეტი ფუძისაგან.

სავარჯიშო 79. წაიკითხეთ და გამოარკვიეთ, რა ფორმით არიან წარმოდგენილი რთული სიტყვები ანუ კომპოზიტები:

ა) ბაჯბაჯი, ბუტბუტი, ლუღლუღი, რაკრაკი, არემარე, ჭოხმახი, ჩალაბუღა, უზარმაზარი, ბაკიბუკი, ბინდბუნდი, რიქრიაქი, თანდათან, ცხენდაცხენ, ტყე-ტყე, პატარ-პატარა, ერთ-ერთი...

რა ჰქვია ასეთ კომპოზიტებს? (დაახასიათეთ ისინი).

ბ) ახალგაზრდა, ვაჟიშვილი, ჯარისკაცი, პირდაბანილი, მზეთუნახავი, თავქუდმოგლეჯილი, ბერიკაცი, ბიძაშვილი, დედინაცვალი, ცხვირსახოცი...

რამდენნაწილიანია დასახელებული კომპოზიტები? (დაახასიათეთ ისინი).

გ) ღა-ძმა, დედ-მამა, მთა-ბარი, ცოლ-შვილი, პურ-მარილი, ქართლ-კახეთი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი...

რამდენნაწილიანია დასახელებული კომპოზიტები? რატომ იწერება დეფისი მათ შორის? (დაახასიათეთ ისინი).

სავარჯიშო 80. ჩამოწერეთ არსებითი სახელები. აღადგინეთ მათი სრული ფორმა და მიუწერეთ მარჯვნივ. გადმოეცით, რას უწოდებენ ასეთ სახელებს:

ნიკო, კოსტა, ავტო, მეტრო, სახელგამი, ზაჰესი, თბომავალი, საქჩაი, პედკოლექტივი და სხვა.

სახელთა წარმოქმნის ზოგადი დახასიათება

(ცნობისათვის)

ძირეული და წარმოქმნილი სახელები. ძირეულ სიტყვაზე სართის დართვით სხვა შინაარსის მქონე სიტყვის მიღებას წარმოქმნა ეწოდება. მაგ.: ჭუდი ძირეული სიტყვაა, ჭუდ-იან-ი, უ-ქუდ-ო, სა-ქუდ-ე და სხვა — მისგან ნაწარმოები.

სახელთა ცვლის ორი სახე არსებობს: ბრუნება და წარმოქმნა.

ბრუნების დროს იცვლება სახელის ფორმა, შინაარსი უცვლელია (კაც-ი, კაც-მა, კაც-ს...), წარმოქმნილი სახელი კი ძირეულისაგან

ახალ მნიშვნელობას იძენს (კაც-ი — კაც-ურ-ი, კაც-ობა, სა-კაც-ე...).

სახელთა წარმოქმნა შეიძლება თავსართით ანუ პრეფიქსით (რიცხვი—უ-რიცხვ-ი), ბოლოსართით ანუ სუფიქსით (ბავშვი — ბავშ-ურ-ი) ან თავსართ-ბოლოსართით ანუ პრეფიქს-სუფიქსით (ქუდი — სა-ქუდ-ე).

ბოლოსართიანი წარმოქმნა. წარმოქმნილ სახელებს წარმოქმნის ბოლოსართები: **იკო, ა, აკ, იან, იერ, ოსან, ოვან, ეთ, ელ, ურ, ნარ, ება, ობა.**

1. **-იკო:** დედ-იკო, მამ-იკო, თინ-იკო და სხვ. (აქვს მოფერებითი, საალერსო მნიშვნელობა).

2. **-ა:** კაც-ი — კაც-ა, ქალ-ი — ქალ-ა... (ქნინობითი). წითელ-ი (ფერი) — წითელ-ა (ავადმყოფობა), ლურჯ-ი (ფერი) — ლურჯ-ა (ლურჯი ფერის ცხენის სახელი) და სხვ.

3. **-აკ:** წიგნ-ი — წიგნ-აკ-ი, გორ-ი — გორ-აკ-ი, ღილ-ი — ღილ-აკ-ი და სხვ. (ქნინობითი).

4. **-იან:** ქუდ-იან-ი, ცოლ-იან-ი, ცხენ-იანი-ი... (აღნიშნავს ყოლა-ქონებას); ზოგჯერ იწარმოება გვარიც: რატ-იან-ი, ხერგ-იან-ი და სხვ.

5. **-იერ:** (დისიმილაციით **-იელ**): ღონ-იერ-ი, გონ-იერ-ი, ხორც-იელ-ი და სხვ. (აღნიშნავს ქონებას).

6. **-ოსან:** წვერ-ოსან-ი, ჩოხ-ოსან-ი და სხვ. (აღნიშნავს რისამე მატარებელს). გამოყენებულია რიგ სიტყვებში: მედალ-ოსან-ი, ფრი-ად-ოსან-ი, კალმ-ოსან-ი, ნაბდ-ოსან-ი და სხვ.

7. **-ოვან:** აღნიშნავს ქონებას რამდენიმე სახელში: ხელ-ოვან-ი, კლდ-ოვან-ი და სხვ.

8. **-ეთ:** რუს-ეთ-ი, იმერ-ეთ-ი, კახ-ეთ-ი და ა. შ. (წარმოქმნის გეოგრაფიულ სახელებს); წარმოქმნის სხვა სახელებსაც: აღმოსავლ-ეთ-ი, და-სავლ-ეთ-ი, ხმელ-ეთ-ი და სხვ.

9. **-ელ:** თბილის-ელ-ი, თელავ-ელ-ი, იმერ-ელ-ი და სხვ. (აღნიშ-ნავს ადამიანთა სადაურობას).

10. **-ურ:** (დისიმილაციით **ულ**) ოს-ურ-ი, გურ-ულ-ი, თბილის-ურ-ი (აღნიშნავს არაადამიანთა სადაურობას); ზოგჯერ აღნიშნავს:

ა) ადამიანთა სადაურობასაც: აჭა-ურ-ი, ზემო-ურ-ი და სხვ.

ბ) აწარმოებს გვარსაც: გიგა-ურ-ი, წიკლა-ური და სხვ.

გ) აღნიშნავს თვისებას: ბავშვ-ურ-ი, ქალ-ურ-ი და სხვ.

11. **-ნარ:** მუხ-ნარ-ი, ნაძვ-ნარ-ი, ყვავილ-ნარ-ი, კოპიტ-ნარ-ი და სხვ. (მიგვითითებს ადგილზე, სადაც ბლომად არის ერთი სახის მცე-ნარეულობა).

12. -ობა, -ება: კაც-ობა, მეგობრ-ობა, ამხანაგ-ობა და სხვ. -ება დაერთვის -ილ-ზე დამთავრებულ ზედსართავ სახელებს: გონ-იერ-ება, ძლ-იერ-ება, ნიჭ-იერ-ება და სხვ. (აწარმოებენ აბსტრაქტულ სახელებს).

თავსართ-ბოლოსართიანი წარმოქმნა. თავსართ-ბოლოსართებია: მე-ე, მე-ურ, უ-ო, უ-ურ, სა-ეთ, ნა-არ, ნა-ევ, სი-ე, სა-ე, სა-ო, სა-ურ.

1. მე-ე: მე-ბაღ-ე, მე-ჩაი-ე, მე-ნავ-ე და სხვ. (აღნიშნავს ხელობას), აწარმოებს რიცხვით სახელებსაც (მე-ხუთ-ე).

2. მე-ურ: მე-ბად-ურ-ი, მე-ზღვა-ურ-ი, მე-გზ-ურ-ი და სხვ. (აღნიშნავს ხელობას).

3. უ-ო: უ-ქუდ-ო, უ-ხელ-ო, უ-ფულ-ო და სხვ. (აღნიშნავს უქონლობას).

4. უ-ურ (დასიმილაციით უ-ულ); უ-წეს-ურ-ი, უ-ფერ-ულ-ი, უ-ძლ-ურ-ი და სხვ. (აღნიშნავს უქონლობას).

5. სა-ეთ: სა-ფრანგ-ეთ-ი, სა-სომხ-ეთ-ი, სა-ბერძნ-ეთ-ი და სხვ. (აწარმოებს გეოგრაფიულ სახელებს).

6. ნა-არ (დისიმილაციით ნა-ალ), ნა-ევ: ნა-ტახტ-არ-ი, ნა-სოფლ-არ-ი, ნა-ქერ-ალ-ი...; ნა-კვალ-ევ-ი, ნა-ქმრ-ევ-ი, ნა-ხმლ-ევ-ი და სხვ. (აღნიშნავს წინა ვითარებას).

7. სი-ე: სი-წითლ-ე, სი-თეთრ-ე, სი-ბეჩავ-ე და სხვ. (აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს).

8. სა-ე: სა-ჩოხ-ე, სა-კაბ-ე, სა-მარილ-ე და სხვ. (აღნიშნავს დანიშნულებას).

9. სა-ო: სა-სოფლ-ო, სა-გზა-ო, სა-ბავშვ-ო და სხვ. (აღნიშნავს დანიშნულებას).

10. სა-ურ (დისიმილაციით სა-ულ): სა-თით-ურ-ი, სა-განძ-ურ-ი, სა-ბარგ-ულ-ი და სხვ. (აღნიშნავს დანიშნულებას).

შენიშვნა. თავსართიანი წარმოქმნა ქართულ ენაში იშვიათია. თავსართითაა წარმოდგენილი სახელები: რიცხვი — უ-რიცხვი, ღირსი — უ-ღირს-ი, თითი — არა-თითი და სხვ.

ბრუნვის ნიშნით წარმოქმნილი სახელები:

1. ით (მოქმედებითი ბრუნვის ნიშნით): შემთხვევ-ით-ი, თხრობ-ით-ი, წერ-ით-ი და სხვ.

2. ვითარებითი ბრუნვის ნიშანი დ აწარმოებს წილობით რიცხვით სახელებს (მესამე — მესამე-დ-ი).

3. ზოგიერთი სახელის ფუძეში გვხვდება ორი ბრუნვის ნიშანი: გულ-ით-ად-ი, ძირ-ით-ად-ი და მისთ.

ზმნა

სავარჯიშო 81. წაიკითხეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, რას გამოხატავენ ზმნები აშენებს, ბარავს, დგას, ზის, წევს, აგდია, ტეხს, დარჩა. განმარტეთ, რას ჰქვია ზმნა.

სავარჯიშო 82. გადაწერეთ მაგალითები. გადააქციეთ ზმნების პირიანი ფორმები უპირო ფორმებად და მიუწერეთ ოთხოეულს მარჯვნივ შესაბამისად. გადმოეცით, რამდენგვარია ზმნა და რომლებია ისინი; რა განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან?

ვსწავლობ	—	აქებს	—
მღერი	—	აშენებს	—
ხატავს	—	გალობს	—
წერს	—	ქარგავს	—
გრეხს	—	ათეთრებს	—
ჭრის	—	ხნავს	—

სავარჯიშო 83. წაიკითხეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, რომელი ზმნაა პირველადი და რომელი — ნაწარმოები; რისგან არის მიღებული მეორეული ზმნები: აშენებს, დგას, ჰყავს, უყვარს, ხავსდება, არის, სძულს, აფენია, წითლდება, ეკრთებს, იჩემებს, სწავლობს, ალამზებს, ამშვიდებს, ასხვისებს.

ამასთანავე გადმოეცით, წინადადების რა წევრია პირიანი ზმნა.

სავარჯიშო 84. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ ზმნათა გრამატიკულ პირები, რისთვისაც შეუწყვეთ შესაბამისი ნაცვალსახელები ზმნებს, რომლებშიც ისინი აგულისხმებიან (ჩასვით ნაცვალსახელები ფრჩხილებში).

ვიმალები ( )	ვიმალებით ( )
შენდები ( )	შენდებით ( )
ისვენებს ( )	დაისვენა ( ) სძინავს ( )
ისვენებენ ( )	დაისვენეს ( )

გადმოეცით, რამდენი პირია და რომელ პირებია გრამატიკაში.

სავარჯიშო 85. წაიკითხეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, რამდენი საგნის მოქმედებას გულისხმობს ზმნების პირიანი ფორმები: ხტის, ცურავს, თამაშობს, მღერის, დარბის; რამდენი საგნის მოქმედებას გულისხმობს: ხტიან, ცურავენ, თამაშობენ, მღერიან, დარბიან.

გადმოეცით, ზმნის რომელი კატეგორიის რა და რა ფორმებია ისინი.

სავარჯიშო 86. გამოარკვიეთ, ზმნის რომელ პირებს აღნიშნავს ფორმები, რომლებსაც ეწყობათ:

მხოლობითში	მრავლობითში
მე	ჩვენ
შენ	თქვენ
ის (იგი)	ისინი (იგინი)
მან, მას	მათ

შეუწყვეთ ზემოთ მოყვანილი იგივე ნაცვალსახელები ზმნას „ცურაცს“ და მის მიხედვით დაალაგეთ მათი ფორმები ცალკეული პირების მიხედვით.

სავარჯიშო 87. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, რომელი პირებია (პირველი, მეორე თუ მესამე) და რამდენი პირია წარმოდგენილი ზმნის ერთ ფორმაში, რისთვისაც შეუწყვეთ ნაცვალსახელები ზმნებს.

ვიმალები	ვშენდები
ვემალები	ვუშენდები
მმალავს	ვაშენებ
იმალები	ვუშენებ
გმალავ	შენდები
გიმალავ	მაშენებს
გმალავს	უშენებ
იმალება	მიშენებს
მალავ	შენდება
ვმალავ	აშენებს
ვუმალავ	უშენებს
ემალები	გიშენებს
ემალება	გიშენდება
უმალავ	უშენდება

გადმოეცით, რამდენპირიანი შეიძლება იყოს ზმნა ქართულ ენაში; რა ხერხი არსებობს ზმნის პირთა რაოდენობის გამოსარკვევად.

სავარჯიშო 88. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, რამდენპირიანია ზმნები; რომელი პირია მათში მოქმედი და უმოქმედო. გაიხსენეთ, რა ჰქვია მოქმედ პირსა და რა ჰქვია სამოქმედოს; რა განსხვავებაა სამოქმედო პირებს შორის; რამდენპირიან ზმნებს ახლავს ისინი და რა ტერმინები იხმარება მათ აღსანიშნავად.

გაქებ, გაქებს, მაქებ, მაქებს, ვაქებ, აქებ, აქებს; ვუშენებ, უშენებ, უშენებს.

სავარჯიშო 89. გადაიწერეთ მაგალითები. შეუწყვეთ სითანადო ნაცვალსახელები და მის მიხედვით დაურთეთ პირისა და რიცხვის ნიშნები ზმნებს:

მე	გალობ	ჩვენ	გალობ	მე	ტირი	ჩვენ	ტირი
შენ	გალობ	თქვენ	გალობ	შენ	ტირი	თქვენ	ტირი
ის	გალობ	ისინი	გალობ	ის	ტირი	ისინი	ტირი

მან ააშენ, მან ააგ, ისინი გათბ., მათ დახატ, მათ დაწერო.

გადმოეცით, რომელი გრამატიკული ნიშნები დაურთეთ ზმნებს და სად, რისი ნიშნებია ისინი? (დაახასიათეთ თითოეული მათგანი).

სავარჯიშო 90. გააკეთეთ რვეულში სქემა ნიმუშის მიხედვით. გამოსახეთ მასზე სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები.

	მხ. რ.	მრ. რ.
1.	_____	_____
2.	_____	_____
3.	_____	_____

სავარჯიშო 91. გადაიწერეთ მაგალითები. შეეწყვეთ სათანადო ნაცვალსახელები ზმნის ფორმას და მის მიხედვით დაურთეთ პირისა და რიცხვის ნიშნები.

მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.
ხატავ (მე მას)	ხატავ (ჩვენ მას)	ხატავ (ის მე)	ხატავ (ის ჩვენ)
ხატავ (შენ მას)	ხატავ (თქვენ მას)	ხატავ (ის შენ)	ხატავ (ის თქვენ)
ხატავ (ის მას)	ხატავ (ისინი მას)	ხატავ (ის მას)	ხატავ (ის მათ)

ამასთანავე, შეადარეთ ზმნის ფორმები ერთმანეთს; გადმოეცით: თუ პირველ შემთხვევაში სუბიექტური პირები იცვლება და ობიექტური პირი უცვლელი რჩება (**ხატავ მე მას, ხატავ შენ მას...**), რომელი პირებია ცვალებადი და რომელი პირებია უცვლელი. მეორე შემთხვევაში (**მხატავს ის მე, გხატავს ის შენ..**); რა ნიშნებს იყენებს ზმნა მეორე შემთხვევაში ცვალებადი პირების აღსანიშნავად და რა ჰქვია მათ; სად დაერთვის ზმნას ეს ნიშნები. დაახასიათეთ ისინი ცალ-ცალკე.

სავარჯიშო 92. გადაიწერეთ მაგალითები. გადაიყვანეთ ქვემოთ მოცემულ ზმნათა ფორმები მესამე პირში. გამოარკვიეთ, რა ნიშნებს დაირთავენ ზმნები მესამე პირში ობიექტური პირების აღსანიშნავად.

მხედება (ის მე)	მჯერა (ის მე)	მკითხა (მან მე ის)	მთხოვა (მან მე ის)
გხვდება (ის შენ)	გჯერა (ის შენ)	გკითხა (მან შენ ის)	გთხოვა (მან შენ ის)
(ის მას)	(ის მას)	(მან მას ის)	(მან მას ის)

ამასთანავე აღნიშნეთ, რატომ არ დაირთავენ ობიექტური პირის ნიშნებს მესამე პირში ზმნები: **ტეხს, აჭებს, ეკითხება, უმალავს** და მისთ.

სავარჯიშო 93. გააკეთეთ რვეულში სქემა. გამოსახეთ მასზე ობიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები.

	პირდაპირ-ობიექტური		ირიბ-ობიექტური
მწ. რ.	1.		1.
	2.		2.
	3.		3.
მრ. რ.	1.		1.
	2.		2.
	3.		3.

სავარჯიშო 94. ქვემოთ მოცემული ზმნები მესამე პირიდან გადმოიყვანეთ პირველსა და მეორე პირში და ისე ჩაიწერეთ რვეულში.

1.
2.
3. მიდის, დგას, აგდია, წევს, გაზრდილა, აშენებულა.

გადმოეცით: ა) რა დაერთო ზმნებს პირველსა და მეორე პირში და რა ჰქვია ზმნის ასეთ ფორმებს.

ბ) დასახელეთ ისეთი ზმნებიც, რომლებსაც თანდართული ფორმა მესამე პირშიც გადაჰყვებათ.

სავარჯიშო 95. წაიკითხეთ და შეადარეთ ერთმანეთს ზმნის უზმნისწინო და ზმნისწინიანი ფორმები: ფრინავს — მიფრინავს — მოფრინავს.

გადმოეცით, რა გამოხატეს მი და მო ზმნისწინებმა ზმნებში უზმნისწინო ფორმებისაგან განსხვავებით; რას აღნიშნავს ცალკე მი ზმნისწინი და რას აღნიშნავს მო.

განმარტეთ, რას ჰქვია ზმნისწინი.

სავარჯიშო 96. გადაიწერეთ და ისე გამოყავით ზმნისწინები ზმნის ფორმებში: მივიდა, ავიდა, დავიდა, ჩაიდა, შევიდა, გავიდა, გადავიდა, წაიდა.

გადმოეცით, რომელ მიმართულებას გამოხატავენ ზმნისწინდართული ფორმები.

სავარჯიშო 97. გადაიწერეთ და ისე დაურთეთ აქეთა მიმართულების მო ზმნისწინი შესაძლო შემთხვევაში იქითა მიმართულების ზმნისწინებს: მი, ა, და, ჩა, შე, გა, გად, წა.

გადმოეცით, რამდენგვარია ზმნისწინი შედგენილობის მიხედვით. აღნიშნეთ, რა და რა საპირისპირო მიმართულების გამოხატვა აკისრიათ მათ ზმნებში.

სავარჯიშო 98. გადაიწერეთ და ისე დაურთეთ „დის" და „ყვანა" ზმნებს აქეთა და აქეთა მიმართულების ზმნისწინები შესაბამისად.

ნიმუში: მიიდა — მოიდა

ავიდა — ამოვიდა

დაახასიათეთ თითოეული მათგანის საპირისპირო ფორმების მნიშვნელობა.

სავარჯიშო 99. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ ქვემოთ დასახელებულ ზმნების გრამატიკული დრო და მიუწერეთ მათ გვერდით შესაბამისად.

წერს	—	ითამაშებს (ის)	—
დახატა	—	იცეკვოს (მან)	—
ააშენებს	—	უტირია (მას)	—
იმუშავა	—	გაათეთრებდა	—
აუშენებია	—	შეექო (მას ის)	—
აკეთებდა		შეხვედროდა	—

გადმოეცით, რა ხერხი გამოიყენეთ ზმნათა გრამატიკული დროის ამოსაცნობად. განმარტეთ, რას ჰქვია ზმნის დრო; რამდენი დროა ქართულ ენაში. დაახასიათეთ თითოეული.

სავარჯიშო 100. წაიკითხეთ და გადმოეცით: ა) რომელ წინადადებაში აქვს ზმნას ახლანდელი დროის გაგება და რომელში მომავლისა: ხომ ხედავ, რომ ვხატავ — მომიტანე ფუნჯი და ვხატავ. მოიფიქრეთ მაგალითები ანალოგიურ შეთხვევებზე. ბ) როდის არ ახლავს ზმნის ფორმებს დროული გაგება. დაასახელეთ მაგალითები.

სავარჯიშო 101. დაურთეთ სათანადო ზმნისწინები ზმნებს:

ვხატე	—	ვთოხნე	—
ვტეხე	—	ვბარე	—
ვღებე	—	ვადნობ	—
ვწერე	—	ვათეთრებ	—
ვაშენე	—	ვატრიალებ	—
ვაშრე	—	ვქარგავ	—

გადმოეცით, რომელი გრამატიკული კატეგორია გამოიხატა უზმნისწინო და ზმნისწინიანი ფორმების დაპირისპირებით; მათ შორის რომელი წარმოგვიდგენს მოქმედებას დაუსრულებლად და რომელი — დასრულებულად; რა და რა ტერმინები იხმარება მოცემული გრამატიკული ფორმების აღსანიშნავად.

სავარჯიშო 102. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, ახლანდელი დროის ფორმაზე დართული ზმნისწინები, ჩვეულებრივ, გარდა ასპექტისა, კიდევ რომელ გრამატიკულ კატეგორიას აწარმოებენ:

ვხატავ — დავხატავ
ვწერ — დავწერ
ვაშენებ — ავაშენებ
ვაკეთებ — გავაკეთებ

სავარჯიშო 103. დახაზეთ რვეულში ქვემოთ მოცემული სქემა. გამოარკვიეთ სქემაში წარმოდგენილი ზმნების ფორმათა ასპექტი და დრო. შეიტანეთ ისინი სვეტებში მათთვის განკუთვნილ ადგილას.

ზმნის ფორმები	ასპექტი	დრო
ვწერ (ან ახლა, ლაპარაკის მომენტში)		
ვწერ (ხვალ)		
ვწერე		
დავწერე		
დავწერ		

გადმოვცეთ, რომელ გრამატიკულ დროებს აწარმოებენ უსრულასპექტიანი ზმნები და რომელს — სრულასპექტიანები.

სავარჯიშო 104. გაიხსენეთ, აქვთ თუ არა ასპექტი ზმნებს: ვარ, მიყვარს, მძინავს, აგდია, ხუმრობს, ცურავს — მიცურავს, გორავს — მიგორავს, რბის — მირბის და სხვ. თუ არა აქვთ, აღნიშნეთ რატომ.

სავარჯიშო 105. მოიგონეთ ის ზმნები, რომლებიც უზმნისწინოდაც სრული ასპექტის მქონენი არიან. მოუძებნეთ მათ საპირისპირო უსრული და ჩაწერეთ რვეულში.

ნიმუშის: სთხოვა — სთხოვს

რა იცით ამ ზმნათა ისტორიის შესახებ?

სავარჯიშო 100. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, რომელ გრამატიკულ კატეგორიას გამოხატავენ ქვემოთ მოცემული ზმნის ფორმები და რა და რა ფორმებია ისინი. დაახასიათეთ თითოეული.

ხატავს — (რომ) ხატავდეს — დახატე!
დაწერა — (რომ) დაწეროს — დაწეროს!
ააშენებს — (რომ) ააშენოს — ააშენოს!
მუშაობდა — (რომ) მუშაობდეს — ნუ იმუშავებს!
არ იმუშაოს!

განმარტეთ მოცემული გრამატიკული კატეგორიის რაობა.

სავარჯიშო 107. წაიკითხეთ მაგალითები, გამოარკვიეთ, რომელი პირია მთქმელი და რომელ პირებს ებრძანებათ ზმნის ფორმებში: დახატე! დახატეთ! დახატონ! დავხატოთ!

სავარჯიშო 108. მოიგონეთ, რამდენგვარია ბრძანებითის ფორმა; რას აღნიშნავს უნაწილაკო და ნაწილაკდართული ფორმები. მოიფიქრეთ შესაფერისი ზმნები და დაურთეთ სათანადო ნაწილაკები.

ნიმუშში: ააშენე! — ნუ ააშენებ!
ააშენოს! — არ ააშენოს!
ხატე! — ნუ ხატავ!

სავარჯიშო 109. ა) წაიკითხეთ და გამოარკვიეთ, რა და რა დროები ეკნებათ ბრძანებითის ფორმებს: ნუ სწერ! დაწერე! ბ) გადმოეცით, ბრძანებითის ფორმა, გარდა საკუთრივ ბრძანებითისა, კიდევ რას გამოხატავს (დაასახელეთ მაგალითები).

სავარჯიშო 110. დახაზეთ რვეულში ქვემოთ მოცემული სქემა. შეავსეთ სქემაში გამოტოვებული ადგილები სათანადო ფორმებით.

ხბრობითი	კაუშრებითი	ბრძანებითი
თამაშობს		
	ბარაველს	
		წაიკითხოს!
ანგრევდა		
	გაათეთრებდეს	
		წაიღე!
გაზრდის		
	(რომ) იმღეროს	
		ნუ ლაპარაკობ!

სავარჯიშო 111. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, რამდენი ჯგუფი (უცვლელი ნაწილი) გამოიყოფა ერთმანეთისაგან მხოლოდ პირისა და რიცხვის ნიშნების ვარიე განსხვავებულ ფორმებში:

ვიმალები, იმალები, იმალება, ვიმალებით, იმალებით, იმალებიან; ვიმალებოდი, იმალებოდი, იმალებოდა, ვიმალებოდით, იმალებოდით, იმალებოდნენ; ვიმალებოდე, იმალებოდე, იმალებოდეს, ვიმალებოდეთ, იმალებოდეთ, იმალებოდნენ:

გადმოეცით: ა) სულ რამდენია ერთმანეთისაგან მხოლოდ პირისა და რიცხვის ნიშნების გარეშე განსხვავებული ჯგუფი დღევანდელ ქართულში და რა საერთო სახელწოდება აქვს თითოეულს.

ბ) რა ჰქვია ზმნის ფორმაცვალებას მწკრივებსა და მწკრივების შიგნით პირისა და რიცხვის მიხედვით.

სავარჯიშო 113. გადმოეცით ზეპირად, რამდენ ძირითად ჯგუფად იყოფა 11 მწკრივი და რა ჰქვია თითოეულს. ჩამოწერეთ მწკრივთა სახელწოდებანი რვეულში.

სავარჯიშო 118. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, როგორ არის ნაწარმოები I სერიის აწმყოსა და მყოფადის წრის მწკრივთა ფორმები. გამოყავით მწკრივთა განმასხვავებელი გრამატიკული ნიშნები. აღნიშნეთ, რა ჰქვია თითოეულ მწკრივს და რა კითხვები შეეწყობა მათ (ზმნა აღებულია პირველი პირის ორსავე რიცხვში).

I სერია

ა) აწმყოს წრე

მხ. რ.	მრ. რ.
ვხატავ	ვხატავთ
ვხატავდი	ვხატავდით
ვხატავდე	ვხატავდეთ
ვიხატები	ვიხატებით
ვიხატებოდი	ვიხატებოდით
ვიხატებოდე	ვიხატებოდეთ

ბ) მყოფადის წრე.

მხ. რ.	მრ. რ.
დავხატავ	დავხატავთ
დავხატავდი	დავხატავდეთ
დავხატავდე	დავხატავდით
დავიხატები	დავიხატებით
დავიხატებოდი	დავიხატებოდით
დავიხატებოდე	დავიხატებოდეთ

ამასთან ერთად, დაახასიათეთ თითოეული მწკრივი დროის, ასპექტის, კილოს მიხედვით; რატომ არის გაყოფილი I სერია ორ წრედ; რა აცით კიდევ I სერიის მწკრივებთან დაკავშირებით?

სავარჯიშო 114. გადაიწერეთ და გამოარკვიეთ, რომელ სერიასა და რომელ მწკრივშია ქვემოთ მოყვანილი ზმნები. გამოყავით მწკრივთა მაწარმოებლები; რა კითხვები შეეწყობა თითოეულ მწკრივს.

მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.
დავხატე	დავხატეთ	დავხატო	დავხატოთ
დავიმალე	დავიმალეთ	დავიმალო	დავიმალოთ
გავშრი	გავშრით	გავშრე	გავშრეთ
ავშენდი	ავშენდით	ავშენდე	ავშენდეთ
ვუთხარ(ი)	ვუთხარით	ვუთხრა	ვუთხრათ
მოვკალ(ი)	მოვკალით	მოვკლა	მოვკლათ

ამასთან ერთად, დაახასიათეთ მწკრივებში მოცემული ზმნები ასპექტის, დროისა და კილოს მიხედვით. აღნიშნეთ, რა იცით კიდევ ამ მწკრივთა შესახებ.

სავარჯიშო 115. გამოარკვიეთ, რომელ სერიისა და რომელ მწკრივშია ქვემოთ მოყვანილი ზმნები; რა კითხვებზე მიუგებენ ისინი.

მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.
დამიხატავს (მე ის)	დაგვიხატავს (ჩვენ ის)	დამეხატა (მე ის)	დაგვეხატა (ჩვენ ის)
დავხატულვარ	დავხატულვართ	დავხატულ- იყავ(ი)	დავხატული- ყავით
დავხატვივარ	დავხატვივართ	დავხატოდი	დავხატოდით

მხ. რ.	მრ. რ.
დამეხატოს	დაგვეხატოს
დავხატულიყო	დავხატულიყოთ
დავხატოდე	დავხატოდეთ

ამასთან ერთად, დაახასიათეთ მწკრივთა ფორმები დროისა და კილოს მიხედვით. აღნიშნეთ, რა იცით კიდევ ამ სერიის მწკრივების წარმოებასთან დაკავშირებით.

სავარჯიშო 116. ამოწერეთ სამივე სერიაში (ყველა პირსა და რიცხვში) ზმნები **გბარავ, გაშენებ, ვიწერები.**

სავარჯიშო 117. ზმნის ინვერსიულობის გამოსარკვევად შეადარეთ ერთმანეთს სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნები მაგალითებში:

1. მე ლექსს ვწერ
2. ამხანაგი მე ლექსს მიწერს.
3. ბავშვობაში ლექსები მეც ბევრი მიწერია.

გამოარკვიეთ: 1) რომელი ნიშნითაა გამოხატული სუბიექტური პირი „ვწერ" ზმნაში და რომელი ნიშნითაა გამოხატული ობიექტური „მიწერს" ზმნაში. 2) რომელი ნიშნით უნდა იყოს წარმოდგენილი სუბიექტური პირი „მიწერია" ზმნაში და რითაა წარმოდგენილი; რა შეიცვალა პირის ნიშნებმა ინვერსიის დროს და რომელ სერიაში.

განმარტეთ, რას ჰქვია ი ნ ვ ე რ ს ი ა; რომელი გვარის ზმნებს ახასიათებს ინვერსია; რომელი პირის ნიშნები იცვლიან დანიშნულებას ინვერსიის დროს; მოიყვანეთ სათანადო მაგალითები.

სავარჯიშო 118. გამოარკვიეთ მწკრივთა ფუძეები ზმნის ფორმებში: ვ წ ე რ თ, დ ა ვ წ ე რ თ, დ ა ვ წ ე რ ე თ.

გ:დმოეცით, რა ხერხი გამოიყენეთ ზმნის მწკრივთა ფუძეების გამოსარკვევად. რას ჰქვია ზმნის ფ უ ძ ე.

სავარჯიშო 119. გადაიწერეთ მაგალითები და გამოარკვიეთ ქვემოთ მოყვანილი ზმნების თემა: რომელია მათში საყრდენი, ე. ი. უცვლელი ნაწილი I და II სერიის მწკრივებისათვის.

I სერია

ათბობს	გაათბობს	ვწერ	დავწერ
ათბობდა	გაათბობდა	ვწერდი	დავწერდი
ათბობდეს	გაათბობდეს	ვწერდე	დავწერდე

II სერია

გავთბი	დავწერე
გავთბე	დავწერო

გადმოეცით, რას ეწოდება თემა; რომელ სერიაში შეიძლება იყოს თემა მარტივი და რომელში — რთული; რას ჰქვია ერთთემიანი ზმნა და რას ჰქვია ორთემიანი.

სავარჯიშო 120. გადაიწერეთ მაგალითები. გადაიყვანეთ ზმნები I სერიიდან II სერიაში. გამოარკვიეთ, რომელი ნიშნები ჩამოსცილდა ზმნებს და რა ჰქვია მათ.

I სერია

აწმყო	მყოფადი
ვჭრი	გავჭრი
ვხატავ	დავხატავ
ვაბამ	დავაბამ
ვაკეთებ	გავაკეთებ
ვადნობ	გაადნობ

II სერია

სავარჯიშო 121. გადაიწერეთ მაგალითები. ფორმათა შედარება-შეპირისპირებით გამოარკვიეთ, რომელია ძირი ზმნათა ფორმებში:

1. ვაქებ, ვაქებდი, ვაქებდე; შევაქებ, შევაქებდი, შევაქებდე; შევაქე, შევაქო; შემიქია, შემექო, შემექოს.

2. ვაკეთებ, ვაკეთებდი, ვაკეთებდე; გავაკეთებ, გავაკეთებდი, გავაკეთებდე; გავაკეთე, გავაკეთო; გამიკეთებია, გამეკეთებინა, გამეკეთებინოს.

გადმოეცით, რა ხერხი გამოიყენეთ ზმნის ძირის გამოსარკვევად.

სავარჯიშო 122. გამოარკვიეთ: ა) როგორია ზმნის ძირი ფორმებში: ვშლი — გაგშალე, ვჭრი — გაჭერ, მოვკალ—მოჰკალ — მოკლა.

გადმოეცით; როგორი შეიძლება იყოს ზმნის ძირი.

ბ) რა არის ფუძე, თემა და ძირი ზმნაში „ვწერ". გაიხსენეთ და გადმოეცით, რა იცით ამ გრამატიკული მოვლენის შესახებ.

სავარჯიშო 123. გადაიწერეთ მაგალითები. ზმნის გარდამავლობის გამოსარკვევად ორპირიანი ზმნები პირველი სერიიდან გადაიყვანეთ II და III სერიაში. დაკვირდით ობიექტის ბრუნვებს.

I სერია

კაცი სახლს აშენებს. კაცს სახლი უშენდება.
დედა შვილს ზრდის. დედას შვილი ეზრდება.

II სერია

III სერია

გადმოეცით, როგორ გიგეთ ზმნა გარდამაველია თუ გარდაუვალი; რას ჰქვია პირდაპირ-ობიექტური პირი და რას ჰქვია ირიბ-ობიექტური (დასახელეთ მათი ბრუნვები).

სავარჯიშო 124. გადაიწერეთ მაგალითები. გვარის რაობისა და სახეების გამოსარკვევად შეადარეთ ერთმანეთს, რა ურთიერთობაშია სუბიექტური პირი ზმნით აღნიშნულ მოქმედებასთან წინადადებებში.

მშენელი რკინას ახურებს ბავშვი ქვას აგორებს
რკინა ხურდება ქვა გორდება
რკინა ხურს ქვა გორავს

გადმოეცით, ამათგან ა) რომელი ფორმა გვიჩვენებს, რომ ზმნით აღნიშნული მოქმედება გამომდინარეობს სუბიექტური პირისაგან, რომელსაც მოეპოვება სამოქმედო პირდაპირ-ობიექტური პირის სახით;

ბ) რომელი ფორმა მიგვითითებს, რომ ზმნით აღნიშნული მოქმედება არ გამომდინარეობს სუბიექტური პირისაგან, არამედ თვითონ განიცდის ვნებას, მაგრამ არ ჩანს ზმნიც ფორმით ვისაგან ან რისაგან გამომდინარეობს ეს მოქმედება;

გ) რომელი ფორმა გვიჩვენებს, რომ მოქმედება გამომდინარეობს სუბიექტური პირისაგან, მაგრამ არა აქვს სამოქმედო პირდაპირ-ობიექტური პირის სახით.

განსაზღვრეთ, რას ჰქვია გვარი; რა და რა სახეებია მისი ქართულში. დაახასიათეთ ისინი ზოგადად.

სავარჯიშო 125. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, რას იწვევს მოქმედებითი გვარის ვნებითად გადაქცევა; რომელი პირი გამოდის ფორმიდან და რომელი პირი იკავებს მის ადგილს. დაახასიათეთ, როგორი ურთიერთობაა საერთოდ მოქმედებითიდან ვნებითში (ანუ საშუალში) გადაყვანილ ფორმებს შორის.

მოსწავლე წერილს წერს მოსწავლე ამხანაგს წერილს უწერს
წერილი იწერება ამხანაგს წერილი ეწერება

კალატოზი სახლს აშენებს
სახლი შენდება

კალატოზი მეზობელს სახლს უშენებს
მეზობელს სახლი უშენდება

ქარი ბორბალს ატრიალებს
ბორბალი ტრიალებს

სიცხე კაცს გულს უწუხებს
კაცს გული უწუხს.

სავარჯიშო 126. გადაიწერეთ მაგალითები. ერთი ძირისაგან ნაწარმოები სხვადასხვა გვარის ფორმათა შედარება-შეპირისპირებით გამოარკვიეთ, როგორი შეიძლება იყოს ესა თუ ის გვარი გარდამავლობისა და პირიანობის მიხედვით. მიუწერეთ თითოეულს მარჯვნივ ფრჩხილებში გარდამავალია თუ გარდაუვალი და რამდენპირიანია.

მოქმ.	ვნებ.	საშ.
ადუღებს	დუღდება	დუღს
უდუღებს	უდუღდება	უდუღს
ხატავს	იხატება	
უხატავს	ეხატება	

სავარჯიშო 127. გადაიწერეთ მაგალითები. გადაიყვანეთ ზმნები ვნებითსა ან საშუალში, ან ორივეში ერთად, და მიუწერეთ გასწვრივ. გადმოეცით, შეიძლება თუ არა ყოველთვის სამივე გვარის წარმოება ერთი ძირისაგან.

მოქმედებითი	ვნებითი	საშუალი
წერს		
აწუხებს		
უმალავს		
აჩივლებს		
აშენებს		
აშრობს		
აქივლებს		
აფასებს		
აგორებს		
აწვალებს		
ანგრევს		
უნგრევს		

სავარჯიშო 128. გადაიწერეთ მაგალითები. შეადარეთ ერთმანეთს ზმნათა წყვილწყვილი ფორმები. გამოარკვიეთ, რომელი გვარის რა და რა სახეებია ისინი.

იხატება — ხატია
ეფინება — აფენია
ითესება — სთესია
ლაგდება — ალაგია

იკიდება — ჰკიდია	ეხვევა — ახვევია
იწერება — სწერია	ეკვრება — აკრავს
იწყობა — აწყვია	ესობა — ასვია
ეფარება — აფარია	ევლება — ავლია

გადმოეცით თითოეული პარალელური ფორმის მნიშვნელობა, რას გამოხატავენ ისინი. ამათგან რომელია უფრო გავრცელებული.

სავარჯიშო 129. გადაიწერეთ მაგალითები. დინამიკურ ვნებითებს მოუძებნეთ შესაბამისი სტატიკური შესაძლო შემთხვევაში და მიუწერეთ გასწვრივ.

ერტყმება	—	იდება	—
ინთება	—	ეხურება	—
შენდება	—	კეთდება	—
ეგდება	—	იჭრება	—
ესხმება	—	ენგრევა	—

გადმოეცით, აქვს თუ არა ყველა დინამიკურს შესაბამისი სტატიკური?

სავარჯიშო 130. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, რომელი გრამატიკული ნიშნები ჩნდება მოქმედებითი გვარიდან დინამიკურ ვნებითში გადაყვანილ ფორმებში.

მხატვარმა სურათი დახატა	მხატვარმა თინას სურათი დაუხატა
სურათი დაიხატა	თინას სურათი დაეხატა
დურგალმა სახლი ააშენა	დურგალმა მეზობელს სახლი აუშენა.
სახლი აშენდა	მეზობელს სახლი აუშენდა

გადმოეცით, რომელი გრამატიკული ნიშნები აწარმოებს დინამიკურ ვნებითს; ამათგან რომელი მოუდის ზმნებს თავში და რომელი მოუდის ბოლოში; რამდენპირიანია მათი შესატყვისი ფორმებიც; რომელ სერიაში აქვთ ზმნებს ვნებითის ნიშანი და რომელში არ გადაჰყვებათ.

სავარჯიშო 131. გადაიწერეთ მაგალითები. დააკვირდით მოქმედებითი გვარიდან ვნებითში გადაყვანილ ფორმებს. გამოარკვიეთ, ჩნდება თუ არა მათში რაიმე ნიშანი; რა ჰქვია ასეთ ვნებითებს და რამდენპირიანია ისინი.

გვალვამ მცენარე გაახმო	გვალვამ მცენარეს ფესვები გაუხმო
მცენარე გახმა	მცენარეს ფესვები გაუხმა

დაასახელეთ კიდევ მოცემული ტიპის ვნებითები.

სავარჯიშო 132. გადაიწერეთ მაგალითები. შეადარეთ ზმნების ფორმები ერთმანეთს. გამოარკვიეთ, რა საერთო დაბოლოება აქვთ დინამიკურ ვნებითებს და რომელ მწკრივსა და რომელ პირებში. გამოყავით ისინი დეფისით.

ვიხატები	ვეწერები	ვშენდები	ვქრები
იხატები	ეწერები	შენდები	ქრები
იხატება	ეწერება	შენდება	ქრება

ამასთან ერთად, დაასახელეთ შედარებით რიცხვით მცირე ზმნები, რომლებსაც მსგავსი დაბოლოება არ გააჩნიათ.

• სავარჯიშო 103. აუღლეთ ნებისმიერი მოქმედებითი და დინამიკური ვნებითები ყველა სერიაში. გადმოეცით, უღლების რომელ ტიპს განეკუთვნება მოქმედებითი გვარის ზმნები, რომელს — დინამიკური ვნებითები.

სავარჯიშო 104. გადაიწერეთ მაგალითები. ზმნათა ფორმების შედარება-შეპირისპირებით გამოარკვიეთ, რომელ გრამატიკულ ნიშანს იცვლიან მესამე სვეტში მოცემული ზმნები აწმყოდან მყოფადში გადაყვანისას მოქმედებითისა და ვნებითისაგან განსხვავებით; რა ნიშნები უჩნდებათ მათ თავში; რაზეა დამოკიდებული თავში გაჩენილ ნიშანთა სხვადასხვაობა.

მოქმ. გვარი		ვნებითი გვარი	
აწმყო	მყოფადი	აწმყო	მყოფადი
ხატავს	— დახატავს	ვიხატები	— დავიხატები
შლის	— წაშლის	ვეწერები	— ჩავეწერები
აპობს	— გააპობს	ვშენდები	— ავშენდები
აბამს	— დააბამს	ვკაცდები	— დავკაცდები
აკეთებს	— გააკეთებს	ვშრები	— გავშრები

აწმყო	მყოფადი
ცხოვრობს	— იცხოვრებს
ცურავს	— იცურებს
ტირის	— იტირებს
დარაჯობს	— უდარაჯებს
ექიმობს	— უექიმებს

გადმოეცით ავრეთვე: ა) რომელ გვარს განეკუთვნება მოცემული ზმნები და რას უწოდებენ მეორენაირად მათ.

ბ) მყოფადიდან კიდევ რომელ მწკრივებში გადაყვებათ მათ შეცვლილი ნიშანი.

გ) იცვლის თუ არა ნიშანს აწმყოდან მყოფადში გადაყვანილი ზმნები: ტრიალებს — იტრიალებს, ღრიალებს — იღრიალებს, სრიალებს — ისრიალებს და მისთ. რა ჰქონის ფორმობრივ სხვაობას მათ შორის; რომელ გვარის ზმნებია ისინი.

დ) მოიგონეთ, მოქმედებითი გვარის რა დამახასიათებელი ნიშნები აქვთ ამ ჯგუფის ზმნებს და უღლების რომელ ტიპს განეკუთვნებიან ისინი.

სავარჯიშო 105. გადაიწერეთ მაგალითები. აწარმოეთ საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნები სახელებისაგან და მოუწერეთ განსწვრივ.

მუშა	—	ბოლი	—
დარაჯი	—	ექიმი	—
ცხარე	—	კამათი	—
თამაში	—	ცელქი	—
ჩქარი	—	ფასი	—
მეფე	—	ლაღი	—

სავარჯიშო 186. გადაიწერეთ მაგალითები. გადაიყვანეთ აწმყოდან სხვა მწკრივებსა და სერიებში ზმნები: **ს წ ე რ ი ა, უ ყ ვ ა რ ს, დ გ ა ს.**

I სერია

აწმყო სწერია, უყვარს, დგას მყოფ.
უწყვეტ. ხოლმ.
აწმყ. კავშ. მყოფ. კავშ.

II სერია

წყვეტ.
II კავშ.

III სერია

I თურმ.
II თურმ
III კავშ.

გამოარკვიეთ: 1. რომელი მწკრივები აკლია ზმნებს; რა და რა პრეფიქსი უჩნდებათ მათ მყოფადის წრესა და II სერიაში (თუ აქვთ საერთოდ II სერია) და რატომ; რისი ნიშნებია ისინი.

2. ამ თავისებურებათა გამო რა საერთო სახელწოდება აქვთ მათ და უღლების რომელ ტიპს განეკუთვნებიან ისინი. დაახასიათეთ თითოეული.

3. დაასახელეთ ზმნათა ჯგუფები, რომლებსაც ანალოგიური წარმოება ახასიათებთ:

ა) სტატიკური ვნებითები;

ბ) ის საშუალო ზმნები (მდგომარეობის გამომხატველი, გრძნობისა, ყოლა-ქონებისა და სხვ.), რომლებიც მნიშვნელობით სტატიკურებს ჰგვანან და რომლებიც წაკლული მწკრივების შესავსებად ვნებითის ფორმებს იყენებენ (ე. ი. საშუალვნებითები).

სავარჯიშო 187. დააკვირდით ზმნის **კ ე ე ვ ი ს** საპირისპირო ფორმებს წინადადებებში:

კალატოზი სახლს აშენებს.
კალატოზი სახლს აშენებს.
კალატოზი მეზობელს სახლს უშენებს.

გამოარკვიეთ: ა) რომელ პირებს შორისაა გამოხატული კუთვნილებითი ურთიერთობა, ვის ეკუთვნის, ვისთვის არის დანიშნული პირდაპირი ობიექტი ზმნაში „აშენებს“; რა ჰქვია ქცევის ამ სახეს.

ბ) გამოხატავს თუ არა კუთვნილებით ურთიერთობას, ჩანს თუ არა ვის ეკუთვნის, ვისთვისაა დანიშნული პირდაპირი ობიექტი ზმნაში „აშენებს“; რა ჰქვია ქცევის ამ სახეს.

გ) რომელ პირებს შორისაა გამოხატული კუთვნილებითი ურთიერთობა, ვის ეკუთვნის, ვისთვისაა დანიშნული პირდაპირი ობიექტი ზმნაში „უშენებს“; რა ჰქვია ქცევის ამ სახეს.

აქედან გამომდინარე, განმარტეთ, რა არის ქცევა; ქცევის რამდენი სახე და რა და რა სახეებია ქართულში (დაახასიათეთ ისინი ცალ-ცალკე); ქცევის ყველა სახე მხოლოდ რომელი გვარის ზმნებს მოეპოვებათ.

სავარჯიშო 138. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, რამდენპირიანია სათანადო ქცევის ზმნები; რომელია მათი ნიშანი (გაუსვით ქვეშ ხაზი); აქვთ თუ არა ყველა მათ ეს ნიშანი.

1. აკეთებს, აშენებს, აბერებს, ამოკლებს, ათეთრებს... კლავს, ზრდის, ხატავს, ჭრის, ტეხს...

2. აბარებს, ატანს, აწერინებს, აშენებინებს... ჰკითხავს, სთხოვს, მისწერს, დაჰკრავს, მოჰპარა...

მოიფიქრეთ მსგავსი მაგალითები და მიუწერეთ მათ გასწვრივ შესაბამისად.

სავარჯიშო 139. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ:

ა) ვის ეკუთვნის, ვისთვის არის დანიშნული პირდაპირი ობიექტი ქვემოთ მოყვანილ სათავისო ქცევის ზმნის ფორმებში.

ბ) ზმნის პირთა რაოდენობა, გარდამავლობა, გვარი; რომელი ნიშანი გამოხატავს ზმნაში სათავისო ქცევას. გაუსვით ქვეშ ხაზი.

ვიხატავ	ვიწერ	ვიღებავ	ვიჭრი
იხატავ	იწერ	იღებავ	იჭრი
იხატავს	იწერს	იღებავს	იჭრის

ამასთან ერთად აღნიშნეთ, თუ წინადადებაში ობიექტად სუბიექტის სხეულის ნაწილებია, რომელი ქცევა იხმარება. დაასახელეთ მაგალითები.

სავარჯიშო 140. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, რამდენპირიანია სასხვისო ქცევის ზმნათა ფორმები; რომელია მათი ნიშნები, გაუსვით ქვეშ ხაზი; რა შემთხვევაში მოუდის პირველი ნიშანი და რა შემთხვევაში — მეორე.

ა) მიხატავ გვიხატავ
მიხატავს გვიხატავს
გ) ვუხატავ ვუხატავთ
უხატავ უხატავთ
უხატავს უხატავენ

ბ) გიხატავ გიხატავთ (მე თქვენ)
გიხატავს გიხატავთ (ის თქვენ)

სავარჯიშო 141. შეადარეთ ერთმანეთს სათავისო და სასხვისო ქცევის ზმნები ქალკეული პირების მიხედვით.

ვიშენებ	მიშენებს
იშენებ	გიშენებს
იშენებს	უშენებს

გამოარკვიეთ: რა შემთხვევაშია ზმნაში ი სათავისო ქცევის ნიშანი და რა შემთხვევაშია სასხვისო; რამდენპირიანია სათავისო ქცევის ზმნა (გარდამავალია თუ გარდაუვალი) და რამდენპირიანია სასხვისო; რომელი ნიშნით იცვლება ი მესამე პირში სასხვისო ქცევის ფორმაში.

სავარჯიშო 142. გადაიწერეთ მაგალითები. მოქმედებითი გვარის ზმნებთან შედარება-შეპირისპირებით გამოარკვიეთ, ქცევის რა და რა ფორმები ეწარმოებათ ვნებითსა და საშუალო გვარის ზმნებს:

მოქმედებითი	ვნებითი	საშუალი
ადუღებს	დუღდება	დუღს
უდუღებს	უდუღდება	უდუღს
აშრობს	შრება	
უშრობს	უშრება	
ატირებს		ტირის
უტირებს		უტირის

გადმოეცით: ა) რომელ ქცევებს გამოხატავენ ვნებითი და საშუალო გვარის ზმნის საპირისპირო ფორმები: დუღდება—უდუღდება, დუღს—უდუღს, შრება—უშრება, ტირის—უტირის;

ბ) როგორია კუთვნილებით-დანიშნულებითი ურთიერთობა პირთა შორის ვნებითი და საშუალო გვარის ზმნების სასხვისო ქცევის ფორმებში მოქმედებითი გვარის ზმნებისაგან განსხვავებით;

გ) ვნებითსა და საშუალო გვარის ზმნებში რომელ ქცევას აქვს ნიშნები და რომელს არა; რომელია ეს ნიშნები.

სავარჯიშო 143. წაიკითხეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, რომელი ქცევის გაგებას იძლევიან დინამიკური ვნებითი გვარის ზმნათა საპირისპირო ფორმები: ინათა და ენათა.

ქერავს	იქერება	თესავს	ითესება
უქერავს	ექერება	უთესავს	ეთესება

სავარჯიშო 144. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, ქცევის რა და რა სახეები აქვთ სტატიკურსა და საშუალ-ვნებითი გვარის ზმნათა საპირისპირო ფორმებს:

ხატია	— უხატია	არტყია	— ურტყია
აფენია	— უფენია	დგას	— უდგას

სწერია	—	უწერია	წევს	—	უწევს
ახვევია	—	უხვევია	ზის	—	უზის
აკოსია	—	უკოსია	კივის	—	უკივის
ალაგია	—	ულაგია	ტრიალებს	—	უტრიალებს

სავარჯიშო 145. გამოარკვიეთ, აქვთ თუ არა ქცევის გაგება ზმნებს: იცის, უყვარს, აქვს, ახსოვს, ცხოვრობს და სხვ. თუ არა აქვთ, აღნიშნეთ, რატომ. რომელ ქცევებს გვანან ისინი გარეგნულად, გამოყავით ნიშნები.

სავარჯიშო 146. გადაიწერეთ მაგალითები. დააკვირდით ზმნათა საპირისპირო ფორმებს:

(ის მას)	(მან მას ის)	(ის მას)	(მან მას ის)
გააკეთებს	გააკეთებინა	გათლის	გაათლევინა
ააშენებს	ააშენებინა	დაჭრის	დააჭრევინა
დააპობს	დააპობინა	წაშლის	წააშლევინა
ქარგავს	მოაქარგვინა	გათხრის	გაათხრევინა

ასევე დააკვირდით

(ის მას)	(ის მას მას)	(ის მას)	(ის მას მას)
ხატავს	ახატვინებს	კლავს	აკლევინებს
წერს	აწერინებს	ყრის	აყრევინებს

გამოარკვიეთ: ა) ზმნის რომელ ფორმაში მოქმედებს სუბიექტი უშუალოდ ობიექტზე და რომელში — სხვა პირის მეშვეობით.

ბ) ზმნის რომელ კატეგორიას გამოხატავენ საპირისპირო ფორმები და რა სახელები აქვთ მათ. გამოყავით მაწარმოებლები.

გ) რა ფორმობრივი სხვაობაა მაწარმოებლებს შორის და რომელი გვარის ზმნები აწარმოებენ მოცემულ კატეგორიას.

თავისებური ზმნები[1]

სავარჯიშო 147. გამოარკვიეთ, რომელი პირები არ ეწარმოებათ ზმნებს: წვიმს, თოვს, ცივა, ცხელა, თბილა, გრილა, ხნელა და სხვ. რა ჰქვია ასეთ ზმნებს და რას გამოხატავენ ისინი. გარდა პირისა, კიდევ რომელ კატეგორიას ვერ აწარმოებენ დასახელებული ზმნები.

სავარჯიშო 148. მოუძებნეთ სათანადო ცალები პირში მონაცვლე ზმნებს და მიუწერეთ გასწვრივ.

არი	—	თქვა	—
ხარ	—	მოვიდა	—
ჰამა	—	დაჯდა	—

[1] სავარჯიშოები და საჭირო ცნობები რიცხვნაკლ ზმნებთან დაკავშირებით ნახეთ სახელმძღვანელოს 208—211 გვერდებზე.

როგორ სიუბარში გამოიყენება პირველი და როგორში მეორე?

სავარჯიშო 149. მოუძებნეთ ზმნებს სათანადო ფუძის ზმნა მყოფადსა და წყვეტილში და მიუწერეთ გასწვრივ შესაბამისად.

აწმყო	მყოფადი	წყვეტილი
ვარ		
მაქვს		
ვზივარ		
ძევს		
მივდივარ		
ვშვრები		
მომაქვს		
ვამბობ		

რა ჰქვია ასეთ ზმნებს?

ზმნის ზოგადი დახასიათება

(ცნობისათვის)

ზმნის რაობა. ზმნა ჰქვია ისეთ სიტყვას, რომელიც მოქმედებას ან მდგომარეობას გამოხატავს. ზმნა ორგვარია: პ ი რ ი ა ნ ი (მღერის) და უ პ ი რ ო (მღერა).

ზმნა პირველადია ან ნაწარმოებია სახელისაგან. პირველადი ზმნებია: დგას, წევს, ზის, ხატავს, თლის და სხვ. სახელისაგანაა ნაწარმოები ზმნები: აქვავებს, აწითლებს, აერთებს, იჩემებს და სხვ.

პირიან ზმნას წინადადებაში შ ე მ ა ს მ ე ნ ე ლ ი ჰქვია.

ზმნის პირი. ზმნის პირი ორგვარია: ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი და ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი. სუბიექტი მოქმედი პირია, ობიექტი — სამოქმედო. პირი კი სამია ზმნაში: პ ი რ ვ ე ლ ი, მ ე ო რ ე და მ ე ს ა მ ე. სუბიექტურადაც და ობიექტურადაც შეიძლება გვქონდეს ყველა პირი: როცა სუბიექტი პირველი პირია, ობიექტად მასთან შეიძლება გვქონდეს მეორე (გ ხ ა ტ ა ვ მე შენ) და მესამე (ვ ხ ა ტ ა ვ მე მას) პირი. როცა სუბიექტი მეორე პირია, ობიექტად მასთან შეიძლება იყოს პირველი და მესამე პირი (შ ხ ა ტ ა ვ შენ მე, ხ ა ტ ა ვ შენ მას); ფუ სუბიექტად მესამე პირია, ობიექტად მასთან შეიძლება იყოს პირველი, მეორე და მესამე პირი (მ ხ ა ტ ა ვ ს ის მე, გ ხ ა ტ ა ვ ს ის შენ, ხ ა ტ ა ვ ს ის მას).

რიცხვი. პირიან ზმნას რიცხვის ორი ფორმა მოეპოვება: მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი და მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი.

მხოლობითის ფორმა გულისხმობს ერთის მოქმედებას: მღერის, მიდის, ხტის, ცურავს და სხვ.

მრავლობითის ფორმა გულისხმობს მრავალი საგნის მოქმედებას: მღერიან, მიდიან, ხტიან, ცურავენ და სხვ.

პირველი პირის ფორმას მხოლობითში ეწყობა **მე**, მრავლობითში — **ჩვენ** (მე ვმღერი, ჩვენ ვმღერით).

მეორე პირის ფორმას მხოლობითში ეწყობა **შენ**, მრავლობითში **თქვენ** (შენ მღერი, თქვენ მღერით).

მესამე პირის ფორმას მხოლობითში ეწყობა **ის** (იგი), **მან** ან **მას**, მრავლობითში — **ისინი** (იგინი) ან **მათ**.

ერთპირიანი ზმნებია: წუხს, დგას, შრიალებს...; **ორპირიანი ზმნებია**: აშენებს, ეალერსება, უდუღს...; **სამპირიანებია**: ჰკითხა, სთხოვა, დაუხატა...

სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები. სუბიექტის I პირის ნიშანია თავსართი **-ვ**, მრავლობითი რიცხვის ნიშანია **თ** (ვ-წერ — ვ-წერ-თ, და-ვ-წერე — და-ვ-წერე-თ).

სუბიექტის II პირის აღსანიშნავად თანხმოვნით დაწყებულ ზმნებთან გამოყენებულია პრეფიქსები **ჲ** და **ხ**[1].

ს გვხვდება ცხრა თანხმოვნის წინ: **ლ, ტ, თ, ძ, წ, ც, ჯ, ჭ, ჩ.**

ჲ შეიძლება შეგვხვდეს **ბ, პ, ფ, გ, კ, ქ, ყ** თანხმოვნების წინ (ჰგავლობ). ხმოვნებისა და დანარჩენი თანხმოვნების წინ სუბიექტის მეორე პირის ნიშანი არ გვხვდება. ორიოდე ზმნაში გვაქვს **ხ**: ხ-არ, მო-ხ-ვალ. სუბიექტის მრავლობითი რიცხვის აღსანიშნავად აქაც გვაქვს **თ** ბოლოსართი.

სუბიექტის მესამე პირისა და რიცხვის აღსანიშნავად მხოლობით რიცხვში გამოყენებულია ბოლოსართები: **ს, ა, ო**; მრავლობითი რიცხვის აღსანიშნავად — ბოლოსართები: **ენ, ნენ, ან, ნ, ეს** (წერ-ს, წაიკითხ-ა, აქ-ო, წერ-ენ, გათბ-ნენ, ჭრი-ან, აქო-ნ, დახატ-ეს).

ობიექტური პირი. ობიექტური პირი **ორგვარია**: **პირდაპირი** და **ირიბი**. პირდაპირი ობიექტი გარდამავალი ზმნების კუთვნილებაა (აქვს ორპირიანს და სამპირიანს); ირიბი ობიექტი — გარდაუვალი (ორპირიანი) და გარდამავალი (სამპირიანი) ზმნებისა. ამათაც **პირველსა** და **მეორე** პირში ერთნაირი ნიშნები აქვთ, **მესამე** პირში ნიშანი აქვს ირიბ ობიექტს, უნიშნოა პირდაპირი ობიექტი.

ობიექტური პირის ნიშნები. პირველი ობიექტური პირის ნიშანი მხოლობით რიცხვში არის — **მ**, მრავლობითში — **გვ** (მ-ხატავს მე, გვ-ხატავს ჩვენ).

---

[1] სუბიექტის მეორე პირის ნიშანი „თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის ნორმების“ მიხედვით (პირველი კრებული, თბ. 1970, გვ. 194—195) გაუქმებულია. მოქმედ სასწავლო პროგრამებში ეს საკითხი ჯერჯერობით გათვალისწინებული არ არის.

მ ე ო რ ე ობიექტური პირის ნიშანია თავსართი გ (გ-აქებს შენ), მრაელობითის გამოსახატავად დაერთვის ბოლოსართი თ (გ-აქებ-თ თქვენ).

მ ე ს ა მ ე ობიექტურ პირში ნიშანი უნდა მხოლოდ ირიბ ობიექტს, პირდაპირს არა; ეს ნიშნებია ჲ და ს. ამათგან, ს გვხვდება ცხრა თანხმოვნის წინ: დ, ტ, თ, ძ, წ, ც, ჯ, ჭ, ჩ (სჯერა); დანარჩენი თანხმოვნების წინ კი, ჩვეულებრივ, ჲ იხმარება: ს-თხოვს (მას მათ), მი-ს-წერა (მას მათ), ჰ-კითხა (მას მათ), მი-ჰ-გვარა (მას მათ). ხმოვნების წინ ჲ იკარგება: ეცა, უთხრა, გაუჯავრდა და სხვ. დანარჩენ შემთხვევაში არ იხმარება.

მესამე ირიბ-ობიექტური პირის სიმრავლე ზოგჯერ თ ბოლოსართით აღინიშნება: ეცა (მას) — ეცა-თ (მათ ის).

ორ და სამპირიან ზმნებში ერთდროულად შეიძლება შეგვხვდეს ორი პირის ნიშანი (მ-აქებ-ს).

ზმნისწინი. ზმნისწინი ჰქვია ზმნის წინა ნაწილს და აქვს ოთხი ფუნქცია: 1. უჩვენებს მიმართულებას, 2. აწარმოებს დროს, 3. სრული სახით წარმოგვიდგენს მოქმედებას, 4. გამოყენებულია ახალი მნიშვნელობის სიტყვათა მისაღებად.

აგებულების მიხედვით ზმნისწინი არის მარტივი და რთული. მ ა რ ტ ი ვ ი ა: მი, მო, ა, და, ჩა, შე, გა, გადა, წა; რ თ უ ლ ი ა: ამო, ჩამო, შემო, გამო, გადმო, წამო. რთული ზმნისწინები მიიღება მარტივზე აქეთა მიმართულების ზმნისწინის მო-ს დართვით.

მიმართულების აღნიშვნა. 1. მი და მო გამოხატავს ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებას სივრცეში. კერძოდ, მი გვიჩვენებს მიმართულებას იქითკენ, პირველი პირიდან მესამე პირისაკენ, მო კი აღნიშნავს მოძრაობას აქეთკენ, პირველი პირისაკენ (მი-ვიდა — მო-ვიდა).

2. ა და ამო ზმნისწინები გვიჩვენებს მიმართულებას ქვევიდან ზევით. ა უჩვენებს მოძრაობას, სადაც პირველი პირი არ არის, ამო ქვევიდან ზევით, სადაც პირველი პირია (ა-ვიდა — ამო-ვიდა).

3. ზევიდან ქვევით მიმართულებას გვიჩვენებს და, ჩა, ჩამო ზმნისწინები. და, ჩა აღნიშნავს მოძრაობას პირველი პირიდან ქვევითკენ (და-ფრინდა, ჩა-ფრინდა), ჩამო — პირველი პირისაკენ, ზევიდან ქვევითკენ (ჩამო-ფრინდა).

4. შე და შემო აღნიშნავს მოძრაობას გარედან შიგნით. შე აღნიშნავს, სადაც პირველი პირი არ იმყოფება (შე-ფრინდა), შემო — სადაც პირველი პირია (შემო-ფრინდა).

5. გა და გამო აღნიშნავს მოძრაობას შიგნიდან გარეთ. გა უჩვე-

ნებს მიმართულებას, სადაც პირველი პირი არ იმყოფება (გა-ვიდა), **გამო** — სადაც პირველი პირი იმყოფება (გამო-ვიდა).

6. **გადა** და **გადმო** აღნიშნავს რაიმე დაბრკოლების გადალახვას (შთისას, მდინარისას, ღობისას...), **გადა** — იქით (გადა-ვიდა), **გადმო**— აქეთ, ჩემკენ (გადმო-ვიდა).

დროის გამოხატვა. ზმნისწინის დართვა ზმნის ახლანდელი დროის ფორმას მომავლისად გადააქცევს; სახელდობრ: აწმყოდან იწარმოება მყოფადი (ხატავს — დახატავს).

მოქმედების დასრულებულობის გამოხატვა. უზმნისწინო ფორმა დაუსრულებელ მოქმედებას გამოხატავს, ზმნისწინიანი ფორმა — დასრულებულს, დამთავრებულს: ხატა — დახატა, ღება — შეღება, წერს — დაწერს...

სიტყვათწარმოქმნა. ზოგჯერ ზმნისწინი ასრულებს იმავე როლს, რასაც სიტყვის წარმომქმნელი აფიქსი. მაგალითად, შეადარეთ ერთმანეთს ერთი ძირისაგან წარმოქმნილი სხვადასხვა ზმნისწინდართული ფორმების მნიშვნელობა: მი-ხვდა, მო-ხვდა, შე-ხვდა, და-ხვდა; და-ვიგე, გა-ვიგე, მო-ვიგე და სხვ.

ზმნის დრო. დრო ჰქვია ზმნის ფორმას, რომელიც გვიჩვენებს, თუ როდის ხდება მოქმედება (თქმის მომენტში, მოხდა თქმამდე, თუ მოხდება თქმის შემდეგ).

ამის მიხედვით დრო სამია: ახლანდელი, წარსული და მომავალი.

ახლანდელი დროის ფორმა აღნიშნავს, რომ მოქმედება ხდება თქმის მომენტში, ე. ი. ლაპარაკის დროს: აშენებს, ხატავს, წერს და სხვ.

წარსული დროის ფორმა აღნიშნავს, რომ მოქმედება მოხდა ან ხდებოდა თქმამდე: დახატა, ხატავდა, დაუხატავს, დაეწერა და სხვ.

მომავალი დროის ფორმა გვიჩვენებს, რომ მოქმედება უნდა მოხდეს თქმის შემდეგ: დაწერს, დახატავს, იმუშავებს და სხვ.

ერთმა და იმავე ფორმამ ახლანდელი დროც შეიძლება გამოხატოს და მომავალიც: მაგ.: ხომ ხედავ, რომ ხატავს (დრო ახლანდელია); მოუტანე ფუნჯი და ხატავს (დრო მომავალია).

როცა ზმნა მარადიულ მოქმედებას აღნიშნავს, მას დაკარგული აქვს დროის გაგება: „ადამიანი ფილტვებით სუნთქავს", „რიონი შავ ზღვას ერთვის" და მისთ.

ასპექტი. ზმნის ფორმას, რომელიც მოქმედებას წარმოგვიდგენს დაუსრულებლად ან დასრულებულად, ასპექტი ანუ სახე ჰქვია. ასპექტი ორია: უსრული და სრული.

უსრული ასპექტის ფორმა დაუსრულებელ (დაუმთავრებელ) მოქ-

შედებას გამოხატავს: ვხატე, ვღებე, ვწერე, ვწერ, ვწერდი და მისთ.; სრული ასპექტის ფორმა გამოხატავს დასრულებულ (დამთავრებულ) მოქმედებას: შევღებე, დავწერე, დავწერ, დავწერდი და მისთ.

ასპექტს აწარმოებს ზმნისწინი. უზმნისწინო ფორმა უსრული ასპექტისაა, ზმნისწინიანი კი — სრული. მაგალითად: უზმნისწინო ფორმას „უწერია" რომ ზმნისწინი დავურთოთ, ყველა მისი ზმნისწინიანი ფორმა სრულასპექტიანი გახდება: მი-უწერია, მო-უწერია, ჩა-უწერია, ამო-უწერია, შე-უწერია...

უსრული ასპექტის მქონე ზმნას სამივე დრო აქვს, სრული ასპექტისას კი — მარტო ორი: წარსული და მომავალი. ვწერ (ახლა, ლაპარაკის მომენტში), ვწერ (ხვალ), ვწერე (ვთქვათ, გუშინ); ასპექტი აქ ყველგან უსრულია და აქვს სამივე დრო.

სრული ასპექტის გამოხატვა შეუძლიათ ზოგიერთ უზმნისწინო ზმნებსაც: თქვა, უთხრა, ბრძანა, ჰკითხა, უპასუხა, ნახა, იყიდა, სთხოვა, ქნა და სხვ. ეს ძველი ქართულის გადმონაშთია.

უასპექტო ზმნები. ბევრია ისეთი ზმნები, რომლებიც ასპექტს ვერ აწარმოებენ. უასპექტოა ზმნები, რომლებიც ზმნისწინს არ დაირთავენ: აგდია, ვიცი, ახსოვს, უყვარს, აქვს, ცხოვრობს და სხვ. უასპექტოა აგრეთვე ზმნისწინიანი ფორმები: მი-გორავს, მი-ცურავს, მი-რბის, მი-ფრინავს და მისთ. აქ ზმნისწინებს მხოლოდ მიმართულების გამოხატვა აკისრიათ. უზმნისწინო და ზმნისწინიან ფორმებს შორის არც დროის მიხედვითაა განსხვავება. ეს ზმნები ყველა ახლანდელი დროისაა.

კილო. კილო არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ მთქმელის მიერ დასახელებული მოქმედება გაგებული უნდა იქნეს ან როგორც უტყუარი, უეჭველი ფაქტი, ან როგორც შესაძლებელ-სავარაუდებელი, ან როგორც შესასრულებელი. ამის მიხედვით კილო ქართულში სამია: თ ხ რ ო ბ ი თ ი, კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი და ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი.

თ ხ რ ო ბ ი თ ი კილო გამოხატავს ისეთ უეჭველ მოქმედებას, რომელიც ხდება ახლა, მოხდება მომავალში, ან ხდებოდა (მოხდა ან მომხდარა) წარსულში. მაგალითები: წერს, დაწერს, დაწერდა, დაწერა, დაუწერია...

კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი კილო გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც ფაქტი არ არის, მაგრამ შესაძლებელია მომხდარიყო, ხდებოდეს ან მოხდეს: (რომ) წერდეს, (რომ) დაწეროს, (რომ) დაუწეროს...

ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი კილო გვიჩვენებს, რომ მთქმელის ნება-სურვილი უნდა იქნეს შესრულებული იმ პირის მიერ, ვისაც ის მიმართავს: ააშენოს! არ ააშენოს! ააშენე! არ ააშენო!

ბრძანებითი ფორმა ორგვარია: წ ა რ თ ქ მ ი თ ი და უ ა რ უ თ ქ მ ი თ ი. წართქმითი მოითხოვს, რომ მოქმედება უნდა შესრულდეს, უარუთქმითი ბრძანებითი კი აკრძალვას წარმოადგენს. მაგ.: წართქმითია: ხატე! ხატეთ! უარუთქმითი გამოიხატება ნაწილაკებით: ნუ და არ. უარუთქმითია: არ ხატო! ნუ ხატავ! ნუ დახატავ! არ დახატო! არ დახატოთ!

მწკრივები და სერიები. ქართულ ზმნას მრავალი პირიანი ფორმა აქვს. ეს ფორმები გარკვეული გრამატიკული ნიშნების მიხედვით ჯ გ უ ფ ე ბ ა დ იყოფა. ე რ თ ი ჯ გ უ ფ ი ს ფ ო რ მ ე ბ ი ა: ვიხატები, იხატები, იხატება, ვიხატებით, იხატებით, იხატებიან; მ ე ო რ ე ჯ გ უ ფ ი ს ა ა: ვიხატებოდი, იხატებოდი, იხატებოდა, ვიხატებოდით, იხატებოდით, იხატებოდნენ და სხვ. როგორც პირველ, ისე მეორე ჯგუფში შემავალი ფორმები ერთმანეთისაგან მხოლოდ პირისა და რიცხვის მიხედვით განსხვავდება. სხვა რამ სხვაობა მათ შორის არ არის.

ზმნის ფორმათა ისეთ წყებას, რომლებიც ერთმანეთისაგან მხოლოდ პირისა და რიცხვის მიხედვით განსხვავდებიან, მ წ კ რ ი ვ ი ჰქვია.

ამგვარად, ვიხატები, იხატები, იხატება, ვიხატებით, იხატებით, იხატებიან ერთი მწკრივის ფორმებია.

დღევანდელ ქართულში სულ 11 მწკრივია, რომელიც სამ ძირითად ჯგუფად იყოფა. თითოეულ ჯგუფს ს ე რ ი ა ჰქვია. სულ ს ა მ ი სერიაა: პ ი რ ვ ე ლ ი, მ ე ო რ ე და მ ე ს ა მ ე.

პირველ სერიაში 6 მწკრივია, მეორეში — ორი, მესამეში — სამი. ზმნის იმ ნაწილს, რომელსაც ჩამოშორებული აქვს პირისა და რიცხვის ნიშნები, ფ უ ძ ე ჰქვია. მაგ.: ვ ხ ა ტ ა ვ თ ზმნის ფუძეა ხ ა ტ ა ვ, რადგან მას პირისა და რიცხვის ნიშნები ჩამოშორებული აქვს.

I ს ე რ ი ა

პირველ სერიაში შედის 6 მწკრივი: ა წ მ ყ ო, უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი, ა წ მ ყ ო ს კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი; მ ყ ო ფ ა დ ი, ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ი, მ ყ ო ფ ა დ ი ს კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი. აქედან პირველ სამეულს ა წ მ ყ ო ს წ რ ე ჰქვია, მეორეს კი — მ ყ ო ფ ა დ ი ს წ რ ე.

ა წ მ ყ ო. დროის მიხედვით ახლანდელია, კილო — თხრობითი, მოგვეგებს კითხვაზე: რ ა ს ვ შ ვ რ ე ბ ი? — ვხატავ, ვწერ, ვიმალები...

თუ ერთპირიანი ზმნების ფუძე ი-ზე ბოლოვდება, მესამე პირში (მხ. რიცხვში) ეს ი ჩამოშორდება: ვიზრდები — იზრდები — იზრდება, ი ზ რ დ ე ბ ი სრული ფუძეა, ი ზ რ დ ე ბ — უსრული.

უღლების ნიმუშები

	მხ. რ.		მრ. რ.	
1.	ვაშენებ	ვიზრდები	ვაშენებთ	ვიზრდებით
2.	აშენებ	იზრდები	აშენებთ	იზრდებით
3.	აშენებს	იზრდება	აშენებენ	იზრდებიან

უწყვეტელი. დროის მიხედვით წარსულია, კილოს მიხედვით — თხრობითი. მისი კითხვაა რას ვშვრებოდი? გამოხატავს უწყვეტელ მოქმედებას. უწყვეტლის ნიშანია დ-ი, ოდ-ი, რომლებიც დაერთვის აწმყოს ფუძეზე. დ და ოდ სავრცობია, ი კი მწკრივის ნიშანი.

უღლების ნიმუშები

	მხ. რ.		მრ. რ.	
1.	ვაშენებდი	ვიზრდებოდი	ვაშენებდით	ვიზრდებოდით
2.	აშენებდი	იზრდებოდი	აშენებდით	იზრდებოდით
3.	აშენებდა	იზრდებოდა	აშენებდნენ	იზრდებოდნენ

აწმყოს კავშირებითი. დროის მიხედვით ახლანდელი ან მომავალია, კილოს მიხედვით — კავშირებითი. აწმყოს ფუძეს დაერთვის დ-ე ან ოდ-ე. დ და ოდ აქაც სავრცობია, ე მწკრივის ნიშანი. მოგვიგებს კითხვაზე: რას ვშვრებოდე? ზოგჯერ ამ მწკრივით ბრძანებითის მიღებაც შეიძლება: აშენებდეს! ჰყავდეს! სძულდეს! და სხვ.

უღლების ნიმუშები

	მხ. რ.		მრ. რ.	
1.	ვაშენებდე	ვიზრდებოდე	ვაშენებდეთ	ვიზრდებოდეთ
2.	აშენებდე	იზრდებოდე	აშენებდეთ	იზრდებოდეთ
3.	აშენებდეს	იზრდებოდეს	აშენებდნენ	იზრდებოდნენ

მყოფადი. დროის მიხედვით მომავალია, ანუ მყოფადი, კილოს მიხედვით — თხრობითი, ნაწარმოებია აწმყოსაგან უმთავრესად ზმნისწინების დართვით: ვხატავ — დავხატავ, ვიხატები — დავიხატები; ზოგჯერ ფუძის მონაცვლეობით: ვმუშაობ — ვიმუშავებ, ვცხოვრობ — ვიცხოვრებ. მყოფადის კითხვაა რას ვიზამ?

უღლების ნიმუშები

	მხ. რ.		მრ. რ	
1.	ავაშენებ	გავიზრდები	ავაშენებთ	გავიზრდებით
2.	აშენებ	გაიზრდები	აშენებთ	გაიზრდებით
3.	აშენებს	გაიზრდება	აშენებენ	გაიზრდებიან

ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ი. ნაწარმოებია უწყვეტლის მსგავსად. მყოფადის ფუძეს ერთვის დ-ი ან ო-დი. დ და ოდ საერცობია, ი მწკრივის ნიშანი. დროის მიხედვით წარსულია, კილოს მიხედვით — თხრობითი; გამოხატავს განმეორებულ (მრავალგზის) მოქმედებას, ე. ი. შეიცავს ხ ო ლ მ ე ს გაგებას. მოგვიგებს კითხვაზე — რ ა ს ვ ი ზ ა მ დ ი?

უ ღ ლ ე ბ ი ს ნ ი მ უ შ ე ბ ი

	მხ. რ.		მრ. რ.	
1.	ავაშენებდი	გავიზრდებოდი	ავაშენებდით	გავიზრდებოდით
2.	აშენებდი	გაიზრდებოდი	აშენებდით	გაიზრდებოდით
3.	აშენებდა	გაიზრდებოდა	აშენებდნენ	გაიზრდებოდნენ

მ ყ ო ფ ა დ ი ს კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი. დროის მიხედვით მომავალია, კილოს მიხედვით—კავშირებითი. ნაწარმოებია მყოფადის ფუძეზე დ-ე ან ოდ-ე მაწარმოებლების დართვით. დ და ოდ საერცობია, ე მწკრივის ნიშანი. მისი კითხვაა — რ ა ს ვ ი ზ ა მ დ ე?

უ ღ ლ ე ბ ი ს ნ ი მ უ შ ე ბ ი

	მხ. რ.		მრ. რ.	
1.	ავაშენებდე	გავიზრდებოდე	ავაშენებდეთ	გავიზრდებოდეთ
2.	აშენებდე	გაიზრდებოდე	აშენებდეთ	გაიზრდებოდეთ
3.	აშენებდეს	გაიზრდებოდეს	აშენებდნენ	გაიზრდებოდნენ

II ს ე რ ი ა

მეორე სერიაში შედის ორი მწკრივი: წ ყ ვ ე ტ ი ლ ი და II კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი.

წ ყ ვ ე ტ ი ლ ი. დროის მიხედვით წარსულია, კილო — თხრობითი. წარმოგვიდგენს შეწყვეტილ მოქმედებას. მწკრივის ნიშანია ე ან ი. ზოგჯერ ზმნას ნიშანი არა აქვს. მისი კითხვაა რ ა ვ ქ ნ ი? — დავხატ-ე, გავთბ-ი, მოვკალ. ამ მწკრივს შეუძლია გამოხატოს მე-2 პირის ფორმები ბრძანებითისა: აშენე! ააშენე! ააშენეთ! დაწერე!

უ ღ ლ ე ბ ი ს ნ ი მ უ შ ე ბ ი

	მხ. რ.		მრ. რ.	
1.	ავაშენე	გავიზარდე	ავაშენეთ	გავიზარდეთ
2.	აშენე	გაიზარდე	აშენეთ	გაიზარდეთ
3.	აშენა	გაიზარდა	აშენეს	გაიზარდნენ

II კავშირებითი. დროის მიხედვით მომავალია, კილოს მიხედვით კავშირებითი, მისი ნიშანია ო ან ე ან ა. მოგვიგებს კითხვაზე — რა ვქნა? დავხატ-ო, გავთბ-ე, მოვკლ-ა. იხმარება ბრძანებითი კილოს მნიშვნელობითაც: ისწავლოს! ისწავლონ! ვისწავლოთ! აკრძალვითი იქნება: არ ისწავლოს! არ ისწავლონ!

უღლების ნიმუშები

	შბ. რ.		მრ. რ.	
1.	ავაშენო	გავიზარდო	ავაშენოთ	გავიზარდოთ
2.	ააშენო	გაიზარდო	ააშენოთ	გაიზარდოთ
3.	ააშენოს	გაიზარდოს	ააშენონ	გაიზარდონ

თემა. ზმნის იმ ნაწილს, რომელიც საერთოა პირველი და მეორე სერიის ყველა მწკრივისათვის, თ ე მ ა ჰქვია. პირველი სერიის მწკრივებისათვის: ვხატავ, ვხატავდი, ვხატავდე — დავხატავ, დავხატავდი, დავხატავდე, თემა იქნება ხატავ, რადგან ის არის საყრდენი ნაწილი. ზმნა რომ II სერიის მწკრივებში გადავიყვანოთ, იქნება: დავხატე, დავხატო. აქ საყრდენ ნაწილს ხატ წარმოადგენს.

გვაქვს ე რ თ თ ე მ ი ა ნ ი და ო რ თ ე მ ი ა ნ ი ზმნები. ერთთემიან ზმნებს პირველსა და მეორე სერიაში ერთი თემა აქვთ. მაგ.: ვწერ, ვტეხ, ვქსოვ და სხვ. ვწერ ზმნის თემა არის წერ ორსავე სერიაში. ზმნათა დიდი ნაწილი ორთემიანია: ვ-ა-კეთებ, ვ-ა-კეთებ-დი, ვ-ა-კეთებ-დე და ა. შ. მეორე სერიაში — გავა-კეთ-ე — გავა-კეთ-ო. მაშასადამე, პირველ სერიაში თემა არის კეთებ, მეორეში — კეთ. ამიტომ ზმნა ორთემიანია.

იმ ბოლოსართს, რომელიც პირველი სერიის თემას განასხვავებს II სერიის თემისაგან, თ ე მ ი ს ნ ი შ ა ნ ი ჰქვია.

თემა ო რ გ ვ ა რ ი ა: მ ა რ ტ ი ვ ი და რ თ უ ლ ი. მარტივია თემა, რომელსაც არ ახლავს თემის ნიშანი. რთულია თემა, რომელშიც შედის თემის ნიშანი. რთული თემა მიიღება მარტივზე თემის ნიშნის დართვით. აშენებს ზმნის რთული თემაა შენებ, მარტივი — შენ. რთული თემაა I სერიაში, მარტივი კი — მეორეში.

ორთემიანთა შემადგენლობაში შედის ზმნები, რომლებიც ფუძის ე ხმოვანს მეორე სერიაში ი-თი შეიცვლიან: ვკრეფ — ვკრიფე, ვგრეხ — ვგრიხე, ვწმენდ — ვწმინდე და სხვ. ეს ზმნები ე. წ. ხ მ ო ვ ა ნ მ ო ნ ა ც ვ ლ ე ზმნებია.

ხმოვანმონაცვლეა ევ და ენ სუფიქსიანი ზმნები: ვანგრევ — ვანგრი(ვ)ე, არცხვენს — შეარცხვინა და სხვ.

თ ე მ ი ს ნ ი შ ნ ე ბ ი ა: ი, ავ, ამ, ებ, ობ, ემ, ოფ.

მაგ.: ვთლ-ი; ვკლ-ავ, ვაბ-ამ, ვაშენ-ებ, ვადნ-ობ, გავსც-ემ, გავყ-ოფ.

III სერია

მესამე სერიაში შედის სამი მწკრივი: I თურმეობითი, II თურმეობითი და III კავშირებითი.

ინვერსია. ინვერსია მოსდით ზმნებს, რომლებიც შეიცავენ პირდაპირ-ობიექტურ პირს.

როგორც ვიცით, ზმნის პირის ნიშნები ორგვარია: სუბიექტური და ობიექტური. სუბიექტური ნიშანი, ჩვეულებრივ, სუბიექტურ პირს აღნიშნავს, ობიექტური ნიშანი კი — ობიექტურს. ინვერსიის დროს პირის ნიშანთა დანიშნულება შებრუნებულია, შეცვლილია. კერძოდ, სუბიექტური ნიშნები ობიექტურ პირს გამოხატავენ, ობიექტური ნიშნები კი — სუბიექტურს. მაგ.: ვ-ხატავ სურათს (აწმყო), და-ვ-ხატე სურათი (წყვეტილი), და-მ-იხატავს სურათი (I თურმეობითი); III სერიაში სუბიექტური პირის ნიშანი ვ შეიცვალა მ ობიექტური პირის ნიშნით (ვ-ხატავ — და-ვ-ხატე — და-მ-იხატავს). ე. ი. ადგილი აქვს პირის ნიშანთა დანიშნულების შეცვლას, ანუ ინვერსიას. თუ პირველი პირი სამოქმედოა და იგი ობიექტური ნიშნით მ-თია გამოხატული პირველსა და მეორე სერიაში მხატავს (მე), დამხატა (მე), მესამე სერიაში ვ სუბიექტური ნიშნით შეიცვლება, ე. ი. ინვერსიული გახდება (და-ვ-უხატავვარ).

პირის ნიშნების დანიშნულების შეცვლას ინვერსია ჰქვია.

I თურმეობითი. დროის მიხედვით წარსულია, კილოს მიხედვით — თხრობითი. მოგვიგებს კითხვაზე — რა მიქნია? მიშენებია, მიკეთებია, დამიწერია, დამიხატავს და სხვ.

ერთპირიანი და ორპირიანი გარდაუვალი ზმნები მეშველზმნიანებია. მწკრივის ფორმა გამოხატავს უნახავ მოქმედებას.

უღლების ნიმუშები

	მხ. რ		მრ. რ.	
1.	ამიშენებია	გავზრდილვარ	აგვიშენებია	გავზრდილვართ
2.	აგიშენებია	გაზრდილხარ	აგიშენებიათ	გაზრდილხართ
3.	აუშენებია	გაზრდილა	აუშენებიათ	გაზრდილან

II თურმეობითი. დროის მიხედვით წარსულია, კილოს მიხედვით — თხრობითი. გამოხატავს უნახავ მოქმედებას. იგი, ჩვეულებრივ, წინ უსწრებს წარსულში მომხდარ სხვა მოქმედებას. გარდაუვალი ერთპირიანი ზმნები იწარმოება მეშველი ზმნებით, მისი კითხვაა — რა მექნა?

უღლების ნიმუშები

	მხ. რ.		მრ. რ.	
1.	ამეშენებინა	გავზრდილიყავ	აგვეშენებინა	გავზრდილიყავით
2.	აგეშენებინა	გაზრდილიყავ	აგეშენებინათ	გაზრდილიყავით
3.	აეშენებინა	გაზრდილიყო	აეშენებინათ	გაზრდილიყვნენ

III კავშირებითი. დროის მიხედვით წარსულია ან მომავალი. სახელი დარქმეულია სერიისა (შედის III სერიაში) და კლოს მიხედვით. მწკრივის ნიშნებად გვაქვს II კავშირებითის ო, ე და ა ხმოვნები. ზოგი ზმნა ოდ სავრცობიანია. მისი კითხვაა — რა მეჭნას? ამ მწკრივის ფორმის ხმარება თანამედროვე ქართულში შედარებით იშვიათია, ხშირად მას ცვლის II თურმეობითი.

უღლების ნიმუშები

	მხ. რ.		მრ. რ.	
1.	ამეშენებინოს	გავზრდილიყო	აგვეშენებინოს	გავზრდილიყოთ
2.	აგეშენებინოს	გაზრდილიყო	აგეშენებინოთ	გაზრდილიყოთ
3.	აეშენებინოს	გაზრდილიყოს	აეშენებინოთ	გაზრდილიყვნენ

ზმნის ძირი. ზმნის დაუშლელ, უაფიქსო ნაწილს ძირი ჰქვია. ძირი საერთო ნაწილი უნდა იყოს ყველა მწკრივისათვის. მაგ.: წერ ძირია ამ ზმნის ყველა მწკრივისათვის (ვ-წერ-თ, ვ-წერ-დით, ვ-წერ-დეთ, და-ვ-წერ-თ, დავ-წერ-დით, დავ-წერ-დეთ; დავ-წერ-ეთ, დავ-წერ-ოთ; დაგვე-წერ-ია, დაგვე-წერ-ა, დაგვე-წერ-ოს). ძირი ზოგჯერ შეიძლება იყოს უსრული. მაგ.: კლ უსრული ძირია ვკლავ ზმნაში. გაიშლება, თუ მას მეორე სერიაში წყვეტილის I-სა და II პირში დავიყვანთ: მოვკალ, მოკალ; მესამე პირში კვლავ შეიკუმშება სუბიექტური ნიშნის დართვის გამო — მო-კლ-ა.

გარდამავლობა. სამპირიანი ზმნა გარდამავალია, ერთპირიანი ზმნა — გარდაუვალი, ორპირიანი ზმნა გარდამავალიც შეიძლება იყოს და გარდაუვალიც. როცა ზმნა ორპირიანია და მას ახლავს ირიბი ობიექტი, გარდაუვალია; გარდამავალია ზმნა, თუ მას პირდაპირი ობიექტი აქვს შეწყობილი.

პირდაპირი ობიექტი ბრუნვაცვალებადია: I სერიის მწკრივის ფორმებთან მიცემითშია, II-სა და III სერიის მწკრივის ფორმებთან სახელობითში. ირიბი ობიექტი მუდამ ბრუნვაუცვლელია. მაგ.: გარდამავალია: ვხატავ სურათს, დავხატე სურათი; გარდაუვალია: ვეფერები ბავშვს, მოვეფერე ბავშვს.

გვარი. ზმნის ფორმას, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორია ურ-

თიერთობა სუბიექტურ პირსა და ზმნით აღნიშნულ მოქმედებას შორის, გვარი ჰქვია. გვარი ქართულში სამია: მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი. ვნებითი გვარი შებრუნებული (კონვერსიული) ფორმაა მოქმედებითი გვარის ზმნისა.

მოქმედებითი გვარი. მოქმედებითი გვარის ზმნა გარდამავალია, რადგან იგი პირდაპირ ობიექტს შეიცავს. ასეთი ზმნები III სერიაში ინვერსიულადაა ნაწარმოები.

ვნებითი გვარი. ვნებითი გვარის ზმნა გარდაუვალია. ვნებითის გრამატიკული ნიშნებია თავსართები ი (ი-ხატება) და ე (ე-ხატება), ბოლოსართი დ (შენ-დ-ება). ი მოუდის ერთპირიან ზმნებს, ე კი — ორპირიანებს. ბოლოსართი დ შეიძლება ჰქონდეს როგორც ერთპირიან ზმნებს, ისე ორპირიანებს (შენ-დ-ება — უშენ-დ-ება).

არის ერთი ჯგუფი ზმნებისა, რომლებსაც ვნებითის საწარმოებლად რაიმე ნიშანი არა აქვთ. ასეთი ზმნები ერთპირიანებიცაა და ორპირიანებიც (შრება — უშრება). ისევე, როგორც სხვა ვნებითებს, ამათაც აქვთ ებ-ი დაბოლოება აწმყოს პირველსა და მეორე პირში.

ზემოთ დასახელებულ ვნებითებს, ნიშნიანს თუ უნიშნოს, დინამიკური ვნებითი გვარის ზმნები ჰქვია.

სტატიკური ვნებითი. დინამიკურ ვნებითს შეიძლება ჰქონდეს შესაბამისი სტატიკური (ითესება — სთესია). დინამიკური გამოხატავს მოქმედების პროცესს, სტატიკური — შედეგს (სთესია). დინამიკური ბევრია, სტატიკური — ცოტა. სტატიკური ზმნებია: აგდია — ეგდო, ყრია — ეყარა, ახურია — ეხურა და სხვ.

სტატიკურ ვნებითებს პირველი სერიიდან საკუთრივ მხოლოდ აწმყო აქვთ, მეორე სერიიდან — წყვეტილი, მესამე სერია შეიძლება ჰქონდეთ მთლიანად (აგდია — ეგდო; გდებულა, გდებულიყო, გდებულიყოს).

საშუალი გვარი. საშუალი გვარის ზმნებს საკუთრივ მხოლოდ აწმყო ან აწმყოს წრის მწკრივები აქვთ.

საშუალი გვარის ზმნები ორ ჯგუფად იყოფა: საშუალ-მოქმედებითად და საშუალ-ვნებითად.

პირველ ჯგუფში (საშუალ-მოქმედებითებში) შემავალი ზმნები ნაკლული მწკრივების შესავსებად იყენებენ მოქმედებითის ფორმებს. მოქმედებითისაგან განსხვავებით, არა აქვთ პირდაპირ ობიექტი, აქვთ ბრუნვაცვალებადი სუბიექტი, ახასიათებთ ინვერსია III სერიის მწკრივებში.

საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნებს თემის ნიშანმონაცვლე ზმნებს უწოდებენ, რადგან აწმყოს წრის მწკრივებიდან მყოფადის წრის მწკრივებში გადაყვანისას, ჩვეულებრივ, იცვლიან თემის ნიშნებს

(შეეცვლებათ ებ თემის ნიშნით). ამავე დროს თავში უჩნდებათ ი და უ (ი ერთპირიანებს, უ ორპირიანებს): ვ-ჩივი, ვ-ი-ჩივლ-ებ, მ-ი-ჩივლია, დარაჯობს — უ-დარაჯ-ებ-ს. ამგვარივე ზმნებია: კივის, ქრის, ცხოვრობს, ექიმობს, რაკრაკებს, ქუხს და მისთ.

მეორე ჯგუფის ზმნები (საშუალ-ვნებითები) ნაკლულ მწკრივებს ივსებენ ვნებითის ფორმებით (ინიანით და ენიანით): დგახ — ი-დგა, წევს — ი-წვა; ვარ — ვ-ი-ქნები, ვ-ი-ყავი; უყვარს — ე-ყვარება, უწევს — ე-წვა და სხვ.

ქცევა. ზმნის ფორმას, რომელიც გამოხატავს კუთვნილებით-დანიშნულებით ურთიერთობას სუბიექტსა და ობიექტს შორის ან ობიექტებს შორის, ქ ც ე ვ ა ჰქვია. ქცევა სამია ქართულში: ს ა თ ა ვ ი ს ო, ს ა ს ხ ვ ი ს ო და ს ა ა რ ვ ი ს ო. ქცევის ფორმა ორპირიანია ან სამპირიანი. სამივე ქცევის წარმოება მხოლოდ გარდამავალ ზმნას შეუძლია.

ს ა თ ა ვ ი ს ო ქ ც ე ვ ა. სათავისო ქცევის ფორმაში პირდაპირი ობიექტი ეკუთვნის სუბიექტს. სათავისო ქცევის ნიშანია ი, აქვს როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური წყობის ზმნებს: ი-ხატავს, ი-შენებს, ეს ნიშანი გადაჰყვება ზმნას ყველა პირსა და რიცხვში.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

1.	ვ-ი-შენებ	ვ-ი-შენებთ	მ-ი-წვევს	გვ-ი-წვევს
2.	ი-შენებ	ი-შენებთ	გ-ი-წვევს	გ-ი-წვევთ
3.	ი-შენებს	ი-შენებენ	ი-წვევს	ი-წვევს

ს ა ს ხ ვ ი ს ო ქ ც ე ვ ა. სასხვისო ქცევის ფორმებში პირდაპირი ობიექტი ეკუთვნის ირიბ ობიექტს, ნიშნებია ი და უ. ი აქვთ ობიექტური წყობის ზმნებს I-სა და II პირში, სხვა დანარჩენ შემთხვევაში უ არის (მ-ი-ხატავს, გ-ი-ხატავს...; ვ-უ-ხატავ, უ-ხატავ, უ-ხატავს).

სათავისო და სასხვისო ქცევები ერთმანეთს ჰგვანან ობიექტური წყობის ზმნათა I და II პირში, სადაც ორივე ი ნიშნითაა წარმოდგენილი, განსხვავება თავს იჩენს III პირში: სათავისოს ნიშანია ი, სასხვისოსი — უ.

გარდა ამისა, სათავისო ქცევის ზმნა ყოველთვის ორპირიანია და გარდამავალი, სასხვისო ქცევისა კი — სამპირიანი.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

1	მ-ი-წუხებს (ის მე)	მ-ი-წუხებს (ის მე მას)
2.	გ-ი-წუხებს (ის შენ)	გ-ი-წუხებს (ის შენ მას)
3.	ი-წუხებს (ის მას)	უ-წუხებს (ის მას მას)

საარვისო ქცევა. საარვისო ქცევის ფორმაში არ ჩანს, თუ ვისია, ვისთვის არის დანიშნული პირდაპირი ობიექტი. ქცევის ნიშანია თავსართი ა (ა-შენებს, ა-თეთრებს...) ან ნული, ე. ი. ნიშანი არა აქვს (ხატავს, წერს...); საარვისო ქცევისაა ორპირიანი და სამპირიანი გარდამავალი ზმნები, ნიშნიანი და უნიშნო. მაგალითად, ნიშნიანი ორპირიანია: ა-კეთებს, ა-შენებს, ა-ნგრევს...; უნიშნოა: წერს, ტეხს, გლეჯს...; ნიშნიანი სამპირიანია: და-ა-ბარა, წა-ა-კითხა, მი-ა-კერებს...; უნიშნოა: ჰ-კითხავს, ს-თხოვს, მი-ს-წერს...

ქცევა გარდაუვალ ზმნებთან. გარდაუვალ ზმნებს ქცევა შეიძლება ჰქონდეს ორი: საარვისო და სასხვისო. საარვისო ერთპირიანი იქნება, სასხვისო — ორპირიანი, მაგ.: თბება — უ-თბება, კეთდება — უ-კეთდება, ხატია — უ-ხატია, წუხს — უ-წუხს...

შინაარსის მიხედვით ამ ფორმებს ემსგავსებიან პრეფიქსიანი ვნებითები: ინიანი და ენიანი. ინიანი იძლევა საარვისო ქცევის გაგებას, ენიანი — სასხვისოსას (ი-ხატება — ე-ხატება).

გარდაუვალი ზმნების სასხვისო ქცევის ფორმებში სუბიექტი ირიბ ობიექტს განეკუთვნება (უშენდება პეტრეს სახლი): აქ სახლი პეტრესთვისაა (ირიბი ობიექტისთვისაა) დანიშნული.

უქცეო ზმნები. საპირისპირო ფორმების უქონლობის გამო ქცევის გაგებას არ იძლევიან ზმნები: იცის, უყვარს, აქვს, ახსოვს, ცხოვრობს და სხვ. მათ უქცეო ზმნები ჰქვია. მაგ.: ზმნაში ა-ხსოვს ა საარვისო ქცევის ნიშანია, მაგრამ უფუნქციო; არა აქვს შესაბამისი სათავისო (ი-ხსოვს) და სასხვისო (უ-ხსოვს).

კონტაქტი. კონტაქტი არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტი პირდაპირ ობიექტზე მოქმედებს. კონტაქტი ორია: უშუალო და შუალობითი. უშუალო კონტაქტის ფორმა აღნიშნავს, რომ სუბიექტი სხვა პირის დაუხმარებლად მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე, შუალობითი კონტაქტისაა ფორმა, როცა სუბიექტი უშუალოდ კი არ მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე, არამედ სხვა პირის მეშვეობით. მაგ.: „თინა სურათს ხატავს", „მხატვარი თინას სურათს ახატვინებს". პირველ წინადადებაში თინა უშუალოდ, სხვის დაუხმარებლად ხატავს სურათს, მეორე წინადადებაში თინა სურათს არა უშუალოდ ხატავს, არამედ მხატვრის მეშვეობით. ამიტომ ხატავს ზმნა უშუალო კონტაქტისაა, ახატვინებს — შუალობითისა.

შუალობითი კონტაქტის მაწარმოებელია მარტივი ინ და რთული ევინ (ევ-ინ).

ინ: წერს — აწერ-ინ-ებს, ათეთრებს — ათეთრებ-ინ-ებს, ანგრევს — ანგრევ-ინ-ებს...

ევინ: შლის — აშლ-ევინ-ებს, კლავს — აკვლ-ევინ-ებს, ცვლის — აცვლ-ევინ-ებს...

კონტაქტის ფორმა მოქმედებითი გვარის ზმნებს ეწარმოებათ, აშვიათად შეიძლება ჰქონდეს ვნებითებს: იკვლება — ეკვლ-ევინ-ება, ილანძღება — ელანძღ-ინ-ება და მისთ.

თავისებური ზმნების ზოგადი დახასიათება

თავისებური ზმნები სხვადასხვაგვარია: ზმნას შეიძლება აკლდეს პირი, რიცხვი, მწკრივი ან მთელი სერია. დანაკლის ფორმებს ასეთი ზმნები ივსებენ სხვა ფუძეებით.

თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ი ზ მ ნ ე ბ ი ა:

1. პირნაკლი ზმნები: თოვს, წვიმს, თენდება, ღამდება... მათ პირველი და მეორე პირის ფორმების წარმოება არ შეუძლიათ. ისინი ვერც მრავლობით რიცხვს აწარმოებენ, ე. ი. რიცხვნაკლიცაა.

გვაქვს პირში მონაცვლე ზმნებიც. ერთი ჩვეულებრივ საუბარში იხმარება, მეორე — მორიდებულში: არის — გახლავს, ხარ — ბრძანდები, ჰამა — მიირთვა, თქვა — ბრძანა, დაჯდა — დაბრძანდა და მისთ.

2. რიცხვნაკლი ზმნები. ზმნა შეიძლება იყოს რიცხვნაკლი სუბიექტის მიხედვით. ნაკლულ ფორმებს ისინი სხვა ფუძის ზმნით ივსებენ (ზის — სხედან, დაყარდა — დაცვივდა...), ასეთივე მონაცვლეობაა ობიექტის მიხედვითაც (გადააგდო — გადაყარა, დასვა — დასხა...).

მწკრივნაკლი ზმნები. მწკრივნაკლ ზმნებს ყველა მწკრივის წარმოება არ შეუძლიათ. ნაკლულ ფორმებს ისინი ივსებენ სხვა ფუძის ზმნით: ზის — იჯდა — დაჯდება, არის — იყო — იქნება და სხვ.

ს ა ხ ე ლ ზ მ ნ ა

სავარჯიშო 150. გადაიწერეთ მაგალითები. ზმნის პირიან ფორმებს მიუწერეთ გასწერივ შესაბამისი უპირო ფორმები (საწყისი და მიმღეობა).

პირიანი ფორმები	უპირო ფორმები	
	საწყისი	მიმღეობა
წერს		
აშენებს		
აკეთებს		
ღელავს		
ანვრევს		
დაგლეჯს		

ცემს
გაჭრის
დავრეხს

სავარჯიშო 151. გადაიწერეთ მაგალითები. გაუსვით ქვეშ ხაზი საწყისსა და მიმღეობას. გამოარკვიეთ მათი სახელური ნიშნები, რა და რა მეტყველების ნაწილის როლს ასრულებენ ისინი და წინადადების რა წევრი შეიძლება იყოს თითოეული მათგანი.

ზღვის ღელვამ იმატა.
აღელვებულმა ზღვამ გემს წონასწორობა დაურღვია.
კაცი სახლის აშენებას შეუდგა.
აშენებული სახლი ლამაზია.

სავარჯიშო 152. გადაიწერეთ მაგალითები. საპირისპირო ფორმათა შედარებით გამოარკვიეთ, ზმნის რომელ გრამატიკულ კატეგორიებს აწარმოებენ საწყისები. საპირისპირო ფორმებს დაწერეთ თავზე თავ-თავისი სახელწოდება. გამოყავით სათანადო მაწარმოებლები დეფისით.

წერა	—	დაწერა	დაწერა	—	დაწერინება
ხატვა	—	დახატვა	დახატვა	—	დახატვინება
შენება	—	აშენება	აშენება	—	აშენებინება
კეთება	—	გაკეთება	გაკეთება	—	გაკეთებინება
ქრობა	—	ჩაქრობა	ჩაქრობა	—	ჩაქრობინება
ბარვა	—	დაბარვა	დაბარვა	—	დაბარვინება
კვლა	—	დაკვლა	დაკვლა	—	დაკვლევინება
ბმა	—	დაბმა	დაბმა	—	დაბმევინება

გადმოეცით, ზმნის რომელი გრამატიკული კატეგორიების წარმოება შეუძლია საწყისს.

სავარჯიშო 153. გადაიწერეთ მაგალითები. საპირისპირო ფორმათა შედარებით გამოარკვიეთ, ზმნის რომელ გრამატიკულ კატეგორიებს აწარმოებენ მიმღეობები. საპირისპირო ფორმებს დაწერეთ თავზე თავ-თავისი სახელწოდება. გამოყავით სათანადო მაწარმოებლები დეფისით.

მკეთებელი — გამკეთებელი
მშენებელი — აშენებელი
მშლელი — წამშლელი
მთესველი — დათესველი
მლებავი — შემღებავი

გამკეთებელი — გამკეთებინებელი
აშენებელი — აშენებინებელი
წამშლელი — წამშლევინებელი

დამთესველი — დამთესვინებელი
შემღებავი — შემღებვინებელი

გაკეთებული — გასაკეთებელი
აშენებული — ასაშენებელი
წაშლილი — წასაშლელი
დაწერილი — დასაწერი
დახატული — დასახატი

შემწუხებელი — შეწუხებული — მწუხარე
ამდუღებელი — ადუღებული — მდუღარე
მშენებელი — აშენებული
მგრეხავი — დაგრეხილი
ამტირებელი — მტირალი

გადმოეცით, ზმნის რომელი გრამატიკული კატეგორიების წარმოება შეუძლია მიმღეობას; რას ჰქვია სახელზმნა.

სავარჯიშო 154. შეადარეთ ერთმანეთს ქვემოთ მოცემულ ზმნათა პირიანი და უპირო ფორმები. გამოარკვიეთ, რომელმა გრამატიკულმა ნიშანმა აწარმოა საწყისი. გამოუყავით სათანადო მაწარმოებელი დეფისით.

წერს	—	წერა	გაათბობს	—	გათბობა
გრეხს	—	გრეხა	დაალპობს	—	დალპობა
ანგრევს	—	ნგრევა	გაჭრის	—	გაჭრა
გააკეთებს	—	გაკეთება	გათლის	—	გათლა

აღნიშნეთ, რომელი ხმოვანი აწარმოებს საწყისს.

სავარჯიშო 155. გადაიწერეთ მაგალითები. პირიანი და უპირო ფორმების შედარება-შეპირისპირებით გამოარკვიეთ, რომელი ასო (ასოები) ჩნდება საწყისის მაწარმოებელ ა ხმოვნის წინ. გამოუყავით ისინი დეფისით.

სთხოვს	—	თხოვნა	წევს	—	წოლა	დგას	— დგომა
ძოვს	—	ძოვნა	ისვრის	—	სროლა	კრთის	— კრთომა
ვიპოვი	—	პოვნა	ქრის	—	ქროლა	სხედან	— სხდომა
ვაშოვი	—	შოვნა	თრთის	—	თრთოლა	წყრება	— წყრომა
ახსოვს	—	ხსოვნა	იბრძვის		ბრძოლა	ჯდება	— ჯდომა
ცვივის	—	ცვივნა	ძრწის	—	ძრწოლა	წვდება	— წვდომა

სავარჯიშო 156. გადაიწერეთ მაგალითები. პირიანი და უპირო ფორმების შედარება-შეპირისპირებით გამოარკვიეთ სხვაგვარად ნაწარმოები საწყისი. გამოუყავით მაწარმოებლები დეფისით. აღნიშნეთ, რომელია ეს მაწარმოებლები.

დუღს	—	დუღილი	ტყუის	—	ტყუილი
ქუხს	—	ქუხილი	ბღავის	—	ბღავილი

წუხს	— წუხილი	უყვარს	— სიყვარული
კივის	— კივილი	ებრალება	— სიბრალული
რცხვენია	— სირცხვილი	დადის	— სიარული
დუმს	— დუმილი		

სავარჯიშო 157. გადაიწერეთ მაგალითები. ფორმათა შედარება-შეპირისპირებით გამოარკვიეთ, რა აწარმოებს მიმღეობას (თავსართი, ბოლოსართი თუ ორივე ერთად). გამოყავით სათანადო მაწარმოებლები დეფისით.

კერავს	—	მკერავი
დაწერს	—	დაწერილი
თლის	—	მთლელი

სავარჯიშო 158. გადაიწერეთ მაგალითები. ზმნის პირიან ფორმათაგან მ, მ(ა)—ელ, მ—არ მაწარმოებლების დართვით აწარმოეთ მიმღეობები და მიუწერეთ გასწვრივ.

1. მ თავსართის დართვით	2. მ(ა)-ელ თავსართ-ბოლოსართის დართვით	
კერავს	ხნავს	დააარსებს
ღებავს	კლავს	დააახლოვებს
ლესავს	თლის	აკეთებს
დაწერს	ჭრის	აერთებს
მოიტანს	წაშლის	აშენებს
დაგრეხს	დაკარგა	გააუქმებს
დაიწყებს	დააფასებს	დაამტკიცებს
	უკრავს	გაამხნევებს

3. მ-არ (დისიმილაციით მ-ალ) თავსართ-ბოლოსართის დართვით

ხატავს
წერს
კურნავს
იკვლევს

გადმოეცით, რომელი გვარის მიმღეობა აწარმოეთ და რომელი ნიშნებით; აქვს თუ არა მას გრამატიკული დრო.

სავარჯიშო 159. გადაიწერეთ მაგალითები. ზმნის პირიანი ფორმისაგან სათანადო მაწარმოებლების დართვით აწარმოეთ მიმღეობები და მიუწერეთ მათ გასწვრივ.

1. ილ ბოლოსართის დართვით

დაწერს	გათხრის	შეღებავს	გააპობს
დაგრეხს	გაჭრის	დახერხავს	დაამხობს
გატეხს	დაგვის	გაბერავს	
მოიტანს	დაღვრის		
გაწყვეტს	გაშლის		
დაგლეჯს	მომკის		
გახვრეტს			
გაფენს			

2. ულ ბოლოსართის დართვით

დახატავს	აბამს	წააქცევს	გააშავებს
მოხნავს	იცვამს	დაანგრევს	გააკეთებს
დაფარავს	დაადგამს	დაბნევს	აშენებს
დაბარავს	დაარტყამს	დახვევს	გაათეთრებს
მოქარგავს	შესვამს	შეაჭმევს	გააქვავებს
დაკარგავს		დაარბევს	დაბერებს
მოჰპარავს			

3. მ-არ (დისიმილაციით მ-ალ) თავსართ-ბოლოსართის დართვით

დააჭკნო
გაადნო
გაახმო
გააშრო
დადგა

4. ნა თავსართის დართვით

ხნავს	ყიდულობს
მოიტანა	ქარგავს
აშენა	ბარავს
წერა	თესავს

5. სა თავსართის ან სა-ელ თავსართ-ბოლოსართის დართვით

მოიტანს	გაბერავს
ტეხს	გახერხავს
აშრობს	გაწმენდს
გააკეთებს	დაამუშავებს

გაშლის გააფერადებს
გაჭრის
გაადნობს

6. უ თ ა ვ ს ა რ თ ი ს ან უ-ელ თ ა ვ ს ა რ თ-ბ ო ლ ო ს ა რ თ ი ს დ ა რ თ ვ ი თ

დახატა	გატეხა
დაწერა	გლეჯს
ჩააცვა	გაშალა
დაბარა	შეამოწმა
გაბერა	შეაკეთა

დასასრულ გადმოეცით, ზემოთ მოცემული პირიანი ზმნებისაგან რომელი გვარის მიმღეობა აწარმოეთ და რომელი ნიშნებით.

სავარჯიშო 160. გადაიწერეთ მაგალითები. ზმნის პირიანი ფორმებისაგან აწარმოეთ მიმღეობები.

1. მ თ ა ვ ს ა რ თ ი ს დ ა რ თ ვ ი თ

ცურავს
ხოხავს
გმინავს
ბუუტავს
ტოკავს
ბოლავს

2. მ-არ (მ-ალ), მ-არე (მ-ალე) თ ა ვ ს ა რ თ-ბ ო ლ ო ს ა რ თ ი ს დ ა რ თ ვ ი თ

სძინავს	ქუხს
სტვენს	წუხს
ტირის	ხურს
ყარს	დუმს
დუღს	

3. მო-ე თ ა ვ ს ა რ თ-ბ ო ლ ო ს ა რ თ ი ს დ ა რ თ ვ ი თ

თამაშობს	ბიბინებს
დარაჯობს	ნავარდობს
რაკრაკებს	კამათობს
ჭიკჭიკებს	ყაყანებს

გადმოეცით, რომელი გვარის მიმღეობა აწარმოეთ და რომელი ნიშნებით.

სავარჯიშო 161. მოიგონეთ და ჩაიწერეთ რვეულში ისეთი სამეული გვარიან ზმნები, რომლებსაც მიმღეობა არ ეწარმოებათ.

სახელზმნის ზოგადი დახასიათება (ც ნ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს)

ისეთ სიტყვას, რომელსაც სახელის ნიშნებიც აქვს და ზმნისაც, ს ა ხ ე ლ ზ მ ნ ა ჰქვია. სახელზმნა ორგვარია: ს ა წ ყ ი ს ი და მ ი მ-

ღ ე ო ბ ა. საწყისი წინადადებაში ისეა გამოყენებული, როგორც არსებითი სახელი, ხოლო მიმღეობა — როგორც ზედსართავი სახელი.

საწყისი. საწყისი წინადადებაში ბრუნებადი სიტყვაა (კეთება, კეთება-მ, კეთება-ს...). არსებითი სახელისაგან განსხვავებით არა აქვს მრავლობითი რიცხვი.

საწყისი დაირთავს ზმნისწინს და გამოხატავს მიმართულებას (მი-სვლა — მო-სვლა) ან აწარმოებს ასპექტს (კეთება — გა-კეთება), შეუძლია გადმოგვცეს კონტაქტიც (აშენება — აშენებ-ინ-ება).

საწყისის მაწარმოებელია ბოლოსართი ა, რომელიც ერთვის აწმყოს ფუძეს (წერს — წერა).

ზოგიერთ საწყისს ა ნიშნის წინ უჩნდება ოლ, ომ, ნ ბოლოსართები: ქრის — ქრ-ოლ-ა, ხტის — ხტ-ომ-ა, ძოვს — ძოვნა.

გვაქვს სხვაგვარად ნაწარმოები საწყისიც: დუღს — დუღ-ილ-ი, უხარია—სი-ხარ-ულ-ი...

მიმღეობა. როგორც ითქვა, მიმღეობას წინადადებაში ზედსართავი სახელის ფუნქცია აკისრია. სახელის მსგავსად აქვს ბრუნვის კატეგორია. ზმნის კატეგორიებიდან აქვს დრო (აშენებული — ასაშენებელი), ასპექტი (მკეთებელი — გამკეთებელი), კონტაქტი (მკეთებელი — გამკეთებინებელი), გვარი (გამზრდელი (მოქმ.) — გაზრდილი (ვნებ.).

მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი გ ვ ა რ ი ს მ ი მ ღ ე ო ბ ა: არა აქვს დროის კატეგორია, იწარმოება I სერიის ფუძისაგან მ-ელ თავსართ-ბოლოსართის დართვით (მ-შენებ-ელ-ი). თუ ზმნა იწყება ა ხმოვნით ან მ თანხმოვნით, ზოგჯერ თავსართად მა გვხვდება (აახლოვებს — და-მა-ახლოვებ-ელ-ი, და-მა-მორჩილებ-ელ-ი).

ვ ნ ე ბ ი თ ი გ ვ ა რ ი ს მ ი მ ღ ე ო ბ ა. აქვს დროის გაგება — წარსულისა და მომავლისა.

წარსული დროის საწარმოებლად გამოყენებულია ილ ან ულ ბოლოსართები, ნა თავსართი და მ-არ თავსართ-ბოლოსართი (დაწერ-ილ-ი, აშენებ-ულ-ი, ნა-კეთები, გა-მ-ხმ-არ-ი...). მომავალი დროის მიმღეობის საწარმოებლად სა თავსართი და ზოგჯერ ხა თავსართთან ერთად ელ ან არ ბოლოსართებია გამოყენებული (სა-ხატავი, ა-სა-შენებ-ელ-ი, სა-ძებ-არ-ი...).

ვნებითი გვარის მიმღეობას ზოგჯერ აქვს უარყოფითობის გაგებაც, რაც უ (ან უ-ელ) აფიქსებითაა გამოხატული (მოჭრილი — მო-უ-ჭრ-ელ-ი, დახატული — და-უ-ხატავი).

ს ა შ უ ა ლ ი გ ვ ა რ ი ს მ ი მ ღ ე ო ბ ა. საშუალი გვარის მიმ-

ღეობის საწარმოებლად გვაქვს თავსართი მ და თავსართ-ბოლოსართები: მ-არ, მ-არე (დისიმილაციით მ-ალ, მ-ალე) და მო-ე (მ-ცურავი, მ-ძინ-არ-ი, მ-დუღ-არე, მო-თამაშ-ე).

ფორმაუცვლელი სიტყვები და ნაწილაკები

ზმნიზედა

სავარჯიშო 102. წაიკითხეთ მაგალითები. დაუსვით სათანადო კითხვები ზმნიზედებს მაგალითებში: აქ მოდის, გუშინ მოვიდა, ნელა მოვიდა, ამიტომ მოვიდა, ამისათვის მოვიდა.

განმარტეთ რას ჰქვია ზმნიზედა.

სავარჯიშო 103. წაიკითხეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, რას ახლავს ზმნიზედები მაგალითებში: აქ მოვიდა, აქ მოსულა, ოდნავ წითელი, ძალიან თეთრი, ძალიან მაღლა.

ამასთანავე გადმოეცით, რა წევრია ზმნიზედა წინადადებაში.

სავარჯიშო 104. დახაზეთ რვეულში ქვემოთ მოცემული სქემა. გამოარკვიეთ, რომელ შინაარსობრივ ჯგუფს განეკუთვნება სქემაში მოცემული ესა თუ ის ზმნიზედა. დაწერეთ ჯგუფის სახელწოდება და კითხვები შესაბამის ადგილას. შეიტანეთ თითოეულ ჯგუფში სათანადო ზმნიზედები.

ზმნიზედის ჯგუფები	კითხვები	მაგალითები
		წინ
		ახლა
		ძლიერ
		ამიტომ
		ამისათვის
		ამდენად ორჯერ ერთობრივად

სავარჯიშო 105. 1. გაიხსენეთ და ჩაიწერეთ რვეულში პირველადი ზმნიზედები.

2. გამოარკვიეთ ქვემოთ მოყვანილი მეტყველების სხვა ნაწილებიდან მომდინარე ზმნიზედების გაქვავებულ ფორმათა ბრუნვები. გადაიწერეთ ისინი და ისე შეიტანეთ შესაფერის ბრუნვებში. მოიგონეთ მსგავსი ზმნიზედები და მიუწერეთ მათ გასწვრივ შესაბამისად.

შორს, შუაში, ბოლოსკენ, დილით, ცერად, მაღლიდან.

სახ. _____
მოთხ. _____
მიც.
ნათ.
მოქმ.
ვით.
წოდ. _____

დაახასიათეთ მეტყველების რომელი ნაწილებისაგანაა მიღებული ისინი და რა ფორმით.

3. გადმოეცით, რა მნიშვნელობას იღებს ვითარებით ბრუნვაში დასმული ზედსართავი სახელი (ან მიმღეობა), რომლებიც ზმნასთან არიან დაკავშირებული (დაასახელეთ მაგალითები).

4. ჩამოწერეთ ა) ორ და ერთ დართული ზმნიზედები, ბ) სახელის ფუძისაგან მიღებული მარტივფუძიანი და ფუძეგაორკეცებული ზმნიზედები; აგრეთვე, პირველადი ზმნიზედები, რომლებიც გაორკეცებულია.

5. შეადგინეთ თქვენ თვითონ პატარ-პატარა წინადადებები სხვადასხვა ჯგუფებში შემავალი ზმნიზედების გამოყენებით (სულ ათი წინადადება).

თანდებული

სავარჯიშო 166. გადაიწერეთ მაგალითები. გამოყავით სიტყვებში თანდებულები. აღნიშნეთ, რომელ ბრუნვებს დაერთვიან თანდებულები და რა მნიშვნელობას აძლევენ სახელს ისინი.

1. კიდობანთან თაგვი აფხაკუნებდა (ი. ჭ.). 2. ყველანი სოფლისაკენ გაემართნენ (ლ. ქ.). 3. ორმოცი წლის ერეკლე მეფე ლომივით იბრძოდა (ი. გ.).

განმარტეთ, რას ჰქვია თანდებული.

სავარჯიშო 167. დახაზეთ რვეულში ქვემოთ მოცემული სქემა. მოიგონეთ თანდებულები და შეიტანეთ ისინი სქემაში იმის მიხედვით, თუ რომელი ბრუნვისაგან ცალკე მდგომია თუ შერწყმული. ჩაწერეთ რა მნიშვნელობას გამოხატავს.

ბრუნვები	ცალკე მდგომი თანდებულებ	შერწყმული თანდებულები	თანდებულების მნიშვნელობა
სახელობითი			
მოთხრობითი			
მიცემითი			
ნათესაობითი			
მოქმედებითი			
ვითარებითი			
წოდებითი			

ამასთან ერთად გადმოეცით: ა) რომელია თანდებულიანი და უთანდებულო ბრუნვები; ბ) რა მნიშვნელობები აქვს ნათესაობითის გან თანდებულს; რა ფორმით იხმარება დღევანდელ სალიტერატურო ქართულში მოქმედებითის გან თანდებული და რა მნიშვნელობით; რომელ ბრუნვებს დაერთვის თანდებული ვით; რა შემთხვევაში იხმარებიან შორის და შუა თანდებულები (დაასახელეთ მაგალითები); როგორ იხმარებოდა ძველად თანდებულები ზე და თან; რამდენმარცვლიანია შეწუმული თანდებული. და რამდენმარცვლიანია ცალკე მდგომი.

. სავარჯიშო 168. გადაიწერეთ ქვემოთ მოყვანილი ზმნიზედები. მათი გამოყენებით თქვენ თვითონ შეადგინეთ ისეთი მარტივი წინადადებები, რომლებშიც პირველი წინადადების ზმნიზედა მეორე წინადადებაში თანდებულის მნიშვნელობით იქნება ნახმარი.

წინ, უკან, ქვეშ, ზევით (ზემოთ), ქვევით (ქვემოთ), წინათ, შემდეგ, ირგვლივ, გარშემო, აქეთ, იქით, გალმა და სხვ.

ნიმუში: „გალმა ჩანს ქისტის სოფელი არწივის ბუდესავითა" (ვ. ფ.).

„სოფლისა გალმა გორია, დამწვარი, ქვიშიანია" (ვ. ფ.).

გადმოეცით, ზმნიზედის რომელი სახეები იხმარება თანდებულის მნიშვნელობით და რომელ ბრუნვებს მოითხოვენ ისინი.

კავშირი

სავარჯიშო 169. გადაიწერეთ მაგალითები. მონახეთ კავშირები და გაუსვით ქვეშ ხაზი. გამოარკვიეთ, რა როლს ასრულებენ ისინი წინადადებებში.

1. კარებთან გავარდა თოფები და დამბაჩები (ა. ყ.); 2. გამხიარულებული ბუხარი გუგუნებდა და კოპიტის შეშას ტკაცატკაცი გაჰქონდა (ა. წ.); 3. დედაკაციც მიხვდა, რომ წასვლის დრო მოახლოვდა (ნ. ლ.).

სავარჯიშო 170. დახაზეთ ქვემოთ მოცემული სქემა. გამოარკვიეთ, რა და რა ჯგუფს განეკუთვნებიან სქემაში მოცემული კავშირები. დაწერეთ თავზე მათ თავიანთი სახელწოდება სქემაში. შეიტანეთ ჯგუფებში სხვა კავშირები შესაბამისად.

. კავშირის ჯგუფები

და, თუ..	.	რომ, როცა...

დაახასიათეთ, რა და რა ფუნქცია აკისრიათ ჯგუფებში შემავალ კავშირებს წინადადებებში. შეადგინეთ ხუთ-ხუთი წინადადება თითოეულ ჯგუფში შემავალი კავშირების გამოყენებით.

ნ ა წ ი ლ ა კ ი

სავარჯიშო 171. გადაიწერეთ მაგალითები. შეადარეთ ერთმანეთს უნაწილაკო და ნაწილაკდართულსტუვებიანი წინადადებები. გამოარკვიეთ, რას დაერთვიან ნაწილაკები და რა როლს ასრულებენ ისინი წინადადებებში.

1. ა) ამხანაგი მოვიდა — ბ) ამხანაგიც მოვიდა.
2. ა) ამხანაგი დარჩა სოფელში — ბ) ამხანაგიღა დარჩა სოფელში.
3. ა) ამხანაგი დავარწმუნე — ბ) ამხანაგი თითქმის დავარწმუნე.
4. ა) გული აიყარა თავის საყვარელ შვილზე — ბ) ნუთუ გული აიყარა თავის საყვარელ შვილზე? (ვ. ფ.).

განმარტეთ, რას ჰქვია ნაწილაკი.

სავარჯიშო 172. დახაზეთ რვეულში ქვემოთ მოცემული სქემა. გამოარკვიეთ, რომელ შინაარსობრივ ჯგუფს განეკუთვნება სქემაში მოცემული ესა თუ ის ნაწილაკი. ჩამოწერეთ ჯგუფების სახელწოდებები შესაბამის ადგილას სვეტში. შეიტანეთ თითოეულ ჯგუფში სათანადო ნაწილაკები.

ნაწილაკთა ჯგუფები	მაგალითები
_____	ხომ . .
_____	არ, ვერ ...
_____	...მე ...ღაც (ა)...
_____	თითქმის ...
_____	...ც (ცა) ...ც კი ...
_____	...ღა ...
_____	რა, არ ...

დაახასიათეთ ნაწილაკთა ჯგუფები ცალ-ცალკე. ამასთანავე გადმოეცით, რას გამოხატავენ ნაწილაკები: ა) ...მც, ...მც კი, დაე, ვინძლო, ვაითუ; ბ) ხომ, თურმე; გ) მეთქი, თქო (თქვა), ოჰ დ) ხო, კი, დიახ (დიაღ); არა, ვერა.

შეადგინეთ პატარ-პატარა წინადადებები ამ ჯგუფებში შემავალი ნაწილაკების გამოყენებით.

შორისდებული

სავარჯიშო 173. გამოარკვიეთ, რა გრძნობას გამოხატავენ შორისდებულები წინადადებაში.

1. აბა-ბა-ბა, რა ძაღლი ყოფილა ეგ დალოცვილი (ვ. ფ.).
2. აბამე, აბამე, რა ღონიერიაა! (შ. ა.).
3. — ააუ... პირი რამოდენად დაუღია, — გაიკვირვა იმან (ა. ყ.).
4. ჰოჰოო! დედა, დედა! რა კაცი ყოფილა ი მგელ-ბაბაია და (ს. მ.).
5. ოოო! დედი, დედი, დედი, აქ უცქირე, რამდენი ნაპერწკალი ადის (შ. ა.).
6. უჰუ! ბა-ბა-ბა, ე ვერანები, რა კიტრებივით გორავენ და! (ს. მ.).

სავარჯიშო 174. გამოარკვიეთ, რა და რა გრძნობას გამოხატავს ოჰ შორისდებული წინადადებებში.

1. — ოჰ, თქვენ რომ იცოდეთ, რანაირად მძაგს ჩვენი ხორხიანეთის ხალხი! — გაბრაზებით წარმოთქვა გულქანმა (გ. წ.).
2. — ოჰ, რა მეძინება! — თქვა მწუხარებით დიტომ (გ. წ.).
3. — ქალი? ლამაზი ქალი? ოჰ! — წამოიძახა აღტაცებით ჰაბუკმა (ა. წ.).
4. — ოჰ, ამდგარხარ კიდეც, შვილო! — სიყვარულით უთხრა დედამ (შ. ა.).
5. — ო, რა კეთილი გულისა ყოფილხარ? — სიხარულით წამოიძახა (შ. ა.).
6. — ოჰ, ბატონო ნიკოლოზ! — დაცინვით უთხრა ლუარსაბმა ბერიშვილს (ე. გ.).
7. — ოჰ, საბას გაუმარჯოს! — მიესალმა კონდუქტორი (გ. წ.).
8. — ოჰ, მაშინ არ ვიცი რას ჩავიდენ! — წყრომით წამოიძახებდა ხოლმე გიგო (დ. კლდ.).

ფორმაუცვლელი სიგყვებისა და ნაწილაკების ზოგადი დახასიათება

(ცნობისათვის)

ზმნიზედის ზოგადი დახასიათება

ზმნიზედა სრული მნიშვნელობის მქონე ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილია, რომელიც გვიჩვენებს, თუ სად, როდის, როგორ, რატომ ან რისთვის ხდება მოქმედება. ზმნიზედა ახლავს ზმნას (პირიანსა თუ უპიროს), ზოგჯერ ზედსართავ სახელს და თვით ზმნიზედასაც კი (გუშინ წავიდა, გუშინ წასვლა, გუშინ წასული, ძალიან ფართო, ძალიან-შორს).

შინაარსის მიხედვით ზმნიზედა იყოფა შემდეგ ჯგუფებად: ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზეზისა, მიზნისა, ზომა-ოდენობისა და ჯერობისა.

თითოეულ ჯგუფში შემავალი ზმნიზედები მიუგებს სათანადო კითხვებზე, რომლებსაც კითხვითი ზმნიზედები ჰქვია.

1. ა დ გ ი ლ ი ს ზ მ ნ ი ზ ე დ ა (სად? საიდან? საითკენ?): წინ, უკან, ზევით, მაღლა, ირგვლივ, აქ, იქ, გარეთ, წინიდან, უკანიდან, მაღლიდან, გარედან, შორიდან, აქეთ, იქით, შინისკენ, ზევითკენ...

2. დ რ ო ი ს ზ მ ნ ი ზ ე დ ა (როდის?): ახლა, ხვალ, გუშინ, ზეგ, შემდეგ, მაშინ, გვიან...

3. ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ზ მ ნ ი ზ ე დ ა (როგორ?): ძლიერ, ნელა, ცუდად, უკეთ, ასე, ისე, უცებ...

4. მ ი ზ ე ზ ი ს ა (რატომ?): ამიტომ, მაგიტომ, იმიტომ...

5. მ ი ზ ნ ი ს ა (რად? რისთვის? რა მიზნით?): ამისთვის, მაგისთვის, იმისთვის.

6. ზ ო მ ა-ო დ ე ნ ო ბ ი ს ა და ჯ ე რ ო ბ ი ს ა (რამდენად? რამდენჯერ? რა ზომით?): ამდენად, მაგდენად, იმდენად, მეტად, ნაკლებ, ორჯერ, სამჯერ, ათჯერ, სამოცჯერ, ერთიორად, სულ, მთლად, სრულიად, მთლიანად.

თუ კითხვით ზმნიზედებს ც ნაწილაკს დავურთავთ, ის მიმართებითი გახდება, იხმარება წინადადების ნაწილების დასაკავშირებლად რთულ წინადადებაში: სადაც, საიდანაც, საითკენაც, რამდენადაც, რამდენჯერაც და სხვ.

ზმნიზედა ორგვარია: ძ ი რ ე უ ლ ი და წ ა რ მ ო ქ მ ნ ი ლ ი. ძირეული ზმნიზედები ცოტაა: აქ(ა), იქ(ა), წინ, შინ, ხვალ, ზეგ და სხვ. ზმნიზედების უმეტესობა მეტყველების სხვა ნაწილებისაგან (განსაკუთრებით სახელებისაგან) არის მიღებული და წარმოადგენენ ამა თუ იმ ბრუნვის გაქვავებულ ფორმას.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

1. ზ მ ნ ი ზ ე დ ა მ ი ც ე მ ი თ ი ს ფ ო რ მ ი თ: ძირს, დღეს, დილას, საღამოს, შუაში, გვერდზე და სხვ.

2. ზ მ ნ ი ზ ე დ ა ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი ს ფ ო რ მ ი თ: ბოლოსკენ, თავისკენ, შინისკენ, წუხელის...

3. ზ მ ნ ი ზ ე დ ა მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი ს ფ ო რ მ ი თ: დილით, ღამით, წვეთობით, ზაფხულობით, მაღლიდან, ზევით, ქვევით, უკანიდან და სხვ.

4. ზ მ ნ ი ზ ე დ ა ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი ს ფ ო რ მ ი თ: ძველად, შორად, უცბად, უეცრად, აქამდე; ბრუნვის ფორმის ნაწილობრივი შეკვეცით: მაღლა, დაბლა, ნელა, ჩქარა და სხვ.

ზმნიზედის მნიშვნელობისაა ზმნასთან დაკავშირებული კითარებითში დასმული ზედსართავი სახელი და მიმღეობა: თ ე თ რ ა დ ქათქათებს, ა ს ა შ ე ნ ე ბ ლ ა დ მოამზადა.

ზმნიზედაში შედის -ივ და -ჯერ დართული სიტყვები: მარცხნივ, მარჯვნივ, ირგვლივ, ბევრჯერ, ათჯერ, ზოგჯერ და სხვ.

ზმნიზედა ზოგჯერ მომდინარეობს სახელის ფუძისაგან, რომელიც უმეტესად განმეორებულია: ძალიან, ძლიერ, უჯრა-უჯრა, ნაჯერ-ნაჯერ, ტყე-ტყე, ფეხდაფეხ, ხმალდახმალ...; შეიძლება შეგვხვდეს გაორკეცებული ზმნიზედებიც: წინ-წინ, უკან-უკან...; იშვიათად — სხვადასხვა ფუძეებით შეერთებული ზმნიზედები (ზამთარ-ზაფხულ).

თანდებულის ზოგადი დახასიათება

თანდებული ჰქვია დამხმარე სიტყვას, ან ბგერათა ჯგუფს, რომელიც დაერთვის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას და აღნიშნავს საგნის მდებარეობას, მიმართულებას და სხვ.

მ დ ე ბ ა რ ე ო ბ ი ს ა ღ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ი თ ა ნ დ ე ბ უ ლ ე ბ ი ა: ში, ზე, შუა, შორის, თან;

მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი ს ა: (ით-გან—) იდან (—დან), კენ, მდე (მდის);

თ ა ნ ა ო ბ ი ს ა: ურთ (ამხანაგითურთ დაბრუნდა);

მ ს გ ა ვ ს ე ბ ი ს ა: ვით, ებრ.

მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ჩ ა მ დ ე ნ ო ბ ი ს ა: მიერ, გარდა (იხმარება გამოსარიცხად).

რამდენიმე მნიშვნელობა აქვს თანდებულს გან. მაგ.: მონადირისაგან მოკლული ირემი (აღნიშნავს მოქმედებას), ქვისაგან აშენებული სახლი (აღნიშნავს მასალას), სეტყვისაგან დაზიანებული ვენახი (აღნიშნავს მიზეზს) და სხვ.

ორ ბრუნვასთან — სახელობითთან და მიცემითთან იხმარება თანდებული ვით: ა მ ხ ა ნ ა გ ი ვ ი თ, ა მ ხ ა ნ ა გ ს ა ვ ი თ.

თანდებული არ დაერთვის მოთხრობითსა და წოდებით ბრუნვებს, დანარჩენ ბრუნვებში გვხვდება შემდეგი თანდებულები:

მ ი ც ე მ ი თ შ ი: ვით, თან, ზე, ში, შორის, შუა.

ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ შ ი: მიერ, გამო, გარდა, მიმართ, თვის, კენ, გან, ებრ, შესახებ.

მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ შ ი: ურთ, გან (—იდან||დან).

ვ ი თ ა რ ე ბ ი თ შ ი: მდე||მდის.

კავშირის ზოგადი დახასიათება

კავშირი ჰქვია დამხმარე სიტყვას, რომელიც აერთებს ორ სიტყვას წინადადებაში ან ორ წინადადებას.

ფუნქციის მიხედვით კავშირი ორგვარია: მაერთებელი და მაქვემდებარებელი.

მაერთებელი კავშირები აერთებენ შერწყმული წინადადების ერთგვარ წევრებს ან ერთგვარ წინადადებებს რთულ თანწყობილ წინადადებებში.

მაქვემდებარებელი კავშირები იხმარება რთულ ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებული წინადადების მთავართან დასაკავშირებლად

მაერთებელი კავშირები. მაერთებელი კავშირის ჯგუფებია: მაჯგუფებელი, მაცალკევებელი, -მაპირისპირებელი, მაიგივებელი.

1. მაჯგუფებელი კავშირებია: და, თუ.

მაგ.: კარებთან გავარდა თოფები და დამბაჩები (ა. ყ.). კარი გაიღო და შემოვიდა მარიამი (ა. წ.).

2. მაცალკევებელი კავშირებია: ხან (ხან... ხან), ან (ან... ან), გინდ (გინდ... გინდ), თუნდ (თუნდ... თუნდ).

მაგ.: მზე ხან გამოაშუქებს, ხან თვალებს ხუჭავს (ი. ე).

3. მაპირისპირებელი კავშირებია: მაგრამ, ხოლო, არამედ, თუმცა (კი არ — არამედ), თორემ.

მაგ.: როსტომი მალე განიკურნა, სულხანი კი იგვიანებდა (მ. ჯ.).

4. მაიგივებელი კავშირებია: ანუ, ე. ი. (ესე იგი).

მაგ.: ქვებს შუა ათასობით ეწყო თევზის პაწაწინა კვერცხები, ანუ ქვირითი (ი. გ.).

მაქვემდებარებელი კავშირები. მაქვემდებარებელი კავშირი ორ ისეთ წინადადებას აკავშირებს, რომლებშიც ერთი წინადადება (დამოკიდებული) ხსნის მეორეს (მთავარს). ეს კავშირებია: რომ, როდესაც (როცა), თუ არა, სანამ, ვიდრე, როგორც კი, რადგანაც, ვინაიდან, იმიტომ რომ, რათა, რაკი.

მაგ.: როცა ომი გათავდა, ბრძოლის ველი წარმოადგენდა საშინელ სურათს (ი. გ.).

ნაწილაკის ზოგადი დახასიათება

ნაწილაკი ჰქვია დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელ ბგერას (ც), ბგერათა ჯგუფს (ოდე) ან სიტყვას (მხოლოდ), რომელიც დაერთვის წინადადებას ან წინადადების რომელიმე წევრს და სხვა ელფერს აძლევს მას მნიშვნელობის მხრივ.

ნაწილაკები მნიშვნელობის მხრივ ერთმანეთს უახლოვდებიან და ქმნიან გარკვეულ ჯგუფებს. ეს ჯგუფებია: კითხვითი, უარყოფითი, განუსაზღვრელობითი, მიახლოებითი, გაძლიერებითი, გამორჩევითი, ნება-სურვილისა და გრძნობის გამომხატველი, სიტყვა-სიტყვითი, მიგებითი.

1. კითხვითი ნაწილაკები: ხომ, განა, ნუთუ. მაგ.: ნუთუ უჩივის აწ იგი ბედსა? (ი. ჭ.).

2. უარყოფითი: არ, ვერ, ნუ; აღარ, ვეღარ (ნუღარ); არც, ვერც, ნურც; აღარც, ვეღარც, ნუღარც, როდი (-არ).

3. განუსაზღვრელობითი: მე, ღაცა, ვინმე, რამე, რომელიმე, რამდენიმე, სადმე, როდისმე, ვიღაც (ა), რომელიღაც(ა) და სხვ.

4. მიახლოებითი; თითქმის, ლამის, კინაღამ.
მაგ.: ლამის გული გაუხეთქოს (ი. ჭ.).

5. გაძლიერებითი: ც(ცა), ...ც კი, კიდეც, მაინც, უკვე.
მაგ.: ჩრდილებმაც კი რაღაც საოცნებო ხასიათი მიიღეს (ა. ყ.).

6. გამორჩევითი: ღა, მარტო, მხოლოდ.
მაგ.: მხოლოდ ჩემი ძმა ჩამოვიდა ქალაქში.

7. ნება-სურვილისა და გრძნობის გამომხატველი: რა, არ, აკი არ. მაგ.: ქა, რა ლამაზია (ვ. ფ.). აქეე შემოდის ნატვრითი: ...მც, ...მც კი; ბრძანების (ნება-სურვილის) გასაძლიერებლად — დაე; გამხნევების, წაქეზებისა — ვინძლო; შიშისა — ვაითუ.

8. სიტყვა-სიტყვითი ნაწილაკები: მეთქი, თქო (თქვა), ო.

9. მიგებითი ნაწილაკები: დადასტურებითი: ჰო, კი, დიახ (დიაღ); უარყოფითი: არა, ვერა.

შორისდებულის ზოგადი დახასიათება

შორისდებული ჰქვია უცვლელ ბგერას, ბგერათა ჯგუფს ან სიტყვას, რომელიც ადამიანის გრძნობასა და ნება-სურვილს უშუალოდ გამოხატავს.

მაგ.: ო, ეს შესანიშნავი მალამოა (ე. გ.); ვეჰ, წაგიხდა — მიაყვირა წერეთელმა (ა. წ.); არიქა, ბიჭებო, გოგოებო, მოდით ჩქარა! (ნ. ლომ.).

პირველ წინადადებაში ო შორისდებული ერთი ბგერაა და გამოხატავს გრძნობას — მოწონებას; მეორე წინადადებაში ვეჰ შორისდებული ბგერათა კომპლექსისაგან (ჯგუფისაგან) შედგება და გამოხატავს დანანებას; მესამეში შორისდებული არიქა სიტყვაა და გამოხატავს

მთქმელის ნება-სურვილს — მოხმობას მისაშველებლად, დახმარების აღმოსაჩენად.

შორისდებულის მნიშვნელობის გადმოსაცემად მთავარია ტონი. ინტონაციური მრავალფეროვნებით ერთსა და იმავე შორისდებულს შეუძლია გამოხატოს სულ სხვადასხვა გრძნობა: სიხარული, მწუხარება, ნატვრა, გაკვირვება, დანანება, ჩივილი, გაბრაზება და ა. შ. ასევე, სხვადასხვა შორისდებული ხშირად ერთი და იმავე გრძნობის გადმოსაცემადაა ნახმარი.

მაგალითად, სხვადასხვა გრძნობას გამოხატავს ოჰ შორისდებული წინადადებებში.

გ ა მ ო ხ ა ტ ა ვ ს:

1. ნ ა ტ ვ რ ა ს: ოჰ, რა ტკბილად გძინავს, ნეტავი შენ! (ვ. ფ.).

2. წ უ ე ნ ა ს: ოჰ, მეწყინა, ძალიან მეწყინა ეს! (ჭ. ლ.).

3. მ ო წ ო ნ ე ბ ა ს: ოჰ, რა მშვენიერი ყმაწვილი კაცია, დედაო! (ე. გ.).

4. გ ა კ ვ ი რ ვ ე ბ ა ს: ხანდახან ვინმე იმათთაგანი გაკვირვების ნიშნად წამოიძახებდა: „ოჰ, ოჰ, ოჰ, რა კაცი ყოფილა!“ (გ. წ.).

5. ს ი ნ ა ნ უ ლ ს: ოჰ, რა დრო დავკარგე!.. გახდა ტკბილეცა თავში ადიუტანტს (ე. გ.).

6. ა ღ ტ ა ც ე ბ ა ს: ოჰ, ოჰ, რა ბედნიერი ვარ! რა კმაყოფილი!— აღტაცებით იძახდა გიორგი (ე. გ.).

7. გ ა ბ რ ა ზ ე ბ ა ს: ოოჰ! შენი სული! შენი სული! შენი! (დ. კლდ.).

8. მ ი ს ა ლ მ ე ბ ა ს: ოოჰ, გამარჯობათ, გამარჯობათ! (შ. ა.).

შორისდებული ოჰ კიდევ გამოხატავს სხვა გრძნობებს და განცდებს, ვიდრე მაგალითებშია მოცემული.

სხვადასხვა შორისდებულით ერთი და იგივე გრძნობა – აღტაცებაა გამოხატული წინადადებებში:

1. ვაშა, რა დიდაა, რა დიდა! (ჭ. ლ.).

2. ვაშა, მამულიშვილო, ვაშა! აი, ქართველიც ამას ჰქვია (კ. ლ.).

3. ახ, ქართული სიმღერა რა დამატკბობელია! (ლ. არდ.).

4. აჰ, ეს მეტად საინტერესოა! — თავისებური აღტაცებით წარმოთქვა რიაბინინამ (შ. დ.).

5. ვაი, რა ლამაზი იყო იმ მშვენიერს დილას ის მშვენიერი ქალი! (ი. ჭ.).

6. ვაჰ, საყვარელო! მთელი სახე ჩაიმალების მის თმათა ძნაში,— იტყოდა უშანგი, მისი ეშხით აღტაცებული (ვ. ბ.).

7. ოხ, ღმერთო, რა მშვენიერებაა! — შესძახა გიგომ აღტაცებით (ნ. ლომ.).

8. ოჰო, ღმერთო, რა ძვირფასი სიტყვები მესმის შენიდან, ნინოს (ა. ყ.).

9. უჰ, უჰ, უჰს ეგ ღორის სუკები, შენმა მზემ, რადაც უნდა ჰღირსს (ი. ჭ.).

10. ჰეი, შენი ღმერთის ჭირიმე, შენის (ნ. ლომ.).

ახლოს დგას შორისდებულებთან ხმაბაძვითი სიტყვები. ასეთი სიტყვებით გამოხატულია ფრინველების, მწერების, ცხოველების, უსულო საგნებისა თუ ბუნებრივი და ფიზიოლოგიური მოვლენების გამოცემული ხმა.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი: „ბუჰ, ბუჰ, ბუჰს!“ — დაიგრიალა ამ დროს თოფებმა და ქორბუდა, მოსხლეტილი ოთხივე ფეხით, დაეცა ძირს (ი. ე.). წკრრრ, — აწკრიალდა ტრამვაის ზარი (შ. ა.). ჭახს ჭახს ჭახს— და, ჰა, ტყვიის სეტყვა აშრიალდა, აშიშინდა (ი. გრ.).

წინადადება

წინადადება შინაარსის მიხედვით

ხელარჯიშო 175. გამოარკვიეთ, რა და რა ტიპისაა შინაარსის მიხედვით ქვემოთ მოყვანილი წინადადებები, დააჯგუფეთ და ისე გადაიწერეთ.

დიდებული სანახავი იყო ფრინველთა მეფე (თ. რ.); მეზვერემ მწვანილი მოიტანა? (ი. ჭ.); დადგა მაძღარი შემოდგომა (ი. ჭ.); ოხ, რა ძნელია მოლოდინი! (ი. ე.); სკამი მოართვი ფეფენას! (დ. კ.); გვრამ გვადი მწყემსადაც არ დანიშნა (ლ. ქ.); თაგვებს რატომ არ იქერ? (ვ. ფ.); სად იყო ამდენი ფრინველი? (ვ. ფ.); განა მე ვარ ავრე ბედნიერი?! (ა. წ.); არსენამ როსტომს ტყეში დარჩენილთა ამბავი გამოჰკითხა (მ. ჯ.); ხომ გინახავთ პეტერბურგი? (ი. ჭ.); ვაი, რა ცარიელია ეს ქვეყანა უადამიანოდ! (ი. ჭ.); მაგას როგორ ამბობ?! (ა. ყ.); ეგ არის ძმობა და მეგობრობა?! (ვ. ფ.); ვინ არის სოფლის პატრონი? (ვ. ფ.); ნუ სჯავრობ, კესო! (ი. ჭ.); ფანჯრები დაკეტეთ! (მ. ჯ.); ეს რა მოიგონა ქალბატონმა?! (შ. დ.); მარინეს ბიჭი გაუჩნდა, ბიჭი! (მ. ჯ.). ბერუავ, მოიცა, ერთად წავიდეთ! (ვ. ფ.); ჩქარა შემოდი! (მ. ჯ.); რამდენი ირემი მოგიკლავს, ციცკორე? (გ. ლ.); ხედავთ, ციცინათელა თავის შუქს მისდევს! (გ. ლ.); ვაჟკაცი დაცემულ მტერს ხელს აღარ ახლებს (ნ. ლომ.).

ამასთან ერთად გვიპასუხეთ:

1. რას გადმოგვცემს თხრობითი წინადადება და რას შეიცავს იგი, როგორია თხრობითი წინადადების ინტონაცია; რა სასვენი ნიშანი დაისმის მის ბოლოს.

2. რას შეიცავს კითხვითი წინადადება და რა საშუალებები არსებობს კითხვების გამოსახატავად; რომელ სიტყვაზე მოდის მახვილი კითხვით წინადადებაში; რა ნიშანი დაისმის მის ბოლოს.

3. რა არის დამახასიათებელი ძახილის წინადადებისათვის; რა და რა გრძნობას გამოხატავს იგი; როგორია ძახილის წინადადების ინტონაცია; რა ნიშანი დაისმის მის ბოლოს.

4. რას გამოხატავს ბრძანებითი წინადადება; რა და რა სახის შეიძლება იყოს

ბრძანებითი წინადადება; გარდა საკუთრივ ბრძანება-მოწოდებისა, კიდევ რას შეიძლება გამოხატავდეს იგი; როგორი ტონით წარმოითქმის და რა ნიშანი დაისმის მის ბოლოს.

5. რას გამოხატავს კითხვით-ძახილის წინადადება; რა ნიშანი დაისმის მის ბოლოს.

6. რას ჰქვია წარმოქმითი და უკუთქმითი წინადადება, რომელი სიტყვები ძლევენ წინადადებას უკუთქმით შინაარსს.

წინადადების წევრები

სავარჯიშო 170. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, რომელია წინადადების წევრი და რომელია არაწევრი სიტყვები.

კრუხმა ჩაჰკრა თავისი ნისკარტი ქორს (ი. გ.); ორ ზღვას შუა ძველის ძველად საომარი იყო ლელო (გ. ტ.); ბასკაების და ხარბედიების ბრძოლამ მაინც დიდხანს გასტანა (კ. გ.); ზამთარში ფანჯრის მინებს ოფლს დაასხამს ხოლმე (ი. გ.); ზურაბის ეჭვი არც უსაფუძვლო იყო, მაგრამ არც ზედმიწევნით სწორი (ს შ.); ფოთოლი ნიავის დროს საამურად შრიალებს (ი. გ.).

ამასთანავე აღნიშნეთ: რომელ სიტყვებს ჰქვია წინადადების წევრები, რა საშუალება არსებობს მათი ამოცნობისათვის. მეტყველების ნაწილებიდან რომელ სიტყვებს არ შეუძლიათ წინადადების წევრობა და რას ახლავს ისინი წინადადებაში.

სავარჯიშო 177. წაიკითხეთ მაგალითები. ახსენით: 1. იქნება თუ არა წინადადების ერთი წევრი რთული სიტყვები: დედ-მამა, პატარ-პატარა, სამ-სამი, აირბინ-ჩამოირბინა, იქით-აქეთ, ნელ-ნელა, აღმართ-აღმართ და მისთ. 2. იქნება თუ არა ერთი წევრი სრულმნიშვნელოვან სიტყვათა შეკავშირების ზოგი შემთხვევა: შ ა ვ ი ზ ღ ვ ა ძლიერ აღელდა, დიდი ბრიტანეთი და მისთ.

სავარჯიშო 178. წაიკითხეთ მაგალითებდ. გამოარკვიეთ, წინადადებებში წევრთა ადგილის შეცვლით რა შემთხვევაშია დარღვეული აზრი და რა შემთხვევაში არა, რა იწვევს აზრის შეცვლას ან დარღვევას.

1. კოკისპირულმა წვიმამ მდინარის კალაპოტი მთლად დაფარა.
2. მდინარის კალაპოტი მთლად დაფარა კოკისპირულმა წვიმამ.
3. მთლად დაფარა მდინარის კალაპოტი კოკისპირულმა წვიმამ.
4. დაფარა მთლად კოკისპირულმა წვიმამ მდინარის კალაპოტი.
5. კოკისპირულმა მდინარის წვიმამ კალაპოტი მთლად დაფარა.
6. მთლად კოკისპირულმა კალაპოტი წვიმამ მდინარის დაფარა.
7. მდინარის კოკისპირულმა დაფარა მთლად წვიმამ კალაპოტი.

განმარტეთ, რას ჰქვია სინტაქსური კავშირი.

სავარჯიშო 179. გამოყავით სინტაქსური წყვილები ქვემოთ მოცემულ წინადადებაში. გამოარკვიეთ, ერთი წევრი რამდენ წევრს შეუძლია დაუკავშირდეს.

„ამ ქალაქში ბევრი უცხოელი ჩამოდის“.

განსაზღვრეთ, რა არის სინტაგმა, რამდენი სინტაქსური ერთეულია (წყვილია) წინადადებაში.

სავარჯიშო 180. წაიკითხეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, ქვემოთ მოცემულ წინადადებებში, რა სახის სინტაქსური დამოკიდებულებაა დაყოფით დაბეჭდილ სიტყვებს შორის.

1. შორინ მნათობნი მოკამკამენიიმ მწუხარს ღამეს მხიარულობდნენ; შეშინებულმა ბავშვმა სიმღერა შეწყვიტა; ციდან ღრუბლები ჭურდებივით მიიპარებოდნენ.

2. მოკრიალებულ ცაზე მაისის მზე ბრწყინავდა; ზოგან არწივს ხაფანგით იჭერდნენ; სტუმრები საკუთარი ავტომანქანით ჩამოვიდნენ.

3. გარეთ ცხენები ხვიხვინებდნენ; ოქროპირი გვიან დაბრუნდა; ხვალ საღამოთი ამოიარე.

განსაზღვრეთ სინტაქსური დამოკიდებულების სახეები.

წინადადების ზოგადი დახასიათება

(ცნობისათვის)

წინადადების რაობა. წინადადება ჰქვია დამთავრებული აზრის გამომხატველ ერთს ან რამდენიმე სიტყვას. ერთი სიტყვით დამთავრებული აზრი, ჩვეულებრივ, მხოლოდ მაშინ გადმოიცემა, თუ ის პირიანი ზმნაა. მაგ.: ირიქრაფა (ა. წ.); ყინავს, ციცა (ვ. ფ.); მოღამდა (გ. ლ.); ბნელდება (ნ. ლ.).

წინადადება შეიძლება გადმოცემული იყოს აგრეთვე ორი, სამი, ოთხი და მეტი სიტყვით. მაგ.: იგრიალა ხალხმა (ა. წ.); არჩილს თვალები გაუფართოვდნენ (ლ. ქ.); ლექსომ ქათმებს საკენკი ჩაუტანა (ვ. ფ.).

წინადადების ზოგადი დახასიათება შინაარსის მიხედვით

შინაარსის მიხედვით წინადადება არის **თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ძახილისა** და **კითხვით-ძახილისა.**

თხრობითი წინადადება. თხრობითი წინადადება გამოიყენება ფაქტის ან მოვლენის აღწერა-გადმოცემისას, შეიცავს რისამე დადასტურებას ან უარყოფას. თხრობითი წინადადების ბოლოს ხმა დაბლდება. მაგ.: ქარავანი გზას გაუდგა (ი. გ.); ქმრის ანდერძს არ უღალატა (ი. ჭ.); აქ ორივე წინადადება თხრობითია. პირველი შეიცავს დადასტურებას, მეორე — უარყოფას.

კ ი თ ხ ვ ი თ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა. კითხვის შემცველ წინადადებას კითხვითი წინადადება ჰქვია. ასეთი წინადადება მოითხოვს პასუხს, რომლითაც შემკითხველმა რაღაც უნდა გაიგოს, ახალი ცნობა მიიღოს.

კითხვითი წინადადება ო რ გ ვ ა რ ი ა: კითხვითსიტყვიანი და არაკითხვითსიტყვიანი.

ა) კითხვის გამომხატველი სიტყვის (ნაცვალსახელის, ზმნიზედის, ნაწილაკის) შემცველ კითხვით წინადადებაში მახვილი ასეთ სიტყვაზე მოდის; მაგალითად:

ვინ მოვიდა? რა მოიტანა ბავშვმა? სად წავიდა ბავშვი? რატომ მიდიხარ? ხომ გაიგე ყველაფერი?

ბ) თუ წინადადება არ შეიცავს კითხვით სიტყვას, მაშინ კითხვა, ჩვეულებრივ, იმ წევრზე მოდის, რომელსაც შეკითხვა ეხება. ასეთი წევრი წინადადების ბოლოსაა. მაგ.: — მაშ, მიკარგავ გ ა ს ა მ რ ჯ ე ლ ო ს? — შეეკითხა სოლომონი (დ. კლდ.).

კითხვითი წინადადების ბოლოს კითხვის ნიშანი იწერება.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა. ბრძანებითი წინადადება გამოხატავს ბრძანებას, მოწოდებას. იგი შეიცავს აგრეთვე თხოვნას, ხვეწნას, გაფრთხილებას, წყევლას, მისალმებას და სხვ. მაგ.: ეგ დამბაჩაც გაიძრე წელიდამ! (ი. ჭ.); ღმერთო, ჩემი შვილი პირნათლად ატარე! (ა. ყ.).

თუ ბრძანებით წინადადებაში ურევია უარყოფითი ნაწილაკები (ნუ, არ, ნუღარ, ნურსად, ნურვინ, აღარ, არსად და სხვ.), მაშინ წინადადება აკრძალვითია: ჩემს შვილს ნუ დასცინით თქვენ! (ვ. ფ.).

ძ ა ხ ი ლ ი ს წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა. ძახილისაა წინადადება, რომელიც გამოხატავს დიდ გრძნობას. ასეთი წინადადებით გადმოიცემა გაკვირვება, აღტაცება, ნატვრა, მწუხარება, ზიზღი, დანანება და სხვ. ძახილის წინადადება წარმოითქმის მრავალფეროვანი ძახილის ინტონაციით. მაგ.: არ ვარგა ასე მოქცევა, სოფელო! (ვ. ფ.); უი, რას მოვესწარით ამას! (ე. ნ.).

ძახილის წინადადების ბოლოს ძახილის ნიშანი იწერება.

კ ი თ ხ ვ ი თ-ძ ა ხ ი ლ ი ს წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა. კითხვით-ძახილისაა წინადადება, რომელიც ერთდროულად შეიცავს როგორც კითხვას, ასევე დიდ გრძნობას (ჩვეულებრივ გაკვირვებას). მაგ.: კაცმა კაცი როგორ უნდა მოკლას?! (ვ. ფ.).

კითხვით-ძახილის წინადადების ბოლოს იწერება ორი ნიშანი: კითხვისა და ძახილისა.

წ ა რ თ ქ მ ი თ ი და უ კ უ თ ქ მ ი თ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა. წინადადება (თხრობითი, კითხვითი, ძახილისა...) არის წართქმითი ან უკუთქმითი. წართქმით წინადადებაში აზრი დადებითად არის გამოთქმუ-

ლი: დარეჯანი ფეხზე წამოდგა (ი. ჭ.). უკუთქმით წინადადებაში აზრი გამოხატულია უარყოფითად: მონადირემ თოფის სროლა ვერ მოასწრო (ი. გ.).

წინადადების წევრების ზოგადი დახასიათება

წინადადებაში შემავალ დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვებს წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი ს წ ე ვ რ ე ბ ი ჰქვია. წინადადების წევრს კითხვა ეწყობა. მაგ.: ხალხი შეგროვილი იყო მტკვრის გადასახედზე (ი. ჭ.). ამ წინადადებაში ოთხი სრულმნიშვნელოვანი სიტყვაა და, მაშასადამე, ყველა წინადადების წევრია.

არასრულმნიშვნელოვანი სიტყვა (თანდებული, კავშირი, ნაწილაკი) წინადადების წევრი არ არის. ისინი ახლავს ამა თუ იმ წევრს. მაგ.: ამ დროს ფარდულის ჭვეშ იდგნენ სოსო და დიმიტრი (ი. გ.); გიორგი მაშინ იქ ყოფილიყო და ბალღებთან თამაშობდა თურმე (ი. ჭ.).

წინადადების ერთ წევრად ითვლება რთული სიტყვები: დედ-მამა, პატარ-პატარა, ხუთ-ხუთი, აირბინ-ჩამოირბინა, აქეთ-იქით, ნელ-ნელა, მაღლა-მაღლა და მისთ.

ერთ წევრად მიაჩნიათ აგრეთვე სრულმნიშვნელოვან სიტყვათა შეკავშირების ზოგი შემთხვევა: შ ა ვ ი ზ ღ ვ ა საქართველოს მშვენებაა. „შავი ზღვა“ ერთი წევრია.

სინტაქსური კავშირი. წინადადებაში წევრები გარკვეული წესით უკავშირდებიან ერთმანეთს. მაგ.: „ბავშვი ბურთს თამაშობს“. არ შეიძლება ითქვას „ბავშვმა ბურთს თამაშობს“, რადგან ზმნას I სერიაში ქვემდებარე სახელობით ბრუნვაში შეეწყობა და არა მოთხრობითში.

წინადადების წევრებს შორის წესიერად დამყარებულ კავშირს სინტაქსური კავშირი ჰქვია.

წინადადებაში წევრთა ადგილის შეცვლით სინტაქსური კავშირი შეიძლება დაირღვეს, შეიძლება არ დაირღვეს.

აზრი იგივე დარჩება წევრების გადასმ-გადმოსმის დროს, თუ მათ შორის კავშირი დარღვეული არ არის; თუ დაირღვა, მაშინ სხვა აზრს მივიღებთ, ან შეიძლება სრულიად უაზრობა გამოვიდეს.

წევრების ადგილის შეცვლით აზრი ერთი და იგივეა, რადგან სინტაქსური კავშირი დარღვეული არ არის:

თინამ დახატა სურათი
თინამ სურათი დახატა
დახატა თინამ სურათი
სურათი დახატა თინამ
სურათი თინამ დახატა

აზრი არ იცვლება ან უაზრობა გამოდის წინადადების წევრთა ადგილის შეცვლით ამ შემთხვევაში:

კოდალა ღონივრად სცემს თავის მაგარ ნისკარტს ხის ფუღუროსა (ი. გ).
კოდალა თავის მაგარ ნისკარტს ხის ფუღუროს ღონივრად სცემს.
კოდალა ღონივრად სცემს თავის ხის ნისკარტს მაგარ ფუღუროს.
კოდალა თავის ღონივრად სცემს ნისკარტს ფუღუროს ხის მაგარს.

უაზრობაა ბოლო ორი შემთხვევა.

წყვილები. სინტაქსური კავშირი მყარდება წინადადების ორ წევრს (წყვილს) შორის. სინტაქსურად დაკავშირებული ყოველი წყვილი ქმნის სინტაქსურ ერთეულს (სინტაგმას).

წინადადებაში რომელიმე წევრი შეიძლება იმავე წინადადების ყველა წევრს დაუკავშირდეს, შეიძლება — ერთს ან რამდენიმეს.

მაგ.: სინათლე ფანჯრიდან გარეთ გამოდის (ი. გ.). ამ წინადადებაში სულ ოთხი წევრია, წყვილები კი — სამი: სინათლე გამოდის, ფანჯრიდან გამოდის, გარეთ გამოდის. წყვილთა შორის შემასმენელი სამივე წევრს უკავშირდება, დანარჩენი წევრები მხოლოდ თითო წყვილში შედის.

წყვილთა რაოდენობა. წინადადებაში იმდენი სინტაქსური წყვილია, რამდენი წევრიც არის მასში ერთის გამოკლებით. მაგ., წინადადებაში: მოქანცულ მარინეს ჩქარა მოსტაცა ძილმა თვალები (ე. ნ.), სულ ექვსი წევრია, წყვილი კი — ხუთი: ძილმა მოსტაცა, მარინეს მოსტაცა, თვალები მოსტაცა, ჩქარა მოსტაცა, მოქანცულ მარინეს.

სინტაქსური დამოკიდებულების სახეები. წყვილში შემავალ წევრთა შორის სინტაქსური ურთიერთობის სამი სახეა ცნობილი: შეთანხმება, მართვა, მირთვა.

მაგალითად: „ჩვენი მეგობარი მშვენივრად მღერის“. აქ წყვილი სამია: მეგობარი მღერის, მშვენივრად მღერის, ჩვენი მეგობარი.

შეთანხმება. წყვილში ჩვენი მეგობარი ადგილი აქვს შეთანხმებას. ორივე წევრი სახელობით ბრუნვაშია, „მეგობრისათვის“ ფორმის ცვლა გამოიწვევს წყვილში შემავალი სახელის ფორმის შეცვლას (ჩვენი მეგობარი, ჩვენმა მეგობარმა, ჩვენს მეგობარს...). მაშასადამე, ადგილი აქვს შეთანხმებას ბრუნვაში სახელსა და სახელს შორის.

ახლა ავიღოთ მეორე წყვილი მეგობარი მღერის. წყვილში შედის არსებითი სახელი და ზმნა. ორივე სიტყვა დგას მხოლობით რიცხვში. არსებითი სახელი რომ მრავლობითში დავსვათ, ზმნაც

მრავლობითში შეეწყობა მას: მ ე გ ო ბ რ ე ბ ი მ ღ ე რ ი ა ნ. მაშასადამე, ადგილი აქვს შეთანხმებას სახელსა და ზმნას შორის რიცხვში.

შეთანხმება ჰქვია ორი სიტყვის ისეთ შეწყობას ერთმანეთთან, როცა ერთი მათგანის ბრუნვის ფორმა ან რიცხვის ფორმა დამოკიდებულია მეორის ბრუნვის ან რიცხვის ფორმაზე.

მ ა რ თ ვ ა. მართვა ჰქვია ორი სიტყვის ისეთ შეწყობას ერთმანეთთან, როცა ერთი მოითხოვს მეორისაგან გარკვეული ბრუნვის ფორმას. მაგ.: ქ ვ ი ს სახლი, ქ ვ ი ს სახლმა, ქ ვ ი ს სახლს და სხვ. თ ო ფ ი თ კლავს, თ ო ფ ი თ მოკლა, თ ო ფ ი თ მოუკლავს, თ ო ფ ი თ მოკლული. როგორც ვხედავთ, „ქვის" და „თოფით" სიტყვები უცვლელი რჩება, როცა მათი წყვილის ცალები იცვლებიან. ე. ი. სიტყვები „სახლი" და „კლავს" მოითხოვს სახელებისაგან გარკვეული ბრუნვის ფორმას უცვლელად. მაშასადამე, ადგილი აქვს მართვას ბრუნვაში სახელსა და სახელს შორის, ზმნასა და სახელს შორის.

მ ი რ თ ვ ა. მირთვა არც შეთანხმებაა და არც მართვა. აქ ადგილი აქვს სრულმნიშვნელოვანი ფორმაუცვლელი სიტყვების აზრობრივ შეწყობას.

მაგ.: გ უ შ ი ნ მოვიდა. გ უ შ ი ნ ფორმაუცვლელი სიტყვაა, რომელიც აზრობრივადაა დაკავშირებული ზმნასთან „მოვიდა", ე. ი. ადგილი აქვს მირთვას.

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი ს მ თ ა ვ ა რ ი და მ ე ო რ ე ხ ა რ ი ს ხ ო ვ ა ნ ი წ ე ვ რ ე ბ ი. წინადადების წევრებია: შემასმენელი, ქვემდებარე, დამატება-ობიექტი (პირდაპირი და ირიბი), უბრალო დამატება, განსაზღვრება და გარემოება. ამათგან შემასმენელი, ქვემდებარე და დამატება-ობიექტები (პირდაპირი, ირიბი) მთავარი წევრებია, დანარჩენი — უბრალო დამატება, განსაზღვრება და გარემოება — მეორეხარისხოვანი.

წინადადების ტიპები აგებულების მიხედვით

აგებულების მიხედვით წინადადება შეიძლება იყოს მ ა რ ტ ი ვ ი, შ ე რ წ ყ მ უ ლ ი და რ თ უ ლ ი.

მ ა რ ტ ი ვ ი ა წინადადება, თუ მასში არ შედის ორი ან მეტი ერთგვარი წევრი. ასეთი წინადადება ერთი ან რამდენიმე სიტყვითაა წარმოდგენილი. მაგ.: ბინდდება (ვ. ფ.); დადგა შემოდგომა (ვ. ფ.); მოსემ ბოდიში მოიხადა (ი. ჭ.); პირველი წინადადება ერთი სიტყვისაგან შედგება, მეორე — ორისაგან, მესამე — სამისაგან.

შ ე რ წ ყ მ უ ლ ი ა წინადადება, თუ იგი ორი ან მეტი ერთგვარი წევრისაგან შედგება: ქალები და ვაჟები ლეკურს უვლიდნენ (თ. რ.).

რ თ უ ლ ი ა წინადადება, თუ იგი ორი ან მეტი მარტივი (ან შერ-

წყმული) წინადადებისაგან შედგება: აგერ ზამთარიც გავიდა და მარტი დადგა (ი. გ.); ყმაწვილები დაწვნენ, პეტრეც შორიახლო მიეგდო და მკვდარსავით დაიძინა (ი. ჭ.);

. პირველი რთული წინადადება შედგება ორი მარტივისაგან, მეორე კი— მარტივისა და შერწყმულისაგან.

მარტივი წინადადება

შემასმენელი

სავარჯიშო 181. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, რას გამოხატავენ შემასმენლები წინადადებებში:

1. ბავშვი ხატავს; 2. ბავშვი ზის; 3. თეთრეული შრება; 4. თოვლი თეთრია; 5. ვანო ექიმია; 6. მუხა ხეა.

განმარტეთ, რას ჰქვია შემასმენელი, რომელ კითხვებზე მოგვიგებს იგი.

სავარჯიშო 182. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, რომელია მარტივი შემასმენელი და რომელია შედგენილი ქვემოთ მოცემულ წინადადებებში.

დადგა შემოდგომა (ვ. ფ.); ამირანი უკვე თავს წაადგა სოფიოს (მ. ჯ.) დათიკო ყოველ დილით სკოლაში მიდიოდა (ი. ჭ.). შენ მართალი ხარ (ი. ჭ.); ალვანის მინდორი მოჭედილი იყო ხალხით (ა. წ.); თქვენ ყმაწვილი კაცი ბრძანდებით (ი. ჭ.); დარეჯანი სიკვდილამდე პირველი ქმრის ერთგული დარჩა (ვ. ფ.).

სავარჯიშო 183. წაიკითხეთ მაგალითები. ახსენით, რატომ შედიან მარტივ შემასმენლებში ქვემოთ მოყვანილი მეშველ-ზმნიანი ფორმები; გამოარკვიეთ მათი გარდამავლობა, სერია და მწკრივები, პირის ფორმები.

1. ვუყვარვარ, უყვარხარ; მიყვარ, მიდიხარ.
2. გავზრდილვარ, გაზრდილხარ; გავზრდილიყავ, გაზრდილიყო...
3. არ დავსწრებივარ, არ დასწრებიხარ.
4. ავუშენებივარ, აუშენებიხარ.

სავარჯიშო 184. წაიკითხეთ მაგალითები. ახსენით, ნაწილაკდართული შემასმენლები მარტივს მიეკუთვნებიან თუ შედგენილს: კაკო, ნუ სწყრები (ი. ჭ.); ზამთრობით მგელი ესტუმრება ხოლმე ხმელ წიფელს (ვ. ფ.).

სავარჯიშო 185. წაიკითხეთ მაგალითები და გამოარკვიეთ, რა და რა ნაწილებისაგან შედგება შედგენილი შემასმენელი, რა ჰქვია თითოეულს და მეტყველების. რა ნაწილებია ისინი.

მე ექიმი ვარ; შენ კეთილი ხარ; ხუთჯერ ხუთი არის ოცდახუთი; ეს სახლი ჩემი არის; ბავშვი გახარებული იყო.

ჩამოთვალეთ სხვა დანარჩენი ზმნებიც, რომლებიც იხმარება შედგენილი შემასმენლის ზმნურ ნაწილებად. შეადგინეთ წინადადებები მათი გამოყენებით.

სავარჯიშო 186. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, ერთი და იგივე სიტყვა რა შემთხვევაშია მარტივი შემასმენელი და რა შემთხვევაშია შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი.

1. ა) ბაშვი ამ დროს მეზობლისას იყო — ბ) ბეკინა სამანიშვილი ღარიბი აზნაური იყო;
2. ა) მას დედა სოფელში ჰყავს — ბ) მას დედა ცოცხალი ჰყავს;
3. ა) სარდიონი ვენახში დარჩა — ბ) ჩვენი მონადირე ხელცარიელი დარჩა;
4. ა) შენ მოსკოვში ყოფილხარ — ბ) შენ ვაჟკაცი ყოფილხარ.

ქვემდებარე

სავარჯიშო 187. გადაიწერეთ მაგალითები. მონახეთ ქვემდებარეები წინადადებებში. გამოარკვიეთ, როდის ასრულებს ქვემდებარე ზმნით აღნიშნულ მოქმედებას და როდის მიეწერება მას მოქმედება.

დაეთი ბაღში ხეხილს სხლავს (მ. ჯ.); პატარა გულმა გამოიდარა (ი. ჭ.); ქალაქს კარგი მიდამოები ჰქონდა (შ. დ.); ერთი სახნისი სულ კუთხეში ეგდო; ერთ ბებერ დედაკაცს კატომ სულ ერთიანად დაახოცვინა, რაც რომ მამლები ჰყავდა (ნ. ლომ.).

განმარტეთ, რას ჰქვია ქვემდებარე.

სავარჯიშო 188. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, მეტყველების რა ნაწილებითაა გადმოცემული ქვემდებარეები წინადადებებში.

დარეჯანმაც მოიხედა ამ ხმაურზედ (ი. ჭ.); ირემი მიუახლოვდა ზღვის ფსკერს (ვ. ფ.); ჩვენი ხუმრობა, მღერა, სიცილი ხეზედა მძინარ ფრინველს აფრთხობდა (ი. ჭ.); ბრმამ კოკლი ზურგზედ შეისვა (ი. გ.); სამიევნი სასეირნოდ წავიდნენ (მ. ჯ.); ძროხას ვუყლიდით ჩვენ ერთგულადა (ი. ჭ.); გავარდნილები თავიანთი წინაპრებივით ცხოვრობდნენ (მ. ჯ.).

სავარჯიშო 189. გადაიწერეთ მაგალითები. შეუწყვეთ ზმნებს სერიებსა და შწკრივებში ქვემდებარეები წერტილების ადგილას. გამოარკვიეთ ზმნის პირი, გარდამავლობა და პირთა რაოდენობა.

I სერია

ა) აწმყოს წრე

სახლი შენდება		მეზობელს სახლი უშენდება	
. . . შენდებოდა		» . . .	უშენდებოდა
. . . შენდებოდეს		» . . .	უშენდებოდეს

ბ) მყოფადის წრე

. . . . აშენდება „ . . . . აუშენდება
. . . . აშენდებოდა „ . . . . აუშენდებოდა
. . . . აშენდებოდეს „ . . . . აუშენდებოდეს

II სერია

. . . . აშენდა „ . . . . აუშენდა
. . . . . აშენდეს „ . . . . აუშენდეს

III სერია

. . . . აშენებულა „ . . . . აშენებია
. . . . აშენებულიყო „ . . . . აშენებოდა
. . . . აშენებულიყოს „ . . . . აშენებოდეს

გადმოეცით, რომელ ბრუნვაში დგას ზმნასთან შეწყობილი ქვემდებარეები და რატომ.

სავარჯიშო 100. გადაიწერეთ მაგალითები. შეუწყვეთ ზმნას სერიებსა და წყვრივებში ქვემდებარე წერტილების ადგილას. გამოარკვიეთ ზმნის პირი და გარდამავლობა.

I სერია

ა) აწმყოს წრე

მოსწავლე სურათს დახატავს
. . . . . „ ხატავდა
. . . . . „ ხატავდეს

ბ) მყოფადის წრე

მოსწავლე სურათს დახატავს
. . . . . „ დახატავდა
. . . . . „ დახატავდეს

II სერია

. . . . . „ დახატა
. . . . . „ დახატოს

III სერია

. . . . . „ დაუხატავს
. . . . . „ დაეხატა
. . . . . „ დაეხატოს

გადმოეცით, რომელ ბრუნვაში დგას ზმნასთან შეწყობილი ქვემდებარეები სერიების მიხედვით და რატომ.

სავარჯიშო 101. გადაიწერეთ მაგალითები. შეუწყვეთ ზმნას სერიებსა და მწკრივებში ქვემდებარე წარტილების ადგილას. გამოარკვიეთ ზმნის გარდამავლობა და გვარი.

I სერია

ა) აწმყოს წრე	ბ) მყოფადის წრე
კაცი ცხოვრობს	კაცი იცხოვრებს
. . . ცხოვრობდა	. . . იცხოვრებდა
. . . ცხოვრობდეს	. . . იცხოვრებდეს

II სერია

. . . . იცხოვრა
. . . . იცხოვროს

III სერია

. . . . უცხოვრია
. . . . ეცხოვრა
. . . . ეცხოვროს

გადმოეცით, რომელ ბრუნვებში დგას ზმნასთან შეწყობილი ქვემდებარე და რატომ.

სავარჯიშო 102. გადაიწერეთ მაგალითებს. შეადარეთ ერთმანეთს გარდამავალსა და გარდაუვალ ზმნებთან ქვემდებარედ შეწყობილი I და II პირის მე, შენ, ჩვენ, თქვენ ნაცვალსახელები სერიების მიხედვით. გამოარკვიეთ მათი ბრუნვები.

I სერია

გარდაუვალი		გარდამავალი
მე ვიმალები	—	მე ვმალავ
შენ იმალები	—	შენ მალავ
ჩვენ ვიმალებით	—	ჩვენ ვმალავთ
თქვენ იმალებით	—	თქვენ მალავთ

II სერია

მე დავიმალე	—	მე დავმალე
შენ დაიმალე	—	შენ დამალე
ჩვენ დავიმალეთ	—	ჩვენ დავმალეთ
თქვენ დაიმალეთ	—	თქვენ დამალეთ

III სერია

ძე	დაყძალულვარ	—	მე	დამიმალავს
შენ	დამალულხარ	—	შენ	დაგიმალავს
ჩვენ	დავმალულვართ	—	ჩვენ	დაგვიმალავს
თქვენ	დამალულხართ	—	თქვენ	დაგიმალავთ

ახსენით, რატომაა ერთნაირი ფორმით წარმოდგენილი გარდამავალსა და გარდაუვალ ზმნებთან ქვემდებარედ შეწყობილი პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები.

სავარჯიშო 193. ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში გამოარკვიეთ, რომელი სიტყვა იქნება ქვემდებარე ზმნის ბრძანებითის ფორმებთან.

მეგობრებო, წინ, წინ გასწით (ე. ი.); ძმანო, ავავსოთ ფიალა (გ. ო.); ჩვენც ავდგეთ, ძმანო, და ერთიც გამარჯვებისა დავლიოთ (გ. ო.).

დამატებანი

სავარჯიშო 194. გამოარკვიეთ წინადადებაში რომელია ის საგანი, რომელზედაც მოქმედებენ, რომლისთვისაც მოქმედებენ ან კიდევ რომლითაც მოქმედებენ, რომლებიც შეწყობილი ზმნის ობიექტურ პირთან და რომელი არა; რა და რა სახელები ჰქვია თითოეულ მათგანს.

აპრილის პირმცინარი მზე დედამიწას საგაზაფხულო სხივებით ჯულმკერდს უქარგავდა (ლ. ქ.).

დაახასიათეთ დამატებათა სახეები ცალ-ცალკე.

სავარჯიშო 195. გადაიწერეთ მაგალითები. I სერიის ზმნები გადაიყვანეთ II და III სერიაში. გამოარკვიეთ ზმნების პირთანობა, გარდამავლობა; რომელ ბრუნვებში შეწყობა მათ დამატება-ობიექტძ და რა სახის დამატებაა იგი.

I სერია

ა) აწმყოს წრე

აწმყო	ვხატავ	სურათს	ვუხატავ	სურათს
უწყვ.	ვხატავდი	სურათს	ვუხატავდი	სურათს
აწმყ. კავშ.	ვხატავდე	სურათს	ვუხატავდე	სურათს

ბ) მყოფადის წრე

მყოფ.	დავხატავ	სურათს	დავუხატავ	სურათს
ხთლმ.	დავხატავდი	სურათს	დავუხატავდი	სურათს
მყ. კავშ.	დავხატავდე	სურათს	დავუხატავდე	სურათს

II სერია

წყვეტ.
II კავშ.

III სერია

I თურმ.
II თურმ.
III კავშ.

სავარჯიშო 198. გადაიწერეთ მაგალითები. I სერიის ზმნები გადაიყვანეთ II და III სერიაში. გამოარკვიეთ ზმნების პირიანობა, გარდამავლობა; რა და რა ბრუნვებში შეეწყობა მათ დამატება-ობიექტები და რომელი დამატებებია ისინი.

I სერია

ა) აწმყოს წრე

აწმყო დედა შვილს ეფერება
უწყვ. დედა შვილს ეფერებოდა
აწმყ. კავშ. დედა შვილს ეფერებოდეს

აწმყო დედა შვილს თმას უვარცხნის
უწყვ. დედა შვილს თმას უვარცხნიდა
აწმყ. კავშ. დედა შვილს თმას უვარცხნიდეს

ბ) მყოფადის წრე

მყოფ. დედა შვილს მოეფერება
ხოლმ. დედა შვილს მოეფერებოდა
მყოფ. კავშ. დედა შვილს მოეფერებოდეს

მყოფ. დედა შვილს თმას დაუვარცხნის
ხოლმ. დედა შვილს თმას დაუვარცხნიდა
მყოფ. კავშ. დედა შვილს თმას დაუვარცხნიდეს

II სერია

წყვეტ.
II კავშ.

III სერია

I თურმ.
II თურმ.
III კავშ.

განმარტეთ, რას ჰქვია პირდაპირი დამატება და რას ჰქვია ირიბი; აღნიშნეთ, რა მოსდის სამპირიანი ზმნის ირიბ დამატებას III სერიაში.

სავარჯიშო 197. შეადარეთ ერთმანეთს გარდამავალსა და გარდაუვალ ზმნებთან პირდაპირ და ირიბ დამატებად შეწყობილი I და II პირის ნაცვალსახელები (მე, შენ, ჩვენ, თქვენ) სერიების მიხედვით. გამოარკვიეთ მათი ბრუნვები (შესაძლებლად აღებულია აწმყო და წყვეტილი).

I სერია

აწმყო

მე	მეხატება	—	მე მხატავს
შენ	გეხატება	—	შენ გხატავს
ჩვენ	გვეხატება	—	ჩვენ გვხატავს
თქვენ	გეხატებათ	—	თქვენ გხატავთ

—	მე	მიხატავს
—	შენ	გიხატავს
—	ჩვენ	გვიხატავს
—	თქვენ	გიხატავთ

II სერია

წყვეტილი

მე	დამეხატა	—	მე დამხატა
შენ	დაგეხატა	—	შენ დაგხატა
ჩვენ	დაგვეხატა	—	ჩვენ დაგვხატა
თქვენ	დაგეხატათ	—	თქვენ დაგხატათ

—	მე	დამიხატა
—	შენ	დაგიხატა
—	ჩვენ	დაგვიხატა
—	თქვენ	დაგიხატათ

გადმოეცით, როგორ გამოარკვიეთ ნაცვალსახელებით გადმოცემული პირდაპირი და ირიბი დამატების ბრუნვები.

სავარჯიშო 198. წაიკითხეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, რას ახლავს დამატება ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში; არის თუ არა იგი შეწყობილი ზმნის ობიექტურ პირთან და რომელია ეს დამატება.

ფანქრით ხატავს
ფანქრით დახატვა
ფანქრით დახატული
ყველაზე ლამაზი

ჩვენზე გულადად
თქვენზე გაბარებული

სავარჯიშო 199. მოუძებნეთ უბრალო დამატების კითხვებს პატარა-პატარა წინადადებებში მოცემული შესაბამისი უბრალო დამატებები და მიუწერეთ გასწვრივ. აღნიშნეთ, რომელ ბრუნვაში დგას ისინი, რას უკავშირდებიან, თანდებულიანია თუ უთანდებულო.

ვისთან? —
რასთან? —
ვისთან ერთად? —
რასთან ერთად? —
ვისზე? —
რაზე? —
რაში? —

სავარჯიშო 200. გადაიწერეთ მაგალითები. შეუწყვეთ სათანადო კითხვები უბრალო დამატებებს. გამოარკვიეთ მათი ბრუნვა, რომელ სიტყვას უკავშირდებიან და რა და რა შინაარსს გამოხატავენ ისინი, თანდებულიანია თუ უთანდებულო.

1. მონადირის მოკლული ხოხობი
   მონადირის მიერ მოკლული ხოხობი
   ხოხბის მოკვლა
2. მოსწავლეების წაყვანა საექსკურსიოდ
   ხიდის მშენებელი ინჟინერი
   მეგობრის შესახებ ისაუბრეს
   მოსწავლის მიმართ ყველა კმაყოფილია
   სკოლისათვის შენობა ააგეს
   სკოლისათვის აგებული შენობა
   სკოლისათვის შენობის დამპროექტებელი
3. ყურძნისაგან ღვინო მზადდება
   ყურძნისაგან დამზადებული ღვინო
   ტყვეობისაგან თავი დააღწია
   ტყვეობისაგან თავის დაღწევა
   პატიმრობისაგან განთავისუფლდა
   პატიმრობისაგან განთავისუფლებული
   განსაცდელისაგან დაიხსნა
   განსაცდელისაგან დახსნილი
   განსაცდელისაგან დახსნა.

სავარჯიშო 201. გადაიწერეთ მაგალითები. შეუწყვეთ სათანადო კითხვები უბრალო დამატებებს. გამოარკვიეთ, რომელ ბრუნვაში დგას ისინი; რას უკავშირდებიან, რა და რა მნიშვნელობას შეიცავენ, თანდებულიანია თუ უთანდებულო.

1. თოფით მგელი მოკლა
   თოფით მოკლული მგელი
   თოფით მგლის მოკვლა
2. მეგობრითურთ დაბრუნდა
   მეგობრითურთ დაბრუნება
   მეგობრითურთ დაბრუნებული

აღნიშნეთ, რომელი ფორმა ისმარება უფრო ხშირად ურთ-თანდებულიანი დამატების მაგიერად თანამედროვე ქართულში.

სავარჯიშო 202. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, რომელ ბრუნვაში დგას უბრალო დამატებები და რა და რა შინაარსს გამოხატავენ ისინი, უთანდებულოდაა ნახმარი თუ თანდებულით, ძირეულია თუ წარმოქმნილი.

1. კოკისპირული წვიმა ნიალვრებად იქცა
   დირექტორად დანიშნეს
   დირექტორად დანიშნული
   დირექტორად დანიშვნა
   დეპუტატად აირჩიეს
   მიზნად დაისახა
   მასწავლებლად წავიდა
   გმირად მიაჩნია
   თუმნად ღირს
   ჩირადაც არ ჭამთვალა
2. მცენარე ძირიანად მოთხარა
   ძირიანად მოთხრილი მცენარე
   მცენარის ძირიანად მოთხრა.

განსაზღვრება

სავარჯიშო 203. გადაიწერეთ მაგალითები. მოუძებნეთ ქვემოთ მოყვანილ კითხვებს შესაბამისი განსაზღვრებები სახელურ სახელთან ერთად და მიუწერეთ გასწვრივ.

როგორი? —
რომელი? —
რამდენი? —
სადაური? —
როდინდელი? —
ვისი? —
რისა? —

განმარტეთ, რას ჰქვია განსაზღვრება.

სავარჯიშო 204. წაიკითხეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, წინადადების რა წევრია საზღვრული ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში.

კეთილმა ბერიკაცმა გულნაკლულად ჩაიცინა (ი. ჭ.); პატარა მაროს ძმამ მერცხლის ბარტყი მოუყვანა (ი. გ.); მახარამ პატარა წიგნი ამოიღო ჯიბიდან (კ. გ.); დაბურულ ტყეში დიდი მუხა იდგა (ი. გ.); სოფიო გასროლილ ქვასავით გავარდა სამზარეულოში (მ. ჯ.).

სავარჯიშო 205. წაიკითხეთ მაგალითები, გამოარკვიეთ, რომელია შეთანხმებული და რომელია მართული განსაზღვრებები ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში. დაახასიათეთ, როგორია ისინი ფორმის მიხედვით.

1. მაღალი სახლი
   მაღალმა სახლმა
   მაღალო სახლო
2. ხის სახლი
   ხის სახლმა
   ხის სახლს

სავარჯიშო 206. გადაიწერეთ მაგალითები და გამოარკვიეთ, მეტყველების რომელი ნაწილები შეიძლება იყოს გამოყენებული შეთანხმებულ განსაზღვრებად.

გიორგის შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა; დავვიანებულმა სადილმა დიდხანს გასტანა (შ. ა.); კაპიტანმა ბარამანდიამ წესიერების აღდგენა სცადა (დ. შ.); ბაბალემ ჯიბიდან ამოიღო ერთი გაბმა აბრეშუმი (ი. ჭ.); ოთხი ურემი ოთხკუთხივ მოდგომოდა სათიავეს (ი. ჭ.); ჩვენი ოჯახებიც შეგობრობდნენ ერთმანეთს (ვ. ბ.).

სავარჯიშო 207. წაიკითხეთ მაგალითები და გამოარკვიეთ განსაზღვრების ურთიერთობა საზღვრულთან ფორმის მიხედვით:

1. როცა შეთანხმებულ განსაზღვრებად გამოყენებული სახელი ზოგი თანხმოვანზეა გათავებული, ზოგი ხმოვანზე (სუფთა ჰაერი, სუფთა ჰაერმა, სუფთა ჰაერს; მაღალი სახლი, მაღალმა სახლმა, მაღალ სახლს და ა. შ.).

2. როცა პირველი და მეორე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელები მიცემითშია (ჩემს მეგობარს, ჩვენს მეგობარს, შენს მშობლებს, თქვენს ამხანაგებს).

3. როცა განსაზღვრებად გამოყენებულია პროფესია — თანამდებობისა და ზოგიერთი სხვა არსებითი სახელი (ექიმი ფალავა, ექიმმა ფალავამ, ექიმ ფალავას და ა. შ.).

4. როცა განსაზღვრება დგას საზღვრულის შემდეგ (ბავშვი პატარა, ბავშვმა პატარამ, ბავშვს პატარას და ა. შ.).

5. როცა მართული მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს (სახლი ხისა, სახლმა ხისამა და ა. შ.).

სავარჯიშო 208. გაიხსენეთ და გადმოეცით, წინადადების რა წევრია, როცა ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი ერთ შემთხვევაში ახლავს არსებით სახელს (ხის სახლი), მეორე შემთხვევაში — სახელზმნას (საწყისს ან მიმღეობას — სახლის აშენება, სახლის ამშენებელი).

სავარჯიშო 208. გადაიწერეთ, მოუძებნეთ ქვემოთ მოყვანილ კითხვებს შესაბამისი გარემოებები პატარა-პატარა წინადადებებში და მიუწერეთ გასწვრივ:

სად? —
როდის? —
როგორ? —
რატომ? —
რად? —
რისთვის? —
რამდენად? —
რამდენჯერ? —

განმარტეთ, რას ჰქვია გარემოება, ჩამოთვალეთ, რა და რა სახის გარემოებები შეიძლება იყოს მნიშვნელობის მიხედვით.

სავარჯიშო 210. წაიკითხეთ და გამოარკვიეთ, რას ახლავს გარემოება ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში.

შინ მიდის, შინ წასვლა, შინ წასული, ძალიან თეთრი, ოდნავ წითელი, ძალიან შორს, უფრო მაღლა.

გადმოეცით, აქედან რომელს ახლავს ობიექტად.

სავარჯიშო 211. გადაიწერეთ მაგალითები. სათანადო კითხვებით გამოარკვიეთ, გარემოების რომელი სახეებია გამოყენებული წინადადებებში, რითაა გადმოცემული და რას ახლავს ისინი.

დავითი გარეთ გამოვიდა (ა. ბ.); იქ ყვავილები გაშლილა (გ. წ.); ჩავედით ქალაქში (ი. ჭ.); მესამე დღეს მელა ისევ გაემგზავრა ცნობილის საქათმისაკენ (ი. გ.); ქუთაისიდან მიწისმზომელი გამოიძახეს (კ. ლ.).

განმარტეთ გარემოების მოცემული სახე.

სავარჯიშო 213. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, სახელის რომელი ბრუნვის ფორმითაა გადმოცემული ადგილის გარემოებები წინადადებებში, თანდებულიანია თუ უთანდებულო; რომელი თანდებულები ერთვის თანდებულიან გარემოებებს.

1. გლეხი წავიდა ქალაქს სამუშაოდ (ი. გ.); იაგო წავიდა თავის ნათლიისას (ა. ყ.); დამსწრე ქალებმა კვერცხები გადაისროლეს წყალში (კ. გ.); ქვებს შუა ათასობით ეწყო თევზის პაწაწა კვერცხები (ი. გ.); ანკარა წყალს ახაერდებულ ნაპირებს შორის სარკესავით გაჰქონდა ლაპლაპი (ნ. ლომ.).

2. ამბაკო სალეწ მანქანისაკენ გაიქცა (ს. შ.); გაზაფხულდა, ბუჩ-

ჭის ძირას თავს აწონებს ნაზი ია (ა. წ.); მიწა საქათმის ქვეშ ფხვიერი დაუხვდა (ი. გ.); ოთხი ბარაკი იდგა ტყის პირად (ა. ბ.).

3. იმ ღამეს ქურდულად გავიდა კახეთით (ა. წ.); კარებიდან ამირანი გამოვიდა (მ. ჯ.).

4. ისინი ხშირად დადიან მინდერად (შ. ა.); ნათლიმამის სახლამდისაც კაი მანძილი იყო (ი. ჭ.).

სავარჯიშო 213. გადაიწერეთ მაგალითები. სათანადო კითხვებით გამოარკვიეთ, გარემოების რომელი სახეა გამოყენებული წინადადებებში, რით არის გადმოცემული და რას ახლავს იგი.

ქესოც ადრე ამდგარიყო (ი. ჭ.); ეს ბავშვობიდანვე შთაგვაგონებდა შრომის სიყვარულს (გ. ლ.); პაპაშა... მამლის ყივილამდე იწყო (მ. ჯ.); გოგოებს ადრე ადგომა ეზარებოდათ (ი. გ.); ადრე მოფრენილ მერცხალს სუსხი სცემს და ყინვა აზრობს (ანდ.).

განმარტეთ გარემოების მოცემული სახე.

სავარჯიშო 214. წაიკითხეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, სახელის რომელი ბრუნვის ფორმებია გამოყენებული დროის გარემოების გადმოსაცემად, რაზე მიუთითებს მათი მნიშვნელობა, თანდებულიანია თუ უთანდებულო.

1. ორშაბათს, ახალწელიწადს, 9 იანვარს, 1977 წელს, ხუთ წუთს, ოთხ საათს, სამ დღეს, განთიადისას, განთიადზე (დაასახელეთ მსგავსი მაგალითები).

2. გაღვიძებისთანავე, განთიადის წინ, ნახევარი საათის შემდეგ (დასახელეთ მსგავსი მაგალითები).

3. დილით, ღამით, ორი დღით, თვეობით, ზამთრობით (ღაასახელეთ მსგავსი მაგალითები).

4. კვირამდის, მოსვლამდის, ამჟამად, ძველად (დაასახელეთ მსგავსი მაგალითები).

სავარჯიშო 215. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, გარემოების რომელ სახეა გამოყენებული მოყვანილ წინადადებებში, რითაა გადმოცემული და რას ახლავს იგი; შეუწყვეთ სათანადო კითხვები.

ერთხელ ძლიერ დაცხა (ვ. ფ.); მშრომელთა შემოსავალი ერთიორად გაიზარდა; ვანომ ლექსი სამჯერ წაიკითხა; გიორგის კოხტად და ფაქიზად ჩაცმა-დახურვა უყვარდა (ი. ჭ.); ელექტრონის ჭალმა... გაანათა თეთრად მორთული საწოლი ოთახი (მ. ჯ.); ხავერდივით მწვანე ბალახს აბიბინებს სიო ნაზად (ა. წ.); გიორგი ძალიან კოხტად იცვამდა ტანისამოსს (ს. მ.); მამალიც გამოეკიდა ფეხდაფეხ (ვ. ფ.)

განმარტეთ გარემოების მოცემული სახე.

სავარჯიშო 216. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, სახელისა და სახელზმნის (საწყისისა და მიმღეობის) რა და რა ბრუნვის ფორმებია გამოყენებული გვთარების გარემოებად, თანდებულიანია თუ უთანდებულო; დაუსვით სათანადო კითხვები.

1. ეს სიტყვები ისარივით ეცა გულზე კორინთელს (ა. წ.); მზაღომ წნორის ფურცელსავით ცახცახი დაიწყო (ა. ყ.); გული ძალზე დაუწყებდა ხოლმე ცემას (ი. ე.).

2. მანაც სალამურისებრ დაიკვნესა (ი. ე.); ელვისებრ მოსდევს ეს ამბავი სამეფოს (ქ. გ.).

3. მფრინავმა მანქანამ ჰექა-ქუხილით გადაუარა ხალხს (ლ. ჭ.); დიდის პატივით მიიღო მოსემ დავითი (ი. ჰ.); დაგდებულ წერილზე წკაპა-წკუპით ცვიოდა ცრემლები (ა. ბ.); მერმე? მერმე და იქერენ ფუთობით (შ. დ.); მუხები წყაროსთან არხევდნენ ტოტებს (ვ. ფ.).

4. იმერეთმა დედაშვილურად მიიღო ორივე ვაჟკაცი (ა. წ.); ქართლის გაშლილ ველზე სწრაფად მისრიალებს მატარებელი (შ. დ.); დავითი უსიტყვოდ გაბრუნდა (ა. ბ.); იქ ჯგუფად ისხდნენ ბუზები (ი. ჰ.); მცხოვრებთა რიცხვი ერთიორად გაიზარდა (ნ. ლომ.); ყვავს ნისკარტი ორად გაუსკდა (თ. რ.).

სავარჯიშო 217. გადაიწერეთ მაგალითები. სათანადო კითხვებით გამოარკვიეთ, გარემოების რომელი სახეა გამოყენებული მოყვანილ წინადადებებში, რით არის გადმოცემული და რას ახლავს იგი.

ამიტომაც ღმერთი უწყრება (ი. ჰ.); მგლები თავს იმიტომ იყრიდნენ ერთად... (ვ. ფ.); მუხას ვაშლი რატომ არ ასხია (ი. ჰ.); შიმშილით შეწუხებული მგლები ყმუოდნენ (თ. რ.); ღამის სიბნელემ შიშისაგან ტუჩისფერი დაკარგა (შ. ა.); შიშის გამო ისინი ძალიან იყვნენ შეწუხებული.

განმარტეთ გარემოების მოცემული სახე.

სავარჯიშო 218. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ სახელის რა და რა ბრუნვის ფორმებია გამოყენებული მიზეზის გარემოების გადმოსაცემად, თანდებულიანია თუ უთანდებულო.

ოტია გაშრა სირცხვილისაგან (დ. კ.); ძლიერი ქარის გამო სახლის ჰერი მეტად შეინძრა (ი. გ.); სირცხვილით შინ როგორღა მივიდე, მეუღმე კაცი (ი. ჰ.); ყველა ეს კი წყლის მეოხებით ხდებოდა (ნ. ლ.); მზითვის გულისათვის თავს რად ირცხვენს სიკო? (მ. ჯ.).

სავარჯიშო 219. გადაიწერეთ მაგალითები. სათანადო კითხვებით გამოარკვიეთ, გარემოების რომელი სახეა გამოყენებული ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში, რით არის გადმოცემული და რას ახლავს იგი.

მე ჩონგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს (ა. წ.); პეტრე სანადიროდ წავიდა; პეტრეს სანადიროდ წასვლა ვერ მოხერხდა; სანადიროდ წასული პეტრე გვიან დაბრუნდა; სარდიონმა ბიჭი აფრინა თოფისათვის (ვ. ფ.); ელდინო ბასიკოს დასაძახებლად გაიქცა (ს. შ.); მტერზე მისული ბიჭები ბრძოლისთვის გვეძახიანო (ი. ე.).

სავარჯიშო 220. გამოარკვიეთ, სახელისა და სახელზმნის (საწყისისა და მიმღეობის) ის და რა ბრუნვის ფორმებია გამოყენებული მიზნის გარემოების გადმოსაცემად, თანდებულიანია თუ უთანდებულო. დაუსვით სათანადო კითხვები.

ურმისათვის სოფელში ორი ბიჭი გაგზავნეს (ნ. ლომ.); კაცები თამაშად მოსულანო (ი. ჭ.); მოზარდები გამორბოდნენ ნათლიის სანახავად (გ. ლ.); ქარხნის მუშები მზად იყვნენ შრომისათვის; სამი ღამე გამითენებია შენი გულისათვის (შ. ა.).

მარტივი წინადადების ტიპები წევრთა შედგენილობის მიხედვით

სავარჯიშო 221. შეადარეთ ერთმანეთს ქვემოთ მოყვანილი წინადადებები. გამოარკვიეთ, მარტივი წინადადების რომელი სახეა პირველი და რომელი — მეორე.

1. ა) ხის ტოტებმა ცახცახი დაიწყეს (ვ. ფ.). — ბ) ტოტებმა ცახცახი დაიწყეს.

2. ა) ახლა მებორნეს შეავლო თვალი არზაყანმა (კ. გ.) — ბ) მებორნეს შეავლო თვალი არზაყანმა.

3. ა) პატარა გუგულები თანდათან მოიზარდნენ (ი. გ.) — ბ) გუგულები მოიზარდნენ.

4. ა) ძლიერ წვიმს — ბ) წვიმს.

სავარჯიშო 222. შეადარეთ ერთმანეთს ქვემოთ მოყვანილი წინადადებები. გამოარკვიეთ, მარტივი წინადადების რომელი სახეა პირველი და რომელია მეორე. დახასიათეთ თითოეული მათგანი.

1. ა) გიორგიმ მარდად მოავლო ხელი მარგილს (ს. მ.) — ბ) მარდად მოავლო ხელი მარგილს.

2. ა) მზეხამ ახალი საკაბე დაუჭრა ნათელას (გ. წ.) — ბ) მზეხამ ახალი საკაბე დაუჭრა.

3. ა) უფრო გამალებული წავიდა პეტრე ავლაბრის ბაკებისაკენ (ი. ჭ.) — ბ) უფრო გამალებული წავიდა ავლაბრის ბაკებისაკენ.

4. ა) დიდი პატივით მიიღო მოსემ დავითი (ი. ჭ.) — ბ) დიდი პატივით მიიღო მოსემ.

5. ა) ქმრის ანდერძს არ უღალატა (ი. ჭ.) — ბ) ქმრის ანდერძს არ უღალატა ოთარაანთ ქვრივმა.

6. ა) ყველგან დაბრძანდის მეუბნებიან (ა. წ.) — ბ) ყველგან დაბრძანდის მეუბნებიან მე.

7. ა) „ეგ იმან დაწერა?“ — ბ) „ჰო, იმან!“ (ი. ჭ.).

8. ა) აქლემი ვერ გაფრინდება? — ბ) აქლემი — ვერა (ა. წ.).

სავარჯიშო 228. გაიხსენეთ და გადმოეცით, მარტივი წინადადების რომელი სახეა ასეთი სიტყვებისაგან შემდგარი წინადადებები: წვიმს, თოვს, ცივა, ცხელა, მაცივებს, მახველებს, მზარავს... დაახასიათეთ ისინი.

მარტივი წინადადების ზოგადი დახასიათება

(ცნობისათვის)

შემასმენლის ზოგადი დახასიათება

შემასმენელი ჰქვია წინადადების წევრს, რომელიც გამოხატავს საგნის მოქმედებას („ბავშვი ლაპარაკობს“), მდგომარეობას („ბავშვი ზის“), ან გვიჩვენებს, თუ რა მოსდის საგანს („მიწა სველდება“), როგორია საგანი („მიწა სველია“), ვინ არის საგანი („თინა მასწავლებელია“), რა არის საგანი („ასკილი მცენარეა“).

შემასმენლის კითხვებია: რას შვრება საგანი? რა მოსდის საგანს? რა მდგომარეობაშია საგანი? როგორია საგანი? რა (ან ვინ) არის საგანი?

შემასმენელი ორგვარია: მარტივი და შედგენილი.

მარტივი შემასმენელი. მარტივი შემასმენელი პირიანი ზმნით გადმოიცემა: შაშვი გალობს, კაცი მუშაობს.

ზმნის პირიანი ფორმა ზოგჯერ რთული ან მეშველზმნიანია. მეშველზმნიანია:

1. ზოგიერთი გარდაუვალი ზმნა, როცა იგი აწმყოს პირველსა და მეორე პირშია: ვუყვარვარ, უყვარხარ; ვდგავარ, დგახარ.

2. ერთპირიანი ზმნები III სერიის მწკრივებში: დავმალულვარ, დამალულხარ; დავმალულიყავ, დავმალულიყო...

3. ორპირიანი გარდაუვალი ზმნა I თურმეობითში: არ გავცნობიერ, არ გაცნობიხარ.

4. როცა ზოგი გარდამავალი ზმნა I თურმეობითშია და ობიექტურ პირად წარმოდგენილია პირველი ან მეორე პირი: შევუქივარ, შეუქიხარ.

შედგენილი შემასმენელი. შედგენილი შემასმენელი შეიცავს ბრუნებად სიტყვას (სახელს ან სახელზმნას) და მეშველ ზმნას.

შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად შეიძლება იყოს ბრუნებადი სიტყვები: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი და სახელზმნა (საწყისი და მიმღეობა); ობიექტურად ფორმაუცვლელი სიტყვაც (ზმნიზედა).

დამხმარე (მეშველ) ზმნად გამოიყენება ვარ ზმნის ფორმები მო-

ნაცვალე ზმნებითურთ: ვიკნები, ვიყავი და სხვ. ყველა პირსა და რიცხვში.

მაგ.: მე ქართველი ვარ, შენ მამაცი ხარ, ხუთკერ ხუთი ოცდახუთია, ეს წიგნი ჩემია, იგი გახარებული იყო.

მეშველი ზმნის მნიშვნელობა აქვს ზოგიერთ სხვა ზმნასაც, როცა ისინი შედგენილი შემასმენლის ნაწილებად არიან გამოყენებული. ასეთებია: აქვს, ჰყავს, გახლავს, გახდა, ჩანს, დადგა, დარჩა, ბრძანდება, აღმოჩნდა და სხვა. მაგ.: „მე მწერალი ვახლავართ“ (ი. ჭ.); დარეჯანი სიკვდილამდე პირველი ქმრის ერთგული დარჩა (ვ. ფ.).

ქვემდებარის ზოგადი დახასიათება

ქვემდებარე ჰქვია წინადადების წევრს, რომელიც ზმნით აღნიშნულ მოქმედებას ასრულებს ან რომელსაც ეს მოქმედება მიეწერება. ქვემდებარე ზმნის სუბიექტურ პირთან შეწყობილი წევრია.

ქვემდებარის გადმოსაცემად ქართულში ყოველგვარი სახელია გამოყენებული, მაგრამ ყველაზე მეტად იგი არსებითი სახელით, საწყისით და ნაცვალსახელითაა წარმოდგენილი. მაგ.: ირემი მიუახლოვდა ზღვის ფსკერს (ვ. ფ.); ბრმამ კოკლი ზურგზე შეისვა (ი. გ.); სადგომი საბლიდან ვიღაც გამოვიდა (ნ. ლომ.); მოსულები ფრთხილად ისხდნენ (დ. შ.).

ქვემდებარე მე-3 პირის ფორმებთან. გარდაუვალი ზმნის მე-3 პირის ფორმასთან შეწყობილი ქვემდებარე ბრუნვას არ იცვლის, იგი ყოველთვის სახელობითშია პირველ, მეორე და მესამე სერიაში, მნიშვნელობა არა აქვს ზმნა ერთპირიანია თუ ორპირიანი.

ა) ქვემდებარე ერთპირიან ზმნასთან: ბავშვი იზრდება, ბავშვი გაიზარდა, ბავშვი გაზრდილა.

ბ) ქვემდებარე ორპირიან ზმნასთან: დედას შვილი ეზრდება, დედას შვილი გაეზარდა, დედას შვილი გაზრდია.

გარდამავალი ზმნის მე-3 პირის ფორმასთან შეწყობილი ქვემდებარე ბრუნვაცვალებადია. I სერიის მწკრივების ფორმებთან დგას სახელობითში (დედა შვილს ზრდის), მეორე სერიის ფორმებთან — მოთხრობითში (დედამ შვილი გაზარდა), მესამე სერიის ფორმებთან კი — მიცემითში (დედას შვილი გაუზრდია).

ბრუნვაცვალებადია აგრეთვე ქვემდებარე საშუალ-მოქმედებითის (თემის ნიშან-მონაცვლე) ზმნებთან: ვიცინი, ვტირი, ვცხოვრობ, ვდარაჯობ, ვტრიალებ და სხვ. ამ ზმნებს პირდაპირი ობიექტი არა აქვთ და ამიტომ გარდაუვალნი არიან. მიუხედავად

ამისა, მათ ქვემდებარე ბრუნვაცვალებადი ეწყობათ, რადგან ისინი საკუთრივ მხოლოდ I სერიის აწმყოს წრის მწკრივებს აწარმოებენ, სხვა მწკრივები კი შენაცვლების წესით აქვთ ნაწარმოები სათანადო მოქმედებითი გვარის ზმნისაგან. მაგ.: კ ა ც ი ცხოვრობს, კ ა ც მ ა იცხოვრა, კ ა ც ს უცხოვრია.

ქვემდებარე **1-ლი და მე-2 პირის ფორმებთან.** წინადადებაში ზმნას I პირში ქვემდებარედ შეეწყობა ნაცვალსახელი მ ე (მხ.-ში), ჩ ვ ე ნ (მრ.-ში). II პირში — შ ე ნ (მხ.-ში), თ ქ ვ ე ნ (მრ.-ში). ეს ნაცვალსახელები (მე, შენ, ჩვენ, თქვენ) ყველა უბრუნველია. ამიტომ მნიშვნელობა არა აქვს ზმნა გარდამავალია თუ გარდაუვალი. პირველსა და მეორე პირში ქვემდებარეები ყველგან ერთი და იმავე ფორმით იქნება წარმოდგენილი.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

ა) ზმნა გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ი ა: მ ე ვიმალები, მ ე დავიმალე, მ ე დავმალულვარ; შ ე ნ იმალები, შ ე ნ დაიმალე, შ ე ნ დამალულხარ; ჩ ვ ე ნ ვიმალებით, ჩ ვ ე ნ დავიმალეთ, ჩ ვ ე ნ დავმალულვართ, თ ქ ვ ე ნ იმალებით, თ ქ ვ ე ნ დაიმალეთ, თ ქ ვ ე ნ დამალულხართ.

ბ) ზმნა გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი ა: მ ე ვმალავ, მ ე დავმალე, მ ე დამიმალავს; შ ე ნ მალავ, შ ე ნ დამალე, შ ე ნ დაგიმალავს; ჩ ვ ე ნ ვმალავთ, ჩ ვ ე ნ დავმალეთ, ჩ ვ ე ნ დაგვიმალავს; თ ქ ვ ე ნ მალავთ, თ ქ ვ ე ნ დამალეთ, თ ქ ვ ე ნ დაგიმალავთ.

I და II პირის ფორმებთან შეწყობილი ნაცვალსახელი ზოგჯერ წინადადებაში არ გვხვდება, მაგრამ ისინი ზმნის ფორმის მიხედვით ადვილად იგულისხმება.

დამატების ზოგადი დახასიათება

დამატების ს ა ხ ე ე ბ ი ა: დამატება-ობიექტები — პ ი რ დ ა პ ი რ ი დ ა ი რ ი ბ ი, რომლებიც ზმნის ობიექტურ პირთან არიან შეწყობილი, და უ ბ რ ა ლ ო დამატება, რომელიც ზმნის ობიექტურ პირთან შეწყობილი არ არის. მაგ.: „მწყერმა ფესვებს ფეხით და ნისკარტით მიწა გამოუთხარა“ (ი. გ.). ამ წინადადებაში მიწა პირდაპირი დამატებაა, ფესვებს — ირიბი. ისინი ზმნის ობიექტურ პირთან არიან შეწყობილი; ფეხით და ნისკარტით უბრალო დამატებებია, რომლებიც ზმნის ობიექტურ პირს არ უკავშირდებიან.

პირდაპირი დამატება. პირდაპირი დამატება ჰქვია ზმნა-შემასმენლის პირდაპირ-ობიექტურ პირთან შეწყობილ წევრს. პირდაპირი დამატება გარდამავალი ზმნის კუთვნილებაა. იგი მოეპოვება ორპირიანსა და სამპირიან ზმნებს.

პირდაპირი დამატება არის ბრუნვაცვალებადი სახელი. I სერიის რომელიმე მწკრივის ფორმასთან დგას მიცემითში, ხოლო II ან III სერიის რომელიმე მწკრივის ფორმასთან — სახელობითში. მაგალითი: ვხატავ ს უ რ ა თ ს, დავხატე ს უ რ ა თ ი, დამიხატავს ს უ რ ა თ ი.

ირიბი დამატება. ირიბი დამატება ზმნა-შემასმენლის ირიბ-ობიექტურ პირთან შეწყობილი წევრია. იგი მოეპოვება როგორც გარდამავალ ზმნებს, ისე გარდაუვალსაც. ირიბი დამატება გვხვდება მხოლოდ სამპირიან გარდამავალ ზმნებთან (კალატოზი მ ე ზ ო ბ ე ლს სახლს უშენებს) და ორპირიან გარდაუვალთან (მ ე ზ ო ბ ე ლს სახლი აუშენდა).

ირიბი დამატება ბრუნვაუცვლელია. იგი მიცემით ბრუნვაში დგას. გარდაუვალ ზმნას ირიბი დამატება აქვს მესამე სერიის ფორმებთანაც: „დედა ეფერება შ ვ ი ლ ს“, „დედა მოეფერა შ ვ ი ლ ს“, დედა მოფერებია შ ვ ი ლ ს“.

სამპირიანი ზმნის ირიბი დამატება მესამე სერიაში ნათესაობით ბრუნვაში დადგება, დაირთავს თ ვ ი ს თანდებულს და იქცევა უბრალო დამატებად. ასე რომ, სამპირიან გარდამავალ ზმნას ირიბი დამატება მხოლოდ I და II სერიის მწკრივის ფორმებთან მოეპოვება. მაგ.: „კალატოზი მ ე ზ ო ბ ე ლ ს სახლს უშენებს“, „კალატოზმა მ ე ზ ო ბ ე ლ ს სახლი აუშენა“, „კალატოზს მ ე ზ ო ბ ლ ი ს ა თ ვ ი ს სახლი აუშენებია“.

უბრალო დამატება. უბრალო დამატება ზმნის ობიექტურ პირთან შეწყობილი არ არის. ასეთი დამატება ახლავს პირიან ზმნებს და სახელზმნას (საწყისსა და მიმღეობას): „ფ ა ნ ქ რ ი თ ხატავს, ფ ა ნ ქ რ ი თ დახატვა, ფ ა ნ ქ რ ი თ დახატული. უბრალო დამატება შეიძლება ახლდეს აგრეთვე ზედსართავ სახელს; ზმნიზედას, რომელიც ზედსართავისა და მიმღეობისაგან არის მიღებული: ყ ვ ე ლ ა ზ ე ლამაზი, ჩ ვ ე ნ ზ ე კარგად, დ ა ვ ა ლ ე ბ ი ს შესასრულებლად და სხვ.

უბრალო დამატების ბრუნვებია: მ ი ც ე მ ი თ ი, ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი, მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი და ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი. გვხვდება როგორც თანდებულით, ისე უთანდებულოდ.

უ ბ რ ა ლ ო დ ა მ ა ტ ე ბ ა მ ი ც ე მ ი თ შ ი. უბრალო დამატებას მიცემითში დაერთვის თანდებულები: თ ა ნ, ზ ე, შ ი; თ ა ნ თანდებულიან უბრალო დამატებასთან შეიძლება შეგვხვდეს ე რ თ ა დ; შეეწყობა კითხვები: ვ ი ს თ ა ნ? ვ ი ს თ ა ნ ე რ თ ა დ? რ ა ს თ ა ნ? რ ა ს თ ა ნ ე რ თ ა დ? ვ ი ს ზ ე? რ ა ზ ე? რ ა შ ი?

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი: მახარა მივიდა ო ქ რ ო მ ჭ ე დ ე ლ თ ა ნ (წ. ა.); ოლიფანტე ქ ა ლ ი შ ვ ი ლ თ ა ნ ე რ თ ა დ იდგა (დ. შ.); ალიოშამ თავი ჩაღუნა ცოლ-შვილის მ ო გ ო ნ ე ბ ა ზ ე (წ. დ.); მთელ-

შა ვახშამმა გაიარა ხუმრობაში (ა. ყ.); „ღორზე დაპალი, კაცზე მაღალი“ (გამოცანა).

უბრალო დამატება ნათესაობითში. ნათესაობითში დასმული უბრალო დამატება გვხვდება თანდებულით და უთანდებულოდ. თანდებულებად გამოყენებულია: გან, მიერ, თვის, შესახებ, მიმართ და სხვ. შეეწყობა კითხვები: ვისგან? რისგან? ვისთვის? ვის მიერ? ვისა ნ რის შესახებ? ვის მიმართ? და სხვ.

ნათესაობითში დასმულ უბრალო დამატებებს აქვთ განსხვავებული მნიშვნელობა. ძირითადი მნიშვნელობები კი შემდეგია:

ა) აღნიშნავს მოქმედების ჩამდენ საგანს: ბევრჯერ მინახავს ირეში, დამფრთხალი ძაღლისგან (ი. ჭ.); დავითმა შეათვალიერა მელიტონის მიერ ნაჩვენები ადგილი (ა. ბ.); ბებია მარადია მთვარის ამოსვლას ელოდა (გ. ლ.).

ბ) მიუთითებს სამოქმედო საგანზე ან გამოხატავს დანიშნულებას: ბავშვის წაყვანა საბაგიროდ; ქვის მთლელი ოსტატი; დაღუპულთა შესახებ ჩონგურზე ლექსებს გამოთქვამდნენ (გ. ლ.); დურგლის მიერ გახერხილი ფიცარი; მარიტა მოკვდა სოფლისათვის (გ. ლ.).

გ) გან თანდებულიანი უბრალო დამატება ისეთ ზმნებთან, როგორიცაა: კეთება, მზადება, აშენება, ჩამოსხმა და სხვ. აღნიშნავს მასალას, რითაც რაიმე კეთდება: კოდებს, სადღეებლებს, კასრებს სულ ცაცხვისაგან აკეთებენ (თ. რ.).

გან თანდებულიანი დამატება ზოგიერთ ზმნებთან (განთავისუფლება, დახსნა და სხვ.) გვიჩვენებს დაშორებას, დაცილებას, დახსნას, თავის დაღწევას, განთავისუფლებას და სხვ. მაგ.: ნუ შეგვიშლი მამათ ანდერძს, სირცხვილისგან დაგვიხსენი (ი. ჭ.).

უბრალო დამატება მოქმედებითში. მოქმედებითში დასმული უბრალო დამატება გვხვდება უთანდებულოც და თანდებულიანიც. ასეთ დამატებას ორგვარი მნიშვნელობა აქვს: საჭურველისა და თანაობისა.

ა) საჭურველის დამატება ყოველთვის უთანდებულოა. აღნიშნავს ისეთ საგანს, რომლითაც მოქმედება სრულდება: მონადირემ თოფით მგელი მოკლა, მგლის თოფით მოკვლა, თოფით მოკლული მგელი. მისი კითხვებია: რით? (ან რის საშუალებით?).

ბ) თანაობის უბრალო დამატება აღნიშნავს ერთად ყოფნას, თანყოფნას, დაერთვის თანდებული ურთ: ლევანმა მასთან მყოფ ამხანაგებთ ურთ დაუყოვნებლივ მიაშურა დანიშნულ ადგილს (ლ. ჭ.). ურთ თანდებულიანი უბრალო დამატება მოძველებულად ითვლება. მის მაგივრად დღეს უთანდებულო ფორმაა უფრო ხშირად გავრცე-

ლებული: ჩვენი მელა თავისი ლეკვებით ხშირად რჩებოდა შიშველი (ი. გ.). თანაობის უბრალო დამატების კითხვებია: ვისთან ერთად? რასთან ერთად?

დამატება ვითარებითში: ვითარებით ბრუნვაში დასმული უბრალო დამატება ორგვარი მნიშვნელობისაა: ვითარებისა და თანაობისა.

ა) ვითარებისა აღნიშნავს ახალ ვითარებას (ცვალებას, გადაქცევას, დანიშვნას, მიჩნევას და სხვ.): გიორგი მოჯამაგირედ დადგა (ი. ჭ.); ჩოფიკაშვილი მთის ხალხის მმართველად დანიშნეს (ა. ყ.); ასე აირჩიეს სილიბისტრო ჭაშაძე ნაცვლად (ნ. ლ.); არსენამ სულხანი ნათლიად მოიწვია (მ. ჯ.); ტყე უზარმაზარ ქალაქად იქცა (ვ. ფ.).

ბ) თანაობას აღნიშნავს ვითარებითში დასმული უბრალო დამატება, რომელიც არსებითი სახელისაგანაა ნაწარმოები იან მაწარმოებლის დართვით: გვადიმ ხურჯინი ნაბდიანად სახლში შეათრია (ლ. ქ.).

განსაზღვრების ზოგადი დახასიათება

განსაზღვრება ჰქვია წინადადების წევრს, რომელიც არსებითი სახელით აღნიშნულ საგანს რაიმე ნიშნის მიხედვით ახასიათებს. მისი კითხვებია: როგორი, რომელი? რამდენი? სადაური? როდინდელი? ვისი? რისა?

მაგალითები: წითელი ფანქარი, დიდი დარბაზი, ხუთი მაგიდა, იქაური კაცი, გუშინდელი ამბავი, ამხანაგის წიგნი, ბროლის ჭურჭელი.

წინადადებაში განსაზღვრების საზღვრულ წევრად გვხვდება ქვემდებარე, ამა თუ იმ სახის დამატება, შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი და სხვა.

განსაზღვრება, ჩვეულებრივ, წინ უძღვის თავის საზღვრულს (მწვანე მინდორი), მაგრამ ზოგჯერ მოსდევს მას (მინდორი მწვანე). განსაზღვრება იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს გათიშულადაც თავის საზღვრულისაგან სიტყვით ან სიტყვებით: ჭარმა დაჰბერა ძლიერმა (ვ. ფ.); არ შევხვედრივარ მამითადს მე არსად ამისთანასა (რ. ე.).

განსაზღვრების სახეები. ფორმის მიხედვით განსაზღვრება ორგვარია: შეთანხმებული, მართული ან მართულ-შეთანხმებული.

შეთანხმებული განსაზღვრება. შეთანხმებულ განსაზღვრებად გვაქვს ზედსართავი სახელი, მიმღეობა, რიცხვითი სახე-

ლი, ნაცვალსახელი (ჩვენებითი, კითხვითი, კუთვნილებითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი); იშვიათად — არსებითი სახელი და საწყისი. შეთანხმებული განსაზღვრება ბრუნვაში ეთანხმება საზღვრულ წევრს (მაღალი სახლი, მაღალმა სახლმა, მაღალ სახლს...).

მაგალითები: ქალაქს კარგი მიდამოები ჰქონდა (შ. დ.); ულაცემულმა თუშმა დაუძახა ამხანაგს (ი. ჭ.); ათმა თოფმა ერთად იგრიალა (მ. ჯ.); ჩვენი ოჯახებიც მეგობრობდნენ ერთმანეთს (კ. ბ.); კაცმა ორი ურემი პური დაფქვა (ვ. ფ.).

მართული განსაზღვრება. მართული განსაზღვრება გადმოიცემა არსებითი სახელით, რომელიც ნათესაობით ბრუნვაში დგას, ვინ უსწრებს საზღვრულს და ფორმას არ იცვლის. მაგალითები: შორიღან მოისმა ზურნის ხმა (დ. კლდ.). ხის სახლებს უმეტესად დასავლეთ საქართველოში აგებენ.

მართულ-შეთანხმებული განსაზღვრება. მართულ-შეთანხმებულია განსაზღვრება, რომელიც მიღებულია მართული განსაზღვრებისაგან საზღვრულის შემდეგ გადასმით (ხის სახლი — სახლი ხისა). მაგ.: მოიყვანა ჭივჭავმაც გუნდი ჭივჭავებისა (ა წ.).

განსაზღვრება და უბრალო დამატება ნათესაობითში. ნათესაობით ბრუნვაში დასმული განსაზღვრება და უბრალო დამატება ფორმით ერთნაირია: არის მართული ან მართულ-შეთანხმებული. მათი ერთმანეთისაგან გასარჩევად, განსაზღვრებაა იგი თუ უბრალო დამატება, უნდა ვიცოდეთ: როცა ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრული წყვილში შედის სახელთან, განსაზღვრებაა: ხის სახლი, ხის სახლმა... სახლი ხისა, სახლმა ხისამა..., თუ იგი წყვილში შედის სახელზმნასთან (საწყისთან ან მიმღეობასთან) — უბრალო დამატება. სახლის აშენება, სახლის აშენებამ..., აშენება სახლისა, აშენებამ სახლისამ..., მშენებელი სახლისა, მშენებელმა სახლისამ...

გარემოების ზოგადი დახასიათება

გარემოება ჰქვია წინადადების წევრს, რომელიც გვიჩვენებს, თუ სად, როდის, როგორ, რატომ ან რისთვის, რამდენად ან რამდენჯერ ხდება მოქმედება. გარემოების კითხვებია: სად? როდის? როგორ? რატომ? რად? რისთვის? რამდენად? რამდენჯერ? და სხვ.

გარემოება, ჩვეულებრივ, ზმნას უკავშირდება (პირიანსა და უპიროს): გვიან დაბრუნდა, გვიან დაბრუნება, გვიან დაბრუნებული. იშვიათად შეიძლება გარემოება ზედსართავსა და ზმნისზედასაც დაუკავშირდეს: უფრო მაღალი, ძალიან მაღლა.

გარემოებად გამოყენებულია ზმნიზედა და ბრუნვიანი სიტყვა (სახელი და სახელზმნა).

შინაარსის მიხედვით გარემოება იყოფა შემდეგ ჯგუფებად: ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზეზისა და მიზნისა.

ადგილის გარემოება. ადგილის გარემოება გამოხატავს მოქმედების ადგილს, ახლავს ზმნას (პირიანსა და უპიროს). გადმოიცემა ადგილის ზმნიზედით და მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითში ან ვითარებითში დასმული არსებითი სახელით (უთანდებულოდ და თანდებულით). მიუგებს კითხვებზე: სად? ხათ? საიდან? საითკენ? სადამდე?

მაგალითები: დავითი გარეთ გაფიდა (ა. ბ.); დედამ შვილი გულს ჩაიკრა (ი. ჭ.); ამბავკო სალეწ მანჭანისაკენ გამოიქცა (ს. შ.); მიწა საქათმის ქვეშ ფხვიერი დაუხვდა (ი. გ.); ის იმ ღამეს ქურდულად გავიდა კახეთით (ა. წ.); ისინი ხშირად დადიან მინდვრად (შ. ა.); ნათლიმამის სახლამდისაც კაი მანძილი იყო (ი. ჭ.).

დროის გარემოება. წინადადებაში დროის გარემოება მოქმედების დროს აღნიშნავს. მისი კითხვებია: როდის? რამდენ ხანს? რა ხნიდან? სანამდე?

დროის გარემოება გადმოიცემა დროის ზმნიზედებით, უთანდებულო ან თანდებულიანი სახელებით.

მაგალითები: კესოც ადრე ამდგარიყო (ი. ჭ.); ქორწილის ღამეს დიდი ამბები მოხდა (ი. ჭ.); განთიადისას ნათლად გამოჩნდა მარუხის მწვერვალი (დ. შ.); ამ ლაპარაკში საჯალაბო სახლიდან გამოვიდა დიასახლისი (გ. წ); ამირანი საღამოობით სადღაც მიდიოდა (მ. ჯ.); ზაალი ზამთრობით ქალაქში ცხოვრობდა (მ. ჯ.); ყოველივე ეს ბავშვობიდანვე შთაგვაგონებდა შრომის სიყვარულს (გ. ლ.); პაპაშა... მამლის ყივილამდე გაუნძრეველად იწვა (მ. ჯ.).

ვითარების გარემოება. ვითარების გარემოება გამოხატავს, თუ როგორ ხდება მოქმედება. მიუგებს კითხვებზე: როგორ? (რანაირად?) რამდენად? რამდენჯერ?

ვითარების გარემოება უკავშირდება პირიან ზმნას, სახელზმნას, ზედსართავ სახელს და თვით ზმნიზედასაც კი. გადმოიცემა ვითარების ზმნიზედით და ბრუნებადი სიტყვით (სახელით ან სახელზმნით).

მაგალითები: ელიზბარს ძალიან უყვარდა ნადირობა (ვ. ფ.); გიორგის კოხტად და ფაქიზად ჩაცმა-დახურვა უყვარდა (ი. ჭ.); ქალი წურბელასავით ჩამოეკიდა კისერზე (ა. წ.); მაიმუნი მეტად ცოცხალი და მოძრავი ცხოველია (ი. გ.); ოცი წლის ზაალმაც ერთიორად გადაუხადა (მ. ჯ.); ქართლის გაშლილ-

ველზე სწრაფად მისრიალებს მატარებელი (შ. დ.); არსენამ ათი-ოდე ჯერ ჩამოჰკრა ზარს (მ. ჯ.); სრულად დაკმაყოფილებულმა მამაჩემმა მადლობა შესწირა (ა. წ.); მუხები წყრომით არხევდნენ ტოტებს (ვ. ფ.).

მიზეზის გარემოება. მიზეზის გარემოება აღნიშნავს მოქმედების მიზეზს. გადმოიცემა მიზეზის ზმნიზედით და ნათესაობითში (თანდებულით) და მოქმედებითში (უთანდებულოდ) დასმული სახელებით. იხმარება პირიანსა და უპირო ზმნებთან. მისი კითხვებია: რატომ? რის გამო? რა მიზეზით?

მაგალითები: ბავშვებმა შიშისაგან ტირილი მორთეს (ი. გ.); შორიდან სროლა სიბნელის გამო არ შეიძლებოდა (ა. ყ.); ამიტომაც აგრე უეცრად გადავიდა ისევ ჩიხირთმაზედ (ი. ჭ.); ონისე ძმის მოშორებისათვის არც ეგრე აიტკივებდა თავს (ა. ყ.); შიმშილით შეწუხებული მგლები ღმუოდნენ (თ. რ.).

მიზნის გარემოება. მიზნის გარემოება გადმოგვცემს მოქმედების მიზანს. მიზნის გარემოების გამოსახატავად გამოყენებულია მიზნის ზმნიზედები, ნათესაობითსა და ვითარებითში დასმული სახელები და სახელზმნები. იხმარება პირიანსა და უპირო ზმნებთან. მოგვიგებს კითხვებზე: რისთვის? რა მიზნით?

მაგალითები: მე ჩონგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურობდეს (ა. წ.); ერთხელ სანადიროდ წავედი (ვ. ფ.); საძებნელად წასული ძმადნაფიცები ხელცარიელი დაბრუნდნენ (მ. ჯ.); შვილის გულისათვის მაინც უნდა გაემეტებინა ფული (ნ. ლომ.); მასპინძლები დასაძინებლად ემზადებოდნენ (მ. ჯ.).

მარტივი წინადადების ტიპების ზოგადი დახასიათება წევრთა შედგენილობის მიხედვით

წევრთა შედგენილობის მიხედვით მარტივი წინადადება შეიძლება იყოს: გავრცობილი ან გაუვრცობელი, სრული ან უსრული და უქვემდებარო.

გავრცობილი და გაუვრცობელი წინადადება. თუ წინადადება მარტო შემასმენელს და მასთან დაკავშირებულ მთავარ წევრებს შეიცავს, ან ზოგჯერ მარტო შემასმენელს, მას გაუვრცობელი წინადადება ეწოდება. მაგალითად: ბინდდებოდა (რ. ე.); განვლო ხანმა (ვ. ფ.); მგზავრებმა ცხენები მოატრიალეს (ს. მ.); სოფელს ბინდი წამოეფარა (დ. შ.); პავლემ ნიკას ნიდაყვი წაჰკრა (მ. ჯ.); მოცემული წინადადებები გაუვრცობელია, რადგან მასში გამოყენებულია მარტო მთავარი

წევრები: შემასმენელი, ქვემდებარე, პირდაპირი დამატება და ირიბი დამატება.

თუ წინადადებაში მოიპოვება არამთავარი წევრებიც (ერთი ან რამდენიმე), მაშინ ის იქნება გაურცობილი წინადადება: საშინლად ცხელოდა (ვ. ფ.); ირგვლივ გუგუნი ბობოქრობს (მ. ჯ.); ფარნაოზმა იქვნეულად შეხედა გაიოზს (ნ. ლ.); შემკრთალმა ქალმა გადასცა ქმარს მოხარშული ქათამი (ნ. ლ.); ეს წინადადებები მთავარი წევრების გარდა შეიცავს მეორეხარისხოვან წევრებსაც, ამიტომ ისინი გაურცობილია.

სრული და უსრული წინადადება. წინადადება სრულია, თუ მას არ აკლია (გამოტოვებულად არ იგულისხმება) რომელიმე მთავარი წევრი. მაგ.: ღვთისავარმა ჩაიცინა (მ. ჯ.); ქარავანი გზას გაუდგა (ი. გ.); მზეხამ ახალი საკაბე დაუკერა ნათელას (გ. წ.). აქ სამივე წინადადება სრულია, რადგან მასში რომელიმე წევრი გამოტოვებულად არ იგულისხმება.

წინადადება უსრულია, თუ მას აკლია (ე. ი. გამოტოვებულია) ერთი ან რამდენიმე მთავარი წევრი, რომელიც იგულისხმება წინა ნათქვამთან დაკავშირებით ან სხვა ვითარების მიხედვით. მაგ.: მათრახები ამათ, მათრახები! (ა. ყ.) — იგულისხმება „დაჰკარით“.

— პატარძალი სად არის?

— აი, ესა ბრძანდება (ი. ჭ.).

აქ გამოტოვებულია ერთი წევრი — ქვემდებარე.

— მაშ შენ ბოზბაშს ამჯობინებ?

— ვამჯობინებ (ი. ჭ.).

აქ გამოტოვებულია ქვემდებარე და დამატება-ობიექტები.

— მეგობრებმა ვერაფერი უპასუხეს (ლ. ქ.).

აქ გამოტოვებულია ირიბი დამატება.

უქვემდებარო წინადადება. უქვემდებაროა წინადადება, რომელშიც არ მოიპოვება ქვემდებარე და არც შეიძლება ვივარაუდოთ, მაგ.: სახლში მეტად ბნელოდა (დ. კლდ.). მოცემულ წინადადებაში შემასმენელთან „ბნელოდა“ ქვემდებარე არა გვაქვს და არც შეიძლება ვივარაუდოთ. ამიტომ ის უქვემდებაროა.

უქვემდებაროა ბუნების მოვლენების გამომხატველი ზმნები, რომლებიც მხოლოდ მხოლობითი რიცხვის მე-3 პირის ფორმით იხმარებიან: თოვს, წვიმს, ქუხს, ელავს, ყინავს, ცხელა, გრილა, ბნელა, ღამდება, თენდება, ბინდდება და სხვ. ამ ზმნათა ქვემდებარით წარმოდგენილი ფორმები: წვიმა წვიმს, თოვლი თოვს, დილა გათენდა. მიუხედავად ამისა, ეს ზმნები მაინც ქვემდებარის გარეშე იხმარებიან.

ჩვეულებრივია უქვემდებარო წინადადება ჯანმრთელობის გამომხატველ ზმნებთან: მაცივებს, მაცხელებს, მაზმორებს, ცხვირს მაცემინებს, მახველებს, მტეხს, მზარავს, მასლოკინებს და მისთ. „მაყრუოლებს და ტანში მზარავს“ (დ. გ.).

შერწყმული წინადადება

სავარჯიშო 224. შეადარეთ ერთმანეთს ქვემოთ მოყვანილი მარტივი და შერწყმული წინადადებები შინაარსისა და ფორმის მიხედვით. გამოარკვიეთ, რით განსხვავდება შერწყმული წინადადება მარტივი წინადადებისაგან.

ჩვენი ხუმრობა ხეზედა მძინარ ფრინველს აფრთხობდა — ჩვენი ხუმრობა, მღერა, სიცილი, ხეზედა მძინარ ფრინველს აფრთხობდა (ი. ჭ.).

განმარტეთ, რას ჰქვია შერწყმული წინადადება.

სავარჯიშო 225. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, რომელი წევრების მიხედვითაა შერწყმული მოყვანილი წინადადებები.

არჩილი და კესო შებრუნდნენ ოთახში (ი. ჭ.); შველი მიადგა ჭიშკარს და წივილი დაიწყო (ა. წ.); ცხვარმაც შეწყვიტა ფრუტუნი და ფეხების ბაკი-ბუკი (შ. ა.); დიდის ამბით მიეგება გედევანსა და მის მეუღლეს მიხეილ მჟაუნაშვილი (ნ. ლომ.); სახლი გატენილია კასრებით, ქილებით, კოკებით, კალათებით და გოდრებით (მ. ჯ.); ოთახში მაღალი და სრული ადამიანი შემოვიდა (მ. ჯ.); სუფრაზე თუ საწოლ ოთახში მუდამ ისმოდა საუბარი (ნ. ლ.); გაზაფხულობით და ზაფხულობით ბაღჩაში განსვენება უყვარდა (ვ. ფ.); ამ საერთო ზუზუნში შემოვიდა მატარებელი კივილით, ოხვრით (დ. შ.); ბეჟია გველსავით იკლაკნებოდა შიშისა და ტკივილისაგან (ა. ყ.); სალაპარაკოდ და საყაყანოდ ეს ამბავი სოფელს კარგა ხანს ეყო (დ. შ.).

სავარჯიშო 226. მოიგონეთ, რა ჰქვია ასეთი სახის შერწყმულ წინადადებას: შალკა, ელიზბარ და ბიძინა აღმოსავლეთისაკენ გზას ადგნენ და სპარსეთისაკენ მიდიოდნენ (ა. წ.).

სავარჯიშო 227. წაიკითხეთ მაგალითები. ქვემოთ მოყვანილ შერწყმულ წინადადებაში გამოარკვიეთ, რა საშუალებებით არის შეერთებული ერთგვარი წევრები ერთმანეთთან.

შველი მიადგა ჭიშკარს და წივილი დაიწყო (ა. წ.); ვხნავ, ვთესავ, ვებრძვი მიწასა (რ. ე.); ქეთო შეკრთა, დაფრთხა და შველივით განზე გახტა (ი. გ.).

ამასთანავე აღნიშნეთ, რა არის ძირითადი წაკითხვისას ერთგვარ წევრთა გამოსაყოფად უკავშირო შერწყმულ წინადადებაში.

სავარჯიშო 228. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, რა და რა სახის კავშირებია გამოყენებული ერთგვარ წევრთა შესაერთებლად წინადადებებში. კავშირის ქვეშ ხაზი გაუსვით.

ამ ამბების გამო არსენას საგოდებიც მოემატა და საზრუნავიც (მ. ჯ.); ადამიანი თუ ნადირი სულ იმის ვენახს ეტანებოდა (შ. ა.); ან ციმბირში წადით, ან არსენა მომგვარეთ (მ. ჯ.); ბავშვი ხან ძნას ეზიდებოდა, ხან წყალში ბანაობდა, ხან მარწყვს კრეფდა და ხან მწყერებს დასდევდა (ი. გ.); შენ თუნდ წადი, თუნდ დარჩი (მ. ჯ.); ავი ძაღლი არც თვითონ ჭამს, არც სხვას აჭმევსო (ანდ.); ნინიამ დაახალა თოფი, მაგრამ ააცდინა (ვ. ფ.); პატარა ორაგულები დიდი სიამოვნებით ისვენებდნენ მივარდნილ ადგილას, ხოლო დიდსა და კრიალა თვალებს ერთ წამსაც არ ხუჭავდნენ (ი. გ.); კეთილი იყო გარსევანი, თუმცა ხელმაგარი, ჯიქი (გ. ლ.); იმღერეთ, ოღონდ ნუ აბღავლდებით (მ. ჯ.).

სავარჯიშო 229. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ: ა) ესა თუ ის კავშირი (აღნიშნეთ მათი სახელწოდება) როგორი აზრობრივი ურთიერთმიმართების ერთგვარ წევრებს აკავშირებს და ბ) რა სასვენი ნიშანი გამოიყენება ასეთ წინადადებებში და სად.

1. და: ბავშვი ზის და წერს; მთელი ფრინველთა გუნდი წამოიშალა და ქივილ-ხივილით მიეგება წინ თავის მეფესა (ი. გ.); კლავე დაიგრიალა ქარმა, დაჰქროლა და არემარე შეარყია.

2. ან, ან-ან, გინდ, თუნდ: ან მოგიყვან იმ ცხენს, ან თავს შეევწირავ შენს მეგობრობას (ა. წ).

3. ხან, ხან-ხან (ხან-ხანაც, ხან-ხან კი, ხან-ხან კიდევ): ცაზე დროგამოშვებით კაშკაშა მთვარე ხან გამოყოფდა ხოლმე ღრუბლებიდან თავს, ხან ისევ ღრუბლებში გაეხვეოდა (ი. ჭ.).

4. მაგრამ, ოღონდ, თუმცა, ხოლო: ჩიტებმა გაკვირვებით დაუწყეს ცქერა, მაგრამ უცხო კვერცხი ბუდეში მაინც დაინარჩუნეს (ი. გ.).

შერწყმული წინადადების ზოგადი დახასიათება

(ცნობისათვის)

შერწყმული წინადადება ჰქვია ისეთ წინადადებას, რომელიც შედგება რამდენიმე (ორი ან ორზე მეტი) ერთგვარი წევრისაგან: ერთ შემასმენელთან გვაქვს რამდენიმე ქვემდებარე, ერთ ქვემდებარესთან — რამდენიმე შემასმენელი, რამდენიმე ერთგვარი დამატება, რამდენიმე ერთგვარი განსაზღვრება, რამდენიმე ერთგვარი გარემოება.

მაგალითები:

არჩილი და კესო შებრუნდნენ ოთახში (ი. ჭ.) — წინადადება ერთგვარქვემდებარიანია.

ნაიბი აღვა, შევიდა სახლში, გამოიტანა ვეებერთელა ქისა, ოქ-

როებით სავსე, და მისცა ლეკს.(ი. გ.) — წინადადება ერთგვაროვანი მასმენლიანია.

სანდროს რიხმა ჩააფიქრა გია და დიტო (ლ. ქ.) — წინადადება ერთგვარპირდაპირდამატებიანია.

დიდის ამბით მიეგება გედევანსა და მის მეუღლეს მიხეილ მჟავანაშვილი (ნ. ლომ.) — წინადადება ერთგვარირიბდამატებიანია.

ჩვენი ქვეყანა ყოველთვის ქებული იყო თავისი ზნითა და წესით (ლ. ქ.) — წინადადება ერთი მნიშვნელობის ერთგვარუბრალოდამატებიანია.

ოთახში მაღალი და სრული ადამიანი შემოვიდა (მ. ჯ.) — წინადადება ერთგვარგანსაზღვრებიანია.

ყურიდან, შუბლიდან, ცხვირიდან და ხელიდან სისხლი თქრიალით ჩამოდიოდა (მ. ჯ.) — წინადადება ერთგვარგარემოებიანია (კერძოდ, ადგილისა).

შერწყმული წინადადება ზოგჯერ გვხვდება შერეული სახისა, მასში გვაქვს რამდენიმე სხვადასხვა სახის ერთგვარი წევრი. მაგ.: ლევანი და ბეჟანა ამხანაგებითურთ საფრებიდან გამოვიდნენ და ტარიელს ძებნა დაუწყეს (ლ. ქ.) — აქ გვაქვს ორი ქვემდებარე და ორი შემასმენელი, ე. ი. შერწყმული წინადადება არის შერეული სახისა.

ერთგვარი წევრების შეერთების საშუალებანი. შერწყმულ წინადადებაში ერთგვარი წევრების შეერთების ორნაირი საშუალება არსებობს: შეერთება კავშირით და შეერთება უკავშიროდ (ეს უკანასკნელი პაუზით ან პაუზებით). კავშირიანი შეერთებისას კავშირებად გამოყენებულია მაერთებელი კავშირები: მაჯგუფებელი, მაცალკევებელი და მაპირისპირებელი.

უკავშირო შეერთებისას, რომელიც წერაში მძიმით აღინიშნება, ერთგვარ წევრებს შორის მეტყველებაში ოდნავი შესვენებაა (პაუზა) საჭირო. თუ წინადადება ორზე მეტი ერთგვარი წევრისაგან შედგება შეიძლება გვქონდეს როგორც კავშირიანი შეერთება, ისე უკავშირო.

მაჯგუფებელკავშირიანი შერწყმული წინადადება. მაჯგუფებელი კავშირებია: და, თუ. მაგალითები: ბეჟანა ხეს მიყუდებოდა თავით და ჩუმად ქვითინებდა (ლ. ქ.); ადამიანი თუ ნადირი სულ იმათ ვენახს ეტანებოდა (შ. ა.).

ზოგჯერ მაჯგუფებელი კავშირების მნიშვნელობით იხმარება: არა მარტო — არამედ, არათუ — არამედ, როგორც — ისე და სხვ. მაგ.: სეტყვას ვაზებისათვის არა მარტო მტევნები, არამედ ფოთლებიც კი დაემტვრია (ნ. ლომ.).

მაჯგუფებელი კავშირების მნიშვნელობისაა გაძლიერებითი ნაწილაკები: ც...ც, ძდეც... ძდეც. მაგ.: ცოლმაც და ქმარმაც გააორკეც-

ცეს მოხუცებული მამის პატივისცემა (დ. კლდ.); კ ი დ ე ც ვლხინობდი, კ ი დ ე ც ვმღეროდი (ი. ჭ.).

მაჯგუფებელკავშირიან შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ წევრებთან შეიძლება გექონდეს უარყოფითი ნაწილაკები: არც... არც, აღარც... აღარც, ვეღარც... ვერც..., ნურც... ნურც. მაგ.: გაბომ ა რ ც ცხენებს მიხედა, ა რ ც შინაურ ფრინველს, ა რ ც ეზო დაგავა და ა რ ც წყალი მოიტანა (ს. შ.).

მაცალკევებელკავშირიანი შერწყმული წინადადება. მაცალკევებელი კავშირებია: ხან... ხან, ან (ან... ან), გინდ... გინდ, თუნდ... თუნდ.

ხან... ხან (ხან... ხანაც, ხან... ხან კი, ხან... ხან კიდევ) კავშირები აღნიშნავს მონაცვლეობას რიგ-რიგობით. მაგ.: მზე ხ ა ნ გამოაშუქებს, ხ ა ნ თვალებს ხუჭავს (ი. ე.).

ან, ან... ან. (ან... ან კიდევ), გინდ (გინდა)... გინდ, თუნდ (თუნდა) ...თუნდ კავშირები აღნიშნავს, რომ დასახელებულ ამბავთაგან ამორჩეული იქნება ერთ-ერთი (სხვების გამორიცხვით). მაგ.: ა ნ მოგიყვან იმ ცხენს, ა ნ თავს შევწირავ შენს მეგობრობას (ა. წ.).

მაპირისპირებელკავშირიანი შერწყმული წინადადება. მაპირისპირებელი კავშირებია: მაგრამ, ოღონდ, ხოლო, კი, თუმცა, არ... არამედ (კი არ... არამედ). ეს კავშირები აღნიშნავს აზრთა დაპირისპირებას ერთგვარ წევრებს შორის. მაგ.: ცხენი კი დაინახეს, მ ა გ რ ა მ თვითონ ტარიელი ვერ შენიშნეს (ლ. ქ.); ნადირის ხორცით ძაღლებს ასუქებდნენ, ხ ო ლ ო ტყავს ამარილებდნენ და ახმობდნენ (მ. ჯ.).

განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები

სავარჯიშო 230. შეადარეთ წინადადებები ერთმანეთს:

1. ა) სიხარულით დამთვრალი ქალი მხოლოდ მაშინ ჩამოვიდა ქლიავის ხიდან — ბ) ქალი, სიხარულით დამთვრალი, მხოლოდ მაშინ ჩამოვიდა ქლიავის ხიდან (ი. გ.);

2. ა) მაღლა ფოთლებში ელვარებს სისხლივით წითელი ვაშლი — ბ) მაღლა ფოთლებში ელვარებს ვაშლი, სისხლივით წითელი (ა. წ.);

3. ა) ფრთებშეკუმშული და ბრჭყალებდამზადებული ვეებერთელა ძერა ისარივით მოჰქროდა ზემოდან — ბ) ვეებერთელა ძერა, ფრთებშეკუმშული და ბრჭყალებდამზადებული, ისარივით მოჰქროდა ზემოდან (ნ. ლომ.).

ამასთანავე გვიამბეთ: ა) რა სახის განკერძოება გვაქვს წინადადებებში; რით არიან გამოყოფილი განკერძოებული სიტყვები ამ წევრებისაგან, რომლებსაც ისინი ეკუთვნის; რით არიან გადმოცემული: მიმყოლი სიტყვების გარეშეა, თუ მიმყოლი სიტყვებით.

ბ) მეტყველების რა ნაწილით გადმოცემულ წევრებს ახლავს ისინი ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში:

სისხლისაგან დაცლილი—იგი უსიტყვოდ ეგდო (ნ. ლ.) მან კი, თავლაფდასხმულმა, პირშავად უნდა იაროს ქვეყანაზე (მ. ჯ.); კესოს ტახტზე გადაეშალა ქალალდი, სხვადასხვა ფერად აჭრელებული (ი. ჭ.).

ხავარჯიშო 231. შეადარეთ წინადადებები ერთმანეთს:

1. ა) ახალუხისას ორ ან სამ ღილს თუ შეიკრავდა — ბ) ახალუხისას, სარტყელს ზემოთ, ორ ან სამ ღილს თუ შეიკრავდა (ვ. ფ.). 2. ა) გალმაუბანში მანქანა გაჩერდა — ბ) გალმაუბანში, მდინარის იქით, მანქანა გაჩერდა (ს. შ.).

ამასთანავე გადმოეცით, რა სახის განკერძოება გვაქვს წინადადებებში. დაახასიათეთ, რა განსხვავებაა პირველ წინადადებასა და მეორე წინადადებაში მოცემულ განკერძოებებს შორის. ამათგან რომელი განკერძოებაა უფრო. აშვიათი.

ხავარჯიშო 232. გამოარკვიეთ, წინადადების რომელ წევრს განმარტავს და აზუსტებს სათანადო განკერძოებული სიტყვები თუ გამოთქმები წინადადებებში:

1. ნამგალა მთვარე ამოსულიყო ბაღის ბოლოზე, ალვის ხეების კენწეროებს შორის (რ. ი.); ძირს კი, ხევში, მიჰქუხს ბაქსანი (ნ. კ.); ხის ძირებზე, იქვე, ხევის პირად, ჟოლოს ფუხები იყო ამოსული (ვ. ფ.).

2. ორშაბათს, დილით ადრე, ოთხი ცხენოსანი გამოვიდა დაბიდან (ნ. ლ.); ორაგული თხრას იწყებს შემოდგომაზე, სექტემბრის თვიდან (ვ. ფ.); საღამოობით, სამუშაოს აშვებისას, ახალგაზრდა მუშები ცდილობდნენ ვითომდა გამხიარულებას (გ. ლ.).

3. სიკვდილი ვერ სპობს მას მთლად, სრულიად (ვ. ფ.); ხალხი თავდაკიდებით, მორჩილად, ისმენდა ამ სიტყვებს (ვ. ფ.); ლევანმა დაწვრილებით გაიგო ძმისწულის მდგომარეობა ისე, სხვათაშორის (ნ. ლ.).

ხავარჯიშო 233. შეადარეთ წინადადებები ერთმანეთს:

1. ა) დიასახლისმა ნატომ ქმარსა და ქმრის მეგობარს ჩაი მოართვა — ბ) დიასახლისმა ნატომ, გაბროს მეუღლემ, ქმარსა და ქმრის მეგობარს ჩაი მოართვა (ვ. ფ.); 2. ა) იქვე იყო გიგო — ბ) იქვე იყო გიგო, სიკოს დეიდაშვილი (ს. შ.); 3. ა) სანდრო გახარებული დარბის — ბ) სანდრო, ჩვენი მნე, გახარებული დარბის (ნ. კ.); 4. ა) ჩვენ მეტად გვიხაროდა კალო — ბ) ჩვენ, ბალღებს, მეტად გვიხაროდა კალო (გ. ლ.); 5. ა) თითოეული სტუმარი, როდესაც სახლში შედის, მიესალმება ჭირისუფალს — ბ) თითოეული სტუმარი, ანუ წვეული, როდესაც სახლში შედის, მიესალმება ჭირისუფალს... (ვ. ფ.); 6. ა) მლოცავს ოთხმოცამდე კაცი და ქალი შეადგენდა — ბ) მლოცავს, ე. ი. დროშიონს, ოთხმოცამდე კაცი და ქალი შეადგენდა (ვ. ფ.); 7. ა) კობას და ფარჩოს ცალკე მოართვეს — ბ) კობას, როგორც სტუმარს, და ფარჩოს, როგორც იქ მყოფების უფროსს, ცალკე მოართვეს (ა. ყ.).

ამასთანავე გადმოეცით, რა საბის განკერძოება გვაქვს მომდევნო წინადადებებში, რას შეიცავენ ისინი და რით გამოიყოფიან ამ სიტყვისაგან, რომელსაც ისინი უკავშირდებიან.

სავარჯიშო 284. გამოარკვიეთ: ა) რა საბის განკერძოება გვაქვს ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში; ბ)რომელ ბრუნვაში დგას, უკავშირდება თუ არა რომელიმე წევრს, მიმყოლი სიტყვითაა თუ მის გარეშე, რომელ პირს ან რომელ პირად წარმოღგენილ საგანს აღნიშნავს იგი.

წამოდექით, ყმაწვილებო, ტანთ ჩაიცვით საჩქაროზე! (რ. ე.); მაპატიეთ, მშვენიერო ქალიშვილო, სად შეიძლება იყოს მშვენებლობის უფროსი? (ა. ბ.); მოდით, შვილებო, შვილიშვილებო, მოდით გულში ჩაგიკრათ (დ. შ.); ტყეო, მომხედე შენს გაზრდილს (ვ. ფ.); ხომ არ იცნობ იმ კაცსა, პაპავ? (ვ. ფ.); რა მშვენიერი რამა ხარ, დილის ცვრით პირდაბანილო ქვეყანავ! (ი. ჭ.).

სავარჯიშო 285. გამოარკვიეთ, განკერძოების რომელი საბეა ქვემოთ მოყვანილი აღწყვების და გამოთქმების ჯგუფები და რა და რა მნიშვნელობას შეიცავენ ისინი.

ა) სამწუხაროდ, საუბედუროდ, ჩვენდა საგალალოდ, საბედნიეროდ, ჩვენდა სასიხარულოდ და სხვ. მაგ.: „სამწუხაროდ, ეს ამბავი მთელმა ქვეყანამ გაიგო“ (შ. ჯ.).

ბ) ცხადია, უეჭველია, აშკარაა, რასაკვირველია, თავისთავად ცხადია, რა თქმა უნდა და სხვ. მაგ.: „მართლაც, მთის ფერდობზე ბატკანი იყო შეფენილი“ (ნ. კ.).

გ) ვგონებ, მგონია, ვფიქრობ, შესაძლებელია, როგორც ჩანს, როგორც ეტყობოდა და სხვ. მაგ.: „წინ, როგორც ეტყობოდა, ყვავილნარი ყოფილა გაშენებული (დ. შ.).

დ) ჩემი აზრით, გაზეთების ცნობით, ხალხის წარმოდგენით, როგორც გადმოგვცემენ, თქვენი აზრით და სხვ. მაგ.: „ასეთ კერებად, ჩემი აზრით, შეიძლება ჩაითვალოს იალბუზის მახლობლად მდებარე ხეობებიც“ (ნ. კ.).

ე) მაშასადამე, ამგვარად, პირიქით, ერთი სიტყვით და სხვ. მაგ.: „ერთი სიტყვით, სიდონია დილის ექვს საათზე შემოვიდა ოთახში“ (შ. ჯ.).

ვ) ჯერ ერთი, მეორეც, მესამეც, მეოთხეც... „მზეხათუნმა კი, ჯერ ერთი, დიდკაცობაში შედგა ფეხი, — მოახლის ყოლა ხომ ყველას არ შეეძლო, — მეორე, სირბილი აღარ სჭირდებოდა“ (ნ. ლ.).

ზ) ჩემმა მზემ, ღმერთმანი, დედაშვილობას, გენაცვა, გეთაყვა, შენი ჭირიმე, შენი კვნესამე და სხვ. მაგ.: „კარგი, გენაცვა, კარგი, ნუ გაცხარდი“ (მ. ჯ.); „არ ვიცი, ღმერთმანი, მეც ძალიან გამიკვირდა“ (კ. ნ.).

სავარჯიშო 236. დაასახელეთ: ა) მიგებითი ნაწილაკები, ბ) შორისდებულები. ახსენით, რატომ შეიძინ ისინი განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებში.

რთული წინადადება

სავარჯიშო 237. შეადარეთ ერთმანეთს ქვემოთ მოყვანილი წინადადებები შინაარსისა და ფორმის მიხედვით. გამოარკვიეთ, რისგან არის მიღებული მეორე და მესამე წინადადება და რა ჰქვია ასეთი ფორმის წინადადებებს.

1. გარიჟრაჟდა. მონადირეები ერთ ხევს მიადგნენ.
2. გარიჟრაჟდა და მონადირეები ერთ ხევს მიადგნენ.
3. როცა გარიჟრაჟდა, მონადირეები ერთ ხევს მიადგნენ.

სავარჯიშო 238. ქვემოთ მოყვანილი რთული წინადადებები დაშალეთ შემადგენელ ნაწილებად. გამოარკვიეთ, რამდენი წინადადებისა და რა და რა სახის წინადადებებისაგან არის იგი მიღებული.

1. ზარის ხმა გაისმა და მოსწავლეები საკლასო ოთახში შეივდნენ.
2. ამ დროს ამოვარდა ქარი, ხეებმა იწყო ნძრევა, გუგულის ბუდე ჩამოვარდა და დაიშალა (ი.გ.).
3. დედა და მამა ქალაქში დარჩნენ, მე და ჩემი ძმა კი სოფელში გაეემგზავრეთ.

განმარტეთ რას ჰქვია რთული წინადადება.

სავარჯიშო 239. ქვემოთ მოყვანილი წინადადების შედარება-შეპირისპირებით გამოარკვიეთ, რომელი მათგანი შედგება თანასწორუფლებიანი წინადადებებისაგან და რომელში ხსნის ერთი წინადადება მეორეს.

ქარი ამოვარდა და ზღვა აღელდა.
ზღვა აღელდა, რადგანაც ქარი ამოვარდა.

განმარტეთ, რას ჰქვია თანწყობა და რას ჰქვია ქვეწყობა.

სავარჯიშო 240. ქვემოთ მოყვანილი წინადადებების შედარება-შეპირისპირებით გამოარკვიეთ, რა და რა საშუალებებია გამოყენებული რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი წინადადებების ნაწილების შესაერთებლად.

1. დაიჭექა თოფმა დაბლა და მაღლა ქორმა შეიფრთხიალა (ა. წ.) — დაიჭექა თოფმა დაბლა, მაღლა ქორმა შეიფრთხიალა.
2. ქორი მიდიოდა წიწილების მოსატაცებლად, კრუხი იგერიებდა (ა. წ.) — ქორი მიდიოდა წიწილების მოსატაცებლად, მაგრამ კრუხი იგერიებდა.
3. ეტყობოდა, რომ მას გონებაში რაღაცა აზრმა გაურბინა (ა. ყ.)— ეტყობოდა, მას გონებაში რაღაცა აზრმა გაურბინა.
4. გაზაფხული გავიდა, დადგა შემოდგომა, დაიწყო გაბმული წვიმები და დაიპირა სიცივეები (ი. გ.) — გაზაფხული გავიდა, დადგა შემოდგომა, დაიწყო გაბმული წვიმები, დაიპირა სიცივეები.

ამასთანავე: ა) დასახელეთ ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი სიტყვები, რომლებიც გამოიყენება წინადადებათა დასაკავშირებლად.

ბ) რას ემყარება უკავშირო რთულ წინადადებაში წინადადებათა დაკავშირება კითხვისას.

რთული თანწყობილი წინადადება

სავარჯიშო 241. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, რამდენი მარტივი თუ შერწყმული წინადადებისაგან შედგება რთული თანწყობილი წინადადება და რა ურთიერთობაშია ეს წინადადებები ერთმანეთთან.

როსტომი მალე განიკურნა, სულხანი კი იგვიანებდა (მ. ჯ.); თოვლი ატირდა ლანქერად, ადიდდა ჩვენი წყლებია, ბალღებს უხარის, დარბიან, პაპას გაუთბა ძვლებია (რ. ე.); მამაჩემი წავიდა და გაიმართა თამაშობა (ა. წ.); წყალი მოშხეის ღარშია, გამალებული შხრიალებს, ჭაფი დუღს, სწინწკლავს, ბორბალი ციბრუტივითა ტრიალებს (რ. ე.); იაგომ აიღო კენჭი, დაუმიზნა და წყნარად გაუშვა, კენჭი წავიდა ტრიალით და ქალს პირდაპირ კალთაში ჩაუვარდა (ა. ყ.).

განმარტეთ, რას ჰქვია რთული თანწყობილი წინადადება.

სავარჯიშო 242. გადაიწერეთ მაგალითები. თანწყობილი წინადადებების ნაწილებს შორის ამა თუ იმ ურთიერთმიმართების გამოსარკვევად შეუპირისპირეთ ისინი შერწყმულ წინადადებებს. გადმოეცით, რა მსგავსება-განსხვავებაა ამ მხრივ მათ შორის. დაწერეთ აზრობრივი ურთიერთმიმართების სახელწოდებები წერტილების ადგილას.

1) . . . . . .

შერწყმული	თანწყობილი
მოსწავლეებმა ზარის ხმა გაიგონეს და საკლასო ოთახში შევიდნენ.	ზარის ხმა გაისმა და მოსწავლეები საკლასო ოთახში შევიდნენ.

2) . . . . . .

მოვიდა ზამთარი და მოიტანა თოვლი (ი. ჭ.).	მოვიდა ზამთარი, მინდორ-ველი თოვლით დაიფარა.
ამოვარდა საშინელი ქარი, წამოშოლტა ხეები... (ვ. ფ.).	ამოვარდა საშინელი ქარი, წამოიშოლტა ხეები.

3) . . . . . .

ნინიამ დაახალა თოფი, მაგრამ ააცდინა (ვ. ფ.).	ნინიამ დაახალა თოფი, მაგრამ ტყვია ასცდა.

4) . . . . .

მონადირე მგელს ან თოფით მოკლავს, ან ხაფანგით დაიჭერს.

ან თოფით მოკლავს მონადირე მგელს, ან ხაფანგში გაებმება..

5) . . . . . .

საქართველოს ხან თურქები, ხან არაბები და ხან სპარსელები აოხრებდნენ.

საქართველოს ხან თურქები აოხრებდნენ, ხან არაბები აპარტახებდნენ და ხან სპარსელები არბევდნენ.

ხავარჯიშო 243. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, რა და რა სახის საკავშირებელი სიტყვებია გამოყენებული ამა თუ იმ აზრობრივი ურთიერთმიმართებისას თანწყობილ წინადადებაში. დაწერეთ აზრობრივი მიმართების სახელწოდება-წერტილების ადგილას თავ-თავისი საკავშირებელი სიტყვებითურთ.

1) . . . . . .

ჩხიკვი დაეშვა თავქვე და არწივმაც შემოიკეცა თავისი მძლავრი ფრთები (ვ. ფ.); კარი გაიღო და შემოვიდა მარიამი (ა. წ.); სახლის ჭერი შეინძრა და მერცხლის ბუდე ძირს ჩამოვარდა (ი. გ.).

2) . . . . . .

ან ბრაზიანმა ძაღლმა არ დაგგლიჯოს, ან გველმა არ დაგგბინოს (ა. წ.); მის შორიახლო ხან შევარდენი გამოინავარდებდა, ხან ქორი გამოჰქროლებდა (ვ. ფ.); საბრალო შველი ან მგლების კერძი უნდა გამხდარიყო, ან მელა-ტურები შეჰამდნენ, ან მთიდან დაქანებული ზვავი მოიტანდა ქვეშ, ან კიდევ სადმე გადაიჩეხებოდა და ყვავ-ყორნების საჭიგნი შეიქნებოდა (ვ.ფ.);ხან ის იყო ჩემთან, ხან კიდევ მე მივდიოდი მასთან (შ. ა.).

3) . . . . . .

ვახშმის დრო გადასული იყო, მაგრამ ტარიელისას უვახშმონი იყვნენ (ლ. ქ.); თქვენ მართა შეიყვანეთ, ნიკას კი მე და ლევანი ამოვიყვანთ (მ. ჯ.); ღამეს ნახევარი სოფელი კალოზე ატარებს, ხოლო მოზრდილი მამაკაცები კვლავ ძნას ეზიდებიან (მ. ჯ.); ტურები კი არ ჩხავიან, არამედ მგლები ყმუიან (შ. ა.).

ხავარჯიშო 244. ქვემოთ მოყვანილ უკავშირო თანწყობილ წინადადებაში გამოარკვიეთ, რა არის გამოტოვებული და რა გვაქვს მის საკომპენსაციოდ, რა სასვენი ნიშანი დაისმის წერის დროს მის ადგილას.

ცა მოიღრუბლა, წამს ჩამობნელდა, ძაღლის ყეფაც მიჩუმდა (ვ. ბ.); ჭგელს მგლობა შეარჩევს, ტურამ ქვეყანა დააქციაო (ანდ.).

ამასთანავე გვიამბეთ, როდის აქვს ადგილი უკავშირო შეერთებას.

სავარჯიშო 245. გადაიწერეთ მაგალითები. ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში გამოარკვიეთ, რომელია სერთო წევრი თანწყობილი წინადადების ნაწილებთან.

დღეს ღამე მოსდევს, დარს — ავდარი (ვ. ფ.); მაყვალა ისევ გაჩუმდა და ფერმა თამაში დაუწყო (ა. ყ.); ამ გულწრფელმა სიტყვებმა ყველა აღტაცებაში მოიყვანა და დიდი სიყვარული შეექმნათ (ა. წ.); თეიმურაზს გული აუჩუყდა და ცრემლი მოერია (მ. ჯ.); ცალ მხარეს დედაკაცები ისხდნენ, ხოლო მეორე მხარეს — მამაკაცები (ვ. ფ.); მოზუცმა შეხედა და აღგზნებული ცეცხლი გულს ლახვრად მოხვდა (ა. ყ.).

რთული ქვეწყობილი წინადადება

სავარჯიშო 246. ქვემოთ მოყვანილი რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილები შეადარეთ თანწყობილისას შინაარსისა და ფორმის მიხედვით. გამოარკვიეთ, რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილები რა ურთიერთობაშია ერთმანეთთან თანწყობილში გაერთიანებულ წინადადებებისაგან განსხვავებით.

თანწყობილი	ქვეწყობილი
1. კარი გაიღო და შემოვიდა მარიამი (ა. წ.).	როცა კარი გაიღო, მარიამი შემოვიდა.

განმარტეთ, რას ჰქვია რთული ქვეწყობილი წინადადება.

სავარჯიშო 247. შეადარეთ ერთმანეთს ქვემოთ მოყვანილი წინადადებები. გამოარკვიეთ, შეუძლია თუ არა მთავარ წინადადებას ყოველთვის დამოუკიდებლად აზრის ზუსტად, ნათლად გადმოცემა.

მეურმეებმა მორეკეს საქონელი, რომელიც სიცხის გატეხაზედ მინდვრად გასულიყო (ი. ჭ.).

მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი, როცა ბატონმა სახლს მომაშორა (ი. ჭ.).

სავარჯიშო 248. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, მეტყველების რა ნაწილები გამოიყენება მთავარი და დამოკიდებული წინადადების საკავშირებელ სიტყვებად. დაახასიათეთ რა და რა ფუნქცია აკისრიათ მათ წინადადებაში.

1. არსენამაც შენიშნა, რომ ბუჩქნარში ვიღაცა ქალი შემოვიდა (ლ. ქ.); სანამ ზურაბი მოვიდოდა, გზირმა ხალხი გააშველა (ს. შ.); მე ახალ გაზეთს ვუკითხავდი, რადგანაც სათვალე დაჰკარგვოდა (გ. ლ.); მზალო სიხარულით გაიქცა, რათა მითი მაინც გამოეცხადებინა მათია-

სათეს თავისი თანაგრძნობა (ა. ყ.); გამწარებულმა დედამ გზა დაუწყევლა სიტყვიერად, თუმცა გულში კი სულ სხვას გრძნობდა (ა. წ.); პაპა სიკო ისე არ დაიძინებდა, თუ ხათუნა ფეხებს არ დაბანდა (კ. გ.); ანღრო დაღვრემილი იყო, ვინაიდან სიძეს შეპირებული ათი ათასი ვერ უშოვნა (მ. ჯ.).

2. ვინც იცნობდა გაიოზს, გაოცებული იყო მისი დღევანდელი ქცევით (ლ. ქ.); რასაც ვფიქრობდი, გამართლდა (ა. წ.); ეს ქალი იყო შვილი წინანდელი მოხუცებულისა, რომელიც ამასწინათ გარდაცვლილიყო (ი. გ.); კობამ გაიხედა იქით და დაინახა ისეთივე გალალებული ხარი, როგორიც იდგა კლდის წვერზე (ა. ყ.); მშრომელებმა იმღვნი მოსავალი მიიღეს, რამდენიც გეგმით ჰქონდათ გათვალისწინებული.

3. დათვი გაექანა ბურტყუნით იქითკენ, სადაც ქიტესა და თეთვორა იყვნენ ჩასაფრებულნი (ვ. ფ.); გაიოზი ერთხანს უძრავად იჯდა ხის ძირში და იქითკენ იმზირებოდა, საიდანაც სოფლის ჩქამი მოისმოდა (ლ. ქ.); კატომ ინსტიტუტად მიიხედა იქით, საითაც გიგლამ ხელი გაიშვირა (შ. ა.); როცა დავითი შინ მივიდა, სალამო ხანი იყო (ი. ჭ.); დედა თავის პატარა სპილოს ისე მიარბენინებს, როგორც ქალს თავისი ხელჩაკიდებული შვილი მიჰყავს (ი. გ.).

სავარჯიშო 249. ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში გამოარკვიეთ, რა ადგილი უკავია დამოკიდებულ წინადადებას მთავართან მიმართებით.

ა) როგორც კი ინათლა, მამალმა ჩამოფრენა დააპირა (ვ. ფ.);
ბ) მამალმა ჩამოფრენა დააპირა, როგორც კი ინათლა;
გ) მამალმა, როგორც კი ინათლა, ჩამოფრენა დააპირა.

გადმოეცით, რით გამოიყოფა დამოკიდებული წინადადება მთავრისაგან კითხვისას, რა სასვენი ნიშანია საჭირო მის ადგილას წერის დროს.

სავარჯიშო 250. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, რა ადგილი უკავია საკვლევ სიტყვას ქვეწყობილ წინადადებაში.

ღედაკაციც მიხვდა, რომ წასვლის დრო მოახლოვდა (ნ. ლ.); კაკალი, რომელიც ბასიკოს ვენახში იდგა, ჯერ არ ირეკებოდა (ს. შ.); ივანზე რომ გამოვიდა არისტო, პლატონი იქ არ დახვდა (დ. კ.); მთაში როცა თოვლი მოვა, ნადირი ჭალებს მოატანს (ვ. ფ.); ვიდრე მგელი მიესეოდა ცხვრის ფარას, ძაღლები მტერმა დახოცა (ვ. ფ.).

სავარჯიშო 251. გადაიწერეთ მაგალითები. მოძებნეთ ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში ის სიტყვები, რომლებიც დამოკიდებულ წინადადებას ვარაუდობს. გამოარკვიეთ, რა და რა ფუნქცია აკისრია მათ.

ამ სიტყვებმა ისე ამიტაცეს, რომ თავი ვეღარ დავიჭირე (ა. წ.); მანამ ნურას სჭამს, სანამ ხევი ვერ ამოწყვიტოს და ვერც ყმად გაიხა-

დოს (ა. ყ.); კაკალმაც ისეთი პასუხი მომცა, როგორიც მუხამ (თ. რ.); როგორც თქვა ნინიამ, მათიაც ისე მოიქცა (ა. ყ.); მგლები თავს იმიტომ იყრიდნენ ერთად, რომ ტყეში ალარაფერი ეგულებოდათ საქმელი (ვ. ფ.); რამდენადაც ცა ცრიაგდებოდა, იმდენად თიკო ღვიოდა (შ. ა.); შე ჩონგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს (ა. წ.).


სავარჯიშო 252. გამოარკვიეთ, რამდენი დამოკიდებული წინადადებაა ერთ მთავართან.

1. არსენამაც შენიშნა, რომ ბუჩქნარში ვილაცა ქალი შემოვიდა (ლ. ქ.);
2. როცა დაღამდებოდა, ავბრუნდებოდი ერთ პატარა სოფელში, სადაც მყვანდა ერთი პატიოსანი გლეხკაცი ნათელმირონად (ი. ჭ.).


სავარჯიშო 253. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, დამოკიდებული წინადადება, გარდა მთავრისა, კიდევ რას შეიძლება ახლდეს. გვითხარით, რა ჰქვია ასეთ შემთხვევას.

სტანციაში შევიტყვე, რომ მთებში დიდი დაბრკოლებაა ფოშტით მომავალთათვის, რადგანაც სტანციებში ცხენები ხშირად თურმე აკლდებათ (ი. ჭ.); მწყემსმა მიიხედა იმ მხარეს და დაინახა შეშინებული კურდღელი, რომელსაც ყურები დაეცქვიტა და გარბოდა ბუჩქებისაკენ, სადაც თავის შეფარებას აპირებდა (ა. ყ.).

სავარჯიშო 254. შეადგინეთ სქემები რვეულში ქვემოთ მოცემული ნიმუშების მიხედვით. შეიტანეთ სქემებში მთავარი და დამოკიდებული წინადადებები შესაბამის ადგილას. დაუწერეთ სათანადო კითხვები შემაერთებელ ხაზებთან.



1. ერთ მთავართან ერთი დამოკიდებული: გახარებულმა ალალმა გასწია ტყისაკენ, რომ იქ შეეჭამა თავისი მსხვერპლი.



2. ერთ მთავართა ორი დამოკიდებული: ჯაჯალა, რომელსაც გაგიჟებით შეჰყვარებოდა მათია, იტანჯებოდა, რადგანაც აშკარად ამჩნევდა მათიასაგან მზაღოს სიყვარულს (ა. ყ.).

3. თანამიმდევრული დამოკიდებული წინადადებები: ესენი ამ ლაპარაკში იყვნენ, როდესაც ზევით ერთი ცხენოსანი გამოჩნდა, რომელიც ძალზე მოაჩენებდა (ა. ყ.).

დამოკიდებულ წინადადებათა სახეები

სავარჯიშო 255. მოიგონეთ დამოკიდებულ წინადადებათა სახეები და ჩამოთვალეთ. გადმოეცით, რამდენ ჯგუფად იყოფა ისინი და რის მიხედვით. აქედან რომელია უფრო გავრცელებული.

სავარჯიშო 256. შეადარეთ აზრობრივად და ფორმის მიხედვით ქვემოთ მოყვანილი მარტივი და ქვეწყობილი წინადადებები ერთმანეთს. გამოარკვიეთ, რომელი წევრის გაფართოებულ, გამლილ სახეს წარმოადგენს დამოკიდებული წინადადება და რა ჰქვია ასეთი სახის წინადადებას.

არწივისაგან შეშინებული წეროები სულ დაბლა-დაბლა ეშვებოდნენ — წეროები, რომლებიც არწივისაგან იყვნენ შეშინებული, სულ ღაბლა-დაბლა ეშვებოდნენ (ა. ყ.).

გადმოეცით, როგორ ვარკვევთ საერთოდ რა ტიპისაა (რა სახისაა) ესა თუ ის დამოკიდებული წინადადება.

სავარჯიშო 257. გადაიწერეთ მაგალითები. შეადარეთ ქვეწყობილი წინადადებები მარტივს:

ჩამოვიდა ის.
ჩამოვიდა ის, ვისაც მოველოდით.

გამართლდა ის.
რასაც ვფიქრობდი, [ის] გამართლდა (ა. წ.).

ამასთანავე, სათანადო კითხვებით გამოარკვიეთ: ა) პირველ წინადადებაში (მარტივში) მეტყველების რა ნაწილით გადმოცემულ წევრს აკლია სიზუსტე, რა შეესაბამება ხსნის და აზუსტებს მეორე წინადადების დამოკიდებული წინადადება; ბ) რა ტიპისა (სახისა) აქნება დამოკიდებული წინადადება; გ) დაახასიათეთ ქვეწყობილი წინადადების მოცემული სახე.

სავარჯიშო 258. გადაიწერეთ მაგალითები. სათანადო კითხვის დასმით მთავარში გამოარკვიეთ მეტყველების რა ნაწილით გადმოცემულ წევრებს ხსნიან და აზუსტებენ გამლილად (გაფართოებულად) დამოკიდებული წინადადებები ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში, რა და რა ტიპის წინადადებებია ისინი.

1. პაპამ დაინახა [ის], რომ თანხმობა დაირღვა მის სახლში (ვ. ბ.); ეს უველამ ვიცით, რომ მგლები გაუმაძღრები არიან (პ. ც.).

2. ვინც აკაკუნებს, იმას უღებენო (ანდ.); თვითონვე მიხვდა [მას], რომ მისი ხმა სიმღერას არ ეკარებოდა (კ. ლ.).

3. დამნაშავე ხართ იმაში, რომ ყოველ დილას ერთ აურზაურს ასტეხთ ხოლმე (ი. ე.); დავითი დარწმუნდა [იმაში], რომ ჭალებს ეძინათ (ლ. ჭ.).

ამასთანავე, დაახასიათეთ ცალ-ცალკე ქვეწყობილი წინადადების მოცემული სახეები.

სავარჯიშო 259. გადაიწერეთ მაგალითები. დამოკიდებული წინადადებების მარტივთან შედარება-შეპირისპირებით და სათანადო კითხვების დასმით გამოარკვიეთ, მთავარ წინადადებად გამოყენებულ მარტივი წინადადების რომელ წევრს ხსნიან და აზუსტებენ დამოკიდებული წინადადებები და რა სახის დამოკიდებული წინადადებებია ისინი.

1. ის ზღაპრები მე გულს მიღონებდნენ (ი. ჭ.).
ის ზღაპრები, რომლებსაც ჩვენ ერთმანეთს ვუამბობდით, მე გულს მიღონებდნენ.

2. ეკალში ვარდი შევნიშნე.
ეკალში [ის] ვარდი შევნიშნე, ობლად რომ ამოსულიყო (ა. წ.).

ამასთანავე დაახასიათეთ ქვეწყობილ წინადადებათა მოცემული სახეები.

სავარჯიშო 260. გადაიწერეთ მაგალითები. დამოკიდებული წინადადებების მარტივთან შედარება-შეპირისპირებით და სათანადო კითხვების დასმით გამოარკვიეთ, მთავარ წინადადებად გამოყენებული მარტივი წინადადების რომელ წევრებს ხსნიან და აზუსტებენ დამოკიდებული წინადადებები, რა სახის დამოკიდებული წინადადებებია ისინი.

1. გიგლომ გაიხედა იქით.
გიგლომ გაიხედა იქით, საიდანაც სიცილი მოისმა (შ. დ.).

2. მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი.
მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი, როცა ბატონმა სახლს მომაშორა (ი. ჭ.).

3. ისე ცხელა.

ისე ცხელა, რომ მზეზე კვერცხი მოიხარშება (მ. ჯ.).

4. თავადი უდიდეს სიხარულს გრძნობდა იმის გამო.

თავადი უდიდეს სიხარულს გრძნობდა იმის გამო, რომ მკლავმ. არ უმტყუნა (რ. გ.).

5. მე ჩონგური მისთვის მინდა.

მე ჩონგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს (ა. წ.).

ამასთანავე დაახასიათეთ ქვეწყობილი წინადადების თითოეული სახე.

სავარჯიშო 201. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, რა და რა სახისაა ქვემოთ მოყვანილი ქვეწყობილი წინადადებები. გააჩნიათ თუ არა მათ შესაბამისი წევრი მთავარ წინადადებაში; რა საშუალებებით შეიძლება მათი ამოცნობა.

1. ბალის შემდეგ კოწია დაუახლოვდა ნინოს ოჯახს, ასე რომ საქმე შეიძლება კიდეც მოგვარებულიყო (შ. დ.).

2. უბედურ ამირანს ეშველება, თუ სოფიო სპირიდონს ყველაფერს დაუჯერებს (მ. ჯ.).

3. თუმცა მელანიას შურიანობა კარგად ვიცოდი, მაგრამ მისი სიტყვები მაინც ტყვიასავით მომხვდა გულში (ი. გ.).

ამასთანავე დაახასიათეთ მოცემულ ქვეწყობილ წინადადებათა სახეები ცალ-ცალკე.

სავარჯიშო 202. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, რომელი კავშირებია გამოტოვებული უკავშირო ქვეწყობილ წინადადებებში, რა სახის დამოკიდებული წინადადებებია ისინი.

ეტყობოდა, მას გულში რაღაცა აზრმა გაურბინა (ა. ყ.); ონისეს ჯერ კიდევ ვერ გაეგო, რა იყო მიზეზი ძიძიას წასვლისა (ა. ყ.); ანდრია ამბობდა, როგორ ემზადებოდა რთველისათვის (დ. კლდ.); მე ძალიან გულითა მსურს, მოვისმინო შენი სტვენა (ა. წ.).

რთული სინტაქსური კონსტრუქციები

სავარჯიშო 203. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, რამდენი დამოკიდებული და რა სახის დამოკიდებული წინადადებებე ახლავს მთავარ წინადადებას.

ცხენი, რომლითაც ეს კაცი მოსულიყო, ქოხისაგან საკმაოდ მოშორებით დაეყენებინა, რადგანაც ეს ადგილები წმინდა ადგილებად ჰქონდა მიღებული (ა. ყ.); როცა მათ ტარიელის შეპყრობისა და ქალაქში წაყვანის განზრახვის ამბავი გაიგეს, ბჭობა გამართეს, თუ როგორ მოქცეულიყვნენ (ლ. ქ.); როდესაც ყველაფერი მომზადდა, მათია შევიდა ელგუჯასთან და დაითხოვა დედაკაცები, რომელნიც იქ ისხდნენ (ა. ყ.); როცა იმერეთის აჯანყება დასრულდა, სევასტიმ თავისი ძმა ქვიშხეთში წამოიყვანა და ზაალის ნათესავს, ალექსანდრე სუმბა-

თაშვილს, შეეხიზნა, რომელიც დღეს მარაბდაში ამოსულიყო ანაზ-
დად (მ. ჯ.).

სავარჯიშო 264. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, რა სახისაა დამოკი-
დებული და თანდამოკიდებული წინადადებები. რთული წინადადების რომელ
წევრს ხსნის თანდამოკიდებული წინადადება.

ბაჩუას კი მთელი არსებით უყვარდა ტარიელ გოლუა და მისი შვილი, რომლებისთვის დაუფიქრებლად თავს გასწირავდა, თუ ამას საჭიროება მოითხოვდა (ლ. ქ.); როდესაც მარხილი გაუსწორდა, დაი-ნახა, რომ ონისეს, რომელიც თითქოს სიცივეს მოჰფარებოდა, თავი ნაბადში ჩაეყო (ა. ყ.); ასეთ სულიერ ყოფაში იყო ტარიელ გოლუა, როდესაც მისი ყურადღება მიიპყრო შეპირვებულმა ხმამ, რომელმაც მოულოდნელად მოწყვიტა ტარიელი მის ღვიძლ სტიქიონს და მაღლი-დან ძირს დაანარცხა (ლ. ქ.).

სავარჯიშო 265. გადაიწერეთ მაგალითები. ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში გამოყავით მისი შემადგენელი ნაწილები. გამოარკვიეთ, რთული წინადადების რა და რა სახეებისაგან არის შედგენილი, რატომ ჰქვია მათ შერეული სახის რთული წინა-დადება.

იმავე დროს შიგ თელავში ავარდა ალი და თიმსალ მაკოს სახლი ისე გადაიბუგა, რომ ვეღარაფერი ვერ გადაარჩინეს, გარდა ადამიანე-ბისა (ა. წ.); გავარდა თოფი და გაგის ამალიდან სამი მსხვერპლი დაეცა დედამიწაზედ, რომელთაც სისხლი თქრიალით გასდიოდათ იარებიდან (ა. ყ.); როდესაც ყველანი შეგროვდნენ, ჯაჯალამ დაიწყო სიმღერა, იმას სხვებმაც მისცეს ბანი და ასე გასწიეს შინისაკენ (ა. ყ.); ექიმი, რომელიც დაუყენეს იაგოს, იმედობდა, რომ რამდენსამე დღეზე ფეხ-ზე დააყენებდა ავადმყოფს, და იაგოც მოთმინებით მოელოდა ამ დღეს (ა. ყ.); ამ დროს ძაღლმა, რომელიც შორი-ახლო იწვა და წაეყო ცხვი-რი მიწაში, დაიყეფა, მაგრამ, რაკი თვალი გაახილა და დაინახა ორი მომავალი დედაკაცი, ისევ ხმა ჩაუწყდა.

რთული წინადადების ზოგადი დახასიათება

(ცნობისათვის)

რთული წინადადების შედგენა და მათი სახეები. რთულია წინა-დადება, რომელიც შედგება ორი ან მეტი მარტივი წინადადებისაგან. შემადგენელ წინადადებათა ურთიერთობის მიხედვით წინადადება ორგვარია: რ თ უ ლ ი თ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ ი და რ თ უ ლ ი ქ ვ ე წ ყ ო-ბ ი ლ ი.

რთული თანწყობილი წინადადების ზოგადი დახასიათება

რთული თანწყობილი წინადადება შედგება ორი ან ორზე მეტი ერთმანეთის მიმართ თანასწორი წინადადებისაგან: ერთი წინადადება მეორეზე დაქვემდებარებული არ არის. მათი ნაწილების დასაკავშირებლად გამოყენებულია მაერთებელი კავშირები (მაჯგუფებელი, მაცალკევებელი, მაპირისპირებელი), ან შეერთება უკავშიროა.

თანწყობილი წინადადების შემადგენელი წინადადებების აზრობრივი ურთიერთმიმართებით შეიძლება გამოიხატოს: ერთდროულობა, თანამიმდევრობა და დაპირისპირება.

მაჯგუფებელკავშირიან რთულ თანწყობილ წინადადებებში და კავშირი აერთებს ისეთ წინადადებებს, რომლებიც გამოხატავენ:

ა) ერთდროულად მიმდინარე მოვლენებს: ოქროს კარავში კახეთის მმართველი ალი-ყული-ხანი იჯდა და გარს დიდებულები ჰყავდა შემოხვეული (ა. წ.).

ბ) თანამიმდევრობას: გუგულმა თავი დააქნია და პაპამაც დაიწყო მგლის შაირი (ვ. ფ.); ქარი გაიღო და შემოვიდა მარიამი (ა. წ.).

გ) მიზეზ-შედეგობრიობას: სახლის ჰერი მეტად შეინძრა და მერცხლის ბუდე ძირს ჩამოვარდა (ი. გ.); აქ მიზეზ-შედეგობრიობასთან ერთად თანამიმდევრობაც იგულისხმება.

ნაჯგუფებელკავშირიან თანწყობილ წინადადებაში შეიძლება გვქონდეს უარყოფითი ნაწილაკები (არც—არც, ვერც—ვერც...): არც ერდოზე ორბი იჯდა, არც მღეროდნენ არწივები (გ. ლ.).

მაცალკევებელკავშირიან რთულ თანწყობილ წინადადებაში ჩვეულებრივ ხდება მაცალკევებელი კავშირების განმეორება თითოეულ წინადადებაში. ეს კავშირებია: **ან... ან** (**ან... ანდა, ან... ან კიდევ**), **ხან... ხან** (**ხან კიდევ**) და სხვ.

ან... ან აღნიშნავს ერთ-ერთის შესაძლებლობას დასახელებულ ამბავთაგან: ან მონადირე წამომადგება თავს და ან მგელს შევეფეთები (ა. ე.).

ხან... ხან აღნიშნავს მოვლენების მონაცვლეობას: ხან ეკალი ედება, ხან მაყვალი სწევს უკან (ი. ე.).

მაპირისპირებელკავშირიან რთულ თანწყობილ წინადადებაში მაპირისპირებელი კავშირები (მაგრამ, ხოლო, კი) აერთებს ისეთ წინადადებებს, რომლებიც შეიცავს საპირისპირო აზრებს: ვანომ ერთი სროლა ტყვია-წამალი მომცა, მაგრამ ისიც იქვე დავწვი ნიშანზედ (ვ. ფ.); ღამეს ნახევარი სოფელი კალოზე ატარებს, ხოლო მოზრდი-

ლი მამაკაცები კვლავ ძნას ეზიდებიან (მ. ჯ.); როსტომი მალე განიკურნა, სულხანი კი იგვიანებდა (მ. ჯ.).

სხვა კავშირთაგან თანწყობილ წინადადებაში გამოყენებულია ა რ ა მ ე დ, იგი იწყებს მომდევნო წინადადებას, წინამავალ წინადადებაში მის ცალებად გვაქვს: არა მარტო, კი არ.. მაგ.: ტურები კი არ ჩხავიან, არამედ მგლები ყმუიან (შ. ა.).

უკავშირო რთულ თანწყობილ წინადადებაში გამოტოვებულია კავშირი. მეტყველებისას კავშირის ადგილას საჭიროა შესვენება (პაუზა). მაგ.: ის მღვდელი შუაში იდგა, ხალხი ბუზსავით ირეოდა იმის გარშემო (ი. ჭ.).

თუ რთული თანწყობილი წინადადება ორზე მეტი წინადადებისაგან შედგება, შეიძლება ზოგი კავშირით იყოს გადაბმული ერთმანეთთან, ზოგი კი — უკავშიროდ: ღამე გაიცრიცება, მამალი შეჰყივლებს და ყოველივე მიყუჩდება (გ. ლ.).

რთულ თანწყობილ წინადადებაში გაერთიანებულ წინადადებებს ზოგჯერ ერთი საზიარო წევრი აქვთ, საერთო წევრი შეიძლება იყოს ერთისა და იმავე ან სხვადასხვა მნიშვნელობისა: ცალ მხარეს დედაკაცები ისხდნენ, ხოლო მეორე მხარეს — მამაკაცები (ვ. ფ.) — აქ საზიარო წევრი შემასმენელია, ის იგულისხმება მეორე წინადადებაში. ამ გულწრფელმა სიტყვებმა ყველა აღტაცებაში მოიყვანა და დიდი სიყვარული შეექმნათ (ა. წ.) — აქ საზიარო წევრი პირველ წინადადებაში პირდაპირი დამატებაა, მეორეში — ირიბი, რომელიც იგულისხმება მეორე წინადადების შემასმენელთან.

რთული ქვეწყობილი წინადადების ზოგადი დახასიათება

რთული ქვეწყობილი წინადადება შედგება მთავარი და დამოკიდებული წინადადებისაგან. დამოკიდებული წინადადება ხსნის მთავარი წინადადების რომელიმე წევრს ან მთელ წინადადებას.

დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აკავშირებს მაქვემდებარებელი კავშირები (რომ, თუ...), მიმართებითი ნაცვალსახელები (ვინც, რაც...), მიმართებითი ზმნიზედები (სადაც, საიდანაც, როდესაც...). ქვეწყობილი წინადადება შეიძლება იყოს უკავშირო.

დამოკიდებული წინადადება ზოგჯერ უსწრებს მთავარ წინადადებას, ზოგჯერ მოსდევს მას, ზოგჯერ კი მთავრის შიგნითაა მოქცეული.

ფუნქციის მიხედვით დამოკიდებულ წინადადებათა სახეებია: ქვემდებარული, დამატებითი (პირდაპირი, ირიბი, უბრალო), განსაზღვრებითი და გარემოებითი (ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზეზისა

და მიზნისა). ამის გარდა, გვხვდება სხვა შინაარსის გადმომცემი დამოკიდებული წინადადებები (შედეგობითი, პირობითი, დათმობითი). ამ უკანასკნელთ მთავარში შესაბამისი წევრი არ მოეპოვებათ.

დამოკიდებულ წინადადებათა საბეჭდის ზოგადი დახასიათება

ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება. ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება ხსნის მთავ.·· წინადადების ნაცვალსახელით გადმოცემულ ქვემდებარეს. თუ მთავარში ასეთი ნაცვალსახელი არ მოიპოვება, მაშინ დამოკიდებული წინადადება თვით გამოდის ქვემდებარის როლში მთავარი წინადადების შემასმენელთან.

დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს მაქვემდებარებელი კავშირები (რომ, თუ), მიმართებითი ნაცვალსახელები (ვინც, რაც...) და მიმართებითი ზმნიზედები (სადაც...). კითხვები ვინ და რა, აგრეთვე მისათითებელი ნაცვალსახელი მთავარში ქვემდებარის ერთ-ერთ ბრუნვაში იქნება.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი: ვინც აიკიდა გოდორი, ი მ ა ნ შეჰხმა კოკორი (ანდ.); ვინც კარგ საქმეს არ მისდევს, ი გ ი თავისა მტერია (ი. ჭ.); დაე, მოვიდეს ი ს, რაც მოსასვლელია (ლ. ა.).

დამატებითი დამოკიდებული წინადადება. დამატებითი დამოკიდებული წინადადება შინაარსით შეიცავს ერთ-ერთი დამატების გაგებას: პირდაპირი დამატებისას, ირიბისას ან უბრალო დამატებისას.

დამატებითი დამოკიდებული წინადადება ახსნა-განმარტებაა მთავარ წინადადებაში ნაცვალსახელით გადმოცემული დამატებისა. თუ ასეთი ნაცვალსახელი არაა, მაშინ დამოკიდებული წინადადება თვითონ გამოდის დამატების როლში მთავრის შემასმენელთან. საკავშირებელი სიტყვებია: ვინც, რომ, თუ.

პ ი რ დ ა პ ი რ ი დ ა მ ა ტ ე ბ ი ს გ ა გ ე ბ ი ს შემცველი დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების გარდამავალი ზმნით გადმოცემული შემასმენლის პირდაპირი დამატების ახსნა-განმარტებას წარმოადგენს. კითხვები ვინ და რა და მისათითებელი ნაცვალსახელი მთავარში იქნება პირდაპირი დამატების ერთ-ერთ ბრუნვაში (მიცემითში ან სახელობითში).

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი: რაც მგელმა მელას თავზე დაცემით უყო, ის მელამ მოპარვით გადაუხადაო (ანდ.); პაპამ დაინახა [ის], რომ თანხმობა დაირღვა იმის სახლში (ვ. ბ.); ვინც ჩვენ სიკეთეს გვიშვრება, [მას] არ დავივიწყებთ ბალღები (ვ. ფ.).

ი რ ი ბ ი დ ა მ ა ტ ე ბ ი ს გ ა გ ე ბ ი ს შემცველი დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების ორპირიანი (გარდაუვალი) ან სამ-

პირიანი (გარდამავალი) ზმნით გადმოცემულ შემასმენლის ირიბი დამატების ახსნა-განმარტებას წარმოადგენს. კითხვები ვინ და რა და მისათითებელი ნაცვალსახელი მთავარ წინადადებაში იქნება ირიბი დამატების ბრუნვაში (მიცემითში).

მაგალითები: ვისაც არაფერი დაუშავებია, იმას არაფერი მოეჩვენებაო (ა. წ.); პლატონი მასხრულის კილოთი დაწვრილებით მოუყვა ცოლ-ქმარს თავისი მდგომარეობის ამბავს და იმას, თუ რამ აფიქრებინა თავის დედინაცვლის მოსაყვანად მამას მაშვლად დასდგომოდა (დ. კლდ.).

უბრალო დამატების გაგების შემცველი დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების ნაცვალსახელით გადმოცემული (ზოგჯერ ასეთი ნაცვალსახელი არ გვხვდება) უბრალო დამატების ახსნა-განმარტებას წარმოადგენს, მოგვიგებს უბრალო დამატების კითხვებზე.

მაგალითები: ამის შემდეგ ბევრი ილაპარაკეს იმაზე, თუ რისი გაგება სურდათ ამით (ნ. ლომ.); დარწმუნებული იყავით [იმაში],რომ არტემსაც გაამედნიერებს (მ. ჯ.).

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება ხსნის მთავარ წინადადებაში არსებითი სახელით გადმოცემულ წევრს, მისი კითხვებია: რომელი? როგორი?

დამოკიდებული წინადადება მთავართან დაკავშირებულია მიმართებითი ნაცვალსახელებით (ვინც, რაც, რომელიც, როგორიც...), ზმნიზედებით (სადაც, საიდანაც...) და მაქვემდებარებელი კავშირებით (რომ, თითქოს...). მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზედები იმავდროულად წინადადების წევრიცაა, მაქვემდებარებელ კავშირებს კი საკუთრივ კავშირის ფუნქცია აკისრიათ.

მაგალითები: ამ ამბავმა, რომელიც ჩვენ ყველამ კრინტის დაუძვრელად მოვისმინეთ, მარტო გაოცება როდი გამოიწვია (ი. გ.); აი აქ ბრძანდება ის კაცი, ვინც ეს მითხრა (ნ. ლომ.); ის ეთი უქმური დილა იყო, რომ გარეთ ძალი არ გაიგდებოდა (ს. მ.); იმ სახლში, სადაც არსენა იბრძოდა, უკვე მრავალი დახოცეს (მ. ჯ.).

გარემოებითი დამოკიდებული წინადადება. გარემოებითი დამოკიდებული წინადადება გამოხატავს თუ სად, როდის, როგორ, ან რა გარემოებაში ხდება მოქმედება, რაზედაც საუბარია მთავარ წინადადებაში. გარემოებითი დამოკიდებული წინადადება სხვადასხვა შინაარსისაა: ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზეზისა ან მიზნისა.

ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება. ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მიუ-

თითებს მთავარი წინადადების შემასმენლით გამოხატული მოქმედების ადგილზე. მისი კითხვებია: სად? საიდან? საითკენ? დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს მიმართებითი ზმნიზედები: სადაც, საიდანაც, საითკენაც, ისევითად — რომ. მისათითებელი ზმნიზედებია მთავარში: იქ, იქით, იქითკენ, იქიდან.

მაგალითები: ზაფხულობით ისიც იქ დადიოდა, სადაც ლიდია ივანოვნა ცხოვრობდა ხოლმე (ა. წ.); კატომ ინსტიტუტად მიიხედა იქით, საითაც გიგლამ ხელი გაიშვირა (შ. ა.); გაიოზი ერთხანს უძრავად იჯდა ხის ძირში და იქითკენ იმზირებოდა, საიდანაც სოფლის ჩქამი მოისმოდა (ლ. ქ.); აი, ქალო, ხევისპირს რომ სოფელი მოჩანს, იქ იქნება შენი ბინა (ვ. ბ.).

დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება. დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება გვიჩვენებს მთავარი წინადადების შემასმენლით გამოხატული მოქმედების დროს. მისი კითხვებია: როდის? რა დროიდან? რა დრომდე? რამდენ ხანს?

დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს კავშირები: როდესაც (როცა), რომ, სანამ, რა, თუ არა, რაწამს, რაკი, როგორც კი, ვიდრე და სხვ. მისათითებელი სიტყვებია: მანამ, მაშინ, მაშინვე.

მაგალითები:

როცა მოიჯერა გული სალამურის დაკვრით, ჩემმა შვილობილმა ჩაიდო უბეში სალამური (ვ. ფ.); როდესაც სოფელს გავიხსენებ, მაშინვე თვალწინ წარმომიდგება ტყე, მინდვრები, მდინარე, მთები, მიწური და ჩალური, დაბეჩავებული ქოხები და გაჭიმული გუთანი (ვ. ფ.); ტყეში რომ შევედით, საკვირველი სანახავი დაგვიხვდა (ვ. ფ.); სანამ ზურაბი მოვიდოდა, გზირმა ხალხი გააშველა (ს. შ.); ვიდრე მგელი მიესეოდა ცხვრის ფარას, ძაღლები მტერმა დახოცა (ვ. ფ.); გაიგეს თუ არა ეს სამწუხარო ამბავი თელავში, ახლომახლო სოფლები აღელდნენ (ა. წ.); რა გაძლიერდა, ცეცხლის შუქმა ბნელი სენაკი სინათლით მორთო (ი. ჭ.); როგორც კი ინათლა, მამალმა ჩამოფრენა დააპირა (ვ. ფ.).

ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება. ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება გვიჩვენებს, თუ როგორ, რა ვითარებაში ხდება მთავარ წინადადებაში მოქმედება. მისი კითხვებია: როგორ? რამდენად? რამდენჯერ? მთავართან დამოკიდებული წინადადების დასაკავშირებლად გამოყენებულია: რომ, როგორც, თითქოს, რამდენადაც, რამდენჯერაც და სხვ. მთავარში მისათითებლად შეიძლება იყოს ზმნიზედები: ისე, იმდენად, იმდენჯერ. ეს მი-

სათითებელი სიტყვებ. სჯავშირებელი სიტყვების წყვილის ცალებია: ისე—რომ, ისე—როგორც, ისე—თითქოს, ისე—ვითომც, რამდენადაც—იმდენად, რამდენჯერაც—იმდენჯერ.

მაგალითები:

ამ სიტყვებმა ისე ამიტაცეს, რომ თავი ვეღარ დავიჭირე (ა. წ.); ჩემი შავარდენი უკვე იმდენად შოიზარდა, რომ დრო იყო მეფარჯიშებინა (ვ. ფ.); პაპა სიკო ისე არ დაიძინებდა, თუ ხათუნა ფეხებს არ დაბანდა (კ. გ.); იმ დღიდან ისე იქცეოდა, თითქოს იმ ბავშვს ვერც კი ამჩნევედაო (მ. ჯ.); როგორც სვიმონს უნდოდა ბრძანების ხელის მოწერა, მათიამ სწორედ ისე მოუხერხა (ა. ყ.); რამდენადაც მოხუცი მეტს უყურებდა დაჩრილს ვაჟკაცს, იმდენად მეტის მზრუნველობით ეკიდებოდა (ა. ყ.).

მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება. მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მიუთითებს მთავარი წინადადებით გამოხატული მოქმედების გამომწვევ მიზეზზე. მოკვეთებს კითხვებზე: რატომ? რის გამო? მთავართან დამოკიდებული წინადადების დასაკავშირებლად გამოყენებულია: რომ, იმიტომ რომ, რადგანაც, ვინაიდან, რაკი. მთავარში მისათითებლად შეიძლება იყოს ერთ-ერთი ამათგანი: იმიტომ, იმის გამო, ამიტომ, ამის გამო.

მაგალითები:

პაპამ სოფიოს გუგული იმიტომ დაარქვა, რომ ადრე იღვიძებდა და მოჰყვებოდა მღერა-ჭიკჭიკს (ვ. ფ.); მე იმ ოჯახს ადრიდანვე ვიცნობდი, რადგან ბავშვობიდან იმ უბანში გავიზარდე (ვ. ბ.); რადგანაც სოფელი მშიდროდ არის დასახლებული, ამის გამო პატარა ადგილი უჭირავს (ი. გ.); სოფომ რაკი მტკიცე პირობა მომცა, მეც გული გავიმაგრე (ვ. ფ.).

მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება. მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება გადმოგვცემს მთავარი წინადადებით გამოხატული მოქმედების მიზანს. მისი კითხვებია: რად? რისთვის? რა მიზნით? დამოკიდებული წინადადების მთავართან დასაკავშირებლად გამოყენებულია: რომ, რათა, მთავარში მისათითებლად შეიძლება შეგვხვდეს: იმისათვის, მისთვის, იმად.

მაგალითები:

დარეჯანმაც ყურთან ლეჩაქი გადაკეცა, რომ კარგად გაიგოს (ი. ჭ.); პოლიტიკური პარტიებიც დაიძრნენ სოფლისკენ, რათა თავიანთი მიზნის შეფარდებული პოლიტიკური ბრძოლა გაეჩაღებინათ (ლ. ჭ.);

მე ჩონგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს (ა. წ.).

შედეგობითი დამოკიდებული წინადადება. შედეგობითი დამოკიდებული წინადადება გადმოგვცემს მთავარ წინადადებაში გამოხატული მოქმედების შედეგს. დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს კავშირები: ასე რომ, რის გამოც.

მაგალითები:

ბალის შემდეგ კოწია დაუახლოვდა ნინოს ოჯახს, ასე რომ საქმე შეიძლება კიდეც მოგვარებულიყო (შ. დ.); ამ დროს ბოსლის თავიდან მოისმა რქების დატაკება და ბრახუნი, რის გამოც საქონელი შეტოკდა და ფეხებს მძიმედ აბრახუნებდა (შ. ა.).

პირობითი დამოკიდებული წინადადება. პირობითი დამოკიდებული წინადადება გვიჩვენებს, თუ რა პირობებში შეიძლება მოხდეს ან შეიძლება მომხდარიყო მთავარ წინადადებაში დასახელებული ფაქტი. დამოკიდებულში მოცემულია პირობა, მთავარში — შედეგი. მოგვიგებს კითხვაზე: რა პირობებში? (ან: რა შემთხვევაში?). დამოკიდებული წინადადება მთავარს უერთდება კავშირებით: რომ, თუ, თუკი.

მაგალითები:

შენ რომ არ გერჩია, სადგურის უფროსს მივმართავდი (შ. ა.); თუ მტყუანი გამოვდგე, თავი გამაგდებინე (ა. წ.); ქვეყანა წაიწყმიდება, თუკი შებრალება და შეწყნარება აღარ იქნება ერთმანეთისა (ვ. ფ.).

დათმობითი დამოკიდებული წინადადება. დათმობითი დამოკიდებული წინადადება გვიჩვენებს, რომ მთავარ წინადადებაში გადმოცემული ამბის შესრულება საერთოდ შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელი ხდება ერთს რომელსამე კონკრეტულ შემთხვევაში. საკავშირებელია: თუმცა, თუმცაღა, მიუხედავად იმისა, რომ.

მაგალითები:

თუმცა ასეთი იყო გიორგი, მაგრამ თავისი დედის ყურმოჭრილი ყმა იყო თითქმის (ი. ჭ.); თუმცაღა წინა ღამით თოვლი მოვიდა, მაგრამ იმ დილას კი ცა მოიწმინდა (ე. ნ.).

რთული სინტაქსური კონსტრუქციების ზოგადი დახასიათება

რთული ქვეწყობილი წინადადება რამდენიმე დამოკიდებული წინადადებით. რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ხშირად ერთ მთავარს რამდენიმე (ორი ან ორზე მეტი) დამოკიდებული წინადადება ახლავს: როდესაც ყველაფერი მომზადდა, მათია შევიდა ელგუჯასთან და და-

ითხოვა დედაკაცები, რომელნიც იქ ისხდნენ (ა. ყ.); აქ მთავარ წინადადებას (მათია შევიდა ელგუჯასთან და დაითხოვა დედაკაცები) ახლავს ორი დამოკიდებული წინადადება: 1. როდესაც ყველაფერი ჩამზადდა; 2. რომელნიც იქ ისხდნენ.

თანამიმდევრული დაქვემდებარება. ხშირია, როცა დამოკიდებულ წინადადებას ახლავს თავისი დამოკიდებული. ასეთ შემთხვევას თანამიმდევრულ დაქვემდებარებას ეძახიან. მაგ.: ბაჩუას კი მთელის არსებით უყვარდა ტარიელ გოლუა და მისი შვილი, რომლებისთვის დაეფიქრებლად თავს გასწირავდა, თუ ამას საჭიროება მოითხოვდა (ლ. ქ.); აქ მთავარ წინადადებას (ბაჩუას კი მთელის არსებით უყვარდა ტარიელ გოლუა და მისი შვილი) ახლავს დამოკიდებული (რომლებისთვის დაუფიქრებლად თავს გასწირავდა), რომელსაც ახლავს თავისი დამოკიდებული (თუ ამას საჭიროება მოითხოვდა).

შერეული სახის რთული წინადადება. შერეული სახისაა რთული წინადადება, როდესაც მასში ერთდროულად თანწყობაცაა და ქვეწყობაც. მაგ.: ექიმი, რომელიც დაუყენეს იაგოს, იმედობდა, რომ რამდენსამე დღეზე ფეხზე დააყენებდა ავადმყოფს, და იაგოც მოთმინებით მოელოდა ამ დღეს (ა. ყ.). აქ თანწყობილი წინადადებაა: ექიმი იმედობდა და იაგოც მოთმინებით მოელოდა ამ დღეს. პირველ წინადადებას (ექიმი იმედობდა), ახლავს ორი დამოკიდებული: 1. რომელიც დაუყენეს იაგოს და 2. რომ რამდენსამე დღეზე ფეხზე დააყენებდა ავადმყოფს. ამიტომ რთული წინადადება შერეული სახისაა. ამ წინადადებაში: ყველანი გაჩუმდნენ და ჩამოვარდა ისეთი სიჩუმე, რომ ბუზის გაფრენის ხმასაც კი გაიგონებდით (ა. ყ.), თანწყობილი წინადადების მეორე წინადადებას (ჩამოვარდა ისეთი სიჩუმე) ახლავს დამოკიდებული (რომ ბუზის გაფრენის ხმასაც კი გაიგონებდით).

არსებით სახელების მართლწერა

1. რამდენიმე ერთნაირი ბგერის თავმოყრა არსებით სახელებში

სავარჯიშო 206. გადაიწერეთ მაგალითები. დაურთეთ სათანადო გრამატიკული ნიშნები არსებით სახელებს წერტილების ადგილას.

I. 1. წამოიწყო სიმღერა გურამ..., სანდრომ და ნოდარმა ბანი უთხრეს (ა. ჭ.). 2. ექიმ... ავადმყოფი გასინჯა (დ. კ.). 3. დედაჩემ... მომიტანა თავისი ხელით დაქსოვილი წინდები (ვ. ფ.). 4. ომ... და ტყვიამ კაცისა და ქალის გარჩევა არ იცისო (დ. კ.). 5. ამ ქათამ... ბლომად იპოვა საკენკი (თ. რ.). 6. ქრთამ... ვერც შარშან გასჭრა (ა. ჭ.). 7. აბრამ... ღრიალი მორთო (ა. ჭ.). 8. გაცეცხლებულმა დედაჩემ... ისეთი ამბავი დააწია, რომ მთელ სოფელს იმაზე დაღდაღი გაუდიოდა (ა. ხ.). 9. დილით ალაზნის ნამ... დაგვასველა (დ. კასრ.). 10. სობინოვის პატივსაცემად გამართულმა ვახშამ... ბანკეტის ხასიათი მიიღო (ა. ჭ.). 11. ზეიმ... დიდხანს როდი გასტანა (ა. ჭ.). 12. ხარ-ურემი ვერც როსტომ... იშოვა (დ. კლდ.). 13. ქალაქ ფოთის ნავსადგურში პირველად იწივლა ცეცხლის გემ... (გ. წ.). 14. ჩემი მაგიდა დაფარა მტვერმა, კომშმა, ლეღვმა და ატამ... (ს. კ.). 15. ჭაღარა ყამ... ჩვენს ხნიერ დედამიწას სახეზე ნაოჭები წაუშალა (ა. ჭ.). 16. რამდენიმე წლის შემდეგ ლომ... იპოვა თავისი ბოკვერი (კ. გ.). 17. ირემ... მალე შეუტყო განზრახვა და ხელიდან გაუსხლტა (ვ. ფ.).

II. 1. განსაკუთრებით ინგლის... უმიზნებდა ავტორი (ა. ჭ.). 2. ანგელინა ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ფულით ცოდნას, კაცობას, სინდის...,ნამუს... და ყველაფერს იყიდდა (ა. ჭ.). 3. წყალწაღებული ხავს... ეჭიდებოდაო (თ. რ.). 4. ჩვენს დას... და გუნდს, მგონი, სირცხვილი არ უჭამია (ა. ჭ.). 5. იონა ახალ ტანისამოს... იცვამს (ა. ჭ.). 6. მანგლის... ვარსკვლავებით მოჭედილი ცა დაჰყურებდა (ა. ჭ.). 7. არქიტექტორი მანანა კობერიძე უკვე საუზმის სამზადის... შეუდგა (ლ. გ.). 8. უნივერსიტეტიდან საბუთები გამოვიტანე და ჭუთაის... მივაშურე (დ. კ.). 9. გოგი ჭუჩის პირას ჭადართან იდგა და პაპიროს... ეწეოდა (დ. კ.). 10. ჩაფარს კი არა, მამასახლის...აც კი ეში-

ნოდა ჩვენს კარზე ამოსვლისა (ა. ხ.). 11. ორმოც გრადუს... მიბჯენილი სიცხე აღარ ეშვება (ა. ქ.). 12. პირველ მაის... შავი ზღვის ნაპირზედაც კი ამოჰყვეს თავი (ა. ქ.). 13. თითქოს ვიღაცას დაეძებს (...), იქნებ იმ თეთრ ქალს, ვისთანაც წუხელ ცეკვავდა ვალს... (დ. კ.). 14. ხელმწიფემ უკანასკნელად მოჰკრა თვალი თავის საყვარელ თას... (კ. გ). 15. უმცროსმა უფროს... უნდა გაუგონოს (ვ. ფ.).

ცნობისათვის. 1. მანით დაბოლოებულ სახელებს მხოლობითი რიცხვის მოთხრობით ბრუნვაში ორი ნ მოუდის; ერთი ნ ფუძისეულია, მეორე — მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი (ირემ-მა, კალამ-მა, გურამ-მა, ეკიმ-მა...).

2. როცა სახელის ფუძე სანით ბოლოვდება, მხოლობითი რიცხვის მიცემით ბრუნვაში ორი ს უნდა დაიწეროს (თბილის-ს, ფას-ს, თას-ს, კლას-ს...).

სავარჯიშო 267. გადაიწერეთ მაგალითები. ჩამატეთ სათანადო მრავლობითი რიცხვის ნიშანი წერტილების ადგილას.

ბერძენ...ი	— ბერძენ..ო	ბატკან...ი	— ბატკან...ო
შევარდენ...ი	— შევარდენ..ო	ფალავან...ი	— ფალავან...ო
ქარავან...ი	— ქარავან...ო	ცხენოსან...ი	— ცხენოსან...ო
ბატონ...ი	— ბატონ...ო	ქედან...ი	— ქედან...ო
ბანოვან...ი	— ბანოვან..ო	ყორან...ი	— ყორან...ო

ცნობისათვის. თუ სახელის ფუძე ნარზე ბოლოვდება, მეორე მრავლობითის სახელობითსა და წოდებით ბრუნვაში თავს იყრის ორი ნ; ერთი ნ ფუძისეულია, მეორე — რიცხვის ნიშანი (ბერძენ-ნ-ი — ბერძენ-ნ-ო, შევარდენ-ნ-ი — შევარდენ-ნ-ო...)

მაგ.: ბერძენ-ნ-ი ამბობდნენ და ამბობენ, რომ საუკეთესო წყარო ადამიანის ბედნიერებისა მოსიყვარულე გულია (ი. გ.); ბატონ-ნ-ო, საქართველოს თავადნო და აზნაურნო! — სწერდნენ (შ. ჯ.).

სავარჯიშო 268. გადაიწერეთ მაგალითები. წერტილების ადგილას ჩამატეთ გამოტოვებული ასოები.

I. 1. ასე კვნესიან დღესაც აზერბაიჯანელი მეკამეჩე...ბი, მეაქლემე...ბი და მწყემსები (კ. გ.). 2. ქალებმა სანემსე...ბი დააკეთეს (თ. რ.). 3. მძიმედ სუნთქავდა ღამე დადუმებულ ხე...ბის ჩრდილში (კ. გ.). 4. ახლა კლდე...ბსა და ხე...ბზე აღარ წერენ (კ. გ.). 5. მთელი თვე... ბის განმავლობაში ფანჯარასთან ვიჯექით (კ. გ.). 6. გადიოდა დღე...ბი, თვე...ბი (თ. რ.). 7. სოფელს გარს ერტყა ტორფისფერი ტბები და გუბე..ბი (კ. გ.). 8. ის ურჩევნია, ეგრე იწოწიალოს და სხვის ბუდე...ბიდან კვერცხები იპაროს (თ. რ.). 9. ეზოებში, შუკებში და ორღობე...ბში ღორები მიგდებულიყვნენ (ა. ქ.). 10. თეთრწვერა მოხუცების სახე...ბი ეკლესიის ფრესკებს ჰგვანდნენ (ა. ქ.). 11. ულვაშების კიდე...ბი თუთუნის ბოლით შეჰყვითლებოდა (ა. ქ.).

II. 1. ბისმარკისეული ი...მან...ის იმპერიალისტური გეგმებიც სილეზ...ის და რურის ნახშირ...ის განახორციელა. იაპონ...ის მოდერნიზაცია და მისი ეგზომ აქტიური ჩარევა თანამედროვე ცივილიზაც...ის კონცენტრში, — ეს ნახშირისაგან ნასესხები ენერგ...ის ამუშავება იყო. იგივე ითქმის ჩრდილო-ამერიკის, ბელგ...ის, საფრანგეთის ნახშირისათვის (კ. გ.). 2. ნაომარ ბერლინს უამრავი ხალხი მოაწყდა შვეიცარი...დან., იტალი...დან, დანი...დან, ნორვეგი...დან (კ. გ.). 3. აბრეშუმის ჭ...ის ხსნებაზე ჯაკუას ქალმა ყურები ცქვიტა (ა. ქ.). 4. გიმნაზ...ის დირექტორი და მამა იაკობი მოწყენილი ისხდნენ (ა. ქ.). 5. დილაობით ნამები შეგროვდებოდნენ ი...ს ფოთლებზე (თ. რ.). 6. საღორ...ის ტყეში, მუხების ძირში, იჯდა დიდხანს (დ. კ.). 7. საქართველოს მეცნიერებათა აკადემ...ის ისტორ...ის ინსტიტუტმა მოაწყო ეს მეტად თავისებური ექსპედიცია (ლ. გ.). 8. ქუჩაში აკაც...ის ხეებს ფუტკარი დაჰხვეოდა (ა. ქ.). 9. ომის დროს დასავლეთ ბელორუს...ის ერთ-ერთ ქალაქში ჩავედი იმ დილით (დ. კ.). 10. გენიოსები ჩვენში ახლა არა მარტო ხელოვნების, ფილოლოგ...ის და პოლიტიკის დარგში მოაპოვებიან, არამედ ისტორ...ის, ბიოლოგ...ის, სოციოლოგ...ისა და მეცნიერების სხვა დარგშიაც (ა. ქ.). 11. აღსდექით, ხალხო, ლიტან...ით კვახლოთ არმაზს და თაყვანი ვცეთ (დ. კასრ.).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. 1. თუ სახელის ფუძე ე-ზე ბოლოვდება, ებიან მრავლობითში ორი ე იწერება: მეჩაიე-ებ-ი, მეჩაიე-ებ-მა, მეჩაიე-ებ-ს...; დღე-ებ-ი, დღე-ებ-ს...; ერთი ე ფუძისეულია, მეორე — რიცხვის ნიშნისა.

2. თუ სახელის ფუძე ია-ზე ბოლოვდება, ნათესაობითსა და მოქმედებითში ორი ი მოყვის თავს: ისტორია — ისტორი-ის, ისტორი-ით; მესტია — მესტი-ის, მესტი-ით..; ერთი ი ფუძისეულია, მეორე — ბრუნვის ნიშნისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. თუ სახელის ფუძე ბოლოვდება სხვა ხმოვანზე ან თანხმოვანზე, მაშინ ებიან მრავლობითში ერთი ე უნდა დაიწეროს: ხიდი — ხიდ-ებ-ი, მაგიდა — მაგიდ-ებ-ი, წყალი — წყლ-ებ-ი...

2. ფუძის კუმშვა

სავარჯიშო 269. გადაიწერეთ, გახსენით ფრჩხილები; დაწერეთ სწორი ფორმით არსებითი სახელები; გამოარკვიეთ სახელის ფუძეში მომხდარი ცვლილებები და მათი ბრუნვები.

1. ელიზბარი ქუთაისში სამაზრო სასამართლოს (მდივანად) მსახურობდა (ა. ქ.). 2. ბოთლები კონვეიერს რიგ-რიგად მიჰყვებიან და გზადაგზა მინერალური (წყალით) ივსებიან (ა. ხ.), 3. სამი ქილა (ბადრიჯანის) საცივი ამოაყოლა (დ. კ.). 4. მიუხედავად ამისა, (სატევარის) საუცხოო ხმარება იცოდა (ა. ქ.). 5. გუშინწინ (ვახშამად) მასთან

ვიყავით (ა. ქ.). 6. მაჩვმა და მელიამ (ვახშამის) მისართმევად გასწიეს (თ. რ.). 7. გოგიამ შიშველი ფეხი ბოსტანში (ეკალით) გაიჭრა (ა. ქ.). 8. მე (ხოხობის) ყივილს ყურს ვუგდებ (ქ. გ.). 9. უტუმ (ნაბადის) ქუდი მოიგლიჯა (ლ. ქ.). 10. ერთი დროშკა მოადგა ჩვენს (დუქანის) კარებსა (ი. ჭ.). 11. (ქათამის) (საბუდარიდან) ნაშუქი გადმოეყარათ (თ. რ.). 12. (კაკალის) ტოტი ლერწამივით იდრიკებოდა და იკაკვებოდა (თ. რ.). 13 გადარჩენილი ნამტვრევები (ნიჩაბით) გვერდზე მიხვეტა (ა. ხ.). 14. (ცხვარის) დაფრთხობა და ძაღლის წკმუტუნი ერთი იყო (ვ. ფ.). 15. (ნიშანად) ჩვენი სიხარულისა, ჰაერი მეორე შუშხუნამ გააპო (ნ. კ.). 16. ურდულმა (კედელის) კარადა გახსნა (ქ. გ.).

ცნობისათვის. კუმშვადი საზოგადო სახელები ნათესაობითს, მოქმედებითსა და ვითარებით ბრუნვებში შეკუმშული ფორმით იწერება (სოფელი — სოფლ-ის, სოფლ-ით, სოფლ-ად; მწერალი — მწერლ-ის, მწერლ-ით, მწერლ-ად; ობოლი — ობლ-ის, ობლ-ით, ობლ-ად...).

8. ფუძის კვეცა

სავარჯიშო 270. გადაიწერეთ, გახსენით ფრჩხილები; დასვით ნათესაობითს ან მოქმედებითში ფრჩხილებში ჩასმული არსებითი სახელები კონტექსტის მიხედვით. გამოარკვიეთ არსებითი სახელის ფუძეში მომხდარი ცვლილებები და მათი პრინციპები.

I. 1. მანგი-თაუს მყინვარები ელავენ ისე, როგორც (მზე) სხივზე ამოღებული ხანჯალი ელავს (ნ. კ.). 2. ამ სიმღერაში (ბუნება) ქება იხატებოდა, (ტყე) და (დედამიწა) მადლი (ვ. ფ.). 3. ქუხილი (წვიმა) მომასწავებელია (ვ. ფ.). 4. ცხვარი ლიკუიან (მთა) კალთებზე გაეშალა (თ. რ.). 5. ეს სურათი (ცა) მოგლეჯას ჰგავდა (ვ. ფ.). 6. ონა, მანანა და დორა (თუთა) (ხე) ქვეშ ისხდნენ (ა. ქ.). 7. (საუკუნე) განმავლობაში კალმით ნახნავს ხუთი წუთის ნათქვამით ვინ გადაფარჩხავს (ქ. გ.). 8. სულზე თითო მარცვალი (ხელმწიფე) ხაზინაში უნდა შევიტანოთ (თ. რ.).

II. 1. (მუხა) და წიფლით არისო ეს ქედი დაფარული (ნ. კ.). 2. მატარებლის კივილი (ტყე) აქოჩრილ მთებში იფანტებოდა (ა. ხ.). 3. დათიკო ყოველ (დილა) სკოლაში მიდიოდა (ი. ჭ.). 4. მოაგონდა ჯეკ ლონდონი თავისი (ალიასკა), ჩრდილოეთ (ამერიკა) (ნ. კ.). 5. აქაურობა (ქვა) და ლოდითაა სავსე (ნ. კ.). 6. არსენამ ოფრეთის (ვზა) სოფელ წერაქვისაკენ გამოსწია (მ. ჯ.). 7. ყველამ იცის, რომ ფრინველები (სილამაზე) და (სიმალხაზე) სხვა ცხოველებს ძლიერ სჭირდებიან (ი. გ.). 8. ძილი მერევა საშინელი (სიძლიერე), ყოველი ნაბიჯის შემდეგ გინდა წამოწვე და დაიძინო (ნ. კ.).

ცნობისათვის. საზოგადო სახელები, რომლებიც ა და ე ხმოვნებზე მთავრდება, ჩვეულებრივ, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში იწერება შეკვეცილი ფორმით (ძმა — ძმ-ის, ძმ-ით; კლდე — კლდ-ის, კლდ-ით...).

4. კუმშვად-კვეცადი სახელები

Სავარჯიშო 271. გადაიწერეთ მაგალითები. დასვით ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში და ებ-იან მრავლობითში არსებითი სახელები: მოყვარე, ქარხანა, ბეგარა, ფანჯარა, ტომარა; გამოარკვიეთ ფუძეში მომხდარი ცვლილებები და მათი ბრუნვები. შეადგინეთ პატარ-პატარა წინადადებები მათი გამოყენებით.

	სახ.	ნათ.	მოქ.	მრ. რ.
ნიმუში:	1. ქარხანა	ქარხნ-ის	ქარხნ-ით	ქარხნ-ებ-ი
	2.			

დურგალმა ფანჯრის ჩარჩოები დაამზადა.

ცნობისათვის. კუმშვად-კვეცადი სახელები ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში და ებიან მრავლობითში შეკუმშულ-შეკვეცილად უნდა ვიხმაროთ: ქვეყანა — ქვეყნ-ის, ქვეყნ-ით; ქვეყნ-ებ-ი — ქვეყნ-ებ-მა, ქვეყნ-ებ-ს, ქვეყნ-ებ-ის...; მაგ.: ქარხნის საყვირი ისმის (ა. ქ.); ქვეყნის ვალს შენ ხომ არ გთხოვენ,— ეუბნება მაჩვი (თ. რ.); საყვარელმა ბატონს სასახლეში ბეგრის ღვინო წაუღო (ე. ნ.).

5. ვითარებითი ბრუნვის დაბოლოება

Სავარჯიშო 272. გადაიწერეთ, დაბოლოეთ არსებითი სახელები.

1. დედაჩემს ნაწვიმზე სიარული უყვარდა, წავიდო̈და ველა... და შეც თან წამიყვანდა (ვ. ფ.). 2. შვიდი წლისა მამაჩემმა დიდყურაანთ დამიყვანა მოჯამაგირე... (ვ. ფ.). 3. ობოლი ყმაწვილი შვილა... აიყვანა (ი. გ.). 4. ყვავი თავის თავს უძვირფასეს ფრინველა... თვლიდა (ი. ე.). 5. ტრფობა გვქონდა გულში აბჯრა... და სატევრა... ხმალი (ი. ჭ.). 6. თოვამ აღაპყრო თვალნი ზეცა... (ვ. ფ.). 7. წყალში ჩავაგდე — წყლა... გაღაიქცა, ცეცხლში ჩავაგდე — ხმა... გადაიქცა (გამოც.). 8. ბალახზე ცვარ-ნამა... გაბნეული ისევ ავორთქლდი (ა. ხ.). 9. ამ დღიდან სანდრო სრულიად სხვა ბავშვა... გადაიქცა (ი. გ.). 10. ფეხა... შეესწრო ჩემთვის (ა. წ.). 11. ერთი გიორგის ხელეური მთელ ძნა... შეიკვრისო (ი. ჭ.). 12. ასე აირჩიეს სილიბისტრო ქაშაძე ნაცვლა... (ნ. ლ.).

ცნობისათვის. ვითარებითი ბრუნვის ბოლოში იწერება დ: კაცად, ამხანაგად, მდინარედ, ორმოდ..., შეცდომაა: კაცათ, ამხანაგათ, მდინარეთ, ორმოთ...

6. ფუძისეული ი და სახელობითი ბრუნვის ნიშანი ი ადამიანთა საკუთარ სახელებში

სავარჯიშო 378. გადაიწერეთ, გადასვით საკუთარი სახელები სახელობითიდან მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვებში; გამოარკვიეთ, რომელ სახელებშია ი ფუძისეული და რომელშია ბრუნვის ნიშანი; გამოყავით ბრუნვის ნიშნები დეფისით.

სახელობითი	მოთხრობითი	მიცემითი
აკაკი		
ამბროსი		
ამბერკი		
აღათი		
ავქსენტი		
გურამი		
ვიტი		
გიორგი		
დალი		
დიმიტრი		
დავითი		
ვარლამი		
ვალერი		
იროდიონი		
მაგული		
მარიამი		
მალხაზი		
ნესტორი		
პროკოფი		
პართენი		
ლავრენტი		
რომანოზი		
რაფიელი		
სიმონი		
სამსონი		
ტრიფონი		
ქეთევანი		
ყარამანი		
ხარიტონი		

ცნობისათვის. ა) ხმოვანი ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია თანხმოვანფუძიან საკუთარ სახელებში: აბრამ-ი, ავთანდილ-ი, ბაგრატ-ი, ბარამ-ი, ბაქარ-ი, გალაკტიონ-ი, დარეჯან-ი, გარსევან-ი, დარისპან-ი, ეთერ-ი, ეფრემ-ი, ელეფთერ-ი, გ-

სიღ–ი, ვახტანგ–ი, იულონ–ი, ლევან–ი, მაკარ–ი, ნოდარ–ი, პლატონ–ი, ტრიფონ–ი, ჯემალ–ი, თამარ–ი და სხვ. მრ. მაგ.: იქედანაც კარგ ჯაზებს გადმოსცემენ (...), — შენიშნა ახალ მოდაზე გამოპრანჭულმა ნოდარ–მა (ა. ჭ.).

ბ) ხმოვანი ი ფუძისეულია ხმოვანფუძიან საკუთარ სახელებში: ავქსენტი, ალექსი, აკაკი, ბიკენტი, გენადი, გერონტი, გივი, გიორგი (გოგი), დომენტი, ევგრაფი, ერასტი, ირაკლი, კლიმენტი, მელენტი და სხვ. მაგ.: ეს ხასიათი დასჩემდა გიორგი–სა (ი. ჭ.).

შენიშვნა. იმისათვის, რომ გამოვარკვიოთ, რომელ სახელებშია ი ფუძისეული და რომელში — ბრუნვის ნიშანი, უნდა ვიცოდეთ:

ა) სახელობითი ბრუნვის ნიშანს ი–ს არ დაირთავს ბოლოთანხმოვნიანი სახელი, რომელსაც მოსდევს გვარი ან პროფესიის (თანამდებობის და სხვ.) აღმნიშვნელი სიტყვა: ნოდარ ცოცნიშვილი, თამარ მეფე, ვახტანგ გორგასალი.... (მოთხრობითში იქნება — ნოდარ–მა, თამარ–მა, ვახტანგ–მა...).

ბ) ხმოვანი ი სახელს გადაჰყვება ყველა ბრუნვაში და ფუძისეულია, თუ მას მოსდევს გვარი ან პროფესიის (თანამდებობისა და სხვ.) აღმნიშვნელი სიტყვა: აკაკი წერეთელი, ლეონტი მროველი, გიორგი ბრწყინვალე, დიმიტრი თავდადებული... (მოთხრობითში იქნება — აკაკი–მ, გიორგი–მ, ლავრენტი–მ...).

სავარჯიშო 274. გადაიწერეთ, დააბოლოეთ საკუთარი სახელები.

1. ნოდარ... წიგნი იყიდა. 2. გიორგ... ფეხბურთი ითამაშა. 3. თამარ... მასწავლებელმა ხუთიანი დაუწერა. 4. ლავრენტ... სახლი აიშენა. 5. ეთერ... ზაფხული სოფელში გაატარა. 6. დავით... ლიტერატურა ძლიერ იტაცებს. 7. იურ.. მოსკოვში წასვლა გადაწყვიტა. 8. ლევან... სურათი დახატა. 9. სიმონ... საინტერესო რომანი წაიკითხა. 10. ლილ... საჩუქრად ყვავილები მიართვეს. 11. გივ... თავისი პატარა ძმა თეატრში წაიყვანა.

7. წოდებითი ბრუნვის დაბოლოება

სავარჯიშო 275. გადაიწერეთ, გადასვით საზოგადო სახელები სახელობითიდან წოდებითში.

სახ.	წოდ.	სახ.	წოდ.
I. 1. მეზობელ–ი		II. 1. მეევნახე	
2. მეგობარ–ი		2. მდინარე	
3. ამხანაგ–ი		3. მიწა	
4. ბავშვ–ი		4. სამშობლო	
5. კაც–ი		5. დედა	
6. მინდორ–ი		6. წყარო	
7. ვაზ–ი		7. ქვეყანა	
8. სოფელ–ი		8. ღვინო	

სახ.	წოდ.	სახ.	წოდ.

III. 1. მთა
2. მზე
3. და
4. ძმა
5. დღე
6. კლდე
7. ხბო

ცნობისათვის. საზოგადო სახელები წოდებითში გადმოიცემა:

1. ბოლოთანხმოვნიანები — ო ბრუნვის ნიშნით: ექიმ-ო, ქალ-ო, შვილ-ო და მისთ.

2. ბოლოხმოვნიანები (ორ და მეტმარცვლიანი) — ვ ბრუნვის ნიშნით ან მის გარეშე: მეჩაიე და მეჩაიე-ვ, მდელო და მდელო-ვ, დედა და დედა-ვ და მისთ.

3. ერთმარცვლიანი ბოლოხმოვნიანები ო ბრუნვის ნიშნით: კლდე-ო, დღე-ო, რტო-ო და მისთ.

შენიშვნა. 1. ბრუნვის ნიშნის გარეშე იხმარება უ ბოლოხმოვნიანი საზოგადო სახელები წოდებითში (ძუძუ...)[1].

2. დასაშვებია, ერთმარცვლიანი ბოლოხმოვნიანი საზოგადო სახელები წოდებითში იხმარებოდეს ვ ნიშნით[2] (უმეტესად პოეზიაში): მზე-ვ შინა და მზე-ვ გარეთა, მზე-ვ შინ შემოდიო (ანდ.) — შდრ. მზე-ო ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა (ანდ.).

სავარჯიშო 278. გადაიწერეთ, გადასვით საკუთარი სახელები სახელობითიდან წოდებით ბრუნვაში.

სახ.	წოდ.	სახ.	წოდ.
I. 1. გურამ-ი		II. 1. თბილის-ი	
2. თენგიზ-ი		2. მოსკოვ-ი	
3. ეთერ-ი		3. გორ-ი	
4. აკაკი		4. ქუთაის-ი	
5. ალექსი		5. ზუგდიდ-ი	
6. დევი		6. რიონ-ი	
7. იური		7. დნეპრ-ი	
8. მელენტი		8. კავკასიონ-ი	
9. დალი		9. ზესტაფონ-ი	
10. ვანო		10. კრწანის-ი	

[1] თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის ნორმები (შემოკლ. ნორმ.), პირველი კრებული, თბილისი, 1970, გვ. 62.

[2] იქვე.

სახ.	წოდ.	სახ.	წოდ.
11. ნუნუ		11. მამადავით-ი	
12. დუტუ		12. მტკვარ-ი	
13. ქეთო		13. არაგვ-ი	
14. ელგუჯა		14. ალაზან-ი	
15. გიგო		15. დუშეთ-ი	
16. მართა		16. რუსთავ-ი	
17. ელენე		17. ქსან-ი	

სახ.	წოდ.	სახ.	წოდ.
I. 1. სამტრედია			
2. ჭიათურა			
3. ყვირილა			
4. ვოლგა			
5. ოდესა			
6. მთაწმინდა			
7. მარაბდა			
8. ბახმარო			
9. საირმე			
10. შვინდა			
11. ყურშა			

ცნობისათვის. 1. წოდებითში ბრუნვის ნიშნის გარეშე გადმოიცემა ადამიანთა საკუთარი სახელები; ბოლოთანხმოვნიანები: გურამ-ი თენგიზ-ი ეთერ-ი ზაურ-ი დარეჯან-ი; შ ე ც დ ო მ ა ა: გურამ-ი თენგიზ-ი ეთერ-ი ზაურ-ი დარეჯან-ი ან კი-დე ე: გურამო თენგიზო ეთერო ზაურო დარეჯანო

2. ცხოველთა საკუთარი სახელები და გეოგრაფიული სახელები, რომლებიც თანხმოვანზე ბოლოვდება, გადმოიცემა ო ბრუნვის ნიშნით: თბილის-ო ქუთაის-ო მტკვარ-ო და მისთ.

3. ცხოველთა საკუთარი სახელები და გეოგრაფიული სახელები, რომლებიც ხმოვანზე ბოლოვდება, გადმოიცემა ვ ბრუნვის ნიშნით ან მის გარეშე: სამტრედია და სამტრედია-ვ, ვოლგა და ვოლგა-ვ, ყურშა და ყურშა-ვ და მისთ.

8. ადამიანთა გვარები

სავარჯიშო 277. გადაიწერეთ, გადასვით ადამიანთა გვარები სახელობითიდან წოდებითში.

სახ.	წოდ.	სახ.	წოდ.
I. 1. ამირანაშვილი		II. 1. ამირეჯიბი	
2. ბარათაშვილი		2. გიგაური	
3. გრიშაშვილი		3. ერისთავი	

სახ.	წოდ.	სახ.	წოდ.
4. გუდიაშვილი		4. კანდელაკი	
5. დაუშვილი		5. მაჩაბელი	
6. დავითაშვილი		6. ორბელიანი	
7. ევდოშვილი		7. წერეთელი	
8. თარხნიშვილი		8. ბუთხუზი	
9. ინაშვილი		9. დოქვირი	
10. კვალიაშვილი		10. ვარაზი	
11. ლასხიშვილი		11. კვაშალი	
12. მარჯანიშვილი		12. ღლონტი	
13. ნინოშვილი		13. მესხი	
14. პეტრიაშვილი		14. მუჯირი	
15. რამიშვილი		15. ტუღუში	
16. სანიშვილი		16. ხავთასი	
17. ტატიშვილი		17. ჯაში	
18. ფალიაშვილი		18. ჯიბუტი	
19. ძიძიშვილი		19. აბალაკი	
20. ჯავახიშვილი			

ცნობისათვის. ა) შვილზე გათავებული გვარი ისე იბრუნვის, როგორც საზოგადო სახელი შვილი. წოდებითში მათ ეკნებათ ო: გაეზარდაშვილ-ო, ქართველიშვილ-ო...; დაუშვებელია ასეთი მიმართვა: გაეზარდაშვილი! ქართველიშვილი!

ბ) ო ეკნებათ აგრეთვე თანხმოვანზე გათავებულ გვარებს: წერეთელ-ო, გიგაურ-ო, ჯაშ-ო, ჯიბუტ-ო...

შენიშვნა. ორიოდე გვარი კუმშვადია: წერეთელი — წერეთლ-ის, წერეთლ-ებ-ი; მაჩაბელი — მაჩაბლ-ის, მაჩაბლ-ებ-ი...

სავარჯიშო 278. გადაიწერეთ, დასვით ნათესაობითში, მოქმედებითსა და წოდებითში და ებიან მრავლობითში ქვემოთ ჩამოთვლილი ადამიანთა გვარები.

სახ.	ნათ.	მოქმ.	წოდ.	მრ. რ.
ა. 1. აბაშიძე				
2. ამირიძე				
3. ბარამიძე				
4. ბერიძე				
5. ვაშაძე				
6. ზარიძე				
7. თოთიბაძე				
8. ივანიძე				
9. კალაძე				
10. ლეონიძე				
11. ლომიძე				
12. მელაძე				

სახ. ნათ. მოქმ. წოდ. მრ. რ

13. ნათაძე
14. პარკაძე
15. სანაძე
16. ურუშაძე
17. ფერაძე
18. შანიძე
19. მებუკე
20. მენაბდე

II. 1. გუგუნავა
2. ხუბულავა
3. მარღანია
4. გულუა
5. ჯაბუა
6. მესხია
7. შელია
8. ლორია
9. თოფურია
10. წუწუნავა
11. ნინუა
12. შონია
13. ძერია
14. კოღუა
15. ქირია
16. ბალათურია

ცნობისათვის. ა) ძე-ზე გათავებული ადამიანთა გვარები ისე იბრუნვის, როგორც საზოგადო სახელი ძე. კვეცა ხდება ნათესაობითსა და მოქმედებითში: ბარამიძე — ბარამიძ-ის, ბარამიძ-ით; თევზაძე — თევზაძ-ის, თევზაძ-ით (შ ე ლ ო მ ა ა: ბარამიძეთი, თევზაძეთი); წოდებითში იხმარება ბრუნვის ნიშნის დაურთველად: ბარამიძე! თევზაძე!

ფუძეს იკვეცს აგრეთვე ე-ზე გათავებული საზოგადო სახელები, რომლებიც გვარებად ქცეულან: (მებუკე — მებუკ-ის, მებუკ-ით). ამათაც და ძე-ზე გათავებულ გვარებსაც მრავლობით რიცხვში მოუდით ორი ე საზოგადო სახელების მსგავსად: ჭავჭავაძე-ებ-ი, ჭავჭავაძე-ებ-მა, ჭავჭავაძე-ებ-ს...; მენაბდე-ებ-ი, მენაბდე-ებ-მა, მენაბდე-ებ-ს...

ბ) ჳა, უა, ია-ზე გათავებული გვარები ფუძეს არ იკვეცენ ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში (გუგუნავა — გუგუნავას — გუგუნავათი); მაგრამ კვეცადი ხდებიან ებ-იან მრავლობითში (გუგუნავ-ებ-ი, გუგუნავ-ებ-მა, გუგუნავ-ებ-ს...); წოდებითში იხმარება ბრუნვის ნიშნის დაურთველად: [2] გუგუნავა! ლორია! ჯაბუა!

---

[1] ნორმ. გვ. 63.

[2] ი ქ ვ ე.

შენიშვნა. ий, ый და ой-ზე დამთავრებული რუსული გვარების გადმოცემისას ქართულში ბოლოკიდური о ფუძისეულია[1]. მაშასადამე, უნდა ვთქვათ და დავწეროთ: გორკი — გორკი-მ, წოდ. გორკი! ჩერნიშევსკი — ჩერნიშევსკი-მ, წოდ. ჩერნიშევსკი! ბუდიონი — ბუდიონი-მ, წოდ. ბუდიონი! ტოლსტოი — ტოლსტოი-მ, წოდ. ტოლსტოი! პოლეჟოი — პოლეჟოი-მ, წოდ. პოლეჟოი!

8. სახელისა და გვარის ერთად ბრუნება

სავარჯიშო 279. გადაიწერეთ, გახსენით ფრჩხილები; შეუწყვეთ საკუთარი სახელი გვარს ბრუნვათა მიხედვით.

1. (სოლომონი) აგიაშვილი უთენია გადმოდგებოდა მაღალი ოდის აივანზე (ა. ქ.). 2. (ელიზბარმა) მაღალაშვილმა კუჭატნელის ჩამოსვლა თბილისში გაიგო (მ. ჯ.). 3. მე ვინა ვარ? (როსტომს) ჯორჯიაშვილს მეძახიან (მ. ჯ.). 4. თვალი (მელიტონის) ბარათაშვილის მეუღლეზე — კნეინა ეფემიაზე უყო (მ. ჯ.). 5. გიორგი თავისი მეგობრით — (ნოდარით) ჩხეიძით ძლიერ ამაყობდა. 6. ახლადმოსული სტუმარი (როსტომად) ამაღლობლად შეიცნო. 7. არსენამ ორივე ხელი ლოყებზე მიიდო და საბრძოლველი საყვირით დაიქუხა: (ზაალო) ბარათაშვილო! (მ. ჯ.).

ცნობისათვის. თუ გვართან ერთად ბრუნებისას ადამიანის თანხმოვანფუძიანი სახელია და წინ უსწრებს გვარს, იგი არც ერთ ბრუნვაში არ შეიცვლება (ზაალ ბარათაშვილი, ზაალ ბარათაშვილმა, ზაალ ბარათაშვილს...).

სავარჯიშო 280. გადაიწერეთ, დაამთლოეთ საკუთარი სახელები.

სახ. ორბელიანი გრიგოლ
მოთხ. ორბელიანმა გრიგოლ...
მიც. ორბელიანს გრიგოლ...
ნათ. ორბელიანის გრიგოლ...
მოქმ. —, ვით. —, წოდ. ორბელიანო გრიგოლ

ასევე ბრუნეთ: ბარათაშვილი ნიკოლოზ, კორინთელი ვახტანგ, აბაშიძე როსტომ...

ცნობისათვის. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში აშვიათია შემთხვევები, როცა ადამიანის საკუთარი სახელი მოსდევს გვარს. თუ მოსდევს, ორივეს უნდა დაეწეროს ბრუნვის ნიშნები მთლიანად. (ბრუნვის ნიშნები არ დაერთვის მხოლოდ სახელობითსა და წოდებითში, არ გვხვდება მოქმედებითსა და ვითარებითში): სახ. გომართელი ვახტანგ, მოთხ. გომართელმა ვახტანგმა, მიც. გომართელს ვახტანგს, ნათ. გომართლის ვახტანგის, მოქმ. — ; ვით.—; წოდ. გომართელო ვახტანგ!

---

[1] ნორმ. გვ. 63.

შენიშვნა. სიების შედგენისას, როცა, ჩვეულებრივ, ჯერ გვარი იწერება და შემდეგ სახელი, სახელი ფუძის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი: ფანცულაია ამირან, ზვიადაძე გურამ, კურტანიძე გრიგოლ, აბაშიძე ზურაბ...

სავარჯიშო 281. გადაიწერეთ, აბრუნეთ საკუთარი სახელები გვართან ერთად ჯერ პირდაპირი, შემდეგ შებრუნებული რიგით.

დავით გამრეკელი, პეტრე ამირანაშვილი, გიორგი საყვარელიძე, ოთარ თაქთაქიშვილი, ზვიად ერისთავი, ვლადიმერ კანკავა, რომან გიგაური, ვასილ კიკვიძე...

სავარჯიშო 282. გადაიწერეთ, გახსენით ფრჩხილები. გამოარკვიეთ საკუთარი სახელის ბრუნვა და ფუძე.

I. 1. (— ლეან!..) — ჩუმად უთხრა ქალმა (ნ. ლ.). 2. (გუბაზ!) — ხმა წყნარი იყო, მორიდებული (რ. ი.). 3. — გესმის (დავით) — ჰკითხა მართა თებრონემ დავითს (ს. შ.). 4. — გამარჯობა, (ღვთისავარ!) — გაგიმარჯოს (როსტომ) (მ. ჯ.). 5. ჰოოო... (ბატონო ნიკოლოზ) ასეთი უმაწვილი თავადობის ღირსია ხომ? (ნ. ლ.). 6. უ, (გაიოზ!) — სიამოვნებით მიესალმა პარმენი (ნ. ლ.). 7. „მალადეც“, (მელიტონ), „მალადეც“ (მ. ჯ.). 8. (ფირუზ!) — ბრძანების ნაცვლად თხოვნის კილოზე მიმართა ბატონმა (მ. ჯ.). 9. — მიირთვი, (გიულ), შაქარი! — ეძახის კეთილი მუშტარი (თ. რ.). 10. აბა, იმედი მაქვს, (სოლომონ!) (დ. კლდ.).

II. 1. (გიორგი), ჩემ ხელში ხარ, არ შეგარცხვენ, ოღონდ გზიდან ჩამომშორდი (მ. ჯ.). 2. გზა მშვიდობისა, (ჩემო გიორგი!) (ნ. ლ.). 3. (ბატონო პორფირი) — აქ სიტყვა ჩაუწყდა აღელვების გამო (დ. კლდ.). 4. დაიმალე, (ქესანე), დაიმალე! — დაუძახა კვნესით იამ (თ. რ.). 5. იმრავლე, (საბა), იმრავლე! (ს. შ.). 6. (— პეტრე), (აი პეტრე!) — დაუძახა შორიდან თივის მდგმელს (ი. ჭ.). 7. — (ეფროსინე!) — მხიარულად შესძახა სოლომონმა (დ. კლდ.). 8. რა იყო, (არისტო?) (დ. კლდ.). 9. — (დათიკო!) შენ ბედისწერას აუტანიხარ (ი. ჭ.). 10. (აკაკი), ახლა მესმის შენი ჭაბუკობის დროინდელი ოცნება (ლ. გ.)

10. ფუძისეული ი-ს შენარჩუნება ფოდებითში

სავარჯიშო 283. გადაიწერეთ, წერტილების ადგილას ჩაამატეთ გამოტოვებული ასო სიტყვებში. აღნიშნეთ, რომელ ბრუნვაშია ისინი.

თა...ო, კრა...ო, მკლა...ო, მკერა...ო, მხერხა...ო, ნია...ო, ნა...ო, პირუტყ...ო, პირშა...ო, სვა...ო, ტყა...ო, ფლა...ო, წა...ო, წყა...ო, ხახ...ო, ზა...ო, კა...ო, ხე...ო, დე...ო, ღლა...ო.

ცნობისათვის. ვ თანხმოვნით ფუძედაბოლოებულ სახელებთან წოდებითში ჲ-ს დართვისას უნდა დაიწეროს: თავ-ო..., მკლავ-ო, კრავ-ო..., მაგ.: „ნაავო მთისაგ, ხუნების მაცოცხლებელო სულო“ (ვ. ფ.). შეცდომაა: თაო, მკლაო, კრაო, ხახო...

11. არსებითი სახელი მსაზღვრელად

სავარჯიშო 284. გადაიწერეთ, აბრუნეთ მსაზღვრელად გამოყენებული არსებითი სახელი არსებით სახელთან ერთად შებრუნებული რიგით; დაურთეთ სათანადო ზოლოსართი.

სახ.	სახლი ქვის...
მოთხ.	სახლმა ქვის...
მიც.	სახლს(ა) ქვის...
ნათ.	_____
მოქ.	_____
ვით.	სახლად ქვის...
წოდ.	სახლო ქვის...

ასევე აბრუნეთ: სკოლა სოფლისა, გული რკინისა, მოედანი ფეხბურთისა.

ცნობისათვის. ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელად გამოყენებული არსებითი სახელი, რომელიც მოსდევს საზღვრულს, აბრუნებს, ოღონდ არა აქვს ორი ბრუნვა — ნათესაობითი და მოქმედებითი; ვითარებითში არ დაერთვის ჲ: სახ. წიგნ-ი ამხანაგისა, მოთხ. წიგნ-მა ამხანაგისა-მ, წიგნს-(ა) ამხანაგისა-ს(ა), ნათ. —, მოქ. —, ვით. წიგნ-ად ამხანაგისა, წოდ. წიგნ-ო ამხანაგისა-ვ.

ზედსართავი სახელების მართლწერა

ზედსართავი სახელების დაბოლოება

სავარჯიშო 285. გადაიწერეთ, გახსენით ფრჩხილებში; შეუწყვეთ ზედსართავი სახელები არსებითებს მართლწერის წესების მიხედვით საჭირო შემთხვევაში.

1. (დიდი) ღრეობა გაიმართა (დ. კასრ.). 2. (გარეულმა) ქათამმა შინაური ქათამი გააგდოო (ანდ.). 3. ალალი (წვეტიანს) ნისკარტს აქეთ-იქით აბრუნებდა (თ. რ.). 4. სოლომონ ავალიშვილი უთენია გადმოდგებოდა (მაღალის) ოდის აივანზე (ა. ქ.). 5. ცალი ხელი შუბლზე მიიდო და (იდუმალით) ხმით მოჰყვა ლოცვას (დ. კასრ.). 6. მე ხომ (უფროსად) ძმად გიგულებდი (დ. კასრ.). 7. (ძლიერო) ღმერთებო, თქვენ მოგმართავთ, თქვენ, რომ შემიბრალოთ (დ. კასრ.).

ამასთანავე აბრუნეთ ზედსართავი სახელები არსებითთან: წითელი მოედანი, კარგი წიგნი, თეთრი მტრედი, ლამაზი მეგობარი, კაბური ღვინო...

ცნობისათვის. ბოლოთანხმოვნიანი. ზედსართავი სახელი არსებითთან ხმარებისას ბრუნვის ნიშნებს სრულად ირთავს სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში (მაღალ-ი სახლ-ი, მაღალ-მა სახლ-მა, მაღალ-ო სახლ-ო); ნაწილობრივ იქცევს ნათესაობითსა და მოქმედებითში (მაღალ-ი სახლ-ის, მაღალ-ი სახლ-ით); მთლიანად აქვს მოქცეული მიცემითსა და ვითარებითში (მაღალ სახლ-ს, მაღალ სახლ-ად).

შენიშვნა. თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ამ ძირითადი სახეობის გვერდით დასაშვებად შეიძლება მივიჩნიოთ სრული სახეობა: 1

სახ.	დიდ-ი	სახლ-ი
მოთხ.	დიდ-მა	სახლ-მა
მიც.	დიდ-ს	სახლ-ს
ნათ.	დიდ-ის	სახლ-ის
მოქმ.	დიდ-ის	სახლ-ით
ვით.	დიდ-ს	სახლ-ად
წოდ.	დიდ-ო	სახლ-ო

სავარჯიშო 286. ამბრუნეთ სახელობით ბრუნვაში დასმული თანხმოვანფუძიანი ზედსართავი არსებითთან მეორე მრავლობითში.

სახ.	დიდ-ნ-ი	საქმე-ნ-ი
მოთხ.		
მიც.		
ნათ.		
მოქმ.		
ვით.		
წოდ.		

ცნობისათვის. როცა არსებითი სახელი მეორე მრავლობითშია, ბოლოთანხმოვნიანი ზედსართავი ორ ბრუნვაში იცვლება: სახელობითსა და წოდებითში. დანარჩენ ბრუნვებში (მოთხ., მიც. და ნათ.) ფუძის სახითაა წარმოდგენილი.

სავარჯიშო 287. გადაიწერეთ, ამბრუნეთ ზედსართავი სახელები არსებითთან ერთად შებრუნებული რიგით; დაურთეთ საითანადო ბოლოსართები.

1. სახ. სახლი მაღალ...
   მოთხ. სახლმა მაღალ...
   მიც. სახლს მაღალ...
   ნათ. სახლის მაღლ...
   მოქმ. სახლით მაღლ...

1 ნორმ. გვ. 133.

ვით.	სახლად	მაღლ...
წოდ.	სახლო	მაღალ...

ასევე ებრუნებიან მეგობარი კეთილი, მტრედი თეთრი, ქალი ღამაზი.

2. სახ.	ტყე	მწვანე
მოთხ.	ტყე-მ	მწვანე...
მიც.	ტყე-ს	მწვანე...
ნათ.	ტყ-ის	მწვანე...
მოქმ.	ტყ-ით	მწვანე...
ვით.	ტყე-დ	მწვანე...
წოდ.	ტყე-ო	მწვანე...

ასევე ებრუნებიან: ორმო ფართო, გზა ვიწრო, წყარო ანკარა.

ცნობისათვის. თუ ზედსართავი სახელი შებრუნებული რიგითაა (ფანქარ-ი წითელ-ი, რვეულ-ი სუფთა), იგი ისე ებრუნვის, როგორც აოსებითი სახელი: ფანქარ-ი წითელ-ი, ფანქარ-მა წითელ-მა, ფანქარ-ს წითელ-ს, ფანქრ-ის წ.თელ-ის...; მდინარე-მ ღრმა-მ, მდინარე-ს ღრმა-ს და სხვ.

რიცხვითი სახელების მართლწერა

1. რაოდენობითი რიცხვითი სახელები

სავარჯიშო 288. გახსენით ფრჩხილები, მოიგონეთ მართლწერის სათანადო წესი და მის მიხედვით დაწერეთ სიტყვები ერთად ან დეფისით.

1. ოც(და)ერთი, ოც(და)რვა, ოც(და)ჩვიდმეტი, ორმოც(და)ორი, ორმოც(და)თვრამეტი, სამოც(და)ერთი, სამოც(და)თორმეტი, სამოც(და)თექვსმეტი, ოთხმოც(და)ცხრა, ოთხმოც(და)ათი, ოთხმოც(და)ორი, ოთხმოც(და)ცხრამეტი.

2. (ას)ერთი, (ას)ხუთი, (ას)ათი, (ას)ოცი; (ას)ორმოცდაათი, (ორას)ორი, (ორას)თერთმეტი, (ორას)ოცდახუთი, (სამას)ოთხი, (სამას)ხუთი, (სამას)ორმოცდაათი, (ხუთას)თერთმეტი, (რვაას)სამი, (ცხრაას)ცხრამეტი, ათას(ას)ორი, ათას(სამას)ცხრა, ოცი(ათას)შვიდასი, სამი(ათასი), შვიდას(ოთხმოცი), ხუთი(ათას)(ექვსას)ოცდაერთი, მილიონ(ათას)(შვიდას)ორმოცდაორი, მილიონ(ხუთასი)ათასი.

ცნობისათვის. 1. და-თი შეერთებული რაოდენობითი რიცხვითი სახელები შეწყმულად (ერთად) იწერება: ოცდასამი, ოცდათორმეტი, სამოცდარვა, ოთხმოცდაცხრამეტი...

2. ცალ-ცალკე იწერება რიცხვითი სახელები, რომლებიც შედგება მარტივი ან რთული კომპონენტებისაგან: ას ოცი, სამას ოცდაცამეტი, ათას ხუთას ერთი, ორი ათას ხუთას ერთი, ორი ათას სამას ოცი...

შენიშვნა. გვაქვს რთული რიცხვითი სახელი „თხუთმეტი“ (მიღებულია „ათ-ხუთ-მეტისაგან“). ამის გარდა, ხმარობენ არასწორ ფორმებს: „ხუთმეტი“, „თუთხმეტი“, ერთადერთ სწორ ფორმად მიჩნეულია „თხუთმეტი“.

სავარჯიშო 288. გადაიწერეთ, შეცვალეთ რიცხვები სიტყვებით.

1. ჩვენს კლასში 34 მოსწავლეა. 2. ამ წელში სასკოლო ბიბლიოთეკა 433 წიგნით შეივსო. 3. სპაერო ლაინერმა 160 მგზავრი ჩამოიყვანა. 4. ქარხანაში სულ 1550 მუშაა. 5. მოეწყო ველორბოლა 500, 1500, 5 000, 10 000 მეტრ დისტანციებზე. 6. წიგნში 83 ილუსტრაციაა. 7. ჩვენი სტადიონი 80 000 მაყურებელს იტევს. 8. კავკასიონის ჯვრის უღელტეხილი ზღვის დონიდან 2379 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს.

2. რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელები

სავარჯიშო 289. აწარმოეთ რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან რიგობითი; გამოყავით მაწარმოებლები.

1. ორი, სამი, ხუთი, რვა, ათი, თორმეტი, თოთხმეტი, თექვსმეტი, თვრამეტი, ცხრამეტი, ოცი, ორმოცი, სამოცი, ოთხმოცი, ასი, ორასი, სამასი, ექვსასი, რვაასი, ათასი, ორი ათასი, ხუთი ათასი, ათი ათასი, მილიონი...

ნიმუში:	რაოდენობითი	რიგობითი
	1. ორი	მე-ორ-ე
	2. ცამეტი	მე-ცამეტ-ე
	3. . . .	. . .

2. ოცდახუთი, ოცდაცამეტი, ორმოცდაორი, სამოცდაშვიდი, სამოცდაათი, სამოცდათვრამეტი, ოთხმოცდაერთი, ოთხმოცდაათი, ოთხმოცდათორმეტი, ოთხმოცდაცხრამეტი, ას სამი, ას შვიდი, ორას ოცდახუთი, ექვსას ოცდაათი, შვიდას ათი, ორი ათას ხუთას ოცდაერთი, სამი ათას შვიდას ხუთი, ათი ათას ორი...

ნიმუში:	რაოდენობითი	რიგობითი
	1. ოცდახუთი	ოცდა-მე-ხუთ-ე
	2. ას ხუთი	ას მე-ხუთ-ე
	3. . . .	. . .

ცნობისათვის. 1. რიგობითი რიცხვითი სახელები ნაწარმოებია რაოდენობითის ფუძისაგან მე თავსართისა და ე ბოლოსართის დართვით. (მე-ე); მე-ხუთ-

ე, მე-ათ-ე, მე-ცამეტ-ე, მე-ორმოც-ე, მე-ას-ე, მე-ორას-ე, მე-ათას-ე...; განკერძოებულად დგას „პირველი", რომელიც „მეერთეს" ნაცვლად იხმარება; რთულ რიცხვით სახელებთან ითქმის ოცდამეერთე, ას მეერთე...

2 და-თი შეერთებული რიცხვითი სახელებისაგან რიგობითის ფორმები მოუდის მის მეორე ნაწილს (ერთიდან ცხრამეტამდე): ოცდა-მე-ხუთ-ე, ოცდა-მე-ათ-ე, ორმოცდა-მე-ცხრამეტ-ე; არასწორი ფორმებია: მეოცდახუთე ან მეოცდამეხუთე, მეოცდაათე ან მეოცდამეათე...

ბოლო ნაწილთანაა რიგობითის ფორმები აგრეთვე არა და-თი შეერთებულ რთულ რიცხვით სახელებთან სრული ოცეულების, სრული ასეულებისა და სრული ათასეულების გარდა; ითქმის მეასე, მეორასე, მეათასე, მაგრამ: ას მეორე, ორას მეათე, ათას მეხუთე...

სავარჯიშო 281. გადაიწერეთ, აწარმოეთ რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან რიგობითის ფორმები არაბული ციფრებით; გამოსახეთ სიტყვიერადაც.

2, 3, 4, 5, 16, 25, 76, 129, 283, 405, 558, 1506, 1530, 1638, 2347, 3000, 3833...

ნიმუში:	რაოდენობითი	რიგობითი
	1. 2 (ორი)	მე-2 (მეორე)
	2. 203 (ორას სამი)	203-ე (ორას მესამე)
	3. . . .	. . .

ც ნ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს. რიგობითი რიცხვითი სახელები არაბული ციფრებით გამოსახვისას იწერება შემდეგნაირად:

ა) როცა მაწარმოებლები **მე** თაში მოუდის რიგობით რიცხვით სახელს, ჯერ იწერება **მე**, შემდეგ დეფისი და ბოლოს კი — სათანადო რიცხვი: მე-2 (მეორე), მე-5 (მეხუთე), მე-10 (მეათე), მე-18 (მეთვრამეტე), მე-100 (მეასე)...

ბ) როცა მაწარმოებელი **მე** რთული რიცხვითი სახელის უკანასკნელ ნაწილს მოუდის, მაშინ იწერება ჯერ რიცხვი, შემდეგ დეფისი და ბოლოს ე: 25-ე (ოცდახუთე), 39-ე (ოცდაცხრამეტე), 103-ე (ას მესამე), 235-ე (ორას ოცდამეთხუთმეტე), 2338-ე (ორი ათას სამას ოცდამეთვრამეტე)., და არა: მე-39 ან მე-39-ე...

შენიშვნა. რიგობითის ფორმა „პირველი" არაბული ციფრით უნდა დაიწეროს ასე: 1-ლი.

სავარჯიშო 282. გადაიწერეთ, გამოსახეთ რიგობითი რიცხვითი სახელები რომაული ციფრებით.

პირველი ხარისხის დიპლომი, მეორე ტომი, მეათე კლასი, მეთორმეტე თავი, მეოცე საუკუნე, ოცდამეხუთე ყრილობა, ოცდამეთვრამეტე რიგი, ორმოცდამეშვიდე ჩემპიონატი...

ც ნ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს. რიგობით რიცხვით სახელებს რომაული ციფრებით გამოსახვისას არც თავსა და არც ბოლოში პრეფიქსი ან სუფიქსი არ დაერთვის: XIX და არა მე-XIX, XIX-ე ან მე-XIX-ე.

შენიშვნა 1. ფორმათაგან „მეორადი“ და „მეორეული“ ერთადერთ ლიტერატურულ ფორმადაა მიჩნეული „მეორეული“. „მეორადი“ მცდარი ფორმაა.

შენიშვნა 2. ფორმათაგან — მე-60 წლები და 60-იანი წლები — ორივე ლიტერატურულ ფორმადაა მიჩნეული.

სავარჯიშო 293. გადაიწერეთ, გახსენით ფრჩხილები.

(მეტრ)ნახევარი, (კილო)ნახევარი, (ფუთ)ნახევარი, (ტონა)ნახევარი, (ჰექტარ)ნახევარი, (წუთ)ნახევარი, (საათ)ნახევარი, (მანეთ)ნახევარი, (თვე)ნახევარი, (წელიწად)ნახევარი, (დღე)ნახევარი, (გრამ)ნახევარი...

ცნობისათვის. „მეორედის“ ნაცვლად, ჩვეულებრივ, „ნახევარი“ გამოიყენება, რომელიც უკავშიროდ დაერთვის არსებით სახელებს და გამოიყოფა მათგან დეფისით: მეტრ-ნახევარი, კილო-ნახევარი, თვე-ნახევარი და სხვ. – უმართებულო ფორმებია: სამ-ნახევარი თვე, ორ–ნახევარი მანეთი, ორ-ნახევარი კილო შაქარი და სხვ.

სავარჯიშო 294. გადაიწერეთ, გახსენით ფრჩხილები; მიეცით მართებული ფორმა რიცხვით სახელდართულ არსებით სახელებს.

(ორი) ბიჭები, (ათი) ბავშვები, (თორმეტი) სტუდენტები, (ოცი) რეეულები, (ასი) ჯარისკაცები, (ას ოცი) მანქანები, (სამი ათასი) მუშები, (ასი) მანეთები, (ოთხი) კამეჩები, (ოცდახუთი) ქათმები, (ბევრი) წიგნები, (მრავალი) წლები, (ცოტა) მცენარეები...

ცნობისათვის. რაოდენობით რიცხვით სახელთან (გარკვეულთან, გაურკვეელთან) არსებით სახელს მხოლობითი რიცხვის ფორმა აქვს: ორი ბიჭი, ათი კაჭი, ხუთი ფანქარი, ბევრი წიგნი...

შენიშვნა. იშვიათია, როცა რაოდენობითი და არსებითი სახელი ორივე ნარმოანრან მრავლობითშია დასმული: სამნი ძმანი, ხუთნი ამხანაგნი..., „გუშინ შვიდნი გერჯანელნი“ (სიმღერაა).

8. ᲕᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲐᲙᲓᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ

სავარჯიშო 295. გადაიწერეთ, ჩაუმატეთ წერტილების ნაცვლად სათანადო ნაწილაკი რიცხვით სახელებს ბრუნვებში.

1. სახ. ორი..., მოთხ. ორი...მ (ორმა...), მიც. ორი...ს (ორსა...), ნათ. ორი..ს(ი) (ორისა...), მოქმ. ორი...თი (ორით...), ვით. ორი...დ (ორად...). წოდ. —

ა ს ე ვ ე ა ბ რ უ ნ ე თ: ათივე, ცამეტივე, ოცდახუთივე, ორმოცივე...

2. სახ. ორნი... (ორი..ნი), მოთხ. ორთა..., მიც. ორთა..., ნათ. ორთა...

ასევე აბრუნეთ: რვანივე, ათნივე, ოცნივე...

3. სახ. ორი... სკოლა, მოთხ. ორი... სკოლამ, მიც. ორი... სკოლას (ორისა... სკოლას), ნათ. ორი... სკოლის (ორისა... სკოლის), მოქმ. ორი... სკოლით (ორისა... სკოლით), ვით. ორი... სკოლად, წოდ. —

ასევე აბრუნეთ: ათივე ბავშვი, ხუთივე პიონერი, ორმოცივე ჯარისკაცი...

ცნობისათვის. 1. ვე ნაწილაკიანი რიცხვითი სახელის ბრუნებისას გაბატონებულია შეზრდილი სახეობა (ორივე, ორივემ, ორივეს...); შეუზრდელი სახეობა დასაშვებადაა მიჩნეული (ორმავე, ორსავე, ორისავე); უარყოფილია: ორთავე, ორთავენი, ორთავე, ორთავემ, ორთავეს...

2. მრავლობით რიცხვში მიღებულია -ვე ნაწილაკიანი რიცხვითი სახელის ბრუნების ასეთი სახეობა: ორნივე||ორივენი...

3. როცა ვე ნაწილაკიანი რიცხვითი სახელი საზღვრულთან ერთად იბრუნვის, ძირითადი სახეობაა: ორივე სკოლა, ორივე სკოლამ, ორივე სკოლას...; დასაშვებადაა მიჩნეული: ორსავე სკოლას, ორისავე სკოლის, ორისავე სკოლით; მიუღებელია: ორთავე სკოლა, ორთავე სკოლამ, ორთავე სკოლას...

სავარჯიშო 298. (გასამეორებელი). ამოწერეთ რიცხვითი სახელები, აწარმოეთ მათგან რიგობითის ფორმები არაბული ციფრებით.

1. როცა ბახვა ათი წლის შეიქნა, მის მშობელს ჰყავდა თიკნიანად ოცი სული თხა, ერთი უღელი ხარი, ერთი კვიციანი ჭაკი ცხენი, ერთი მეწველი ძროხა, სამი უშობელი, წლის მოზვერი, ოთხი დედა ღორი და ექვსი გოჭი (გ.წ.). 2. იმ დროს ბანკის გირაოს ფურცლები — ყოველი ასმანეთიანი რვა თუმან-ნახევრად გადიოდა (...) ამ სახით ის ყოველ ას მანეთში თითქმის თექვსმეტ მანეთს კარგავდა (...) გამოვიდა, რომ ოცდახუთი ათასი მანეთის მაგივრად ხელში მისცეს თვრამეტი ათასი მანეთი... ამ ფულიდან თოთხმეტი ათასი მანეთი ურიებს დაურიგა (...) ზოგი სახლის ქირა კიდევ შედგა ხუთას მანეთამდის. დარჩა თავქფილაძეს ხელთ სახარჯო ფული სამას ორმოცდაათი თუმანი, ეს ორმოცდაათი თუმანიც ქალ-ვაჟებმა წაართვეს ახალი ტანისამოსისა და ბანქოს სათამაშო ფულად. მებატონემ მხოლოდ სამასი თუმანი გამოიზოგა წლის სახარჯოდ (გ. წ.). 3. იმათ სწავლას გული აუცრუეს და გამოხტენ მეოთხე, მეხუთე კლასებიდან (გ. წ.). 4. მეცამეტე საუკუნის შუა წლებში საქართველოსათვის თავდადებულობით თავი ისახელა ერთმა დიდებულმა ქართველმა (ი. გ.). 5. 1769 წელსა რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორემ ომი გამოუცხადა ოსმალეთსა (ი. გ.). 6. პირველი გზა იყო

შარაგზა (ი. გ.). 7. ამ დროს ერეკლეს თან ჰყავდა სულ ოთხი ათასი მეომარი... მათში ერია ათასი ბორჩალოელი თათარი (ი. გ.). 8. ამის შემდეგ განელო კიდევ ოცდახუთმა წელმა (ი. გ.).

ნაცვალსახელების მართლწერა

1. პირის ნაცვალსახელი მათ

სავარჯიშო 297. გადაიწერეთ, ჩასვით წერტილების მაგივრად შესატყვისი პირის ნაცვალსახელი.

1. ...დიდი შრომა გასწიეს მიზნის მ... აღწევად. 2. ... პირნათლად მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე. 3.... დიდი სიძნელეების გადალახვა მოუხდათ მწვერვალის დასაპყრობად. 4. ... მცირე დროში 8-სართულიანი სახლი ააგეს. 5. ... სახელი და დიდება მოიპოვეს თავიანთი გმირული საქმეებით. 6. ... განუზომელი სიხარული მოჰგვარეს უცხოელ მაყურებელს. 7. ... კარგად იცოდნენ მოწინააღმდეგე ფეხბურთელთა დადებითი თუ უარყოფითი მხარე. 8. ... სიგელებთან ერთად, ფულადი საჩუქარიც მიიღეს. 9. ... არ იციან ეს ამბავი (კ. გ.). 10. ... გადაწყვიტეს კინოში წასულიყვნენ (კ. გ.). 11. ... სწავლას გული აუცრუეს (გ. წ.).

ენობისათვის. როცა მოთხრობით ბრუნვაში მოცემული მესამე პირის ნაცვალსახელი მრავლობით რიცხვში დგას (მან — მათ), მის ნაცვლად ზოგჯერ ჭმართებულად ხმარობენ კუთვნილებითი ნაცვალსახელის მოთხრობითი ბრუნვის ფორმას: (ამათმა, იმათმა) ააშენეს, (ამათმა, იმათმა) დახატეს, წაიკითხეს და სხვ. მათ პირის ნაცვალსახელია, მათი — კუთვნილებითი. პირველი ზმნასთან იხმარება (მათ წაიკითხეს), ხოლო მეორე — სახელთან. ამიტომ კუთვნილებითი ნაცვალსახელი მოთხრობითი ბრუნვის ფორმით მხოლოდ სახელებს შეეწყობა: მათმა ამბანაგმა, მათმა საქმემ, მათმა თამაშმა...

შენიშვნა. დიალექტური ფორმებია და ლიტერატურული ენისათვის მიუღებელი აგენი (ამგენი), იგენი (იმგენი) და მათი ბრუნებით მიღებული ყველა სიტყვა: აგენმა, აგენს, აგენის, აგენით; იგენმა, იგენს, იგენის, იგენით...

2. კუთვნილებითი ნაცვალსახელები თავისი და ემისი (მისი)

სავარჯიშო 298. გადაიწერეთ, კუთვნილებით ნაცვალსახელთაგან თავისი და ემისი (მისი) შეარჩიეთ ერთ-ერთი, რომელიც მართლწერის თანახმად მიუდგება ამა თუ იმ წინადადებას და ჩასვით წერტილების ნაცვლად.

1. მშრომელი ხალხი თვითონ მოჰკიდებს ხელს ... ცხოვრების აშენებას (ა. ქ.). 2. ხახულია კვირაში წაიღებდა „ისკიოდას“ ცაცხვთან ... შესაწირავად ორ აღდგომის კვერცხს (გ. წ.). 3. ერკემლებს

კარგად ესმოდათ ... ხმა (გ. წ.). 4. ერთხელ ერთმა ამ ლეკთაგანმა ... ამხანაგს უთხრა (ი.გ.). 5. ზურაბ ქართველაძე განთქმული იყო მთელს კახეთში ... სიმდიდრით და პურადობით (ი. გ.). 6. აქ დანიშნულ ვადაზე ცოტნე დადიანი გამოცხადდა ... ჯარით (ი. გ.). 7. იმ დროებში ივანე ... ნაშოვარს ყველაფერს არყის სმაში ღუპავდა (გ. წ.). 8. არ მინდა, ჩემო ბიძია, არც ... ფული და არც ... კაცობა (გ. წ.). 9. ვეფხტიბიულში ვეჭილს, ესტატე მაყაშვილს, ... ცოლს ვარდოს, მათ ქალს ნინოს, მე და ქირურგ ევგენის ვანომ ხელი წაგვავლო (ა. ჭ.). 10. მათე ჯვარს ისწორებს მკერდზე, თითქოს ახლა იგრძნო ... ძალა და სიმძიმეო (ა. ჭ.). 11. ტოტლებენს დიდი იმედი ჰქონდა ... ზარბაზნებისა (ი. გ.). 12. ზურაბ ქართველაძე ... ამალით იძულებული შეიქმნა (...) უკანვე დაბრუნებულიყო (ი. გ.). 13. ზურაბმა .... ბინის კარი კინაღამ შეამტვრია (მ. ჯ.).

ცნობისათვის. კუთვნილებითი ნაცვალსახელები თავისი და იმისი (ჩისი) — ორივე გამოხატავს მესამე პირის კუთვნილებას, მაგრამ სხვადასხვაგვარად. თუ საგანი წინადადებაში მოქმედი პირის კუთვნილებაა, ითქმის თავისი, თუ სხვისი — იმისი (ჩისი). მაგ.: „მეგობარმა თავისი სურათი მაჩუქა" — სურათი მეგობრის კუთვნილებაა. „მეგობარმა მისი სურათი მაჩუქა" — სურათი მეგობრის კუთვნილებაა. „მეგობარმა მისი სურათი მაჩუქა" — სურათი ეკუთვნის სხვას (ვთქვათ ვანოს) და არა მეგობარს.

ვ. კუთვნილებითი ნაცვალსახელები ჩემი, შენი, ჩვენი, თქვენი, მათი ფიცევით ბრუნვაში

სავარჯიშო 209. გადაიწერეთ, გახსენით ფრჩხილები; შეუწყვეთ კუთვნილებითი ნაცვალსახელები მომდევნო სიტყვას ბრუნვაში.

1. გაიანეს (ჩემი) პალატაში მორიგეობა ეხალისებოდა (ა. ჭ.). 2. მეორედ რომ ენახო (ჩემი) ნაკოდში, ცოცხალს არ გავუშვებ (გ. წ.). 3. მამაჩემმა ორასი თუმანი (ჩემი) ქმარს მისცა (ა. ჭ.). 4. ბოლოს (ჩემი) საძილო ოთახში მოსამსახურე შემოვიდა (კ. გ.). 5. ლუდი მოვითხოვე, მომიტანეს, მაგრამ (შენი) მტერს, ისეთი დაძმარებული იყო (კ. გ.). 6. ყოველი კაცისაგან ნუ მიიღებ პატივისცემას, თორემ უცილოდ ჩირქი მოეცხება (შენი) სახელს (კ. გ.). 7. ტფილისს გარეთაც საქართველოს ისევე ესაჭიროება ეს კადრები, რომელნიც ჩვენმა ხელისუფლებამ აღზარდა, როგორც (ჩვენი) დედაქალაქში (კ. გ.).

ცნობისათვის. მსაზღვრელად გამოყენებულ კუთვნილებით ნაცვალსახელებს (ჩემი, შენი, ჩვენი, თქვენი, მათი) მიცემითი ბრუნვის ნიშანი ს უნდა უფეველად: ჩემს მეგობარს, შენს ძმას, ჩვენს ამხანაგს (ამხანაგებს), თქვენს ძმაკაცებს, მათს სახელს...

4. გან თანდებულდართული კუთვნილებითი ნაცვალსახელები

სავარჯიშო 800. გადაიწერეთ, წერტილების ნაცვლად ჩაამატეთ გამოტოვებული ბოლოსართი.

1. თითოეული მათ...ი დიდად სარგებლობს (ტ. ტ.). 2 ზოგიერთ თქვენ...ს დღეს დავალება კარგად შეუსრულებია. 3. ერთი მათ...ი სანაპიროზე გადიოდა (ა. ჭ.). 4. ბევრი მათ...ი თბილისიდან ჩამოსულ სტუმრებს თავის სახლს უთუოდ დაათვალიერებინებს (ა. ჭ.). 5. ზოგი მათ...ი უკვე ფეხზე დგას (ა. ჭ.). 6. ყოველი მათ...ის ხსენებაზე ასე მეკითხებოდა: თუ იცნობთ? (კ. გ.). 7. ერთ-ერთი ამათ...ი თითქმის ყველა გერმანულ ოჯახში მოიპოვება (კ. გ.). 8. ამ დღეს ყველა ჩვენ...ი გრძნობს (ტ. ტ.).

ცნობისათვის. ჩვენგანი, თქვენგანი, მათგანი მიღებულია პირის ნაცვალსახელების მრავლობითი რიცხვის ფორმებზე გან თანდებულის დართვით. ჩვენ-გან-ი, თქვენ-გან-ი, მათ-გან-ი. ანალოგიური წარმოება გვაქვს არსებითი სახელებისაგან მიღებულ სიტყვებში: კაცთა-გან-ი, შვილთა-გან-ი, მეგობართა-გან-ი...; მაგ.: ერთხელ ერთმა ამ ლეკთაგანმა თავის ამხანაგს უთხრა (ი. გ.). როგორც ვხედავთ, თანდებული გან სახელისაგან მოითხოვს ნათესაობითი ბრუნვის ფორმას.

თანდებული გან შეიძლება დაერთოს კუთვნილებით ნაცვალსახელებს, რომლებიც მიღებულია პირის ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმაზე სახელობითი ბრუნვის ნიშნის ი-ს დართვით: ჩვენ — ჩვენი, თქვენ — თქვენი, მათ — მათი. კუთვნილებითი ნაცვალსახელები პირის ნაცვალსახელებისაგან განსხვავებით ბრუნებადია და თ-ანიანი მრავლობითიც გააჩნიათ. თანდებული გან ამთაც დაერთვის (მათთა-გან-ი) და ამის გამო ვიღებთ პარალელურ ფორმებს: ერთი მხრივ გვაქვს ჩვენგანი, თქვენგანი, მათგანი, მეორე მხრივ — ჩვენთაგანი, თქვენთაგანი, მათთაგანი. ამათგან: ჩვენგანი, თქვენგანი, მათგანი აღნიშნავს ჩვენ (თქვენ, მათ) შორის ერთ რომელიმეს; ჩვენთაგანი (თქვენთაგანი, მათთაგანი) — ერთ რომელიმეს მათ შორის, რაც ჩვენს (თქვენს, მათს) საკუთრებას შეადგენს. როგორც ვხედავთ, ჩვენგანი — ჩვენთაგანი, თქვენგანი — თქვენთაგანი, მათგანი — მათთაგანი ერთმანეთისაგან შინაარსობრივად განსხვავებული სიტყვებია და, როგორც ზემოთ ვნახეთ, თითოეულს თავისი გამოყენების ადგილი აქვს. მართებული ფორმებია: თითოეული ჩვენგანი, თითოეული თქვენგანი, ყოველი მათგანი; უმართებულოა: თითოეული ჩვენთაგანი, თითოეული თქვენთაგანი, ყოველი მათთაგანი... (გ. შალამბერიძე).

შენიშვნა 1. კითხვით ნაცვალსახელთაგან ვინ? რა? მრავლობითი მხოლოდ ამ უკანასკნელს აქვს, ისიც ი შვილთად, იხმარება ორივე მრავლობითში: ნ-თი და ებ-ით. ნ-თი მხოლოდ სახელობითია ნაწარმოები („ვინ არიან ხალხის მეგობრები...“). ებ-იანი მრავლობითი შეიძლება შეგვხვდეს სხვა დანარჩენ ბრუნვებშიც: რაებმა, რაებს, რაების, რაებით...; მაგ.: თვითონაც არ გაეგებოდა ათრთოლებულის ხმით რაებს ბლუწუნობდა (გ. წ.). დაუშვებელია ვინ ნაცვალსახელის ხელოვნური მრავლობითი: ვინები, ვინებმა...

შენიშვნა 2. განსაზღვრებით ნაცვალსახელთაგან გვხვდება ასეთი ფორმები: თითოეული, თვითეული, თითეული, თვითოეული. ამათგან ერთადერთი ლიტერატურული ფორმაა თითოეული. იგი მიღებულია თითო სიტყვაზე ეულ მაწარმოებლის დართვით (თითოეულ-ი). მაგ.: მადლიერმა ქართველებმა ეს ცხრა ძმა იპოვნეს ბრძოლის ველზე მკვდართა შორის, თითოეული დიდი მოწიწებით დამარხეს ცალ-ცალკე მწკრივად და დაადგეს ცხრა დიდ-დიდი საფლავის ქვა, რომელიც დღემდე დაცულია (ი. გ.).

ვი, ვე, ღა, ღაც(ა) ნაწილაკდართული ნაცვალსახელები

სავარჯიშო 801. გადაიწერეთ, ჩასვით ნაწილაკები წერტილების ნაცვლად ნაცვალსახელთა ბრუნვებში; გამოარკვიეთ, რა ადგილი უკავია ნაწილაკს ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის.

-ვი

I. 1. სახ. ვინ..., მოთხ. ვინ...მ, მიც. ვინ...ს [ვის...], ნათ. ვინ...ს(ი) [ვის(გან)...], მოქმ. ვინ...თი, ვით. ვინ...დ, წოდ. —

2. სახ. რა...‖რაი..., მოთხ. რა...მ, მიც. რა...ს [რას...], ნათ. რა..ს(ი)‖რა...(ის) [რის(გან)...რისა...], მოქმ. რა...თი‖რა...ით [რით...‖რითი...], ვით. რა...დ [რად...], წოდ. —

-ვე

II. სახ. იგი..., მოთხ. იმა...მ [იმან...], მიც. იმა...ს [იმას...], ნათ. იმა...ს(ი) [იმის...]. მოქმ. იმა...თი [იმით...], ვით. იმა...დ [იმად...], წოდ. —

-ღა

III. 1. სახ. ვი...‖ვინ..., მოთხ. ვი...მ [ვინ...], მიც. ვი..ს [ვის...], ნათ. ვი...ს(ი) [ვისთვის...], მოქმ. ვი...თი, ვით. ვი...დ, წოდ. —

2. სახ. რა..., მოთხ. რა...მ [რამ...], მიც. რა...ს [რას...], ნათ. რა...ს(ი) [რისთვის...], მოქმ. რა...თი [რით...], ვით. რა...დ [რად...], წოდ. —

-ღაც(ა)

1. სახ. ვი...(ა), მოთხ. ვი...მ [ვი...(მა)ც], მიც. ვი...ს [ვის...‖ვის...(სა)ც], ნათ. ვი...ს‖ვი...(ის) [ვის(გან)...‖ვი...ს(გან)აც], მოქმ. ვი...თი‖ვი...(ით) [ვი...(თი)ც], ვით. ვი...დ [ვი...(და)ც], წოდ. —

2. სახ. რა...(ა), მოთხ. რა...მ [რა...(მა)ც], მიც. რა...ს, [რას..., რა...(სა)ც], ნათ. რა...ს(ი), რა...(ის), [რის(გან)...‖რა...ს(თვის)აც], მოქმ. რა..თი‖რა...(ით) [რით...‖რა...(თი)ც], ვით. რა...დ [რად..., რა...(და)ც].

ცნობისათვის. ვი, ვე, ღა, ღაც(ა) ნაწილაკები იწერება სიტყვასთან ერთად (ვინმე, რამე, იგივე, ვინღა, რაღა, ვილაც(ა), რაღაც(ა) და სხვ.). ნაწილაკ-

დართული ნაცვალსახელები ბრუნებისას სამგვარ სახეობას გვიჩვენებენ: შ ე ზ რ დ ე ლ ს, შ ე უ ზ რ დ ე ლ ს და ნ ა რ ე ვ ს. ამათგან:

ა) შეზრდილი ბრუნებისას ბრუნვის ნიშანი მოდის ნაწილაკის შემდეგ, ხოლო ნაწილაკი ფუძესაა შეზრდილი, იბრუნვის ნაწილაკთან ერთად (სახელის ფუძე+ +ნაწილაკი+ბრუნვის ნიშანი). მას ყველა ბრუნვის წარმოება შეუძლია დ, როგორც გაბატონებული სახეობა, რ ჩ ე ბ ა ძ ა ლ ა შ ი.

ბ) შეუზრდელი[1] ბრუნებისას იცვლება სახელი, ნაწილაკი კი ბრუნვის ფორმაზეა დართული (სახელის ფუძე+ბრუნვის ნიშანი +ნაწილაკი). მას ყველა ბრუნვის ფორმის წარმოება არ შეუძლია, იგი დ ა ს ა შ ვ ე ბ ფორმადაა მიჩნეული.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ნარევი სახეობა დეფექტურია და მიღებულია შეუზრდელ სახეობის ხელახალი გაფორმებით (სახელის ფუძე+ბრუნვის ნიშანი+ნაწილაკი+ბრუნვის ნიშანი (ვი-ს-მე-ს). ეს სახეობა უ ა რ ყ ო ფ ი ლ ი ა.

1. მე ნაწილაკდართულ ნაცვალსახელთა (ვინმე, რამე...) ბრუნების ძ ი რ ი თ ა დ ი სახეობაა: ვინმე, ვინმემ, ვინმეს..., რამე||რამ, რაიმე; რამემ, რამეს..., დ ა ს ა შ ვ ე ბ ი ა: მიც. ვისმე, ნათ. ვისთვისმე (ვისგანმე); მიც. რასმე, ნათ. რისთვისმე (რისგანმე), რისამე...

ასევე იბრუნვის: რამდენიმე, რომელიმე...

უ ა რ ყ ო ფ ი ლ ი ა: ვისმეს, რასმეს, რაიმემ, რაიმეს...

შენიშვნა. მე ნაწილაკიანი ვინ და რა ნაცვალსახელების მრავლობითი იქნება: ვინმეები, ვინმეებმა..., რამეები, რამეებმა...

2. ვე ნაწილაკდართული ნაცვალსახელის (იგივე) ბრუნების ძირითადი სახეობაა: იგივე, იმავემ, იმავეს...; დ ა ს ა შ ვ ე ბ ი ა: იმანვე, იმასვე, იმისვე...; ა ს ე ვ ე ი ბ რ უ ნ ვ ი ს: ორივე, სამივე, ათივე...

უ ა რ ყ ო ფ ი ლ ი ა: იგივემ, იგივეს, იგივეს(ე)...

3. და ნაწილაკდართულ ნაცვალსახელთა (ვიღა||ვინღა, რაღა...) ბრუნების ძირითადი სახეობაა: ვიღა||ვინღა, ვიღამ, ვიღას..., რაღა, რაღამ, რაღას...; დ ა ს ა შ ვ ე ბ ი ა: ვინღა, ვისღა, ვისთვისღა...; რამღა, რასღა, რისთვისღა...; უ ა რ ყ ო ფ ი ლ ი ა: რიღასი, რიღათი, რიღით...

4. ღაც(ა) ნაწილაკდართულ ნაცვალსახელთა (ვიღაც(ა)||ვიღაც, რაღაც||რაღაც) ძ ი რ ი თ ა დ ი ფ ო რ მ ე ბ ი ა: ვიღაცა||ვიღაც, ვიღაცამ, ვიღაცას...; რაღაცა||რაღაც, რაღაცამ, რაღაცას...; დ ა ს ა შ ვ ე ბ ი ა: ვიღამაც, ვისღაც||ვიღასაც..., რაღამაც, რასღაც, რაღასაც, რის(გან)ღაც...; უ ა რ ყ ო ფ ი ლ ი ა: რიღაცის, რიღაცით...

შენიშვნა. მრავლობით რიცხვში ამ ნაცვალსახელთა ძირითადი ფორმები იქნება: ვიღაცები, რაღაცები, რაღაც-რაღაცები; უ ა რ ყ ო ფ ი ლ ი ა: ვიღაცეები, ვიღაც-ვიღაცეები; რაღაცეები, რაღაც-რაღაცეები.

სავარჯიშო 802. დაამთავრეთ წინამავალი, ხოლო ჩასვით მომდევნო მსაზღვრელი წერტილების ნაცვლად, შეუწყვეთ ისინი საზღვრულს ბრუნვაში.

---

[1] შეუზრდელი სახეობები სავარჯიშოებში კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული.

სახ. ერთი და იგივე წიგნი, მოთხ. ერთ... და ... წიგნმა, მიც. ერთ... და ... წიგნს, ნათ. ერთ... და ... წიგნის, მოქმ. ერთ... და ... წიგნთ, ვით. ერთ... და ... წიგნად.

ამის მსგავსად ამბრუნეთ: ერთი და იგივე კაცი, ერთი და იგივე მოწაფე, ერთი და იგივე სერათი...

ცნობისათვის. როცა ვე ნაწილაკი დაერთვის ნაცვალსახელს (ერთი და იგივე), საზღვრულთან გამოყენებისას იბრუნვის შემდეგნაირად:

სახ. ერთი და იგივე წიგნი, მოთხ. ერთმა და იმავე წიგნმა, მიც. ერთ(სა) და იმავე წიგნს, ნათ. ერთი(სა) და იმავე წიგნის, მოქმ. ერთი(თა) და იმავე წიგნით, ვით. ერთ(სა) და იმავე წიგნად, წოდ. —. მაგ.: ლაპარაკი სულ ერთსა და იმავე საგანს შეეხებოდა (ა. ყ.).

შ ა რ უ ო ფ ი ლ ი ა: სახ. —, მოთხ. ერთი და იგივე წიგნმა ან ერთმა და იგივე წიგნმა, მიც. ერთი და იგივე წიგნს ან ერთ და იგივე წიგნს, ნათ. ერთი და იგივე წიგნის და სხვ.

სავარჯიშო 208. გადაიწერეთ, წერტილების ნაცვლად ჩაამატეთ ან დაურთეთ საჭირო ნაწილაკები.

1. (სვიმონს) ეტყობოდა, რომ სადღაც მიემგზავრებოდა და მოუთმენლად რა...ს და ვი...ს ელოდა (ა. ყ.). 2. რა ეშველება იმ ერს, რომლის შვილებიც უარყოფითად ეკიდებიან მისსა... არსებობას (ქ. ვ.). 3. ერთ ღამეს ვი...მ თოფი ჰკრა და მძინარი მოჰკლა (ა. წ.). 4. რომ გაგეცალა, ვის... მივმართო, ვინ მომაშველებს ხელს დაღუპვილსა! (ი. ჭ.). 5. ეტყობოდა, რომ იქ ვი... ნაცნობი უნდა ყოფილიყო (ა. ყ.). 6. პირველსა... დანახვაზე რა... გამოურკვეველი გრძნობა შეგაზიზღებდათ იმას (ა. ყ.). 7. მზაღოს ამაზედ უნდოდა ელაპარაკნა ვისთან..., მაგრამ ვერ ბედავდა (ა. ყ.). 8. ის მე ბევრს რას... გულს ჩამძახებდა (ი. ჭ.). 9. რამდენსა... წამს (...) უთვალავი მერცხლის გუნდი მოგროვდა (ი. გ.). 10. ჩვეულებად არა მაქვს ვის... თავს დავესხა (ა. წ). 11. ეს ვინ... არის? (ვ. ფ.). 12. შენ ვი...ს მეტიჩარა ხარ? — შეჰყვირა ოთარაანთ ქვრივმა (ი. ჭ.). 13. კიბეზე ვი...მ დაახველა (ა. წ.). 14. დაფრთხა რომელი... ფრინველი ბარდებში (ქ. გ.). 15. მათი მომავალი ბედი დამოკიდებულია მათსა... ძმურ განწყობილებაზე (ნ. კ.). 16. — რა ხანია მოვდივარ და ერთი კაცი არ შემხვედრია, რომ ხმა გამეცა ვისთვის..., მოვდივარ ასე მუნჯად! — თქვა გვერდევანიძემ (დ. კლდ.).

წარმოქმნილ სახელთა მართლწერა

ვ-ს შენარჩუნება. დაკარგვა და ჩართვა

სავარჯიშო 304. აწარმოეთ სიტყვები.

1. ურ სუფიქსის დართვით: ა) დათვი, ბავშვი, მკლავი, პირუტყვი, თავი...; ბ) ლიტვა, მორდვა, ლიძავა, სიქთარვა (სოფელია)...

2. ოვან სუფიქსის დართვით: ბეწვი, ძარღვი...

3. უ-ო და ხა-ო აფიქსების დართვით; ა) უ-ო: ნავი, თავი, სხივი, ტივი, კრავი, დავა, სიტყვა, ქცევა, თივა, ძრავა... ბ) ხა-ო: ზავი, ბავშვი, ეკვი, არაგვი, სვავი, დავა, აღრიცხვა...

4. ობა სუფიქსის დართვით: ბავშვი, გულუხვი, მორცხვი, თაგვი, ბრიყვი...

ნიმუში: 1. დათვი — დათვური
2. . . .

ცნობისათვის. სახელთა წარმოქმნის დროს ვ ბგერა არ იკარგება:

1. ურ სუფიქსის დართვისას, როდესაც: ა) ძირეული სიტყვა ბოლოვდება ვ თანხმოვნით: დათვი — დათვური, ბავშვი — ბავშვური...; ბ) როცა ბოლოკიდურ კვეცად ხმოვანს წინ უზის ვ: ლიტვა — ლიტვური, მორდვა — მორდვული (დასიმილაციით)...

2. ოვან სუფიქსის დართვისას, როცა ძირეული სიტყვის ბოლოკიდერ ვ-ს წინ უძღვის თანხმოვანი: ბეწვი — ბეწვოვანი, ძარღვი — ძარღვოვანი...

გამონაკლისია: რიცხვი — მრავალრიცხ(ვ)ოვანი.

3. უ-ო აფიქსების დართვისას, როცა: ა) ძირეული სიტყვა ბოლოვდება, ვ-ზე: თავი — უთავო, ნავი — უნავო..., ან ბოლოკიდურ კვეცად ხმოვანს წინ თანხმოვანი უზის: დავა — უდავო, სიტყვა — უსიტყვო...

გამონაკლისია: მოძრავი — უმოძრაო.

ბ) ხა-ო აფიქსების დართვისას: ზავი — საზავო, ბავშვი — საბავშვო....

გამონაკლისია: პატივი — საპატიო, მრეცხავი — სამრეცხაო, კაცობრივი — საკაცობრიო, ნაძლევი — სანაძლეო...

4. ობა სუფიქსის დართვისას, როცა ძირეული სიტყვის ბოლოკიდურ ვ-ს წინ უძღვის თანხმოვანი: ბავშვი — ბავშვობა, გულუხვი — გულუხვობა...

სავარჯიშო 305. გადაიწერეთ, ჩასვით წერტილების მაგივრად გამოტოვებული ასო.

1. სიყვარული ბავშ...ური გრძნობაა (ე. ნ.). 2. ბავშ...ური სიყვარული დაეტყო გამოთქმაში (შ. დ.). 3. პირუტყ...ულმა შიშმა შემიპყრო (ჭ. ლ.). 4. დათ...ური მოუდრეკელობა მეღავნდებოდა მის მიხვრა-მოხვრაში (კ. გ.). 5. ჯანის სისუსტე ბავშ...ობიდანვე ემჩნეოდა (ე. ნ.). 6. ერთმა უგნურმა თაგუნამ იუკადრისა თაგ...ობა (ა. წ.). 7. ამ საარაგ...ოზე, ზედ არაგვის პირზე, არის სოფელი გ. (დ. ჭ.).

1. ობა სუფიქსის დართვით: თავი, ხევი, ნათესავი, სანახავი...
2. ოსან სუფიქსის დართვით: თავი, პატივი, ნავი, შავი, ტყავი...
3. ურ სუფიქსის დართვით: ა) ფშავი, ხიდისთავი, აქტივი, პასივი, კოლექტივი, ბ) მოხევე...

ნიმუში: 1. თავი — თაობა
2. . . .

ცნობისათვის. სახელთა წარმოქმნის დროს ვ იკარგება:

1. ობა სუფიქსის დართვისას, როცა ძირეული სიტყვის ბოლოკიდურ ვ-ს არ უძღვის რომელიმე თანხმოვანი:

თავი — თაობა, ხევი — ხეობა, ნათესავი — ნათესაობა...

გამონაკლისია: ერისთავი — ერისთავობა, მოურავი — მოურავობა, მუდმივი — მუდმივობა, მრავალმხრივი — მრავალმხრივობა, ხანგრძლივი — ხანგრძლივობა, აქტივი — აქტივობა, პასივი — პასივობა...

2. ოსან სუფიქსის დართვისას, როდესაც ძირეული სიტყვის ბოლოკიდურ ვ-ს წინ არ უძღვის რომელიმე თანხმოვანი: თავი — თაოსანი, პატივი — პატიოსანი, ნავი — ნაოსანი...

გამონაკლისია: გასხივოსნებული.

3. ურ სუფიქსის დართვისას: ა) როცა ძირეული სიტყვის ბოლოკიდურ ვ-ს წინ არ უძღვის რომელიმე თანხმოვანი: ფშავი — ფშაური, აქტივი — აქტიური, პასივი — პასიური... ბ) მოხევე — მოხეური...

შენიშვნა. ამავე პირობებში ვ თანხმოვანი იკარგება, როცა სახელს დაერთვის ა ფიქსები:

უ —ურ: თავი — უთაური
მე — ურ: თავი — მეთაური
სა — ურ: თავი — სათაური
სა — ო: პატივი — საპატიო
უნა: მჟავე — მჟაუნა.

გამონაკლისია: მოსკოვი — მოსკოვური, სტახანოვი — სტახანოვური, სლავი — სლაური...

სავარჯიშო 807. გადაიწერეთ, გახსენით ფრჩხილები; დაწერეთ სიტყვები მართებული ფორმით.

1. ზღვამ ნავი გარიყა, (ნავოსნები) ნაპირზე ვეყარეთ. 2. შენ არ იცი, რომ ჩვენ (ნათესაობა) გვაქვს ერთმანეთში? (ვ. ფ.). 3. ჩვენ ჩვენი წინანდელი (მეთავური) წერილი იმით გავათავეთ (ვ. ფ.). 4. ერთი გირვანქა (მჟავუნა) გარეცხეთ, გაწურეთ, წმინდად დაკეპეთ, როგორც მხალი (ბ. ჯ.). 5. მან მიანება ყველაფერს თავი, იკისრა ჭალაქ ფოთის (თავობა) (ა. წ.). 6. იონა იყო კარისმერეთის თემში

ყოველი საქმის (თავოსანი) (ა. ქ.) 7. ვიწრო (ხეევობაში) მომწყვდეული მდინარე იბრძოდა და ჩუხჩუხებდა (ვ. ბ.). 8. (სანახაობა) სწორედ საზარელი რამ იყო! (დ. კლდ.). 9. (პატივოსანი) ხელთბით ირჩენდა თავს. (ქვრივი) (ი. ჭ.). 10. ციხის გვერდზე მიდიოდა ვიღაც (შავოსანი) (ს. მ.). 11. აქ არც ხევისბრის ხმა ისმის, არსად (ფშავური) ღრეობა (ვ. ფ.). 12 (უთავურები) ვართ, ჩვმო ვანო, (უთავურები!) — თქვა გიგომ (ნ. ლომ.).

ხავარჯიშო 308. აწარმოეთ სიტყვები.

1. მე — ე და სა — ე აფიქსების დართვით: ა) მე — ე: ტყე, რძე, ეზო... ბ) სა — ე: რძე, ეზო...

2. სი — ე აფიქსების დართვით: კოხტა, ბრმა, სუფთა, ფართო, ვიწრო, ახლო, მარტო, ცოტა...

ნიმუში: 1. ტყე — მეტყევე

2. . . .

ც ნ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს. ვ-ს ჩართვა ხდება:

1. მე — ე და სა — ე აფიქსების დართვისას, როდესაც ძირეული სიტყვის ბოლოს არის ე ან ო ხმოვანი: ტყე —მეტყე-ვ-ე, რძე — მერძე-ვ-ე, ეზო — საეზო-ე-ე, მეეზო-ე-ე...

2. სი — ე პრეფიქს-სუფიქსის დართვისას, როცა ძირეული სიტყვის ბოლოს არის ა ან ო ხმოვანი: კოხტა — სიკოხტა-ვ-ე, ბრმა — სიბრმა-ვ-ე, მარტო — სიმარტო-ვ-ე...

შენიშვნა. ვ არ ჩაერთვის სი — ე პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოებ უ ბოლოხმოვნიანი ძირეული სიტყვებისაგან წარმოქმნილ სახელებში: ყრუ — სიყრუე, ცრუ — სიცრუე... „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, შერმე სულსა“ (რუსთ.).

ხავარჯიშო 309. გადაიწერეთ, წერტილების ნაცვლად ჩაამატეთ გამოტოვებული ასოები.

1. მეეზო...ე ქუჩას გვის (გ. ტ.). 2. დიასახლისმა რომ მოსული ძროხა დაინახა, მოარბენინა სარძე...ე (ი. გ.). 3. სიბრმა...ე, რომელიც უწლის ხელს ფერადების დანახვას (გ. ტ.). 4. ჩვენ ვინღა გვკითხავს დროს და არჩევანს, საფლავის სიღრმეს და სიფართო...ეს (გ. ა.). 5. მიწის სივიწრო...ე დასავლეთ საქართველოში უფრო დიდია, ვიდრე აღმოსავლეთში (ი. გ.). 6. ღობესთან, ერთი ხის სიახლო...ეს, მოჩანდა ძველი ჩალური (ი. ჭ.). 7. — მარტო სიცოტა...ე ლიტერატურისა ჯერ კიდევ მიზეზი არ არის, რომ კრიტიკა თავს არ იჩენსო (ი. ჭ.). 8. სიკოხტა...ე ადამიანის გარეგნული სამკაულია.

რთული სიტყვების (კომპოზიტების) მართლწერა

1. ერთცნებიანი (ერთმნიშვნელობიანი) კომპოზიტები

სავარჯიშო 310. გადაიწერეთ, გახსენით ფრჩხილები.

1. (ბაჯ)ბაჯი, (ბუტ)ბუტი, (თავ)თავი, (კაშ)კაში, (კაწ)კაწი, (კაჭ)-კაჭი, (ლაქ)ლაქი, (ლუღ)ლუღი, (ნარ)ნარი, (ლაპ)ლაპი, (რაკ)რაკი, (ჩაქ)ჩაქი, (ჩახ)ჩახი, (ჩუხ)ჩუხი, (ჩიფ)ჩიფი, (ციმ)ციმი, (ძაგ)ძაგი, (წაშ)წაში, (ჭახ)ჭახი, (ჭიკ)ჭიკი, (ჯაგ)ჯაგი...

II. (ბალახ)ბულახი, (ნაყარ)ნუყარი, (ბაქი)ბუქი, (ბრახა)ბრუხი, (ლაწა)ლუწი, (რამე)რუმე, (დაგა)დუგი, (კანტი)კუნტი, (რაკა)რუკი, (ლაპა)ლუპი, (ჩამი)ჩუმი, (ჩხარა)ჩხური, (ხათქა)ხუთქი, (აბდა)უბდა, (ხევ)ხუევი, (ერთ)ურთი, (ჭია)ჭუა, (გორ)გური, (რიქ)რაქი, (ქოხ)მახი, (გიქ)მაქი, (კუშ)მაში, (არე)მარე, (ახლო)მახლო, (უსწორ)მასწორო, (უზარ)მაზარი, (ავან)ჩავანი...

ცნობისათვის. 1. ერთად, უდეფისოდ უნდა დაიწეროს ერთმნიშვნელობიანი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები: ა) კომპოზიტები, რომელთა ნაწილების (შემადგენელი ფუძეების) მნიშვნელობა გასაგებია და მათ ახალი, სრულად განსხვაებული მნიშვნელობა აქვთ (წამწამი, თავთავი...). ბ) ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები, რომელთა ნაწილები მნიშვნელობას მოკლებული მარცვლებია (ბაჯ, კაჭ, ჩიფ, ძაგ...).

2. უდეფისოდ, ერთად იწერება ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები, როცა ფუძეში ხმოვნის ან თანხმოვნის შენაცვლება, ან თანხმოვნის დამატება ხდება (ჩხარაჩური, ქოხმახი, არემარე, ავანჩავანი...).

სავარჯიშო 311. გადაიწერეთ, გახსენით ფრჩხილები.

1. ბაყაყებმაც. ტოტების მბრის (ლაპ)ლაპზე სანიაოზე გამოსულებმა (ჩქლაფა)ჩქლუფი გაიღეს (ვ. ფ.). 2. ოფლი (წურ)წურით ჩამოსდიოდა (ნ. კ.). 3. სამგზავრო (ფუს)ფუსს ბოლო არ უჩანს (რ. მ.). 4. (ახლო)მახლო მოსახლეებიც გამოსულიყო (ნ. კ.). 5. სიცოცხლით სავსე იყო ეს (არე)მარე (ვ. ფ.). 6. დანარჩენ ლამაზებს, (ნაყარ)ნუყარსა და სხვას აღარ ვანგარიშობ (მ. ჯ.). 7. მე მგონია, დამეთანხმებით, რომ (კუშ)მაშვიით გემრიელი საშმელი იშვიათია (ს. კ.). 8. აბა რა ნახა აქ საცქერალი?!... ეს (უსწორ)მასწოროდ გაზრდილი ხეები ან ხბოები და წიწილებიანი კრუხი?! (ს. კ.). 9. მწყემსს გულმა (ბაგა)-ბუგი დაუწყო. უაზროდ (სხაპა)სხუპით (ჩიფ)ჩიფებდა (ლ. გ.). 10. თქვენსავით ხომ ბინას არ ვიცვლი, არ დავეთრევი (წარა)მარა (ვ. ფ.). 11. გამიგონე, მელიავ, აქ დარჩი, (ბალახ)ბულახი ბევრია (თ. რ.). 12. ზაქიით (ოკრო)ბოკროდ მოუვიდა ნახტომი (ლ. გ.). 13. ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, (ჩამა)ჩუმი მოესმათ (ვ. ფ.). 14. თაფარავანი

(უზარ)მაზარი ლამაზი ტბა! (გ. ტ.). 15. ქეთოს (წამ)წამები აუკანკალდა (მ. ჯ.). 16. საგუბრიდან საკვირველი ხმები ისმოდა: (ჩუხ)ჩუხი, ჩქერა, შრიალ-ხრიალი, დევთა (ბუყ)ბუყი (ვ. ბ.). 17. წუხელ სათივეზე შუაღამისას გამომელვიძა და ქვევიდან (სლაპა)სლუპი და (ხრამა)ხრუში შემომესმა (ი. გ.). 18. წისქვილის ქვებიც დატოკდნენ, სარეკელაც მოჰყვა (რაკ)რაკს (ვ. ფ.). 19. (მალი)მალ შლიდა რუკას (ნ. კ.). 20. (ფაცა)ფუცით ვისაუზმეთ (ნ. კ.).

სავარჯიშო 312. დაურთეთ ა სუფიქსი კომპოზიტების ფუძეებს.

ბაჯბაჯი, ბუტბუტი, კაწკაში, ლაქლაქი, ლუღლუღი, ნარნარი, რაკრაკი, ჩაქჩაქი, ჩიფჩიფი, ჩუხჩუხი, ციმციმი, ჭახჭახი, ჭიკჭიკი...

ნიმუში: 1. ბაჯბაჯ-ი — ბაჯბაჯ-ა
2. . . .

ცნობისათვის. ა სუფიქსდართული ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები ახალი შინაარსის მქონე სიტყვაა ძირეულისაგან განსხვავებით. ისინი უდეფისოდ, ერთად იწერება (ბაჯბაჯა, ნარნარა, კაწკაშა...).

სავარჯიშო 313. გადაიწერეთ, გახსენით ფრჩხილები.

სხვა(და)სხვა, პირ(და)პირ, ფეხ(და)ფეხ, კვალ(და)კვალ, ხან(და)ხან, წინ(და)წინ, კარ(და)კარ, გზა(და)გზა, გულ(და)გულ, დრო(და)დრო, თან(და)თან, თვალ(და)თვალ, ხელ(და)ხელ, ცხენ(და)ცხენ...

ცნობისათვის. ერთად, უდეფისოდ იწერება და კავშირით შეერთებული ღუძეგაორკეცებული რთული სიტყვები (კომპოზიტები): ხვადაბხვა, პირდაპირ...

სავარჯიშო 314. გადაიწერეთ. გახსენით ფრჩხილები.

1. სინათლემ თან(და)თან იმატა (ვ. ფ.). 2. სიარულის დროს ხან(და)ხან თავის თავს წაელაპარაკებოდა (რ. მ.). 3. [მოხუცს] ხელები უკანკალებდა და წამ(და)უწუმ ხრინწიანად ახველებდა (რ. მ.). 4. გოგია მეფეს სულ ფეხ(და)ფეხ დასდევდა (დ. კასრ.). 5. ვიყავი სვანის ოჯახში, თვალ(და)თვალ და გულ(და)გულ ვესაუბრე სვანებს (ნ. კ.). 6. ლიდუსის მდგომარეობა პირ(და)პირ ტრაგიკული იყო (ნ. კ.). 7. ხიმ[ი]აშვილს მოჰყავდა სხვა(და)სხვა წიგნებიდან უთავბოლოდ ამოგლეჯილი (...) ციტატა (ა. ქ.). 8. პენსიის ფულს ყოველთვის წინ(და)წინ ვიღებდი (გ. ტ.).

სავარჯიშო 315. გადაიწერეთ, გახსენით ფრჩხილები.

I. (ავ)დარი, (ახალ)დაბა, (ახალ)ქალაქი, (ახალ)გაცნობილი, (გონება)მახვილი, (გლეხ)კაცი, (გულ)ამოსკვნილი, (დედა)აზრი, (დიდ)-

ვაჭარი, (ერთ)გული, (ვაქ)კაცი, (ვაჟი)შვილი, (ვალ)მოხდილი, (თავ)შესაფარი, (თვალ)ჭრელი, (თავ)მდაბალი, (თავ)ღია, (იარაღ)ასხმული, (კინო)ფილმი, (კან)დამწვარი, (ლოყა)წითელი, (ლუკმა)პური, (მკერდ)ოფლიანი, (მსხვილ)ფეხა, (ორ)ღობე, (სამ)თითი, (ორ)პირი, (რადიო)გადაცემა, (რადიო)ტალღა, (სამ)პირიანი, (ქალი)შვილი, (ვაჟი)შვილი, (ვაჟ)ბატონი, (ქალ)ბატონი, (ქვა)ფენილი, (ქვა)ყრილი, (ძვირ)ფასი, (წვრილ)ფეხა, (წყალ)სადენი, (წყალ)წაღებული, (ჭია)ყელა, (ჭკუა)მახვილი, (ხახა)გამშრალი, (ხელ)აღებული, (ჯვარ)ცმული, (ჯან)მრთელი.

II. (ბედის)წერა, (ბარის)ახო, (გუთნის)დედა, (გულის)ხმიერი, (გულის)ტკივილი, (გულის)ყური, (დის)წული, (დის)შვილი, (ენკენის)თვე, (ვარდობის)თვე, (თავის)უფალი, (კავთის)ხევი, (კარის)კაცი, (ლამის)ყანა, (ლალის)ფერი, (უფლის)ციხე, (ქინძის)თავი, (ღონის)ძიება, (ყავის)ფერი, (ცის)კარი, (ცის)ფერი, (ძმის)წული, (ჭირის)უფალი, (ხელის)გული, (ხორცის)ფერი, (ჯარის)კაცი...

III. (დედი)ნაცვალი, (მამი)ნაცვალი, (მამი)და, (მამული)შვილი, (ოჯახი)შვილი, (რკინი)გზა, (ტანი)სამოსი, (შვილი)შვილი, (ცი)სარტყელა..., (ცხვირ)სახოცი, (ხელ)სახოცი, (ხელ)საქმე...

ცნობისათვის. სხვადასხვა ტიპის ფუძეების შეერთების შედეგად მიღებული რთული სიტყვების (კომპოზიტების) შემადგენელ ფუძეებს შორის და კავშირის ჩასმა არ შეიძლება, თუ მათ ახალი, სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ: **უ დ ე ფ ი ს ო დ ი წ ე რ ე ბ ა:**

1. არსებითი სახელის ფუძესთან არსებითი სახელის, მიმღეობის, ზედსართავი სახელის ან რიცხვითი სახელის ფუძის შეერთებით მიღებული კომპოზიტები (**გლეხკაცი, ვალმოხდილი, ლოყაწითელი, ორღობე...**).

2. **უ დ ე ფ ი ს ო დ ი წ ე რ ე ბ ა** ის რთული სიტყვები (კომპოზიტები), რომელთა პირველი ნაწილი წარმოდგენილია ნათესაობითი ბრუნვის ფორმით (**ბედისწერა, ციხკარი, ჯარისკაცი...**).

3. ასევე **უ დ ე ფ ი ს ო დ ი წ ე რ ე ბ ა** ნათესაობითი ბრუნვის ფორმისაგან წარმოებული რთული სიტყვები (კომპოზიტები), რომელთა პირველ ნაწილს ან დაკვეცება ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული ხ, ან სრულიად ეკარგება ბრუნვის ნიშანი ის (**დედი(ს)ნაცვალი, ნათლი(ს)დედა, ხელ(ის)სახოცი...**

შენიშვნა. ერთმნიშვნელობანიანი და **უ დ ე ფ ი ს ო დ ი წ ე რ ე ბ ა** ავრეთვე მრავალწევრიანი კომპოზიტები, როგორიცაა: **თავგზააბნეული, თავპირჩამტვრეული, თავქუდმოგლეჯილი, წუერულვაშგათრიეული...**

სავარჯიშო 310. გადაიწერეთ, გახსენით ფრჩხილები.

1. დაწრობის პირზე მიმდგარმა ნაკადულმა (ავ)დარში არც თუ უბრალოდ გადიდება იცოდა (ს. კ.). 2. სტუმრის (ტან)საცმელს შემოჰყვა სოფლის სურნელება (ს. კ.). 3. ხელში (თითის)ტარი უჭირავთ და მატყლს რთავენ (ნ. კ.). 4. ისიც (ვაჟ)კაცი იყო (ნ. კ.).

5. მმართველი... (გულ)ჩათხრობილი და (გულ)ცივი კაცი იყო (ა. ქ.). 6. ქორელმა (ნავთ)ქურაში წყალი ჩაასხა (ა. ქ.). 7. დანარჩენი ფულ- მაგრა გამოჰკრა (ხელ)სახოცის ყურში (ი. ე.). 8. (ქარ)ბუქი ახშობს ხმას (ლ. გ.). 9. (სვავი) გაგულადდა, თან ამაყი, (გულ)ზვიადი გახდა (თ. რ.). 10. (დედა)კაცი ქარიშხალმა გააღვიძა (ს. კ.). 11. მას ეცვა (ძვირ)ფასი, (ყავის)ფერი კოსტუმი, (ყავის)ფერივე (ყელ)სახვევით, პიჯაკის გარე (გულ)ჯიბეში მინდვრის ყვავილის მსგავსი წინწკლებიანი აბრეშუმის (ცხვირ)სახოცი ჩაედო (ს. კ.). 12. მოუვლელ (ხე)ხილს ჭია გასჩენოდა (ა. ქ.). 13. აგერა (ორ)პირში ვცხოვრობთ (რ. მ.). 14. მოხუცი ჯორკოზე (ფეხ)მორთხმით იჯდა (რ. მ.). 15. ერთ მხარეს გამოჩნდა (ახლად)აშენებული აგურის ოდა (ს. კ.). 16. მის თვალწინ (შურის)ძიებით სავსე (ქალ)ღმერთი დალი აღმართა (ნ. კ.). 17. ახმახმა და (დიდ)ყურა დირექტორმა... შალვა თავის კაბინეტში დაბარა (ა. ქ.). 18. (ავად)მყოფი ცდილობს ექთანის ბრძანება (ანგარიშ)მიუცემლად შეასრულოს (ა. ქ.). 19. იგი... ერთ დიდ მაგიდასთან იჯდა, მეორესთან — წვერ(ულვაშ)გაპარსული ესტონელი (ა. ქ.). 20. არწივმა უყელა და თავ(გზა)არეული წეროები წინ გაირეკა (თ. რ.).

ხავარჯიშო 317. გადაწერეთ, გახსენით ფრჩხილები.

(სულთა)მხუთავი, (გულთა)მხილავი, (მკათა)თვე, (მზეთა)მზე, (მზეთ)უნახავი, (ხუროთ)მოძღვარი, (მიწათ)მოქმედი, (მიწათ)მოქმედება, (წიგნ)საცავი, (ნავ)სადგური...

ცნობისათვის. ერთად, უდეფისოდ იწერება კომპოზიტები, რომელთა პირველი ნაწილი მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი:

ა) ემფატიკური ა-ს შემონახვით: სულთ(ა)მხუთავი, მზეთ(ა)მზე, მკათ(ა)თვე...

ბ) ემფატიკური ა-ს გარეშე: მზეთ(ა)უნახავი, ხუროთ(ა)მოძღვარი...

გ) მრავლობითი რიცხვის ფორმანტი სრულიად დაკარგულია: წიგნ(თ:)საცავი, ნავ(თა)სადგური...

შენიშვნა. ერთმნიშვნელობიანი კომპოზიტების პირველი შემადგენელი ნაწილი რომ სხვა ბრუნებაში იყოს, ამის მაგალითები ქართულში იშვიათია. მაგ.: მოთხრობითშია: ერთმანეთი (ერთმანერთი), მიცემითში: თავ(ს)გადასავალი, თავ(ს)ზარი..., მოქმედებითში: ქვითკირი (ქვიტკირი), კირითხუროო..., ვითარებითში: ავადმყოფი, ყურადღება, ძმადნაფიცი.

ხავარჯიშო 318. გადაიწერეთ, გახსენით ფრჩხილები.

(ზე)გავლენა, (ზე)კაცი, (ზედ)ნადები, (ზედ)ნაშენი, (ზედ)სართავი, (ზედა)დგარი, (ზედა)მხედველი, (თანა)მსახური, (თანა)მშრომელი, (თან)დებული, (შინა)ყმა, (წინა)მორბედი, (წინ)დაუხედავი, (წინ)დებული, (წინ)წასული...

ცნობისათვის. ერთმნიშვნელობიან კომპოზიტებს ქმნიან ისეთი სახეობები, რომლებშიც პირველ წევრად ზმნისართი ან თანდებულია წარმოდგენილი (ზეგ-ელენა. ზედამხედველი, შინაყმა, წინდაუხედავი). ისინი ერთად იწერება.

სავარჯიშო 318. გადაიწერეთ, გახსენით ფრჩხილები.

(დედა)ჩემი, (მამა)ჩემი, (პაპა)ჩემი, (ბებია)ჩემი, (მამიდა)ჩემი, (ბიძა)შენი, (ბიძა)თქვენი, (მამიდა)თქვენი, (მამიდა)მისი, (მამიდა)-მაინც...

ცნობისათვის. ერთად. უდეფისოდ იწერება კომპოზიტები, რომლებშიც მსაზღვრელი (ცუთვნილებითი ნაცვალსახელი) მეორე ადგილასაა დასმული და ერთად აღებული წარმოადგენენ ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინებს (ღედ-ჩემი, მამიდა-თქვენი...).

სავარჯიშო 320. გადაიწერეთ, გახსენით ფრჩხილები.

1. ეახტანგს თავისი მეზობელი (ასოთ)ამწყობი ამბაკო კუპატა ეგონა (ა. ქ.). 2. გრძელწვერა (მღვდელთ)მთავარმა ხელში აიყვანა მტირალი და ემბაზში ჩასვა (ლ. გ.). 3. (თავ)მჯდომარეს ბურთივით მრგვალი, ნაყვავილარი სახე ჰქონდა (რ. მ.). 4. ცხენ(და)ცხენ არავის დავდევნებივარ შენნაირ (მზეთ)უნახავს (დ. კასრ.). 5. (ავად)მყოფი ცდილობს ექთანის ბრძანება (ანგარიშ)მიუცემლად შეასრულოს (ა. ქ.). 6. (გარე)ქართლიც ამოჰყოლია საჩხერის გადასასვლელს (რ. მ.). 7. გრიგოლმა (შინა)მრეწველობის კომიტეტში დაიწყო სამსახური (მ. ჯ.). 8. კლდის (ზედა)პირი კლდიანი და ღორღიანია (ნ. კ.). 9. მის ხმაში ოთარს მოესმა (თანა)გრძნობა (ს. კ.). 10. (შუა)დღემ მოაღწია (ნ. კ.). 11. გულგრილად მოუსმინა და (თანა)მგზავრებისაგან გამობრუნდა (ს. კ.). 12. ჩვენც უნებურად წარმოგვიდგება ის, როგორც სანიში (წინათ)გრძნობა და შეძრწუნება ძველი სამყაროსი (ს. კ.). 13. დამშვიდდი, (ბიძა)ჩემო, ავშაროვი შენი სტუმარია (მ. ჯ.). 14. მე და უბედურმა (დედა)ჩემმა ხელზე ვზარდეთ ოც წელიწადს (მ. ჯ.). 15. (ბაბუა)შენი იტყოდა, ერთ წყალში ტანს ორჯერ ვერ დაიბანო (რ. მ.). 16. ეზეკიას ხელი ჩამოართვა და (მამა)მისის გვერდით მოკალათდა (რ. მ.).

2. ორცნებიანი (ორმნიშვნელოვანი) კომპოზიტები

სავარჯიშო 321. გადაიწერეთ, გახსენით ფრჩხილები.

1. (ძალ)ღონე, (ტოლ)ამხანაგი, (ბედ)იღბალი, (ღარიბ)ღატაკი, (შიშველ)ტიტველი, (უფროს)უმცროსი, (ქალ)ვაჟი, (ტყე)ველი, (მთა)-ბარი, (მტერ)მოყვარე, (დღე)ღამე, (ოქრო)ვერცხლი, (პარ)საკვეთი,

(სახნის)საკეთი, (სიტყვა)პასუხი, (რძალ)მული, (თვალ)წარბი, (ფარ)-ხმალი, (წერა)კითხვა, (მშვილდ)ისარი, (ქართლ)კახეთი, (მესხეთ)ჯავახეთი, (ტაო)კლარჯეთი...

2. (ერთ)ერთ-ი, (ორ)ორ-ი, (სამ)სამ-ი, (ექვს)ექვს-ი, (ათ)ათ-ი, (ას)ას-ი, (ხუთას)ხუთას-ი, (ათას)ათას-ი...

3. (ახალ)ახალ-ი, (გრძელ)გრძელ-ი, (მსხვილ)მსხვილ-ი, (სველ)-სველ-ი, (ფერად)ფერად-ი, (ჩქარ)ჩქარ-ი, (წითელ)წითელ-ი, (ხმელ)-ხმელ-ი, (ცხელ)ცხელ-ი, (ცივ)ცივ-ი, (პატარ)-პატარა, (დიდ)დიდ-ი, (შავ)შავ-ი, (წრელ)წრელ-ი, (ლამაზ)ლამაზ-ი, (მაღალ)მაღალ-ი, (დაბალ)დაბალ-ი, (თხელ)თხელ-ი, (სქელ)სქელ-ი...

4. (უბან)უბან, (ქუჩა)ქუჩა, (ნაპირ)ნაპირ, (ტყე)ტყე, (აღმართ)-აღმართ. (ადგილ)ადგილ, (ალაგ)ალაგ, (ეზო)ეზო, (მაღლა)მაღლა, (მთა)მთა, (ბილიკ)ბილიკ, (შუკა)შუკა, (სოფელ)სოფელ, (გზა)გზა...

5. (აივლ)ჩაივლის, (აირბინ)ჩამოირბინა, (მივიდ)მოვიდა, (გაიქც)-გამოიქცა. (გაძვრა)გამოძვრა, (აატარ)ჩამოატარა, (გააქან)გამოაქანა...; (გააცივ)გააცხელა, (გაათეთრ)გააშავა...

ცნობისათვის. დეფისით უნდა დაიწეროს ორმნიშვნელობიანი რთული სიტყვები (კომპოზიტები):

1. რთული სიტყვები (კომპოზიტები), რომლებიც მიღებულია მნიშვნელობის მხრივ ერთმანეთთან დაკავშირებული ფუძეების გაერთიანებით (დედ-მამა, ძალღონე, ტოლ-ამხანაგი, ბედ-იღბალი...).

2. რიცხვითი სახელების ფუძის გაორკეცებით მიღებული კომპოზიტები (ერთ-ერთი, ორ-ორი, ათ-ათი...).

3. ფუძეგაორკეცებული ზედსართავები (ცხელ-ცხელი, ცივ-ცივი, პატარ-პატარა...).

4. სახელის ფუძის გაორკეცების შედეგად მიღებული ბრუნვის ნიშნის უქონელი ზმნიზედები. ტყე-ტყე, მინდორ-მინდორ, უბან-უბან...

5. ერთი და იმავე ფუძის მქონე, მაგრამ ზმნისწინებით განსხვავებული რთული ზმნები (აივლ-ჩაივლის, გაძვრა-გამოძვრა...); ან სხვადასხვა ფუძის მქონე ერთად გაერთიანებული ზმნები (გააცივ-გააცხელა, გაათეთრ-გააშავა...).

სავარჯიშო 222. გადაიწერეთ, გაბსენით ფრჩხილები.

1. (დედა)შვილი ერთად დარჩნენ (ვ. ფ.). 2. დაეურიგეთ მწყემსებს (ყურნალ)გაზეთები და წიგნები (გ. ტ.). 3. აქ (სახნავ)სათესი სახლის გარშემოა (ნ. კ.). 4. მან გვერდი აუქცია 1904 წელში მომხდარ (რუსეთ)იაპონიის ომს (ა. ქ.). 5. დირექტორის წინ ნოხია გაშლილი და გოგი (ახსნა)განმარტებას აძლევს (დ. კ.). 6. (დედალ)მამალი როჭოც საშინელი კრიახით გადმოფრინდა (ლ. გ.), 7. ორთონმა კვლავ (ხელ)ფეხი დაუკოცნა დედოფალს (დ. კასრ.). 8. ამ ორ საათში (ოც)ოც მანეთს მიიღებს თითო მუშა (რ. მ.). 9. იგი ინსპექციის (ერთ)-ერთ განყოფილებაში დასვეს (ა. ქ.). 10. (პატარ)პატარა რაზმებს ოს-

ტატურად ანაწილებდა (დ. კასრ.). 11. მათ იციან ხალხის (აე)კარგი (ნ. კ.). 12. მაშ (ბევრ)ბევრი ხუთი წლისა ყოფილა ეს ვეშაპისოდენა ხარი (ლ. გ.). 13. ჯარში დისციპლინა, (უმცროს)უფროსობა უნდა სუფევდეს (ა. ქ.). 14. (მაღლა)მაღლა ვიწევდით და ისე შევფრინავდით (ვ. ფ.). 15. ოფიცრები (ჯგუფ)ჯგუფად იდგნენ დარბაზში (ა. ქ.). 16. დანამდვილებით არავინ იცოდა, ვინ იყო და რამდენი იყო (დაჭრილ)დახოცილი (მ. ჯ.). 17. ამოიღე შიგ რაც ქაღალდებია და დახიე (ნაკუწ)ნაკუწ (შ. დ.). 18. ყაჩაღები (ტყე)ტყე მიდიოდნენ (ა. ქ.). 19. კამეჩებმა ნაპირის ბექობს (წყალ)წყალ ამოუარეს (ლ. გ.). 20. ისინი (ქუჩა)ქუჩა დარბოდნენ (დ. კასრ.). 21. თუშ(ფშავ)ხევსურნი ასხდნენ ცხენებზე (დ. კასრ.). 22. გზატკეცილის (გალმა)გამოღმა ჩამწკრივებული მანქანები ზესტაფონის გადასახვევს უწევს (რ. მ.). 23. ნივთები (გაუფერთს)გაუპრიალებიათ და გასაყიდად გამოუტანიათ (რ. მ.). 24. გრძელკუდა თაგვი ზოოპარკში შეკუნკულდა, (გაძერა)გამოძერა, (მიყნოს)მოყნოსა ყველგან (ს. კ.). 25. დადიოდნენ (სოფელ)სოფელ და მამაკაცთ ეძებდნენო (ა. ქ.). 26. ვიარეთ (ხევ)ხევ, ველდაველ, (მთა)მთა (კ. გ.). 27. მაშინ (წერა)კითხვა არც ერთმა არ იცოდა (შ. დ.).

სავარჯიშო 823. გადაიწერეთ, გახსენით ფრჩხილები.

(მუზეუმ)ნაკრძალი, (წევრ)კორესპონდენტი, (პოეტ)აკადემიკოსი, (აკადემიკოს)მდივანი, (სახლ)მუზეუმი, (პოეტ)რევოლუციონერი, (ექიმ)კონსულტანტი, (ქოხ)სამკითხველო...

ცნობისათვის. შერწყმული დანართის პირველი წევრი უნდა გადმოიცეს ფუძის სახით და დაიწეროს საზღვრულთან ერთად დეფისით: წევრ-კორესპონდენტი, მუზეუმ-ნაკრძალი, ტელეფონ-ავტომატი, სახლ-მუზეუმი, ვაგონ-რესტორანი...;

მაგ.: 1. აკადემიის სასხდომო აუდიტორია თანდათან იავსება მხცოვანი აკადემიკოსებით, აკადემიის წევრ-კორესპონდენტებით (გ. ტ.).

8. ᲐᲤᲘᲥᲡᲔᲑᲘᲗ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲔᲑᲘ

სავარჯიშო 824. გადაიწერეთ, აფიქსების — ობა, იან, ურ, სა — ო, სა — ე, უ — ო, მო — ე დართვით შესაძლო შემთხვევაში აწარმოეთ ორცნებიანი კომპოზიტები.

ბატონ-ყმა, და-ძმა, დედ-მამა, დედა-შვილი, კვლევა-ძიება, მხარბეჭი, მთა-ბარი, სახლ-კარი, ტოლ-ამხანაგი, ქალ-ვაჟი, ჩოხა-ახალუხი, წვერ-ულვაში, ცხვირ-პირი...

ნიმუშნი: 1. ქალ-ვაჟი — ქალვაჟიანი, 2....

ცნობისათვის. ერთად, უდეფისოდ იწერება დეფისიანი კომპოზიტებისაგან სხვადასხვა აფიქსების (აბსტრაქტული, ქონების, უქონლობის, დანიშნულების, სელობის) მაწარმოებელი აფიქსების დართვით მიღებული ახალი მნიშვნელობის მქონე კომპოზიტები: და-ძმა, მაგრამ ძაძმური, ძაძმობა, ძაძმიანი; სახლ-კარი, მაგრამ უსახლკარო, სახლკარიანი; ცოლ-შვილი, მაგრამ ცოლშვილიანი, უცოლშვილო, ხაცოლშვილო...; მაგ.: (გულქანს) ორი შვილი ...უ ც ო ლ შ ვ ი ლ ო დ დარჩენოდა (ა. ჭ.).

სავარჯიშო 325. გადაიწერეთ, გახსენით ფრჩხილები: დაწერეთ ერთად ან დეფისით.

1. ამ (მუხლ)მოყრილი მოხუცების წინაპრებმა (ხვნა)თესვასა და (ბაღ)ბოსტნების გაშენებას მიჰყვეს ხელი (ა. ჭ.). 2. ჯაბამ (ფუს)ფუსით ჩაიცვა მეგობრის მიერ ნათხოვარი ჩექმები (ა. ბ.). 3. (ტოლ)ამხანაგების შეძახილმა ფრთები შეასხა ზაზას (ლ. გ.). 4. მიხაკო (უცოლ)შვილო, მარტოხელა კაცია (ა. ჭ.). 5. ეს ღვინის მსმელი და (პურ)მარილიანი კაცი თუ აღმოჩნდა, ავშენდებიო (ა. ჭ.). 6. ჭოფაკები (ორ)ღობეში მომავალ ორად მოხრილ (დედა)ბერსაც უყეფდნენ (ს. კ.). 7. ერთი სიტყვით, ქვეყნის (ბატონ)პატრონი აქ (გულ)უხვი მასპინძელი და გახარებული (ნათლი)მამა იყო და არა მკაცრი, ეჭვიანი მეფე (ლ. გ.). 8. აქ უფრო მეტია გრანიტის ქანები, (დედა)მიწის გულიდან მზის სინათლეზე ამოწეული (ნ. კ.). 9. იგი ქართველ-თა ადათს, (ზნე)ჩვეულებას, ჩემს ქეიფსა და (დროს)ტარებას ვერ ურიგდებოდა (ა. ჭ.). 10 (ცრემლ)მორეული სიხარულითა და (ზეიმ)ზახილით შეეგება ხალხი გამარჯვებულთა გამოჩენას. (დაფ)-საკრავებითა და ვაშას ძახილით ხვდებოდნენ, გალობითა და (ლოცვა)-კურთხევით უქმევდნენ გუნდრუკს (ლ. გ.). 11. (მითქმა)მოთქმა და სიამის განსხვა გახშირდა ხალხსა და ლაშქარში (ლ. გ.). 12. (ნელ)-ნელა წითელი ეფინებოდა შორეულ მწვერვალებს (ნ. კ.). 13. წიგნი უნდა ხელახლა დაიბეჭდოს... არა (რვა)რვა ტაეპად, არამედ (ორ)ორ სტრიქონიან ტაეპად (გ. ტ.). 14. ნაკადული მოწყვეტით ეშვება (მუქ)-მწვანე ნაპრალში (ნ. კ.). 15. ქალას ცარიელი (ნახევარ)სფეროები (აქეთ)იქით ეკიდა (ა. ჭ.). 16. დირექტორი (მამა)შვილს (გულ)თბილად გადაეხვია (დ. კ.). 17. ვიწრო და სახიფათო ბილიკი მიდის მდინარის (ნაპირ)ნაპირ (ნ. კ.). 18. ზაზას დიდი (აზომ)დაზომვა აღარ დაუწყია (ლ. გ.). 19. ქალების წითელი (თავ)საფრები ქალაქში წითელი ყაყაჩოებივით ელავდნენ (ა. ჭ.). 20. მე ეს (გალმა)გამოღმა მხარე მიჭირავს (ვ. ფ.). 21. (წინა)დღით, საღამოს ექვს საათზე კი, იგი შემხვდაო, -- ამბობდა პატარიძე (გ. ტ.). 22. უფრო საშიშარი (ქვა)-ფენილის ორმოები იყო (გ. ტ.). 23. ჯერ რაღაც გასაოცარი (ფაჩი)-ფუჩი შემოესმა, შემდეგ (ჩურ)ჩულის მსგავსი ხმა (გ. ტ.). 24. კუზიანი (უგზო)უკვლოდ დაეხეტება (გ. ტ.). 25. ახლახან გახსნილ რე-

სტორანთან ვიღაც (წვერ)ულვაშიანი (დევ)კაცი ბარბაცით ამოვიდა (ა. ქ.). 26. ხორბლის (თავ)თავს სიმძიმისაგან თავი დაუხრია. 27. ამნაირმა (წინ)დახედულებამ ძალიან შემაყვარა წიგნის კითხვა. ა. წ.) 28. აქედან არეულად ჩანდა (ცხენ)კაცი, (აქლემ)ურემი (ლ. გ.). 29. (ხელ)მოკლედ ვცხოვრობდით (დ. კ.). 30. იცი, მელიავ, რა გითხრა? მე ქათმის ხორცი მომინდა, კარგა ხანია წიწილის ხორცი არ მიჭამია, იცი, სოფლად რომ ჩავითარეშოთ ხოლმე, იქ ძალიან ბევრს (მსუქან)მსუქან ყვერულებს და დედლებს ვიშოვით. შიში არაფრისაა, ერთი გავბედოთ, ის გვინდა, სხვა არაფერი... სოფლად (ქათამ)ინდაური სულ ოხრად არის, საქათმის კარები ღიაა, (კრუხ)წიწილები კარებზე სხედან, პატრონი არავინ არის, ძაღლები (ცხვარ)ძროხასთან ჰყავთ მგლისათვის. ჩვენ (ძსხვილ)ფეხი რად გვინდა, (წვრილ)ფეხობაც გვეყოფა, თუკი კარგად მოვიქცევით (თ. რ.).

4. შემოკლებული სახელები

სავარჯიშო 220. ვადიქრეთ, გახსენით ფრჩხილები; დაწერეთ სრული სახით შემოკლებული სახელები.

1. (გენ)შტაბი, (დრამ)სექცია, (ელ)მავალი, (ელ)ნათურა, (სტუდ)ქალაქი, (სპეც)მომზადება, (სპეც)მომარაგება, (ლიტ)სექცია, (ლიტ)ფონდი, (ლიტ)მუშაკი, (მეთოდ)კაბინეტი, (მეთოდ)საბჭო, (მინ)წყლები, (კოოპ)ვაჭრობა, (სპეც)ტანსაცმელი, (სპეც)სამსახური, (პედ)კოლექტივი, (პედ)საბჭო, (პედ)ინსტიტუტი, (პედ)სასწავლებელი, (პედ)პერსონალი, (კაპ)რემონტი, (ნაც)უმცირესობა, (გენ)გეგმა, (ფიზ)აღზრდა, (ფიზ)მომზადება, (ტექ)აღრიცხვა, (საქ)ჩაი, (სახ)ბანკი, (სახ)ოპერა, (საქ)ვაჭრობა, (სოც)დაზღვევა, (ტელე)ცენტრი, (ტელე)ინფორმაცია, (ფოტო)აპარატი, (მედ)პერსონალი,

ნიმუშები: 1. (გენ)შტაბი — გენერალური შტაბი.

2. ...

2. (მთავ)ლიტი, (საქ)ინფორმი, (კომ)მშენი, საბ(ლიტ)გამი, სახ(კინ)მრეწვი, (საქ)ჩაი, (უნივერ)მაღი...

ნიმუში 1. (ფინ)განი — საფინანსო განყოფილება.

2. ...

3. რიონ(ჰ)ე(ს)-ი, გუმათ(ჰ)ე(ს)-ი, ლაჯანურ(ჰ)ე(ს)-ი, ენგურ(ჰ)ე(ს)-ი, ხრამ(ჰ)ე(ს)-ი...

ნიმუში: რიონჰესი — რიონის ჰიდრო ელექტრო სადგური.

4. აბ(ჰ)ე(ს)-ი, აჭ(ჰ)ე(ს)-ი...

5. ზ(ა)ჰ(ე)ს-ი

ცნობისათვის. ქართულში არცთუ იშვიათად გავრცელებულია ორი ან მეტი შემოკლებული ფუძის შეერთებით მიღებული სახელები, ასეთი სახელები ფორმის მიხედვით სხვადასხვაგვარია:

1. კომპოზიტის პირველი ფუძე შემოკლებულია, მეორე — სრული: პედინსტიტუტი — პედ(აგოგიური) ინსტიტუტი..

2. ყველა ფუძე შემოკლებულია: სახელგამი — სახელ(მწიფო) გამ(ომცემლობა), რაიუნივერმაღი — რაი(ონული) უნივერ(სალური) მაღ(აზია)...

3. პირველი სახელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი, ხოლო სხვა მომდევნო სახელები დასაწყისი ბგერებით: რიონჰესი — რიონ(ის) ჰ(იდრო)ე(ლექტრო)ს(ადგურ)ი.

4. კომპოზიტის პირველი ფუძის ნაწილთან სხვა ფუძეთა დასაწყისი (თავკიდური) ასოებია შეერთებული: აბჰესი — აბ(აშის) ჰ(იდრო)ე(ლექტრო)ს(ადგურ)ი.

5. ყველა ფუძე წარმოდგენილია დასაწყისი ბგერებით: თსუ — თ(ბილისის) ს(ახელმწიფო) უ(ნივერსიტეტი).

შენიშვნა. ჩვეულებრივ ეს სიტყვები შემოკლებული სახით ზეპირ მეტყველებაშიც იხმარება.

სავარჯიშო 827. გადაიწერეთ, გახსენით ფრჩხილები; შეამოკლეთ სიტყვები იმაკე კონტექსტში საყოველთაოდ მიღებული წესის მიხედვით.

1. ყოველი ბიულეტენი, რომელიც (რიონის ჰიდრო-ელექტროსადგურის) სამმართველოს მოსდის, ცხრილებში აჩვენებს ამ ადამიანების თავგანწირვას (ტ. ტ.). 2. სპეციალური სამკურნალოს მესამე სართულის ფანჯარასთან ვდგავართ (გ. ტ.). 3. (სახელმწიფო კინო-მრეწველობა) პატარა წიგნიაო, მაგრამ ისეთი, რომ ალაპარაკდეს ყველაო (გ. ტ.). 4. სტუდენტები (სპეციალური კურსის) მომზადებას შეუდგნენ. 5. თბილისის (ზოოლოგიური პარკი) ახალი ნადირ-ფრინველით შეივსო. 6. (შინაგან საქმეთა სამინისტროს) სპეცჯგუფი დიდხანს მუშაობდა სამაჩაბლოში მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის. 7. თბილისის ერთ-ერთი (უნივერსალური მაღაზია) პუშკინის ქუჩაზე მდებარეობს. 8. (ზოოლოგიურ-ვეტერინალური) ინსტიტუტი ერთ-ერთი მოწინავე ინსტიტუტია საქართველოში. 9. მათი (მეთოდური სექცია) შვიდ კაცს აერთიანებს. 10. შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარებს სპეციალური (პროფესიული განათლება) აქვთ მიღებული 11. (ენგურჰესის ჰიდრო-ელექტროსადგურის) მშენებლობა დიდძალ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. 12. (ცენტრალური კავშირი) ერთ-ერთი სავაჭრო დაწესებულებაა. 13. ჩვენს (დრამატულ წრეში) ბევრმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ მოიყარა თავი. საქართველო მდიდარია (მინერალური წყლებით).

სავარჯიშო 328. გადაიწერეთ, შეამოკლეთ სიტყვები საყოველთაოდ მიღებული წესის მიხედვით.

1. აკადემიკოსი, პროფესორი, დოცენტი...

2. გრამი, დეციმეტრი, კაპიკი, კილოგრამი, კილომეტრი, კვადრატული მეტრი, მანეთი, მილიგრამი, მილიმეტრი, სანტიმეტრი, ტონა, ცენტნერი, წელი, წლები, ჰექტარი...

3. გვერდი, თხზულებანი, იხილე, ნაწილი, ტომი, შეადარე, ნახე, ნახატი...

4. ასე შემდგომ, ამა წლის, და მისთანა, და შემდგომი, და სხვა, ესე იგი, ეგრეთ წოდებული...

ნიმუში: 1. აკადემიკოსი — აკად.

ც ნ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს. შემოკლებული სახელებისაგან უნდა გაეარჩიოთ შემოკლებული დაწერა. ასეთი შემოკლებული დაწერილობა მხოლოდ სიტყვათა გარკვეულ ჯგუფს შეეხება და იგი საყოველთაოდაა მიღებული ჩვენს პრესაში, სახელმძღვანელოებში, სამეცნიერო-პოლიტიკურსა თუ სხვა ხასიათის ლიტერატურაში.

შ ე მ ო კ ლ ე ბ ი თ შ ე ი ძ ლ ე ბ ა დ ა ი წ ე რ ო ს:

1. საზღვრულის წინ მდგომი წოდების აღმნიშვნელი სიტყვები: პროფ.-პროფესორი (პროფ. ა. შანიძე, აკად. ა. შანიძე). მაგ.: პრეზიდიუმის მაგიდა ჯერ კიდევ ცარიელია, ჩემთან მოდის აკად. ა. შანიძე (გ. ტ.).

2. წონა-ზომის, საფას-საზომისა და დროის ერთეულები:
გ.-გ(რამი), დცმ-დ(ე)ც(ი)მ(ეტრი), სმ-ს(ანტი)მ(ეტრი), წ.-წ(ელი)...

3. სქოლიოსა და ტექსტში მისათითებლად გამოყენებული ზოგიერთი სიტყვა: გვ.-ვ(ერდი, თხზ.-თხზ(ულებანი...

4. ზოგი მაიგივებელი კავშირი, ზმნისართი და სხვ.: ასე შემდგ.-ასე შემდგომ, და სხვ.-და სხვა, ე. ი.-ესე იგი...

ზმნების მართლწერა

1. პირის ნიშნები

სავარჯიშო 329. გადაიწერეთ, წერტილების ნაცვლად ჩაამატეთ გამოტოვებული საჭირო თავსართები.

I. 1. მამაჩემი მას უკან ხშირად იტყოდა ხოლმე: ჩემი დაუფიქრებლობით კინაღამ ცოდვაში ჩა...ვარდიო (ა. წ.). 2. წამო...ვარდი ზეზე, დამავიწყდა ჯავრიც, მწუხარებაც (ა. წ.). 3. ამ დროს გამომისხლტა

სკამი, გადმო...ვარდი და გამსდა ბრეგვა იატაკზე (ა. წ.). 4. არ შეძიძლია და რა ვქნა, რა წყალში გადა...ვარდე, — მიუგო თაგვმა (ვ. ფ.). 5. — მერე ვეცი კარებს და გარეთ გამო...ვარდი (ნ. ლ.). 6. კიდევ ბევრი რისთვისმე ...ვარგივართ, რაც საჭიროა ქვეყნისათვის (ნ. ლ.). 7. ისინი რომ არ ყოფილიყვნენ, ვინ იცის, ეის ხელში ჩა...ვარდნილიყავ (ი. გ.). 8. სად ჩა...ვარდი აქა, რა მომდის, განა ასეთი რა შევცოდე ღმერთსა! (თ. რ.). 9. ბევრს ....ვარჯიშობდი, თავს არ ვიზოგავდი, გული მწყდებოდა პატარა ტანისა რომ ვიყავი (გაზ. „თბილისი“). 10. მე ჩემს პატარა დას თმას ...ვარცხნი. 11. ზოგიერთი ნაკლი უფრო ფესვგამდგარი აღმოჩნდა, ვიდრე ...ვარაუდობდით (გაზ. „თბილისი“). 12. მე ...ვაპრობ სხვა მოწინავე ახალგაზრდებთან ერთად ერთ-ერთ გასტრონომში. 13. ...ვაქკაცდებოდით, როგორც იტყვიან, დღეობით კი არა, საათობით.

II. 1. ძიძიშვილმა მითხრა: მოდი, ერთი ბაბუას წვერები და... უჩეჩოთო (ა. წ.). 2. ეს თამაშობა[...] დღეს რომ ...უკვირდები, ძალიან მაგონებს ჩემი ქვეყნის ბედს (ა. წ.). 3. ნუ გარბი, შენი კვნესამე! ...უთხარი მე და გამო...უწიე ყელი (ი. ჭ.). 4. გა...უგზავნით, განა მე უარს ვამბობ (...) წინდასაც აღარ მიკლია-რა, პირს გადაუქნი და ამასაც გა...უგზავნი ჩახმახოს (ი. ე.). 5. მზიან დღეს ბალახებზე ცვარ-ნამად გაბნეული ისევ ა...ორთქლდი (ა. ხ.). 6. მეგობარს ...ურეკავდი დაწესებულებაში (ს. კ.). 7. დაიმალა კურდღელი, ა...უშვით მეძებრები, მოედვნენ არე-მარეს, დასცეს კურძუალებმა კიჟინა (ა. წ.). 8. ნუთუ ვერ მიცანით, გარსევან ბატონო? ბოდი'ში მო...უხადე, ვერ გიცანი-მეთქი. „აბესალომი ვარო!“ გა...ოცდი (კ. გ.). 9. მე რომ ერთი ხეც დამაწვეს, ხომ იმასაც ვერ ა...უდგები (თ. რ.).

ცნობისათვის. 1. თუ ზმნის ფუძე ვ თანხმოვნით იწყება, პირველ სუბიექტურ პირში ორი ვ უნდა დაიწეროს(ვვარდები, ვვარჯიშობ, ვვარცხნი...).ერთი პირის ნიშანია, მეორე — ფუძისეული.

შენიშვნა. ორი ვ აქვთ ვ ბგერით დაწყებულ ზმნებს მრავლობითი რიცხვის I ობიექტური პირის ფორმაში: გაგვვარდნია, შეგვვაჭრებია, შეგვვედრებია, დაგვვარცხნია...

2. სუბიექტური პირის ნიშანი ვ ზმნაში ყოველთვის იწერება უ და ო ხმოვნების წინ: ვუწერ, ვუწევ, ვურჩიე, ვომობ, დავობლდი, გავოცდი...

სავარჯიშო 330. გადაიწერეთ, წერტილების ნაცვლად ჩაამატეთ გამოტოვებული საჭირო თავსართები.

I. 1. (ლუარსაბმა) უნდა თქვას: ნუ „და...მარხავთო“, მაგრამ იცის მკვდარია და არას ამბობს (ი. ჭ.). 2. ბიჭო, ეს რა და...მართიალ — გაკვირვებით დაიძახა მესამე დღეს ფრანგულაშვილმა (ნ. ლ.). 3. ქალის დანახვამ მხნეობა შე...მატა (კ. გ.). 4. შენ თუ არ და...მალე, ის მსუნაგი მეც ჩამყლაპავს, არ გადავურჩები (თ. რ.). 5. ის დამემართა, რაც შენ და...მართე (მ. ჯ.). 6. როცა გაათავეს, მენალიპას უბრძანა: შე...მოსე გამშვირვალე ქსოვილით, რომ ქვეშ ძვირფასი ქამარი მოჩანდესო (ტ. ტ.). 7. მე თითქმის ერთი წელი ...მკურნალობდნენ ჰოსპიტალში (ა. ქ.). 8. თვალს არ ვაშორებდი — თავადაც როდი ცდილობდა თვალთაგან და...მალვოდა (ვ. ფ.). 9. მთამ მადა მო...გვარა და ჩვენც გემრიელად შევექეცით გამხმარი მჭადის ნატეხებს (ნ. კ.). 10. ჩვენ და...გვიანებია, კინო-სურათზე ყველა ბილეთი გაყიდულია. 11. ვიფიქრე, მაგას თუ დიდუბეში დამარხავენ, მაშინ იქნებ მეც ეკლესიის ეზოში და...მარხონ-მეთქი (ნ. დ.).

II. 1. მე არ გაეუშვი და დავემუქრე: თუ იჩხუბებთ, ორივეს თავებს წა...გლეჯავთ-მეთქი (ვ. ფ.). 2. მაშინ ეს თქვენი ვაჟი იქნება, თქვენი შვილიშვილები კოჭებში ...გვანან, კარგები ჩანან (ნ. კ.). 3. მაინცდამაინც გინდა ჯოჯოხეთში გა...გზავნო? (ნ. ლ.). 4. შენ ...გავს იგი, შეხედე მის თვალებს, თხელ ტუჩებს (ნ. ლ.). 5. შეყოფ ჯილეში ხელს, იქ ბევრი ღორჯო ...გონია ერთად თავმოყრილი (ა. წ.). 6. ქეთო შენ ძლიერ ...გავს, სულ პირწმარდნილი დედაა (ი. გ.). 7. ჯერ ესეც გეყოფა, მეტეხში გა...გზავნოთ (მ. ჯ.). 8. არც ისეთი გლახაკი ვარ, თქვენ რომ ...გონიათო, — დაიძახა ბაყაყმა (ნ. ლ.). 9. როცა სახლში მიხვედე, არ დაგავიწყდეს, გააკერინე, სახელო და...გლეჯია (დ. მ.).

ცნობისათვის. 1. თუ ზმნის ფუძე **მ** თანხმოვნით იწყება, პირველი ობიექტური პირის მხოლობით ოიცხვში ორი **მ** უნდა დაიწეროს (**მმალავს, მმართებს, მმატებს...**). წინამავალი **მ** პირველი ობიექტური პირის ნიშანია. ორი **გვ** იყრის თავს პირველი ობიექტური პირის მრავლობითში, თუ ზმნის ფუძე იწყება **გვ** თანხმოვნით (**გვგვრის, მოგვგვარა, დაგვგვიანებია...**). პირველი **გვ** ობიექტური პირის ნიშანია.

2. როდესაც **გ** ბგერით დაწყებულ ფუძეს დაერთვის მეორე ობიექტური პირის ნიშანი, თავს იყრის ორი **გ** (**გგზავნის, გგლეჯს, დაგგრეხს, მოგგუდავს...**). წინამავალი **გ** მეორე ობიექტური პირის ნიშანია.

სავარჯიშო 331. გადაიწერეთ, მოიგონეთ წესი და მის მიხედვით ჩაამატეთ საჭირო თავსართები წერტილების ადგილას.

I. 1. მაგდანა თავისი ოთხი შვილით ვახშამს მი...ჯდომია ეზოში (ე. გ.). 2. სულ ბოლო დროს მხოლოდ ესღა გავიგონე: „უი, დედაც იქა ...ყოლიაო!“ (ვ. ფ.). 3. ქალებს მეტი სიცილით თვალებიდან ცრემლები ...ცვიოდათ (ე. გ.). 4. აგერ, ეშმაკი ქედანი მუხის ფუღუროს შე...ფარებია (შ. ა.). 5. გლეხკაცობა კალიასავით მო...ფენოდა ჭალებს (ა. წ.). 6. ჯიხვი შეშინებული და თავზარდაცემული ჩამო... ცქეროდა შოშიას (თ. რ.). 7. მამას (...) სახე სოკოსავით და...პრანჭოდა (ა. ყ.). 8. ამირინდო მი...დგომოდა ბარდსა და რაღაცას ეძიძგილავებოდა (ი. ჭ.). 9. (პატიკოს) შარვალი აქა-იქ შემო...გლეჯოდა, ოფლი ჩამო...დიოდა სახეზე (ი. ჭ.). 10. ქეთოს დედისაგან და...ყვა მოსიყვარულე გული (ი. გ.). 11. ქეთოს ცოტა იერი შე...ცვლოდა (ი. გ.). 12. კეხიანი ცხვირი ოდნავ გვერდზე მი...გრეხოდა (ს. შ.). 13. (არსენას) უფრო ჩაჩნური მო...წონს (მ. ჯ.). 14. კუპრივით შავი ლეკი გამზათ ედინიც გამო...ყვა და შორიახლო შედგა (მ. ჯ.). 15. რაღაც საზეიმო იერი ...ქონდა მის ნაბიჯს (ს. კ.). 16. იგი ახლა აღარ ...გავს წელში მოხრილ ვაჟკაცს (ნ. კ.). 17. ის მე მესაუბრება, სხვებს კი ...გონიათ, რომ დუმილი ჩურჩულებს (ტ. ტ.). 18. მენალიპას ...ძინავს მის ფეხებთან, ჯერ არ ესმის დაძახება (ტ. ტ.).

II. 1. (მტრედმა) ფრთა ფრთას შემო...კრა (ა. ყ.). 2. ქეთო თავისი მოსიყვარულე გულით გარშემო ...ფენდა ლხენასა და შვებას (ი. გ.). 3. მეფე და მთავრებიც შენდობას ...თხოვდნენ მღვდელს (ა. წ.). 4. ამის გამგონე ბიჭებმა გული მოიცეს და შე...ფიცეს (ა. წ.). 5. საწყალმა ზალიკომ პატარა ხბო ორ მანეთად მი...ყიდა მედუქნე ივანეს (თ. რ.). 6. მან ახატნელის ოჯახს საქვეყნოდ მო...ჰრა თავი (მ. ჯ.). 7. მელამ გამო...თხარა მარჯვენა თვალი და მი...ცა (ვ. ფ.). 8. ბატებმა შვება-ლხენა მო...ფინეს მთელს არემარესა (ნ. ლ.). 9. თითქოს თვალებით შე...თხოვს, გამაგებინე, რა ამბავია აქაო (დ. მ.). 10. აბა, იფიქრე, როგორ დიდ ცოდვას იზამ: მთელ ერს, ქვეყანას, ყელს გამო... ჭრი (ვ. ფ.). 11. დამახინჯებულს გვრიტის სხეულს სოსომ ფეხი წამო...კრა და ხელში აიღო (შ. ა.). 12. (ფარეშები) ხელს არაფერსა ...კიდებდნენ (ა. წ.).

ცნობისათვის. 1. ჰ და ხ პრეფიქსები იწერება მესამე ობიექტური პირის ნიშნად ორპირიან გარდაუვალ ზმნებში, ე. ი. როცა მათ შეეწყობა მიცემითში დასმული ობიექტი (მყავს, ჰგავს, ჰგონია, მოსწყდა, ხტკივა, მოსტყდა, სძინავს...).

2. ჰ და ხ პრეფიქსები ყოველთვის იხმარება სამპირიან ზმნებში III ობიექტური პირის აღსანიშნავად, რადგან მათ შეეწყობა ირიბი ობიექტი (მოჰგვრის, ჰკითხავს, ჰპირდება, მოსწყვეტს, მისცემს, ხთხოვს, დახძენს, მოხჭრის...).

ორპირიან გარდაუვალ და სამპირიან ზმნებში III ირიბობიექტური პირის აღსანიშნავად ჰ იწერება გ, კ, ქ, ბ, პ, ფ, ყ თანხმოვნების წინ, ხ იწერება დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ თანხმოვნების წინ; ხმოვანთა და დანარჩენ თანხმოვნების წინ ჰ და ხ პრეფიქსები დაკარგულია.

ბ და ს თავსართები არ იხმარება:

ა) სუბიექტის მეორე პირის აღსანიშნავად არც ერთპირიან და არც ორპირიან ზმნებში[1].

ერთპირიან ზმნებში: შენ ბრუნავ, გმინავ, გორავ, ბარბაცებ, ზრუნავ, ფრინავ. კისკისებ: თქვენ ბრუნავთ. გმინავთ, გორავთ, ბარბაცებთ, ზრუნავთ, ფრინავთ, კისკისებთ...

ორპირიან ზმნებში: შენ გრეხ, ბარავ, ხატავ, სვამ, ქსოვ, კრეფ, ღობავ, სრეს, ფლეთ, ხვრეტ...: თქვენ გრეხთ, ბარავთ, ხატავთ, სვამთ, ქსოვთ, კრეფთ, ღობავთ, სრესთ, ფლეთთ, ხვრეტთ...

ბ) დაუშვებელია ბ და ს თავსართების ხმარება ერთპირიან ზმნათა მესამე პირის ფორმებში. მაშასადამე, ზმნა, რომელსაც ეწყობა მხოლოდ სუბიექტი ის ან ისინი: ის ბრუნავს, გმინავს, გორავს, ზრუნავს, ფრინავს, ბერდება, ბღავის, ზის, კვდება. ნაღირობს, ყვავის, ქრის. დგება, დგას, დუმს, თბება, ტირის, ტკბება, შედგა...; ისინი ბრუნავენ, გმინავენ, გორავენ, ზრუნავენ, ფრინავენ, ბერდებიან, ბღავიან, სხედან, კვდებიან. ნაღირობენ, ყვავიან, ქრიან, დგებიან, დგანან, დუმან, თბებიან. ტირიან, ტკბებიან, შედგნენ, შეცდნენ, ჩანან...

გამონაკლისი გასტანს, გასწევს, ასწევს, გამოსცემს. დადგენილი წესის მიხედვით ამ ზმნებში პრეფიქსი ს არ უნდა იხმარებოდეს. მიუხედავად ამისა, ამ ზმნებში ს პრეფიქსი რჩება, რამდენადაც ს აქ ფუძესაა შეზრდილი. მაგ.: 1. გაეწია ბებულმა ბრძოლამ მთელ ღამეს გასტანა (მ. ჯ.). 2. დათვმა ტოტები მაღლა ასწია (ვ. ფ.). 3. მერე რით გამოსცემენ ეგენი ასეთ ხმაურობას? (ვ. ფ.). 4. მაქსიმოვიჩი ჩამოვიდა თუ არა, მაშინვე ბრძანება გამოსცა (ა. წ.). 5. მართებლობამ გასცა სასტიკი ბრძანება (ი. გ.). 6. პირდაპირ განსაცვიფრებელია ის ღაწვლი, რომელიც მან გასწია (ს. ქ.).

სავარჯიშო 332. გადაიწერეთ, ჩამოთვლილ ზმნებს გვერდით მიუწერეთ იგივე ფორმები ბ და ს პრეფიქსების გარეშე.

შევჰგებებივარ, შევჰბრალებივარ, მოვჰფერებივარ, გავჰპარვივარ, ვჰგავარ, ვჰკითხავ, ვჰპარსავ, დავჰქვემდებარებივარ, ვჰყავარ, შევსდავებივარ, გავსთამამებივარ, გავსწყრომივარ, მივსჩერებივარ, მოვსწმენდ, ვსწევივარ, ვსძულვარ, მოვსწონვარ, შევსჯავრებივარ...

ნიმუში: შევჰგებებივარ||შევგებებივარ...

ცნობისათვის. იმ შემთხვევაში, როცა ზმნის ფორმაში III ობიექტურ პირთან ერთად I სუბიექტური პირია წარმოდგენილი, I სუბიექტური პირის ნიშნის ვ თავსართის შემდეგ ბ და ხ თავსართები შეიძლება ვიხმაროთ, შეიძლება არა.

ამრიგად: ა) ერთი მხრივ გვაქვს შევჰგებებივარ, შევჰბრალებივარ, მოვჰფერებივარ, შევსდავებივარ, გავსწყრომივარ... ბ) მეორე მხრივ თანაბარუფლებიანი პარალელური ფორმები: შევბრალებივარ, შევგებებივარ, მოვფერებივარ, შევდავებივარ, გავწყრომივარ....

მიუხედავად ამისა, შეიმჩნევა, რომ პირველი პირის სუბიექტური ვ თავსართის შემდეგ მესამე ობიექტური პირის თავსართები ბ და ხ გაქრობის ტენდენციას იჩენენ.

---

[1] ნორმ. გვ. 194.

სავარჯიშო 93ე. გადაიწერეთ, მოიგონეთ წესი და მის მიხედვით გაასწორეთ პირის ნიშნის უმართებულო დართვის შემთხვევები ზმნებში.

1. — როგორ, თქვენცა გაქვსთ რამე საჩივარი მეფესთან? — ჰკითხა კვალად კაჭკაჭმა (ვ. ფ.). 2. მაშ რადა წუხდა? რად იყო დაღონებული? (...) გიკვირსთ? (ვ. ფ.). 3. ქორი ორიე ფეხებით გახლავსთ ჩამოკიდებული (ა. წ.). 4. სამაგიეროდ ჩვენგან ათასთუმნობით მიგაქვსთ (ა. წ.). 5. ჩემს მეტი არავინა ჰყავსთ (ა. წ.). 6. საქრისტიანოში თუ საურჯულოში, მაინც არა უშავსთ რა (ა. წ.). 7. გკითხავსთ მხოლოდ იმას, რაც იცით (დ. მ.). 8. მოაშორეთ თავიდან ეგ ტვინგამოცლილი, თუ ღმერთი გწყმსთ (ა. ყ.). 9. შეგეპამთ მგელი, შეგეპამთ!.. არ დაგინდობსთ, მოგკლავსთ!.. (ა. ყ.). 10. ზედ წყალი დაასხას და ისე აფუჟლოს..., არ დაგავიწყდესთ (ვ. ფ.). 11. თქვენში რა მადლია, გინდ დაგიჭიროსთ კაცმა, გინდ ძრა (ვ. ფ.). 12. ვერაფერს დაგაკლებსთ თქვენ მდინარე! — გაისმოდა რაღაც იდუმალი ხმა (ვ. ფ.). 13. სადილი და სამხარიც იქ მიუდისთ (ა. წ.).

ცნობისათვის. როცა ზმნა სუბიექტის ს ბოლოსართით ბოლოვდება, და მას ერთეის მრავლობითი რიცხვის ნიშანი თ, მაშინ ს ბოლოსართი აღარ ისმარება (გაქვთ და არა გაქვსთ, გკითხავთ და არა გკითხავსთ..).

სავარჯიშო 93ჭ. გადაიწერეთ, დაბოლოეთ ზმნები საჭირო ბოლოსართით.

1. ქალები შეუდგ... ყველა ამ უამრავი ჭურჭლისა და იარაღის რეცხვას (მ. მ.). 2. შინაყმები შედგ... (მ. ჯ.). 3. ერთხელ როსტომი და ლაცაბიძე ურთიერთს მძლავრად დაეტაკ... (მ. ჯ.). 4. ბიჭები ფრთხილად მიუახლოვდ... მხედარს (ა. ხ.). 5. ღვინობისთვის დასაწყისში დაიძრ... ტყის სადგომიდან მეფიონ-ელჩიონნი (ლ. გ.). 6. ბებრები დიდი ხნის მეზობლები იყვ... (ს. კ.). 7. როცა მეზობლები წავიდ..., ქვრივი და სარა დაფაცურდ..., ყველაფრის წაღება მოინდომეს (ს. კ.). 8. ჯარისკაცები თუთიყუშის ოთახში დაბინავდ... (ს. კ.). 9. ისინი მთელ დღეს ეწვალ..., სანამ ამოიღებდნენ (ს. შ.). 10. ღვინით შეზარხოშებულები ალტაცებით მიეგებ... (ს. შ.). 11. მამა და შვილი უხმოდ დაშორდ... ერთმანეთს (ლ. ქ.). 12. მეფის მოსვლისას ყველანი ერთბაშად აფუსფუსდ..., მერე გაირინდ... (ლ. გ.). 13. ცხენოსნები მიეწივ... წასულთ (ლ. გ.).

ცხობისათვის. წარსულ დროში (წყვეტილძი) კითხვაზე — რა ქნეს? ორპირიან ირიბობიექტიან და ერთპირიან ზმნებთან იწერება ნენ მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მრავლობით რიცხვში: იდგნენ, იწვნენ, გათბნენ, აშენდნენ, დაემალნენ, მიეგებნენ და სხვ.

შეადარეთ: იდგენ, იწვენ, გათბენ, აშენდენ, დაემალენ, მიეგებენ და სხვ.

სავარჯიშო 213. გადაწერეთ, ჩამატეთ წერტილების მაგიერად ვამოტოვებული ასოები; გამოარკვიეთ, რომელი გრამატიკული ნიშნის ნაწილია იგი.

1. ნამდვილად კი გიგლას გა...ზრახვა სულ სხვა იყო (ს. შ.). 2. მშენებლებმა ა...დგენითი სამუშაოები უკვე დაამთავრეს. 3. ყრმა ერეკლე ფშავში აღიზარდა და თავის ა...მზრდელი ერის სიყვარული გა...კერძოებით ექმნებოდა (ი. გ.). 4. ელიკოს მხილებამ დიდი შ...აბეჭდილება მოახდინა (ს. შ.). 5. კვირაობით უცდიდნენ, როდის ჩადგებოდა წა...ღვნა და მეწყერი (ტ. ტ.). 6. დიახ, მე გავეცი გა...კარგულება, რომ ბაზარი სანოვაგით მოემარაგებინა (ს. შ.). 7. ამ გა...დაქმნის მიჯნაზე დავუბრუნდი ისევ ჩემს ორპირს, რომ დაიწეროს ეპოპეა (ტ. ტ.). 8. საბლი ბევრჯერ გადაუკეთებიათ, მაგრამ მთავარი ა...ნაგობა მაინც არ არის შეცვლილი (ტ. ტ.). 9. ეს დევის ა...ტაცებული ხმაა (ნ. კ.). 10. ამ ბინაში ოქრომჭედელთა უსტაბაშის გა...სვენებული დოვლათი — შვილების ობოლი ქალ-ვაჟი ცხოვრობდა (მ. ჯ.). 11. მიდიოდა ჩემი ბავშვობის და ყრმობის წა...უხოცელი წლები (ტ.ტ.). 12. ორპირს უფრო მეტი წა...სული აქვს თავისი ადგილმდებარეობით (ტ. ტ.). 13. პირველად გა...ცვიფრებულ მთელ ხალხში უაზრო ტირილი ატყდა (ნ. ლ.). 14. როცა ახალ ჭეშმარიტებას მიაგნებს და ხელოვანი დაამთავრებს თავის ქმნილებას, წა...მოუდგენელ ნეტარებას განიცდისო (ნ. ლ.). 15. ამ წა...წერის წაკითხვის შემდეგ ჰამერს ვკითხე (ა. ქ.).

II. 1. ელიზბარმა დაწვრილებით გა...უმარტა: ვაჟკაცი თავდაპირველად გულადი მეომარი, კეთილშობილი და პატიოსანი უნდა იყოს (მ. ჯ.). 2. შეიძლება მაინც გაძლოს მრავალ წელს (...) დრო ვერ გა...კურნავს (ნ. ლ.). 3. დავითმა წესრიგში მოიყვანა ჩვენი არტელი, გა...ამტკიცა დისციპლინა (ს. შ.). 4. მან პირველმა გა...აცხადა ეროვნულ გვარდიაში შესვლის სურვილი. 5. ნასროლი სიტყვა თუ არ გა...იმარტა და გა...მეორდა, დავიწყებული იქნებაო (ნ. ლ.). 6. ხეს დაბელავთ და ამოიყრის, ზოგიერთ ჭიას გაჭრით და ორივე ნაწილი გა...აგრძნობს სიცოცხლეს (ნ. ლ.). 7. შუა ქალაქში ა...დგა მარმარილოს სასახლე (ტ. ტ.). 8. ქართლის ორიგინალური ქანდაკების ახალი ისტორია მხოლოდ რამდენიმე ათეული წლით ა...ირიცხება (ს. კ.). 9. ჩვენი ზრუნვა ის უნდა იყოს, რომ წევრები ა...ვზარდოთ (ს. შ.). 10. ორი მაწანწალა დაიჭირეს და მოსამართლეს წა...უდგინეს (მ. ჯ.). 11. წა...მავალია სიყვარული!...— უხეშად ჩაურთო ვიღაცამ (ნ. ლ.). 12. სახელესილები წა...ვდეგით ციხელის წინაშე (ვ. ფ.). 13. ნახევრად დამწვარი, ნახევრად კვამლით

და სუნით გაგუდული გა...დაიცვალა (ნ. ლ.). 14. მცხეთაში ა...მოსცენდა მამასახლისობის პერიოდში ქართული სახელმწიფოებრიობა (ტ. ტ.). 15. საქართველოს მთავრობამ ყოველგვარი დახმარება ა...მოგვიჩინა (ნ. კ.). 16. წა...მოვიდგინე და გამელიმა: ასე რამ ამამჩატა-მეთქი! (ს. კ.). 17. იმავე ძალებმა, რამაც წა...მოშვეს იალბუზი, შეარყიეს დედამიწის ზედაპირი (ნ. კ.). 18. კურთხეულიც იქნება ერი და ხალხი, — წა...მოსთქვა გახარებულმა მეფემ (ა. ყ.).

ცნობისათვის. ზმნისწინთა ძველი სახეობები აღ, აღმო, გან, შთა, გარდა, წარ ახალ სალიტერატურო ენაშიც გვხვდება:

1. ძველი სახეობების გამოყენება უფრო ხშირია სახელზმნასთან (სწყისთან და მიმღეობასთან). ბევრ შემთხვევაში ზმნისწინთა ძველსახეობიანი ფორმები ამ შემთხვევაში ერთადერთია: აღზრდა, აღმზრდელი; განგმირვა, განგმირული; განდგომა, განდგომილი; განდევნა, განდევნილი; აღდგენა, აღდგენილი; აღნიშვნა, აღნიშნული; შთაბეჭდილება, შთაგონება, შთაგონებული; წარმოთქმა, წარმოთქმული; წარმოშობა, წარმოშობილი...

2. პირიან ზმნათა ფორმებში საქმე გვაქვს მათი გამოყენების შემდეგ შემთხვევებთან:

ა) როცა ძველი და ახალი (გამარტივებული) სახეობა ზმნისწინებისა პარალელურად იხმარება: განასხვავებს და გაასხვავებს, განასახიერებს და გაასახიერებს, განათავისუფლებს და გაათავისუფლებს, განაცხადებს და გააცხადებს, აღაგზნებს და აგზნებს, აღმაღლებს და აიმაღლებს...

ბ) როცა ზმნისწინის ძველსახეობიანი ფორმები ერთადერთია: განაგებს, განკურნავს, განსაზღვრავს, აღმოაჩნდება, აღძრავს, წარმოადგენს, წარმოშობს, წარმოთქვამს (შეუძლებელია გააგებს, გააგრძობს, გასაზღვრავს, წამოშობს და მისთანა ფორმები).

გ) მომხდარია დიფერენციაცია: თუ ძველი ზმნისწინი დაერთო ზმნას, სხვა მნიშვნელობა აქვს, თუ — ახალი (გამარტივებული), აქვს სხვა მნიშვნელობა: განაახლებს (შეუპაობას), გააახლებს, განადიდებს და გაადიდებს, აღიზრდება (ბავშვი) და აიზრდება (ბალახი).

სავარჯიშო 332. გადაიწერეთ, გაასწორეთ ზმნათა უმართებულო ფორმები; ახსენით, რა იწვევს შეცდომის დაშვებას.

1. ნუ იჩქარი, მე თვით გაგინთავისუფლებ ოთახს (ნ. ლ.). 2. გამანთავისუფლეთ მისგანა თვარა გადმოვვარდები აქედან კისრით (ნ. ლ.). 3. (აშოტი) თანდათან შეუდრკობლად და აზრიანად ანვითარებდა მის პიროვნებას (ვ. ბ.). 4. თუ გავნთავისუფლდი, მე აქ მალე საღამოს გავმართავ (გ. ტ.). 5. დილით მან გუბერნატორთან წარსადგენად შეადგინა ოქმი და ჩვენ გაგვანთავისუფლა (გ. ტ.). 6. დროგამოშვებით ორიოდე ტყვეს ყიდულობდნენ და ანთავისუფლებდნენ (მ. ჯ.). 7. განსაკუთრებული სამმართველო (...) ურდგენს მას თავის მუშაობის ანგარიშს (ნორმ.). 8. ახალგაზრდა ქალის ფიგურა (...) მოქანდაკის განზრახვით, ქართველ ერს უნდა ანხორციელებდეს (ნორმ.). 9. ვფიქრობ ჰეშმარიტ ხელოვნებაზე, რომელიც ნამდვილად გვაღფ-

რთოვანებს და გვაღელვებს (ნორმ.). 10. უნდა აღნიშნო იმ სასიკეთო ცვლილებების შესახებ, რაც უკანასკნელ ხანებში მოხდა ხალხის ცხოვრებაში. 11. შეგრძნება იმისა (...) მაღფრთოვანებდა (ნორმ.).

ცნობისათვის. ზმნისწინთა უპართებელო ხმარების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ვიცოდეთ:

ა) ად ზმნისწინიან ფორმებში პირველი პირის სუბიექტური ნიშანი ვ მის შემდეგ იწერება: აღ-ვ-აშენე, აღ-ვ-ხარდე, აღ-ვწერე...: არასწორი ფორმებია: აღვნაშენე, აღვზარდე, აღვწერე... ასევე: ღვნაშენე, ღვსუხარ, ღვზრდი...: არამართებულ ფორმებში ზმნისწინად მიჩნეულია არა ად, არამედ მისი გამარტივებული სახე, ა. ღ კი შეცდომით ფუძისეულ ელემენტადაა გააზრებული.

გამონაკლისია ზმნები: ვალიარებ, ალიარებ, ალიარებს, აქ ად შეხორცებულია ფუძეს: აქლორძინდი, აღლრძინდი, აღლორძინდა. აქ ღ მიჩნეულია ფუძისეულად.

ბ) გან ზმნისწინისაგან მომდინარეობს ნ ელემენტი შეცდომით დაწერილ სიტყვებში: ვან-თავისუფლებ, ან-თავისუფლებ, ან-თავისუფლებს: ვან-ვითარებ, ვა-ნ-ხორციელებ, ან-ზოვადებს, ა-ნ-სხვავებს, ან-ხორციელებს, ან-მტკიცებს. აქ გან ზმნისწინის ნ ელემენტი ფუძისეულად იქნა გაგებული. უნდა ვიხმაროთ სწორი ფორმები: ვაეითარებ, აეითარებ, აეითარებს, გააეითაა (განაეითარა); ვათაეისუფლებ, ათაეისუფლებ, ათაეისუფლებს; ვახორციელებ, ახორციელებ, ახორციელებს (განახორციელა); ასახიერებს და სხვა.

გ) წარ ზმნისწინის რ გაგებულია ფუძისეულ თანხმოვნად სიტყვა წარდგენისაგან მიღებულ პირიან ფორმებში: ვარდგენ, არდგენ, არდგენს: ვერდგენ, გირდგენ, მირდგენ და სხვ.; მართებული ფორმებია: ვადგენ, ადგენ, ადგენს: ვედგენ, გიდგენ, წარვადგენ და სხვ.

II. ამ თემის ნიშნის ხმარების ადგილი ზმნებში

სავარჯიშო 337. გადაიწერეთ, გაშოარკვიეთ, ქვემოთ ჩამოთვლილი ზმნების ფორმათაგან რომელია მართებული.

1. ბზეკს — ბზეკავს — ბზოკავს, ბნედს — ბნედავს — ბნიდავს, ბრეცს — ბრეცავს — ბრიცავს, გლესს — გლესავს — გლისავს, გლეჯს — გლეჯავს — გლიჯავს, დღეებს — დღეებავს — დღვიბავს, ზელს — ზელავს — ზილავს, ზნექს — ზნექავს — ზნიქავს, კბეჩს — კბეჩავს — კბიჩავს, კვნეტს — კვნეტავს — კვნიტავს, კმენდს — კმენდავს — კმინდავს, კრეფს — კრეფავს — კრიფავს, კრეპს — კრიპავს — კრიპავს, ფლეთს — ფლეთავს — ფლითავს, სრესს — სრესავს — სრისავს, ფშეკს — ფშეკავს — ფშიკავს, ფშვნეტს — ფშვნეტავს — ფშვნიტავს, ფხეკს — ფხეკავს — ფხიკავს, ღლეტს — ღლეტავს — ღლიტავს, ყვლეფს — ყვლეფავს — ყვლიფავს, შრეტს — შრეტავს — შრიტავს, ჩხვლეტს — ჩხვლეტავს — ჩხვლიტავს, ცქვეტს — ცქვეტავს — ცქვიტავს, წრეტს — წრეტავს — წრიტავს, წყვეტს — წყვეტავს — წყვიტავს, ჭყლეტს — ჭყლეტავს — ჭყლი-

ტავს, ხვრეტს — ხვრეტავს — ხვრიტავს, ხვრეპს — ხვრეპავს — ხვრიპავს...

2. კვეთს — კვეთავს, კვეცს — კვეცავს, ტეხს — ტეხავს, ჩეხს — ჩეხავს, ჰექს — ჰექავს, ხეთქს — ხეთქავს, ხვეტს — ხვეტავს, იხვეპს (საბელს იხვეპს) — იხვეპავს, ჩეჩს (მატყლს) — ჩეჩავს. იჩეჩს (მხრებს იჩეჩს) — იჩეჩავს, იღეღს (მკერდს იღეღს) — იღეღავს, ყეფს — ყეფავს, წერს — წერავს, ხვეწს — ხვეწავს...

3. ბერტყავს — ბერტყს, თიბავს — თიბს, კენკავს — კენკს, კეტავს — კეტს, კეცავს — კეცს, ლესავს — ლესს, ლეწავს — ლეწს, პენტავს — პენტს, ქექავს — ქექს, რეცხავს — რეცხს, ფეთქავს — ფეთქს, ქექავს — ქექს, წალეკავს — წალეკს, წეწავს —წენს, ჰედავს — ჰედს, ხეხავს — ხეხს, ხოცავს — ხოცს, კვებავს — კვებს, წვეთავს — წვეთს...

ცნობისათვის. 1. დაუშვებელია ამ თემის ნიშნის ხმარება ხმოვანმონაცვლე (ფუძედრეკად) ზმნებთან, ე. ი. ისეთ ზმნებთან, რომელთაც აწმყოში ე აქვთ და ნამყო წყვეტილში (კითხვა — რა ქნა?) ი: გრეხს — გრიხა, ცვეთს — ცვითა, წმენდს — წმინდა: მართებული ფორმებია: ბზეკს, ბნედს, ბრეცს, გლესს, კბეჩს, კმენდს, ჩხვლეტს...

2. მიუღებელია ამ თემის ნიშნის ხმარება არახმოვანმონაცვლე (არაფუძედრეკად) ზმნებში. სწორი ფორმებია: კვეთს, კვეცს, ტეხს, ჩეხს, ჰექს, ხეთქს, იხვეპს, ჩეჩს, იჩეჩს, იღეღს, ყეფს, წერს, ხვეწს...

3. აუცილებელია ამ თემის ნიშნის ხმარება ზმნებთან: ბერტყავს, თიბავს, კენკავს, კეტავს, კეცავს, ლესავს, ლეწავს, პენტავს, ქექავს, რეცხავს, ფეთქავს, ქექავს, წალეკავს, წეწავს, ჰედავს, ხეხავს, ხოცავს, კვებავს, წვეთავს...

შენიშვნა. ამ ბოლოსართიან ზმნათაგან იწარმოება საწყისი ფორმა ა ნიშნის დართვით და დაბოლოებად მოუდით ვ-ა: ბარავ — ბარვა, თიბავ — თიბვა, ლესავ — ლესვა, ფეთქავ — ფეთქვა...; უსუფიქსოებს მხოლოდ ა აქვთ: ტეხ — ტეხა, ყეფ — ყეფა. წერ — წერა, ხეთქ — ხეთქა და მისთ.

4. დროთა III ხერიის წარმოებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები

სავარჯიშო 322. გადაწერეთ, მართლწერის წესების დაცვით წერტილების ნაცვლად ჩაწერეთ გამოტოვებული ბოლოსართები ზმნებში.

1. ჩემია, ჩემი, არ მომიპარ...ს. განა, ურჯულოვ, შენ თვითონ არ იცი, რომ არ მომიპარ...ს (ე. გ.). 2. კაცს აგონდებოდა, ეს კაბა რომელსამე გამოჩინებულს მკერავს გამოუკერია და შეუკერ...ს ამ პატწია გოგოსთვისო (ნ. ლომ.). 3. ბატონს გაუკვირდა და ცივად უპასუხა (...). რას დამგვანებიხარ, რანაირად ჩაგიცვ...ს (ა. წ.). 4. მთასაც რამოდენა თეთრი ქუდი დაუხურ...ს (ი. ე.). 5. ჩემს დღეში ღვინო არ მისვ...ს, კაცებო, ეხლა უნდა დამაჩვიოთ ღვინის სმას? (ვ. ფ.). 6. შე-

უბ...თ ჩემთვის ყელზე ღინჭილა — მწარე ბალი და მივუყვანივართ სოფელში (ა. წ.). 7. ისიც უთქვ...თ, რომ სანამ კაცი ომიდან დაბრუნდებოდა, ენამ თავი მოსჭრაო (ს. შ.). 8. ველარ მივუსწარ, ეჭვი აუღიათ ჭირისუფლებს და გაუხიზნ...თ (ა. წ.). 9. რას გააწყობ იმ ხალხთან. რომელსაც რჯული და ეროვნება ერთმანეთზე გადაუბ...ს (ა. წ.). 10. შუადღე გადავიდა, ელიზბარს ჯერ თვალი არ მოუხუჭ...ს (ვ. ფ.). 11. მის თვალებში ოცნებას აკვანი დაუდგ...ს (ტ. ტ.). 12. საფლავის სიცივეს ყველაფერი ჯერ არ ჩაუკლ...ს (ტ. ტ.). 13. თქვა: „რაც განგებას ჩემთვის დაუნიშნ...ს (...) იმედია აღარ ამცდება და კიდევ შევხვდებიო (ა. წ.). 14. მომცინარი რომ ვუნახ...ვარ, უთქვ...ს (...). ბავშვი ისე იცინის, რომ სწორედ სულელი გამოვაო! (ა. წ.). 15. ბევრჯერ მინახ...ხარ მუდამ გალაღებული და გახარებული (ვ. ფ.).

ცნობისათვის. აქ და ამ თემისნიშნიან ზმნებს თემის ნიშნები აუცილებლად გადაჰყვებათ I თურმეობითში. მართებული ფორმებია: გამითბავს, დამიკეტავს, დამიკეცავს; დამიბამს (შე ის), ჩამიცვამს, დამირტყამს; უნახავხარ, ვუნახავვარ, უნახავხართ, ვუნახავვართ, მინახავს, მინახავხარ, გინახავს, გინახავვარ, გაუბამს, გაუბამხარ, გაუბამვარ, გაუბამხართ...; **უმართებულო ფორმებია:** დამიკეტია, დამიხატია, გამიბია, უნახიხარ, ვუნახივარ, უნახიხართ და სხვ.

სავარჯიშო 839. გადაიწერეთ, წერტილების ნაცვლად ჩაამატეთ გამოტოვებული ბოლოსართი მართლწერის წესების მიხედვით.

1. (ამირინდო) მოსდგომ...ა ბარდსა და რაღაცას ეძიძგილავებოდა (ი. ჭ.). 2. ივდითმა უბრძანა მხევალს, უკან გაჰყოლო...ა (ტ. ტ.). 3. ყოველი მონადირე ფრთხილობდა, ირმის მაგივრად კაცი არ შემოჰკვდომ...ა (ვ. ფ.). 4. ქვეყანას ახლად მოსული თეთრი თოვლი დასდებ...ა (ა. ყ.). 5. ჭკვიანს პირუტყვს (...) გადაეწყვიტა პატრონს აღარ გაჰყოლ...ა (ა. ყ.). 6. რით მოხნავდი მიწასა? რომ არ გცოდნ...ა, რომელ მიწას როგორ უნდა მოხვნა... (ი. ჭ.). 7. მეორემ ზიდილი დაიწყო, უნდოდა ხელიდან გამშვებ...ა და უკან გამოჰკიდებ...ა (ვ. ფ.). 8. რა ვიცოდი, რომ ეს დედი-ჩემის ხერხი იყო, რომ წერა-კითხვა შემყვარებ...ა (ა. წ.). 9. ცაცხვს რომ არ მიჰყუდებ...ა, წაიქცეოდა (ა. წ.).

ცნობისათვის. ორპირიანი ენებითი გვარის ზმნები II თურმეობითში უნდა იხმარებოდეს -ოდ დაბოლოებით. მართებული ფორმებია: გაჯ(ს)ჩენოდი, დავ(ს)ჯდომოდი, დავ(ს)დგომოდი, მოვ(ჰ)კვდომოდი, დავ(ჰ)კარგოდი...

უმართებულო ფორმებია: გაჯ(ს)ჩენიყავ, დავ(ს)ჯდომიყავ, დავ(ს)დგომიყავ. მოვ(ჰ)კვდომიყავ, დავ(ჰ)კარგეყავ...

სავარჯიშო 840. გადაიწერეთ, წერტილების ნაცვლად ჩაამატეთ გამოტოვებული ბოლოსართი.

1. ყველა ცდილობდა ჩემზე წინ წამდგარიყო, რათა უფრო მალე გაესაღებ...ა თავისი საავჭრო (ე. გ.). 2. ვეფხვი, თურმე, გააფთრებით იბრძოდა და საჭირო გახდა შუბების ცემით მოეთავებ...ათ (ს. კ.). 3. უჩემოდ გინდოდათ სუფრა ჩაგეტარებ...ათ? — უთხრა ღიმილით დავითმა (ს. შ.). 4. მეტი ჩარა არ იყო, უნდა თავი შეეწუხებ...ა (ს. შ.). 5. დარწმუნებული იყო, რომ ნახავდა იმას, ვისაც ეძებდა, ვინც შესძლებდა გაენელებ...ა მისი უშრეტი ენების ცეცხლი (ტ. ტ.). 6. ბევრჯერ შეუშალეს ხელი ტოლსტოის, რომ ეს აზრი გაეხორციელებ...ა (ტ. ტ.). 7. საბედოს კაბა უკვე გადაებრუნებ...ა, პირუკუღმა ეცვა (ლ. გ.). 8. დიდრონი თავთავები ღეროებს ველარ დაემაგრებ...ათ (ნ. ლომ.). 9. მებორნეს ცეცხლი გაეჩაღებ...ა (კ. გ.).

ცნობისათვის. III სერიის II თურმეობითსა და III კავშირებითში ზმნათა ერთ ჯგუფთან გვხვდება პარალელური ფორმები: აეშენებინა — აეშენებია, აეშენებინოს — აეშენებიოს, გაეკეთებინა — გაეკეთებია, გაეკეთებინოს — გაეკეთებიოს და სხვ. ამ პარალელურ ფორმათაგან თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ნაირანი ფორმებია დამკვიდრებული და ისინი უნდა ვიხმაროთ. მართებული ფორმებია: დაელაგებინა — დაელაგებინოს; გაეფერადებინა — გაეფერადებინოს; უმართებულოა: დაელაგებია — დაელაგებიოს, გაეფერადებია — გაეფერადებიოს...

5. ზუსტობითი კონტაქტი

სავარჯიშო 311. გადაიწერეთ, წერტილების ნაცვლად ჩაამატეთ გამოტოვებული ბოლოსართები.

1. ტომირანდას ძალიან მოეწონა ეს ამბავი და გადაახურვ...ა ეს ქანდაკება (ტ. ტ.). 2. დღესვე შევყრი დარბაზს და გადავაწყვეტ...ებ, რომ ორიეემ თავ-თავისი საკადრისი პასუხი მიიღოს (ა. წ.). 3. სალდათები ყველგან შეიყვანა, ყველაფერი გადააბრუნებ...ა და მოაფათურებ...ა (მ. ჯ.). 4. არჩილმა თავის ოთახში აატან..ა გიორგი და თავის ლოგინზე დააწვენ...ა (ი. ჭ.). 5. ცნობა ავიღე და მიველ მაღაზიაში, ფართალი გინდა? — ავაზომ...ე ფეხსაცმელები შევახვევ...ე (ს. შ.). 6. გლეხებმა შეუყარეს კეტები ხის სახლს და სულ ჭრიჭინ-ჭრიჭინი დააწყებ...ეს (ა. წ.). 7. ერთ ვიწრო ხეობაში მოასწრეს თათრის ჯარს, შეიმწყვდიეს, იარაღი დააყრ...ეს (ა. წ.). 8. ცხენები შეაბმ...ა და გასწია (ტ. ტ.). 9. (ქმარმა) დაწოლის წინ დაალ...ა არაჩვეულებრივად მაგარი ლუდი (ტ. ტ.). 10. მთავრები ერისთავებს აბარებდნენ და აზრდ...ებდნენ თავის შვილებს (ა. წ.). 11. რუმბი ჩემი მოზვრის ტყავიდან გავაკეთებ...ე და ოცდახუთი მანეთი დამიჯდა გაკეთებაო (ნ. ლ.). 12. გათავდა სადილი, სუფრა აალაგეს, ფარეშებმა ხელი დააბან...ეს ისევ ყველას (ა. წ.).

ცნობისათვის. შეიძლებოდა კონტაქტის ფორმებში ინ ან ევინ მაგრამობელი სრულად უნდა დაიწეროს: აწერინებს, აბარვინებს, აშლევინებს, აკვლევინებს...; შეცდომაა: აწერიებს, აბარვიებს, აშლევიებს, აკვლევიებს...

6. რამდენიმე ერთნაირი გგერის თავმოყრა ზმნებსა და ნაზმნარ სახელებში

სავარჯიშო 342. გადაიწერეთ, ჩაამატეთ გამოტოვებული ასო ან ასოები წერტილების მაგიერად.

I. 1. (მზემ) ისეთი მწვავე სიცხეები და...ყარა დედამიწას, რომ თოვლი სულ დაწურა ჩქაფჩქაფა ნაკადულებად, ა...ხმაურა ღვართქაფებად მთის ღელეები, ა...ტირა კორდები პატარ-პატარა წყაროებით, დედამიწა ა...ორთქლა (ი. ე.). 2. და...რსდა ახალი კერა, გაჩაღდა ახალი მოსახლეობა (ნ. ლ.). 3. ერთი საქმე გა...კეთო და მეორე გა...ფუჭო, ეგ ცუდია (ი. ჭ.). 4. ეს სამეფო მე დავა...რსე (ტ. ტ.). 5. შემოდგომაზე მაგდანამ დღიურ ლუკმას იმდენი გადა...რჩინა, რომ შეეძლო ცოტაოდენი საწვრიმალო ეყიდა (ე. გ.). 6. „მარიამა“ რაც უნდა კაი გუნებაზე და კაი ჯანზე ყოფილიყო, ის მოგონება სულ და...დუნებდა და და...ღონებდა (თ. რ.). 7. ონისეს გადა...ვიწყდა ქვეყანა, გადა...ვიწყდა სტუმრის მოვალეობა მასპინძლისადმი, გადა...ვიწყდა თავისი თავიც და მხოლოდ ერთმა გრძნობამ შეიპყრო (ა. ყ.). 8. ყველა ეს ახალშენი ახლად და...რსეს ძილიზიელებმა ანდა გა...ხლეს (ტ. ტ.). 9. ბატონმა თავისი მამისეული სახლი გა...ხლა (ე. გ.). 10. მოაგონდებოდა ხოლმე „მარიამას“ ის დღეები, გული დაუწყებდა სიხარულით ხტუნაობას, თითქოს ახლაც ისე გა...ზიზონ, მაშინ რა იცოდა, რა იყო უღელი (თ. რ.). 11. ხომ იცი ვლადიმერ ჯუღელი რომ არ მოეშვება, დამნაშავეს გამოა...შკარავებს (დ. კ.).

II. 1. მართამ (...) ჩაისვა ქაჯანა კალთაში და მაგრა მი...კრა ძუძუებთან (ნ. ლომ.). 2. ნეფე-დედოფალი მი...წვიეს ყვავილებით დაფენილ ტახტზე (ვ. ფ.). 3. მე კი სასტუმრო ოთახში შემიყვანეს და იქ დამტოვეს (...), მუთაქა (...) მი...დევი და დაიძინეო (ა. წ.). 4. ზოგიერთებმა მი...ხედეს უკან და თითქმის ერთხმად დაიძახეს: — აგერა, კიკოლაც მოდის (ნ. ლომ.). 5. ურემი და საქონელი ერთმა გლეხმა მი...ბარა (ნ. ლომ.). 6. ნიავი თითქოს ყურს არ მიგდებდა, მიჰქროდა გაჟი, სადღაც სწრაფად მი...ჩქაროდა და თავისთვის მი...მღეროდა (ა. ხ.). 7. კატო მი...პარებოდა იმ ბებერს საქათმესთან და დაიძახებდა: „ყიყლიყოო“ (ნ. ლომ.).

III. 1. გამწარებულმა გლეხმა გაიმეტა თავი, შე...ჯიდა დათვს (ა. წ.). 2. პოლოს ისე შე...თვისა, რომ სიმონა რომ დაეძახათ მისთ-

ვის, ის ყურადღებასაც არ მიაქცევდა (ნ. ლომ.). 3. მოკიჟინე ქალ-ვაჟთ ულმობელი სურათის წინ ბაგე შე...კრათ (ე. გ.). 4 ამ დროს უკანიდან მის ფეხებს რაღაც ოდნავ შე...ხო (ი. ე.). 5. ეს კოკურა მე უნდა წავიღო! — შე...ცილა ცაცა ვანოს (თ. რ.). 6. ხალხმა ეს რომ გაიგო, სუნთქვა შე...კრა (ს. შ.). 7. ამ საქმეს ის მთელი არსე-ბით შე...თისა (ა. ხ.). 8. ჰო, შე...რთდით, ჩემმა მზემ, კოოპერაცია გახსენით და მეც მიწილადეთ (ნ. ლ.). 9. დიახ, დიდებულმა გმირმა მეფემ იკისრა მუვერვალიდან ჩამოსვლა (...) მხოლოდ იმ განზრახ-ვით, — ერი გაე...რთგულებინა (ვ. ფ.).

ცნობისათვის. ერთ სიტყვაში ზედიზედ შეიძლება შეგვხვდეს რამდენიმე (ორი ან სამი) ერთნაირი ხმოვანი, რაც გაშოწვეულია ზმნისწინისეული და ძირი-სეული ხმოვნების, გვარისა და ქცევის ნიშნების თავმოყრით.

1. ზმნებში თავს იყრის ორი ან სამი ა ხმოვანი:

ა) ორი ა იყრის თავს, როცა ა, და, გა, ჩა, გადა, წა ზმნისწინებს მოსდევს საარვისო ქცევის ნიშანი ა, ანდა ზმნა იწყება ა ხმოვნით. ზმნისწინს მოსდევს ქცე-ვის ნიშანი: ამენებს, გააკეთებს, გააკეთა, დაადგინა; ზმნა იწყება ა ხმოვნით: გაად-ელდა, გაახლდა, გაადა, დაარსდა...

შენიშვნა. ორი ა იყრის თავს საწყისებსა და მიმღეობებში, რომლებშიც ზმნის-წინები მონაწილეობენ: დაავადება, დაამება, დაახლოება, გაადამიანება, გაათკეცება; დაავადებული, დაამებული, დაახლოებული, გაადამიანებული, გაათკეცებული...

ბ) სამი ა იყრის თავს, თუ ზმნა ნაწარმოებია ა-თი დაწყებული სახელისაგან და იმავე ზმნისწინებს მოსდევს საარვისო ქცევის ნიშანი: იდეილი — ადეილებს — გააადვილა; ფრსი — აარსებს — დააარსა; ახალი — აახლებს — გააახლა...

2. ორი ი იყრის თავს, თუ სათავისო ქცეულის ფორმას მი ზმნისწინი დაერთო ან იმავე ზმნისწინს მოსდევს ვნებითის ნიშანი ი.. პირველის მაგალითებია: მიიბარა, მიითვისა, მიიკრა...: მეორისა — მიიპარება, მიიზლაზნება, მიიკლაკ-სება...

3. ორი ე იყრის თავს ე-თი ნაწარმოებ ვნებითი გვარის ზმნებში, თუ ზმნა შე ზმნისწინით იწყება: შეეგება, შეეთვისა, შეეშინდა, შეეხო...

იშვიათად გვხვდება სამი ე: შეეერთებინა.

სავარჯიშო 318. გადაიწერეთ, წერტილების ნაცვლად ჩაამატეთ გაშოტოვებული ასოები.

I. 1. რა უხეიროდ დაჩინდრიკობდა თავისი მაუდის ჩოხით, მო-...ქროვილი ვერცხლის ქილებით (შ. დ.). 2. მზე ეთხოვებოდა მცხე-თის ტაძრების მო...ქროვილ გუმბათებს (კ. გ.). 3. ძველისძველი ჯვა-რი მიართვა, პატიოსანი თვლებით მო...ჭვილ ლუსკუმაში ჩადებული (კ. გ.). 4. (გიორგი) ბუნებაში განმარტოებული ეძიებდა მო...ხებას გულისას (კ. გ.). 5. მო...ხრებული და განადგურებული დედამიწა მწუხრად გამოიყურებოდა (ა. ყ.).

II. გაუ...არესა, გაუ...ბედურა, გაუ...გემურა, გაუ...თოვა, გაუ...მჯობესა, გაუ...რჩდა, გაუ...ქმა, გაუ...კეთესა, გაუ...ფერულა...

ცნობისათვის. 1. ორი ო იყრის თავს მო ზმნისწინიან საწყისებსა და მიმდეობებში: მოოქვრა, მოოქვა, მოოხება; მოოქროვილი, მოოქვილი, მოოხებული... (ზაზამ) მოოქვილთ შორის ხარვეზებიც კი შეამჩნია (ლ. გ.).

2. თუ ზმნა უ-ზე დაწყებული სახელებისაგანაა ნაწარმოები, სასხვისო ქცევის ფორმაში ორი უ მოუდის: გაუუარესა, გაუუბედურა, დაუუთოვა... მაგ.: (გედევანს) უურთასმენაც შესამჩნევად გაუუმჯობესდა (ნ. ლომ.).

სავარჯიშო 844. გადაიწერეთ, წერტილების ნაცვლად ჩაამატეთ გამოტოვებული ასოები.

1. ანეტა წამოდგა, ლოყები „აუტკრციალდა", თვალები გაუდიდ...ა (ნ. ლ.). 2. როცა არჩილი სასამართლოში გამოცხად...ა, მოითხოვა ადგილობრივი გამოძიება საქმისა (ნ. ლ.). 3. შებინდ...ა (...), ქუჩაში ფარნები აანთეს (თ. რ.). 4. დარჩა მარტო გაგნა, მართალია, გული დაუმშვიდ...ა, მაგრამ ივანესთან კი შერცხვა (ი. ე.). 5. (სვავი) გაგულად...ა, თან ამაყი, გულზვავი და თავმომწონე გახდა (თ. რ.). 6. და, აჰა, წინათგრძნობა გულისა მთლად ამიცხად...ა (ი. გ.). 7. მაყვალა, ბუნებითვე მხიარული, მოცინარი და მალხაზი, დამშვიდ...ა (ა. ყ.). 8. ჩამობინდ...ა, მეურმემ დაიძახა, ურემი გატყდაო (ი. ჭ.).

ცნობისათვის, ორი დ იყრის თავს, როცა ზმნის ძირი დ პვერით ბოლოვდება: მშვიდი — მშვიდდება, დიდი — დიდდება, ფერადი — ფერადდება, გულადი — გულადდება...; პირველი დ ძირისეულია, მეორე — ვნებითი გვარის ნიშანი.

სავარჯიშო 845. გადაიწერეთ, ჩაამატეთ გამოტოვებული ასო წერტილების ნაცვლად.

1. ზღარბები (...) მუქთი ...მარგველელები გამოდგნენ (ი. გ.). 2. ვინ არის ისეთი სახლ-კარის ...მართავი საქართველოში, რომ ასე დაწვრილებით გამოუდგეს საქონლის მოშენებას (ი. ჭ.). 3. ქვეყანაზე არ არის მახვილი მისი შე...მუსვრელი (ტ. ტ.). 4. მეც მოვიმარჯვე ყველა სარეკომენდაციო ბარათი ხელოვნების მთავარი ...მართველობის თანამშრომლებთან (ტ. ტ.). 5. და აქ გულალიმ უამბო სამი ...მართველის ამბავი (ს. შ.). 6. თავის დამცველი ხალხი უფრო გამწარებული იბრძვის და ბრძოლასაც მოუგებს ძალიან კარგ, გაწვრთნილ ჯარს, თუ ეს ჯარია შემოსეული ქვეყნის და...მორჩილებლად (გ. წ.). 7. (შენ) კარგად იცი, როგორი ძმათა ...მუსვრელი ომი მოჰყვა ამ ამბავს!.. (შ. დ.). 8. მე მივუცუცქდებოდი გვერდით შაქრის ...მტვრეველს (ა. წ.). 9. გამოიხსენ განსაცდელისაგან ქრისტეს ...მოსავი ბერძენთა

ერი (ა. წ.). 10. ვრჩები მარტო იმისათვის, რომ (...) შენი და...მიწებელი დავამიწო (გ. წ.).

ცნობისათვის. ორი მ იყრის თავს მ-ელ აფიქსებით ნაწარმოებ მოქმედებითი გვარის მიმღეობებში, როცა სიტყვის ძირი იწყება მ თანხმოვნით: მმართავი, მმართველი (აქედან — სამმართველო, მმართველობა); დამმალავი, მმტვრეველი, მმუსვრელი... მ თავსართს ზოგჯერ ა ხმოვანი ემატება, როცა ძირისეულ მ-ს მოსდევს რომელიმე თანხმოვანი: გვაქვს პარალელური ფორმები: დამმშვენებელი — დამაშვენებელი, გამმრუდებელი — გამამრუდებელი, გამმწვანებელი — გამამწვანებელი.

7. ვ-ს ჩართვა და შენარჩუნება ზმნებში

სავარჯიშო 846. გადაიწერეთ, წერტილების ნაცვლად ჩაამატეთ გამოტოვებული ასოები; მოცემული სიტყვებისაგან შეადგინეთ პატარ-პატარა წინადადებები.

I. მიწ....დომა, მოკ...დომა, შეხ...დომა, გვხ...დება, დამხ...დური, დალახ...როს, მხატ...რული, ამოვად...რე, დავად...რე, გად...რება...

II. იგვის — იგ...ოდა, ილტვის — ილტ...ოდა, იწვის — იწ...ოდა, ეკვრის — ეკ...როდა, იძვრის — იძ...როდა, იღვწის — იღ...წოდა, დაისეტყვა — დაისეტყ...ოს, იელვა — იელ...ოს, იტეკვა — იტეკ...ოს, გააკვირვა — გააკვირ...ოს, დაიბრიყვა — დაიბრიყ...ოს, დააეჭვა — დააეჭ...ოს...

III. შეერია — შეერი...ნენ, შეესია — შეესი...ნენ, შეეჩვია — შეეჩვი...ნენ, დაეწია — დაეწი...ნენ, მოეხვია — მოეხვი...ნენ...

ცნობისათვის. 1. ვ თანხმოვანი დაცულ უნდა იქნეს ზმნურ ფუძეთა თანხმოვნებს შორის, თუნდაც ფუძეს წყვილბაგისმიერი ბგერით დაწყებული სუფიქსი მოსდევდეს: მიწვდომა, მოკვდომა, შეხვდომა..., დამხვდური, მხატვრული..., ამოვაძვრე, დავაძვრე, გაძვრება... (მაგრამ: ამოძრობა, ამოსაძრობი, ამოძრომა, შეძრომა, საძრომი...; და არა: ამოძვრობა, ამოსაძვრობი, ამოძვრომა, შეძვრომა, საძვრომი...); წვრთნის და არა წრთვნის.

2. ვ თანხმოვანი დაცულ უნდა იქნეს აგრეთვე უწყვეტლის მწკრივის ოდ და მეორე კაუშირებითის ო სუფიქსების დართვისას, თუ ვ ძირეულია და თანხმოვანს მოსდევს, ან ვ სუფიქსისეულია და თანხმოვნებს შორისაა მოქცეული: იგვოდა, ილტვოდა, იწვოდა, ეკვროდა, იძვროდა, იღვწოდა; მაგრამ გვაქვს: ებრძვის — ებრძოდა, ესვრის — ესროდა, ეტყვის — ეტყოდა, უძღვის — უძღოდა; დაისეტყვა — დაისეტყვოს, იელვა — იელვოს.... .

3. ვ თანხმოვანი შენარჩუნებულია ევ სუფიქსიან ფუძედრეკად ზმნათა წყვეტილის მწკრივის III პირის მრავლობითში: შეერივნენ, შეესივნენ, შეეჩვივნენ, დაეწივნენ, მოეხვივნენ...

სავარჯიშო 847. გადაიწერეთ, წერტილების მაგივრად ჩაამატეთ გამოტოვებული ასოები ქვემოთ ჩამოთვლილ სიტყვებში და ამ სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები.

ვაწყობ — დავაწყ...ე, დავაწყ...ეთ, დააწყ...ეს — დამიწყ...ია; ვალტობ — დავალტ...ე, დაალტ...ეთ, დაალტ...ეს, დამილტ...ია; ვათროპ — დავათ...რე: (მეტათეზისით) — დამით...რია; ვალპობ — გავალხ...ე — გამილხ...ია: ვახრჩობ — დავახრჩ...ე — დამიხრჩ...ია; ვაცხობ — გამოვაცხ...ე, გამომიცხ...ია, ვანდობ — მივანდ...ე — მიმინდ...ია; ვიღრძო — ვიღრძ...ე — მიღრძ...ია.

ცნობისათვის. თანხმოვანი ვ შენარჩუნებულია წყვეტილის მწკრივის მხოლობითი რიცხვის I და II პირისა და მრავლობითი რიცხვის ყველა პირის ფორმებში იმ ზმნებში, რომლებიც თურმეობით პირველში კითხვაზე რა უქნია? ვ ბგერას წარმოგვიდგენენ ფუძეში: ვაწყობ — დავაწყვე, დავაწყვეთ. დააწყვეს — დამიწყვია; ვაცხობ — გამოვაცხვე — გამომიცხვია: ვანდობ — მივანდვე — მიმინდვია; მაგრამ: განვაგრძობ — განვაგრძე — განმიგრძია; ვამკობ — შევამკე — შემომკია: ვაქრობ — ჩავაქრე — ჩამიქრია; .ვაშრობ — გავაშრე — გამიშრია; ვაცხრობ — დავაცხრე — დამიცხრია....

ხავარჯიშო 348. გადაიწერეთ, ჩაამატეთ გამოტოვებული ასო წერტილების მაგიერად სიტყვებში:

აბედ...ინებს, ახატ...ინებს, აკ...ლევინებს, აბარ...ინებს, ათეს...ინებს, ახერხ...ინებს, აქარგ...ინებს, ახ...ნევინებს, ახე...ინებს, აწე...ინებს, ასხ...ლევინებს, ამალ...ინებს, ახოც...ინებს, აკეტ...ინებს, აკ...ლევინებს...

ცნობისათვის. ავ და ევ ბოლოსართიან ზმნებთან შეალობითი კონტაქტის ფორმებში ვ თანხმოვანი არ იკარგება: აბედვინებს, ახატვინებს, აკვლევინებს, ასხვლევინებს...

8. რიცხვნაკლი ზმნები

ა) შენაცვლება სუბიექტური პირების მიხედვით

ხავარჯიშო 349. გადაიწერეთ, ქვემოთ ჩამოთვლილი პარალელური სიტყვებისაგან შეარჩიეთ ერთ-ერთი, რომელიც მიუდგება მოცემულ წინადადებას და ჩასვით წერტილების მაგიერად (ჯდომა — სხდომა, ვარდნა — ცვივნა, კვდომა — ხოცვა, გდება — ყრა, მოკვლა — დახოცვა, სმა — სხმა).

I. (ჯდომა — სხდომა) 1. უცბად ხეზე ყვავი ... (ნ. კ.). 2. ფრინველები ხეებზე ... (თ. რ.). 3. მაგიდასთან სტუმრები ... (გ. რ.). 4. ჩხიკვიც მოსვენებით, ამაყად ..., არწივივით ყელმოღერებული (თ. რ.). 5. ყმაწვილი ქალი ღარის წინ ქვაზე ... (ნ. ლ.). 6. ახალგაზრდები ცეკვავდნენ, ხოლო მოშორებით მამაკაცები მორებზე ... (ს. შ.). 7. მე და დედიკო ამ დროს სამზარეულოში ... (ს. კ.). 8. ერთი გაუ-

მაძღარი სვავი კლდის თავზე ... (ვ. ფ.). 9. ახლა ეზოსაღ შ-ნ ... (გ. რ.). 10. ერთ დღეს მზაღო გარეთ ... ღა საჩოხე მატყლს ჩეჩავდა (ა. ყ.). 11. თავადები, აზნაურები, ჩაფრები და კეკლატნელის მაღიკელები უკვე ცხენებზე ... (მ. ჯ.). 12. ... ჯოხის ცხენებზე და ჩვენს მხიარულებას საზღვარი არ ჰქონდა (ა. წ.). 13. საჭეს გიორგი ... (ნ. კ.). 14. ურემში ... კნეინა დარეჯანი და მისი მოახლე ლამაზისეული (ი. ჭ.).

II. (ვაჭრობა — ცვივნა). 1. სევასტი ლაცაბიძეს ჩაჩა ქვაბში ... (მ. ჯ.). ხეების ტოტებმა თახთახი დაიწყეს სიბრაზისაგან, ხავსმა დაბლა დენა დაიწყო, ხმელი ტოტები ... (ვ. ფ.). 3. (გურამი) თოვლში ... და ტანის ზელვა დაიწყო (გ. რ.). 4. ბავშვები თეთრი ჩარდახებიდან ... და ბასილას შემოესვივნენ (მ. ჯ.). 5. ციცკამ შეხედა იმას, გული ვეღარ დაიმაგრა და ცხარე ცრემლები ... (ა. ყ.). 6. ... ზეზე, დამავიწყდა ჯავრიც, მწუხარებაც (ა. წ.). 7. სწრაფად ... კარში და თან კარები მიიხურა (ვ. ფ.). 8. რაჩეს ხელიდან ქილა ... (ს. შ.). 9. დაძახილზე სახლიდან ... ახალგაზრდა ქალი (ს. კ.). 10. ... ბიჭები ნაფოტის მოსატანად (ა. წ.). 11. ქალები ვაშლებთან ერთად ორმოში ... (ს. შ.). 12. დავითი და ელიზბარი თქარა-თქურით ... (მ. ჯ.). 13. ყირამალა გადავარდნილი კუჭატნელი ხელათვე ... (მ. ჯ.).

III. (ცვდომა — ხოცვა). 1. ჩემი ოჯახის წევრები უდროოდ ... (ვ. ფ.). 2. (რაჭოები და შურთხები) სიცილით ... მის ხმაზე, კაჭკაჭის ჭრიალზე (ვ. ფ.). 3. უნდა ნახოთ ის ამაყი, თავისუფალი ნადირი, რა-რიგად უღრტვინველად და მშვიდად ... (ს, შ.). 4. არც გასაყიდი იმოვებოდა, შიმშილით უნდა ... (ს. შ.). 5. შვილები ... შიმშილით (ვ. ფ.). 6. რა ჯანდაბად გვინდა, თუ ... (გ. რ.). 7. როგორც ისინი ..., ისე ჩვენ ... (ვ. ფ.). 8. ერთი გუგული (...) ... (ი. გ.).

ბ) შენაცვლება ობიექტური პირების მიხედვით

IV. (გდება — ყრა). 1. ბასილამ დეზი ჰკრა თაფლას და ნაპერწკლები ... (მ. ჯ.). 2. ბაბუამ ბაღის ბოლოში (...) ბერძნული ლეღვები ... (ს. შ.). 3. სათაგვეთის კეისარი ტახტიდან ... (თ. რ.). 4. მტრები არიან — მოეკლათ და ... (ა. ყ.). 5. რუსებმა გადასახლებულნი ... და პეტერბურგში გადაიყვანეს (მ. ჯ.). 6. ოვანესმა უყვარჯენი.... (ს. შ.). 7. (გიორგიმ) ჯიგო ხელიდან ... (ი. ჭ.). 8. ვაჭარმა (...) ერთი თუმანი ... (ს. შ.). 9. გახსნილია ჯამში მარილს და ... მშრალ ქერის პურს (ვ. ფ.). 10. ის გოჭი გაიზრდება და თორმეტ გოჭს ... (ს. შ.). 11. ... ალარ შემოვადგმევინოთ ფეხი ტყეში, — შრიალებდა ვერხვი (თ. რ.). 12. (კაჭკაჭმა) დილაზე ადრიანად შვილებს ზოგი ვაზისა, ზოგი კაკლის ფოთოლი ... (ვ. ფ.). 13. მარინე ქათმებს საკენკს ... (ს. შ.).

V. (მოკვლა — დახოცვა). 1. (დიამბეგმა) ... ბარტყები (ვ. ფ.). 2. ..., გავსრისოთ, მოვიშოროთ თავიდან, თორემ სულ დაგვღუპავს! (თ. რ.). 3. მტრები არიან ... და გადავყაროთ (ა. ყ.). 4. სოფელს თურქები დასცემოდნენ, მცხოვრებლებს არბევდნენ და ... (ს. შ.). 5. ან... ერთმანეთს ან გადაგვიყვანენ სხვა საკანში (ნ. ლ.). 6, ბავშვმა არ ... ბარტყები (თ. რ.). 7. დედაჩემმა მითხრა: მოდი, ერთი ხარი ... და იოლად წავიდეთ (ს. შ.). 8. თავადის ეზოში, თორნესთან, მოზვერი ... (ნ. ლ.). 9. ერთ ბებერ დედაკაცს კატომ სულ ერთიანად ..., რაც რომ მამლები ჰყავდა (ნ. ლომ.).

VI. (სმა — სხმა). 1. ლექსომ სად ... ქათმები, რომ ქანდარა არსადა ჩანს (ვ. ფ.). 2. საჩქაროზედ ... ბავშვებმა ბარტყები და სიხარულით გასწიეს სოფელში (თ. რ.). 3. ლექსომ ქოჩორა ... ახალ ქანდარაზე (ვ. ფ.). 4. (დავითმა) თებრონე მაგიდასთან ... (ს. შ.). 5. ვენახი უპატრონოდ გვრჩება! ახლა რომ ციხეში ... (ს. შ.). 6. სვიმონი მიეშველა, (მზაღრა) ... ტახტზე (ა. ყ.). 7. (ქათმებს) ოთხივეს ხომ ერთად ვერ ... (ვ. ფ.).

ცნობისათვის. ქართულში ერთი ჯგუფის ზმნებს სუბიექტისა და ობიექტის რიცხვის გამოსახატავად საკუთარი ფორმები არ მოეპოვება. მხოლობითში ერთი ფუძე იხმარება, მრავლობითში კი — მეორე. შენაცვლებას აგვიანებს სუბიექტური და ობიექტური პირების ორსაევე რიცხვში — როგორც მხოლობითში, ისე მრავლობითში.

1. ეთხუ ითქმის ჯდომა, მრავალზე სხდომა. მე ვზივარ, მაგრამ ჩვენ ვსხედვართ, მე ვიჯექი, მაგრამ ჩვენ კისხედით. თუ სუბიექტი კრებითი სახელია (ვთქვათ ხალხი), მაშინ მრავლობითის ფორმა მხოლობითში უნდა ეიხმაროთ: ხალხი დასხდა ვახშმად (ა. ყ.).

2. ერთზე ითქმის ვარდნა, მრავალზე ცვენა. ბუზი წყალში ჩავარდა, მაგრამ ბუზები წყალში ჩაცვივდნენ. მრავლობითის ფორმაა საჭირო მხოლობითში მაშინ, როცა სუბიექტად კრებითი სახელია (ვთქვათ ხალხი) ან ისეთი სახელი, რომელიც მთლიანი არ არის და ნაწილებად იშლება (მაგ.: ფქვილი, ნაცარი, ფეტვი და სხვ.). ხალხი მდინარეში ჩაცვივდა; „ივანეს ცალ თვალში მტვერი ჩაუცვივდა“ (გ. რ.).

3. ერთზე ითქმის კვდომა, მრავალზე — ხოცვა, ის კვდება, მაგრამ ისინი ხოცებიან. ზოგჯერ „ხოცვა“-ს ადგილას გვხვდება „ამოწყდომა“: კიდევაც დაიხოცებიან ალგეთს ლეკები მგლისანი, ისე არ ამოწყდებიან, ჯავრი არ ჰქონთ მტრისანი (მ. ჯ.).

4. თუ სუბიექტი მხოლობითშია, ითქმის გდება, თუ მრავლობითში — ყრა. მე წყალში ქვას ჩავაგდებ, მაგრამ ქვებს — ჩავყრი. ყრა ფუძე გამოიყენება ავრეთვე, როცა ობიექტად კრებითი სახელია, ან ისეთი სახელი, რომელიც მთლიანი არ არის და ნაწილებად იშლება: „ალაზანშია ვყრიდით ძროხასა“ (ი. ჭ.); ქათმებს საკენკი დაეყარე (ს. შ.). ამ ზმნის ენებითად ქცევის დროს იგი გარდაუვალი გახდება და შენაცვლება იწარმოებს სუბიექტური პირების მიხედვით: მკლავებმომტვრეული ეკაკცივით ეგდო უზარმაზარი მუხა (ნ. ჯ.); თაკმოკრილი ცხვრები რიყესავით ეყარა (ვ. ფ.).

5. **მოკვლა** ფუძე ობიექტის მოღონით რიცხვს აღწევინებს, ხოლო **დახოცვა** — მრავლობითს: მე მგელი მოვკალი, მაგრამ მგლები დავხოცე, ჩვენ მგელი მოვკალით, მაგრამ მგლები დავხოცეთ.

6. ერთ ობიექტზე ითქმის **სხმა**, მრავალზე — **ხხმა**. მე ბავშვი ნაში ჩავსკი, მაგრამ ბავშვები — ჩავსხი, ჩვენ ბავშვი ნაში ჩავსვით, მაგრამ ბავშვები — ჩავსხით.

სხმა შეიძლება სხვა ზმნასაც შეენაცვლოს, ოღონდ სხვა შინაარსით. მაგ.: შობმა — მოსხმა, დაცემა — დასხმა. ერთზე ითქმის მოიპა, ბევრზე — მოსხა. თავს დაეცა ერთი და თავს დაესხა მრავალი. „ვაზს მართლა კარგად ესხა“ (დ. კლდ.). „გერმანელები თავს დაგეესხნენ“ (გ. რ.).

შენიშვნა. ერთმანეთს ენაცვლება აგრეთვე **ტეხა** — მტვრევა, **ალეწა** — აკრეფა: ჰქა გატეხა — ჰქები დაამტვრია, კაკალი გატეხა — კაკლები დაამტვრია; მაგ.: „მისი მკლავი ისე ვერაგულად მოიგდო და მოსწია, რომ შუაზე გადაუტეხა (მ. ჯ.); ნენეს ეგონა, დაეთით თაეზე კაკალს დაამტვრევდა (ს. შ.); „მტვრეევას“ ზოგჯერ „მსხვრეევაც“ ენაცვლება: „ჰიქები დაამსხვრიაო“, „თეფშები დაამსხვრია“, „მის უკან კარადის მინა დაიმსხვრა“ (დ. კ.).

ასევე ენაცვლება ერთმანეთს **ალეწა** — აკრეფა: „მიწაზე დავარდნილი მარცვალი აიღო, მაგრამ მიწაზე დაცვივნული მარცვლები აკრიფა. „გრძელწვეროა ბებერი სიმონა [...] მანქანიდან ჩამოცვენილ ბოთლების საცობებს კრეფს“ (ა. ხ.).

ზმნიზედების, თანდებულებისა და თანდებულიანი სიტყვების მართლწერა

1. ზმნიზედები

სავარჯიშო 230. გადაიწერეთ, მიეცით საჭირო დაბოლოება სიტყვებს წერტილების ადგილას.

I. 1. გარე... თოვდა (დ. კ.). 2. ესენი ამ ლაპარაკში იყვნენ გართულნი, როდესაც ზევი... დაღმართებიდან ერთი ცხენოსანი გამოჩნდა (ა. ყ.). 3. ეგრე... გონება ხალისიანი არსენას ამბით მე მეზრდებოდა (ი. ჭ.). 4. ზემო... ვსთქვი, რომ სპარტანულად გვზრდიდნენ-მეთქი (ა. წ.). 5. ამას წინა... ახატნელები თეატრში იყვნენ (მ. ჯ.). 6. წინა... აქ ცხოვრობდნენ თავისუფლებისმოყვარე ჩერქეზები (ნ. კ.). 7. აბა წარმოიდგინეთ ერთი მხრი...(მხრი...) თავისუფალი, შეელივით მონავარდე სოფელი ბავშვი და მეორე მხრი... (მხრი...) „დაჩანჩურებული“ ქალაქელი ყმაწვილი (ა. წ.). 8. ალბა... იცის, რომ სასიკვდილოდ დაჭრილი გმირი მოჰყავს, ალბა..., ესმის მიდამოს ჩვენი ნაღველი (ტ. ტ.). 9. ჰალაში ოც ხეზე, ანუ, უკე... რომ ვსთქვათ, ოც ჯაგზე მეტი არ იდგა (ვ. ფ.). 10. ტახტზე იჯდა თამარ მეფე, მომხიბლავი, ეშხიანი მარცხნი... ედგა თინათინი, მარჯვნი... ნესტან-დარეჯანი (ა. წ.). 11. მუცელი ჩემს ქვევი... არის და არა ჩემს ზევი... (ი. გ.).

12. ეს სულ იმ ბებერ არწივს ბრალია, ჩემს გვერდი... რომ ბუდობს (ვ. ფ.).

II. 1. მზალი ჩუმა... წამოდგა (ა. ყ.). 2. მთიული მთლა... გაფითრდა ამგვარა... დამცირებისათვის (ა. ყ.). 3. ამაო... ვიარე, რომ საქ. უცხოელთან კავშირის საზოგადოების სხდომას დავსწრებოდი (გ. ტ.). 4. მთაში საზოგადო... იყო ჩვეულება ტყვეების მოყვანა და იმათი დამონება (ა. ყ.). 5. კარიკატ კარგა... ვაკთხულობდი (ა. წ.). 6. სრულ... ერთმანეთის წინააღმდეგ ბუნების მექონ ადამიანთ ხშირა... ჰქონდათ ერთმანეთში საყვედური (ა. წ.). 7. რომ სიტყვა არ გაეგრძელ. მოკლე... ვიტყვი (ა. წ.). 8. ერთ ხანს მარჯვე... იყვნენ მოწაფეები (ა. წ.). 9. აი. დედავ, — მიუბრუნდა უცბა... მღვდელი დედაბერს, — წუხელ რომ გაახარი. გაბრიელი — ეს არის (ი. ჭ.). 10. ანაზდა... მოყმე გამოჩნდა კუშტი, პირ-გამკუშავია (რუსთ.). 11. არ იცი, რომ შენი საქმეც დღეიდან წავა ცერა...ა (ვ. ფ.). 12. უთუო... ამ სისხლის გამო მარიდებს პირიმზე თვალსა (ვ. ფ.). 13. სიმდიდრეც ჰქონდა, ძღვენიც ბლომა... მოსდიოდა (ვ. ფ.). 14. დიამბეგობა რომ მიიღო (...), სწორე... გაფხორილ მამალ ინდაურს დაემსგავსა (ვ. ფ.). 15. ამბობენ: „აშკარა... ჩანს ქუდები კლღეზე, ზოგი თეთრა..., ზოგი შავა..., სხვა წითლა... და ლურჯა...აო (ვ. ფ.). 16. ცერა... გადავიხარე ხელსაბოცისაკენ (შ. ა.).

ცნობისათვის. ზმნიზედები ქართულში მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ფორმათაგან მიიღება. მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის თ დაბოლოებით გაფორმებულია პირველადი ზმნიზედები (წინათ, ზემოთ, ქვემოთ...). დონზე დაბოლოებული ზმნიზედები დგას ვითარებით ბრუნვაში (თეთრად, ბეჯრად, ძველად...), როგორც ვხედავთ, ზმნიზედები ბოლოვდებიან როგორც თ-ზე, ისე დ თანხმოვნებ-ზე.

ზმნიზედების მართლწერისათვის საჭიროა შემდეგი წესის დამახსოვრება:

1. მოქმედებით ბრუნვაში დასმული ზმნიზედა -თ დაბოლოებით უნდა დაიწეროს: წინათ, ქვემოთ, ზემოთ, აქეთ, იქით, გარეთ, უკეთ (შემოკლებული სახეა სიტყვისა უკეთესად), მარცხნით (მარცხნივ), მარჯვნით (მარჯვნივ), ეგრეთ, მხრით (მხრივ), ალბათ...; შეცდომაა: წინად, ქვემოდ, ზემოდ, ალბად და სხვ.

2. ზმნიზედები, რომლებიც ვითარებით ბრუნვაშია დასმული და მიუგებენ კითხვაზე როგორ? — უნდა დაიწეროს დონით: კარგად, ჩუმად, უცბად, წესიერად, უქმად, ბლომად, გაისად, მთლად, ადვილად, და სხვ. შეცდომაა: კარგათ, ჩუმათ, უცბათ, წესიერათ და სხვ.

2. ზერწყმული თანდებულები

სავარჯიშო 351. დაბოლოეთ თანდებულების დართვით ქვემოთ მოყვანილი სიტყვები წინადადებებში.

I. 1. ასიოდე წლის შემდეგ სამი პარალელური მოძრაობა იქნება ალბათ ქვეყანა...: მიწა..., მიწის ზევით და მიწის ქვეშ (კ. გ.). 2. ამ

ჯარში უფროსად მყოფი ოფიცერი მთიულს [illegible] (ა. ყ.). 3. ხუთივენი ეცნენ, ის თოკი ფეხ[illegible] (მ. ჯ.) 4. ესტრად... ცეკვის სიმღერა მოსდევდა (მ. ჯ.). 5. (ზურაბმა) ჯერ გაიარ-გამოიარა, შერე ტაბტ... მიწვა, თავი მუთაქა... მისდო ღა ჩასთვლიმა (მ. ჯ.). 6. ჭეთო მართა... უფრო მაღალია (მ. ჯ.). 7. ეზოში ანტონის შვილი ლეკვანი კეღელ... მიდგმულ კიბის თავ... იდგა (მ. ჯ.). 8. მარიამი სკამ... ჩამოჯდა (მ. ჯ.). 9. ამ საკითხ... მათ შორის დიდი კამათი იმართება (ა. ჭ.). 10. ცა... და ხმელეთ... ფერების ლიცლიცი იწყება (კ. გ.).

11. 1. სასტუმროებ..., ბარებ..., ტრამვაიებ... ტევა აღარაა. ვალიუტა ეცემა და სპეკულიანტები მთელი ქვეყნისა ბერლინ... შეგროვდნენ, რათა ნაალაფარ... თავადაც დაიღონ ნაწილი (კ. გ.). 2. აკვან... პატარა ტიკინა იწვა (მ. ჯ.). 3. თავადაზნაურობა ჩამოიხვეტია ქუთაის... (შ. დ.). 4. ანდროს ასეთიე დიდი ალაგები ეპირა საგუბერნიო სამმართველო..., სათავადაზნაურო საკრებულო... და საადგილმამულო ბანკ... (მ. ჯ.). 5. ჩვენებიანთ ეენახ... ჩვენი კამეჩი შეპირველა (ი. ჭ.). 6. ჩავედით ქალაქ... (ი. ჭ.). 7. სჯობს მონობა... გადიკვაცებულს, თავისუფლების ძებნა... მკვდარი (ა. წ.). 8. ამ ჯარ... ღვთისად მყოფი ოფიცერი მთიულის სიტყვებზე აირია (ა. ყ.).

ცნობისათვის. ზე თანდებულის პირვანდელი სახეა ზედა მისი მეორე მარცვლის და ნაწილის ჩამოშორებით. XIX საუკუნის მწერლებთან გვხვდება გარდამავალი საუსხრის ზედ სახეობა. ზედა—ზედ სახეობათაგან ერთადერთი სწორი ფორმაა ზე, თუ თანდებულიან სახელს არ დაერთვის ნაწილაკი: ხელზე, თავზე, მიწაზე. წყარო ზე..

შენიშვნა 1. ა) როდესაც თანდებულიან სახელს დაერთვის ც(ა) ნაწილაკი, ზედა სახეობა რჩება უცვლელად: ხელზედაც, თავზედაც, მიწაზედაც, წყაროზედაც... „იქნებ ბიჭიღის კლდეც და, როგორც თავისი შვილი, გულზედაც შიმიკოს და ხარბად დამიგდოს ყური (ი. ჭ.).

ბ) როდესაც თანდებულიან სახელს დაერთვის ვე ნაწილაკი, უნდა იხმარებოდეს ზედ: ხელზედვე, თავზედვე, მიწაზედვე, წყაროზედვე, ძველი სახეობა შეიძლება იხმარებოდეს ლექსებში: „თოლი დამდნარა მთაზედა, ხეევებზე მოჰყეფს ღვარია".

2. ში თანდებული მიცემით ბრუნვას დაერთვის. ძველ ქართულში ეკონდა შინა. ახლანდელი ში შერწყმულია ბრუნვის ფორმასთან და ში-ს გაგლენით ბრუნვის ნიშანი ს დაკარგულია. სახლში მიღებულია ფორმისაგან — სახლსინი. ამიტომ უნდა ვწეროთ: სახლში, ქალაქში, მთაში, მდინარეში, წყაროში...; ს თანხმოვანზე უშუალომავარებულ სახელებთან — თბილისში, ქუთაისში, თასში, ორასში; შეცდომაა თბილიში ან თბალისში, ორაში ან ორასშიში...

შენიშვნა. ც(ა) ნაწილაკის დართვისას ში სახეობასთან ერთად შეიძლება იხმარებოდეს შიც: ქალაქშიც, სოფელშიც, სახლშიც..., ქალაქშიაც, სოფელშიაც, სახლშიაც... ამ შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიეცეს პირველს[1].

[1] ნორმ. 103.

სავარჯიშო 332. გადაიწერეთ, დაამთავრეთ არსებითი სახელები სათანადო თანდებულების დართვით.

I. 1. მოწინავე ხაზ... ვიდექით (მ. მ.). 2. უმალვე ათასმა კაცმა იხტვლა და საჭიდაო ასპარეზ... გმინვა-ყიჟინით შეჰკრა პირი (მ. ჯ.). 3. ნიგოზ... შემომესწრო (...) ნიგოზს ვხალავდი (დ. კლდ.). 4. ველ-მინდვრებზე აბობინებული პურის თავთავები მწიფობაში შევიდა. 5. 1925 წლის ზაფხულში მოეწყო ექსპედიცია იალბუზ... (ნ. კ.). 6. თითო ძირ ვაზ...ე თითო ფუთი ყურძენი ჩამოდიოდა (ა. ჭ.). 7. გულის ყაფაზ... დაცურებული ხანჯლის წვერი ნეკნებს შორის შესულიყო (ა. ჭ.). 8. „უთხარით, დასწეროს მოთხრობა თევზ... და იგი სწორედ დასწერს“ (გ. ტ.). 9. „ცისკრის ვარსკვლავი გზ... მორეკა თავისი სამწყსო (ვ. ფ.). 10. თითქოს ნატყორცნი ისარი ზედ გულის კოვზ... დაესო (ვ. ფ.). 11. რომელ არმაზ... ლაპარაკობ? (დ. კასრ.). 12. ყველაზე წინ ჭურუმნი მიდიოდნენ ცოცხალი ყვავილების ფიანდაზ... (დ. კასრ.). 13. (მამალი) დეზს დეზ... ისვამდა (ვ. ფ.). 14. (გოგია) ცეცხლის გუზგუზ... ჩაფიქრდა (ე. გ.). 15. ... ოპერისა და ვანო სარაჯიშვილის ჯადოსნური ხმისა და თამაშის წყალობით მაგიური ზეგავლენა მოახდინა ჩვენზე, მთელ დარბაზ... (ა. ჭ.).

II. 1. (ნიბლია) მის შიშ... იყო, ვაი თუ ან მტერმა წამიხდინოს ბუდე და ან გამიცივდეს კვერცხებიო (თ. რ.). 2. პური ხელით დავგლიჯეთ, ხაშ... ჩავყარეთ და ჩავაბუებუეთ (ა. ჭ.). 3. მთიელმა ხანჯალი ქარქაშ... ჩააგო (ა. ჭ.). 4. იმას დღესა ჰგონებოდა ახალი წელი, ანგარიშ... შემცდარიყო (ვ. ფ.). 5. ახლა თბილისის ყარაჩოხელთა უკანასკნელ ნაშიერს ულვაშ... თეთრი გასჩენოდა (ა. ჭ.). 6. პატარა ორთონი ობლობას და უთვისტომობას ახლა პატარა ნაისთან თამაშ... იკლაედა (დ. კასრ.). 7. გვყავს მოსწავლეთა რესპუბლიკური ნაკრების წევრები ცურვაში, რეგბიში, კალათბურთში, ფეხბურთში, შაშ... (გაზ. „ლელო“). 8. ზეიმი ვანის რაიონული ცენტრიდან სოფელ შყვიშ... გადაინაცვლებს (გაზ. „ლიტ. საქართველო“). 9. საილუსტრაციო ნიმუშ... პირები სახელებით უნდა იყოს წარმოდგენილი (მ. თ.). 10. სარაკამიშ... უმეტეს ნაწილად სომხები ცხოვრობენ (გ. ტ.). 11. თავის დროზე მაგას ოდიშ... ჰკუით და ნასწავლობით ვერავინ სჯობნიდა თურმე (შ. დ.). 12. ერთ კარგ მსუქან ბოზბაშ... ამოვლებული ჰურის ლუკმა მთელ ქვაბ ჩიხირთმას მირჩევნია (ი. ჭ.). 13. ბალიშ... ჩაყო თავი (შ. ა.).

III. 1. საქართველო ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნიდანვე ცდილობდა ქრისტიანულ ქვეყანასთან — რუსეთ... კავშირის დაჭერას (ა. ჭ.). 2. იმ წამსვე კედელზე დაკიდებულ კარგა მოზრდილ სურათ... მიიყვანა სტუმარი ნადიამ (დ. კ.). 3. მანქანა დაიძრა, მალე წყალწი-

თელას ხიდი გადაიარეს და აღმართ... შეჩერდნენ (დ. კ.). 4. ამაოდ ვიარე, რომ საქ. უცხოეთ... კავშირის საზოგადოების სხდომას დავსწრებოდი (გ. ტ.). 5. კახეთ... შედარებით, ბაღ-ხეხილებიც ნაკლებობდა (ლ. გ.). 6. წარმოქმნილ სიტყვას მაწარმოებელ სართ... ერთად დამოკიდებულების აღმნიშვნელი სუფიქსებიც აქვთ (მ. თ.). 7. საჩქარო საქმე მაქვს დავით..., ძალიან სასწრაფოდ გვჭირდება (ს. შ.). 8. მათ... ერთად მოვიდა პატარა შავი ძაღლი (ს. კ.). 9. ეს გაზრდილ-გამზრდელობა აკავშირებდა ერთმანეთ.... სხვადასხვა წოდებას (ა. წ.). 10. იმათ... ერთი სოფლელი იყო (ა. ყ.). 11. იასონი მუდამ ატარებდა (ხატს) ძეწკვით საათ... ერთად (ე. ნ.). 12. კვლავ განახლდა საქართველოს თურქეთ... ურთიერთობა. 13. შაჰ-აბასი თურქეთ... ომის განახლებისათვის ემზადებოდა (ლ. გ.). 14. რა ძვირფას ისტორიულ მასალასთან და ნაშთ... უნდა ჰქონოდა საქმე, სულ ერთი იყო (ლ. ქ.).

ცნობისათვის. 1. სახელი, რომლის ფუძე ზ ასოთი მთავრდება და იგი დაბრთავს ზე თანდებულს, ორი ზ-თი უნდა დაიწეროს (ცოვზზე, იალბუზზე, თევზზე...).

2. ორი შ იწერება შ ასოთი ფუძედამთავრებულ სახელებთან, რომლებსაც ში თანდებული დაერთვის (ცომშში, კულაშში, ანგარიშში...).

3. ორი თ იწერება თ ასოთი ფუძედამთავრებულ სახელებთან, რომლებსაც თან თანდებული დაერთვის (თითთან, ბურთთან, კალათთან...).

სავარჯიშო 353. მოიგონეთ ზ-ზე, ზ-ზე და თ-ზე ფუძედამთავრებული სახელები და დაურთეთ შესაბამისად ში, ზე და თან თანდებულები, შეადგინეთ პატარ-პატარა წინადადებები მათი გამოყენებით.

ნიმუში: კულაშში, თევზზე, ბურთთან... „ვანო თამაზზე უკეთ სწაელობს“.

სავარჯიშო 354. გადაიწერეთ, წერტილების ადგილას ჩაამატეთ გამოტოვებული ასოები.

I. 1. ერთი თვალის დახამხამებაზე ვეფხვ...ვით სუფრაზე ახტა კოსტას ძმა (დ. კლდ.). 2. კაცო, არ გითხარი, ნაოჭი გარმონ...ვით გაკუთე-ჰეთქი (მ. ჯ.). 3. ეს სიტყვები ისარ...ვით ეცა გულზე კორინთელს (ა. წ.). 4. ღაზლის ძაფ...ვით გაბლანდულს, ქალის თეთრი ლეჩაქ...ვით გაწოლილ ნისლში (...) მთის მწვერვალები იმალებოდნენ (ა. ქ.). 5. მენშევიკური არმიის ოფიცრები ჰირშეყრილ კაც..ვით გაურბოდნენ მას (ა. ქ.). 6. იმანაც კამეჩ...ვით მიაშურა ახალგაზრდას (ა. წ.). 7. ქათმები ჩიტებ...ვით დაფრენენ ტოტიდან ტოტზე (ნ. ლ.). 8. ამირანი იმ დღეებში ნაცემი ძაღლ...ვით დაბარბაცებდა (მ. ჯ.).

II. 1. ეს ღირსება მეტადრე საჭირო იყო (...) პატარა ქვეყნ...თვის (ი. გ.). 2. ონისე ძმის მოშორებ...თვის არც ეგრე აიტკივებდა თავს

(ა. ყ.). 3. მართა ბინ...კენ გაემართა (ჰ. ჯ.). 4. ხუთივეს სასიცოცხლო ხალისი სიყვარუ...გან ყელში აწვებოდა (მ. ჯ.). 5. ბავშვებმა ზღვ...გან ტირილი მორთეს (ი. გ.). 6. ირემი მიცურავდა ზღვაში პირდაპირ უფსკრული...კენ (ვ. ფ.). 7. ბევრჯერ მინახავს ირმები დამფრთხალი, ძაღლ...გან (ი. ჭ.). 8. რაღაცნაირ პროკლამაციების აწყობ...თვის სამი წლის ციხე ან სამუდამო გაციმბირება მოელის (მ. ჯ.). 9. დღეს მელა ისევ გაემგზავრა ცნობილის საქათმ...კენ, (ი. გ.). 10. ვაჟებ...თვის საფოლაქეები გასაყარად თითო ვარდი იყო დამზადებული (ნ. ლ.). 11. ზაზ ელიზბარ...თვის თვალყურის გიდევნებიათ (მ. ჯ.). 12. მთიული მთლად გაფითრდა ამგვარად დამცირებ...თვის (ა. ყ.).

ცნობისათვის. 1. თანსდევნებიან სახელებთან ერთ თანდებული შეიძლება დაერთოს როგორც სახელობითის, ისე მიცემითის ფორმას: კაციერთ||კაცსავით, ლომიერთ||ლომსავით, ქარიერთ||ქარსავით...

უპირატესობა უნდა მიეცეს ვით თანდებულის ხმარებას მიცემით ბრუნვასთან, მისი ხმარება სახელობითთან დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული.

2. მინდობით თვის, გან, კენ თანდებულის დართვა ნათესაობითი ბრუნვის როგორც გერობილ, ისე გაუჯერებელ ფორმაზეც: ძმისათვის||ძმისთვის, ქალაქისაკენ||ქალაქისკენ, ძმისგან||ძმისგან..

სავარჯიშო 328. გადაიწერეთ, დაბეჭდეთ ბოლოში მდე, მდის თანდებულთა სახეობები ქვემოთ მოცემულ სიტყვებს ერომანეთის გვერდიგვერდ.

ქალაქ...ა, სოფლა..., მდინარე..., ქარხანა..., სკოლა..., თბილისა..., მოსკოვა..., საბლა..., მკვობრა..., ხე..., წყარო..., მთა..., კლდე..., ჩემა..., შენა..., მანა..., თქვენა..., სიცოცხლე..., დაწყება..., დამთავრება..., აშენება..., გაზაფხულ...ა..., შემოდგომა...

ნიმუში: 1. ინსტიტუტამდე||ინსტიტუტამდის.

2. . . .

ცნობისათვის. სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმას შეიძლება დაერთოს თანდებული მდე ან მდის: სოფლამდე||სოფლამდის, წყარომდე||წყარომდის... ამათგან უპირატესობა ეძლევა მდე სახეობას.

სავარჯიშო 329. გადაიწერეთ, წერტილების მაგიერად ჩაამატეთ გამოტოვებული ასოები.

1. ქვითკირის სახლი...ან გამოვიდა გარეთ ფერმკრთალი, ცოტა გამხდარი კაცი (ნ. ლომ.). 2. ამას ქმრი...ან დარჩა ნახევარგუთნეული საკრეველი (ი. ჭ.). 3. მელას პირში ენა კინაღამ გაუდნა ნერწყვი...ან (თ. რ.). 4. მგელ-ძაღლები...ან დამცრთხალმა ნადირმა დატოვა თემ-

[1] ნორმ. 104.

[2] იქვე. 103.

შარა (კ. გ.). 5. ჯიხვი ადგილი...ან არ იძეროდა (თ. რ.). 6. თაგვებს ბუმბერაზებს, როგორ დაეხსნათ ფიცხელა საპყრობილი...ან (ვ. ფ.). 7. სიტყვა ის არის, კაცს ის უყვარდეს, ვინც ბედი...ან დაჩაგრულია (ი. ჭ.). 8. ომარაშვილმა დაიხსნა გაჭირვები...ან სამართალი (ი. ჭ.). 9. იგო მორჩა და განთავისუფლდა ჭრილობი...ან (ა. ყ.). 10. მისი პირი...ან უპრალო საჩივარიც კი არავის გაუგონია (ა. ყ.). 11. სურათი...ან შემარხული ქედუდრეკი სვეტი კოხტის ნიშანივით იმშვენებოდა (ლ. გ.). 12. ასეზაზე კი ხელი აიღეთ. უეცრივ შემოგვტრა სვიმონმა, — ამაოა, ძლიერია სვეტი! ჩემზე მოდღევებული ხალხი...ან მსმენია, ერთს უცდია. წინდაწინ ძალის მოსაკრებად ორმოცდაათი კვერცხი შეუჭამია (ლ. გ.). 13. ამ დროს ქარმა ხელახლა დაუბერა მტკვრის ხეობა...ან (დ. კასრ.). 14. ქვი...ან ციხეებს აგებდნენ ჩვენი წინაპრები (შ. დ.). 15. ერთხელ გიგლამ ხმელი ტოტება...ან ბლოკად შეშა დაამზადა (ს. შ.).

ცნობისათვის. თანდებული -ან დღეისათვის როგორც ნათესაობითს, ისევე მოქმედებით ბრუნვაში დასმულ სახელებს. მაგრამ მათ შორის განსხვავებაა. კითხვები: ვისგან? ან რისგან? ეწყობა ნათესაობითს: ძმისავან, ხისაგან. ვისგან მიიღე წერილი? ძმისაგან, მეგობრისაგან; რისგან გაკეთებული ხიდი? ქვისაგან, ხისაგან...; კითხვაზე საიდან? ეწყობა მოქმედებითს (ქალაქთანან—ქალაქიდგან—ქალაქიდან). საიდან ჩამოხვედი? — ქალ-ქიდან, სოფლიდან, ტყეიდან... ამიტომ ენა ეოქვით და ეწერათ ძმისავან (და არა ძმიდან) წერილი მიეღე; სკოლიდან (და არა სკოლისაგან) წავედი და სხვ.

სავარჯიშო 329. გადაიწერეთ, დაბოლოეთ და კავშირის წინ მდებარე ადგილებში სჭირდება.

1. სამწყვდესურში, მინდორ... და ტყეში წასვლა და იქ დარჩენა ჩემთვის სამოთხე იყო (ა. წ.). 2. ეს ღედაკაცი დიდს წვა... და დაკვაში იყო (ა. ყ.). 3. ქართლში ერისთავები 1921 წლამდე ცხოვრობდნენ: ახალგორში, ოძისში, შეკვრისევში, ქვეშში, არეევში, ფლავში, ტყვავში, კარალეთში, ხიდისთავში, დოესში, შინდის... და ქიწნისში, მაგრამ ამ უკანასკნელი ორი სოფლიდან ადრე წავიდნენ (ნ. კ.). 4. ფიქრობს ხმელი წიფელი თავისთავზე, წარსულზე, აწმყოზ.. და მომავალზე (ვ. ფ.). 5. დამწყვდეული საქონელი შიშილ... და წყურვილისაგან ძირს ეფინა (რ. გ.). 6. მთლად ტყავში, ნაბად... და ყაბალახში გახვეული პატარა ბიჭი ცხენს მიერეკებოდა (ა. ყ.). 7. (ჩობა) უფრო შემოდგომის ხიდან ჩამოვარდნილ ფოთოლსა ჰგავდა სიძველ... და გაურეცხაობის გამო (თ. რ.). 8. მძიმე ღელი მე მიწევია ჩემ სახლ-კარი... და ოჯახისათვის (ი. ჭ.). 9. ბულბულები ჭიკჭიკებ... და ტყეებში საამურად უსტვენდნენ (ი. გ.). 10. დიდ ვაება... და საგონებელში ჩავარდა თაგვების გუნდი (ვ. ფ.).

ცნობისათვის. 1. თუ ერთი და იგივე თანდებული მოედის ორზე მეტ სიტყვას (ერთგვარ წევრებს) და უკანასკნელს წინამავალთან და კავშირი აერთებს, თანდებული უნდა დაეურთოთ ყველას, ხოლო და კავშირის წინ მდგომი უთანდებულოდ, გავრცობილი ფორმით უნდა ეიხმაროთ.

2. თუ თანდებული დაერთოს და-თი შეერთებულ ორ სიტყვას, საკმარისია მისი ხმარება ბოლო სიტყვასთან: ეგ თქვენი სურვილისა და გადაწყვეტილებისათვის მომინდვია (ე. გ.).

8. ცალკე მდგომი თანდებულები, ზმნიზედები

სავარჯიშო 858. გადაიწერეთ, დაბოლოეთ სათანადო ბრუნვის ნიშნის დართვით ქვემოთ მოყვანილი თანდებულიანი სახელები.

1. მეგობრებ... შორის, ამხანაგებ... შორის, ძმებ... შორის, დებ... შორის, თბილ... და გორ... შორის, ორ მთ... შორის, ორ ზღვ... შუა, ორ მთ... შუა, თვალ... და ხელ... შუა...

2. ამხანაგ... გარდა, გარდა ამხანაგ..., ამ... გარდა, გარდა ამ..., მთ... იქით, მთ... აქეთ, მდინარ... გაღმა, მდინარ... გამოღმა, სოფლ... გაღმა, სოფლ... გამოღმა, სახლ... უკან, კლდ... უკან, ამ... შემდეგ (შემდგომ), საუბრ... შემდეგ (შემდგომ), ამ... შემდეგ (შემდგომ), მაგ... შემდეგ (შემდგომ), ოთხი წლ... წინათ, საუკუნ... წინათ...

3. ხიდ... ქვეშ, ამ... ქვეშ, მაგ... ქვეშ, ამხანაგ... გამო, გაჭირვებ... გამო, ხალხ... წინაშე, ამ... წინაშე, მაგ... წინაშე, იმ.... წინაშე, ბავშ... მიერ, მონადირ... მიერ, მაგ... მიერ, სოფლ... ზევით (ზემოთ), სოფლ... ქვევით (ქვემოთ), ამხანაგ... მაგიერ, ამ... მაგიერ, იმ... მაგიერ, ქალაქ... ახლო (ახლოს), იმ... ახლო (ახლოს), ქალაქ... მახლობლად, ამხანაგ... მსგავსად, სახლებ... ირგვლივ, კლდ...გასწვრივ, წყლ... პირას, ბაღ... პირდაპირ, დაძახებ... უმალ, სოფლ... ბოლოს, მუხ... ძირს (ძირას), მორიდებ... გარეშე, იმ... გარეშე, ამხანაგ..., ნაცვლად, იმ... ნაცვლად, შენობ... გვერდით...

ცნობისათვის. ცალკე მდგომ თანდებულებსა და ზმნიზედასთან სახელის შეწყობის დროს მოსალოდნელი შეცდომების თავიდან ასაცილებლად უნდა ვიცოდეთ:

1. **შორის** და **შუა** იხმარება ყოველთვის მიცემით ბრუნვაში დასმულ სახელთან: ამხანაგებს შორის, თბილისსა და გორს შორის, თვალსა და ხელს შუა...

2. ა) **გარდა** იხმარება ნათესაობითთან: ამხანაგის გარდა, გარდა ამხანაგისა, ამის გარდა, გარდა ამისა...

როგორც ჩვეულებრივი გამოთქმა, რჩება მიცემითთან: ამას გარდა.

ბ) **იქით, აქეთ** იხმარება ნათესაობითთან: მდინარის იქით, კლდის იქით...

როგორც ჩვეულებრივი გამოთქმა, რჩება მიცემითთან: ცხრა მთას იქით, ამას იქით, მას აქეთ....

როგორც ჩვეულებრივი გამონათქვამები, I და II პირის ნაცვალსახელებზე ამ ზმნიზედის დართვისას დარჩება: ჩემს იქით, შენს იქით, თქვენს იქით...

ჰქვია და ჰქვია სახეობათაგან ლიტერატურულია ჰქვია; ჰქვია უკუსაგდებია.

გ) უკან იხმარება ნათესაობითთან: სახლის უკან, მანქანის უკან...

როგორც ჩვეულებრივი გამოთქმა, რჩება მიცემითთან: მას უკან, პატარა ხანს უკან, ზურგს უკან, პირს უკან...

დ) გალმა, გამოღმა, გადაღმა, გადმოღმა იხმარება ნათესაობითთან: სოფლის გალმა, მდინარის გალმა, მდინარის გამოღმა....

როგორც ჩვეულებრივი გამოთქმა, რჩება მიცემითთან: ცხრა მთას გადაღმა, ზღვას გალმა, წყალს გალმა, წყალს გამოღმა...

ე) შემდეგ (შემდგომ) იხმარება ნათესაობითთან: საუბრის შემდეგ (შემდგომ), ამის შემდეგ (შემდგომ).

როგორც ჩვეულებრივი გამოთქმა, რჩება მიცემითთან: მას შემდეგ.

3. ნათესაობით ბრუნვას უკავშირდება ზმნისართ-თანდებულები: ახლო, ახლოს, მსგავსად, ირგვლივ, გასწვრივ, პირას, პირდაპირ, წინააღმდეგ, უმალ, ბოლოს, შეხახებ, გარეთ, გარეშე, გარშემო, ნაცვლად, გვერდით და სხვ. .

მდინარის ახლო (ახლოს), ამხანაგის მსგავსად, ტყის ირგვლივ, ხის გასწვრივ, ჭრის წინააღმდეგ, მის ახლო, ამის მსგავსად, მის ირგვლივ, მის მსგავსად...

სავარჯიშო 320. გადაიწერეთ, გახსენით ფრჩხილები.

(ჩემ)გარდა, (შენ)გარდა, (ჩვენ)გარდა, (თქვენ)გარდა, ჩემ(უკან), (შენ)უკან, (ჩვენ)უკან, (თქვენ)უკან, (ჩემ)შემდეგ, (შენ)შემდეგ, (ჩვენ)შემდეგ, (თქვენ)შემდეგ, (თქვენ)შემდგომ, (ჩემ)გამო, (შენ)გამო, (ჩვენ)გამო, (თქვენ)გამო, (ჩემ)წინაშე, (შენ)წინაშე, (ჩვენ)წინაშე, (ჩემ)წინ, (შენ)წინ, (თქვენ)წინ. (ჩემ)მიერ, (თქვენ)მიერ, (თქვენ)ქვევით, (ჩემ)ქვევით, (ჩემ)მაგიერ...

ცნობისათვის. თანდებულ-ზმნისართები: გარდა, უკან, შემდეგ, გამო, წინაშე, წინ და სხვ. (ძირითადად) პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელების ნათ. მოყვეცილ ფორმებს უნდა დაუკავშირდეს (ე. ი. ჩემ, შენ, ჩვენ, თქვენ (სახეობებს), რომლებიც ნათესაობითი ბრუნვის ბადალია: ჩემ გარდა, შენ გარდა, ჩვენ გამო, თქვენ წინ და სხვ. უ მ ა რ თ ე ბ უ ლ ო ფ ო რ მ ე ბ ი ა: ჩემს გარდა, შენს გარდა, ჩვენს გამო, თქვენს წინ და სხვ.

ასევე სანის გარეშე იხმარება: ჩემკენ, შენკენ, ჩვენკენ, თქვენკენ (დ ა ა რ ა: ჩემსკენ, შენსკენ, ჩვენსკენ, თქვენსკენ).

შენიშვნა. უხანო ფორმებია საპირო და წარმოების საერთო წესს მიჰყვებიან შორის და შუა თანდებულდართული ფორმები ჩემ, შენ, ჩვენ, თქვენ ნაცვალსახელებზე. ეს ნაცვალსახელები მიცემითისათვის გამოიყენება და ამიტომ უ ნ დ ა ვ თ ქ ვ ა თ და ვ წ ე რ ო თ: ჩვენ შორის, ჩვენ შუა, თქვენ შორის, თქვენ შუა, შენ და ჩემ შორის, ჩვენ და თქვენ შორის, მე და შენ შორის (ან შუა), მე და თქვენ შორის (ან შუა), ჩემ და შენ შორის და მისთ.

სავარჯიშო 321. გადაიწერეთ, გახსენით ფრჩხილები.

ლოდებ(შუა), ჭერ(ქვეშ), კაკალ(ქვეშ), ფეხ(ქვეშ), თავ(ქვეშ), თვალ(წინ), ცხვირ(წინ), გუშინ(წინ), წყალ(გალმა), ხიდ(გალმა), წყალ(გამოღმა)...

ცნობილია, ერთ სიტყვად ეწერება კომპოზიტად ქცეული სახმოკვეცილი ფორმები: ცოდვაშია, პერკუნ, თვალწინ, წყალგაღმა და სხვ.

სავარჯიშო 361. გადაწერეთ, მართლწერის წესების მიხედვით დაბოლოეთ თანდებულდართული სიტყვები.

1. ამ-სთანა დრამის დამწერს წინ უნდა უძღოდეს ცოდნა ისტორიისა, (...) ღვთისმომადლებული ნიჭ... გარდა (ი. ჭ.). 2. ამ... გარდა ყველა მასწავლებელს ვუყვარდი (ა. წ.). 3. ღობ... იქით თუთია ქვრივი დაინახა (ლ. გ.). 4. ციხეც ზურგ... უკან ჰქონდათ მოტოვებული და ბარიც (ლ. გ.). 5. მთელი ქვეყანა ამ შვილში მოუქცევიათ და იმ... იქით არა სწამთ-რა (ი. ჭ.). 6. ზაქისათვის მგელს კუდი მოეჭამა, სოფლის ბიჭებ... შორის ამ კუდალობით იყო ცნობილი (ლ. გ.). 7. რა ვიცოდი, რომ ბატონყმობ... შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება (ი. ჭ.). 8. იმ... შემდგომ, რაც ხოსტა შილდაურს ცოლ-შვილი დაღუპა, სრულიად გაჩუმებულა ივი (ლ. გ.). 9. მ... შემდეგ აღარ მინახავს კარლ ჰამერი (ა. ქ.). 10. ჭადრ... ქვეშ ბერძენი ფოტოგრაფი დავინახე (ა. ქ.). 11. (ბაღლე) სულ კერ... წინ იჯდა და თაკის გულს ჩასცქეროდა (ე. გ.). 12. ამ... წინათ ახატნელები თეატრში იყვნენ (მ. ჯ.). 13. ნეფე-ღედოფალი მ... წინაშე გაჩერდნენ (მ. ჯ.). 14. მდინარ... გალმა დიგრაგნილი მთები მოჩანდა (ა. ბ.). 15. კი მაგრამ, მეფეც, ანგარიშს უწევე, რა საშინელი უფსკრულ... წინაშე ვდგავართ? (დ. კასრ.). 16. მ... გვერდით დამარხეს საქართველოს დაუძინებელი მტრის, ომარ ხანის ცხედარი (დ. კასრ.). 17. გზ... გასწვრივ, ბილიკზე, ბლომად იყო ნაკვალევი (ლ. გ.). 18. მარო ცეცხლ.... პირას ზის და ცხარედ მოსთქვამს (ე. გ.). 19. სავსე მოვარე ჭალაქს და მ... ირგვლივ ანდიდულ მთებს ღუსაგით ანათებს (ა. ქ.). 20. ბაღდად... მსგავსად აბრიალებული ჯუბა ემოსა (ა. ქ.). 21. (ივანიკამ) მუშა-გუთნეულ... მაგიერად კომლზე თუმანი გასწერა (ე. გ.).

სავარჯიშო 362. გადაწერეთ, გახსენით ფრჩხილები, მართლწერის წესების მიხედვით დაწერეთ ერთად ან ცალ-ცალკე.

1. შეძრწუნებული იქნებიან (ჩვენ)მიერ (ვ. ფ.). 2. მის (თვალ)წინ ულამაზეს გოგონას ლანდმა გაიელვა (დ. კ.). 3. რა გითხრათ, რა კაცი დავინახე (ჩემ)წინ, ხატებს რომ ჰხატავენ, ის იყო (ი. ჭ.). 4. — რა ხარ, კაცო, მანდ?! — შესძახა მწათემ და (ზარ)ქვეშ შეიხედა (ლ. გ.). 5. ჩვენ(შუა) ხიდია ჩატეხილი (ი. ჭ.). 6. (მუცელ)ქვეშ ფეხები გაუბორკეს (ი. ჭ.). 7. ასე საოცრად და ყუჩად ცხოვრობდა ამ ღარიბულ ჭერ(ქვეშ) სამი ცოცხალი და ერთი არა (ლ. გ.). 8. (შარშან)წინ შვილიშვილები მოვუნათლე (დ. კასრ.). 9. შოვიდა და დადგა (ჩემ)წინ (ვ. ფ.). 10. (ჩემ)მაგიერ ხელი მოაწერე (ი. ჭ.). 11. გაგონილა, გაგიგია თუ არა, (ჩემ)წინაშე თავი მოიხარეო (ი. ჭ.).

12. ზაზა, მამის (ზურგს)უკან შემომჰყურებდა, თვალს აყოლებდა ჰაერში მცურავ კვირიონებს (ლ. გ.). 13. (წარბებ)შუა შეხლი ჩაჰნაოჭებოდა (ი. ჭ.). 14. მეც მადლეგრძელოს (თქვენ)შორის, უმცროსი ძმა ვარ თქვენიო (ვ. ფ.). 15. (წყალ)გაღმით იყო საბურავის ჭალა (ს. მ.).

ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმება რიცხვში

საგარჯიშო 96. გადაიწერეთ, დაახლოებით სიტყვები საჭირო ბოლოკრთით.

I. 1. პატარა ბიჭი ციბრუტივით მოტრიალდ... (ი. ჭ.). 2. მან სტუმრებს ხელი ჩამოართვ... (დ. კლდ.). 3. არწივი თავისას არ იშლიდ... (ვ. ფ.). 4. ირემი მიცურავდ... ზღვაში პირდაპირ უფსკრულისაკენ (ვ. ფ.). 5. ობოლი სულ ქვითინებდ... (ი. ე.).

II. 1. ყველა შინმოუსვლელ შვილსა და ახლობელზე ფიქრობდ... (დ. კ.). 2. ზოგიც თავის მხნეობით უვლიდ... სახლს (ა. ყ.). 3. ბევრი ჩასხდ... იმისთანა ალაგას, სადაც ჯერ არ მსხდარიყვნენ (ა. ფ.). 4. იმის ძირობაზე იმას ორიც არ სჯობდ... (ი. ჭ.).

III. 1. მგლის ჯოგი გაქცეულიყ... (თ. რ.). 2. მტერი უახლოვდებოდ... თბილისის შემოსასვლელს (ს. კ.). 3. საქართველოს ჯარი განზრახ იხევდ... (ს. კ.). 4. მთელი ფრინველთა გუნდი წამოიშალ... და შეეგება... წინ თავის მეფესა (ვ. ფ.). 5. აი ამ დროს კურუმს გორაზე მგლის ჯოგი გროვდებოდ... (ვ. ფ.). 6. ხალხი დასთანხმდ... გიგოლას (ვ. ფ.). 7. ხალხმა დაიხურ... ქუდები და დამშვიდებულად დალაგდ... (ა. ყ.).

IV. 1. ნაძვის ძირას ორი მუშა საუბრობდ... (დ. კ.). 2. მას აქეთ ბევრმა დრომ განვლ... (ს. კ.). 3. წინ ორი მგელი შეგვეფეთ... (თ. რ.). 4. ორი ბილიკი ჯვარედინდებოდ... (ნ. კ.). 5. ცის კიდურზე ათასამღე მერცხალი შეკრებილიყ... (ი. ე.). 6. გავარდ... სამი თოფი და გაგის ამალიდან სამი მსხვერპლი დაეც... დედამიწაზე (ა. ყ.). 6. დიდი ნაწილი საძოვრებისა ტყეს მორიგეობდ... (ნ. კ.). 7. ჩამდენიმე ცხვარი უცნაურად ბანდალობდ... (ნ. კ.). 8. მრავალი ათასი წელი გავიდ..., მერცხალი მერცხლად დარჩ, ჭიანჭველა კი ჭიანჭველად (ა. ქ.). 9. რამდენიმე მთიული შორიახლო მინდორზე იდგ... (ა. ყ.).

V. 1. მაიას ჩამოგლეჯილი თმები ეფინებოდ... (ი. ე.). 2. ქალების აგზნებული ხმები მოისმინ... (ს. კ.). 3. იჩეხებოდ... შიმელები (თ. რ.). 4. გაზაფხულზედ, როცა ზვავები დადნებ..., ნაზვრებში კაშკაშა და ჩადუნა ამოძვრება (ვ. ფ.). 5. საქონელი გაღმა გაერეკათ, სადაც უზარმაზარი მწვანე ველები ჩანდ... (ნ. კ.). 6. გაღმა-გამოღმა სოფლებში იდგ... ჩვენი ნაწილები (ნ. კ.). 7. ქორწილის ღამეს დიდი ამბები მოხდ... (ი. ჭ.). 8. იქვე ახლო მყოფი ბუჩქები თითქოს ქარისაგან შეინძრ... (ა. ყ.). 9. ასე მიდიოდ... დღეები, კვირეები... (ა. ყ.).

10. ასეთი სახელოსნოები სამხრეთ საქართველოს მონასტრებთანაც არსებობდ... (დ. კ.). 11. ამ სიტყვებმა ყველას შიშის ზარი დასც,.. (ნ. ლომ.).

ცნობისათვის. ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმების შემთხვევებთან დაკავშირებით უნდა ვიცოდეთ:

შემასმენელი მხოლობით რიცხვში ეწყობა ქვემდებარეს, როცა:

1. ქვემდებარე მხოლობით რიცხვშია — ბავშვი ლაპარაკობდა, ხე იზრდებოდა, კოლმეურნე ბარავდა...

2. ქვემდებარედ რაოდენობითი რიცხვითი სახელია ან ნაცვალსახელი: ბევრი გვესტუმრა, ყველა მხიარულობდა, სამოგზაუროდ ათი წავიდა...

3. ქვემდებარედ კრებითი სახელია: ხალხი ლაპარაკობდა, ჯოგი მთის საძოვრებზე შეფენილიყო, ფრინველთა გუნდი წამოიშალა...

4. თუ ქვემდებარეს განსაზღვრებად ახლავს რიცხვითი სახელი ან ისეთი სახელი, რომელიც შინაარსობრივად ეროზე მეტს აღნიშნავს: ორი კაცი მოდიოდა, რამდენიმე ამხანაგი გვესტუმრა, ბევრი აღტაცებული დარჩა...

5. ქვემდებარე უსულო საგნის სახელია და დასმულია ებ-იან მრავლობითში: სკამები დგას, მდინარეები ადიდდა, ყვავილები გაიფურჩქნა...

სავარჯიშო 304. გადაიწერეთ, დაადგინეთ სიტყვები საჭირო ბოლოსართებით.

I. 1. ქალებმა სანემსეები დააკეთ... (თ. რ.). 2. მონადირეები ზეზე წამოდგ... (ი. ე.). 3. მგონი, მწყერები მაშინ მოილევ... (ი. ჭ.). 4. თაგვებმა ცქერა დაიწყ... (ვ. ფ.). 5. ორაგულებმა წინ წასვლა გაბედ... (ი. გ.). 6. ფრინველები შემოეფანტ... კაკალს (ვ. ფ.). 7. ჩიტებივით ჩიკჩიკებდ... პატარები (დ. კ.). 8. ჯაჯალამ დაიწყო სიმღერა, იმას სხვებმა მისც... ბანი და ასე გასწი... შინისაკენ (ა. ყ.). 9. ყარაულებმა დაავლ... თოფებს ხელი და ერთ წუთში ჩაესაფრ... გზის აქეთ-იქით (ა. ყ.). 10. მეგობრებმა შეწუვიტ... ლაპარაკი (ა. ყ.).

II. 1. წყალნი, მთით დაქანებულნი, ალმასებრ უფსკრულს სცვივ.... თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებ... (გ. ო.). 2. შორნი მნათობნი მოკამკამენი იმ მწუხარს ღამეს მხიარულობდ... (ი. ჭ.). 3. სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი, მზისგან აროდეს არა დნებ... (ი. ჭ.). 4. წყალნი წავლენ და წამოვლენ [...], ქვიშანი დარჩებ...ო (ანდ.). 5. სამივენი ჰამას შეუდგ... (მ. ჯ.). 6. ყველანი ფეხზე იდგ... ქუდმოხდილნი (ვ. ფ.). 7. სამნი ყოფილ...! კვალი აშკარაა!... (ა. ყ.).

III. 1. ასე ლაპარაკობდ... შეშინებული ხეები (თ. რ.). 2. მცენარეებმა კანკალი დაიწყ... (ვ. ფ.). 3. დაწვ... ძირს დევივით წიფლები (თ. რ.). 4. ვარსკვლავებმა გამობედ... და ბრჭყვიალი დაიწყ... (ვ. ფ.). 5. გუგუნებდ... აჩქარებული ავტომატები (ს. კ.). 6. ყვავილებმა ერთმანეთს გადახედ... და თავი გააქნი... (ვ. ფ.). 7. გაბაშვილის გორაზე ძელქვები აშრიალდ..., შუა ქალაქში ცაცხვებმა გაიმეორ... მათი ჩურჩული, დილის ნიავზე შეირხ... ჰადრები (დ. კ.).

ცნობისათვის. შემასმენელი მრავლობით რიცხვში ეწყობა ქვემდებარეს როცა:

1. ქვემდებარედ მრავლობით რიცხვში დასმული სახელი სულიერი საგანია: ბავშვები თამაშობენ, ძროხები ბღავიან, ფრინველები ჭიკჭიკებენ, ბუზები ბზუიან...

2. ქვემდებარე ნაწ-თანიან მრავლობითშია: წყალნი, მთით დაქანებულნი, აღმასებრ უფსკრულს ცვივიან...

3. ქვემდებარედ გამოყენებული უსულო საგანი გაპიროვნებულია, რომელსაც ცოცხალი არსების შესაფერი მოქმედება მიეწერება: ყვავილები საუბრობენ, ახალი ქალაქები იზრდებიან...

სავარჯიშო 865. (გასამეორებელი) გადაიწერეთ, დაბოლოეთ სიტყვები საჭირო ბოლოსართით.

1. ხეზე კარები იდგ... ფერდობებზე შეფენილი სოფლების ირგვლივ (კ. გ.). 2. რომანტიკოსს ყველა ექიმმა უნდა აუკრძალო... აქ სიარული (ს. კ.). 3. ლეკვები დ-დხანს ელოდ... დედის დაბრუნებას (ი. გ.). 4. მდინარის ნაპირას (...) ტირიფები იდგ... (ი. გ.). 5. ბელადმა ცხენი შეაყენა (...), სხვები წამოეწივ... და ჰკითხ... გაჩერების მიზეზი (ა. ყ.). 6. შენ კი გაჰქრი, ეჰაანდე! — დუდუნებდ... ყვავილებ (ვ. ფ.). 7. ჩვენს მხარეში ყველამ კარგად იცი... ხახამ გაბრიელას სახელი (ნ. ლომ.). 8. ინიციატივით ბევრი დაინტერესდ...; ბევრი მოვიდ.., ჩემი მეგობრის სანახავად. 9. მტვრისაგან უნდა გაწმინდო... და გამაგრდ... ფრესკები (დ. კ.). 10. ყველანი მოემზად... (ა. ყ.). 11. გაეიდ... კიდეც დღენი და თვენი (ი. ჭ.). 12. ცაზედ დამქრალ... ვარსკვლავნი (ვ. ფ.). 13. ოთხივენი გაუყვ... გზატკეცილს (ა. ბ.). 14. მისი ჯარი შეიდასი კაცისაგან შედგებოდ... (ნ. ლ.). 15. ზოგი ჩაის მირთმევდ... (დ. ჭ.). 16. ხალხი ნასადილევს დაიშალ... (ა. წ.). 17. ოთხი ურემი ოთხკუთხივ მოსდგომოდ... სათივეს (ი. ჭ.). 18. თითო პეპელა ოცობით და ასობით სდებ.... კვერცხსა (ი. გ.). 19. რახმი ხელახლა წამოვიდ... (მ. ჯ.). 20. იქვე ახლო მყოფი ბუჩქები ქარისაგან შეინძ... (ა. ყ.). 21. ფრინველნი გამარჯვებულნი დაბრუნდ... ნადავლით (ვ. ფ.). 22. ვანო და ცაცა შეკრთ... (ი. ე.).

სხვათა სიტყვის ნაწილაკების მართლწერა

სავარჯიშო 866. გადაიწერეთ, გახსენით ფრჩხილები; დაწყოეთ ერთად ან დეფისით.

1. აკი მოგახსენეთ, დილით ადრე უნდა ავდგე(მეთქი) (ა. ჭ.). 2. აკი გითხარი, არ მოგკლავ(მეთქი). 3. ნახე, როგორც იყოს, ნახე! უთხარ, რომ ცოცხალი ვარ, ისევ ისე მიყვარხარ(თქო) (ა. ყ.). 4. ჯალაბობაში თუ მიკითხეს, უთხარ: მატყლის ვაჭრები მოვიდნენ და იმათ გაჰყვა ქვეშასა(თქო) (ა. ყ.). 5. აბა, შენ ფილო მნათესთან აირ-

ბინე! ახლავე, თორემ მერმე ვეღარ შებვალ გალავანში, როდის მოგიყვანო (თქო) (ლ. გ.). 6. როცა დრო იყო, მე ვიძახოდი: რად გვინდა რჩევები(მეთქი) (ა. ყ.). 7. ჰო. ეგრე, ეგრე, გაკოცებთ, ორივენი გაკოცებთ(თქო), — უმატებდა ბებია შორიდან (ი. ე.). 8. დედაკაცები თაყვანს გაიძახოდნენ: „ახლა გვინდა სოფელ-ქვეყანაში გამოჩენა, თვარა შავი დღე რომ დაგვიდგება, მიწა მოგვაყარეთ(ო) (ნ. ლ.). 9. გიორგი ყვირის: „მე მეტი ფული მოგეცი და მეტიც მერგება(ო) (ნ. ლ.). 10. ერთხელ ჩამოსულა ჩვენსა მებობლის გამდელი და მოციანური რომ ვუნახავარ, უთქვამს: „ეუიმე!.. ჩემი გაზრდილი ნუ მოიკვდება, ეს ბავშვი ისე იცინის, რომ სწორედ სულელი გამოვა(ო) (ა. წ.). 11. ეითამაშეთ და ჭორმაც მე გამიტაცა(მეთქი) — ეუპასუხე სიცილით (ა. წ.). 12. იტყვიან: კვიცი გვარზე წავა(ო), სწორედ მართალი ყოფილა (ა. წ.). 13. დედაჩემმა შენიშნა და მითხრა: „შვილო, მარტო მაგას რომ მოუკითხე, სხვებს ხომ გული დაწყდებათ(ო) (ა. წ.). 14. მე მეგონა თევზია(მეთქი), და კალათი მოვიმარჯვე (ი. გ.). 15. მეზობელი ეტყოდა სიმონას ხოლმე: ქალან, გაიქე, დედაშენს უთხარი, ერთი პური გვასესხე(თქო) (ნ. ლომ.). 16. როცა ყურძენი მწიფობაში გადავიდა, დამავალა: ძაღლი გადაიყვანე გაღმა და ვენახში დააბი(ო) (კ. გ.). 17. მე ვიფიქრე, რომ, თუ მარჯვენა ხელი მეტკინა, წერა გამიფუჭდება და, მოდი, მარცხენას გავიმეტებ(მეთქი) (ა. წ.). 18. მე ძალიან გამიკვირდა, ვინ ბიჭი(მეთქი) და ვინ წიგნის კითხვა!.. (ი. ჯ.). 19. გუნებაში ვამბობდი: „რა გამოუცდელი ვიყავ(მეთქი) (ა. წ.). 20. ჩვენებსაც შეატყობინე, უთხარი, საჩქაროდ ტარანტასი ან ურემი გამოგზავნეთ(თქო) (მ. ჯ.).

ცნობისათვის. სხვათა სიტყვის ნაწილაკებია: მეთქი (მიღებულია „მე ვთქვი“ წინადადებისაგან), თქო (მიღებულია „თქვა“ ზმნისაგან) და ო.

ა) მეთქი ნაწილაკი იხმარება მაშინ, როდესაც პირველი პირი (მოუბარი) წინათ ნათქვამს ან განაზრახს განმეორებით გაიმეორებს. მეთქი სიტყვისაგან გამოიყოფა დეფისით: ზემოთაც მოვიხსენიე, რომ ქართველებს ურიცხვი და უთვალავი სათამაშოები გვაქვს-მეთქი (ა. წ.).

შენიშვნა. მრავლობით რიცხვში მეთქის ნაცვლად გვაქვს ო ნაწილაკი: ჩვენი მამასახლისი ბებერი იყო, ვიფიქრეთ, იქნება მოკედეს და თავისთავად მოგვშორდესო (თ. რ.).

ბ) თქო ნაწილაკი იხმარება მაშინ, როდესაც პირველი პირი (მოუბარი) სთხოვს ან ავალებს მეორე პირს თავის ნათქვამი გადასცეს სხვას, ე. ი. მესამე პირსა დაარწმუნებ ყველა, რომ ბაში-აჩუკი მოუკალი-თქო (ა. წ.). თქო სიტყვისაგან დეფისით გამოიყოფა.

შენიშვნა 1. ნაწილაკების თქო და თქვა პარალელურ ფორმათაგან დღეისათვის სალიტერატურო ქართულში მიღებულია თქო ნაწილაკის გამოყენება.

შენიშვნა 8. სწორი არ არის პირველი პირის ნათქვამის გადმოსაცემად თქო ან თქვა ნაწილაკების ხმარება: მე მადლი მოვახსენე და სიცილით ვუთხარი: დღეს კიდევ გადავრჩი-თქო (ა. წ.). უნდა ეწეროს მეთქი.

გ) ო ნაწილაკი იხმარება მაშინ, როდესაც პირველი პირი (მოუბარი) გადმოსცემს მესამე პირის ნათქვამს, იხმარება სიტყვასთან ერთად: ამას გარდა, დედის სიტყვებიც მომაგონდა: „ვისაც არაფერი დაუშავებია, იმას არაფერი მოეჩვენებაო (ა. წ.).

შენიშვნა. არ არის სწორი მეთქის მაგივრად ო ნაწილაკის გამოყენება პირველი პირის ნათქვამის გადმოსაცემად: ათასჯერ კი გითხარი: მეყოფა რაც მჭირს, ტირილი აღარ განაგრძოო (ე. ნ.). უნდა ეწეროს მეთქი.

სავარჯიშო 807. გადაიწერეთ, გაასწორეთ სხვათა სიტყვის გადმოსაცემად ნახმარი უმართებულო ფორმები.

1. მალაქიასთან გადაირბინე და უთხარი: მალაქია, დედა შემოგეხვეწა-თქვა, ჩემო მალაქია, ეს ერთი დოქი ღვინო გამომიგზავნე, თქვა და მე ვიცი შენი პატივისცემა-თქვა, ძალიან შეგეხვეწა, დედა-თქვა (დ. კლდ.). 2. თუ ვინმემ გკითხოს გიორგის ვინაობა, კახელი თავადიშვილია, ჩვენი ბატონის ნათესავი-თქვა (ე. ნ.). 3. სინდისიერს მოწამეს და თანაშემწეს ჩემ მაგიერ ეტყვით, მწერალი გიბარებსთქვა, ათანასე მღვდელს თქვენ შეეხვეწეთ, საქმე გვაქვს და დაგვესწარი-თქვა (ე. ნ.). 4. მე მოვახსენე, რომ ამა და ამ სოფლიდან ვარ-თქვა, ამა და ამ კაცის შვილი-თქვა (დ. კლდ.). 5. მე ვკითხე: რა ადგილია-თქვა (დ. კლდ.). 6. ათასჯერ მითქვამს შენთვის, ნუ ხარ ლენჩი-თქვა. ნუ ხარ დაგლახაკებული-თქვა! (დ. კლდ.). 7. მე მადლი მოვახსენე და სიცილით ვუთხარი: დღეს კიდევ გადავრჩი-თქო (ა. წ.). 8. საქმე გათავებული ჰქონია და ახლა მივიდე და ის ვუთხრა, ბესარიონი ქალს არ მისცემს შენს შვილს, თუ კიდევ ასი მანეთი არ დაუკლი-თქვა! რას მეუბნები, მომკლავს ის კაცი და ის იქნება (დ. კლდ.).

შენიშვნა. უმართებულოა ო ნაწილაკის ხმარება პირველი პირის ნათქვამის გადმოსაცემად: ასე უთხარი, თქვენთვის არც მოსვლა მიკითხავს და არც წასვლას გკითხავთო (ე. ნ.). უნდა ეწეროს „გკითხავთ-თქო“.

ზორისდებულებისა და ხმაბაძვითი სიტყვების მართლწერა

დეფისი რთულ ზორისდებულებთან და ხმაბაძვით სიტყვებთან

სავარჯიშო 808. გადაიწერეთ, გახსენით ფრჩხილები; დასვით დეფისი საჭირო ადგილას.

1. ხო(ხო)ხო! უყურე, რავა წყალივით ამბობს (ჭ. ლ.). 2. უჰ(უჰ)-უჰ! ეგ ღორის სუკები, შენმა მზემ, რადაც უნდა ჰღირს (ი. ჭ.).

3. უი(უი), წახდა ქვეყანა, სამართალი დაიკარგა (ა. წ.). 4. ვაი(ვაი), რა ხალხი ხართ! — ამბობდა გაჯავრებული გიგოლა (ვ. ფ.). 5. ვიშ-(ვიშ!) რა მშვენიერია, მორთულ პატარძალსა ჰგავს! (ე. გ.). 6. ოი(ოი)-(ოი)ოი! — როგორი გაწიწმატება ცოდნია (ა. ყ.). 7. პა(პა)პა, რაც ისინი ქალალდსა და მელანს ჰხარჯავენ რომ იცოდეთ (ვ. ფ.). 8. ტყაპ-(ტყაპ)ტყაპ!.. — უეცრად შემომესმა ფეხის ტყაპუნი (შ. ა.). 9. ტუკ (ტუკ)ტუკ!... ვიღაცა მიკაკუნებს (ჭ. ლ.). 10. ჰახ(ჰახ) — და, ჰა, ტყვიის სეტყვა აშრიალდა, აშიშინდა (ი. გ.). 11. (ვაი)დედასა! ისიც ასე იქნება გამოწყობილი, — გაუელვა თავში გიოს, რომელმაც კარგად იცოდა ლევანის მკვლელის წარჩინება (ლ. ქ.). 12. (ღმე)მშვიდობისა, მშვენიერო ქნიაფნა (ე. გ.). 13. (შენმა)მზემ, კონამ თუ იცის შენი ამბავი, აკი იმიტომ ებრალები, — უთხრა მას მიტომ (ნ. ლომ.). 14. ღმერთმა(ნუ)ქნას! მაინც ჰკვას ახლო არის შენი სიტყვა (ვ. ბ.).

ცნობისათვის. რთული შორისდებულები და ხმაბაძვითი სიტყვები დეფისით უნდა დაიწეროს: ვაი-ვაი; ხა-ხა-ხა; ო-ჰო-ჰო; რახ-რახ-რახ, ბუკ-ბუკ-ბუკ; წკაპ-წკაპ, შიაუ-შიაუ და სხვ. დეფისით არ იწერება შორისდებულების რიგებში შემავალი სიტყვები, ფრაზები, იდიომატური გამოთქმები: თქვენმა მზემ, დილა მშვიდობისა, ძილი ნებისა, შენი ჭირმე და სხვ.

გასამეორებელი სავარჯიშოები ორთოგრაფიაში

სავარჯიშო 809. გადაიწერეთ, წერტილების ნაცვლად ჩაამატეთ ან დაურთეთ საჭირო ასო (ასოები).

1. ირემ...ა მაშინვე შეუტყო განზრახვა და ხელიდან გა-უსხლტა (ვ. ფ.). 2. დარიკო თავისი მამამთილის დას... რეპერტუარის მოსამზადებლა.... ქობულეთს გაჰყვა (დ. შ.). 3. ვაგონში ერთი პირველთა-გან...ი აღმოვჩნდით (დ. შ.). 4. ქათმები ხე...ბზე დასაბუდრებლა... ადიოდნენ (დ. შ.). 5. (დარიკო) რთული კონსტრუქც...ს დაზგის ნა-ხაზ...ე მუშაობდა (დ. შ.). 6. სულ იმის შიშ... იყო, იმას არა მიჰკარე-ბოდა რა (დ. შ.). 7. ერთმანეთ...ან ახლოს მიწეულ რკინის ვიწრო საწოლებს შორის დაჭრილებს თეთრა... შეღებილი საფარი ჩაეფარათ (დ. შ.). 8. ამავე დროს გლეხურა... ჩაცმული სეხნია ოძელაანთ დარ-ბაზში იჯდა (მ. ჯ.). 9. შენ ტყვია მოგხვდა ხელში თუ ნამსხვრევი? — ჰკითხა ოთარ... ბარნაბს (ა. ქ.). 10. აკაკ... ოფლი მოიწმინდა (ლ. გ.). 11. ასლანმა ბილეთი სათუთად დაკეცა და ჯიბეში დიდ... ამბით ჩაი-დო (დ. შ.). 12. (ნადიამ) თამარ... სასმისი აუვსო და მიაწოდა (დ. კ.). 13. დარაშელიძიანთსა ნივთ...ა ნაირობით კაცს მართლაც რომ თვალი უჭრელდებოდა (დ. შ.). 14. ბახვას მამა ამაყ... გულის პატრონი იყო (გ. წ.). 15. დარჩა ქვრივა... საწყალი ლუარსაბი (ი. ჭ.). 16. გუგუნი

გარე... ხან მატულობდა, ხან ისევ კლებულობდა (დ. შ.). 17. ის, ალ-ბა..., ჩვენს დაბრუნებას ელოდებოდა (ს. კ.).

სავარჯიშო 870. დაწერეთ რიცხვები სიტყვებით, აწარმოეთ მათგან რიგობითის ფორმები ისევე სიტყვებით; გამოსახეთ არაბული ციფრებით.

1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 10, 11, 13, 17, 19, 20, 21, 23, 27, 30, 39, 40, 47, 50, 55, 60, 61, 66, 70, 79, 80, 82, 98, 100, 101, 119, 120, 200, 202, 297, 300, 303, 392, 400, 427, 450, 491, 500, 594, 600, 677, 700, 801, 910, 1000, 1221, 1627, 1613...

ნიმუში: 1. 3 — სამი — მესამე — მე-3
2. . . .

სავარჯიშო 871. გადაიწერეთ, გახსენით ფრჩხილები; დაწერეთ ერთად ან დეფისით.

1. არის თოფების საკეტთა (ჭახა)ჭუხი (ი. ა.). 2. ჩემს სიცოცხლეში ასეთ ღამეში ცხენ(და)ცხენ არასოდეს დავდევნებივარ შენნაირ (მზეთ)უნახავს (დ. კასრ.). 3. აბა ვინძლო მორჯულდე და შენი (ცოლ)-შვილის ცოდო აგვაშორო (მ. ჯ.). 4. უამრავი ხალხი გადაწვეს და (ბაღ)ვენახსაც უწყალოდ ჰკაფავენ (მ. ჯ.). 5. მიკუნტრუშობდა ღამით დამშეული (ცხვარ)ბატკანი საძოვრად (ი. ე.). 6. საბუთი ჰქონდათ ძგერებოდნენ და თავისი (თანა)მოძმე (ლუკმა)ლუკმა გაეგლიჯათ (ვ. ფ.). 7. ცოტა ხნის შემდეგ (ხევ)ხევ ქვების (რახა)რუხი ქვიშის ჩხრიალი და კომბლების (ტყაპა)ტყუპი ისმოდა (თ. რ.). 8. ათას(შვიდას)სამოცდაცხრა წელს რუსეთის იმპერატრიცამ ეკატერინე მეორემ ომი გამოუცხადა ოსმალეთსა (ი. გ.). 9. ეკატერინემ რუსეთიდან გამოგზავნა (ოთხი)ათასი ჯარისკაცი (ი. გ.). 10. (წყალ)სადენის იქით, (ერთად)ერთ (ორ)სართულიან შენობაში, ნაძალადევის (იაფ)ფასიანი ბიბლიოთეკა იყო მოთავსებული (დ. შ.). 11. მე სიტყვა მოვუჭერი კიდეც: ნახევარი ჩემი ობლებისაა(მეთქი). 12. უთხარი, რომ, როცა პეპია კვდებოდა, შენ გლოცავდა(თქო) (ი. ჭ.). 13. ნათქვამია: ბედაური ცხენი მათრახს არ დაიკრავს(ო) (ანდ.). 14. უსუსურმა ბავშვმა გამჭურდა, აი, ტაი(ტაი)ტაი! (ი. ჭ.). 15. ჩხი(ჩხი)ჩხიიი! დასძახოდა ძაღლს მეორე ტოტიდან ეშმაკი ჩხიკვი (ვ. ფ.). 16. მახაჩკალასთან (ვაგონ)რესტორანის ფანჯრიდან ეხედავ: (დედალ)მამალი ხოხობი ზედ ღიანდაგის პირიდან აფრინდნენ (კ. გ.).

სავარჯიშო 872. გადაწერეთ, წერტილების ნაცვლად ჩაამატეთ ან დაურთეთ გამოტოვებული ასო (ასოები).

1. მი...ვარდი მამას, უსულოდ ეგდო! მუხლი მომეჰრა, ცეცხლი მომედო! (ი. ჭ.). 2. მე ყურს აღარ ...უგდებდი (დ. შ.). 3. პატარა ვარ, ობოლი, ბედმა დამიბრიყვა, ცუდ დროს და...ობლდი (ვ. ფ.). 4. სიფრთხილე ...მართებს, დიდი სიფრთხილე (ვ. ფ.). 5. ნაცარქექიები გვაცინებდა, დევები ზიზღსა ...გვრიდნენ (შ. დ.). 6. არ და...გრილოს, ოფლიანი ხარ (შ. დ.). 7. სტუმრის ტანსაცმელს შემო...ყვა სოფლის სურნელება. 8. ამირინდო გადა...წვდა, დაიჭირა ბარტყი და მი...ცა პატიკოს (ი. ჭ.). 9. შენ ტყვია მოგვგხდა ხელში თუ ნამსხვრევი? ...კითხა ოთარმა ბარნაბს (ა. ქ.). 10. (ამირანმა) ცოლს მხოლოდ რამდენიმე სიტყვა მი...წერა, ისიც მშრალი და უგულო (მ. ჯ.). 11. შუაში ზურა ჩაისვეს, გარშემო მოუსხდ... და დაიწყეს, სწერდ... და თან იმ ტყეს ხარხარით აზანზარებდ... (მ. ჯ.). 12. ჯერ კიდევ არ დამიკარგ...ს უნარი გაევრთო და სხვებიც გავართო (დ. კლდ.). 13. ყვითელ ფოთლებს ენა აუდგ...თ (ტ. ტ.). 14. ბავშვს ჯერ კიდევ არ დაჰკარგ...ა ბავშვობა (ს. კ.). 15. აღებულ მინდს აუარებელი ნამჯა წააყარეს, მაგრამ წვიმას მაინც დაესველებ...ა (ს. შ.). 16. შემდეგ არსენამ გიგოლას ნაუბარი და...წერ...ა და კარნახი განაგრძო (მ. ჯ.). 17. სტაცებდა მას ხელს, გამოიყვანდა და საჩქაროზედ და...კვლევ...ებდა (ნ. ლომ.). 18. მი...ხედა მამამ და დაინახა, ბარტყი გადაფოფრიალიყო პატარა ფრთებით ეკლიან ბარდზე (ი. ჭ.). 19. მამამ აიყვანა ხელში პატარა პატიკო და ბუდის სისწვრივ გა...ჩერა (ი. ჭ.). 20. გაშხვართული რომ მნახეს იატაკზე, შე...შინდათ (ა. წ.). 21. რა რიგად გაუწვალდა, გაუ...გემურდა მოხუცებულობა (დ. კლდ.). 22. ხუთშაბათ დილით სამუშაოზე გამოვცხად...ები (ნ. ლომ.). 23. ტოლსტოის საიუბილეო კომიტეტი განათლების სახალხო კომისარიატში იმყოფება, ხელოვნების მთავარ სა...მართველოში (ტ. ტ.). 24. დაგლეჯ...ა, მგოსანო, მაგდენი წერა (გ. ტ.). 25. ძვირფასი თვლებით მო...ქროვილ ხატს უხუცესნი მოასვენებენ (ა. ქ.). 26. როგორც ჩანს, ეს კალამი ჩვენ დაგვ...არდნია. 27. ლაშქარმა უბრძოლველად გა...წია კვეტარისაკენ (ქ. გ.). 28. ქალმა ხმა არ გა...ცა დედას (ვ. ბ.). 29. გაეშებულმა ბრძოლამ მთელ ღამეს გა...ტანა (მ. ჯ.).

სავარჯიშო 878. გადაიწერეთ, გახსენით ფრჩხილები; შეცვალეთ სიტყვები კონტექსტისათვის შესატყვისი სხვა სიტყვებით.

1. ნინომ ქართულ ლიტერატურაში ხუთიანი მიიღო. სახლში რომ მივიდა (მისი) სიხარული მშობლებს გაუზიარა. (თავისი) წარმატებით თანაკლასელები გახარებული არიან. 2. ქათმების (შეჯდომის) დრომ მოაღწია (ი. ჭ.). 3. ყაზახები! — დაიძახა იმან და ამ სიტყვებზე (გამოვარდნენ) ყაზახები (ა. ყ.). 4. იქ (ჩამოჯდნენ), გაშალეს ნაბადი და ზედ მზაღო (დააჯინეს) (ა. ყ.). 5. ტყემ (მოიბა) ფოთოლი (ი. ჭ.). 6.

ციცკას ცრემლები (გადმოვარდა) (ა. ყ.). 7. დავითი და ელიზბარი თქარა-თქურით (მოვარდნენ) (მ. ჯ.). 8. მეორე დღეს მკვდრები გარეთ უპატრონოდ (ეგდნენ) (თ. რ.). 9. ქარს მიაქვს ნამქერი და ზედ (აგდებს) (ვ. ფ.). 10. იმ დროს სახლს (დაცემოდა) თაგვთა ჯარი (ვ. ფ.). 11. ისინი ნადირს უმოწყალოდ (კლავდნენ). 12. ისინი სიცილით (კვდებიან). 13. გრძელი ნაწნავები თავის ჯიუტი გაქნევით უკან (გადაიგდო) (დ. შ.). 14. ორმა (მათგანმა) ორი ღამეც გაათია ავტობუსის მოლოდინში (ტ. ტ.). 15. (მათმა) დავალება პირნათლად შეასრულეს. 16. ნანა და ნინო გვიან (დაბრუნდა) სკოლიდან.

სავარჯიშო 874. გადაიწერეთ, ჩაამატეთ საჭირო გამოტოვებული ასო.

1. ნია...ო, ჩემო ნია...ო, ნუ სჩაგრავ ტყეში ობოლსა (ი. ჭ.). 2. ჩვენო არაგ...ო! რა რიგ მიყვარხარ! (ი. ჭ.). 3. მხატ...რობაშიც უძევს წილი, ფანქარს კოხტად აძიგძიგებს (შ. მ.). 4. ქიშპობა იყო მოსულთა და დამხ...დურთა შორის (ნ. ლომ.). 5. მორცხ...ობით ერთი წაუბორძიკდა ფეხი (ნ. ლ.). 6. ნუთუ არ მაქვს ძალა — ვძლიო ეს პირუტყ...ული შიში (ჭ. ლ.). 7. ტახტის უდა...ო მემკვიდრე არ მოჩანდა (მ. ჯ.). 8. ბავშვს ჯერ კიდევ არ დაჰკაგვოდა ბავშ...ობა. 9. (არწივს) ტანი მოშა...ო ფერისა აქვს (ი. გ.). 10. ამას წინათ ბაზრიდან საეჭ...ო პირები მოვიდნენ (ს. შ.). 11. დათუნამ თავდაპირველად აზატობა უნდა მოიპო...ოს (მ. ჯ.). 12. მრავალი კითხვა სადა...ოდ მეჩვენა (ნ. ლ.). 13. მხატვარი თინას სურათს ახატ...ინებს. 14. ჩვენი მეუზო...ე მშრომელი ადამიანია. 15. საკლასო ოთახის სიფართო...ე სანიტარულ მოთხოვნილებას უნდა შეესაბამებოდეს.

სავარჯიშო 875. გახსენით ფრჩხილები, არამართებული სიტყვები დაწერეთ მართებული ფორმით; ახსენით შეცდომის მიზეზი.

1. (ნოდარო), დღეს კინოში წავიდეთ, — უთხრა ნოდარს აბჯანაგმა. 2. (თენგიზი!) — მოდი ჩვენთან, — მიმართა მას ამხანაგმა. 3. (— აგიაშვილი), ვინ არის მებაირახტრე? (ნ. ლ.). 4. (ვისმეს) რომ ეს ამბავი ჩემთვის ეთქვა, არ დავიჯერებდი. 5. დავალება (ორთავეს) ჰქონდა შესრულებული. 6. ამხანაგს (რიღაცის) თქმა უნდოდა. 7. საბრძოლო დავალებები (ერთმა და იგივე) ჯარისკაცმა შეასრულა. 8. მშობლებს (ანთავისუფლებდა) ყოველი ხარჯისაგან შვილის აღზრდაში (დ. კლდ.). 9. საარტილერიო (ქარიშხალის) გუგუნი გარეთ ხან მატულობდა, ხან ისევ კლებულობდა (დ. შ.). 10. ქიონიამ (ყურძენის) კრეფას თავი გაანება (დ. შ.). 11. (ორთავე) სკოლა მოწინაა. 12. ეს ამბავი (ვილაცეებმა) მოიტანეს. 13. ცქმუნა ცრემლებს (იწმენდავდა) თვალებიდან (ვ. ფ.). 14. სულ (დავგლეჯავ) აქაურობს (ვ. ფ.).

წერგილი მარგივი, ბერწყმული და რთული წინადადების ბოლოში

სავარჯიშო 378. გადაიწერეთ, აღადგინეთ წერტილები.

I. 1. გავიდა რამდენიმე წელიწადი ერთ ინგილო გლეხს ქორწილი ჰქონდა გაჩაღებული დედოფლად იყო ჩვენი ნაცნობი ინგილო ქალი (ი. გ.). 2. მამლები ყიოდნენ ზალიკოს არ ეძინებოდა დილით მარგალიტა ადგა ქმარი ოთახში არ იყო გაიხედა ფანჯრიდან ვენახში ისევ თუთის ქვეშ იჯდა ზალიკო (ს. შ.). 3. აბა რა არის ორი ბუზის დაჭერა და ყუთში ჩასმა? დიდი არაფერი (ი. ჭ.). 4. — სადაური ხარ? — რაჭველი (ი. ჭ.). 5. შემოდგომა ესტუმრა ქალაქს წვიმებმა გახშირდა ადრე ღამდება ხშირია ქარი ბნელ ქუჩებში ფოთლებს სიყვითლე შეეპარა მაგრამ ჯერ კიდევ თბილა შემოდგომის მთვარე ანათებს ბაღს (მ. მ.). 6. ბინდი ნელ-ნელა ეშვებოდა მდინარეზე მსუბუქი ნისლი აიშალა ჭოტის შორეულმა კივილმა გარემოს ამცნო, დაღამდაო (ს. კ.). 7. ბავშვობაში ხშირად შევპარულვარ მამაჩემის სამუშაო ოთახში ჩემი საოცნებო სამყარო აქ იწყებოდა წიგნების სიმრავლე მაოცებდა და განსაკუთრებით კი ერთი წიგნი მიზიდავდა (ლ. გ.). 8. მარტი იწურებოდა თოვლი ჯერ კიდევ არ ამდგარიყო ღამით ყინავდა ბეტონის ლამაზი ხიდის მახლობლად ყინულზე გაკვალული გზა შორეულ ტყეში იკარგებოდა (დ. შ.). 9. ...რვაწლედში დიდი დასვენების ზარი დაირეკა ბავშვები ჟივილ-ხივილით გამოიშალნენ ეზოში (ლ. ქ.).

II. 1. მთელი ფრინველთა გუნდი წამოიშალა და ჟივილ-ხივილით მიეკედა წინ თავის მეფეს არწივმაც თავისებური სალამი მისცა ფრინველთა კრებულს (ვ. ფ.). 2. იის გარშემო ბევრი ყვავილი და ბალახი იყო ამოსული ათასგვარი ჭია და მწერი დაძვრებოდა მის ახლოს (თ. რ.). 3. კესანე და იაკობილი მეზობლები იყვნენ დაჰბერავდა ნიავი და მიახლიდა მეგობრებს ერთმანეთს ისინიც გადაიჭდევდნენ ყელზე ყელს და სტკბებოდნენ სიყვარულით (თ. რ.). 4. აივანზე გადმომდგარი ნატო სევდიანი ღიმილით გადაჰყურებდა დიდ პაპასა და პატარა შვილიშვილს დედის თვალებში მშობლიური სიყვარულის სიღრმე და ქვრივი ქალის სევდა ჩაწოლილიყო ნატოს ლამაზსა და ნაზს სახეს მწუხრის აჩრდილი გადაჰკვროდა წარბებს შუა ჩაკეცილ ნაოჭს ვაჟკაცური იერი მიეცა იმისთვის (მ. მ.). 5. კავკასიონის მთები

თეთრყინულიან, ნაბადწამოხურულ რაინდებს ჰგავდნენ ისინი დარბაისლური სიმშვიდითა და თავშეკავებული სიყვარულით გადმოჰყურებდნენ მათს მკლავებზე ნებივრად მისვენებულ მზეთუნახავს (მ. მ.). 6. 9 იანვრის ცივი და მზიანი დილა იყო ყინვას შეეკრა გარემო და გაეყუჩებინა (ს. კ.). 7. ართანელი შეჩერდა გზაჯვარედინზე და ამაყად გახედა გულგადაღადრულ მიწას მთის კალთებში წვებოდა მზე და უკანასკნელი სხივი თავმოჭრილი გოლიათისა ეთხოვებოდა მსხლის წვეროზე შეწითლებულ ფოთლების თაიგულს წვეთები უცაბედად მოვარდნილი ნიაღვრისა მძივებივით დაკიდულიყვნენ ხის ტოტებზე ნაგვალევი მიწა ხარბად სრუტავდა ნანიაღვრალს (მ. მ.).

III. 1. მაგდანა ჯერ ძლიერ ყმაწვილი დედაკაცი იყო, როდესაც ქმარი მოუკვდა და ოთხი უსუსური ბავშვი ხელზე ულუკმაპუროდ დარჩა ერთადერთი ძროხა, რომელიც ამის ბავშვებს ზაფხულობით ლუკმას უსველებდა, ქმრის დამარხვას მოუნდა და სხვა სანუგეშებელი ქვეყანაზე არღარა გააჩნდა რა (ე. გ.). 2. იმ ვეებერთელა სოფელში, რომელსაც თუნდა „წაბლიანს" დავარქმევ, ყველამ იცოდა, თუ ვინ არის ოთარაანთ ქრივი სოფლის გზირისათვის რომ გეკითხათ, ოთარაანთ ქვრივის კარმიდამოში მზისა და წვიმის მეტს არავის შეეძლო გავლა ქვრივის უნებურად (ი. ჭ.). 3. უკვე შებინდდა, როცა აზაუში ჩავედით მე და იაგორა წინ მივდივართ ჩამორჩენილ მასწავლებელს ეუცდით კარგა ხანს, მაგრამ არა ჩანს ხომ არსად გადაიჩეხა? ამ ღამეში კლდიდან რომ ფეხი დაუსხლტეს, ხომ მეტიც არ უნდა, უცადი კაცია (ნ. კ.). 4. მზე საშუადღეოზე იყო აწეული, როდესაც მე და გრიგოლი ნელი ბაასით გელას სახლს მივუახლოვდით ხალხს მრავლად მოეყარათ თავი აბლომახლო მოსახლეებიც მოსულიყვნენ, ებაასებოდნენ ჩვენებს (ნ. კ.). 5. მზე გადაიწვერა, როცა ეცერს მოვცილდით და გაკრული მგლური ნაბიჯით გავწიეთ ბეჩოსაკენ მივდივართ ენგურის ნაპირით, რომელიც ჩვენს ქვეშით მოქუხს ვიცქირებით ძირს (ნ. კ.). 6. იმხანად ტბა ამომშრალიყო და საუკუნეობით დანესტიანებულსა და დამპალ ნიადაგში ჭყანტი გამდგარიყო საშიში ადგილი იყო უცნობისათვის ეს მოლმოკრიალებული და თვალთმაქცი ჭაობი უჩვევი ადამიანი ადვილად მოსტყუებოდა მისი წალკოტისებური სილამაზით და თუკი რომელიმე თამამი მონადირე გაბედავდა მის ხშირსა და გაუვალ ლერწამში ნადირის ძებნას, უთუოდ მსხვერპლი გახდებოდა ამ ჭაობისა ამიტომ იყო, რომ ახლო მდებარე სოფელი მწყემსებიცა და საქონელიც შიშით გვერდს უვლიდნენ აძ დაწყევლილ ადგილს (მ. მ.). 7. ათიოდე ცხენი გზაშ- დავარდა, ოციოდემ წინ გაუსწრო, მაგრამ ოქელაშვილი ლურჯას ძალას არ ატანდა მუხათგვერდს რომ მიატანეს, მაშინღა აკადრა ნელი მათრახი და შევარდეხივით გააჭროლა (მ. ჯ.).

ცნობისათვის. წერტილი, როგორც სასვენი ნიშანი, დაისმის დამთავრებული თხრობითი წინადადების ბოლოს. აგებულების მიხედვით ასეთი წინადადება შეიძლება იყოს:

1. მარტივი: სრული ან უსრული, გავრცობილი ან გაუვრცობელი.
2. შერწყმული: ერთგვარშემასმენლიანი, ერთგვარქვემდებარიანი, ერთგვარდამატებიანი და სხვ.
3. რთული: როგორც თანწყობილი, ისე ქვეწყობილი.

სავარჯიშო 377. გადაიწერეთ, აღადგინეთ წერტილები.

I. 1. გავიდა ხუთი თვე დადგა შემოდგომა დაიწყო ფოთოლმა ჩამოცვენა გრილა ღამე რთვილს აგდებს მთის წვერებს, თუ პატარა წვიმა, მაშინვე თოვლს მოჰკიდებს აღარ ედგომილება ცხვარ-მწყემსს მთაში დაიძრა ფარები საბაროდ მოსდევს ფარას ფარა იმავე წესით, როგორც ზაფხულზე ვნახე მხოლოდ ახლა ცხვარს სულ სხვა ფერი ადევს სიმსუქნით ხორცი ტანზე უთამთამებს, დუმებს თითქოს დაბლა მიწაზე მიათრევენ (ვ. ფ.). 2. კუნაპეტი ღამეა ფარნები ბეუტავენ, ელამი ქალივით უცქერენ ერთმანეთს ქარია ყინავს ნელა მიეთრევა ტბორიან ქუჩაში დაძაბული ეტლი მეეტლე ილანძღება, მღერის „იაბლოჩკოს“ ცხენებს უჯავრდება მისდევს დანიელი ბნელ ქუჩებს და ბოლო აღარ უჩანს ქალაქს მოთენთილ ტანს ვეღარ ერევა შეჩერდა უნდა სული მოითქვას უკან მიიხედოს, ვერ ბედავს კედელს თითქოს ვიღაცა აეკრაო განაგრძობს გზას თავს უხერხულად აქიცინებს ზურგითა გრძნობს, ვიღაც დაჟინებით უმზერს თვალიც უცნაურად უთამაშებს საშინლად ეინტერესება, მაგრამ არ უნდა უკან მოიხედოს გადადის ქუჩის მეორე მხარეზე ფრთხილად, შემპარავად იყურება უკან ვერავის ვერ ამჩნევს აჩრდილი კი ფეხდაფეხ მიჰყვება ღამის გაურკვევ სიბნელეში მეორე მხარეს გადაჰყვება აუჩქარებს ნაბიჯს — ისიც შეუხვევს ხვეულში — სიბრაზე ახრჩობს უნდა გაჩერება უკან მოხედვა არ ჩერდება შიში იპყრობს, გაურკვეველი შიში ლამის არის პატარა ბავშვივით გაიქცეს, „დედას“ ძახილით აჩრდილი სულ თან სდევს ახლა მას გარკვევით ესმის ფეხის ხმაც, სუნთქვაც კი... (მ. მ.). 3. ავტობუსი ჩამოდგა, ჩასხდნენ მეორე გაჩერებაზე ლალისა ამოვიდა თვალის ერთი გადავლებით შეათვალიერა მგზავრები გოგი და მარინე შენიშნა გოგიმ თავისი ადგილი შესთავაზა ლალისას ოდნავ თავდაკვრით მიესალმა ლალისა მარინეს და მის გვერდით დაჯდა (დ. კ.). 4. გადავწყვიტეთ გზის გაგრძელება ნიჩბების მოსმაში ოდნავ გავთბებით მაინც მანძილსაც მოვიგებთ იქნებ წვიმის ზოლსაც გავცდეთ ჯერ კი ყველგან წყალია ზევითაც და ქვევითაც... და შორიდან, ალბათ, დამბრჩვალებს უფრო ვგავართ (ლ. გ.). 5. ღამე ბნელი იყო ცა მოღრუბლული ვარსკვლავები გაფი-

ცულიყვნენ ისინი ჩუმად შევიდნენ კაფეებში (მ. მ.). 6. ზურაბს ოცი დღის წინათ დეპეშა მოუვიდა: „ვთხოვდები შენს დაბრუნებას ვერ მოვუცდი მიზეზს რომ გაიგებ, უეჭველად მაპატიებ · ქორწილი ზეგ გვექნება შემინდე მომილოცე გკოცნით ელენე“ — ზურაბი გაოცდა, დაღონდა, გაბრაზდა (მ. ჯ.).

II. 1. მოაგონდა არა ნაკლებ განთქმული მონადირე ჯარჯი და ჯიხვი რომ ერთად გადაცვივდნენ მაგრამ ჯიხვი სრულიად არ ფიქრობდა ბრძოლას (თ. რ.). 2. ზოგჯერ საქართველოშიც გამოეშურებოდა და მთელ მის მრავალრიცხოვან ნათესაობას ჩამოუვლიდა ხოლმე მაგრამ ყველაზე უფრო უყვარდა თავის დასთან, ნექტარინასთან ჩამოსვლა (შ. დ.). 3. ბავშვი ვიყავი, გამოუცდელი, მომავალს იმედის თვალით შევცქეროდი მაგრამ თითქოს ამ წლებს არ გაუვლია, მე ისევ მღელვარება მეტყობოდა (ტ. ტ.). 4. პატრონი დავას აპირებდა და არ ვიცი, საქმე როგორ წაუვიდა ხოლო ის კარგად ვიცი, რომ მისი პაპისათვის ნაჩუქარი მამულით სხვანი სარგებლობენ, სხვა მფლობელობს (ვ. ფ.). 5. აგაყვავებთ, აგაშენებთ ოღონდ მომყევით ისე, როგორც მე მინდა (ს. შ.). 6. რამდენიმე წამი და მოსკოვიც გამოჩნდება და მე ვფიქრობ, რომ ახლა მთელი მსოფლიოდან მოსკოვში მიეშურებიან ტოლსტოის დღესასწაულზე დასასწრებად (ტ. ტ.). 7. ერთ დროს თქვენც იგემებთ თავისუფლებას; ერთ დროს თქვენც გადაიგდებთ მძიმე უღელს და ეს დრო არც ისე შორსაა (შ. დ.). 8. ვცხოვრობდით ვაკეში, სულ მალე შევეჩვიეთ და შევიყვარეთ ერთმანეთი მას მე დედას ვეძახდი და მართლაც დედა იყო, ნამდვილი დედა (დ. კ.). 9. ვერხვს უყვარს ყვავილები, იმის ჩრდილის ქვეშ, მის ახლომახლო რომ იშლებიან და იზრდებიან ხოლო ვერხვისათვის ეს იყო გულსაკლავი, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არც ამ საბრალოთა ჰქონდათ (ვ. ფ.). 10. გულწრფელად გამიხარდა ოღონდ, უნდა გამოვტყდე, სადღაც გულის სიღრმეში სინანულმა გამკრა, რომ მაიჯო შორს მიდიოდა (ს. კ.). 11. ცა კი ინგრევა და რუხრუხებს წვიმის მსხვილი წვეთები, თოვლი და სეტყვა ერთმანეთშია არეული მაგრამ, აი, გაიპო ღრუბელი და გამოჩნდა ლურჯი ნატეხი — ეს ცაა (ნ. კ.). 12. გოჩას რამდენჯერ უფიქრია, გარემოებას რომ ხელი შეეწყო, ან მხატვარი გამოვიდოდა, ან ხუროთმოძღვარი მაგრამ სად იყო ეს გარემოება? (შ. დ.).

III. 1. ერთხელ საზარელი სანახავი ვნახე ისიც სიკვდილსა ჰგავდა აგერ დაბლა, შორს რომ დიდი მინდორი მოჩანს, იმ მინდორზე მოხდა ეს ამბავი... (ვ. ფ.). 2. ეს ამბავი ასე მოხდა სწორედ გარიჟრაჟზე ჩამოფრინდა მამალი ქანდარიდან, თან მოჰყვნენ დედლები და უცდიდნენ პატრონს; რომ საკენკი დაეყარა ქათმებისათვის; დასეირნობდნენ ეზოში, ფრთებს ისწორებდნენ ... მამალი მედიდურად

მიდ-მოდიოდა და ქათმებს არიგებდა, რომ არ გაფანტულიყვნენ... (ვ. ფ.). 3. განაჩენი იგვიანებდა ნელა მისდევდა დღე დღეს, კვირა — კვირას და არსად არა ისმოდა რა იმ საშინელი გაკიცხვისა, რომელიც ასე სტანჯავდა ლაფათყურელის გულს — ნუთუ მაპატია ხვადასელმა, არტ ელო? ნუთუ არავის გაანდო შენი საიდუმლოება, დამინდო და შენიბრალა, დამინდო და ივაჟკაცა (მ. მ.).

IV. 1. გიორგი, ჩემს ხელში ხარ, არ შეგარცხვენ, ოღონდ გზიდან ჩამომშორდი (მ. ჯ.). 2. ელიზბარმა არსენას თავისი შეევერცხლილი დამბაჩა ჩაუდო ხელში და უთხრა: — მართალია, ჩემი ყარაბაღი წამაგებინე. მაგრამ ვაჟკაცს ვაჟკაცური საჩუქარი ერგება. აიღე და მოიხმარე (მ. ჯ.). 3. — შენ კი გენაცვალე, ქალბატონო, ნუ გამწირავ და ისევ სიკვდილი მირჩევნიან — კარგი, გეყოფა ამაყენე შეწყენტინა ქალბატონმა. — თუ ამასაც დამიწუნებ, აღარ დაგეკითხებიან და შენს თავს ბასილას აჩუქებენ დღეს იფიქრე და ხვალ მითხარი (მ. ჯ.). 4. — ნათლიდედ, გენაცვალოს არსენაი, ურიები რომ მოვლენ, იყიდე რამე და ჩემს მაგიერ ჩემი გულის დარდს მიართვი (ვ. ჯ.). 5. —ძია, იცი რა... შენს წინაშე ბოდიშს ვიხდი, ლაპარაკის დრო არ მაქვს ... დედიკოს ეეხმარები ჩვენ ახლა ბევრი საქმე გვაქვს ... სოფლიდან რომ დავბრუნდები, მაშინ დამირეკე (ს. კ.). 6. წერილი მე გადმომცა უხმოდ შიგ სულ უბრალო რამ ეწერა: „ბალაგაზრდები ხომ ყოფილხართ. ხომ გესმით ჩემი სულისკვეთება ერთადერთი თხოვნა შემისრულეთ თოკი ჩამოუშვით პეტრეს სახელზე“ (ლ. გ.). 7. წამო, ცაცა, ამ შაურისა პური ვიყიდოთ და შინ წავიდეთ (ი. ე.). 8. — მიმიყვანე იმ ხესთან და წადი მეეტლეს ხმა არ ამოუღია მიიყვანა ტოტგაშლილ მუხასთან (მ. მ.). 9. ნუ ცხარობ, ძმაო კოტე, მოითმინე და ყველაფერს გიამბობ (მ. ჯ.).

ცნობისათვის. წერტილი დაისმის:

1. ყოველი წინადადების ბოლოს, თუ წინადადებები მოკლე-მოკლეა და ისინი გაერთიანებულ ერთ მთლიან სურათს, ან წარმოადგენენ მოვლენათა სწრაფად ცვლას აქმის აერთიანების გასაძლიერებლად.

2. კავშირების (მაგრამ, ხოლო, და) წინ, თუ ისინი იწყებენ მომდევნო დამოუკიდებელ წინადადებას.

3. ყოველი წინადადების ბოლოს, თუ წინადადება გულისხმობს ვრცელ მსჯელობას, რაიმე ამბის მოყოლას, საგნის ან მოვლენის აღწერას.

4. ისეთი ბრძანებითი წინადადების ბოლოს, რომელიც შინაარსობრივ გულისხმობს თხრობითი წინადადების შესაფერისი (მშვიდი) ტონით წარმოთქმას.

შენიშვნა. თუ სახელდებითი წინადადება საგანთა, მოვლენათა სწრაფად ცვლას წარმოადგენს, მაგრამ სხვადასხვაგვარი ვითარებით, ამბის, სურათოვნების გასაძლიერებლად ყოველი წინადადების ბოლოს წერტილი დაისმის, მაგ.: მაყურებელთა ხალისიანი ხმაური ჩასწყდა ავიჯი. კედლებზე პორტრეტები და ნატურმორტები. ჩვენი და უცხო კლასიკური მხატვრობა. იატაკზე სპარსული ნოხი. კუთხეებში მარმარი-

ღოს ჭანდაკებანი (ცხადია, ასლები). კედელთან ძვირფასი ხისაგან ნაკეთები, ნაირი წიგნებით სავსე კარადა (მ. მ.).

საეარჯიშო 378. (გასამეორებელი). გადაიწერეთ, დასვით წერტილები.

1. ზვინების გადაღმა კალოებიც შეებათ ... კევრზე წამომჯდარი გოგო-ბიჭები მხიარულად მიერეკებოდნენ ხარებს სიმღერით დასტრიალებდნენ კალოს და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ პირსაფარაკრული დედაკაცები ორთითებით და ნიჩბებით ურევდნენ გალეწს (მ. მ.). 2. ომი დასრულდა დასუსტებული ჩვენი ქვეყანა შეუსვენებლივ ძეუდგა ომისაგან მიყენებული ჭრილობების მოშუშებას კვლავ გაისმა იმედიანი ჟრიამული რუსეთის თვალუწვდენელ ველებზე კვლავ გადაიხნა და გადაიფარცხა სისხლით და ოფლით გაჯოხიერებული უკრაინის თვალწარმტაცი ხოდაბუნები კვლავ გადაიბარა ზარბაზნებით, ტანკებითა და მილიონთა ფეხებით გადატკეპნილი და დაყამირებული ბელორუსიის ნოტიო მიწები კვლავ გაისმა სიმღერა საქართველოს აყვავებულ კორდებზე, აბიბინებულ ყანებსა და გაზაფხულის ყვავილით მოქარგულ მინდვრებში (მ. მ.). 3. მაგდანა ძმას შემოსცქეროდა მზის სინათლეზე კბილები თეთრად უკრთოდა დიდრონი თვალები ალერსით უკამკამებდა ორი სქელი კულული ღუდებივით ჩამოჰშლოდა (მ. ჯ.). 4. უცნაური პატივისცემა ვიგრძენი ამ ჭკლოვიარე დიაცის მიმართ და ამ წუთში ვიგრძენი, რომ მე ხელზე სისხლი მეცხო, ადამიანის სისხლი (ქ. გ.). 5. მაშინ ვინ იტყოდა, რომ ეს ფერმკრთალი პატარა ლეკის ბიჭი თავის ქვეყანაში გმირი გახდებოდა მაგრამ იგი მალე სათავეში ჩაუდგა მშობლიურ ღაღესტანს და მტერს შეაკლა თავი (ტ. ტ). 6. საღამო ხანი იყო მზე ჩაიწურა და მოეფარა მთებს მისი სხივები მხოლოდ მაღალი მთების თხემებზელა ენთნენ კელაპტრებივით ცას მოეყრევინა გულმკერდიდან ღრუბლები და ჩაებერტყა დაბლა ხეობებში მაღლიდან მოწმენდილი ცა დასცქეროდა დაბლა ნისლების გროვას ისინი აღელვებული, აბობოქრებული ზღვის ტალღებივით ეწეოდნენ ქვევით, სადღაც ჯურღმულში, გულჩათხრობილ უფსკრულში (ვ. ფ.). 7. ჩქარა ტემპით შენდებოდა ქარხნები და ელექტროსადგურები იბურღებოდა მთები და ითხრებოდა მინდვრები სარწყავი არხების გასაყვანად (ს. შ.). 8. ამ ნეტარებაში იყვნენ, როდესაც თოფი გავარდა და შეყვარებულები გამოიყვანა ამ მდგომარეობიდან თოფის ხმაზე გაცვივდა კიდევ რამდენიმე თოფი და მოისმა ყვირილის ხმა იმ მხარეს, სადაც მარტია და გიორგი ყარაულად იდგნენ ელგუჯა გაიჭრა იქითკენ და თვალწინ წარმოუდგა შემაძრწუნებელი სურათი, რომელიც არ მიემსგავსებოდა ამ რამდენიმე წამის წინ ნაგრძნობს მარტიას და გიორგის წინ შემოხვეოდნენ სალდათები, რომელთაც

მამაცად იგერიებდა ეს ორი, მეგობრობისათვის თავგადადებული კაცი (ა. ყ.). 9. ყველანი კი წინ მიისწრაფოდნენ და თუმცა დახეთქილ და დაფატრულ მიწაში მრავალი ზვირთი იკარგებოდა და იღუპებოდა, მაინც ბრძოლის ველი მოვარდნილ ნაკადულს რჩებოდა ხოლო ძირდასველებული ბალახები და პატარა წნორმურყნები... სიამოვნებით იზმორებოდნენ და იპროლებოდნენ ტანში (თ. რ.).

ქითხვის ნიშანი

სავარჯიშო 879. გადაიწერეთ, დასვით კითხვის ნიშნები.

1. — ბალღები სადღა არიან — იკითხა იოთამმა (ვ. ფ.). 2. — ჩემზე ნაწყენი ხომ არა ხარ — მაგას რად მეკითხები (ს. შ.). 3. — რა გინდათ ჩემგან რატომ თავს არ დამანებებთ ჩემს ცხოვრებაში რისთვის ერევით რა უფლება გაქვთ, რომ ჩემი პიროვნება დაიაგროთ (ს. შ.). 4. — ვინ გგონივარ მე (შ. დ.). 5. — ბარი გაქვს — ჰკითხა დავითმა მოულოდნელად. — ბარი (ს. შ.). 6. — ეს რისი ნიშანია (შ. დ.). 7. განა ამ ქვეყანაში შეიძლება სხვაგვარად იყოს საქმე (შ. დ.). 8. ხომ არ გვიწყრება (შ. დ.). 9. რა გატირებს, გოგო (შ. დ.). 10. რით შემიძლია გემსახუროთ (მ. მ.). 11. — რა გოკვირს, არ მოგვიხდება ბატონობა, თუ (თ. რ.). 12. — შენ მიკბინე, კალიავ, რად მიკბინე მე შენთვის სიკეთე მინდოდა, შენ სიავით მიხდი (თ. რ.). 13. შენ, ზამთარო, სად იყავი მაშინ რატომ არ დაგვეხმარე რატომ არ გადაუდექი გაზაფხულს წინ სად გაჰქრა შენი ძლიერება სად გაჰქრა შენი ყინვა და ზრობა გიღალატეს (თ. რ.). 14. აქამდის, გულო ხალასო, ეხლა რა სევდა დაგეცა (ა. ყ.). 15. — უეჭველია, თქვენც თქვენს მოვალეობადა სთვლიდით, რომ ხალხს გამოსარჩლებოდით — დიახ, ჩემს მოვალეობადა ვსთვლიდი (ა. ყ.). 16. — ნეტა რა იქნება მომავალში რას იზამს მეფე გიორგი როგორ შეგვხვდება ჩუსთ ხელმწიფე რა გუნებაზე დადგება ხვანთქარი (დ. კასრ.). 17. — კაცო, შენ შენს თავს ილოცავ, თუ მინაიას ულოცავ გზას — ხითხითით წარმოთქვა ოლღაიამ (ნ. ლ.). 18. საინტერესოა რა პასუხს გასცემს ზემოხსენებული წერილის ავტორს სახელმწიფო გამომცემლობის კოლეგია (გ. ტ.). 19. ლევან, სწორედ შენ დაგეძებდი, შენ კაცხის სვეტი თუ გაგიგია ოდესმე (ლ. გ.). 20. დაივიწყა ბეთქილმა დალი, მაგრამ განა დალი დაივიწყებდა მას (ნ. კ.). 21. მაშ რაღად აკლებდნენ იაგოს იმ ბედნიერებას, რომელზედაც ყველა ცის-ქვეშე ქმნილებას ნება ჰქონდა იმისათვის, რომ ყმად დაიბადა და შეექმნა განა იაგო იყო ამაში დამნაშავე (ა. ყ.).

ცნობისათვის. კითხვის ნიშანი დაისმის კითხვითი წინადადების ბოლოს: შენ ყურს გეიგდებდი? — ჰკითხა დავითმა (ს. შ.).

ხაკარჭიშო 880. (გასამეორებელი). გადაიწერეთ, დასვით კითხვის ნიშნები.

1. რა მოხდა განა ასეთი (ვ. ფ.).

2. — შინა ხარ — გაისმა ხმა გარედან. ამ ხმის გაგონებაზე ერუანტულმა დამკრა თავში და ფეხებში გაირბინა. ის ხმა თითქოს მეცნობოდა.

— შინა ხარ — გაალე კარი, რაღას მალოდინებ ვითომ კაცი ხარ, არ გებრალები, ადამიანი რომ ვიწვი და ვიდაგები ამ სიცივეში — ისმოდა გარედან ხმა.

— ვინა ხარ, ვინ ვის გაგიღო კარი რა თავხედი ვინმე ყოფილხარ უცნობს როგორ გაგიღო კარი განა ისე სულელიც მნახე — ვუპასუხე მე (ვ. ფ.).

3. ვის უნდა ერჩინა ამდენი მოურავები და გზირები უთვალავი შუქახორა მხლებლები და მოხელეები — სულ საწყალ, პატარა ბეჩავ ბელურას (თ. რ.). 4. მაშ, შენი ფიქრით, ქორი მტერია პატრონი კი მოკეთე, ჰა (თ. რ.). 5. — რა დაგემართა ჰკითხა ძატუმ (ნ. ლ.). 6. ახლა რომ ქუთაისში იყავი, რა გაიგე აზნაურობის საქმის (შ. დ.). 7. უამგეობის დადგენილება ყველასათვის კანონი უნდა იყოს. გასაგებ-ა, ხალხო (ს. შ.). 8. — ქალო, როდის იქნება თქვენი დალოცვის დღე. შენი და გოგიას ქორწილი (ს. შ.). 9. განა, ეგრე გჩაგრავთ ი რაღაც ქორია ან რამდენ ქათამს იტაცებს დღეში ნუთუ ეგრე საშიშია — ჰკითხავდა ჩხიკვი (თ. რ.). 10. — მაშ როგორ მოვიქცეთ, პირდაპირ წყნეთის რესტორნისაკენ გავსწიოთ — ჰკითხა კოწიამ ნოდარს და სანდროს (ა. ჭ.). 11 — რა დაგემართა, ბიჭო აქ საიდან გაჩნდი ეგ რუსული თოფი სად გიშოვნია (მ. ჯ.). 12. შე ლაწირაკო. არც ახლა დაიჯერებ, რომ ნამდვილი არსენა ვარ (მ. ჯ.).. 13. — ხომ ხედავ — მკითხა მამაჩემმა.

— რატომ არა!... — ბრმა ხომ არა ვარ

— იცნობ — მეკითხება მამა.

— რა დიდი ცნობა უნდა

— ხომ არ გინდა დაეჭიდო

— ვისა

— ამ პატარა ბიჭს.

— ბიჭი კი არა, ის არ გინდა კიდევ! ჩემი ლანდია!

— რა იცი, რომ ლანდია

— რატომ არ ვიცი!... განა ცოტა მინახავს წყალში (ა. წ.). 14. — თვითონ თამარი სად არის — ერთსა და იმავე დროს ვიკითხეთ მე და ევგენიამ (დ. კ.). 15. — აბა საით წავიდეთ — დაეკითხა ცაცა (ი. ე.).

სავარჯიშო 381. გადაიწერეთ, დასვით ძახილის ნიშნები.

I. 1. — უჰ, რა კარგია, რა საამურია დედასთან ყოფნა (თ. რ.). 2. — უი, შენ მოუკვდი შენ პატრონს — სიცილით შეუტია ნენეტარინამაც (შ. დ.). 3. — ბნელა, — სთქვა ლეგოსანმა, — ძალიან ბნელა (თ. რ.). 4. — მეფემ თეთრი ცხენი მოკლა — დაიგმინა ლაშქარმა (დ. ქასრ.). 5. — რით ვერ მოიღალა ეს ოხერი — ვიძახდით ყველანი (თ. რ.). 6. მადლობა ღმერთს ძლივს არ ეღირსა ამ სატიალე ქარს ჩადგომა ახლა კი გაზაფხულდება (თ. რ.). 7. ოჰ, რა ძნელია, რომ ადამიანს არა ჰყავს პატრონი, შემწე და მფარველი (ვ. ფ.). 8. ოჰ, რა ცუდი სიზმარი ვნახე (ვ. ფ.). 9. რა საშინელი ყოფილა ზამთარი (ვ. ფ.). 10. ოჰ, რა მშვენიერი რამ იყო ჩემი შეყვარდენი (ვ. ფ.). 11. ასე გვწამდა და ასე გვწამს ჩვენ, პოეტებს, ჰეშმარიტი პოეტური ხელოვნების დანიშნულება. ჰეშმარიტი ხელოვნება, ჰეშმარიტი პოეზია უკვდავია (ი. ა.). 12. ვინ არის ეს ქალი? რა მშვენიერი ქალია (გ. ტ.). 13. — შენ სულ ერთი მიზეზი გაქვს — ვეღარ მოვითმინე და შევუტიე (ა. ყ.). 14. — ყოჩაღ, რა ჩინებული ხელი გქონიათ (ა. ქ.). 15. (იონამ) მანანა დაინახა, გაეხარდა, მიესალმა და შესძახა: — შენმა კისკისმა და შაშვის ჭახჭახმა გამომაღვიძა (ა. ქ.). 16. დედას გიტირებთ, მაშინა, დედასა, პუგაჩოვიც კი მოგენატრებათ, მაგრამ გვიანღა იქნება, გვიანა (მ. ჯ.). 17. ჩემს ჩახმახოს კი სულ შენი დარდი ჰქონდა, აი — მიუგო პაპამ ნიშნის მოგებით (ი. ე.). 18. ცეცხლი ანთია კერაში, ცეცხლი — ჩურჩულებდა ზურია და თვალთაგან ცრემლები სცვიოდა (მ. მ.). 19. ჩვენ აქ საჩხუბრად კი არ მოვსულვართ — შეაჩერა გოგია დავითმა (ს. შ.).

20. — ვერა, ძმობილო, ვერსად ვერ გაგიშვებ შუაღამეზე სახლში შემომივარდი, მოკვლა და გაქურდვა დამიპირე და გაგიშვა?

— გამიშვებ — თვალები დაუბრიალა ქურდმა.

— ვნახოთ.

— თავი შეიცოდე, არ დაგინდობ

— ეგ უკვე სცადე, მაგრამ არაფერი გამოგივიდა

— ვაი, რომ დაგაცილე

— არ უნდა გესროლა, დანას უფრო მოიხმარდი — გაიღიმა გიორგიმ.

— არასდროს არ დამიცილებია (დიალოგი გრძელდება) (დ. ქ.).

21. ჩემი მამა, ჩემი ბებერი მამა — ვერ ძლებოდა დარიკო მისი ალერსით (დ. შ.).

II. 1. — შენც დაჰკა დარეკე — შორიდანვე უძახოდა ოძელაშვი-

ლი ყველას და ისიც თავდაპირველად ზარისკენ მირბოდა (მ. ჯ.). 2. რატომ ჩაგივარდა ენა, ხმა ამოიღე — უთხრა გოგიამ ბალიკოს (ს. შ.). 3. — თონე გაახურე, დააკარ, ადამიანო — თქვა ზალიკომ (ს. შ.). 4. — კი, გაიღვიძე, ძამიავ — მოესმა უცებ მიხოს ხმა (თ. რ.). 5. — მოგვეცით სინათლე მოგვეცით შუქი (თ. რ.). 6. — რუსო, იყუჩე — შეუტია არსენამ (მ. ჯ.). 7. — გვირაბის გასასვლელს ძალიან ლდით — გასცეს განკარგულება (ნ. კ.). 8. შემომფიცეს, რომ მოჰკლავ აღა-მაჰმადხანს, მოსწმენდ მეფეს სირცხვილს (დ. კასრ.). 9. — აიმოკლეთ, თოკი აიმოკლეთ — შევძახე და ჩემი ხმა ცოტა მეუცხოვა (ლ. გ.). 10. ჩაბერე, შუტუ, ჩაბერე, მზესა და ხილულ სამყაროს შეეგებე, შეეხმიანე (ლ. გ.). 11. მოთმინება იქონიეთ — უპასუხა ლევანმა (მ. მ.). 12. დამშვიდდი-მეთქი გეუბნები ჭორს ნუ აჰყვები, სირცხვილია (მ. მ.). 13. გუტატი შეინძრა, თავი მოაშორა და თითქოს ხუმრობით და წყენით ასე მიაყოლა: — გადი შე წუპაკო, დამეკარგე რაებს ლაპარაკობ, მეორედ აღარ გაბედო (შ. დ.). 14. აბა, გავსწიოთ (შ. დ.). 15. სუ აღარ გაიმეორო — წარბებ-შეჭმუხვნით წარმოსთქვა შიოლამ (ა. ყ.). 16. დაეხსენ, ნუ აწვალებ — მიაძახა ბაქრაძემ (ა. წ.). 17. ერთ ხელში ხანჯალი მიჰირავს, მეორეში — ოქრო, რომელიც გინდა აირჩიე (ა. წ.). 18. — ჩამოხე ცხენიდამ — შევჭყივლე სომეხს (ი. ჭ.). 19. — თუ ვაჟკაცი ხარ, გამიმაგრდი — შევჭყივლე მე (ი. ჭ.). 20. — ქიონია ქიონია — გავძახე დედამისს (დ. შ.).

III. 1. მასპინძელო — შესძახა ვაგიამ (დ. კ.). 2. ბერიკაცო სოფელი რა შუაშია? (ლ. გ.). 3. შვილებო, შვილებო — გულის გამგმირავად დაიძახა მოხუცმა (ა. ყ.). 4. — ამხანაგებო — დაიწყო მან, ნინიასეულის გაფუჭებას ჩვენ არავის ვაპატიებთ (მ. მ.). 5. — ბიჭო შენ გეუბნები მოიცა (ლ. გ.). 6. პური გავტეხოთ თანაცა. მოგშივდებოდა, მუშაკაცო (ლ. გ.). 7. ბატონო თავმჯდომარეე ნება მიბოძეთ ერთი რამ შემოგეკითხოთ (მ. ტვ.). 8. ბოდიშს მოვიხდი, ბატონო — გააწყვეტინა ელიკომ (ს. შ.). 9. — ლევან ლევან გინდა წყურვილით მომკლა? 10. ოქროპირ ჩემო კარგი ნახელავია, გრემძლიერის მზემ... (ლ. გ.). 11. საყვარელო დედავ და მამავ პირველად მრავალს მოკითხვას მოგახსენებ (ვ. ფ.). 12. — აქეთ, აქეთ, ვანო — დაუყვირა სერგომ (ნ. ლ.). 13. ხალხნო და ჯამაათნო ისევ აქვე ვეძებოთ ჩვენი საზრდო, გარეთ ვერაფერს ვიშოვით (თ. რ.). 14. მშვიდობით, საყვარელო თოვლყინულოვანო მთებო (ნ. კ.). 15. მთებო, მთებო რას ელით, ვის ელით, ნუთუ გყავთ სატრფო დიდი ხნის უნახავი? (ვ. ფ.). 16. ბერიკაცო სოფელი რა შუაშია? (ლ. გ.). 17. — ხი, შე სამგლეე — ბრაზიანად შეუძახა განზე გავარდნილ ნიშა მოზვერს (ლ. გ.). 18. —

შვილებო ძმებო რატომ ჩვენი მდგომარეობა ვერ გაგითვალისწინებიათ? (ს. შ.). 19. ბატონო თავმჯდომარევ რაც ვთქვი, ეს მჭირდება სწორედ ბრალდებულის დასახმარებლად (შ. დ.).

IV. 1. — აუ მითხარ რაი ამბავია, რაღასა მლევ?! (ა. ყ.). 2. აბა რად მაცდუნე, სატანავ, ბილწო? (ვ. ბ.). 3. ეიბე რა ადრეულა ყოფილა და (ს. მ.). 4. ჰაი, ჰაი, ჰაი ღონიერი არ ყოფილა ისიცას.. (ი. ჭ.). 5. — უი გოგონა, მაგას რას მეუბნები (ა. წ.). 6. მაგაზე ფიქრი ტყუილი თავის მტვრევაა, ჩემო დობილო, ტყუილი ოცნებაა ოჰ, ოჰ (ვ. ფ.). 7. — იალაჰ — წამოიძახა მზაღომ, რომელიც სვიმონს თავის დღეში ვერ წარმოიდგენდა გაგის ნათესავად (ა. ყ.). 8. აჰუ — გაუკვირდა მოხუცს (ა. ყ.).

ცნობისათვის. ძახილის ნიშანი დაისმის:

1. ძახილის წინადადების ბოლოს: რა საშინელება ყოფილა ზამთარი! (ვ. ფ.).

2. ბრძანებითი წინადადების ბოლოს: აბა, გავსწიოთ! (შ. დ.).

3. მიმართვასთან, თუ ის ცალკეა ხმარებული; ან — როცა წინადადების თავშია ან ბოლოში, მაგრამ წარმოთქმულია დიდი გრძნობით: — შვილებო! ძმებო! რატომ ჩემი მდგომარეობა ვერ გაგითვალისწინებიათ? (ს. შ.); მოესწრები, მოესწრები მაგას, შვილო! (შ. დ.). — მამაე! — თავი ვეღარ შეიმაგრა მოსულმა (ა. ყ.).

4. ცალკე ხმარებულ შორისდებულთან; ან — როცა იგი წინადადების თავშია ან ბოლოში და წარმოთქმულია დიდი გრძნობით: ხაბარდა! ჩამოდექითო! — მოჰყვირეს ქუჩაში (ა. წ.); ვერ მოგართვი! გათავდა! ბასტა! (მ. ჯ.); — ბრავო! ბრავო!— ჰყვიროდა მისი სიმარდით აღტაცებული ხალხი (დ. კლდ.).

ხავარჯიშო 952. (გასამეორებელი). გადაიწერეთ, დასვით ძახილის ნიშნები.

1. შეტკრციალდა კოცონი. ხვამლის ციხე-ქვაბული ცოცხლობს და ებრძვის ნგრევისა და დავიწყების განუსაზღვრელ სამყაროს (ლ. გ.). 2. რამდენი დიდებული ნაშთი ჭერ კიდევ ელის თ.ავის „მეოცნებეთ", გაბედულ მკვლევართ (ლ. გ.). 3. — აჰაი დედასა, სად არის ახლა ჩემი გიორგი — შეჰყვირა ზურიამ (მ. მ.).

4. — დედი ჰხედავ... ამ... ანგელოზს — ძლივძლიობით გამოსთქვა გიორგიმ, ისევ კესოზედ თვალგაჩერებულმა.

— ვხედავ, შვილო

— დედი ღვინო

— დედამ კიდევ დაალევინა ღვინო.

— ეგ იყო ჩემი ბედისწერა... არა ვნანობ, არა — კვლავ მიუბრუნდა გიორგი გაწყვეტილ სიტყვას (ი. ჭ.)

5. მაშ გაუმარჯოს გაზაფხულს გაუმარჯოს გაზაფხულის მოსვლას (თ. რ.). 6. ჭაღარამოსილებიც ყვიროდნენ: არ გვინდა არ გვინდა (ს. შ.). 7. — გეხუმრე, შენ სასიკვდილოდ გასამეტებელი არა ხარ აფერუმ, დედაკაცო, სიყვარულიც გცოდნია და მეგობრობაც (ა. წ.).

8. ამ ეროს გამოჩნდა მოედანზე ყველას ნაცნობი ფოსტალიონი, რომელიც იძახოდა: დეპეშა დეპეშა სასწრაფო დეპეშა (ს. შ.). 9. — შუქი ანთე, შუქი — შევძახე ილოს (ლ. გ.). 10. არსენ, მიუშვი მიაძახა ღავითმა (მ. ჯ.). 11. გაიგე, მთაო და ბარო, ცავ და დედამიწავ, რომ კავიმარჯვე (ვ. ფ.). 12. ახალგაზრდა ხარ, ჩემო თებრო, სულ ახალკაზრდა (ს. შ.). 13. დიახ, ბატონო ზაქარია, ქართული ჩაი ყველაზე უკეთესია ქვეყანაზე (ს. კ.). 14. ჰოი, ბნელო ღამევ მეჯავრები შენ მე (ი. ჭ.). 15. — სახლში მობრძანდი, ბესარიონ (დ. კლდ.). 16. — ჰო, კარგი ახლა. მამაჩემო — გულმოსულად გადასძახა ეოლინამ (ს. კ.). 17. ხალხნო და ჯამაათნო — კიდევ აუწია ოძელაშვილმა — ახლა მეფე და ბატონი ერთად მოგვადგა (მ. ჯ.). 18. — ყოჩაღ, არსენ ბარაქალა შენს ბიჭობას (მ. ჯ.). 19. ჰაი, ჰაი, ჰაი ღონიერო არ ყოფილა ისიცა (ი. ჭ.). 20. ოხ, ოხ, უბედურო — შესძახა ნუნემ (ე. გ.). 21. — ყველა ღვთის გაჩენილია, ყველა ღმერთს ეხვეწება და ემუდარება, ღმერთო, მაცოცხლე და მაცხოვრეო, ჩვენ კი უნდა მოვკლათ? ფუუუჰ (ვ. ფ.). 22. — უჰ — მოწონების ნიშნად წამოიძახა იმან (ა. ყ.). 23. — გადაჰკვეთე დამხმარე საბელი გადაჰკვეთე ოღონდ არ შეგცდეს — შევძახეთ ყველამ (ლ. გ.). 24. — ბა, ვახტანგ, შენ ჩამოთვალე (ნ. კ.). 25. დაიჩოქე — უბრძანა მან ერთ გლეხს (მ. ჯ.). 26. — მაშ ლაღიძის წყალი დალიეთ (ა. ქ.). 27. ჩემო კეთილო ბიჭუნავ ეგ შენთვის ვიმღერე, თორემ რა მემღერება — მითხრა ხმაშიაშვილმა (ა. ქ.). 28. — უჰ, ბიჭებო — იძახდა ლოკებდაწითლებული ლადა — რა თოფია, კაცო, რა თოფი ისე ბრჭყვიალებს პავლიას თოფი, თითქოს ვერცხლისააო ისეთი წითელი კონდაბი აქვს, ნაზუქივით დაბრაწული ... ახლა რა ხმალიც მოუტანია და ჭმინდა ვერცხლისაა, მზესავით ანათებს ი ვერანა ჰეეე ბიჭებო ნეტავი იმასა (თ. რ.).

ქითხვით-ძახილის ნიშნები

საკარჭიო 888. გადაიწერეთ, დასვით ქითხვით-ძახილის ნიშნები.

1. სადა ხარ, იავ, ჩემო დაიავ (ვ. ფ.). 2. — ჰაი, შე ბრიყვო, გჯერა, რასაც ეგენი ამბობენ (ვ. ფ.). 3. განა უპატრონოდ ცხოვრება შეიძლება (თ. რ.). 4. — ზალიკო, მაგდან, რა ყვირილი გაქვთ ამ შარაგზაზე — უთხრა გაოცებულმა ქმარს (ს. შ.). 5. ვაი დედასა, სად ვიყავი (შ. დ.). 6. — დამელუპება ეგ გოგოც და მერე რა ვუყო, ვის მივმართო — შეჰყვირა ზურიამ (მ. მ.). 7. განა მუდამ გადაურჩება ხიფათს კაცი (თ. რ.). 8. მესმის რეზოს მუზარადზე ქვების დაცემის ჩხრიალი. უმუზარადოდ რა ხასიათზე იქნებოდა (ნ. ლ.).

ცნობისათვის. კითხვისა და ძახილის ნიშნები ერთად იმ შემთხვევაში დაისმის, როცა კითხვასთან ერთად გამოხატულია გაკვირვება, აღტაცება...; მაგალითად: სახლიდან მაგდებ, მამამთილო?! — გესლიანად წამოძახა მან და გოროზად გადახედა ხარატელს (მ. მ.).

ხავარჯიშო 884. (გასამეორებელი). გადაიწერეთ, დასვით კითხვით-ძახილის ნიშნები.

1. მილეთის ხალხი აირია: ამ მთისა, იმ მთისა, ერთმანეთისათვის სრულიად უცნობნი ახლა უეცრივ ნაცნობები გახდნენ, ერთმანეთს გულში ეკვროდნენ, ნუგეშს შესთხოვდნენ და თანაც საეგებოდ ეკითხებოდნენ:

— ნუთუ მართალია

— ნუთუ ქვეყნის აღსასრულია (დ. კასრ).

2. შენის თვალით რომ ხედავდე შენი შრომის კეთილ ნაყოფს, განა ეს ბედნიერება არ არის (ნ. ლომ.). 3. სულ ცხადად ვხედავდი, მაგრამ რით ვუშველიდი მე, საცოდავი (ვ. ფ.). 4. ჩვენ ერთხმად აურზაური ავტეხეთ: როგორ თუ რა არის, ვინა ჰბედავს მაგისთანა თავხედობას (ვ. ფ.). 5. — ვეჟო, ასეთი საქმე გაგონილა — ჰყვიროდა ზაალი და კიბეზე მოგორავდა. — ბატონს ყმა მიუვარდეს და ერთგული კაცი გაულახოს (მ. ჯ.). 6. — ასეთი უმადურობა გაგონილა — და ბატონმა ორივე ხელი დაირტყა მუხლებზე (მ. ჯ.). 7. ნუ ხარ უჯიათი, წმინდა კაცის სიტყვაზედ, როგორ ხარ უჯერო, რა დაგემართა (ი. ჭ.). 8. განა ჩემის მეტი დარდი არა აქვს ღმერთსა (ი. ჭ.). 9. ამას რას ვხედავ — იყვირა მანანამ და გულიანად გადაიკისკისა (ა. ჭ.). 10. თქვენ პირს შაქარი. გოგიას და დუდეს ჩამოსვლას თუ მოვესწარი, მაშინ რაღა მიჭირს (ა. ჭ.). 11. ვინ იყო აქ, ამ მყუდრო ოთახში, ვინ ააფორიაქა მარტოხელა ქალიშვილი (დ. კ.). 12. როგორ თუ არ დამხრჩვალა — მიაყვირა ორივემ (ა. წ.). 13. ვაი, თუ ირანის ლომმაც აქ ამოიძუოს კუდი (ა. წ.). 14. ლეკობა ხომ არ დაგიწყია, დავით ჩემო (ლ. გ.).

მრავალწერტილი

ხავარჯიშო 885. ახსენით მრავალწერტილის ხმარების ცალკეული შემთხვევები.

I 1. — რა გინდოდა, ჩემო გუდუნა?

— რა და... — ცოტა შეყოყმანდა, — რა და ერთი სახნისის ტარი, კავი მინდა (შ. დ.).

2. უცნობი მოტრიალდა.

— უკაცრავად. — ბრძანეთ. — მე... მე... ვეღარ მიცანით? უცნობი ჩააშტერდა.

— უკაცრავად, მაგრამ... (მ. მ.).

3. მონადირემ, რომელიც ირმებს მისდევდა, გაბრიყვებულს მგელს თვალი შეასწრო.

— ირმები თუ გამექცნენ, ეს ხომ აქ არის! — სთქვა მან და დაუმიზნა თოფი, თოფი გაავარდა... და მგელი წაიქცა... მოკვდა მგელი... (ვ. ფ.).

4. — გაფრინდი, ჩემო არწივო, გაფრინდი... ცოტაოდენიც გაიჭირვე და მალე სამშვიდობოზე გავალთ... აბა, გაფრინდი, გაფრინდი... იცოდე, რომ შენ გაქვს ბედი და უბედობა შენი ქვეყნისა... (დ. კასრ.).

5. — დამცინი? ხელში გყავარ და დამცინი, მაშ მე თვითონ... ტელეფონს მივარდა, ყურმილი ჩაბღუჯა, მაგრამ გიორგიმ ნომრის აკრეფა არ აცალა, მშვიდად მიუახლოვდა, ყურმილი გამოგლიჯა და თავის ადგილზე დადო (დ. კ.). 6. წინათ ოთარი ადრე მოდიოდა პაემანზე და მოთმინებით უცდიდა მაიას, ახლა კი... (მ. მ.). 7. მუხათელ მუქთახორას მეტსახელად „ცალყურას" უწოდებდნენ, რადგან... რადგან ერთხელ, ხუთიოდე წლის წინათ, ამ ჯორაშვილმა ზაალს რაღაცა აწყენინა... (მ. ჯ.).

8. თუ ღმერთი გწამს, მითხარ: რამდენი წლისა ხარ?.. — მკითხა და არ ვიცი რისთვის გადამიგდო ბანზედ სიტყვა!

მგონია, თოთხმეტ-თხუთმეტისა ვიქნები...

თოთხმეტ-თხუთმეტისა... — გააგრძელა სიტყვა, თითქოს არა სჯერაო, და დაფიქრებით თვალი თვალში გამიყარა.

რაზე მკითხე, შენი ჭირიმე?

— ისე გკითხე. მე... სწორედ გითხრა... მეტისა მეგონე... ეს ისე ჰოქმანობით და შესვენებით მითხრა, თითქოს სიტყვა არ დაათავაო და შუაზედ გაწყვიტაო (ი. ჭ.).

9. — ვერ მომიგონეთ, ამხანაგო კაპიტანო? მე ჩხეიძე ვარ, გივი ჩხეიძე, მეორე ბატარეიდან...

როგორ არა, როგორ არა, ახსოვს გიორგის მეორე ბატარეა, ეს ცოცხალი, დაუდეგარი ყმაწვილიც აგონდება, მაგრამ სხვა რამეც გაახსენდა!... მაინც როგორ შეცვლილა ეს ბიჭი... (დ. კ.). 10. — რა დაგემართა? როგორ ვერ გაიგე სიზმარში რომ ნახა... — გააწყვეტინა მარიამმა.

სიზ...მარ...ში?!.. — გაოცებით იკითხა ერისთავმა და პირი დაალო.

— დიახ, ჩემო ბატონო! — სთქვა კირილემ და მოჰყვა თავიდან სიზმარს... ერისთავები გაოცებით უგდებდნენ ყურს. როცა მივიდა კირილე იმ ადგილამდე, სადაც საყდარში შესულმა გმირები დახოცილი ნახა, ზაალმა უცბად გააწყვეტინა სიტყვა: მესამე? მესამე ვინ იყო? ვერ იცანი?..

— ახლა ესენი რომ ვნახე, ისიც მომაგონდა... თქვენი სიძე გახლდათ, სწორედ ის იყო!.. (ა. წ.).

II. 1. იგი თუმცა ერიდება გრძნობის გამჟღავნებას, მაგრამ და-

ფარვაც არ ძალუძს და პირველი შემთხვევისთანავე თვითონ მიმართავს ტარიელს:

„...ნუ დაიჩენ, ლომო, წყლულსა, მე შენი ვარ,
ნუ მოჰკვდები...“ (ქართ. ლიტ., VIII კლ.).

2. ხატაელებმა ავთანდილს ტარიელი ასე დაუხატეს:

„თავსა და ტანსა ემოსა გარე თმა ვეფხის ტყავია,
ჯერთ მისი მსგავსი შვენება კაცთაგან უნახავია...“
(იქვე).

3. შვიდი წლის ნესტანი შეიქნა:

„...ქალი წყნარი და ცნობილი,
მთვარისა მსგავსი, მზისაგან შვენებით არ-შეფრობილი“
(იქვე).

4. ყურს არ უგდებდნენ ილიას დანაბარებს: „მოვიკლათ წარსულ დროებაზედ დარდი, ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს... ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“ (ა. ჭ.).

5. მტრის წინაშე ქედმოუხრელი გმირი აცხადებდა: „უწმინდურ სიცოცხლეს მე წმინდა სიკვდილი მირჩევნია და სანამ მოვკვდებოდე, მანამდე მაინც კიდევ ვეცდები, რომ ჩემი ლუკმა როგორმე დავაბრუნო... მე ჩემდათავად გაზაფხულის მახარობლობის დროს სიკვდილი მირჩევნია ზამთრის წინასწარმეტყველებაში მედიდურად სიცოცხლეს...“ (ქართ. ლიტ., IX კლ.).

6. პოეტის განმარტებით, „პატრიოტობა ნიშნავს სამშობლოს სიყვარულს და პატრიოტი იმ კაცს, ვისაც თავის სამშობლო, მამული უყვარს. მიუხედავად პირადი სარგებლობისა... სურს ჩვენი ქვეყნის ბედნიერება, ეძებს მისთვის ბედნიერების მოპოვებას და დაჩქარებას...“ (იქვე).

7. „პირველი ნაბიჯის“ შესახებ კრიტა აბაშიძე აღნიშნავდა: „...ამ რომანის გამოსვლისთანავე ყველამ თითქოს ერთხმად ერთ ოჯახზე მიიტანეს ეჭვიო“ (იქვე).

8. სიჩუმე ჩამოვარდა.

ამბობ... უნდოდა დაეწყო ლევანს, მაგრამ დაბლა მოუვიდა, რომ არავის გაუგონია (ლ. ჭ.).

9. რით შემიძლია გემსახუროთ? გამათავისუფლეთ თანამდებობიდან და... მაგრამ ამაზე ცოტა გვიან... (მ. მ.).

ცნობისათვის. მრავალწერტილით აღნიშნება:

1. როცა სათქმელი დაუმთავრებელია, შეწყვეტილ-დაყოვნებულია, სიტყვის თუ წინადადების წარმოთქმა, ხვეულებრივ, ხდება ნაწილ-ნაწილ (ნაწყვეტ-ნაწყვეტად), ახასიათებს მოულოდნელი, უეცარი გადასვლა ერთი საგნიდან მეორეზე და სხვ. ძირითადი მიზეზი ამისი არის მთქმელის მძიმე სულიერი მდგომარეობა, გრძნობათა სიუხვეზე, უარყოფითი თუ დადებითი ემოციების წარმოშობა სხვათა

ჩარეცით და სხვ. მაგ.: და გადაისაც ასეთი დარიგება მისცა: შორს არსად გაუშვა... აჭამე... თუ სიცხემ მოუმატოს, ექიმს დაუძახე და... ერთი სიტყვით, თავისი ვალი მოიხადა (მ. ჯ.).

შენიშვნა. მრავალწერტილით აღინიშნება შეფერხება ენის მოკიდების, ბორძიკისას:

გამ...გამარჯვება, ჯაყო!

ნათლია კნიაზს ვახლავარ!

კაცო, სადა ხარ, სად და...დდაიკარგე? (მ. ჯ.).

2. არასრული ციტატი, როცა მისი სრულად დამოწმება საჭირო არ არის და დედანთან შედარებით აკლია დასაწყისი ან ბოლო ნაწილი, ან გამოტოვებულია სიტყვა ან წინადადება ციტატის შიგნით: „პოემაში წარმოდგენილია პროლოგი, ძირითად ამბავთა განვითარება, და ეპილოგი. პროლოგში, რომელიც აწყება სიტყვებით: „დღემ დაიხურა პირბადე...“ ავტორი ბუნების სურათის აღწერით გამოხატავს ღრმა პატრიოტულ გრძნობას (ქართ. ლიტ. X კლ.).

საუარჯიშო 886. (გასამეორებელი). გადაიწერეთ, ახსენით მრავალწერტილის ხმარების შემთხვევები.

1. თუ კარგად იცი სიმინდის თოხნა, მობრძანდი, მიგიღებს... თუ ეს შენთვის ხელსაყრელი არ არის, მაშინ მიმართე თადე ვეფხვაძეს (ს. შ.). 2. ჯერ ეს უნდა გახარო, რომ შენი შვილი გიორგი ჩემს წევრებს უნახავთ... ის გოგო თურმე შენ დაგეძებს... შენი ნახვა უნდა, მაგრამ... (ს. შ.). 3. ქალი წინ წამოაყენეს და საბამ ჰკითხა:

— ვისი ხარ, შვილო?

ქალიშვილმა დუმილის შემდეგ თქვა:

— მე ვარ... მე ვარ... დავით ხელაძის ქალიშვილი! (ს. შ.).

4. ჯერ ჩვენ ვდგავართ ფრანცისკანელთა კათოლიკური მონასტრის სახურავზე, მის ფართო ვერანდაზე და გადავცქერით ძველსა და ახალ იერუსალიმს.

აგერ გოლგოთა...

აგერ აღდგომის ტაძარი...

ქრისტეს საფლავი...

ომარის მიზგითი...

ელეონის მაღალი კომკი... სიონი... გეთსიმანიის ბაღი... ზეთისხილის მთა... შორს, მთის ძირში, „მკვდარი ზღვა“ (ი. ა.). 5. უყვარს სმა, ჭამა, სუფთად ჩაცმა, სპორტი გაგიჟებით და კიდევ სხვა რაღაც... ჰო, ფულიც (მ. მ.).

6. წადი, გოგი! გატყობ, გეჩქარება. წადი, მხოლოდ ერთი პირობით?...

რა პირობით? (დ. კ.).

7. გიორგი, მაჯობე ...ვკვდები, ორჯერ დაგინდე და ახია ჩემზე... ვინც იარაღი ამოიღო, კიდეც უნდა დაჰკრას... მე კი მეგონა მტერს მანამდე არ დაჰკრა, სანამ ერთხელ მაინც არ მოგიქნევდეს ... ჭკუა წავაგე და... მაგრამ არ შეგრჩების, კუპატნელო! (მ. ჯ.).

8. საკურთხევლის წინ, იატაკზე, შესანიშნავი მოზაიკური სურათებია: ფარშავანგები, თევზები... (ი. ა.).

9. ქალო, სად არის შენი ქმარი ამდენ ხანს?..

„ჩემი ქმარი?.. — ამბობდა იგი ათრთოლებული ხმით. თითქოს უკვე იცოდა, რომ ის უკვე აღარ იყო ამ ქვეყნად, ჩემი ქმარი იმ ძაღლთან ერთად იყო დილიდანვე წასული და...“ ქალს სიტყვა პირზე შეახმა (კ. გ.). 10. თვით ჩემი დედა, და-ძმები მგლებმა დაჭამეს და მეც იქნება... ჰო, იქნება კი არა, სწორედ შესაძლებელია ჩემივე მსგავსის, ჩემის თვისის და ტომის საგლეჯ-საწუწი შევიქმნა ოდესმე (ვ. ფ.).

11. — მე რას გადამეკიდე, რა გინდა ჩემგან?

— ისა, შენი ჭირიმე, რომა... (ა. ყ.).

12. მეგონა ეგეც პატიოსანი იქნებოდა, მაგრამ მოვტყუვდი! გაეახსენებდი ცოლ-ქმრობაზე ხელის მოწერას, დამპირდებოდა... გადამიგდებდა... სულ თავი მიმანება... ველოდებოდი... არ მოდიოდა... კიდევ და კიდევ ველოდებოდი... ბავშვს მაინც ნახავს, გულში ვფიქრობდი... არც ბავშვი ნახა. ქალიშვილი დადუმდა, ცრემლები მოიწმინდა და ძლივს წარმოთქვა:

ერთი წლის ბავშვთან მარტო დამტოვა... აქამდე ვდუმდი... არას ვამბობდი... დღეს კი გავბედე (ს. შ.). 13. აი რამდენიმე ნიმუშიც: „...მისი სიყვარულის კოკორს მოხვდა მარტის ყინვა, რომელმაც უდროოდ დასძრა და დათრთვილა იგი“ (ქართ. ლიტ., IX კლ.). 14. ტარიელი სწორედ ისეთი მიჯნურია, როგორსაც რუსთაველი იძლევა „ვეფხისტყაოსნის“ შესავალში:

„ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში,
რა მოჰშორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქმა, უში,
გული ერთსა დააჯეროს...“ და სხვ. (იქვე).

15. დედაჩემი წამოვარდა ფეხზე, დარეტიანებულსავით ბარბაცით და თავის ცახცახით მოვიდა ცეცხლაპირას...

— მერე, მერე? — ჰკითხა მაზლს.

— ვენახი გაგვიყიდეს, ვენახი, ვენახი... ვაი, ცოლო და შვილო! ნაფუძარი გაგვ... (ნ. ლომ.).

მ ა ც ი მ ე

მაცივე შერწყმულ წინადადებაში

1. მაცივე უკავშირო შერწყმულ წინადადებაში

საკარჯიშო 887. გადაიწერეთ, დასვით საჭირო სასვენი ნიშანი.

I. 1. მურია ღრინავს ჰყეფს ტრიალებს (თ. რ.). 2. ჩვენი მეცნიერება მთელი დღის განმავლობაში შეუნელებელი ინტერესით ჩაჰკირკიტებენ კითხულობენ სწავლობენ ამ ძვირფას ქართულ სიძველეებს (ი. ა.). 3. ძაღლი მომვარდა დამყნოსა კუდს აქიცინებს წკმუტუნებს (კ. გ.).4. გიორგი ლალისთან მივიდა ხელი ჩამოართვა მოიკითხა (დ. კ.). 5. ვფიქრობ ვოცნებობ ჩემს თავს ვებაასები (კ. გ.) 6. ვამეხი წამოდგა ბავშვი უკანა ოთახში გაიყვანა მოეფერა... (შ. დ.). 7. ეგეც ითესება იზრდება ტანს აიყრის იფურჩქნება ყვავილს გამოიღებს ნაყოფს ისხამს ცოცხლობს! (შ. დ.). 8. აქ ლევანმა თაბაშირში გაკრული ხელი შეისწორა მაგიდა ახლოს მიიწია რვეული გაშალა და კითხვას შეუდგა (მ. მ.). 9. ზურიამ საურმე გზაზე საბალახოდ მიბმული ცხენი აუშვა ეზოში გამოიყვანა წყალი დაალევინა რუზე მერე საჩეხესთან მიაბა და შეკაზმვას შეუდგა (მ. მ.). 10. აქმიამ პაპიროსს მოუკიდა ნაფაზი დაარტყა ფეხზე წამოდგა და ჩვეული დინჯი ნაბიჯით ქვემოთ დაეშვა (მ. მ.). 11. ნატო ადგა ოთახში შევიდა წინდის ჩხირები და ძაფის გორგალი თაროზე ჩამოსდო (მ. მ). 12. ერთი ორი კურდღლის მოკვლის შემდეგ მონადირენი მდინარის პირას მოშრიალე ცაცხვების ქვეშ დასხდებოდნენ წყაროში ღვინოს ჩააცივებდნენ ყველს შემწვარ და მოხარშულ ქათმებს ჩანთიდან ამოალაგებდნენ მწვადს აშიშხინებდნენ და ჭამა-სმას შეუდგებოდნენ (ა. ჭ.). 13. ძაღლმა შეჰკივლა დაიგრიხა ჭრილობას ტუჩით ეძგერა წაიქცა და უმალვე სული გასძვრა (ა. ჭ.).

II. 1. ქალაქში მრავლად ცხოვრობდნენ ევროპელები რუსები და კათოლიკე მისიონერები (მ. ჯ.). 2. იმათ მოჰყავთ პურიც ღვინოც (თ. რ.). 3. ლაზარემ ელიზბარმა და ბარამმა გამოიყვანეს ერეკლეს ცხენები (დ. კასრ.). 4. ორსართულიანი ქვიტკირის სახლი... კარგი მარანი ერთი მეწველი ძროხა ათიოდ სული ცხვარი ერთი ულაყი ცხენი ერთი დღიური კარგი ვენახი და ერთი დღიურიც ბაღჩა-ბაღი თავისას ითხოვდა (მ. მ.). 5. უკრაინა ბელორუსია ჩრდილოეთ კავკასია პარტიზანული ბრძოლების ცეცხლში იწრთობოდა (მ. მ.). 6. ავადმყოფნი ბრმები დავრდომილნი მიიხოხავენ სინათლის დასანახად (თ. რ.). 7. ნავთის ლამპრებით განათებულმა მომღიმარმა სახეებმა მხიარულმა სიტყვა-პასუხმა და ცხარე კამათმა არტანელი თავის ბუნების

ღვიძლ მორევში გადაისროლა (მ. მ.). 8. ხახულის მონასტერი ოშკი ბანა ხანძთა შატბერდი ტბეთი და სხვა მრავალი სამხრეთ საქართველოშია (დ. კ.). 9. ახლოს მიდგა ვარდი იასამანი ზამბახი ათასნაირი ჩემი უცნობი და უნახავი ყვავილი(ვ. ფ.). 10. დედაბოძზე, გიგოლას პირდაპირ ჰკიდია მისი ხირიმი დამბაჩა და დიდი ხანჯალი (ვ. ფ.). 11. მის ჩრდილებში ნიადაგს ჰფარავს ვეებერთელა კაცის სიმაღლე ბალახი — დუცი დიყი ბოვერა შალდაყი და სხვ. (ნ. კ.). 12. სამაგიეროდ ჩემი მაგიდა დაფარა მტევნებმა კომშმა ლეღვმა და ატამმა (ს. კ.). 13. ტყე მინდორი ყველა სულდგმული თუ მცენარე სიცივით ცახცახებდა (ვ. ფ.). 14. ზარნაში არწივი კვერნა და სხვა ყველა ჩვენ გვშტრობს (თ. რ.). 15. მზეს ქარსა და წვიმას კირქვის შიშველი კანი ანტიკურ ქვაძეგლებად ჩამოუძერწავთ (ლ. გ.).

III. 1. ხელი დაავლეთ ნაჯახებს ორთითებს წალდებს ცელებს და მარგილებსl (მ. ჯ.). 2. მე წარვუდგინე საბუთები პირობები სიგელები (ვ. ფ.). 3. გოგოებს ნიჩბები არნადები ორთითები და ცხრილები ეზოში დაუწყვიათ და ამზეურებენ (მ. მ.). 4. დარჩება დრო მტაცებელ მიმინოებს ალალს ბორას და მრავალს სხვა თქვენს მტერს (თ. რ.). 5. ხურჯინის ერთ თვალში მართამ ქადები ნაზუქი და ახლად გამომცხვარი პური ჩააწყო (მ. მ.). 6. ხშირად ევედრებოდა მიწას ფესვმაგარ ხეს სიპიან კლდეს მთის მწვერვალებს მინდორს და ველს ჩანჩქერს და მდინარეს (მ. მ.). 7. ათჯერ დასერა მახარამ სომხეთი და ახალციხე ჯავახეთი და ჰარ-ბელაქანი არეზი და მტკვრის შესართავი შექი და შამშადილი განჯა და ყარაბაღი (მ. ჯ.). 8. სახლი მოირთო რბილი ტახტებით კარგი სკამებით სარკით ავეჯით! (ს. შ.). 9. დაიქანცა ტირილით ოხვრით (ვ. ფ.). 10. სხვენი დამძიმდა ბუდეშურითა და მწვანით მორჩეული რქაწითლითა თითათი და განჯურით (მ. მ.). 11. ჰაერი დატვირთულია ნესტით ბუღით და მტვრით (მ. მ.). 12. მინადირია გარეულ ღორებზე ჯიხვებზე ხოხბებზე (კ. გ.). 13. მამაპაპეული ციხედარბაზიანი დიდი ეზო ბეგის არგუნეს თავისი სამთავლიანი ოდით სამზარეულოთი სასიმინდეებით და სხვა საჭირო საოჯახო ნაგებობით (შ. დ.). 14 მუყაოს ყუთებში ვაწყობთ მუზეუმში წასაღებ ნივთებს: თავხის ნაჭრებს ჰურჭლის ნაირსახოვან ნამტვრევებს დუღაბისა და საღებავის ნიმუშებს ძველთაძველ აგურებს ჩანახატებსა და ანაზომებს (ლ. გ.). 15. ყოველ დღესასწაულის წინ სამობაოდ საახალწლოდ დიდ მოსაკითხებს უგზავნიდა ხოლმე მამაჩემი (ა. წ.).

IV. 1. საკნებში სანთლების მკრთალი ციმციმა შუქი აკიაფდა (მ. მ.). 2. გარეთ ნელი ჟუჟუნა წვიმა მოდიოდა (ვ. ფ.). 3. ქალიშვილი კარებთან შეჩერდა და ღრმა ცისფერი თვალები ოთახს მოავლო (დ. კ.). 4. ჩვენ სამნი მხოლოდ საუზმის სადილის და ვახშმის დროს

ვხვდებოდით ერთმანეთს (კ. გ.). 5. კეთილშობილი ჰკვიანი და ერთგული ცხოველია ძაღლი (კ. გ.). 6. საჭიროდ მიმაჩნია ხსენებულ წიგნზე აქ მოვიყვანო მცირეოდენი ამონაწერები ამ ეკონომისტების ისტორიკოსების სოციოლოგების დასკვნებიდან (კ. გ.). 7. შავთვალება ბუთხუზა გიგლა დასტრიალებდა პაპას (მ. მ). 8. ტუჩებზე უცნაური გაურკვეველი და დამცინავი ღიმილი აუთამაშდა (მ. მ.). 9. კუდიანი დედაბერი აღათი მაღრაძე ვერ უთავდებოდა ცოფის უქმურის კრუნჩხვის ყვავილის ჭირისა და სხვა სახადის გამოლოცვას (ა. ქ.). 10. ფერწასული მთრთოლარე და მიბნედილი ფიქრია ზარდაცემულივით იდგა (მ. ჯ.).

V. 1. სასტუმროებში ბარებში ტრამვაიებში ტევა აღარაა (კ. გ.). 2. ეზოებში შუკებში და ორღობეებში ღორები მიგდებულიყვნენ (ა. ქ.). 3. ეტყობოდა, ობლად უდედოდ იყო გაზრდილი (თ. რ.). 4. მამა-შვილი იშვიათად ლაპარაკობდნენ გულახდილად სადად და თბილად (მ. მ.). 5. იღვიძებენ რძლებიც უწადილოდ თვალების ფშვნეტით მთქნარებით (თ. რ.). 6. ამაყად მრისხანედ მედგრად იდგა ის ქალი ჩემს წინაშე (კ. გ.). 7. თბილისს სეიდაბადიდან თაბორიდან კოჯრის გზიდან შავნაბადიდან ზურნის ჭიჭყინით მოსდებოდა თურქმენთა და ირანელთა ურდოები (დ. კასრ.).

ცნობისათვის. შერწყმული წინადადების ერთგვაროვანი წევრები, ცალკე თუ სინტაქსურად მათთან დაკავშირებულ სიტყვასთან ერთად, ერთმანეთისაგან გამოიყოფა მძიმით, თუ მათ შესაერთებლად გამოყენებული არ არის კავშირები და, თუ, ან. მძიმე არ დაისმის და, თუ, ან კავშირებთან; მაგ.: „ზურაბი მცირე ხანს ჩუმად იდგა და ხალხს ათვალიერებდა“ (ს. შ.); „ნაცვალი თუ იასაული ოთარაანთ ქვრივის ეზოში ვერ გაიწყანებდნენ“ (ი. ჭ.).; სოლომონი ხანდახან მეზობლებთან ან მეგობრებთან მოხვდებოდა სუფრაზე იმ მწარე დღეებში (დ. კ.).

მძიმე დაისმის შერწყმულ წინადადებაში, როცა გვაქვს:

1. რამდენიმე შემასმენელი ერთ ქვემდებარესთან: „მელია წამოდგა, სველი ენით ბეწვი გადაისწორა, გადაილოკა, ჰაერი დასუნა და ნელ-ნელა კარებისაკენ გასწია“ (თ. რ.).

2. რამდენიმე ქვემდებარე ერთ შემასმენელთან: აქა-იქ კომში, მსხალი, ჭერამი, ვაშლი და ატამი ყვითელ ქარვასავით ქათქათებს (მ. ჯ.).

3. ა) რამდენიმე დამატება (პირდაპირი, ირიბი) ერთ შემასმენელთან: „ვაჯარმა ნელ-ნელა წაართვა ჰურები, ადგილები და სახლიც კი“ (ნ. ლ.). „ხშირად ეევლერებოდა მიწას, ფესვმაგარ ხეს, სიპიან კლდეს, მთის მწვერვალებს, მინდორს და ველს, ჩანჩქერს და მდინარეს“ (მ. მ.).

ბ) რამდენიმე ერთი მნიშვნელობის უბრალო დამატება ერთ საერთო წევრთან: „ფიქრობს ხმელი წიფელი თავისთავზე, წარსულზე აწმყოსა და მომავალზე (ვ. ფ.).

4. რამდენიმე ერთნაირი განსაზღვრება საზღვრულ წევრთან: „მსუქანი, მაძღარი სუფრის დანახვით გამხიარულებული გლეხები ერთმანეთს ეხუმრებოდნენ“ (გ. ლ.).

5. რამდენიმე ერთი და იმავე შინაარსის გარემოება ერთ საერთო წევრთან: „მისი მიდამო აყვავდებოდა წითლად, ყვითლად, თეთრად (ვ. ფ.).

შენიშვნა. მძიმით არ გამოიყოფა არაერთგვაროვანი წევრები და და კავშირის ჩასმა შეუძლებელია მათ შორის, როცა:

ა) სხვადასხვა მნიშვნელობის უბრალო დამატებებია ერთ საერთო წევრთან: მხატვარი ტილოზე სალებავებით სურათის დასახატავად ფუნჯს ამზადებს (შ. თ.).

ბ) სხვადასხვაგვარი განსაზღვრებაა საზღვრულ წევრთან: თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეთრი შენობის წინ სტუდენტებს თაკი მოეყარათ.

გ) სხვადასხვა სახის გარემოებაა ერთ საერთო წევრთან: დილით ქვაბში ირიბად ჩამოწვა სხივი (ლ. გ.).

9. მძიმე კავშირიან შერყვნულ წინადადებაში

სავარჯიშო 388. გადაწერეთ, დასვით საჭირო სასვენი ნიშანი.

I. 1. კიდეც ვლხინობდი კიდეც ვმღეროდი (ი. ჭ.). 2. არ იცნობდა დედოფალი ტყის გარდა სხვა ქვეყნებს: არც ზღვას და არც ხმელეთს არც კეთილს არც ბოროტს არც ალერსს არც ჭმუნვას (შ. მ.). 3. მირბის მურია აღარც ისვენებს არც დგება არც წვება (თ. რ.). 4. გაანჩხლებულმა თამლაძემ როგორც ბოქაული ისე თავადი არჩილი გალანძღა (ნ. ლ.). 5. ნურც მკვდარს გამწირავ ნურც ცოცხალს ზე კალთა დამაფარეო... (ა. წ.). 6. სეტყვას ვაზებისათვის არა მარტო მტევნები არამედ ფოთლებიც კი დაუმტვრევია (ნ. ლომ.). 7. მოჭრა თავი ფილიპემ არათუ მარტო არჩილს მთელ მის ნათესაობას (ნ. ლ.). 8. შაშვები ძალიან შეწუხდნენ: ვერც ბარტყები დაზარდეს ვერც ქურდი იპოვეს (თ. რ.).

II. 1. ... ხან აქ ხან იქ დავინახავთ ჯგუფ-ჯგუფად დამდგარ ხალხს (გ. ტ.). 2. ჩემს შალიკოს ხან მუხლებზე შემოვიჯენდი ხან კისერზე შემოვისკუპებდი და დავარბენინებდი ეზოში (დ. კ.). 3. ცეცხლის შუქი ხან ანათებდა ხან კი, მიმქრალი, ჩრდილში ხვევდა მოვაჭრეთა დაღლილ სახეებს (შ. მ.). 4. ბატები ხან ჩაერჯობოდნენ თავით წყალში და წითელი ფეხებიღა ამოეყოთ ხან სულ ჩაიმალებოდნენ (თ. რ.). 5. გიორგი ხან მამას შეხედავდა ხან ნაცნობ-მეგობრებს (ს. შ.). 6. ხან ბატის ჭუჭულებსა სტაცებენ ხან ინდაურების ჭუკებს ხან ქათმის წიწილებსა (თ. რ.). 7. რა საჭიროა ან ვეფხვი ან დათვი ან სხვა სისხლის მსმელი ნადირი (ვ. ფ.). 8. წავიდეთ მივიაროთ მოვიაროთ მოვძებნოთ ან მკვდრებს შევხვდებით ან ცოცხლებს,— უთხრა ვეფხვმა (ვ. ფ.). 9. მრისხანე მდინარე ან ჰფარავდა შიგ ჩაყარდნილ ლოდებს ან ქვევით მიაქანებდა და უჩინრად ჰქმნიდა (ვ.

ფ.). 10. ტყეში წასული ხალხი თუ სამუშაოდ თუ სანადიროდ გაოცებული რჩებოდა (ვ. ფ.). 11. გინდ რეგვენისათვის გისწავლებია გინდ მკვდრისათვის გიწამლებია (ანდ.). 12. ბატონი ბატონია თუნდ ჭკვიანი იყოს თუნდ სულელი (ვ. ფ.).

III. 1. ჩასაფრებულებმა თოფები მოიმარჯვეს მაგრამ კაცის ნაცვლად ძაღლი დაინახეს (ა. ქ.). 2. მიმზიდველი მაგრამ ნაღვლიანიც იყო ეს ღიმილი (დ. კ.). 3. ამირინდო შესვლას აპირებდა მაგრამ ვერ გაბედა (ს. შ.). 4. ნოემბრის მზიან მაგრამ სუსხიან დღეს ბოლო ეღებოდა (მ. მ.). 5. თებრონე გულდასმით უსმენდა ხოლო ბოლო სიტყვაზე აღელდა (ს. შ.). 6. ახლა სოლომონი არაფერს არ თაკილობდა ოღონდაც ცოლ-შვილი გამოეკვება (ა. ქ.). 7. ცარცით წერდნენ ხის ფიცარზე კურდღლის ფეხით კი შლიდნენ დაწერილს (ი. გ.). 8. ვანო ტარიდ დიდია თუმცა ასაკით პატარა. 9. უმაწვილი ქალი წითლდებოდა და რცხვენოდა თუმცა გულით უნდოდა სასიამოვნო ალერსი გაგრძელებულიყო (დ. შ.). 10. ეს ხმა სიჩუმეს კი არ არღვევს არამედ ამძაფრებს კიდევაც (ს. კ.). 11. ამასობაში ჩელას დედა თითქოს რაღაც მორიდებით მაგრამ სიყვარულით შესცქეროდა თავის ქალიშვილს (შ. დ.).

•

ცნობისათვის. 1. ა) მძიმე დაისმის შერწყმული წინადადების ერთგვარი წევრების გამოსაყოფად: მაჯგუფებელი კავშირის მნიშვნელობით გამოყენებულ გაძლიერებითი კიდეც ნაწილაკის წინ, თუ იგი გამეორებულია: კომბაინი კიდეც მკის, კიდეც ლეწავს (შდრ.: კომბაინი კიდეც მკის და კიდეც ლეწავს).

ბ) უკუთქმით წინადადებაში მაჯგუფებელ კავშირად გამოყენებულ ც(ა) ნაწილაკიანთული უარყოფითი ნაწილაკების წინ, რომლებიც განმეორებულია: არც... არც, აღარც... აღარც, ვიღარც... ვერც, ნურც... ნურც, მაგ.: არსაიდან ხმა არ ისმის, არც ადამიანის, არც ცხოველის, არც ჭიწრის... (კ. გ.).

გ) მაჯგუფებელი კავშირების მნიშვნელობით გამოიყენება აგრეთვე: როგორც... ისე, არა მარტო... არამედ, არა თუ... არამედ და სხვა. წყვილის მეორე ცალის წინ მძიმე დაისმის: როგორც გიპირდეს, ისე გიღირდეს (ანდ.).

შენიშვნა. ზოგჯერ არამედ გამოტოვებულია: მზეთუნახავი კი არა, ანგელოზი იყო, ნამდვილი ანგელოზი (შ. დ.).

2. მძიმე დაისმის მაცალკევებელი კავშირების (ხან... ხან, ან... ან, გინდ... გინდ, თუნდ... თუნდ) წინ, თუ მაკავშირებელი სიტყვა მეორდება; მაგ.: „ამასობაში ან ლაყუჩი გაიხევა, ან ჩანგალი გატყდება“ (ვ. ფ.); ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი, ხან არც ისა ვარ, არც ისა (ა. წ.).

3 მძიმე დაისმის მაპირისპირებელი კავშირების (მაგრამ, ოღონდ, ხოლო, თუმცა, არა... არამედ, კი არა... არამედ) წინ; მაგ.: მაყრები დაშოშმინდნენ, მაგრამ მარხილს კი მაინც არ შორდებოდნენ (ა. ყ.).

საკარჯიშო 389. (გასამეორებელი). გადაიწერეთ, დასვით საჭირო სასვენი ნიშანი.

1. ასე ნადირობით უზრუნველი ცხოვრებით და ქეიფით აქცევდნენ ისედაც დაქცეულ ოჯახს ღარიბი უსაქმური სოფელში გლეხური შრომის მოძულე და მოთაკილე თავადები და აზნაურები (ა. ე.). 2. რამდენჯერ მოსდებია ეს სასიხარულო ხმა ჩემო ქვეყანავ შენს ველ-მინდვრებს შენს ქოხორა დავარცხნილ კორდებს ამაყ მთებსა და უდრეკ მყინვარწვერს (მ. მ.). 3. ივსება ბეღლები პურითა და დოვლათით მარანი — ღვინითა და არყით სხვენი — დამარილებული ხორცით ყველითა და ერბოთი (მ. მ.). 4. რამდენიმე დღის შემდეგ არსენას ცოლმა თავისი გამწყრალი დედის სახლიდან ხურჯინით მოატანინა მატყლი და ძაფი ხორბალი და საჭეჭელი, ხელწალი და საპენტელი სართავი დაზგა და საკერებელი ნემსები და ქარგა (მ. ჯ.). 5. სახელდახელოდ გაშლილ სუფრაზე სველი ხელადა შოთები ნიორი კიტრი და ყველის ნაშრები აწყვია (მ. მ.). 6. ახლაც თვალწინ მიდგას მისი დამჭკნარი დაღარული მაგრამ საოცრად კეთილი სახე (დ. კ.). 7. იგი ხან თებროს უცქეროდა ხან თავმჯდომარეს (ს. შ.). 8. ჩვენ ვიძირებოდით ქვაბუდიანად ტყეხშირიანად კლდის პირიანად ჩვენი გამოჩენით გამფრთხალ ორბიანად (ლ. გ.). 9. თევზი ისევ ცოცხალი იყო იხლახნებოდა ინძრეოდა (ვ. ფ.). 10. შეძლებით ჭკუით და გარეგნობით შემკული ასეთი კნეინა ამ სოფელში კი არა მთელ ამ არემარეზე არ მოიპოვება (შ. დ.). 11. ნამარ ბერლინს უამრავი ხალხი მოაწყდა შვეიცარიიდან იტალიიდან დანიიდან ნორვეგიიდან (კ. გ.). 12. ქალაქი სავსეა ისტორიული ძეგლებით მეფეთა სასახლეებით საშუალო საუკუნეების ციხე-კოშკებით სასულიერო და საერო უძველესი არქიტექტურული ნაგებობებით მშვენიერი ქანდაკებებით ძველებური ვიწრო ქუჩებითა და ქუჩაბანდებით (ი. ა.). 13. შავი ნისლი მთის ქედზე გველეშაპივით მიცურავს უდარდელად შეუპოვრად (ვ. ფ.). 14. უალერსებდა დაკარგულ შვილს ხან ამხნევებდა ხან ტუქსავდა ხან რჩევასა სთხოვდა (მ. მ.). 15. თოკებით ჯერ ბარგი ავზიდეთ: ჩანთები ბარები წერაქვები ფეხსაცმელები (ლ. გ.). 16. შუტუ ფოფხაძეს მან შეაბა თოკი დაარიგა წესი აუხსნა კიბეზე დამცველად დაუდგა და გამოუშვა (ლ. გ.). 17. ქვირითს როგორც ორაგული ისე ყველა სხვა თევზი გორაობით იშორებს (ვ. ფ.). 18. ქეთომ კიბემდის მიაცილა გამობრუნდა თავის ოთახში შევიდა ფანჯარა გააღო მერმე მაგიდას მიუჯდა წიგნი აიღო და ჩაფიქრდა (მ. ჯ.). 19. ბაირაღი ირხეოდა ვარდებოდა მაგრამ ხელახლა სწორდებოდა და წინ მიიწევდა (მ. ჯ.). 20. ცხვარი საშიშს ერიდებოდა ხოლო უწყინარს აღარ უფრთხოდა (მ. ფ.). 21. არც სიმ-

შილი გეხოცავს არც სიცივე (ვ. ფ.). 22. არც აბჟანდის არც იარაღის წკრიალი არ ისმოდა (ნ. ლ.). 23. ჩხიკვი ან შველსავით დაიჩხავლებდა ან ხის ტოტებზე ქურდულად დაიწყებდა ფრენას (ვ. ფ.). 24. ადგა ამხედრდა მელია ულვაშს გადისო ხელია კუდზე ეკვანი შეიბა ხმლით დაიშვენა წელია (პ. ც.).

საკარჭიშო 890. გადაიწერეთ, დასვით საჭირო სასვენი ნიშანი.

I. 1. თქვენ ოდესღაც მალარიით ყოფილხართ ავად სასტიკი მალარიით (მ. მ.). 2. დიდხანს დიდხანს უხმობდა ხეობები და მთები (თ. რ.). 3. ღამეც ბნელი იყო ძალიან ბნელი (მ. მ.). 4. ცხელა ცხელა ამქვეყნად იერუსალიმში ისე ცხელა როგორც ჩვენში ივლის-აგვისტოში (ი. ა.). 5. მიყვარს განუსაზღვრელად მიყვარს ყარაიას სტეპებზე ნაღირობა (კ. გ.). 6. მოიფიქრე შვილო ერთხელ კიდევ მოიფიქრე (მ. ჯ.). 7. დიდხანს ძალიან დიდხანს არ შეწყვეტილა ფშავ-ხევსურთა ხმლების ჯახა-ჯუხი (დ. კასრ.). 8. ეხლა ობლად სრულიად ობლად მიაჩნდა თავისი თავი (ა. ყ.).

II. 1. ეს ერი როგორც გრძელტოტებიან დიდი ხნის ხეზე გასული ვაზი ხშირად გაუტაცნია შეურყევია და აუკლია ქარიშხალს მაგრამ ნიადაგიდან ამოგლეჯა მისი კი ვერ შესძლებია (ტ. ტ.). 2. ჩვენი ჯარი დაერია დაწიოკებულ ლეკ-ოსმალთ და დაუწყო თიბვა როგორც ბალახს (ვ. ფ.). 3. ზევიდან ამ თვალებს როგორც ჩარდახი გადეჰფარებოდა სქელი შავი წარბები (ვ. ფ.). 4. როგორც ფარვანის ლაშქარი ისე შემოხვეოდა გარს ხალხი (თ. რ.). 5. მიდიოდა შიშია როგორც ფრთხილი ვეფხვი როგორც კატა ფრინველს ეპარება ხოლმე (თ. რ.). 6. როგორც ფრთხილი კაცი როსტომი შედგომოდა თადარიგს. 7. გაღმიდან თითქოს შეყვარებულთ ერთმანეთს აკოცესო ტკაცანი მოისმა (თ. რ.). 8. თითქოს ყურის ძირში ზარბაზანი დაუცალესო უცებ საშინელი გრიალი მოესმა მთიელ ფოცხვერს (თ. რ.). 9. ისეთი ღინღლიანი ქამარი ჰქონდა თითქოს ვარსკვლავები მიუკრავთო (თ. რ.). 10. თითქოს ლოცვას ამბობსო რაღაცას ბუტბუტებდა (ს. კ.). 11. მშვენიერი წუნარი ცივი როგორც ყინული და წმინდა როგორც დათლილი ბოთლი გამოჩუხჩუხებდა იქვე საყდრის ძირიდგან (ა. ყ.). 12. წმინდა ყოფილა სიყვარული შენი როგორც მთის წყარო სპეტაკი როგორც ფიფქი მიუვალის მწვერვალისა (ვ. ბ.).

ცნობისათვის. 1. როცა წინადადებაში სიტყვები ზედიზედ მეორდება, განმეორებულ სიტყვებს შორის **მძიმე დაისმის**: ხვალ საათის ორზე შინ იქნება, უეჭველად იქნება! (მ. ჯ.).

2. **მძიმე დაისმის** შესადარებლად გამოყენებულ კავშირებთან **როგორც,**

თითქოს, ვიდრე, როცა ისინი წინ უძღვიან შესადარებელ სიტყვას: წყარო ხნკარა და წმინდა, როგორც ცის ნამი, წუნარად მოჩხრიალებდა (ა. ყ.).

მძიმე განკერძოებულ სიგყვებსა და გამოთქმებთან

1. მძიმე განკერძოებულ განსაზღვრებასთან

საგარჯიშო 891. გადაიწერეთ, დასვით საჭირო სასვენი ნიშანი.

I. 1. ჭინკა ბიჭების მამები რუხ ფარაჯებში გადაცმულნი შორეულ ქვეყნებში წაასხეს ვილჰელმთან საომრად (ს. კ.). 2. თებრო თავიდან ფეხებამდის დედის შალში გახვეული ცხენზე იჯდა (ვ. ფ.). 3. ჭია ფუტუროს ქვეშ სიყვარულის ალერსით გამთბარი ზანტად იზმორებოდა (ტ. ტ.). 4. ამ მთის კაცმა გაუნათლებელმა დაინახა რომ საჭირო იყო (ა. ყ.). 5. ზურაბი გარინდებული ხმას არ იღებდა (ლ. გ.). 6. მშმუნვარე მთვარე ვნებად გადაქცეული გარს დასტრიალებდა (ტ. ტ.). 7. ცხვარი დაფანტული ტყეში შესულიყო (ა. ყ.). 8. სულ ცხადად ვხედავდი რით ვუშველიდი მე საცოდავი (ვ. ფ.). 9. ლიბანის მთებმა ცად ამაყად აზიდულებმა თითქოს ამას ელოდნენო გადიყარეს ჯანღი (ტ. ტ.). 10. შავი ზღვა აღელვებული ამ ქარისაგან ხუოდა და გაჰქონდა საშინელი გრიალი (ა. ფ.). 11. ზემოთ ავარდნილი შადრევნის ღელე წვეთად და მტვრად ქცეული უხმოდ ვარდება სხივფენილი საზღაპრო (ნ. ლ.). 12. ოთხმოც წელს მიღწეული მეფე ერეკლე ჯერ კიდევ მხნე და გულადი ლომივით იბრძოდა (ი. გ.). 13. დადიანის ჯარი გამარჯვებული გაჰყვა ზოგი მათ ზოგმა გასწია პირდაპირ ომარის სახლისაკენ (ა. ფ.). 14. მე მთის წყალი ვარ ყინულივით ცივი (ვ. ფ.). 15. ბალიშზე მოხვეულმა კატამ ისევ თეთრმა და გრძელბეწვიანმა წელი მორკალა (მ. ჯ.). 16. სხვები შემკრთალნი ამ ამბისაგან შეჩერდნენ და დაუწყეს თვალიერება საიდან იყო ეს ამბავი (ა. ფ.). 17. ზოგს საჩხუბრად გამზადებულს ჯოხი მოემარჯვა (ს. შ.). 18. ასე ისხდნენ ორნი თავდაღუნულები აღშფოთებულები (ა. ყ.). 19. მუხაც კი კლდესავით მაგარი რკინის გულის მქონებელი სახეს იღმეჩავდა და სატირლად ემზადებოდა (ვ. ფ.). 20. დაკვლის წესი მსხვერპლადშეწირვისმაგვარი დამთავრებული იყო (ნ. კ.). 21. ჯერ კიდევ ღამე იყო დილის მოახლოებით ფერწასული (ნ. ლ.). 22. ეს მკაცრი და მიამიტი ხალხი ტყავსა და იარაღში ჩამჯდარი მამლის ყივილამდე ისმენდა არსენას ბასრ სიტყვას (მ. ჯ.). 23. გიგლა დაუზარელი ბიჭი იყო დედის გამგონი (ს. შ.). 24. ამ დროს გზაზე შემომხვდა ერთი გრძელწვერა მოხუცი წელში მოხრილი (ს. შ.). 25. მოხუცი გლეხი ყავარჯენზე დაყრდნობილი გულდადებით უსმენდა (ს. შ.). 26. ონისე სრულიად გაგარეულებული მთებში დადიოდა (ა. ყ.). 27.

შუშანა სიბრაზისაგან გაფითრებული სულ თმებს იწეწდა (ა. ფ.). 28. ბევრი იმათგანი შიშით ზარდაცემულები დაგორდა ცხენიან-კაცებიანად (ა. ფ.).

II. 1. შეპყრობილი ამ ფიქრებისაგან ვასილი უნებურად წამოდგა ფეხზე (ა. ფ.). 2. ვასილი მოჭანცული დაეგდო უნებურად ამ წყლის პირას (ა. ფ.). 3. მან კი თავლაფდასხმულმა პირშავად უნდა იაროს ქვეყანაზე (მ. ჯ.). 4. ანული ბოშასავით შავი იყო ტანწვრილი (რ. ი.). 5. მაშ ეს კი არ იცი შენ ძმაო დაღონებულო — მიმართა ელიოზს (გ. ლ.). 6. წამოსულს მამის სახლიდან საშინლად დაუწყო ეკას გულმა ცემა (ა. ფ.). 7. შნოიანი ხალხი ყოფილა ლაზათიანი (ნ. კ.). 8. მცირე ხნის შემდეგ მოვიდნენ ლევანი და გიორგი ოფლში გაწურულნი (ნ. კ.). 9. ზოგს ნაბადში გახვეულს ურემზე ეძინა (ს. შ.). 10. სამხედრო სკოლასა და ომის ქარცეცხლში გამოწრთობილი იგი სხვების მიმართაც მომთხოვნი იყო (ს. შ). 11. მას ქუდბედიანს და იღბლიანს ყველაფერი უმართლდებოდა (ს. შ.). 12. ქოხები ჩალური იდგა გვერდებჩამოფლეთილი (ვ. ფ.). 13. მშენებლობის ვადა დროა რომ არ თქმულა იმისთანა (გ. ტ.). 14. ტყე კი დრტვინავდა შიშის ზარით მოცული (თ. რ.). 15. უკვე ღამდებოდა როდესაც მე შხელდას მიმავალი აზაუს ვუახლოვდებოდი (ნ. კ.). 16. ჩხიკვიც ჴოსვენებით ამაყად ზის არწივივით ყელმოღერებული (თ. რ.). 17. იანვრისათვის კეთილი დარი დაესწროთ მზიანი უქარო (ლ. გ.). 18. თავადაზნაურობა თავზარდაცემული ეცა ერთმანეთს და იწყო ალაგ-ალაგ გროვება და ერთობა (ა. ფ.).

III. 1. მისგან სიკვდილს გადარჩენილსა და საამქვეყნოდ პირმობრუნებულს როგორღაც თავის საკუთრებად მიეცქეროდა (დ. შ.). 2. შინ მისულნი სანახაობით გაოგნებულნი გამზადებულ ჩაის უმადოდ სვამდნენ (დ. შ.). 3. მწუხარებით დაღლილი ვერ შორდებოდა ფანჯარას (ნ. ლ.). 4. დამაძღრები ლეშით გათოშილები იქვე ახლო-მახლო კლდეებზე სხდებოდნენ (ვ. ფ.). 5. ტანგაუხდელმა თავზე ხელსახოცწაკრულმა შემოიგდო ნაბადი რომელიც ზედ ეხვია (ვ. ფ.). 6. სასახლიდან დაბრუნებულმა მთელი დღე ოდესის დათვალიერებას მოვანდომე (ა. წ.). 7. როგორც ცხოვრებაში გამოუცდელს დარიგებას მაძლევდა (ა. წ.). 8. ამგვარი სიტყვებით დაიმედებულს გული საგულეს მჭონდა (ა. წ.). 9. წერით გართულს მკერდზე გიმნასტურის ღილი ხშირად შეუბნეველი მრჩებოდა (დ. შ.). 10. ასე მუშაობაში გართულნი მივედით კალამდე (ნ. კ.). 11. ერთი შეხედვით, ჩასხმული უზარმაზარი შავი მარმარილოს ქანდაკი ეგონებოდა კაცს (ა. წ.). 12. შერცხვენილი და თავჩაღუნული ისევ იმ მუხნარის ბურვილში შედის, საიდანაც წელან გამოვიდა (მ. ჯ.). 13. მეფის ერთგულმა ბატო-

ნის მორჩილმა და ქვეყნის მოყვარულმა გვარიც კი დააწინაურა (ა. წ.). 14. მე უკან წაეტორტმანდი და ფეხმოუჩრილი თვალბინდიანი მოლიპულ იატაკზე დავეცი (მ. ჯ.).

ცნობისათვის. განკერძოებული განსაზღვრება წინადადებაში თავისი საზღვრული წევრისაგან ინტონაციითა და პაუზით გამოიყოფა. ჩვეულებრივი (განუკერძოებელი) განსაზღვრებისაგან განსხვავებით ახასიათებს უფრო მეტი აზრობრივი დამოუკიდებლობა და გამომსახველობითი ძალა. იძლევა დამატებით, შემავსებელ ცნობას არსებითი სახელის ან გაარსებითებული სახელით გადმოცემული წევრის შესახებ. მაგ.: ქალი, სიხარულით დამთვრალი, მხოლოდ მაშინ ჩამოვიდა ქლიავის ხიდან (ი. გ.). აქ განკერძოებული განსაზღვრება დამთვრალი, რომელსაც ახლავს მიმყოლი სიტყვა სიხარულით, ხსნის და აზუსტებს სახელით გადმოცემულ ქვემდებარეს ქალს.

განკერძოებული განსაზღვრება თავისი აზრობრივი დატვირთვით და ინტონაციური გაფორმებით უახლოვდება დამოკიდებულ წინადადებას, მას შეალედური ადგილი უკავია დამოკიდებულ წინადადებას და ჩვეულებრივ განსაზღვრებას შორის, მაგრამ ახლოა პირველთან. ამიტომ განკერძოებული განსაზღვრება ჩვენ შეგვიძლია ვაქციოთ როგორც დამოკიდებულ წინადადებად, ისე ჩვეულებრივ განსაზღვრებად. შდრ. სიხარულით დამთვრალი ქალი მხოლოდ მაშინ ჩამოვიდა ქლიავის ხიდან — ქალი, რომელიც სიხარულით იყო დამთვრალი, მხოლოდ მაშინ ჩამოვიდა ქლიავის ხიდან. პირველი შეცვლის დროს დაიკარგა დამატებითი ცნობის ელფერი, გაქრა აზრის ლოგიკური ხაზგასმის გამომსახველობითი ძალა.

განკერძოებულ განსაზღვრებას ახასიათებს შემდეგი თავისებურებები:

1. არის ერთეული (გაუვრცობელი) და რთული (გავრცობილი). უმეტესად იგი გავრცობილია მიმყოლი სიტყვით თუ სიტყვებით. მაგალითად, „აზრიანი კაცია პეტრე, მოხერხებული“ (ვ. ბ.). „შორეულ მყინვარს, ფიფქი თოვლით დაფარულს, ამბორი სტყორცნა მზის სხივებმა“ (ნ. ლ.). პირველ წინადადებაში განკერძოებული განსაზღვრებაა მოხერხებული (ხსნის ჩვეულებრივ განსაზღვრებას — აზრიანი), მეორეში — დაფარულს. ამ უკანასკნელს ახლავს თანმხლები სიტყვები ფიფქი თოვლით. აქვთ დამატებითი ცნობის მნიშვნელობა.

გავრცობის ხარისხი განკერძოების ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობაა. ცალკეული განსაზღვრება შებრუნებული წყობისას, ჩვეულებრივ, არ განკერძოვდება, გავრცობილი კი განკერძოვდება. შდრ. „მაღლა ფოთლებში ელვარებს ვაშლი, სახლივით წითელი“ (ა. წ.), — მაღლა ფოთლებში ელვარებს ვაშლი წითელი. პირველი — სახლივით წითელი დამატებითი ცნობის შემცველია, მეორე — არა.

2. განკერძოებული განსაზღვრება უმთავრესად საზღვრული წევრის შემდეგია, მაგრამ იშვიათად უსწრებს მას. იგი ან უშუალოდ დგას თავის საზღვრულთან, ან გათიშულია მისგან (შედარებით ნაკლებად) წინადადების წევრის თუ წევრების მიერ.

ა) უშუალოდ დგას და მოსდევს. მის წინ გადაიშალა თვალგადაუწვდენელი მინდორი, ხშირის და მაღალს ბალახით დაფარული (ვ. ფ.); ბ) უშუალოდ დგას და უსწრებს: აგებულებით სუსტი, მაგდანი იყო სწორედ ოქროს გულის პატრონი (ი. გ.). გ) გათიშულია სხვა სიტყვით: წინ წევრებაცვლილი ცხვრის ფარას გაკი მოუძღვებოდა, მაღალ ჭებიანი (ს. შ.).

3. განსაზღვრება, რომელიც წინადადებაში განმარტებით დგას, განკერძოებულ-ია, რაც გამოწვეულია საზღვრული წევრის ბუნებრივი ჩავარდნით (გამოტოვებით). ეს უკანასკნელი აღვილად ივარაუდება ზმნასთან ნაგულისხმევი ნაცვალსახელის აღდგენით თუ წინათ ნათქვამის მეშვეობით. მაგალითად: აქამდის ჩემად მყოფი, (ის) მოულოდნელად ალაპარაკდა (ს. კ.).

განკერძოებული განსაზღვრება წინადადებაში ცალკე თუ თავისი თანმხლები სიტყვებით მძიმეებით (როცა შუაშია) ან მძიმით (როცა თავშია ან ბოლოში) გამოიყოფა.

შენიშვნა. ეშვიათად, განკერძოებულ განსაზღვრებასთან შეიძლება დაისვას ორწერტილი ან ტირე (ტირეები).

საკორექტორო ფორ. გადაიწერეთ, დასვით საჭირო ნიშანი.

I. 1. ონისეს როგორც მარტო ერთ საგანზე დაფიქრებულს სხვა ვერა წარმოედგინა-რა (ა. ყ.). 2. არის მაღალი მთის მცენარეულობა მაგრამ დაჩაგრული დაბეჩავებული თითქოს შეწუხებული (ნ. კ.). 3. იგი ვით ცოცხალი შექმნა ხელოვანმა და დადგა წმინდა ტყეში (ნ. ლ.). 4. თხელი ტყეა მაგრამ მაღალი ხალვათი დახურული და ღონიერი (მ. ჯ.). 5. გამოცდილი ხელით უმარჯვებდა მობაასეს თუნდ მასთან მეგობრულად მოლაპარაკეს (ვ. ბ.). 6. ყველა გონიერი კაცი თუნდა უწიგნოც ზოგჯერ მწიგნობარისათვისაც კი ოსტატია (ი. ჭ.). 7. ზამთარსაც აქვს თავისი ვნებები ოღონდ უფრო ღრმა და დაფარული (გ. რ.). 8. კეთილი იყო გარსევანი თუმცა ხელმაგარი ჯიქი (გ. ლ.). 9. ცხენოსნები რიცხვით ოცდახუთამდე თანდათან უახლოვდებოდნენ იმ ადგილს (ა. ყ.). 10. მე ისეც სველი უფრო დავსველდი (ვ. ფ.). 11. ეს ოხრები ძალიან მოკლე ფეხები მაქვს (თ. რ.). 12. გელა სადღაც წასული იმალებოდა (ა. ყ.). 13. მესამე მოწაფედ ესე იგი უკანასკნელ მაჩანჩალად მე დამაყენეს (ა. წ.). 14. მე როგორც მოგზაურობის მოყვარულს ჩემი თანამყოლი ანგელოზი მყავს (ვ. ფ.). 15. ლამაზია იგი, მაგრამ საცხოვრებლად ძნელი და მოუხერხებელი (ნ. კ.). 16. ინჟინერი სპეციალობით გზების მშენებლი აქ ასრულებდა ხუროთმოძღვრის მოვალეობას (ნ. ლ.). 17. მას როგორც ყველაზე უმცროსს „მამის ქალთა" ეკუთვნოდა (ლ. გ.). 18. უზომოდ უნდოდა ვინმეს მისალმებოდა და შემდეგ მიწა მოეჩიჩქნა თუნდაც სულ ცოტა (გ. რ.). 19. შეთქმულების გადარჩენის ერთმა იმედმა თუმცა სათუომ გაუელვა მას (ს. კ.). 20. ისიც მაღალი ჭაბუკია მაგრამ მეტად წყნარი ჩუმი და მოუხეშავი (მ. ჯ.). 21. დაო მაგრამ დაზე უტკბესო შემატყობინე როგორ გადარჩი და ან აქ ვინ მოგიყვანა (ა. წ.).

ცნობისათვის. განკერძოებული განსაზღვრება საზღვრულს ზოგჯერ უერთდება საკავშირებელი სიტყვითა ამავე ფუნქციით ეშვიათად გამოიყენება სახელი (ერსებითი, ნაცვალსახელი...) და ზმნიზედა. მაგ.: ზურაბმა, როგორც მეხნაჯამ, ხელი გაუშვა (ს. შ.).

I. 1. საყორნე გადასავალი თუშეთისაკენ ნისლშია გახვეული (ნ. კ.). 2. აქ თავდება ჩემი ბავშვობის პირველი ხანა ბედნიერი ნაყოფიერი და დაუვიწყარი (ა. წ.). 3. მუცელა იარაღში ჩამჯდარი სპილოზე იჯდა (ვ. ფ.). 4. აგერ შორს გამოჩნდა ქალი ახლად შეღერებული თამამად მომავალი და ლეკურად ჩაცმული (ი. გ.). 5. სიკო წინა რიგში მჯდომი ხან წამოხტებოდა ხან სიტყვას თხოულობდა (ს. შ.). 6. ტანით სწორედ მუხის ჯირკვსა ჰგავდა ჩასხმული ჩაკირული (ვ. ფ.). 7. პირველ რიგს ჩაცვივნულს მტკვარში მეორე რიგი ზემოდან ეცემოდა (ი. გ.). 8. მისმა ცოლმა მაგდანამ თალხებში გამოწყობილმა უფრო დამშვენებულმა იაკო დიდის პატივით სამუდამო მიწას მიაბარა (ს. შ.). 9. მგზავრი სიცხით მოქანცული კითხულობს შემდეგ მწუხარე სტრიქონებს (გ. ტ.). 10. ხალხი წუთის წინათ სულგანაბული ეხლა მხიარულად ჰყაყანებდა (ი. ჭ.). 11. აქ გაათია ღამე თერთმეტმა მთამსვლელმა ქარბუქისაგან გზააბნეულმა (ნ. კ.). 12. აქ უფრო მეტია გრანატის ქანები დედამიწის გულიდან მზის სინათლეზე ამოწეული (ნ. კ.). 13. იგი ეძებდა ცოლის ძმას ომში პირველად გამოსულს... (ნ. ლ.). 14. ირემი საზრდოობს ბალახით წყლით და ჰაერით ბუნების მიერ ბოძებულით (ვ. ფ.). 15. ქალი ტახტრევანში შესვეს ოქრო ქსოვილით მოფარდაგულში (ვ. ბ.). 16. მათ მახლობლად ხარობს ათასი ყვავილი ერთმანეთზე ულამაზესი (ნ. კ.). 17. ჩვენი ცხენები ბარგით დატვირთულნი ჭიანჭველებივით მოჩანან (ნ. კ.). 18. სოლომანმა ვიწრო საჯდომ ფიცარზე გაშხლართულმა მალე ხვრინი ამოუშვა (დ. კლდ.).

II. 1. ის იყო ხალხი იშლებოდა რომ შემოიჭრა გოგია მეჩონგური დაღლილი გაოფლიანებული (ს. შ.). 2. შევუდექით კახეთის უსიერ ტყეს წიფლნარს დაბურულს და ბარაქიანს (ნ. კ.). 3. ღვთისსოსაც შეურაცხყოფილს და შერცხვენილს აღარ ედგომილებოდა ჩვენთან (ვ. ფ.). 4. მამალი თვალებდახუჭული ჩინჩაღდაკიდებული მხრებგადაშვებული თავტანსისხლიანი საცოდავად გულსაკლავად იჯდა ცეცხლთან და თბებოდა (ვ. ფ.). 5. ერთი გლეხი ელამი და გრძელცხვირა სხვების გულის მოსაგებად და უფრო კი ტყის მცველის გასაგონად და სასიამოვნოდ იძახდა (ს. შ.). 6. ძველები ზნეობით ფრიად აღმატებულნი ყოფილან მართალნი გულკეთილნი უზაკვრონი უზადონი (ვ. ფ.). 7. საშინელი ანჯახი იყო ჰირველეული მოსისხლე (ვ. ბ.) 8. ეონა თებერას ფერია იყო ნაზი სუსტი ჰაეროვანი (ვ. ბ.). 9. (მამალი) მუდამ გაბერილი და გასიებული დაიარებოდა ამრეზილი გაჯავრებული (თ. რ.). 10. ერთს საშუალებას ხმარობდნენ ძველს მამაპაპურს (ვ. ფ.). 11. ლამაზი იყო ჩვენი ხარი გნოლისფერი ლამაზთვალება (გ. ლ.). 12. ისე იზრდებოდა ვით თბილ მყუდროში მოსული ხე-ნერგი ყვავილოვანი

მაგრამ უნაყოფო (ლ. გ.). 13. იარაღი ბლაგვი აეღოთ ფხაუსხმელი თუმცა მაგარი (ვ. ბ.).

III. 1. ამ მთის კაცმა გაუნათლებელმა დაინახა რომ საჭირო იყო (ა. ყ.). 2. გვარიანი გზა აღმართ-დაღმართებიანი უკვე გაიარეს ამრიგად (დ. კლდ.). 3. ამ ტყეში უზარმაზარი ხეები იდგა თვალაუწვდენელი (ვ. ფ.). 4. მწყერი აიყვანა და იქვე პატარა კოდი იდგა ხორბლიანი იმაში ჩასვა (ვ. ფ.). 5. საუკუნო ფიქრს მოეცვა მისი გონება სანადიროს (ვ. ბ.). 6. მშვენიერი იყო ბუნება მომხიბლავი (ვ. ბ.). 7. აღა თუ მეტი შიში ვარგა გადაჭარბებული (ვ. ბ.). 8. ქალი ამ ბოლო დროს მაინც როგორღაც მოშვებული ჩანდა უხალისო (ვ. ბ.). 9. ერთმა გარემოებამ რასაკვირველია არასასიამოვნომ შეუწყო ხელი გამახარეს მიეღწია მიზნისათვის (ვ. ფ). 10. წინ წვერებცანცარით ცხვრის ფარას ვაცი მოუძღვებოდა მაღალრქებიანი (ს. შ.). 11. ბოლოს მოახერხა რომ პირადობის მოწმობა ეშოვნა ბეჭედდასმული (ს. შ.). 12. თავის პაპასავით მხნე არის გაუტეხელი (ვ. ბ.). 13. უყლაშელებმა რავა ვიცი თხოვეს შენ ამხანაგობიდან, — ჰკითხა ცოტა სიჩუმის შემდეგ ეკიმ თავჩაღუნულმა (ა. ფ.).

IV. 1. მე საწყალი პატარა საცოდავი ჭინკა ვარ უპატრონო!.. (ვ. ჭ). 2. ამან ზურგზედ ხელებდაწყობილმა აუარ-ჩამოუარა ქალსა (ა. ყ.). 3. მე ამის გამგონეს თავში სისხლი ამივარდა (ა. წ.). 4. ძალიან უყვარდა იმასაც იმ ცხონებულსა (ვ. ფ.). 5. იგი თითონ ზორბად მოსული იჯდა ერთ პატარა მთის ცხენზედ (ი. ჭ.). 6. მან უნდა გადაწყვიტოს საკუთრივ მარტოკამ (ლ. გ.). 7. იმათ გაჯავრებულთ მისცეს სახლს ცეცხლი (ა. ფ.). 8. ის ხმაგაკმენდილი კრიჭაშეკრული და მუხლებმოდუნებული თითქო აპირებდა გაფრენას (ა. ფ.) 9. ამ ცხოვრებაში ჩაცვივნულნი ისინი თანდათან ღარიბდებოდნენ (ა. ფ.). 10. ძლიერ აღელვებული ჩანდა იგი შუბლშეკრული მრისხანე (ვ. ბ.). 11. ის კი მაღალი და მოხდენილი ფანჯარასთან ლაღად იდგა (დ. შ.). 12. ჩვენ დაღლილებს ძილი გვეპარება (ნ. კ.). 13. ამან სულგაკმენდილმა გადაიწყვიტა იმედი (ა. ფ.). 14. მე ამის გამგონმა იქ ვეღარ ვიდგომილე (ი. ჭ.). მე სულელმა რა ვიცოდი მაშინ იმისთანა კაცის ყადრი (ი. ჭ.).

ცნობისათვის. 1. საზღვრულის შემდეგ მდგომი გავრცობილი განსაზღვრება, ჩვეულებრივ, განკერძოებულია: პეტრე, უწინდელზე უფრო მიბერებული, ჭალაქს მიდიოდა (ი. ჭ.); მისი ეზო, საკმაოდ ფართო გლეხკაცისათვის, გარს შემორტყმულია ტყრუშულის ღობითა (ი. ჭ.).

2. რამდენიმე მომდევნო განსაზღვრება, ჩვეულებრივ, განკერძოებულია, მით უფრო მაშინ, თუ საზღვრულ წევრს წინ უსწრებს შეთანხმებული განსაზღვრება: იანვრისათვის კეთილი დარი დაუსწროთ, მზიანი, უქარო (ლ. გ.). ვინ განუკერძოებლობას ზოგჯერ მაშინ აქვს ადგილი, როცა ასეთი მსაზღვრელი წევრი

არ ეზის წინ საბღვრულს: მოიყვანა მამამ ოტო უბენზინო და უნავთო (ვ. ი.).

რამდენიმე მომდევნო ერთგვაროვანი განკერძოებული განსაზღვრება ზოგჯერ შეერთებულია კავშირით: თქვენ, იქნება, არ გაგეგონოთ და არც გენახოთ მარგილზე ჩამოგებული არწივი, მსხვერპლისათვის დატევებული, მაგრამ მოტყუებული? (ვ. ფ.).

3. მომდევნო გაუვრცობელი განსაზღვრება, ჩვეულებრივ, განკერძოებულია, თუ საზღვრულ წევრს ახლავს შეთანხმებული განსაზღვრება: გამოცდილი ბევრი ერტყნენ გარს, თავდადებული ნი (ვ. ბ.).

4. ერთი ან რამდენიმე განსაზღვრება (წინამავალი თუ მომდევნო), რომელიც ვერ შექმნის სინტაქსურ შეხამებას ნაცვალსახელით გამოხატულ ქვემდებარესა თუ დამატებასთან, განკერძოებულია: ჩვენ, დაღლილებს, ძილი გეპარება (ნ. ჯ.); სიხლით დაცლილი, იგი უსიტყვოდ ეგდო (ნ. ლ.).

საკარჯიში 894. გადაიწერეთ, დასვით საჭირო სასვენი ნიშანი.

1. მოძებნა ძველი ჟანგისაგან გამოხრული მამა-პაპის ხმალი იპოვა დამტვრეული ფარი და შეუდგა ბეჭითად საქმეს (ვ. ფ.). 2. ოთხმოც წელს მიღწეული მეფე ერეკლე ჯერ კიდევ მხნე და გულადი ლომივით იბრძოდა (ი. გ.). 3. გამოვწიე შინისაკენ ხელში გამწარებული კაკბის მიერ მოძღვნილს ფრთას ვატრიალებდი (ვ. ფ.). 4. [სიდონია] ალაგიდან მოსწყდა და თმაგაშლილი შველივით გაიქცა (მ. ჯ.). 5 ქოხში ორს მხარეზე წიფლის ცულით გათლილი ფიცრები იყო გადებული (ვ. ფ.). 6. ასეთ დროს აღარაფერს ერიდებოდა და გაწეწილი გრიგალივით დაჭროდა (მ. ჯ.). 7. დილითღა დარწმუნდა არლოვი რომ აქვიატებული მარაბდელი ერთხელ კიდევ წაუვიდა დარწმუნდა და გაწბილებული ბოსტნის კვალში დაეცა (მ. ჯ.). 8. იქითა თმებშეღებილი რონდელის ქალიშვილი იყო (რ. ი.).

ცნობისათვის. ორაზროვნების თუ უაზრობის თავიდან ასაცილებლად უნდა გამოირიცხოს სინტაქსური დაკავშირება ერთი რომელიმე წევრისა მეორესთან, რომელთანაც ვერ შექმნის იგი სიტყვათა შეკავშირებას. მაგ.: (სიდონია) ალაგიდან მოსწყდა, მოსწყდა და, თმაგაშლილი, შველივით გაიქცა. განუკერძოებლობის შემთხვევაში თმაგაშლილი იქნებოდა განსაზღვრება სიტყვისა შველივით (თმაგაშლილი შველივით), რაც უაზრობაა.

საკარჯიში 895. გადაიწერეთ, დასვით საჭირო სასვენი ნიშანი.

1. შენ კი ქართველი ხარ ჩვენი მხრისა (რ. ი.). გაისმა საკრავების ხმა სიმღერისა (ვ. ფ.). 3. გარჯულვა უყვარდა უფრო დედაკაცებისა (გ. ლ.). 4. მამაჩემის ამილლაბარის სუფრაზე ყოველდღე თითო ძროხა იკვლებოდა (გ. ლ.). 5. მაზედ ზრუნავა ძმის ანუ უკეთ რომ ვთქვათ ძმობილის მოვალეობა იყო. (ა. ყ.). 6. ძველ ნაქალაქარს ჟინვანს ორი ხრაგვი ერთმანეთს ერთვის ერთი „მთიულეთისა“ და მეორე ფშავისა

(ვ. ფ.). 7. ლადო მოჰკლეს რაღაც საიდუმლო მიზნით და ვინ იცის იქნებ მისივე ივანეს რევოლვერით (ნ. ლ.). 8. ხუცესის ანუ დეკანოზის დიდებაზედ უფრო მილტოლვილია ხევსური (ვ. ფ.). 9. ყველანი თითქოს შეთქმულობა ჰქონდათ მხოლოდ კარახელის შესანდობარს ჰსვამდნენ იმის მშობლებისას „მეგობრებისას“ ე. ი. მოცვალებულებისა რომელნიც კარახელს საიქიოს წინ მიეგებებოდნენ (ვ. ფ.). 10. მეორე უფრო ახალგაზრდა იყო მომცრო ტანისა (ვ. ბ.). 11. შორიდანვე ისმოდა სოფიოს სოსიკას დედის ქვითინი (ვ. ფ.). 12. იგრიალა ათიათასმა ფრთამ ათასნაირი გვარისამ და შემოერტყა ბულბულს გარშემო (ვ. ფ.).

ცნობისათვის. მართული განსაზღვრების განკერძოების შემთხვევები ქართულში შედარებით იშვიათი მოვლენაა. ფორმის მიხედვით ის შეიძლება იყოს როგორც საკუთრივ მართული, ასევე მართულ-შეთანხმებული. ასეთი განკერძოებული განსაზღვრება ფუნქციის მხრივაც სხვადასხვაგვარია:

1. მოწყვეტილია თავის საზღვრულს; განკერძოება გვაქვს ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. მაგ.: ასმათი იყო ერთი მკერავად ჩასხმული დედაკაცი, ორმოცი წლისა (გ. წ.).

2. არის წინამავალი განსაზღვრების ამხსნელ-დამაზუსტებელი. კერძოდ: ა) ხსნის და აზუსტებს მართულ განსაზღვრებას: მამაჩემის, ამილღაბარის, სუფრაზე ყოველდღე თითო ძროხა იკვლებოდა (გ. ლ.). ბ) აზუსტებს შეთანხმებული განსაზღვრების მნიშვნელობას: ამას სწამს ორნაირი მკითხავი, ერთი სულიერა და მეორე ხატისა (ვ. ფ.).

ხავარჯიშო 300. (გასამეორებელი). გადაიწერეთ, დასვით საჭირო სასვენი ნიშნები.

1. ჩოხიანი ვაჟი ვერცხლის ქამარ-ხანჯლიანი და ვერცხლიანვე ძეწკვიანი ნაწნავიან გოგოს ათამაშებდა (ს. შ.). 2. სასიამოვნო იყო როდესაც ნაბადში გახვეულს ერთი ქვის ძირში მწოლარეს მესმოდა ზვავის რუხრუხი... (ნ. კ.). 3. პატარა ქალაქს ბაღიც პატარა აქვს სამაგიეროდ ჩრდილოვანი სუფთა მყუდრო (მ. ჯ.). 4. რაც შეეხება ეეფხვაძეს, იგი დიმიტრიზე უფრო ახალგაზრდა იყო მუდამ აღელვებული მუდამ მოფუსფუსე (ს. შ.). იქვე უთვალავი ვენახები და ზვრები ყურძნით დატვირთულნი წელში ტყდებოდნენ (ვ. ფ.). 6. ნისლის მთის კალთას შერჩენილის წაიშალა ბინა... (გ. ტ.). 7. ჯარი ამაყი თავისი მამაცი მეფით და თავისი ვაჟკაცობით უკან მოსდევდა მწყობრად თანაც აგუგუნებდა მშვენიერ ქართულ სიმღერას (ი. ჯ.). 8. სრულიად გამოუცდელს ცხოვრებაში ბევრის არ მცოდნეს და სრულიად არაფრის მნახველს უნდა ზღვა გამეელო (ა. წ.). 9. შენიმესმა პორფირის ხმა და მსწრაფლად გამოფხიზლებულმა თავი ღაგანებე (ა. ყ.). 10. (ზოსიმემ) შეიყვანა ჯორი გაღებულ ჭიშკარში და

დაბალი ისლით გადახურული სახლის დერეფანთან გადმომხტარმა ჯორი შემოგებებულ ალფეზა-ბიჭს გადასცა (დ. კლდ.). 11. საქართველოს ხალხო დავიწყებულო მაგრამ დიდებით დაგვირგვინების ღირსო (პ. ი.). 12. წარმოიდგენდნენ თავისთავს დანგრეულ-დაფუშულად ლოდებად ხეობებში მიფანტულ-მოფანტულად მდინარისაგან (ვ. ფ.). 13. თითქმის მორკალდა ყველას უმდაბლესი სალამი მისცა და გაბადრული კედელს შავი ძეგლივით მიეყუდა (მ. ჯ.). 14. მთანი მაღალნი მწუხარებაში გაქვავებულნი სდგანან და ელიან (ვ. ფ.). 15. დედაკაცი ქარიშხალმა გააღვიძა შემკრთალმა მაშინვე საწოლზე მოიფათურა (ს. კ.) 16. ზოგს საჩხუბრად გამზადებულს ჯოხი მოემარჯვა (ს. შ.). 17. კუთხეში კუნძზე წამომჯდარა მეორე ცხვირსახოცით თავწაკრული და შალის ნაგლეჯით წელშეკრული (ნ. ლ.). 18. გრძელი თოფები ჰქონდა გამხდარი ცისფერი ძარღვებით დახაზული (რ. ი.). 19. გახიზნულთა ბუნაგში დედაკაცს ისიც ერთადერთს გაცილებით უფრო მეტი საქმე უნდა ჰქონოდა (მ. ჯ.). 20. ამ სიძულვილს ახლა ისიც ამწვავებდა რომ მას როგორც ცხოვრების გზაზე უკვე გამოსულსა და ხელობაშიც სახელმოხვეჭილს თავი აქაც ამაყად ეჭირა (დ. შ.). 21. სოფელი პატარაა ორმოციოდე კომლი ისიც ტყეში გაფანტული (რ. ი.). 22. არაფერი მას ისე არ ახარებდა როგორც თავის სამი წლის გოგონასთან თამაში როცა ის ახლად გაღვიძებული ცისფერი უზადო თვალებით მისკენ კვიმატიანად გამოიხედავდა (ღ. შ.). 23. ვისთანაც უნდა ჰქონოდა საქმე დიდთან თუ პატარასთან თავის გრძნობას თავის აზრს მოურიდებლად მიუფერებლად წარმოსთქვამდა მუდამ (ვ. ფ.). 24. ტყე ფოთლით და ნაყოფით შემოსილი კმაყოფილად იცქირებოდა (ვ. ფ.). 25. ელოდეთ დიდ ამბებს ქვეყნისათვის მნიშვნელოვანსა და საბედისწეროს (ნ. ლ.). 26. იმანაც ბრაზმორეულმა კამეჩივით მიაშურა ახალგაზრდას (ა. წ.). 27. დარეჯანმა მეორე დღესვე ცხენით გასწია ქიზიყს თავისებურად მორთულმა (ვ. ფ.). 28. როსტომის ხელმა ჩემს ბეჭზე დანაკრავმა ძლივს გამოფანტა ბურუსი (მ. ჯ.). 29. ბუნებით ვაჟკაცნი ამაყნი ჩეჩნები ისეც ვერ ეხერხებოდნენ რუსებს (ა. ყ.). 30. აქ მხოლოდ ქვის სკამები და მაგიდები დგას ძველი ძალიან ძველი (გ. რ.).

2. მძიმე დანართთან

საჭირო ჯერ. გადაწერეთ, დასვით საჭირო სასვენი ნიშნები.

I. 1. მამაშენსა და შენს ბიძას გელას განა ჩემზე ცოტა ამაგი მიუძღვით (ს. შ.). 2. შავარდენის მოვლა ჰმევა და თვალყურის გდება ჩემს უმცროს ძმას ვანოს ჩავაბარე (ვ. ფ.). 3. ჩვენ ექიმებმა სხვებ-

ზე მეტი ვიცით (მ. ჯ.). 4. დავითის ცოლი ნატალია რომელიც აივანზე იჯდა ხელსაქნარით ხელში კიბესთან მიეგება მას (დ. კლდ.). 5. პორფირუშკას დამ სოფიომ მოიწადინა სოფელში გასეირნება (ა. ყ.). 6. მეცხრემ კი ცალთვალამ თვითონვე წამოიწია ისევ დაეცა შეფართხალდა (მ. ჯ.). 7. ჩვენ კი დედებმა ღვთის წინ უნდა ცრემლები ვღვაროთ (ი. ჭ.). 8. იქვე ბაქსანელების უკანასკნელი სოფელია თერსკოლი (ნ. კ.). 9. ხეებისგერი საკლავის ხოცვისაგან კვლისაგან იღლება და გული უწუხდება (ვ. ფ.) 10. თხელი დაწინწკლული ჩითის კაბა ეცვა მხარმკლავი შიშველი ჰქონდა კანქვებიც (რ. ი.). 11. ჩვენთვის მოხუცებისათვის პირდაპირ მისწრებაა ფართო ეკრანი (გ. რ.). 12. ჩვენ კი ბიჭები როსტიას ვეძახდით (რ. ი.). 13. საწყალი მოხუცებული იოთამი ვერ იმეტებდა კიდევ თავის კატოს (ა. ფ.). 14. თქვენ ქალაქელები რაღაცით ძალიან ჰგავხართ ერთმანეთს (რ. ი.). 15. მე უფროსი ვარ და თქვენთვის უმცროსებისათვის სირცხვილია მე კამგზავნოთ (ვ. ფ.). 16. მე ჩვენზე საქართველოზე ვამბობდი — დაბნევით ჩაილაპარაკა ელიმ (ნ. ლ.). 17. მე გაბრიელს კაცის კვლა ცოდვად უნდა დამდებოდა (ი. ჭ.).

II. 1. გერონტი ჩემი უფროსი ძმა წყალსაქაჩში მუშაობს (რ. ი.). 2. დღესაც გამოსულიყო ანჯიქო და თავის ამხანაგებს შეძლებულ გლეხებს ელაპარაკებოდა (ს. შ.). 3. ამ დროს იქ იდგა ლევან ანდრონიკაშვილი ქიზიყის მოურავი და სარდალი (ვ. ბ.). 4. ჭიშკართან დაეინახეთ ქალი გიორგის დედა (ნ. ლ.). 5. [საეგაჩოვი] ჩემს ახლოს... იჯდა და მის საყვარელ საგანზე საბჭოთა ტექნიკაზე ვბაასობდით (დ. შ.). 6. თავისი ავხორცობით ისე შემზარავი იყო რომ მასვე მის შემქმნელსავე შეეშინდა (დ. შ.). 7. — ეს არის იალბუზი — კითხულობს იაგორი ჩვენი გამყოლი (ნ. კ.). 8. ჩვენთან ერთად მოდის თუში ლევან ქადაგიძე ახალგაზრდა სტუდენტი (ნ. კ.) 9. ჩვენ წინ პანკისის ხეობაა იშვიათი კუთხე საქართველოში (ნ. კ.). 10. ერთი მათგანი ახოვანი მოხუცი გაჩუმებული იყო (ა. წ.). 11. მთავარმა ექიმმა ბუნებით მეტად კეთილმა ადამიანმა აღძრა შუამდგომლობა და აქ დაბტოვეს სამუდამოდ (ნ. ლ.). 12. მისი უფროსი ვაჟი ცხრა წლის ზაზა საწერს ჩაჰკირკიტებდა (ლ. გ.). 13. თბილისის გაფიცვებში გეშოლებული გარსია იორამის ერთადერთი და უკანასკნელი მოწაფე აღტაცებით უსმენდა მასწავლებელს (გ. ლ.). 14. ნაბდიანი კაცი გუგუა ფიჩიტაური იყო სასიძო (ა. ყ.). 15. თავად გძელაძეს დიაღ პატრონის გვარისა და კაი ოჯახის შვილს ერთი მზეთუნახავი ქალი უზის გასათხოვარი (ი. ჭ.). 16. სანდრო ჩემი მნე გახარებული დარ-

ბის (ნ. კ.). ისინი კი ის მათი ქმრები მამები და ძმები არაფრის ბაი-ბურში არ იყვნენ (დ. შ.).

III. 1. თითოეული სტუმარი ანუ წვეული როდესაც სახლში შედის მიესალმება ჰირისუფალს (ვ. ფ.). 2. მლოცავს ე. ი. დროშიანს ოთხმოცამდე კაცი და ქალი შეადგენდა (ვ. ფ.). 3. სხვამ ჩემზედ უკეთ იცის შენი გულისთქმა თუნდაც იმ კრავმა (ვ. ბ.). 4. ბეგლარი როგორც ნათლული და რევაზი როგორც სპასპეტის შვილი სახლიდან უნდა გაყოლოდნენ ცხედარს (ნ. ლ.). 5. ყვავილები ჩვენც გვიყვარს განსაკუთრებით მეფუტკრეებს (რ. ი.). 6. ჩვენი ძმათაგანი სახელდობრ სერემი უნდა დაგვეჭორწინებინა (ვ. ფ.). 7. საქართველოს მინერალური წყალი მაგალითად ბორჯომი საქვეყნოდაა ცნობილი 8. ზამთარში კიდევ პერანგზედ ქურქს წამოისხამდა თუ ვინმე დიდი კაცი არ ეწვეოდა ვსთქვათ თუნდა დიამბეგი (ი. ჭ.). 9. შენ რასაც მისაყვედურებ ყველაფერი ეგ გაზვიადებულია მოშურნე ადამიანებისაგან უმთავრესად კი ელიკოსაგან (ს. შ.). 10. საცოლე ბიჭების პატრონებს კი მეტადრე დედებს და დებს სრულებით არ მოსწონდათ ეონა (ვ. ბ.). 11. ახლა დედას ყველანი „ბებოს" ეძახდით თვით ვამეხის ბაბუა ლევანიც კი (გ. რ.). 12. პატარა ბილიკი სიგრძით ათხუთმეტი საჟენი რომელზედაც მწკრივად თითო კაცი ძლივს ეტეოდა უფრო ამაგრებდა იმ ადგილს (ა. ყ.). 13. ინჟინერი სპეციალობით გზების მშენებელი აქ ასრულებდა ხუროთმოძღვრის მოვალეობას (ნ. ლ.). 14. მისი ქმარი სახელად ოტია გვარად ქამუშაძე წოდებით აზნაური იყო ნამდვილი გლეხი (დ. კლდ.). 15. თევდორემ იცის როგორ მოხდა რომ ვიღაც ოქროპირი მეტსახელად „დამპატიჟე" მზამზარეულს მიუჯდა და წლის სარჩო გაუნახევრა (მ. ჯ.). 16. აბო ტომით არაბი აწამეს თბილისში მერვე საუკუნის დამლევს. 17. სერემმა სთქვა — მე სურემზე უფროსი ვარ და მაშასადამე სერკში ე. ი. მე უნდა წავიდე პურის სათხოვნელადო (ვ. ფ.).

IV. 1. როგორც კავკასიელებს დიდ პატივს სცემდნენ სახოჯადოდ (ა. წ.). 2. როგორც ფრთხილი კაცი როსტომი შესდგომოდა თადარიგს (ვ. ბ.). 3. აპრილის მშვენიერი დილა იყო აღდგომის ბეორე დღე (დ. კლდ.). 4. ეგ ჩვენ ვიცით მარტო მეველეებმა (რ. ი.). 5. ერთი კი აგერ ის გადარჩენილა (ნ. კ.). 6. ჩემი რძალიც ეგ თი მოვიყვანეთ — ელიკოსაკენ ანიშნებდა დედაბერი — ეხლა ვისთანაც მივდივარ ნარგიზასთან (რ. ი.). 7. იქვე იყო გიგო სიკოს დეიდაშვილი (ს. შ.). 8. ეს იყო უმცროსი ბრეგვაძე სერაპიონი (დ. კლდ.). 9. — ჩვენ ეხლა ვისადილეთ გენაცვალე მე და თინამ (რ. ი.). 10. აგერ ბატებმაც გადაიარეს საოთებმა გედებმა (თ. რ.). 11. ჩვენი ბინის წინ ხალხი შეკუჭულიყო ქალი და კაცი (ნ. კ.). 12. საიდან არის — ჩა-

ხა მან მილში — დირექტორი მინდა ამხანაგი გოგებაშვილი (ა. ბ.). 13. მე ვარ დეიდა ნინო ელენე (რ. ი.). 14. მეგობარს ეძებდა იგი განმარტოებულ გალიაკში თავის გულის ყვავილს (ვ. ბ.). 15. მიუვალი ციხე მცირე აზიის ნამდვილი კარი სწორედ ათ კვირაში შეანგრია (შ. ჯ.). 16. გზის იქით ამართული იყო დიდი სერი რომელიც იმ სოფელს ყოფდა ორად ზემო და ქვემო უბნად (ი. გ.). 17. აი ახლა თქვენ ჩალგაზრდა ქართველებმა უნდა გაამართლოთ ჩემი ქმრის იმედები (ა. წ.). 18. [როჭოები და შურთხებიც] სიცილით იხოცებოდნენ მის ხმაზე კაჭკაჭის ჭრიალზე (ვ. ფ.). 19. ეგ წერილი ბატონიშვილ თამართან არის დადიანის ქალთან (ვ. ბ.).

ცნობისათვის. დანართი სახელით გადმოცემულ წინადადების რომელიმე წევრის დამატებითი ცნობის შემცველი სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფია, რომელიც მისამართ წევრთან შეერთებულია პაუზით ან სიგანგებო საკავშირებელი სიტყვით. მაგ.: ჩვენ, ბალღებს, მეტად გვეხაროდა ქალო (გ. ლ.). ამ წინადადებაში დანართი ბალღებს დამატებითი ცნობით ხსნის და აზუსტებს ნაცვალსახელით გადმოცემულ ქვემდებარეს ჩვენ. დანართით მოპოვებული კონკრეტულობა და სიზუსტე დაეკარგება წინადადებას, საერთოდ, და კერძოდ მისამართ წევრს, თუ მას წინადადებიდან ამოვიღებთ: შდრ. ჩვენ მეტად გვეხაროდა ქალო. როგორც ირკვევა, დანართის ფუნქციაა დამატებითი ცნობებით უფრო ნათლად და გასაგებად წარმოგვიდგინოს წინადადების შინაარსი.

ასახსნელ-განსამარტავ წევრთან დანართი შეერთებულია კავშირით ან უკავშიროდ.

დანართის დამახასიათებელი თავისებურებებია:

1. დანართი წინადადებაში წარმოდგენილია გაუვრცობლად (ე. ი. ცალკე ერთეულად): თვალები დაეჭყიტათ და უფროს ძმას, ვანოს, უმზერდნენ (ს. შ.). შეერთება უკავშიროა (ე. ი. პაუზებით).

2. უპირატესად დანართი გავრცობილია მიმყოლი სიტყვით ან სიტყვებით: ჯოშკართან დაეინახეთ ქალი, გიორგის დედა (ნ. ლ.). შეერთება უკავშიროა (პაუზით).

3. ასახსნელ-განსამარტავ წევრთან დანართის დასაკავშირებლად გამოყენებულია როგორც საკუთრივ კავშირები (მაგიერებელი), ისე კავშირის ფუნქციით გამოყენებული სიტყვები და ნაწილაკები: ესე იგი (ე. ი.), ანუ, თუნდაც, როგორც, განსაკუთრებით, სახელდობრ, მაგალითად, ვთქვათ, უმთავრესად, კი. მეტადრე, ისიც, ც, სიგრძით, სპეციალობით, წოდებით, სახელად, მეტსახელად. გვარად, ტომით, მოდგმით, წარმოშობით, ეროვნებით და მისთ. მაგ.: ეს კი თურმე ფრიად დამღუპველ გავლენას ახდენდა მდაბიო ხალხის ზნეობაზე, ე. ი. მორალზე (ვ. ლაქსნ.).

4. წინადადებაში დანართსა და ასახსნელ-დასაზუსტებელ წევრს შორის ურთიერთობა ადგილის მიხედვით სხვადასხვაგვარია:

ა) დანართი, ჩვეულებრივ, ასახსნელ-დასაზუსტებელი წევრის შემდეგაა: მე ჩვენზე, საქართველოზე, ვამბობდი, — დაბნეულით ჩაილაპარაკა ელიმ (ნ. ლ.).

ბ) დანართი ზოგიერთად წინ უძღვის თავის ასახსნელ-დასაზუსტებელ წევრს:

მეტად ღარიბი ახზნაური, იგიც სხვა ზოგიერთსავით დადიოდა მაშელად აქა-იქ (დ. კლდ.) .

გ) ზოგჯერ დანართი თავის ასახსნელ-დასაზუსტებელი წევრიხაგან გათიშულია სხვა სიტყვით ან სიტყვებით: მე ვარ, დეიდა ნინო, ე ღ ე ნ ე (რ. ი.).

დ) დანართი წინადადებაში იშვიათად განმარტოებულია; გამოტოვებული წევრი, რომელსაც დანართი უკავშირდება, იგულისხმება და მისი აღდგენა თავისუფლად შეიძლება: რ ო გ ო რ ც ა ვ ტ ო რ ს, (მე) რა თქმა უნდა, დაბეჭდვა მწადდა ამ ნაწერებისა (ვ. ფ.).

დანართი ცალკე თუ თავისი მომყოლი სიტყვებით წინადადებისაგან გამოიყოფა მძიმეებით (როცა შუაშია), მძიმით (როცა თავშია ან ბოლოში).

შენიშვნა. დანართთან იშვიათად შეიძლება დაიწეროს ტირე (ტირეები) ან ჩაისვას ფრჩხილებში.

სავარჯიშო 898. გადაიწერეთ, დასვით საჭირო სასვენი ნიშანი.

I. 1. — იმერეთის მეფე ბაგრატს ჩემს ძმას უფროსს უნებებია ისეთი ბრძანება რომელიც შეეხება ჩემს მეგობარს გურიელსაც (ვ. ბ.). 2. კახელ როსტიას მილიციელს არსენას დოსტის უმცროს ძმას ბავშვობიდანვე სჯერა კუდიანი ქაჯი სირინოზი ეშმაკიც და ყოველგვარი მავნე სულიც (მ. ჯ.). 3. მოსაუბრეთ მიუახლოვდა თავადის ახლობელი ნათესავი დიდი მემამულე ახზნაური ფილიპე თამლაძე (ნ. ლ.). 4. ერთ ჩემს მეგობარს თუშს გიორგის შევუთვალეთ ჩვენი გაჭირვება (ნ. კ.). 5. იმ დროს დიდი სვიმონ წერეთელი სახუცის შვილი მეფის სიძე ღრმა მოხუცებული კიდევ ცოცხალი იყო (ა. წ.). 6. გრიგოლ წერეთლის შვილი ნესტორ წერეთლის მამა დიმიტრი რუსეთში იყო გამოზრდილი (ა. წ.).

II. 1. მამაჩემი კი აი ეს მამილო გეერდით რომ მიზის როსტოვში დაბრუნებულიყო (მ. ჯ.). 2. მაშინ ეს დროშა ნათრევ-ნაბრძოლი უძველესი დროშა ეხლაც რომ ამაყად ფრიალებს კარვის წვერზე დავით თავის სასახლეში ჰქონდა დაყუდებული (მ. ჯ.). 3. სწყურიათ და ხანდახან ამ წყაროვილს ცეცხლივით მწვავე წყაროვილს ულრან ბუნაგშიც კი იქრობენ ხოლმე (მ. ჯ.). 4. ბავშვი ხუთი წლის ბავშვი წმენდს ფორთოხალს (ნ. ლ.). 5. თავადი არჩილის ვეჭილი კი ისიც ნაფიცი ვეჭილი უფრო ეკონომიური მატერიალიზმის მიმდევარი იყო (ნ. ლ.). 6. მე ზღაპარს გეტყვი ცხოვრების ზღაპარს სევდით დაწერილს ცრემლით ამოქსოვილს (ტ. ტ.) 7. თვალს ესიამოვნა როდესაც ნამდვილი ტყე დავინახეთ მაღალი მთის ტყე (ნ. კ.). 8. ამ წამებამ მთელი საზოგადოების წინაშე წამებამ სულ დაათავა უიმისოდაც მისუსტებული მარინე (დ. კლდ.). 9. ამ ველს ყაბარდოს დიდ ველს ბუზანკალის ველები დავარქვით (ნ. კ.). 10. უკან რჩება თბილისი ზაფხულის თბილისი სიცხითა და მტვრით (ნ. კ.). 11. უჩუმრად იდგ-

ნენ ცივ-გომბორის მთები ჩემი სამშობლოს მთები (გ. ლ.). 12. თოფი ხომ სანადირო თოფი თავის თავზე მეტად უყვარდა (ვ .ფ.). 13. კედლების ყორით აგებულ კედლებს ვათვალიერებდით (ვ. ფ.). 14. კატოს ერთადერთი შვილი კატო ეხლა უნდა ამოერეცხა გულიდან და გადაეგდო ვინ იცის ვისთვის (ა. ფ.).

ცნობისათვის. 1. დანართს ამხსნელ-დამაზუსტებლად შეიძლება მოსდევდეს სხვა დანართი ან დანართები, ყოველი მათგანის ერთმანეთისაგან გამოსაყოფად მძიმე იხმარება: „ეხლაღა გამახსენდა ჩემი შალვა, ჩემი ტოლი, მეგობარი, სტუდენტი, შალვა შურმანიძე“ (მ. ჯ.).

2. დანართი იშვიათად მისამართი წევრის განმეორებაა, ოღონდ იგი, როგორც წესი, გავრცობილია სხვა სიტყვებით, რომლებსაც აგრეთვე დამატებითი ცნობის ფუნქცია აკისრიათ: „კედელზე ვხედავთ სურათებს, უმთავრესად ჯარისკაცების და მწყემსების სურათებს (ნ. კ.).

შენიშვნა. მისამართი წევრის ამოღების დროს მის ადგილს, ჩვეულებრივ, დანართი იკავებს და იგი თვით იქცევა წინადადების წევრად: სვანი, კალოს პატრონი, გვიჯავრდება (ნ. კ.). შდრ. კალოს პატრონი გვიჯავრდება.

სავარჯიშო. 399. (გასამეორებელი). გადაიწერეთ, დასვით საჭირო სასვენი ნიშანი.

1. ჩვენთვის ამხანაგებისათვის საჭირო იყო მისი ნახვა. 2. შარინეს დედა მოხუცებული ესმა ვერაფრით ვერ დაიკავებს სახლში (დ. კლდ.). 3. შევუდექით ფერდობს მთის ქედს რომელიც საღადეშქელიანო და უბატონო სვანეთს შუაზე ჰყოფს (ნ. კ.). 4. თევდორეს შვილი კი პატარა შიო ცხენთან დარჩა (მ. ჯ.). 5. მოზდოკში ერთ ქართველს ვინმე იაგორაშვილს ქართული წიგნები ჰქონდა (ძ. ჯ.). 6. ესენი მოითხოვენ რომ მან ცხრაას ხუთი წლის წითელარაზმელის შვილმა ფანჯარა გაუღოს ბნელ ძალებს (დ. შ.). 7. ის კი მსოფლიო ჩემპიონი გურამთან და გიგისთან მივიდა (რ. ი.). 8. მე ქვრივი დედაკაცი ვახერხებ და ჩემს შვილს უნივერსიტეტში ვაჯაუნი (ნ. ლ.). 9. თავდავიწყებით ცეკვავდნენ სანამ მოხუცმა დედაბერმა კონიამ არ დაარღვია მათი მხიარულება (ს. შ.). 10. მე მგონია თქვენ ქართველები არსებობის შენარჩუნებაზე ფიქრობთ (ნ. ლ.). 11. მასწავლებელი ყველგან არ გაჰყვებოდა მას თავის ნამწყაფარ მეფეს თუმც მასზე ამოსდიოდა მზე და მთვარე (ლ. გ.). 12. ჩვენ გადავწყვიტეთ ბალღებმა ახლოს მივსულიყავით (ვ. ფ.). 13. ხალხმა აბ ამბის გამგონემ მიანება თავი ქორწილს (ვ. ფ.). 14. ლევანს მეფის ნიშანიც უკვე გამოეგზავნა ქალისათვის სადედოფლო ბეჭედი მარტივი რამ ნივთი ჩანდა (ვ. ბ.). 15. უკვდავი ღამე სდარაჯობს მას ქურუმი დანაშაულისა (ტ. ტ.). 16. ცულს რომ გვცემენ ჩვენ ვკვნესით და თქვენ კი კაცნი ამას „რაკუნს“ ეძახით (ვ. ფ.). 17. მხოლოდ მათ რიცხვში ერთადერთი გვარად ტროე სულ სხვა იყო (ა. წ.). 18. გზადაგზა ბევრი ცხოველი ათასნაირი თევზი ეხეჩე-

ბოდა ვეშაპებიც კი (ვ. ფ.). 19. ჯოჯოხეთი იყო ან უკეთ რომ ვსთქვათ სამარე სადაც მოთავსებული ვიყავით... (ვ. ფ.). 20. შენ როგორც კერძო-მესაკუთრე ისე მსჯელობ (ს. შ.). 21. ღმერთმა იგი ანგელოზად გარდაქმნა ანუ ხატად (ვ. ფ.). 22. ბოლოს გამოგვივიდა ძმებს შუშტის კრივი რათა ამითი ამ საშუალებით მაინც დაგვემტკიცებინა ერთმანეთისათვის ვინ ვიყავით კაი ბიჭი და ვინ არა (ვ. ფ.). 23. საკომი ანუ საკვამლე ფშაურს სახლებს აქვს გაკეთებული (ვ. ფ.). 24. იქ ყოველ თუშს თუმცა უფრო წოვას სამი დღიური მიწა მაინც აქვს პატარა ბაღიც (ნ. კ.). 25. ორი წლის იყო თაკო მათი პირველი შვილი როცა ესტატე ციბაური ომში გაჰყვა ალექსადრე მეფეს (ლ. გ.). 26. ბატონიშვილი გიორგი ერეკლეს უფროსი შვილი მოთმინებიბიდან გამოდიოდა (ი. გ.). 27. პატარები ოდესღაც ის ჭინკა-ბიჭები დავაჟკაცდნენ (ს. კლდ.). 28. მამამისი აზნაური მაქსიმე ბიაშვილი სოფელ ვაშლიანში მცხოვრები ღარიბი აზნაური იყო (დ. კლდ.). 29. წერილში ეწერა რომ მათ შვილიშვილებს დარეჯანსა და ავთანდილს ისინი პაპა და ბებია ორივე ძალიან უყვარდათ (რ. ი.). 30. ის ღრუბელი გრძნობდა რომ ეს ქალაქელი ჭაბუკი მასთან ლაპარაკს დაიწყებდა თანაც უეჭველად შვილისაზე 31. ისინიც იმის დამქაშებიც თან მიჰყვნენ თავის მბრძანებელს (დ. შ.). 32. სამმა კაცმა ორმა ძმებმა და მესამემ მეცხვარემ ორ დღეს დაიგულეს თივა (ვ. ფ.) 33. როგორც პირველი მოწაფე კლასიდან კლასში საჩუქრებით გადადიოდა (ა. წ.). 34. ტყეო დედამიწის გვირგვინო მუდამაც იხარე ფოთლითა და ნაყოფით (ვ. ფ.).

8. მძიმე განკერძოებულ გარემოებასთან

სავარჯიშო 400. გადაიწერეთ, დასვით საჭირო სასვენი ნიშანი.

I. 1. გაღმაუბანში მდინარის იქით მანქანა გაჩერდა (ს. შ.). 2. მარტო ლადო იყო აქ ამ ბაღში (რ. ი.). 3. ნამგალა მთვარე ამოსულიყო ბაღის ბოლოზე აღვის ხეების კენწეროებს შორის (რ. რ.). 4. გზის იქით ბექობზე კოლმეურნეობის მარანია (რ. ი.). 5. წინათ აქ ირგვლივ ყველგან სალი კლდეები იყო (ნ. ლ.). 6. ეზოს გარეთ გზიდან ვიღაც იძახდა (ს. შ.). 7. სახლის წინ ხალიჩებით დაფენილ ტახტზე რაჯიდ-ბეგი სპარსულ ყალიონს ნარგილეს ეწეოდა (ს. შ.). 8. შორს ხრამის წყლის გაღმა ბორჩალოსა და ლორის საზღვარზე ლელვარის თოვლიანი მწვერვალი იწვოდა (მ. ჯ.). 9. გაღმა მცხეთაში გზის ნაპირას მაღალ ბოძზე ვეება მოოქროვილი თასი მზესავით კრიალებდა (მ. ჯ.). 10. ეტყობა აქ კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე უფრო მეტი სინესტეა (ნ. კ.). 11. ჩვენს გაღმა დასავლეთით ნისლით დატვირთული ფშაველის ლურჯი მთები მოჩანან (ნ. კ.). 12. იქით ხალიჩის გასწვრივ ღობის გადმოღმა ჩვენი ნაცნობი ჭოფაკი

ძაღლი წევს (ი. ჭ.). 13. — იცით იქ ტყეში ერთი მეგობარი მყავდა (დ შ.). 14. წაროვანის ქედით გავსწიეთ ქვახიდისაკენ საძოვრებისაკენ (ნ. კ.). 15. ქვევით ჭალაზე მთა-ფერდობებზე გაღმა-გამოღმა მრავლისაგან უმრავლესი ხეები იდგა (ვ. ფ.). 16. მარჯვნივ ძალიან შორს მთების გადაღმა ბოლის ნაფლეთი მოჩანს (მ. ჯ.). 17. ის საბლი მდ. აფხუშურას მარჯვენა ნაპირზედ დგას ერთი მთის ძირში (კ. ფ.). 18. შორს მთებს გადაღმა ხანდახან ელავდა (ს. კ.). 19. საზამთროდ კი სოფელში ჩადის თავრარში (ნ. კ.). 20. ორ ქედს შუა არის შეუუქუული სვანეთი ენგურის ვიწრო ხეობაში (ნ. კ.). 21. — მერე საღ დავრგა?! — თქვენი სახლის წინ პური რომ გითესიათ იქ (რ. ი.). 22. ქალაქი დაბლა შენდებოდა ციხესა და მდინარის შუა (ვ. ბ.). 23 ცოტა მოშორებით პატარა კლდის თავზე იჯდა შალვა (ვ. ფ.). 24. ერთი დღის სიარულის შემდეგ ჩახვალთ სვანეთის ცენტრში სოფელ მესტიაში (ნ. კ.).

II. 1. ერთ დღეს დილიდან საღამომდე შუამთის უდაბურ ტყეში დაღიოდა აბდუშაჰილი (ა. წ.). 2. ერთხელ ღამით ძალიან გვიან როცა ეს ამბავი სრულიად გადავიწყებული მქონდა თეთრ სახლში მიმიწვიეს და წავედი (მ. ტვ.). 3. მხოლოდ ხანდახან შუალამისას გაშავებულ ხატს შეეკვნესებოდა (გ. ლ.). 4. საღამოობით სამუშაოს ამთვებისას ახალგაზრდა მუშები ცდილობდნენ ვითომდა გამხიარულებას (გ. ლ.). 5. ორაგული თხრას იწყებს შემოდგომაზე სექტემბრის ნახევრიდან (ვ. ფ.). 6. ერთხელ ნასადილევს სანამ საბანაოდ ჩავიდოდი ამ ბაღში შევიხედე (მ. ჯ.). 7. გუშინ ცხარე სიტყვიერი შეტაკების შემდეგ კიდეც დავტოვე ბანაკი (ნ. ლ.). 8. ორშაბათს დილით ადრე ოთხი ცხენოსანი გამოვიდა დაბიდან (ნ. ლ.). 9. ერთხელ უშბის კალთებში ნადირობისას შეეყარა ნადირთა მეფეს ქალღმერთ დალის (ნ. კ.). 10. მეორე დღეს დილაადრიან გაისმა თოვლიანი მთის არემარეებში კაჭკაჭის ჭრიალი (ვ. ფ.). 11. მკათათვეში ქალობას უთენებელზე სოფლის დერეფნებში ჩხუბი გაიშლებოდა ხოლმე (გ. ლ.). 12. მეორე დღეს დილით ადრე უნათებლივ ანჯიქოს და იოველს ცხრა უღელი გუთნეული გაეჭიმათ (ს. შ.). 13. მეორე დღეს კვირას ელიზბარი სანადიროდ ემზადებოდა (ვ. ფ.). 14. მაშინ ბატონ-ყმობის დროს ამგვარი ქცევა საარაკო იყო (ა. წ.). 15. აი ამ სახლში დავბადებულვარ მე 9 ივნისს განთიადისას 1840-ში (ა. წ.). 16. (დათვი) ხანდახან ნამეტნავად მაშინ როცა გამაძღარია სიმღერასაც კი შემოსძახებს (ვ. ფ.). 17. მეორე დღეს იმავ დროს იმავე სკამზე ვზივარ და წიგნს ვკითხულობ (მ. ჯ.). 18. მეორე დღეს შუადღის ხანს ჩვენ უკვე

ციხელის სახლის კარებთან მოვიყარეთ თავი (ვ. ფ.). 19. მე ის არა ვარ რაც ეხლა ამ წამში როდესაც პირველად კლდიდამ ვიბადები (ვ. ფ.)

III. 1. სამგლოვიარო საქმედაც კი მიაჩნია იგი სასახლეს სავალალოდ (ვ. ბ.). 2. მხნედ იყავით ყოჩაღად ვაჟკაცურად (მ. ჯ.). 3. (რაჟდენას) გაუფრთხილებლობით მარცხი მოუვიდა უნებურად (გ. ლ.). 4. საჭირო იყო პასუხი მიეცა ქვაშავაძისათვის დაპირებისამებრ (დ. კლდ.). 5. იკვლევდა გზას კენტი კაცი მარტორქასავით (გ. ლ.). 6. (ესტატეს) უნდოდა თავისებურად მამაშვილურად მიალერსებოდა (დ. შ.). 7. ლევანმა დაწვრილებით გაიგო ძმისწულის მდგომარეობა ისე სხვათაშორის (ნ. ლ.). 8. ბოლოს ინდაურებმა პირობა შეკრეს რომ ერთად კრებულად დასხმოდნენ თავს და ჩაეჭოლათ (ვ. ფ.). 9. აგრე საჩქაროდ უცბად სწორედ გითხრა... მე არ მეგონა ანგარიშს მომთხოვდი (ა. ყ.). 10. იაგოს უნდოდა საკვდილი ვაჟკაცურად სახელით (ა. ყ.). 11. ხალხი თავდაკიდებით მორჩილად ისმენდა ამ სიტყვებს (ვ. ბ.). 12. სიკვდილი ვერ სპობს მას მთლად სრულიად (ვ. ბ.). 13. ხოსიტას არ გაუგონია მისი ნათქვამი ისე · საალალბედოდ უპასუხა (გ. ლ.). 14. ქორი ორივე ფეხებით გახლავთ ჩამოკიდებული გაფარჩხულად და ერთი ტყვია ორივე თასმას ხომ ვერ ჰპოვდგებოდა (ა. წ.). 15. ეს ხერხი მეტად ანუ უკეთ რომ ვსთქვათ უმსგავსად უხერხული გამოვიდა (ვ. ფ.). 16. სულთიმ დაღონებით შეხედა თვალებში თითქოს ცრემლი წამოერია და წუწარად თუმცა გარკვევით უპასუხა (ა. ყ.). 17. მყინვარი მოძრაობს მდინარესავით მოდის ოღონდ ნელა წელიწადში თხუთმეტი ოცი მეტრი (რ. ი.). 18. ყველა თითქოს რაღაცა სხვანაირად ეგებებოდა მას ცივად და აუღუნეულად (ა. ფ.). 19. ჩემსავე უნებურად დავიწყე ტირილი მწარედ მდუღარედ ქვითინით (ა. ყ.). 20. ქალაქის ძარღვმა ისევ დაიწყო ფეთქვა თუმცა სუსტად და უსწორმასწოროდ (ვ. შ.). 21. — მაშ კარგი უკან დავბრუნდეთ მაგრამ წუწარად აუჩქარებლად (ვ. ფ.). 22. ძალიან ღარიბად ვცხოვრობდი ხელმოკლედ საწყლად (ვ. ფ.). 23. რემბრანტს რომ აქვს დახატული თავისი თავი და თავისი მეუღლე ასე ჩვენსავით (რ. ი.).

ცნობისათვის. ერთ გარემოებას ზოგჯერ ახლავს (მოსდევს) მასთან აზრობრივად დაკავშირებული სხვა გარემოება, რომელიც ზედმიწევნით ხსნის და აზუსტებს მის აზრს.

ფართოდაა გავრცელებული ადგილის, დროისა და ვითარების გარემოებათა განკერძოების შემთხვევები, მიზეზისა და მიზნის გარემოებათა განკერძოება დასტურდება, მაგრამ ძალიან იშვიათად.

1. განკერძოებული ადგილის გარემოება ხსნის და აზუსტებს შემასმენელთან დაკავშირებულ წინა ადგილის გარემოებას: პატარა ფერდობზე, მუხის ქვეშ, ხალხს თავი მოეყარა (ს. შ.). განკერძოებული გარემოება (მუხის ქვეშ) ხსნის და

აზუსტებს წინამავალი (ჩვეულებრივი) ადგილის გარემოების (პატარა ფერდობზე) მნიშვნელობას.

განკერძოებული ადგილის გარემოება, ჩვეულებრივ, უშუალოდ მოსდევს ასახსნელ-დასაზუსტებელს, იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს მისგან გათიშულადაც: გათიშული: ჯარი ალგეთის პირას იყო დაბანაკებული, ქოთიშში (ვ. ბ.).

განკერძოებული ადგილის გარემოება ხშირად რამდენიმეა. განკერძოებულის ყოველი მომდევნო განკერძოებული ადგილის გარემოება თავისი წინამსკალის ამხსნელ-დამაზუსტებელია: ბერაანთ სახლის ბოლოს, მურუნიანში, წისქვილის სარუის გვერდზე, დარეჯანის ყვირილი, ჯავრობა ისმოდა (ვ. ფ.).

შენიშვნა. ადგილის გარემოების განკერძოება ცალკე ერთეულის სახით ქართულში იშვიათია: ახალუხისას, სარტყელს ზევით, ორს ან სამს ღილს თუ შეიკრავდა (ვ. ფ.); ვისაც უცხოერია ფშაველებში, ის მაშინვე იცნობს ფშაველს სიარულზე, თუნდ ერთი ვერსის სიშორიდამ (ვ. ფ.).

განკერძოებული ადგილის გარემოება (გარემოებები) წინადადებაში მძიმით (მძიმეებით) გამოიყოფა.

2. განკერძოებული ადგილის გარემოების მსგავსად განკერძოებული დროის გარემოება ხსნის და აზუსტებს თავის წინამავალ (ჩვეულებრივ) დროის გარემოებას: საღამოობით, სამუშაოს აშენებისას. ახალგაზრდა მუშები ცდილობენ ეითომდა გამხიარულებას. განკერძოებული დროის გარემოება ხშირად აშენებისას ხსნის და აზუსტებს შემასმენელთან დაკავშირებულ გარემოებას სადაობოობით.

წინადადებაში აქაც შეიძლება შეგვხვდეს რამდენიმე განკერძოებული დროის გარემოება. ყოველი მომდევნო განკერძოებულია და თავისი წინამავალის ამხსნელ-დამაზუსტებელი: მეორე დღეს, დილით ადრე, უნათებლივ, ანკარ. და ოველს ცხრა უღელი გუთნელი გაეკიმათ (ს. შ.).

შენიშვნა. ძალზე იშვიათია ცალკე აღებული დროის გარემოების განკერძოება: ახე იცის მთის მიწუნარებულმა ჰაერმა გამოძახილი, მეტადრე ღამე, ჭორა გადაიკარგება ხოლმე (ნ. კ.).

განკერძოებული დროის გარემოება (გარემოებები) წინადადებაში მძიმით (მძიმეებით) გამოიყოფა.

3. ვითარების გარემოების განკერძოებისას საქმე გვაქვს ორგვარ შემთხვევასთან:

ა) ვითარების გარემოება (ერთი ან რამდენიმე) მოწყვეტილია შემასმენლისაგან: პელაგო მას შიგ თვალებში შესცქეროდა — მკვახედ, ცივად, ბღვერით (მ. ჯ.).

ბ) განკერძოებული ვითარების გარემოება კი წინა ვითარების გარემოების ამხსნელ-დამაზუსტებელია: ღუარსაბი გულღმა იწვა, თავისებურად (ი. ჭ.); ყველა თითქოს რაღაცა სხვანაირად ეგებებოდა მას, ცივად და იჭვნეულად (ა. ფ.).

განკერძოებული ვითარების გარემოება (გარემოებები) წინადადებაში მძიმით (მძიმეებით) გამოიყოფა.

შენიშვნა. წინადადებაში ერთდროულად შეიძლება წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა სახის (დროის, ადგილის) განკერძოებული გარემოება: ერთხელ, გაღმა,

საბურთალოზე, მზის ჩასვლისას, ჭადრის ქვეშ, მოეყარათ თავი ახალგაზრდა ოჯახიშვილებს და თათბირობდნენ (ა. წ.).

სავარჯიშო 401. (გასამეორებელი). გადაიწერეთ, დასვით საჭირო სასვენი ნიშნები.

1. ძირს კი ხევში მიჰქუხს ბაქსანი (ნ. კ.). 2. იქვე ხევში ხალხი მოჩანს (ნ. კ.). 3. შორს ჩვენს მარცხნივ დავინახეთ ბალახოვანი ფერდობი (ნ. კ.). 4. შემდეგ მუშაობის დროს ხან დამპალი ღვედი წყდებოდა და ხან სალეწს რომელიმე ხის თუ რკინის ნაწილი გამოძვრებოდა (ს. შ.). 5. ერთხელ ამნაირი შემთხვევის დროს ფეხი ქვას წამოჰკრა (ს. შ.). 6. იქ უფრო შორს მუდმივი თოვლით მოსილი მყინვარწვერი თეთრად ელავდა (დ. შ.). 7. აქვე ქობულეთში ამხანაგ ასკურავას ცოლიც ისვენებდა (დ. შ.). 8. იქიდან ლოტკინის გორიდან სროლის ხმა ისმოდა (დ. შ.). 9. მეორე დღეს დილით ადრე გამოსულიყო ზაალ აივანზე და ჰალებს გადაჰყურებდა (ა. წ.). 10. გათენებისას ცისკრის დროზე მოულოდნელად ერთი საოცარი ტირილისა და გოდების ხმა გაისმა შუამთაში (ა. წ.). 11. — ამ კლდეზე უნდა გადავიაროთ მერე დავისვენებთ ძირში (ნ. კ.). 12. —ძალიან ამაყად უჭირავს თავი სწორედ მეფურად (ვ. ბ.). 13. (გზირი) ყოველთვის ხმამაღლა ლაპარაკობდა ომახიანად (ვ. ბ.). 14. შიგ კი გამოქვაბულში ისეთსავე კედელს როგორც გარეთ იყო დაჰყურებდა ლურჯი ცა ბრტყლად გათლილი (ნ. ლ.). 15. აქ რუსეთში კულტურული ხალხი ცხოვრობს (ნ. ლ.). 16. მარტო ლადო იყო აქ ამ ბაღში (რ. ი.). 17. — როდის დაამთავრეთ — ადრე ომამდე (რ. ი.). 18. აგერ ქვევით გაღმა ტყეში ბოლის გრძელი ნისლი მირბის (მ. ჯ.). 19. ერთ მთის ფერდობზე ტყეში ერთ დიდ იელის ხმელ ტოტზე ძერა დაინახა (ვ. ფ.). 20. მეორე დღეს შუადღის ხანს ჩვენ უკვე დასელის სახლის კარებთან მოვიყარეთ თავი-თავს (ვ. ფ.). 21. იქვე გვერდით ყორეში შეტანებულს პალოზე იყო ჩამოკიდებული დაშიბული მათრახი (ვ. ფ.). 22. ერთხელ შემოდგომით მთაში თოვლი ადრე მოვიდა (ვ. ფ.). 23. შაბათ დილას პირობისამებრ შინ მივიდნენ (ვ. ფ.). 24. ეს თამაშობა ... განზრახ იყო გამოგონებული რაიმე სამნიშნელოდ თუ ისე შემთხვევით უბრალოდ (ა. წ.). 25. ძალიან ღარიბად ვცხოვრობდით ხელმოკლედ საწყლად (ვ. ფ.). 26. რაზმების ხელმძღვანელები კი ზევით დაბანაკებულიყვნენ მარაბდაში ზაალ ბარათაშვილისას (მ. ჯ.). 27. მეფის კარავი ცოტა განზე იდგა მაღლობზე ზედ ტყის პირად (ვ. ბ.). 28. შორს ხრამის წყლის გაღმა ბორჩალოსა და ლორის საზღვარზე ლელვარის თოვლიანი მწვერვალი იწვოდა. გაღმა მარაბდის ზემოთ

თრიალეთის თეთრი ქედი ბზინავდა. ღრუბლის თავზე კოჯრის მხარეს აზეულას ციხე ცამდე აწეულიყო და მზის უკანასკნელ სხივებში ოქროს ვეება ბოძივით ლივლივებდა (მ. ჯ). 29. ერთხელ ნადირობისას სოლომონმა პატიოსნების კანონ-წესს მიაფურთხა და ნოდარს თავისი გაყიდული თოფი წაართვა (ა. ქ.).

4. მძიმე გარდა და მიუხედავად თანდებულიან სახელებთან

საგარჯიშო 402. გადაიწერეთ, დასვით საჭირო სასვენი ნიშანი.

1. სამსახურში დარაჯის გარდა არავინ იყო (გ. რ.). 2. (ირემს) არავითარი თავის დასაცავი მტრისაგან გარდა ფეხებისა თვალებისა და ყურებისა იარაღი არ მოეპოვება (ვ. ფ.). 3. ვინც ხნავდა და თესავდა იმას მარაგი შემორჩა მაგრამ თომას არაფერი გარდა თვალმარგალიტებისა (ს. შ.). 4. ყველა ჩვენი სახლიკაცები გარდა ერთისა იყვნენ თითქმის ისეთივე ღარიბები როგორც ჩვენა (ა. ფ.). 5. (გამიხარდის) არ მოუკლავს ვეფხვი ერთის მეტი და ისიც უნებურად თურმე შემოაკვდა (ვ. ფ.). 6. იმის კვნესა არავის ესმის კლდის მეტს (ვ. ფ.). 7. ელიზბარს ხანჯარს გარდა წელში გარჭობილი ჰქონდა ძველებური ქართული დამბაჩა (ვ. ფ.). 8. ბებოს ჩემს გარდა კიდევ ცხრა შვილიშვილი ჰყავდა (გ. რ.). 9. ყველას გარდა საერთო მიზნისა აქვს პირადი ინტერესები და პირადი განცდები (ს. შ.). 10. გამგეობის წევრები მოსეს გამოკლებით თებრონეს ამართლებდნენ (ს. შ.). 11. მიუხედავად ამისა ოჯახის დიდი მოსიყვარულე იყო ალექსანდრე (ლ. გ.). 12. მიუხედავად სიბნელისა ხელების ფათურითა და ხტუნვით აირბინა ქიბე-სართულები (ლ. გ.). 13. მიუხედავად იმისა რომ სამგზავრო სამოსი გაეხადა და ფრიად მდიდრულად მორთულიყო ზაზამ შავნიჩაბა წვერით უმალვე იცნო კოჭლი სოვდაგარი (ლ. გ.).

ცნობისათვის. მძიმით (მძიმეებით) გამოიყოფა სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმებზე დართული გარდა და მიუხედავად თანდებულიანი გამოთქმები.

გარდა თანდებულიან ფორმებს, ჩვეულებრივ, ორგვარი გაგება ახლავს:

ა) გამოყენებულია სახელით გადმოცემული საგნის გამოსაყოფად, გამოსარიცხავად: ყველამ ვიცით, ზოგის გარდა (მ. ჯ.).

ბ) გამოყოფს და ჩარიცხავს სახელით აღნიშნულ საგანს: ბებოს, ჩემს გარდა, კიდევ ცხრა შვილიშვილი ჰყავდა (გ. რ.).

გ) მიუხედავად თანდებულიანი ფორმები შეიცავენ დათმობით შინაარსს: მიუხედავად ამისა, ოჯახის დიდი მოსიყვარულე იყო ალექსანდრე (ლ. გ.).

დ) განკერძოებულია აგრეთვე გამოთქმები: პირველ ყოვლისა, უწინარეს ყოვლისა, უპირველესად ყოვლისა. მაგ.: სტუმრად მისულს, უპირველეს ყოვლისა, დიდი ხის ჯამით აირანს მიაწოდებენ (ნ.ჯ.); უწინარეს ყოვლისა, აქ ლაპარაკობდნენ გათბუნული ატმოსფეროს გამო (კ.გ.).

სავარჯიშო 403. გადაიწერეთ, დასვით საჭირო სასვენი ნიშანი.

I. 1. შინ დარჩენა ჩემთვის რასაკვირველია დასჯა იყო (ა. წ.). 2. რა თქმა უნდა რაღაც საეჭვო ამბავია (ს. კ.). 3. უეჭველია რაღაც ვარამი მწარედ უთუთქავდა გულს (ა. ყ.). 4. მხოლოდ ერთხელ მახსოვს სიმღერით შევიდა თავის ეზოში (გ. ლ.). 5. ამაზე გონიერულ ჟესტს ტყუილია კაცი ვერ მოიგონებდა (მ. ტვ.). 6. მართლაც მთის ფერდობზე ბატკანი იყო შეფენილი (ნ. კ.). 7. მე რომ მკითხოთ ჯერ თითის მოპრასაც არ მივანდობდი (მ. ჯ.). 8. ცხადია თებროს არაფერი აქვს სათქმელი (ს. შ.). 9. მეფეც ხომ ვიცით არანაკლებ იყო დაღონებული მუცელას დაკარგვით (ვ. ფ.). 10. წუხელის მართალია მეტისმეტმა სიყვარულმა თავდავიწყებამდე მიიყვანა იგი (ა. ყ.). 11. ახლა კი დაიღუპა არლივი უეჭველად დაიღუპა! (მ. ჯ.). 12. მე არც მეტი არც ნაკლები წიგნის ერთი ჰია ვარ (ჰ. ლაქსნ.). 13. სულ დიდი ერთი საათის დაგვიანებით თქვენ დანიშნულ ადგილზე მიხვალთ (ნ. ლ.). 14. ბოლოს და ბოლოს აქამდე იდუმალებით მოსილი ამ სენის საიდუმლოებაც გაირკვა (ს. კ.). 15. სულ ერთია შთაბეჭდილება მაინც ისეთივე დარჩება (ნ. ლ.). 16. (დედაკაცებს) სულ ცოტა ორმოცი ვერსი უნდა გაეცლოთ (ვ. ფ.).

II. 1. ნადირობის რა მოგახსენოთ მგონი ნადირი ამ მხარეში არ უნდა იყოს (ნ. ლ.). 2. ხვალ არა და ზეგ მგონია უნდა გავათავოთ ეს საქმე (ნ. ლ.). 3. მე ვგონებ ყველაზე უფრო დამნაშავე ვარ! (ლ. გ.). 4. ჰოდა მე ვგონებ ჩემს ადგილზე დავითი რომ ავირჩიოთ კარგი იქნება (ს. შ.). 5. ჩემი რჩევა ჩანს იმათაც დაუჯდათ ჭკუაში (დ. შ.). 6. ის ალბათ ჩვენს დაბრუნებას ელოდებოდა (ს. კ.). 7. ცოტა არ იყოს გეწყინოს შესისხლხორცებული მთების და ყინვარების მიტოვება (ნ. კ.). 8. ეტყობა შარშანდელი სარეველები ახლა გაუთიბიათ (ლ. მ.). 9. ვისაც თავის დღეში გარეთ არ გამოუხედნია ეხლა მიცოცავდა დიდი ზეხმელისაკენ სადაც ეტყობოდა ჭია-მატლებს კრება ჰქონდათ (თ. რ.). 10. წინ როგორც ეტყობოდა ყვავილნარი ყოფილა გაშენებული (დ. შ.). 11. როგორც ვატყობ ყველა ჩემგან როგორც მასპინძლისაგან მოელის პირველ სიტყვას (ს. შ.). 12. სიმღერა როგორც ჩანს მათაც მოეწონათ (ს. შ.). 13. მეც ჩემდათავად თუ არ ვცდები პატივი მაქვს ველაპარაკო (მ. ტვ.). 14. ონისე კი რაგორაც სჩანდა ცდილობდა თავისი მდგომარეობა მოძღვრისთვის არ შეემჩნევინებინა (ა. ყ.). 15. რომ სთქვას კაცმა გარეგნობით ვერ ბრწყინავდა (ს. კ.). 16. ვინ იცის იქნებ აკადემიაშიც მოხვდეს და კაცი გამოვა (ნ. ლ.). 17. ჩემი შემოსავალი ვფიქრობ მეყოფა (ა. ყ.). 18. ერთიც ვნახოთ მოეკიდა ჩვენს ბუნაგებს ცეცხლი ხომ სულ შიგ

უნდა გამოვიხრუკოთ (თ. რ.). 19. გაბოროტებულს იქნება ფრთა კიდეც გადამეგდო (ვ. ფ.). 20. ვთქვათ ერთი ვინმე მეპატრონე მთაში წავიდა სათევზაოდ (გ. წ.). 21. მე ასე თუ ისე მაინც შორეულ ხმებს ვარ შეჩვეული (მ. ტვ.). 22. — მაშინ რამდენადაც მახსოვს მე გიპასუხეთ, რომ პირიქითაც შეიძლება მომხდარიყო-მეთქი... (ნ. დ.).

III. 1. საერთოდ ყინვარი ასეთი როდია მას ჩვეულებრივ ხაზად გასდევს მორენა (ა. კ.). 2. შედგენილ შემასმენელში როგორც წესი ერთი სახელადი ნაწილი გამოიყოფა (ლ. კ.). 3. ძველ დროში როგორც ვიცით რჯული ხალხს ძლიერ მტკიცედ ეჭირა (ვ. ფ.). 4. მელები საზოგადოდ მოხერხებულები ხართ (ვ. ფ.). 5. როგორც ცნობილია ეს სავანე პალესტინაში ქართველებმა ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში დააარსეს (ი. ა.).

IV. 1. სამწუხაროდ ეს ამბავი მთელმა ქვეყანამ გაიგო (მ. ჯ.). 2. უსათუოდ გაჩნდებოდა ის ჩვენი სოფლის მინდვრებში ჩვენდა სასიხარულოდ (ვ. ბ.). 3. საუბედუროდ ეს იმედი მათ არ აუცხადებიათ (ი. გ.). 4. ბოლოს რაღაც ბედად მომაგონდა, რომ ჩვენს შორის ბევრი იყო ძაჰმადიანი (ნ. ლ.). 5. სანოვაგეს ღვთის წინაშე ბევრსაცა ვხედებოდი (ვ. ფ.). 6. ღვთის მადლით მე ამცილდა ტანჯვა (ა. წ.). 7. შენდა ბედად ახლა ეპისკოპოზი აქეთ მოდის (ნ. ლ.). 8. სწავლა ღვთის მადლით არაფრისა არა ჰქონდა (ი. ჯ.). ამ დროს ჩემდა საუბედუროდ ინსპექტორი შემოვიდა (ა. წ.). 10. მას აქეთია ღვთის შეწევნით ფჩხილი არ წამოტკენია ტყვილა... (დ. კ.). 11. წირვის გამოსვლას არ დავუცადე ჩემდა სამარცხვინოდ გამოვიპარე (ვ. ფ.). 12. ღვთით არაფერი გიჭირს სხვა ადგილებიც გაქვს (დ.კ.). 13. აბაზანაში ჩემდა იღბლად წყალი ცხელი აღმოჩნდა (დ. შ.). 14. აღშფოთებულმა დავტოვე საპარიკმახერო მტრისას № 2-ს რომ ჩავვარდნოდი ხელში (მ. ტვ.). 15. რა ვქნა ასე სცოდნია სიბერეს (მ. ჯ). 16. ბედად ახლა ვიყიდეთ იაფად შეგვხვდა (ნ. ლ.).

V. 1. ზოგი ჭირი მარგებელიაო რომ იტყვიან სწორედ ჩვენზე არის (თ. რ.). 2. ასეთ კერებად ჩემი აზრით შეიძლება ჩაითვალოს იალბუზის მახლობლად მდებარე ხეობებიც (ნ. კ.). 3. მაშ შენი აზრით ვინა ვარ? (ლ. მ.). 4. მაგის აზრით ჩვენ ახალგაზრდა მკვლევარებს თითქოს უფლება არა გვაქვს მაგ გავაკრიტიკოთ. სადარაჯო კარგ ჰაერზე იყო და მის მართას ექიმის სიტყვით სწორედ ეს სჭირდებოდა (ნ. ლ.). 6. ფუფალას სიტყვით შიოლა ორმოცი წლის წინათ მომკვდარიყო (გ. ლ.). 7. მისი აზრი მღვდლის ჩაგონებით დღეს ის იყო როგორმე ხელში დროშა ჩაეგდო (ვ. ფ.). 8. ბედმა ისიც სოლომანის წყალობით ბესარიონ საჭარაძეს გაუღიმა (დ. კლდ.). 9. ჭორღუყო მთის ხალხის შეხედულებით ბედნიერი იყო (ა. ყ.). 10. ხალხის

თქმულებით მათი დედაც ბრძოლის ველზე იყო (ი. გ.). 11. კოპალა ფშაურის ზეპირგადმოცემით ყოფილა იხინჯას (ადგილია) ბერად (ვ. ფ.). 12. შელოცვა ღვთისაგან გამოგზავნილი წამალია ფშაველის ფიქრით (ვ. ფ.). 13. ამის შემდეგ როგორც ძველად ამბობდნენ მათ შორის შავმა კატამ გაირბინა (ს. შ.). 14. (რინემ) დედის ნათესავების და განსაკუთრებით დეიდის რჩევით თავისი მამის კუთვნილი მოითხოვა (ს. შ.). 15. ნასადილევს კი პაოლოს წინადადებით ქალაქგარეთ გავედით (ს. კ.).

VI. 1. არ ვიცი ეგრე რამდენ ხანს ვისაუბრეთ უფრო სწორედ რომ ვთქვათ მე ჩუმად ვიყავ და რს ლაპარაკობდა (დ. შ.). 2. ეს ხდება ასე ვთქვათ საზეიმო ვითარებაში (ს. კ.). 3. ჭალაში ოცს ხეზე ანუ უკეთ რომ ვსთქვათ ოცს ჯაგზედ მეტი არ იდგა (ვ. ფ.). 4. მიმინო მოწყენით იჯდა ერთ პანტაზე თავჩაქინდრული და ფიქრობდა ან უკეთა ვთქვათ ოცნებობდა თბილ საჰმელზე (თ. რ.). 5. ახლა კი მიხვდა უფრო სწორად ქვეშეცნეულად იგრძნო რომ მასა და ზოსიმეს შორის ისევ ძევს ბზარი მთავარ საკითხში (ლ. გ.).

VII. 1. მე ნუ გაგიკვირდებათ ასე ვფიქრობ (ვ. ფ.). 2. ვეფხვაძე დიმიტრის თვლიდა ჩამორჩენილად და წარმოიდგინეთ შეუგნებლადაც (ს. შ.). 3. სწორედ მოგახსენოთ მეც მეუცხოვა იმგვარი ჩაცმულობა (ა. წ.). 4. უნდა გაგბავნო და ფული კი მოგეხსენება არსად არის... (ნ. ლ.). 5. ნამდვილად კი ყველაფერი დავით კომბინატორის მოხერხების და თუ გნებავთ არტისტული ნიჭის ნაყოფი იყო (ნ. ლ.). 6. როგორც გეტყობათ თქვენ პირველად ბრძანდებით ჩვენთან (ნ. ლ.). 7. როგორც მოგეხსენებათ ვამეხის ბებო — ქეთო დედაჩემია (გ. რ.). 8. თქვენ წარმოიდგინეთ ეს მეც ვიგრძენი ინსტიქტურად (პ. ტვ.). 9. მე კი სწორედ გითხრათ თავს ვერ გამოვიმეტებდი რომ მაგაში ჩავმჯდარიყავ (ი. ჭ.). 16. იცით იქ ტყეში ერთი მეგობარი მყავდა (დ. შ.). 11. ასე იფიქრეთ ტირილით გაჭირვეულებულს და გაკაპასებულს ბალღებსაც კი ოთარაანთ ქვრივის სახელით აშინებდნენ გულზედ მოსული დედები (ი. ჭ.). 12. ასე გასინჯეთ დედაჩემიც კი მეორე ოთახში იჯდა და ცდილობდა სიცილი შეეკავებია (ა. წ.). 13. რა იყო შენ ხარ ჩემი ბატონი და მივდივარ „მწვანე ბაზარში" (ნ. ლ.).

VIII. 1. მზეხათუნმა კი ჯერ ერთი დიდკაცობაში შედგა ფეხი — მოახლის ყოლა ხომ ყველას არ შეეძლო — მეორე სირბილი აღარ სჭირდებოდა (ნ. ლ.). 2. ვაჟას გმირები ერთის მხრივ ეთნოგრაფიულობამდე ლოკალურნი არიან მეორე მხრივ კი ისინი გვევლინებიან მომავლის გმირთა სიმბოლურ განზოგადებულ სახეებად (ი. ა.). 3. თუმცა ერთი მხრით მუცელას ესიამოვნებოდა ასეთი პატივისცემა მეფისა მაგრამ მეორე მხრივ დიდ უსიამოვნებაში აგდებდა (ვ. ფ.).

4. ის ჩავარდა ორ შიშს შუა ცალი მხრით ღამის კუდიანების ეშინოდა მეორე მხრით შინ მისვლასაც ვეღარ ბედავდა ხელცარიელი (გ-წ.). 5. პირველი იმიტომ არ მოსწონთ რომ თერგდალეულები მართლა-და თერგდალეულები არიან მეორე იმიტომ... იმიტომ რომ მეორედაც თერგდალეულები არიან (ი. ჭ.). 6. ერთი სიტყვით სიდონია დილის ექვს საათზე შემოვარდა ოთახში (მ. ჯ.). 7. ამგვარად მგონი ბატონი ესტატეს აზრს უმრავლესობა იზიარებს (ნ. ლ.). 8. ამრიგად როგორც ვთქვი ქსეროფიტული მცენარეული უფრო მეტსა და მეტ ადგილს იჭერს (ნ. კ.). 9. ასე და ამრიგად მე უკვე ვვარაუდობდი რომ წელიწადში ექვსასიდან ათას გირვანქა სტერლინგამდე მაინც მივიღებდი (მ. ტვ.). 10. ეს მცენარეული როგორც აღვნიშნეთ ვითარდება მშრალ და მოტიტვლებულ ადგილებში (ნ. კ.). 11. როგორც ზევითა ვსთქვით იმას დაეძინა ტკბილისა და მძიმე ძილით (ა. ყ.). 12. კატომ როგორც ზემოთ იყო ნათქვამი წერა-კითხვა და რუსული ლაპარაკი კიდეც იცოდა (ა. ფ.). 13. ჩემი მიწა-წყალი როგორც მოგახსენეთ აქედან შორს არის (ი. ჭ.). 14. ვიმეორებ მწერლობა ხელოვნება ერთ რამეში ჰგავს ომს — მისთვის უცხოა შებრალება (ჯ. გ.). 15. ისლანდიის ყველა პაწაწინა მამულიცა და დიდი მამულებიც მეფეს ეკუთვნის ასე რომ ახლა ათასობით ადგილ-მამული მის ხელთაა (ჰ. ლაქსნ.). 16. უფრო მეტიც ამით ჩვენს პროფესიას მოვუტანეთ მარადიული დიდება (მ. ტვ.). 17. მით უმეტეს ჩვენს მხარეზე არც ერთი ნასწავლი მღვდელი არ გვყავს (ნ. ლ.). 18. თვალების დატაკებამ ორიოდე წამს გასტანა. ეს იყო და ეს მეტი არაფერი არ მომხდარა (მ. ჯ.). 19. (საათი) ცოტას რომ წაიმუშავებდა მერე გაჩერდებოდა ისევ ამუშავდებოდა ისევ წაიფორხილებდა და ა. შ. მოკლედ როგორც მოეპრიანებოდა (მ. ტვ.). 20. მახვილგონიერებაში პაექრობა გამართეს იმღერეს კიდეც მოკლედ ერთობოდნენ, როგორც შეეძლოთ (ჰ. ლაქსნ.). 21. ხარიტონი რაც უფრო უახლოვდებოდა ქალაქს უფრო ძლიერად შეიპყრო სევდამ ამასთანავე რატომღაც მარტოობას გრძნობდა (ს. კ.). 22. ხშირად იძულებითმა ვაჭრობამ სხვათა შორის ქონებაც შესძინა (ლ. გ.). 23. ყველას და მათ შორის მეც მიყვარს მაღალი მწვანით ყვავილებით მორთული მთა (ვ. ფ.). 24. არწივი არ არის ისეთი მოსისხლე როგორც მაგალითად მგელი (თ. რ.). 25. სიტყვაზე რაკი ლაპარაკი ურჩხულებზე ჩამოვაგდეთ ამ კარებში საფრთხობელა ვნახე (ჰ. ლაქსნ.). 26. ვაჟი ვერ დაიწუნებდა პირიქით რინე მრავალს ეუბნებოდა უარს (ს. შ). 27. რა ვუყოთ რომ შვილი არ იყო სამაგიეროდ შვილივით ჰყავდა შეთვისებული (დ. შ.).

IX. 1. „შენი ჭირიმე ნუ მომკლავ გეთაყვანე გენაცვალე თავს

შემოგევლე! ღმერთმანი აღარ ვიზამ!“ — დაჩოქილი ვემუდარებოდი (ვ. ფ.). 2. — გაიღვიძე შენ გენაცვალე ჭირი მოგჭამე თავს შემოგევლე! — ეუბნებოდა დედა შვილსა (ვ. ფ.). 3. კარგი გენაცვა კარგი ნუ გაცხარდი (მ. ჯ.). 4. დალიე შენი კვნესამე (ვ. ბ.). 5. ჰო დედაშვილობამ ალბათ არ ყოფილა ღვთის ნება... (ა. წ.). 6. — გაჭირვება აკაეებს მამაშვილობამ კაცსა (ს. მ.). 7. მამაშვილობას არ გამილახო (ნ. ლ.). 8. შენც ხომ გლეხი ხარ შვილოსა... არც შენგან იქნება სიკეთეო — ამბობდა მისი თვალები (ლ. ქ.). 9. არ ვიცი ღმერთმანი მეც ძალიან გამიკვირდა (ე. ნ.). 10. რა მოხდა შენმა ქალობამა? — ეკითხებოდა დაროს გაკვირვებული მანასე (ლ. გ.). 11. თუ გიყვარდე რამდენიც შეიძლოთ იმდენი დაამზადეთ! (ა. წ.). 12. არჩილ ღვთის გულისათვის გაუშვი! (ნ. ლ.). 13. გეყოფა ძმობას რა დროს აფეთქებაზეა ლაპარაკი (გ. ლ.). 14. — სალომე სალომე! ერთი შენ გახარებას ღვინის ჭიქები მოგვიტანე (დ. შ.). 15. სულაც არაფერი ეტყობა მაგ შენს ჩოხას... ახალივითაა თავი ნუ მომიკვდება (დ. კლდ.). 16. ამბობდნენ და გეფიცები შენ არა გყავს სწორი! (ს. შ.).

ცნობისათვის. ჩართული ჰქვია სიტყვებს, სიტყვათშეერთებებს და წინადადებებს, რომლებიც გამოხატავენ მოუბრის დამოკიდებულებას ძირითადი წინადადებისადმი მნიშვნელობასთან, ძლევიან გამონათქვამის საერთო შეფასებას, ახასიათებენ მისი გაფორმების ხერხს, მიუთითებენ აზრის წყაროზე და სხვ. მოდალურობა, ემოციურ-ექსპრესიულობა ჩართული კონსტრუქციების წამყვანი ფუნქციაა. ისინი შეიცავენ დამატებით ცნობებს, განმარტავენ, ხსნიან და კომენტირებენ ძირითად წინადადებას სხვადასხვა თვალსაზრისით.

ჩართული სიტყვები და სიტყვათშეერთებები არ წარმოადგენენ წინადადების წევრებს, ვერ ამყარებენ გრამატიკულ კავშირს წინადადების წევრებთან, არ დაესმით კითხვა. ასეთი სიტყვები ზეპირმეტყველებაში გამოიყოფა პაუზით, აქვთ ჩართულისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ინტონაცია (დამახასიათებელია ბგის დადაბლება და აჩქარებული ტემპი), ნაწერში ისინი გამოყოფილია სასვენი ნიშნებით (ძძიმით, მძიმეებით).

ჩართული სიტყვებისა და სიტყვათშეერთებების ადგილი წინადადებაში რამდენადმე თავისუფალია: გვხვდება თავში, შუაში, იშვიათად — ბოლოში. მაგ.: ვგონებ, ამას სიკვდილი ჰქვიან (ვ. ფ.). შდრ. გუშინ, ვგონებ, მეც გადმომხედა (ვ. ფ.). ჩართული სიტყვები განეკუთვნებიან ან მთლიან წინადადებას, ან (იშვიათად) მის ერთ-ერთ რომელიმე წევრს. მაგ.: მეც, რასაკვირველია, რადგანაც სხვა ენა არ ვიცოდი, ქართულად ვუპასუხე (ა. წ.). მოცემულ წინადადებაში ჩართული რასაკვირველია მთელი წინადადების კუთვნილებაა, უშუალოდ დგას (წინ ან შემდეგ) იმ წევრთან, რომელსაც ის მიეკუთვნება: მელამაც სიცილი დაიწყო, რასაკვირველია, ძალაუნებურად (ვ. ფ.). კატა მიჰპარვოდა, ჯიბეც გამოეუპა და კალმახიც, რასაკვირველია (ვ. ფ.). პირველ წინადადებაში ჩართული რასაკვირველია მიეკუთვნება ვითარების გარემოებას ძალაუნებურად (უშუალოდ დგას მის წინ), მეორეში პირდაპირ დამატებას კალმახიც (უშუალოდ დგას მის შემდეგ). ამაეე დროს, ამ უკანასკნელს ბოლო ადგილი უკავია.

ჩართული სიტყვები და სიტყვათშეერთებები მნიშვნელობის მიხედვით რამდენიმე ჯგუფად იყოფა. აქედან ძირითადია შემდეგი:

1. ჩართული სიტყვები და გამოთქმები გვიჩვენებს, რომ მთქმელი დარწმუნებულია წინადადებაში გამოთქმული აზრის ჭეშმარიტებაში. ე. ი. აფასებს მას როგორც უეჭველ, უტყუარ ფაქტს: რასაკვირველია, რა თქმა უნდა, ცხადია, თავისთავად ცხადია, უეჭველია, უეჭველად, მართლაც, ტყუილია, მახსოვს, მე რომ მკითხოთ, არც მეტი არც ნაკლები, ყოველ შემთხვევაში, სულ ერთია, სულ დიდი, ბოლოსდაბოლოს, აკი მაინც და სხვ.

2. ჩართულით გადმოცემულია მთქმელის ვარაუდი — წინადადებაში გამოთქმული აზრი მიჩნეულია საეჭვოდ თუ საეგებოდ: მგონი, მგონია, ვგონებ, მე ვგონებ, ჩანს, ალბათ, ცოტა არ იყოს, ეტყობა, ეტყობოდა, როგორც ვატყობ, როგორც ჩანს, თუ არ ვცდები, როგორც ვხედავ, კაცმა რომ თქვას, ვინ იცის, იქნება, ვფიქრობ, ერთი შეხედვით, ერთიც ვნახოთ, ვთქვათ, ასე თუ ისე და სხვ.

3. ჩართული სიტყვები და გამოთქმები ეხმარება რაიმე ფაქტის შესაფასებლად ჩვეულებრიობის, საერთოდ აღიარებული ჭეშმარიტების ან განზოგადების თვალსაზრისით: ჩვეულებრივ, როგორც წესი, წესის თანახმად; როგორც ვიცით, როგორც ცნობილია, როგორც ყოველთვის, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, საერთოდ, საზოგადოდ და სხვ.

4. ჩართული გამოხატავს მთქმელის გრძნობას (სიხარულს, მწუხარებას, დანანებას განცვიფრებას...), რაც გამოწვეულია წინადადებაში გადმოცემული აზრის ემოციური შეფასებით: სამწუხაროდ, ბაბედნიეროდ, საუბედუროდ, ჩვენდა სასიხარულოდ, ბედად, რაღაც ბედად, რაღაც ეშმაკად, ღვთით, ღვთის შენევნით, ჩემდა აღბლად, რა ვქნა, მტრისახ და სხვ.

5. ჩართული მიუთითებს წინადადებაში გამოთქმული აზრის წყაროს, აღნიშნავს, თუ ვისი კუთვნილებაა იგი: ჩემი აზრით, შენი აზრით, მაგის აზრით, რომ ატყვიან, ხალხის თქმულებით, ამბობენ, როგორც ძველად ამბობდნენ, გაზეთების ცნობით, მისი წარმოდგენით და სხვ.

6. ჩართული სიტყვა და სიტყვათშეერთება გამოხატავს, თუ როგორია მთქმელის დამოკიდებულება სტრუქტურისადმი, ე. ი. გვიჩვენებს, როგორ აფასებს იგი წინადადებაში გადმოცემული აზრის კონკრეტულ ფორმას: უფრო სწორად რომ ვთქვათ, ასე ვთქვათ, უკეთ რომ ვთქვათ, უკეთ, ვთქვათ, უფრო სწორად და სხვ.

7. ჩართული სიტყვები და გამოთქმები მიემართება თანამოსაუბრეს, რათა მიიპყროს მისი ყურადღება გარკვეული აზრებისა და შეხედულებების აღსაძრავად თუ ინფორმაციების მისაღებად ამა თუ იმ ფაქტთან დაკავშირებით. ასეთი სიტყვა თუ გამოთქმა, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია ზმნის მე-2 პირის ფორმით, კილოს მიხედვით ის შეიძლება იყოს როგორც თხრობითი, ისე ბრძანებითი: ნუ გგიკვირდებათ, წარმოიდგინეთ, მოგეხსენებათ, თუ გნებავთ, როგორც გეტყობათ, როგორც მოგეხსენებათ, თქვენ წარმოიდგინეთ, იცით, ასე იფიქრეთ, ასე გასინჯეთ, შენ ხარ ჩემი ბატონი და სხვ.

8. ჩართული სიტყვები და გამოთქმები გამოყენებულია წინამავალი და მომდევნო აზრების ლოგიკური თანამიმდევრობით დასალაგებლად, ან კიდევ გვიჩვენებს ერთგვარ დამოკიდებულებას წინ გამოთქმულ აზრებთან (იძლევა შედეგს დასკვნის სახით, დაპირისპირებას და სხვ.): ჯერ ერთი... მეორე, თანაც, ერთი მხრივ — მეორე მხრივ, პირველი..., მეორე..., ერთი სიტყვით, ამგვარად, ამრიგად, ასე და ამრიგად, მაშასადამე, დახახულ, როგორც ვთქვით, როგორც აღვნიშნეთ, როგორც ზევითა ვთქვით, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, როგორც მოგახსენეთ, ვი-

მეორეს, ასე რომ, უფრო მეტიც, მით უმეტეს, მოკლედ, ამასთანავე სხვათაშორის, მათ შორის, სიტყვაზე, მაგალითად, პირიქით, სამაგიეროდ და სხვ.

9. ჩართულია საალერსო სიტყვები და გამოთქმები, ზოგიერთი ფიცილის ფორმულა, რომელთაც შორისდებულის მნიშვნელობის მქონედ მიიჩნევენ: შენი ჭკვიმე, შენ გენაცვალე (გენაცვალე), შენი კვნესამე, თავს შემოგევლე, გეთაყვანე (გეთაყვა), დედაშვილობამ, ძმობამ, შვილობა, ღმერთმანი, ჩემმა მზემ, შენმა მზემ, გეფიცები და სხვ.

შენიშვნა 1. ზოგჯერ ერთი და იგივე სიტყვა ამა თუ იმ კონტექსტში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ხან ჩართულად, ხან წინადადების წევრად: ამგვარად, ბატონი ესტატეს აზრს ყველა იზიარებს (ნ. ლ.). ამგვარად შეხვედრილი მონადირეები მოვალენი არიან უეშველად გაიყონ ნანადირევი (ა. ყ.). ამგვარად პირველ წინადადებაში ჩართულია, მეორეში წინადადების წევრი — ვითარების გარემოება. სხვა მაგალითი: ჩანს, მის გულს ეს დავალება იტაცებდა (დ. შ.). ბევრგან ტყეც კარგად ჩანს (ნ. კ.). ეტყობა, ცხუმარი თბილი ადგილია (ნ. კ.). მრგვალ ადგილს კარგად ეტყობა არქეოლოგების ნამუშევრები (ნ. კ.). მახვილგონიერებაში პაექრობა გამართეს, იმღერეს კიდეც, მოკლედ, ერთობოდნენ როგორც შეეძლოთ (ჯ. ლაქსნ.)ː მუშაობით დაკორძებული ხელი მოკლედ შეკრეჭილ თეთრ წვერზე ჩამოისვა (დ. შ.).

შენიშვნა. 2. ჩართულის ფუნქციის შესრულება შეუძლიათ ერცელ წინადადებებსაც. ამ შემთხვევაში იგი ტირეებითაც შეიძლება გამოიყოს, ან ჩაისვას ფრჩხილებში. მაგ.ː კვირაზე მეტი იყო შალვა — ასე. ეძახდნენ ჩემს მეგობარს — ქალს არსად შეხვედროდა (ნ. ლ.)ː გოჩი როდესაც გაძღებოდა (შუდამ მაძღარი იყო მაინც), წამოჯდებოდა კლდის პირად და ათამაშებდა ძვლებს (ვ. ფ.).

ხავერჯიშო 404. (გასამეორებელი). გადაიწერეთ, დასვით საჭირო სასვენი ნიშნები.

1. მართლაც სამწუხარო ამბავი იყო (დ. კლდ.). 2. ერთი სიტყვით საქმე წაგებული იყო გამოუბრუნებლად (დ. კლდ.). 3. ასეთი იყო კონგრესის ჩატარების ასე ვთქვათ პირველი ძირითადი გეგმა (გ. ტ.). 4. ევტიხი მოულოდნელობისაგან ცოტა არ იყოს შეკრთა (დ. შ.). 5. რალაც გამამხნეველი რალაც დამამშვიდებელი და თუ გნებავთ ადამიანური იყო იმ ღამეში ის ძაღლის ყეფა (მ. მ.). 6. დასასრულ ჩვენი სათხოვარია ფრაუ მაიორ ეს საუბარი ჩვენს შორის დარჩეს (კ. გ). 7. ყოველივე ეს მაიას წარმოდგენით ამ ციცი მინის მიღმა რჩებოდა (მ. მ.). 8. ეს მერე შემოვიდა სამეგრელოში 90 წლების მიწურულში როდესაც გლეხობამაც ასე თუ ისე იწყო დენა სკოლებისაკენ (შ. დ.). 9. ახლა იანგარიშე ფუთი სულ ცოტა თექვსმეტ თუმნად! (ს. შ.). 10. ერთი სიტყვით სულ ახსოვდა როდის რამდენი კალმახი დაეჭირა (თ. რ.). 11. მისი ვარაუდით მომავალ ზაფხულზე უნდა მოეხდინათ „რიონის" გამოცდა (დ. კ.). 12. ერთი სიტყვით ამ ამბავში არ იყო რა უჩვეულო ერთის გარდა (მ. მ.). 13. როგორც გეტყობათ თქვენ პირველად ბრძანდებით ჩვენთან (ნ. ლ.).

14. მახსოვს ცისკარი რომ აციალდებოდა ცაზე ხმაური ატყდებოდა თაღრიას დერეფანში (გ. ლ.). 15. ბედად ის ღვინო წინადღით მივიღეთ სოფლიდან (ს. კ.). 16. დედა იმერული საპმელებით გაუმასპინძლდა და სხვათაშორის ეკალათი (ს. კ.). 17. დრო თურმე კეთილი მკურნალია (ს. კ.). 18. რასაკვირველია ორივე სტუმარი იცნო (ა. ყ.). 19. კაცო ბოლოს და ბოლოს თითო უბედურება ყველას გვჭირს (ლ. გ.). 20. ახლა სიწყნარე აღარ აწუხებდა ახალგაზრდა ქალს პირიქით სიამოვნებდა კიდეც ეს მყუდროება (მ. მ.). 21. ამრიგად ამ ორ ხალისიან სათამაშოზე ხელი უნდა ამეღო (ს. კ.). 22. როგორც ჩანს ის ძალიან კეთილი და თავაზიანი ახალგაზრდაა (ს. კ.). 23. მამიდა რა თქმა უნდა არ ეწინააღმდეგებოდა პირიქით ცდილობდა რაც შეიძლებოდა მომეტებულად გაეხარებინა თავისი ძმისწული (ვ. ფ.). 24. ქართულ სათამაშოებს ბავშვები თავის ხელით აკეთებდნენ მაგალითად ტაფა-რიკს თვითონ გამოსჭრიან ხოლმე (ა. წ.). 25. სამწუხაროდ გრძნობისაგან აღელვებულები ჩქარა უნდა გამოსულიყვნენ სასიამოვნო თავდავიწყებიდან (ა. ყ.). 26. იცით ჩვენ გარკვეული წესრიგი გვაქვს შემოღებული (მ. ტვ.). 27. — აჰ შენ არ მომიკვდე მე დარჩენა არ შემეძლოს... უსათუოდ ახლავე უნდა წავიდე! (დ. კლდ.). 28. ეს დედაკაცი გახლდათ როგორც თვითონ მიხვდებოდით ბეკინა სამანიშვილის ქვრივი ელენე და პატარა ბავშვი — შვილი მისი (დ. კლდ.). 29. სიკვდილს ეტყობა ბავშვის მეტი არავინ დასწრებია (ნ. ლ.). 30. მე შენ გეტყვი წელს მოწეული მოსავალი არ ჩაყარო სასიმინდეში (ა. ქ.).

ე. ძველი ქართველთა

სავარჯიშო 405. გადაიწერეთ, დასვით საჭირო სასვენი ნიშნები.

1. მუშაობ თქვენი მარჯვენა იკურთხოს ოფლით ნაბანი (ა. წ.). 2. მაპატიე მშვენიერო ქალიშვილო სად შეიძლება იყოს მშვენებლობის უფროსი? (ა. ბ.). 3. — ჯგუფო ჩემს უკან ნაბიჯით იარი (გ. რ.). 4. ვაი შენს დამკარგავს ჩემო კარგო თევდორე (ი. ჭ.). 5. — წავიდეთ ამხანაგო ლეიტენანტო არ დავგვიანდეთ (დ. შ.). 6. — რა გაგიჭირდა შე კაცო აღარ იტყვი (დ. შ.). 7. — სალომე ჩემო სალომე რას გაშტერებულხარ შე ჭალო (დ. შ.). 8. წადი შვილო კეთილი გზა მოგცეს ღმერთმა (ნ. ლ.). 9. ფრთხილად უმაწვილებო ფრთხილად იყავით (მ. ჯ.). 10. — აჰაუ კავკასიონის ქედო რამდენი რამის მომსწრე ხარ რამდენ გრიგალს გადაუვლია შენს თავზე (ნ. კ.). 11. ბროლია ბროლია მოდი შენის ღმერთის ჭირიმე აქ არი კვალი (ვ. ფ.). 12. — საიდუმლოს ამყოლებენ ქალბატო-

ნო (ნ. ლ.). 13. — ხალხის გაძღოლა ყმაწვილო ადვილი არ არის (ს. შ.). 14. ვაგლახ შენ არსენა ოძელაშვილო (მ. ჯ.). 15. ჩვენი ვედრება ეგ არის ქალბატონო (ი. ჭ.). 16. — ასე არ შეიძლება ამხანაგო (დ. შ.). 17. დაჯექ აი აქ დაჯექ ჩემო ძვირფასო (დ. შ.) 18. გთხოვთ მომიტევოთ ბატონო პროფესორო (კ. გ.). 19. აჰა თქვენც სიმონ ატო ყოჩაღად მოეწყვეთ (ნ. კ.). 20. რას ლაპარაკობ თებრო (ს. შ.). 21. — გუნდის წევრებო დალაგდით — იძახოდა გოგია (ს. შ.). 22. მამუკა წადი და ყველაფერი დაივიწყე (ლ. გ.). 23. — ბარათი მოგართვეს ბატონო (ნ. კ.). 24. მტკვარო შენ მაინც მითხარ რას სწუხარ (გ. ტ.). 25. ვერა მეფისა და მაიორის მტრებო ორგულნო და მოღალატენო ვერაფერსაც ვერ გაიტანთ (მ. ჯ.). 26. ღმერთმა მშვიდობა მოგცეს შვილო (მ. ჯ.). 27. ძია ბოდიშს ვიხდი რომელი საათია (ს. კ.). 28. — დაფიქრდი ჩემო მწყალობელო იქნებ ცოტა მაინც მოგაგონდეს (ს. კ.). 29. მადლობელი ვარ ჩემო ძვირფასო მეგობარო მადლობელი (მ. ჯ.). 30. თქვენ ჩემო საყვარელო მტრედებო მხიარულადა ბრძანდებით (ვ. ფ.). 31. გაიგე მთაო და ბარო ცაც და დედამიწაც რომ გავიმარჯვე (ვ. ფ.). 32. მდინარეც მდინარეც ხომ არ გინახავს ჩემი შვილები მზია და ვეფხვია (ვ. ფ.). 33. თავისი მიწა-წყალი ადვილი დასაკარგავი არ არი შვილო (ვ. ფ.).

ცნობისათვის. მიმართვა ჰქვია წინადადების გარეთ მდგომ ან მის შემადგენლობაში შემავალ, მაგრამ წინადადების წევრებთან გრამატიკულად დაუკავშირებელ სიტყვას, რომელიც ასახელებს მას, ვისკენაც არის მიმართული საუბარი. მაგ.: წამოდექით, ყმაწვილებო, ტანთ ჩაიცვით საჩქაროზე! (რ. ე.). აქ მიმართვა ყმაწვილებო არ არის გრამატიკულ კავშირში რომელიმე წევრთან და მას, როგორც წოდებითის ფორმაში დასმულ სახელს, სრულიად განკერძოებული ადგილი უკავია წინადადებაში. დასახელებულ წინადადებაში მიმართვა ერთი სიტყვითაა წარმოდგენილი, ე.ი. გაუვრცობელია. გავრცობილი სახით (მიმყოლი სიტყვებით) წარმოდგენილია ამ წინადადებაში: — გაგიმარჯოთ, ჩემო საყვარელო მეზობლებო, გაგიმარჯოთ! (დ. შ.).

მიმართვა შეიძლება იდგეს წინადადების თავშიც, შუაშიც და ბოლოშიც.

ა) წინადადების თავში მოქცეული მიმართვის შემდეგ იწერება ძძილე, თუ იგი დიდი გრძნობით არ არის წარმოთქმული: ბ ა ს ი კ ო, სად არის გელა? (ს. შ.).

შენიშვნა. წინადადების თავში მოქცეული მიმართვის შემდეგ თუ იგი დიდი გრძნობით წარმოითქმის, ძძილის ადგილას იწერება ძახილის ნიშანი: — დ ე დ ი კ ო! ძია მათემ ლექსი მასწავლა (ს. შ.).

ბ) წინადადების შუაში მოქცეული მიმართვა ძძილეებით გამოიყოფა: წინასწარ თქვენს წინაშე, პ ა ტ ი ვ ც ე მ უ ლ ო მ ა ი ო რ ო, დიდ ბოდიშს ვიხდი (ს. შ.).

გ) თუ წინადადება მიმართვით მთავრდება, მის წინ ძძილე იწერება, ბოლოში კი წინადადების შესატყვისი ნიშანი: უი, შენ კი გენაცვალოს დედაშენი, ჩ ე მ ო ქ ე ბ ა ვ და დ ი დ ე ბ ა ვ! (ი. ჭ.).

სავარჯიშო 406. (გასამეორებელი). გადაიწერეთ, დასვით საჭირო სასვენი ნიშნები.

1. არ გეყო თეთნულდო შენი უმანკო ზმანებით თავის მოწონება მთვარეში ყურებით (გ. რ.). 2. — ამხანაგო უმცროსო სერჟანტო ერთი საათის შემდგომ ჯგუფი იქნება მდინარის პირას სასროლზე (გ. რ.). 3. — დიდი მადლობელი ვარ მოქალაქე ჩირაძევ ეუბნება თავმჯდომარე დიდი მადლობელი (მ. ჯ.). 4. — ეჰეი ზედმეტი დაგილევია ბიძაჩემო (ს. კ.). 5. — რად იცინი ქალო (მ. ჯ.). 6. — რათა სტირით პატარებო (ი. ე.). 7. ტყეო მომხედე შენს გაზრდილს (ვ. ფ.). 8. — იყუჩე ჩემო პატარავ იძინე და ისე გაივლის დრო რომ ვერც გაიგებ (ტ. ტ.). 9. მეგობრებო საუკუნო მეგობრებო მომეხვიეთ მინდა ყველა ჩაგიკრათ გულში (ტ. ტ.). 10. მოდით შვილებო შვილიშვილებო მოდით გულში ჩაგიკრათ (დ. შ.). 11. ბესარიონ არ შეგრჩება იცოდე ეგ მოტყუება (დ. კლდ.). 12. — მეზობლებო ნათესავებო ჩემო კეთილის მსურველებო მიშველეთ მომხედეთ გაჭირვებულს (დ. შ.). 13. იცი ჩემო თადეოზ ახლა კი მართალს გეტყვი (ს. შ.). 14. გამარჯობა ლევან კაცო როგორა ხარ (ს. შ.). 15. — შვილები დავკარგე მეგობარო უსუსური ბალღები (ვ. ფ.). 16. გაები ხოხობო (მ. მ.). 17. რა გენაღვლება ახლა მზეხათუნ ჩემო ერთი გოგო ან ბიჭი რომ შემოგვეშატოს (ნ. ლ.). 18. შენც ახალგაზრდავ მომიგონებდე და მწყალობდე თუ სადმე შეგხვდე (ნ. ლ.). 19. ოი შენ კი გენაცვალე ჩემო მერანო (ვ. ფ.). მოდი დედა მოდი ჩემთან ჩემო დედიკო (დ. შ.). 21. გამიშვი ადამიანო (ი. ჭ.)

7. მძიმე მიგებით ნაწილაკსა და ზორისდებულთან

სავარჯიშო 407. გადაიწერეთ, დასვით საჭირო სასვენი ნიშნები.

I. 1. ჰო მართლა შენს კნეინასთან ბოდიში მომხადე (მ. ჯ.). 2. ვერა ვერასოდეს ვერ დავივიწყებ რაჟდენის შემოხედვას (გ. ლ.). 3. არა არ ვჩქარობ მაიკოს ჩამოსვლას (ს. კ.). 4. — ეს თქვენ მოიტანეთ — ჰო წუხელ (ს. კ.). 5. — ჰო ჩაეძინა — დაუდასტურა ვახტანგმა (გ. რ.). 6. — არა მე ჯამბაზი არ გახლავარ (ს .შ.). 7. — დიაღ ბატონო მე ვმღეროდი (მ. ჯ.). 8. ხომ გესმით — დიაღ კარგად (ი. ჭ.) 9. შენ თვითონ ჭამა არ გინდა — კი მამიდა (ნ .ლ.). 10. არა ეს უბრალო ქალის სურათი არ არის (ტ. ტ.). 11. დიაღ ამ მშვენიერ სახლში ქართველი კაცი იდგა (ი. ჭ.). 12. დიახ ოცდაერთი წლისა იქნებოდა მუცელა როცა ცოლი შეირთო (ვ. ფ.). 13. — კი ბატონო კი — ჩაერია ახლა ფარნა მუსაიფში (შ. დ.). 14. — არა არა მაგრე არ შეიძლება (დ. კლდ.). 15. არა ასეთ აუგს ვერც ზაალის ყმები მოითმენენ (მ. ჯ.). 16. — დავიჯერო სოუელი იყო — კი ნამდვილად (ლ. ქ.). 17. — არა აჰ აქ რა გამაძლებინებს (ნ. ლ.).

18. არა არა ესეც მაპატიე ეს სიტყვებიც (რ. ი.). 19. — შენ ხარ ჯონი — დიახ სერ (მ. ტვ.). 20. — არა ჯერ არ მინახავს (მ. ჯ.). 21.— ეს თქვენ მოიტანეთ — ჰო წუხელ (ს. ქ.).

II. 1. აბა-ბა-ბა რა ძაღლი ყოფილა ეგ დალოცვილი (ვ. ფ.). 2. აი გაგიმარჯოს ჩემო გიორგი (ი. ჭ.). 3. არიქა მარჯვედ იყავი... (ა. წ.). 4. ახ რა მშვენიერი ლამპაა (ვ. ბ.). 5. — აჰ ეს მეტად საინტერესოა (შ. დ.). 6. ეხ ვის ეუთხრა ჩემი დარდი ფიქრი ვილას განვუმარტო (ი. გრ.). 7. ეჰ რა ლაჩარი ხარ (ჭ. ლ.). 8. ვაიმე რა გეშველება ქართული რომ არ გეხერხება (ს. მ.). 9. ვიშ რა დილაა რა დილა ღმერთო (ჭ. ლ.). 10. იფ რა ლამაზი სახელი გრქმევია (ქ. გ.). 11. იჰ რა მშვენიერი ყვავილი მოგიტანია (ვ. ბ.). 12. ო ეს შესანიშნავი მალამოა (ე. გ.). 13. ოი რა დაღლილობას ვგრძნობ (ნ. ლომ.). 14. ოხ რა ადრეა კიდევ (ნ. ლომ.). 15. ოლოლო ვერ მოგართვეს (ს. მ.). 16. ოჰ დედავ რა ცუდად გიცვნივარ (ე. გ.). 17. უიმე ანგელოზი ხარ გენაცვალე ანგელოზი (შ. დ.). 18. უჰ რა საშინლად დავიღალე (ა. წ.). 19. ფი ეგ აფიცრის საქადრისი არ არის (ა. ყ.). 20. უიმე გენაცვალეთ მაგი რითი შეიტყვეთ (გ. წ.). 21. ჰე ნეტავი თქვენ რომ კარგ გუნებაზე ხართ (ლ. ქ.).

ცნობისათვის. 1. მიგებითი ნაწილაკები ორგვარია: დადასტურებითი (ჰო, კი, დიახ), უარყოფითი (არა, ეერა). წინადადებაში ისინი მძიმეებით გამოიყოფა: — გოგიაუ! არ შეგვარცხვინო! — არა, ძია დიმიტრი! (ს. შ.).

შენიშვნა. თუ ნაწილაკი ძლიერი გრძნობით წარმოითქმის, მძიმის ადგილას ძახილის ნიშანი დაისმის: — არა! ნუ გთამამდები! — შეუტია დიმიტრიმ (ს. შ.).

2. შორისდებული ჰქვია გრძნობისა და ნება-სურვილის უშუალოდ გამომხატველ ბგერას, ბგერათა ჯგუფს ან სიტყვას, რომელიც თავისი ფუნქციით წინადადების ტოლფარდია. შორისდებული წინადადებაში ჩვეულებრივ მძიმეებით გამოიყოფა: უჰ, რა კარგია, რა საამურია დედასთან ყოფნა! (თ. რ.).

შენიშვნა. თუ შორისდებული ძლიერი გრძნობით წარმოითქმის, მძიმის ადგილას დაისმის ძახილის ნიშანი: ეჰი! ეგ კი ვეღარ მომაგონდა (ს. მ.).

სავარჯიშო 408. (გასამეორებელი). გადაიწერეთ, დასვით საჭირო სასვენი ნიშნები.

I. 1.. არა ამხანაგო კაპიტანო სცდებით (დ. შ.). 2. — აბაზი არავის გაქვთ — დაეკითხა დედაკაცი — არა ღმერთმანი (ნ. ლ.). 3. ჰო ეგ სხვა საქმეა... დიახ დიახ ეგ სხვა საქმეა... (ს. შ.). 4. დიახ ქალაქისაკენ მიემგზავრება (მ. ჯ.). 5. — კი ჩემო მარკოზა კი ჩემო მარკოზა — ამხნევებდა ონისიმე (დ. კლდ.). 6. — არა მაშენკა — არ დაეთანხმა პილიპენკო (დ. შ.). 7. კი კი ასე ვიზამ ასე ვიზამ — ხმამალ-

ლა წამოიძახა პლატონმა (დ. კლდ.). 8. ჰო აგრეა გულის ხაღველი ანუ სევდა (მ. ჯ.). 9. დიახ ეს ჩემი სატრფოა ჩემი სათაყვანებელი (ვ. ფ.). 10. — კი კი შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს ჩვენო დიდებულო ხელმწიფევ... (ა. ფ.). 11. — დიახ კახთ ბატონო მამათქვენმა ლევან შეფემ სვებედნიერად იმეფა კახთ სალხენად (ლ. გ.). 12. ჰო იმაზე გიამბობდით მუხაზე ბუდე მქონდა (თ. რ.). 13. არა ძამიავ არც თუ მარტო სიტყვის კაცი ვარ (ვ. ბ.). 14. შენ ეს ხომ გესმის ჩემო პატარა — დიახ პაპა — მფუგე მე აღელვებულმა (ვ. ფ.). 15. დიაღ წაეედით სხვადასხვა მხარეს მაგრამ ხეტიალი ტყუილად შეგვრჩა (ვ. ფ.). 16. დიაღ დიაღ გავიგეთ — წამოიძახეს ერთად შეშინებულმა ცოლმა და ქმარმა (ი. ჭ.).

II. 1. აააა ღმერთმა ადიდოს შენი ძალი წმინდაო გიორგი... (ქ. გ.). 2. აბა მაგისთანა მისანია წიგნი (ი. ჭ.). 3. აიბე მაგისთანა სკოლაც არის განა (ს. მ.). 4. აუ გიშველათ ღმერთმა რო მაგვხედე ჩემო საბედავ (შ. ა.). 5. აბ ახლა ყველაფერი მაგონდება (შ. ა.). 6. აჰ ერთი კიდევ მაჩვენა კავკასიონის შეეერცხლილი უნაგირები (ქ. გ.). 7. ეჰ რა არის ხელცარიელი კაცის მუშაობა (ე. გ.). 8. ეჰა ვიპოვე სანატრი ჩემი (ვ. ბ.) 9. ვიფ საყვარელო რა კარგია დიდკაცობა (ა. წ.). 10. ვიშ რა დიღაა რა დიღა ღმერთო (ჭ. ლ.). 11. იი შენ კი გაიხარე იმ ორ ვაჟიშვილზე (ს. მ.). 12. იფ რა აგრილდა (გ. წ.). 13. ოხ ბატონ პელაგიას ვახლავართ (დ. კლდ.). 14. უი შე საწყალო (ნ. ლომ.). 15. ჰმ ახლა კი ცხადია რაც ამბავი ყოფილა (ა. წ.). 16. ვაიმე დედავ ცოფიანი ძაღლი (ი. გ.).

მძიმე რთულ წინადადებაში

1. მძიმე რთულ თანწყობილ წინადადებაში

ზავარჯიშო 409. გადაიწერეთ, დასვით საჭირო სასვენი ნიშნები.

I. 1. ხან დიდ ქალაქებს ვესტუმრები ხან პატარა მომენატრება (მ. მ.). 2 ლამაზია სერებზე შეფენილი ცხვრის ფარებიც მაგრამ ყველაზე მეტ აღტაცებას ეს აქლემები მგვრიან (ქ. გ.). 3. ჯიმშედ-ხანი ქართლში ნამყოფი იყო ხოლო კახეთში კი პირველად უხდებოდა ელჩობა (ლ. გ.). 4. შარშან მის ვენახს კარგად ესხა მაგრამ ოთხ გოდორზე მეტი ვერ მოკრიფა (ს. შ.). 5. გადიოდა საათები ნიბლია კი არ ჩანდა (თ. რ.). 6. დედა ნიბლია მწუხარე გულს შვილებთან ართობდა მაგრამ მოსვენებას კი გული მოკლებული იყო (თ. რ.). 7. სოლომონმა ხანჯალი იშიშვლა და მასწავლებლისაკენ გაიჩრა მაგრამ თეოდე ფაიქიძე და ანდრო ყუფარაძე გადაეღობნენ (ა. ქ.). 8. ღვთი-

სავარი ხვალისათვის გუთანს ამზადებს ხოლო მელანო არსენასათვის საჩოხესა ჰქსოვს (მ. ჯ.). 9. კოდალა დღე გაჰკიოდა და მთელ ტყეს ახმაურებდა ხოლო ღამ-ღამობით ბუ ეწეოდა მის მაგივრობას (ვ. ფ.). 10. ღამის სტუმრები ჯერ კიდევ არ სწვეოდნენ სახელგანთქმულ რესტორანს ხოლო დღით მომლხენნი უკვე ამთავრებდნენ ნადიმს და პურობას (მ. მ.). 11. ან შვილი მისდევდა დედას ან გულგახეთქილი დედა — შვილს (თ. რ.). 12. ხან თათრები აკვნესებდნენ ხან თურქები აოხრებდნენ ხან სკვითები დროს შერჩევით მყუდროებას უშფოთებდნენ (ა. წ.). 13. საბრალო შველი ან მგლების კერძი უნდა გამხდარიყო ან მელა-ტურები შეშამდნენ ან მთიდან დაქანებული ზვავი მოიტანდა ქვეშ ან კიდევ სადმე გადაიჩეხებოდა და ყვავ-ყორნების საჯიჯგნი შეიქმნებოდა. 14. ან ბრაზიანმა ძაღლმა არ დაგგლიჯოს ან გველმა არ დაგკბინოს (ა. წ.).

II. 1. რიჟრაჟმა მოატანა ცაში ნათელი ჩადგა (ა. ქ.). 2. უეცრად განათდა მთელი მიდამო წვიმის ცვარები ცეცხლის ნამად იქცნენ (ვ. ფ.). 3. შიშით და სიხარულით მელიას სული შეეხუთა გულმა და მუხლებმა კანკალი დაუწყეს (თ. რ.). 4. არსენამ ბერის პასუხზე ფეხი მოინაცვლა თვალებსა და კბილებზე კრიალმა გადაჰკრა (მ. ჯ.). 5. თორმეტის ნახევარზე ჩვენთან სასტუმროში მოვიდა თვით ავგუსტინე ჩავსხედით მის მანქანაში და წავედით (ი. ა.). 6. მარტი გავიდა გათბა დღე დარები დგება მზიანი... (შ. მ.). 7. სავსეა მთელი მინდვრები მთელი წლის მოსავალითა ასეთი ქერი და პური ჯერ არ ნახულა თვალითა (შ. მ.). 8. მზემ ფანჯარას სხივი სტყორცნა დილა არი მშვენიერი აბა ბიჭო ტანთ ჩავიცვათ და სკოლისკენ ჰერი ჰერი (ი. ე.). 9. დიდი ოჯახი მამლისა გაატიალეს ქორებმა ძვალები ძაღლებმა კვნიტეს ბუმბული წეწეს ღორებმა (ვ. ფ.). 10. ელგუჯამ ქალი წაიყვანა გაგი კი მახამეთას გაუძღვა სასტუმროში (ა. ყ.).

ცნობისათვის. 1. მძიმე დაისმის კავშირიან რთულ თანწყობილ წინადადებაში:

ა) მაცალკევებელი კავშირების ან... ან, ხან... ხან წინ, გარდა პირველად ხმარებულისა (თუ კავშირი და არაა ნახმარი): ხან ეკალი ედება, ხან მაყვალი სწევს უკან (ი. ე.).

ბ) მაპირისპირებელი კავშირების მაგრამ, ხოლო წინ: ბეერი უშალეს, მაგრამ არ დაიშალა და წავიდა (ვ. ბ.).

გ) მძიმე არ დაისმის მაპირისპირებელი კავშირის კი-ს წინ, არამედ იწერება წინადადებათა საზღვარზე: მგელს მგლობა შეარქვეს, ტურამ კი ქვეყანა დააქციაო (ანდ.).

2. მძიმით გამოიყოფა უკავშირო თანწყობილ წინადადებათა ნაწილები, რომლებიც ერთმანეთთან შეერთებული არ არიან და კავშირით. უკავშირო თანწყობილ წინადადებებში გადმოცემულია მოვლენათა აღწერა, სადაც სურათები სწრაფად ცვლიან ერთმანეთს; ან კიდევ ადგილი აქვს სხვადასხვა აზრის ჩამოთვლას, ან მათ

დაპირისპირებას. წინადადებები მოკლე-მოკლეა, შესვენება (პაუზა) მათ შორის ჰცირეა. მაგ.: მარტი გავიდა, გათბა დღე, დარები დგება მზიანი, მიწა გაფუვდა, ბუჩქებში ამოჩენილან იანი (შ. მ.).

2. მძიმე რთულ ქვეწყობილ წინადადებაში

სავარჯიშო 410. გადაიწერეთ, დასვით საჭირო სასვენი ნიშნები.

I. 1. შარშან ისეთი ნესვები და კვახები გადმოაგორა რომ თითო კვახი ორ ფუთს მაინც იწონიდა (შ. დ.). 2. დავითმა ხალხს ისეთი საშუაო აღმოუჩინა რომელიც მეორე წელს გამოადგებოდა (ს. შ.). 3. ყველამ ისე უნდა იმუშაოს როგორც გოგია მუშაობს (ს. შ.). 4. თითონაც დარწმუნებული იყო რომ ამდენ მოსავალს ვერ მიიღებდა (ს. შ.). 5. სადაც სიამე და მოლხენაა იქ ჩვენცა ვართ (დ. კ.). 6. ერთ დღეს ორმა მოუსვენარმა სოფლის ბიჭმა გასწია სადაც ნიბლიას ბუდე იყო (თ. რ.). 7. უთანასწორობა გაქრება როდესაც მშრომელი ხალხი თვითონ მოჰკიდებს ხელს თავისი ცხოვრების მართვასა და აშენებას (ა. ჭ.). 8. კაჭკაჭი ყველაფერს ხედავდა რაც ბაღში ხდებოდა (ვ. ფ.). 9. მწყემსი ცოტა განზე იდგა მინამ ბარდანი ჩამოიკრიფებოდა (ვ. ფ.). 10. მონადირე შეხვდა ვეფხვს რომელსაც კლანჭში დიდი უზარმაზარი ეკალი შერჭობოდა (ვ. ფ.). 11. მე მხოლოდ მაშინ ვნახე როცა ფალავანი გოგლია გამოვიდა საჭიდაო მოედანზე (თ. რ.). 12. ქვეშა იმიტომ მისცურავდა უფსკრულისაკენ რომ შიშიაც თან ჩაეტანა (თ. რ.). 13. სოფლებშიაც უყვარდათ ბენოია რადგან მეძვირე არ იყო (შ. დ.). 14. მოხდა ის რაც არასოდეს არ მომხდარა (შ. დ.).

II. 1. როცა მდივანმა განცხადება მოათავა ხალხში დრტვინვა და ჭოთქოთი გაისმა (მ. მ.). 2. გზაჯვარედინს გამოსცდა თუ არა სამგზავრო ბიუროს მიხაკისფერი აბრა შენიშნა ურდოელმა (კ. გ.). 3. რამდენადაც საზიზღარია დაშინებული მამაკაცი იმდენად მშვენიერია შემკრთალი ქალი (კ. გ.). 4. ვიდრე ახალ ვაზნებს ლულებში ჩავაწყობდი მელა გამოვარდა და მოჰკურცხლა (კ. გ.). 5. სანამ ევტიხი თედორეს თავაზიანობისათვის მადლობას გადაუხდიდა სიტყვაწყალიანი მღვდელი თავისას განაგრძობდა (შ. დ.). 6. ირიჟრაჟა თუ არა მეც ფეხზე ვიდეგ (ი. ჯ.). 7. როცა ურემი დავცალე უკვე ბინდდებოდა (ს. შ.). 8. თუ დათვი გაიმარჯვებდა ყველა მათგანი უსათუოდ უნდა დიდს ბედნიერებას მოსწრებოდა (ვ. ფ.). 9. როდესაც მობინადრეებმა ტყე გალიეს და ეწერს მიადგნენ მზეც ამოვიდა (ა. ჭ.). 10. როცა სამშვიდობოზე გავიდნენ სოლომონმა ერთბაშად მოიწყინა (ა. ჭ.). 11. თუ შავ ცხენზე შეჯდებოდა ერეკლე ბატონი ბრძოლიდან ან მკვდარი

უნდა გამოეტანათ ან ცოცხალ-მკვდარი (დ. კასრ.). 12. რა წამს თავი გაეყავ კარებში დავინახე დიდი უზარმაზარი ქორი (ვ. ფ.). 13. რამდენადაც გაჭირვება ზალიკოს ბრჭყალებს უჭერდა იმდენად ბეზარაანთ იაკო ზიზღს ჰგვრიდა და აშფოთებდა (ს. შ.).

III. 1. იმ ალაგას სადაც ალალმა ისადილა სისხლით გაბასრული ბალახები მოჩანს (თ. რ.). 2. ის ჩირგვი სადაც ნიბლიას ბუდე იყო ძირიანად შეინძრა (თ. რ.). 3. მაშინ კი როცა ბულბულის მღერას ვუგდებდი ყურს ჩემმა გულმა ფეთქვა დაიწყო (ვ. ფ.). 4. მწყემსებისაგან გატუსულ ყუნჭის გვერდზე სადაც მწყერს თავი შეეფარებინა თხილი იდგა (ვ. ფ.). 5. მონადირემ რომელიც ირემს მისდევდა გაბრიყვებულს შველს თვალი შეასწრო (ვ. ფ.). 6. ძაღლიკა ხიმიკაურსაც იმ დიდი ვაჟკაცობისა და ერთგულებისათვის რაც მან ასპინძის ომში გამოიჩინა მეფე ერეკლემ სიგელით დიდი მამული უბოძა (ვ. ფ.). 7. ღამე როცა ბულბული გალობდა ისინი მოღალულნი მკვდრებივით ეყარნენ (თ. რ.). 8. ზაზა რომელიც ახლაც ახლდა ბერს ზარდაცემული შეჰყურებდა ამ სპილენძის ცარგვალს (ლ. გ.). 9. იქ სადაც ბოძი კოჭს ემიჯნებოდა მერცხლების ბუდე შეამჩნია (მ. მ.). 10. დღეს დილით სანამ ჯვრის მონასტერში წავიდოდით პროფესორმა ვარდიმ მიგვიწვია თავის ლექციაზე (ი. ა.). 11. ბოლო ხანებში რაც ქმარი გარდაეცვალა კიდევ უფრო უხშირა ნექტარინასთან სიარულს (შ. დ.). 12. იქ სადაც რკინიგზის ლიანდაგი მთავარ ქუჩას ჰკვეთს მთელი ღამე გრუხუნებენ ექსკავატორები და ბულდოზერები (დ. კ.). 13. მთელ ამ მიწა-წყალს რომელზედაც ასეთი სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობს ჰქვია კავკასია (შ. დ.).

ცნობისათვის. რთულ ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებული წინადადება ზოგჯერ მოსდევს მთავარ წინადადებას, ზოგჯერ უსწრებს მას, ზოგჯერ კი მთავარის შიგნითაა მოქცეული.

ამიტომ მძიმე დაისმის:

1. მთავარი წინადადების შემდეგ, როცა მას მოსდევს დამოკიდებული წინადადება: პავლიამ დილინით გასწია იქითკენ, სადაც კაჭკაჭები ისხდნენ (თ. რ.).

2. დამოკიდებული წინადადების შემდეგ, როცა მას მოსდევს მთავარი წინადადება: როცა ირემი წაიქცა, მონადირემ ირმის გასწვრივ შენიშნა მომავალი ვეფხვი (ვ. ფ.).

3. როცა დამოკიდებული წინადადება მოქცეულია მთავარის შიგნით, ორივე მხრიდან მძიმეებით გამოიყოფა: სტუმარი, რომელზედაც მასწავლებელი ეუბნებოდა შეგირდებს, მართლაც ეწვია სკოლას (დ. მ.).

სავარჯიშო 411. გადაიწერეთ, დასვით საჭირო სასვენი ნიშნები.

I. 1. გოგიმ შენიშნა ლალისას მკვდრისფერი დასდებოდა (დ. კ.). 2. ბანძღი მიხვდა რაშიც იყო საქმე (შ. დ.). 3. მე ვიცი რუსეთი დიდი

და მძლავრი ქვეყანაა (შ. დ.). 4. არავინ იცოდა რა მოუვიდა თოვლივით თეთრ გოგონას (მ. მ.). 5. ჩვენს შვილებს უნდა ვუანდერძოთ ეს შეძმობა მტკიცედ დაიცვან (კ. გ.). 6. ჭრიჭინა კარგად ხედავდა როგორ ნელ-ნელა ეპარებოდა მსუნაგი წიწილა (თ. რ.). 7. ეტყობოდა აქ რაღაც სხვა საიდუმლოება იფარებოდა (ს. შ.). 8. დიმიტრისათვის ადვილი მისახვედრი იყო სად უმიზნებდა ვეფხვაძე (ს. შ.).

II. 1. გახარებულმა ალალმა გასწია ტყისაკენ რომ იქ შეეჭამა თავისი მსხვერპლი (თ. რ.). 2. შინ რომ მივიდა დედას უამბო ლეკვის ამბავი (ს. შ.). 3. მოედანზე იმდენი ხალხი მოგროვდა რომ ტევა არ იყო (ს. შ.). 4. წელს კარმიდამო ისე დავხელე რომ ზღვად გასკდება (ს. შ.). 5. სოფლის ორღობეში რომ შევიდნენ უცნაური სურათი დაინახეს (ა. ქ.). 6. აქ რომ დარჩენილიყვნენ სულ ერთიანად გაწყდებოდნენ (ვ. ფ.). 7. ამ დროს შიშიას დიდი სიფრთხილე ემართა რომ ქვას არ გაეტანა (თ. რ.). 8. კარგა შებინდებული იყო არხილოს კალოს რომ მიადგა (ს. შ.). 9. მხოლოდ მერეღა გაიგო არსენამ რომ ჭაბუკს მზეთუნახავი მანანა ორბელიანი ატირებდა (მ. ჯ.). 10. ჯერ კიდევ ბალღი იყო ზურია ხარატელი პაპამისი აქ რომ დასახლდა (მ. მ.). 11. ყველას აშინებდა სიკვდილი იმიტომ რომ საზრდოს შოვნა გაძნელდა (ვ. ფ.).

ცნობისათვის. 1. უკავშირო ქვეწყობილ წინადადებაში, რომელშიც გამოტოვებულია რომ ან თუ, დამოკიდებული წინადადება მთავრისაგან მძიმით გამოყოფა: არწივმა გადასწყვიტა, (რომ) წასულიყო ბარად და იქ მომკვდარიყო (ვ. ფ.).

2. რომ კავშირის წინ მძიმე მაშინ დაისმის, როცა ის იწყებს დამოკიდებულ წინადადებას: ნავალზე ეტყობოდა, რომ ციკნებიც ბლომად ერია ფარაში (თ. რ.). რომ კავშირის წინ მძიმე არ დაისმის, თუ ის არ იწყებს დამოკიდებულ წინადადებას; მაშინ მძიმე იწერება მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორის: ხის ტოტები რომ ცივა, მე მგელი მგონია (თ. რ.).

სავარჯიშო 412. (გასამეორებელი). გადაიწერეთ, დასვით საჭირო სასვენი ნიშნები.

I. 1. ელგუჯა მიდიოდა ლაშქრად მაგრამ გული კი შინ დარჩენოდა (ა. ყ.). 2. სიცივე გატყდა ნიავმა სადღაც ჰაერი შეარხია (ნ. კ.). 3. ღამე კარში ათიეს მხოლოდ მინდია დარჩა აივანზე (ნ. კ.). 4. გაზაფხული გაგვიფრინდა გაითოხნა სიმინდები თივა დადგეს ანეულსა დასდგომია ამინდები (რ. ე.). 5. მე დავიბადე ძველ წნულის ქოხში ლერწამი იყო ჩემი აკვანი ზევიდან ჩვარი ძლივსა მფარავდა სიცივით კრთოდა შიშველი კანი (ი. ე.). 6. ქშინავს ქურა იბრძვის კვერი ილესება ოფლში ჟანგი მღერის პეტრე ჟღერავს გრდემლი მისი ტურფა

მისი ჩანგი (ი. ე.). 7. შეტოკდა აშმორებული წყალი აყაყანდნენ ბაყაყები ამოძრავდნენ გამაძღარი წურბელები ასისინდნენ გველები შედგნენ ყალყზე ბინძური ჯოჯოები (ი. ე.). 8. ხან ეკალი ედება ხან მაყვალი სწევს უკან მაგრამ გაგნა მაინც მისდევს ციკანს (ი. ე.). 9. დასავლეთიდან სიო საგრძნობლად უბერავდა ცაზე აქა-იქ ღრუბლებიც მოჩანდა (უიარ.). 10. წვიმა ნაღვლიანად შემომსისინებს არემარე შავ ბურუსს მოუცავს ქარი სევდის მომგვრელი ზუზუნით დაქრის ტიალ მინდორში (ჭ. ლ.). 11. ენკენის თვე გაილია სოფლად გაჩნდა ყველგან რთველი აჭრიალდა ურმის თვალი ამუშავდა ყველას ხელი (შ. მ.). 12. მის შორიახლო ხან შევარდენი გამოინავარდებდა ხან ქორი გამოიქროლებდა (ვ. ფ.). 13. ხან ზაზა ჩაეკიდებოდა მამის ჯაჭვს ხან შვილი შეეწეოდა ფეხწაკრულ მამას (ლ. გ.). 14. გაიღვიძა დაძინებულმა სოფელმა ხალხმა დაიწყო მოძრაობა (ა. ყ.). 15. ფარნამ მოინდომა კარის გაღება მაგრამ ფანთამ არ დაანება (შ. დ.). 16. ხან წვიმდა ხან თოვლს ურევდა ხან უცნაურად დაჰბერავდა ზენა ქარი (ს. მ.). 17. ან მე თვითონ მოგიტან ან სანდო კაცი გამატანეთ და მისი ხელით კონვერტში გამოხვეულს მოგართმევთ (გ. წ.). 18. აი მაშინ გამომკითხავს ხოლმე შენის ყმაწვილობის ამბავს თუ რანაირად მიტარებიხარ წმინდა ნინოს საქალებო სასწავლებელში ან როგორი ხასიათისა იყავი ბავშვობისას ან შენი ცხონებული დედ-მამა როგორ ცხოვრობდა და სხვ. (გ. წ.). 19. კოშკის გასწვრივ კავკასიონის ქედი მოჩანდა გამოსწვრივ კი — ტყით შეფენილი ცივ-გომბორის ფერდობები (მ. მ.). 20. ან ქარხანაში მოვკრავდი თვალს ან ჩვენთან მოვიდოდა ხოლმე გაკვეთილებისათვის (მ. ჯ.).

II. 1. გაგიმ მაშინვე იცნო მახამეთა რომელთანაც არა ერთხელ ჰქონია ამგვარი ვაჭრობა (ა. ყ.). 2. ჯაჯალა მიხვდა რომ ამ ქალის შემშინებელი გაგი უნდა ყოფილიყო (ა. ყ.). 3. ურემთან სადაც თეო იჯდა ორი მსახური დარჩა. (ნ. ლ.). 4. ესენი ამ ლაპარაკში იყვნენ როდესაც ზევით დაღმართებიდან ერთი ცხენოსანი გამოჩნდა (ა. ყ.). 5. ერეკლემ კარგად იცოდა ვაჟკაცისათვის კარგი ხმალი მეორე სიცოცხლე იყო (ვ. ფ.). 6. როცა ხრამიდან ამოვედი მელა უკვე სტეპზე გარბოდა (კ. გ.). 7. ეს სურათი რომ ნახა ვერხვს გული მოუკვდა (ვ. ფ.). 8. ყოველთვის როცა მიწისქვეშა მატარებლით სადმე წასვლას დავაპირებ ჩემი ფანტაზია საოცრად აზვავდება ხოლმე (კ. გ.). 9. სტუმარი რომელზედაც მასწავლებელი ეუბნებოდა შეგირდებს მართლაც ეწვია სკოლას (დ. შ.). 10. გიგლას ეგონა ხვალაც ნემსს იპოვიდა (ს. შ.). 11. მეც როცა პატარა შიშმა გადამიარა და გული დავიმშვიდე ვუამბე დაწვრილებით ჩემი თავგადასავალი (თ. რ.). 12. რაც უფრო მეტი დრო გადიოდა მათი ცხოვრება მით უფრო აუტანე-

ლი ხდებოდა (ა. ქ.). 13. თუ მასწავლებელი მიიხედავდა ფანჯრისაკენ ის მაშინვე მიიმალებოდა (თ. რ.). 14. მოვჯობინდი თუ არა ტფილისს წასვლისათვის სამზადისს შევუდექი (კ. გ.). 15. ადგილი სადაც შევარდენი დავაბინავე წინათ ქათმებისაგან გადაქექილი იყო (ვ. ფ.). 16. გუნებააშლილი მოურავი თავისი ქალის პორტრეტს გადასწვდა რომელიც ყოველთვის საწერ მაგიდაზე ეგულებოდა (მ. მ.). 17. ბეგი მის ნაამბობს იმდენად ყურს არ უგდებდა რამდენადაც მარინეს სახეს და აღნაგობას უკვირდებოდა (შ. დ.). 18. გაგიმ აშკარად დაინახა რომ იგი ელგუჯას და იმის ამხანაგებს ვერ დაიჭერდა (ა. ყ.). 19. ელგუჯაც რომელსაც ჯერ კიდევ ხელი არ მოეშორებინა ხმლისათვის თითქოს ხელახლად საბრძოლველად იწვევდა თავის მტრებს (ა. ყ.). 20. მზე ჯამჯამას ეფარებოდა როცა ბოშურში ავიდნენ (ნ. კ.). 21. მზე ამოწვერილი იყო როდესაც გიორგიმ თვალი გაახილა (ნ. კ.). 22. კლდე რომელშიაც გამოკვეთილია უფლისციხე კვერნაქის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს (ნ. კ.). 23. რამდენიც დრო გადიოდა იმდენად ხავსი ფეხს იკიდებდა (თ. რ.). 24. გზად კლუბის გამგე შემხვდა რომელსაც ზედმეტ სახელად გოგია მეჩონგურეს ეძახდნენ (ს. შ.). 25. ბავშვის დედა ისაა ვინც ბავშვი აღზარდა (ს. შ.). 26. ხალხი უკვე იშლებოდა როდესაც თედორე მღვდელიც მოვიდა (შ. დ.). 27. სანამ (შიშია) თოფს ხელმეორედ გასტენიდა ჯიხვი კლდეზე ავიდა (თ. რ.). 28. (გადიას) აღთქმა ჰქონდა მიცემული დილის პირველი სიტყვით ღმერთს შევედრებოდა (მ. ჯ.). 29. ხომ იცი რა არის ბავშვის გული (დ. კ.). 30. მთაში რომ ვცხოვრობდი რამდენჯერ მინახავს მყვირალა ხარ-ირემი (ვ. ფ.).

წერგილ-მძიმე

სავარჯიშო 118. გამოარკვიეთ წერტილ-მძიმის ხმარების ადგილი მაგალითებში.

I. 1. მაისის პირველი რიცხვები იყო; ცხვრის ფარა ფარაზე მიდიოდა ჭალაზე სამთოდ; ბატკნებისა და დედების ბღავილი მთა-ბარს აჭცევდა, ყურთასმენა აღარ იყო; მთელის ერთის კვირის განმავლობაში ფარები განუწყვეტლივ წყალივით დადიოდა (ვ. ფ.). 2. მიყვარს მოწმენდილი ცა; ნიავი ოდნავ ეკარება შუბლს; ზურმუხტ ცას მზის შუქი აღიმებს; მწვანე ბიბინებს დამატკბობლად; ხეები იხრებიან, ვით „ჩამოვლის“ დროს მოლეკურე მეგრელი ქალი (ნ. ლ.). 3. მძლევარი ფრინველები გაიკრიფნენ ჩვენი ქვეყნიდან თბილ ქვეყნებში; წავიდა მერცხალი, წავიდა გუგული; აღარსად ჭიკჭიკებენ მწყერები ყანებში; აღარსად ფუტკარი მინდვრებში (ვ. ფ.). 4. სახელმწიფო, ეტყობა, უდიდეს თანხებს ხარჯავს გამწვანებაზე; აქა-იქ ხე-

ხილის ბაღებიც ჩაუყრიათ ახლახან (ი. ა.). 5. გაღმით, თეკლათის კლდეში, მოჩანდა უზარმაზარი ქვის სამტვრევი; იქ მუშები ჭიანქვეშ ლებივით ირეოდნენ; დროგამოშვებით მოისმოდა ნაღმის გრიალი (გ. წ.). 6. ვიწრო გრძელი ველი; შორს ცის კიდურზე მოჩანს აგერ-აგერ თოვლით აჭედილი მთა; ლურჯი, ფართოდ გაშლილი ცა იშვიათად დაჰყურებს არეს; გორაკების ფერდობებზე თმახუჭუჭა ბუჩქები ჩამჯდარან; ჯეჯილს სიო დაჰკრავს, ზღვა ყანა იწყებს წუნარ ტორტმანს; ცალ-ცალკე თავთავები ტალღის შხეფსავით გასრიალდება, გაიელვებს ჰაერში და გაქრება; აქა-იქ შორ-შორს მდგარი ნიგოზი, მუხა, ცაცხვი დოინჯ-შემოყრილ მდევებივით გაქვავებულან: ერთი ფოთოლიც კი არ ირხევა; ჰაერი კრთის, ალმური ადის (ნ. ლ.).

§I.1. გლეხობამ ხელახლა გადახნა მიწები და ადრეულა სიმინდი დათესეს; დათესეს აგრეთვე ქერი, ფეტვი, ლობიო. 2. მურია ღრინავს, ყეფს, ტრიალებს; ჰხედავს თავის კუდსა, სულიერი რაღაცა ჰგონია და ეტანება (თ. რ.). 3. მათ მშვენიერი გალობა იციან; გალობენ ღელასწაულებში, წირვაზე (შ. დ.). 4. უკრაინის ნახშირი დააგელვებს მგლისმუხლა ორთქლმავლებს რუსეთის ველებზე, ციმბირის ტუნდრებზე; უკრაინის ნახშირიდან გამოსული ენერგია ათბობს, ამოძრავებს მთელს ჩვენს ინდუსტრიას, ტექნიკას და ტრანსპორტს (კ. გ.). 5. დემეტრე სიღარიბემ მოტეხა, უდროოდ მოაბერა; მშვენიერი ვაჟკაცური სახე გაუშქნა, თვალები ჩაეფერფლა; ზამთრობით ციე დუქანში ჯდომით დაქარიანდა, მუხლები ოთხმოცი წლის ბებერივით დაჰქონდა; ციე ზამთარში იმის დუქანს მხოლოდ მაყალი ათბობდა (ს. მ.). 6. (გიგლამ) მცირე მანძილი გამოიარა და ნემსი ხელიდან დაუვარდა; ეძება, ეძება და ძლივს იპოვა (ს. შ.). 7. ჯერ ისევ ყინვა მეფობდა და ბატონობდა ზამთარი; ჯერ ისევ ზამთრის შიშით იჭუჭკებოდა მთა-ბარი (თ. რ.). 8. ორიეს თავზე სვავები დაჰფანფალებდნენ და დაჰყაშყაშებდნენ; ორიეს ლეშით მაძიებელი ყორნები ერთნაირად შეჰყრანტალებდნენ (ვ. ფ.). 9. დაიქანცა ტირილით, ოხვრით; მიდო თავი იქვე კერის პირას კუნძზე და დაიძინა (ვ. ფ.). 10. ფარნამ მოინდომა კარის გაღება, მაგრამ ფანთამ არ დაახება; ძალით დასვა თავის ალაგას და თვითონ გასწია კარის გასაღებად (შ. დ.). 11. ბრძოლის ველზე მყუდროება გამეფებულიყო; ბრძოლის ველს ჩვენია შემაძრწუნებელი, სულისშემხუთავი უსაზღვრო სიჩუმე (შ. მ.). 12. შემოდგომას ხომ გულდალეული ელოდა; ელოდა „ყვირილობას“, როგორც დედა ერთადერთ შვილს, ლაშქარში წასულს (ვ. ფ.). 13. ძალიან ვიცი, რომ საჭირო იყო ახლოს გაცნობა იმ ხალხისა, რომელიც უშუალოდ ჩაბმულია ამ სამუშაოში; საჭიროა შესწავლა და შეზრდა წარმოებაში და იქ ჩაბმული

ხალხის სულისკვეთების გადმოცემა (ტ. ტ.). 14. ირემი კი იქვე იდგა გაჩერებული და ვერ გაეგო, რა მოხდა; იდგა წყალში გაყუჩებული და თვალი იქით ეჭირა, საიდანაც მგელს მოელოდა (ვ. ფ.).

III. 1. ახლა კი რა ბედნიერება იქნება, რომ ცოლიანები თავიანთ ცოლ-შვილს დაუბრუნდებოდნენ; უცოლონი კი საკუთარ ოჯახს აიშენებდნენ; რომ ქვეყანაზე სამუდამოდ მშვიდობა ჩამოვარდებოდეს და გლეხს თავის ნაოფლარის ნახევარი მაინც შეერგებოდეს; რომ გადასახადს აღარ გაიღებდეს და ძლიერი უღონოს აღარ დაჩაგრავდეს; რომ ნიადაგი მუდამ მაკე იქნებოდეს, საწველი საქონელი არ ბერწდებოდეს... (მ. ჯ.). 2. მხოლოდ ახლა იგრძნო ნატომ, თუ რამდენად ძვირფასი იყო მისთვის ნინიასეულში ჩაღვრილი შრომა; რამდენად ძვირფასი იყო ყოველი ვაზი და ყოველი მტევანი მისთვის (მ. მ.). 3. დაავიწყდა, თუ რამდენჯერ დაუჭამა შეჩვენებულმა (ჩხიკვმა) შაშვის ბუდეში გამზადებული კვერცხები; რამდენჯერ სრულიად ღლაპი, დაუბუმბლავი ბარტყები გადაუსანსლა; რამდენჯერ აატირა ცხარე ცრემლით; რამდენჯერ გაამწარა, ააშფოთა იქამდის, რომ შაშვის საცოდაობით ტყეც-კი ტიროდა (ვ. ფ.). 4. დარჩა ველი ობლად, ზედ მხოლოდ ნაცეცხლარი გიზგიზებდა და ზედ ხის შამფურზე აგებული ირმის მწვადი იწვებოდა; სადაც გრძლად სუფრა იყო გაშლილი და ქალ-ვაჟის სიცილ-ხარხარი, მხიარულება ისმოდა (ვ. ფ.). 5. ველოდი, როდის დაიძროდა ის ადგილიდან; როდის მოვიდოდა ჩემთან ისე, როგორც ეს შინ იცოდა-ხოლმე, ფრთხილად, უჩუმრად (დ. შ.).

IV. 1. მართალია, გ. წერეთლის შემოქმედებაში შეინიშნება ეპითეტების სიუხვე, მაგრამ არც მეტაფორაა ძუნწად წარმოდგენილი, რითაც ძლიერდება ნაწარმოების მხატვრულობა.

აი რამდენიმე ნიმუშიც:

„როცა მის პირზე ვარდი გაიშლებოდა, ჩარაზმული მარგალიტის კბილები შუქს ჰფენდა მიდამოს“;

„მე მინდა მხოლოდ ეს ჩემი მაცხონებელი მზე გალიაში მყავდეს ჩამწყვდეული, რომ მინათოს ყოველ დღე, ყოველ საათს, ყოველ წამს და ამით ჩემს გულს ღამე არ შემოეპაროს;

„... მის სიყვარულის კოკორს მოხვდა მარტის ყინვა, რომელმაც უდროოდ დასძრა და დათრთვილა იგი“... (ჩამოთვლა გრძელდება) (ქართ. ლიტ., IX კლ.). 2. თუ წელში გამართულა როდისმე ჩვენი ქვეყანა — ეს იმის მეფობის დროს გაიმართა; მზეს თუ როდისმე საქართველო გაუნათებია და გაუთბია — იმის დროს ყოფილა; სიტყვას თუ ძალა გამოუჩენია, გულსა სიმტკიცე, მკლავსა სიმაგრე — ეგ დალოცვილის მეფის, თამარის, დედობის დროს მომხდარა (ი. ჭ.). 3.

როცა არაგვი წამოდგებოდა, განჯის სახანო სდუმდა; კახელები რომ აიმლებოდნენ, შირვანი ისვენებდა; იმერეთმა რომ იფეთქა, დანარჩენი საქართველო მის შესაბოჭად გარბოდა (მ. ჯ.). 4. ზოგი შვილს უცინის, ზოგი ცოლს თუ ეალერსება; ერთი დანიშნულს ეჩურჩულება, მეორე კი ბატონს უღრენს; ვინმე ხარ-კამეჩს ესაუბრება, ვინმე მკვდარს თუ დასტირის... (მ. ჯ.).

ცნობისათვის. წერტილ-მძიმე ერთმანეთისაგან მიჯნავს, გამოყოფს ერთნაირ ენობრივ ელემენტებს (ერთგვარ წევრებს) თუ ერთგვარ წინადადებებს. წერტილ-მძიმე შეალედურ ადგილზე მდგომი სასვენი ნიშანია წერტილსა და მძიმეს შორის.

წერტილ-მძიმე დაისმის:

1. თუ წინადადებები რამდენადმე დამოუკიდებელი არიან და ერთიანდებიან ერთ რთულ წინადადებად უკავშიროდ; უფრო მეტად მაშინ, როცა წინადადებები საკმაოდ გავრცობილია და მათ შორის არის მძიმეები.

2. რამდენიმე დამოუკიდებელ წინადადებათა შორის, როცა მომდევნო წინადადება იმეორებს წინამავალის რომელიმე სიტყვას; იგულისხმება, იგი შეცვლილია ნაცვალსახელით, მითუმეტეს მაშინ — თუ წინადადებათა შიგნით არის მძიმეები. მაგ.: როცა მისა სკოლაში შევიდა, დაინახა თავისი ამხანაგების გაბრწყინებული სახე, ბედნიერი მასწავლებელი, კმაყოფილი სტუმარი; დაინახა, რომ სკოლას რაღაც სადღესასწაულო ფერი დასდებოდა (დ. მ.). შეიყარნენ საღამოზე ერთად, დაჭრეს დაფს, დოლს, დაირას, დუდუკს, ზურნას; ლეკურს თამაშობდნენ, მღეროდნენ (ვ. ფ.). — ახოვანო ფრინველნო, ვეფკაცნო ხმლიანნო, დაიწიეთ უკან, უკან; ცოტა მოშორებით დადექით (ვ. ფ.).

3. რამდენიმე ერთგვარ დამოკიდებულ წინადადებათა გასამიჯნავად, როცა ისინი მეტად გავრცობილია და ექვემდებარებიან ერთ მთავარს: მწყემსები ამბობდნენ, რომ ისინი ერთსა და იმავე დროს მწყემსებიც არიან და მხედრებიც; რომ არავის თავს არ ესხმიან, თუ მათ არ დაეცნენ თავზე; რომ ისინი თაყვანს სცემენ მხოლოდ მზეს, მთავარეს და ვარსკვლავებს (ტ. ტ.).

4. საკმაოდ გავრცობილ ჩამოთვლათა ბოლოს, თუ მათში არის რაიმე სასვენი ნიშანი: მე მაგის გაზრდილი ვარ და რაც კარგი სიტყვა მოგახსენეთ, სულ მაგისაგან გამიგია: სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო; სიმართლის ნერგი იხარებს, დარგო თუნდ სიპსა ქვაზედაო; ტირილითა და გლოვითა მტერნი არ შეშინდებისო; უსვინდისოს თუ არ არცხვენ, ბაძვით მორცხვიც გაურცხვებისო (მ. ჯ.).

სავარჯიშო 414. (გასამეორებელი). გადაიწერეთ, დასვით წერტილ-მძიმეები; დგრეთვე — სხვა სასვენი ნიშნები.

1. დედობილმა და მამობილმა მცირემიწის მქონებელ შვილობილს ქოლის მოყვანაზე საჩუქრად თავს გადააგდეს ოთხ ქცევამდე მიწა სამოსახლო და საყანე მზითვად აღებული ფულის ნაწილით აყიდვინეს ქედეე ადგილი აყიდვინეს სახლი მოუტანეს და დაუდგეს ნაჩუქარ ადგილში მოუწყვეს ხულა ბეღელი სამზარეულო საბძელი ერთი სიტყვით

ყველაფრით გაუმართეს ხელი (დ. კ.). 2. ჩიტები დაფრთხიალობდნენ ნელი, ჩუმი ჭიკჭიკით დაეძებდნენ ბინას ღამის გასათევად (ვ. ფ.). 3. მანამ დედა გუავს ცოცხალი ნუ შეგეშინდება როცა მე აღარ გეყოლები მაშინ სიფრთხილე გმართებს (ვ. ფ.). 4. ვასილი შუა ხნის კაცი იყო ჭაღარა შერთვოდა თხელ თმაში პირი ძველებურად ქართულად ჰქონდა ხოლმე მუდამ სუფთად გაპარსული მშვენიერი ქართული ცხვირი ფირუზი თვალები გრძელი სუფთად მოვლილი და ჩაგრეხილი ულვაშები (ს. მ.). 5. კაკაშმა იმასაც უამბო თავისი უბედურება ეგონა იმისგანაც თანაგრძნობას გამოიწვევდა მაგრამ მოტყუვდა (ვ. ფ.). 6. თავზე იგრძნო ამ ქალის ფეხი უნდოდა ავარდნილიყო და ისრით გაეპო მისთვის მკერდი მაგრამ მოაგონდა რომ იარაღი არა აქვს მოაგონდა აგრეთვე გეგმები რომ მის ხელშია მთელი სამეფოს ბედი (ტ. ტ.). 7. მთხოვარას არ გაიკითხავდა გააგდებდა თუმცა სიმდიდრით ბევრით გაციცლებით სჯობდა პაპას ეტყოდა: „ღმერთსა აქვს ბევრი წადი ის მოგცემსო“ (ვ. ფ.). 8. როცა არაყი ედგა და სტუმარი ვინმე ეწვეოდა მომეტებულ ნაწილს შესანდობარს სვამდა იგონებდა გარდაცვალებულთ დედას მამას ბიძას თავის საყვარელ ტოლ-ამხანაგებს (ვ. ფ.). 9. ძაღლი საშინლად დაღლილ-დაქანცული იყო ეტყობოდა საშინლად ჰშიოდა (ვ. ფ.). 10. ოთახში აუარებელია ტოლსტოის წინაპრების პორტრეტები ბევრია აგრეთვე სურათები მისი და მისი ოჯახის წევრებისა (ტ. ტ.). 11. ძმებო მეც თქვენი ვარ თქვენი სისხლი და ხორცი თქვენთან ერთად ვარ ჭირში და ლხინში თქვენთან ერთად მიწოვია დედამიწის ძუძუ თქვენთან ერთად დამდის წვიმა ციდან და თოვლი მარხევს და მაწყვეტს ქარიშხალი მყინავს ყინვა (ვ. ფ.). 12. კურდღელი მარდი იყო იმას არ ჩაუვარდებოდა ხელში როჭო და კაკაბი ფრთოსნები იყვნენ სამისოდ არ გახდებოდნენ მწყემსი ძუნწი იყო სვავისათვის არაფერს გაიმეტებდა (თ. რ.). 13. გეველდრები არ მისმენ შეგიძლიან აასრულო ჩემი თხოვნა და არ გინდა (ვ. ფ.). 14. საჭართველოსთვის გადაწყვეტილი უნდა იქნას შემდეგი პრობლემები:

სახალხო ჯანმრთელობის დაცვა მალარიის მოსპობით როგორც კოლხეთში ისე მოსაზღვრე რაიონებში

კულტურული მიწის გადიდება საერთოდ და კერძოდ სუბტროპიკული ჰავის ზონაში 200 ჰექტრამდე.

მრეწველობის განვითარება ნედლეულობის ბაზის შექმნასთან დაკავშირებით

განვითარება რკინიგზისა წყლისა და მდინარის ტრანსპორტისა

ინტენსიფიკაცია და რეკონსტრუქცია კოლხიდაში სოფლის მეურნეობისა და მისი საქონლიანობის საგრძნობლად განვითარება

განვითარების სხვა ფართო პერსპექტივები კოლხიდის მთელს ტერიტორიაზე (ტ. ტ.).

15. კარგი ოჯახის ქალი ის გათხოვების შემდეგაც თავდაპირველად კარგ შემძლე გლეხურ ოჯახში დატრიალდა ამის გამო მან არ იცოდა თუ რა იყო სისაწყლე არ გამოეცადა შიმშილი სიტიტვლე ძნელი და გაბმული მუშაობა მაგრამ დღეს როდესაც ყველა ესენი თავზე დაატყდნენ თითქოს სრულიად შეჩვეული დახვდა ამ ამბავს (ნ. ლომ.). 16. საპარავის ყელში გამოჩნდა არწივი თავმოწონებით ამაყად მოიზლაზნებოდა მხოლოდ დროდადრო მოიხრიდა თავქვე იქით-აქეთ კისერს იმას აჰსეევიყო ორი ყორანი და აღარ ასვენებდნენ გაუელვებდა ერთი მათგანი ამოუბრუნდებოდა გულაღმა და „ყრანტ" „ყრანტს" შესძახებდა (ვ. ფ.). 17. მან ქალები ჯგუფებად დაყო როცა ერთი ჯგუფი ვარჯიშობდა მეორე ჯგუფი უფრო ძლიერი და მამაცი ამორძალებისა მეზობელ ტომებს თავს ესხმოდა და საჸმელს შოულობდა მესამე ჯგუფი ციხეებით და კედლებით ამარაგებდა სოფელს მეოთხე ჯგუფი კიდევ საშინაო საქმეებს აკეთებდა და მშვილდისარს ამზადებდა (ტ. ტ.). 18. აქ საინტერესოა ისიც რომ მაქსიმე აღმსარებელმა მეშვიდე საუკუნეში გზა გაუხსნა დიონისეს (არეოპაგელის) მოძღვრებას დიონისეს რომელიც შუა საუკუნეებში ითვლებოდა ნეოპლატონურ მაგრამ ორთოდოქსალურ ქრისტიანად (ი. ა.). 19. ვნახე რომ მთავრობა იქაურობას ნაკლებ ყურადღებას აქცევს და კერძო სვავთა ინტერესები გაბატონებულია რომ საკუთარ მახინჯურ „პარიადკას" სახელით მონათლული დიდი „უპარიადკობაა" რომ ჩემისთანებს საქმის სურვილი კი აქვთ მუშაობენ კიდეც მარა კიდევ ვერ მოფუძნებულან და ჩემგვარად ბარგაკრული ბევრი კვლავ შინისაკენ მიემგზავრება რომ უფაქიზობა უშვერობა უწესობა მთელს ამ მხარეს გადასდებია და სხვადასხვა (შ. დ.).

ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲘ

ხავარჯიშო 416. გადაიწერეთ, დასვით ორწერტილი; აგრეთვე — სხვა საჭირო სასვენი ნიშნები.

I. 1. ეს ახალი სახელწოდება მათიასი (წიწმატა) მთელმა ოჯახმა პირზე დაიკერა ძმებმა დებმა ბიძებმა ძალუებმა და სხვებმა (ვ. ფ.). 2. აუარებელია ტოლსტოის სურათები რომლებიც დაუხატავთ რუსეთის ცნობილ მხატვრებს რეპინს ტრუბეცკოის გესს პასტერნაკს და სხვებს (ტ. ტ.). 3. თუ უძველესი კულტურის ცენტრები ათენი რომი ტფილისი პარიზი მდინარეებისა და ზღვების სიახლოვემ გაზარდა ბაქო ცეცხლის სტიქიონმა აღმოსტყორცნა (ქ. გ.). 4. არემარეს დაათ-

ვალიერებს საბძელს კალოს ძნას ბაკს ბოსელს საღორეს (თ. რ.). 5. სხვა ყველაფერი მდუმარებს ხე ქვა ტყე მთა და მინდორი (ვ. ფ.). 6. იგონებდა გარდაცვალებულთ დედ-მამას ბიძას საყვარელ ტოლ-ამხანაგებს (ვ. ფ.). 7. ხევიდან ჩანჩქერის საზარელი ხმაურობა ისმა და გლოვა კვნესა ტირილი და გიჟური სიცილი (ვ. ფ.). 8. მთელი მილეთის ხალხი სულ მანდ დაწანწალებს თათარი ყიზილბაში ურია ოსი სომეხი... (ი. ჭ.). 9. ახმეტაში ყველაფერი მალამოდ ეცხება ჩემს გრძნობა-გონებას მიწა წყალი მთა კლდე ტყე და ველი (ა. წ.). 10. მე თანა მყვანან რკინისა ძმები ჩემი სიათა დამბაჩა ხმალი (ი. ჭ.). 11. გაეგოთ მთის მცხოვრებ ფრთოსანთ კაკბებს შურთხებს როჭოებს შაშვებს ჩხართვებს და კოდალებს (თ. რ.). 12. ყველაფერი შეთანხმებული იყო დღე ადგილი და ნიშანი (ლ. გ.). 13. ჰყიდის ყველა თავადი მღვდელი ვაჭარი ავაზაკი დიდი და პატარა ჭკვიანი და სულელი ლოთი და პირაკრული (ნ. ლ.). 14. კარგად ადიან ქალები ვერა ვალია ელიკო (ლ. გ.).

II. 1. სტეფან ცვაიგი ყველა უცხოელისაგან განირჩეოდა ზედმეტი თავაზიანია მოპყრობაში სრულიად ახალგაზრდა გამომეტყველება აქვს უფრო დიპლომატს ჰგავს ვიდრე მწერალს განსაკუთრებით კელერმანთან შედარებით... (ტ. ტ.). 2. (სიდონია) შვილებს ჰგავდა და იმ პაწაწა მაიმუნებივით გიჟდებოდა დარბოდა გორაობდა ანცობდა ცუღლუტობდა და მთელ ავგარაკს თავისი კისკისით კივილით და ჭრიამულით ავსებდა (მ. ჯ.). 3. ჯერ შინ დავტრიალდი ცეცხლი ავანთე ქვაბები გავრეცხე და ცოცხსაც კი მოვკიდე ხელი (მ. ჯ.). 4. შიოლას ნათქვამი გაცხადდა წყნარი უნისლო ღამე გადმოეხურა ხევსა და მწვერვალებს (ლ. გ.). 5. ერთხელ დილით ჩაის შემდეგ მსახური დიამბეგს საუზმეს უმზადებდა გადააფინა სუფრა სტოლზე და მოიტანა დანა-ჩანგალი პური ყველი და გაბრუნდა სხვა სანოვაგის მოსართმევად (ვ. ფ.). 6. ტომირანდამ გიჟივით გადაიხარხარა გასცა ბრძანება ამოეყვანათ ქალები ესმიათ ეპშიათ და შემდეგ საჯაროდ დაეწვათ კოცონზე (ტ. ტ.). 7. მონადირეებს საერთოდ ერთი ცუდი ზნე სჩირთ სიცრუე გადაჭარბება-გაზვიადება შემთხვევისა (ვ. ფ.). 8. დათუნას ჯერ გაუკვირდა მაგდანას ორასი კვერცხი მაინც ექნებოდა შენახული და დღე-დღეზე ურია მექათმეს ელოდებოდა (მ. ჯ.). 9. ზაფხულშივე გადაწყვეტილი მქონდა რუსეთში წავსულიყავი და ამას ახლა თან დაერთო დავალებაც დავსწრებოდი ქართველ მწერალთა ფედერაციიდან ტოლსტოის დღესასწაულს მოსკოვში (ტ. ტ.). 10. საგულისხმო სანახავი იყო ამ დროს მგლების კრება ზოგი იწვა თოვლზე სხვა დაყუნცებულიყო როგორც იდგა ფეხზე კუდებდაშეებული ხოლო ყველას პირები ჰქონდა დაღებული ასე თათბი-

რობდნენ თარეშის ლაშქრობის შესახებ (ვ. ფ.). 11. საცინელი იყო ამ დროს ბუ ამოგანგლულს გაწუწულს გაბეჩავებულს თავიდან ფეხებამდე ტალახის წუნწკლი გასდიოდა (თ. რ.). 12. შეუპოვარი სიდინჯით მისდევდა ნატო ვაზების თვალუწვდენელ რიგებს ხან გამოთოხნა სჭირდებოდა ძირებს ხან გოგირდი — ნაცარშეპარულ ყურძნის მტევნებს ხან შაბიამანი — ალაგ-ალაგ მილდაოთი დაავადებულ ფოთლებს (მ. მ.). 13. მოურავმა თვალი გააყოლა მიმავალს საშუალოზე ცოტა უფრო მაღალი ტანისა იყო ოდნავ წელში მოხრილი ეცვა ნაცრისფერი მოძველებული კოსტუმი (მ. მ.). 14. არსენას ეზოში დათუნას ყურშა მოეგება მხიარული ყეფით გამოექანა ზედ შეებობღა ხელები მოულოკა და ხტუნვა-წკმუტუნით გაუძღვა შინისაკენ (მ. ჯ.). 15. თავისი ახალგაზრდობა მიხოს შესწირა ოცი წლისა იყო როცა ქმარი მოუკვდა და მიხოც ძუძუთა დაჰრჩა (თ. რ.).

III. 1. ამ დროს გაისმა სიჩუმეში ხმა — ტომირანდას ვთხოვოთ ის ჩვენში ყველაზე უფრო ძლიერია (ტ. ტ.). 2. გიორგიმ გელა განზე გაიხმო არალეგარული ლიტერატურა გადასცა თან უთხრა — გელა უნდა ავჩქარდეთ (ს. შ.). 3. ზურაბი დაიბნა ასეთი წინააღმდეგობით შემდეგ გული მოიმაგრა და დარაჯებს შეუყვირა — რისთვის გიჭირავთ იარაღი (ს. შ.). 4. ეზოში ჩასული საჩეხთან ჩამომჯდარ ზურიასთან მიიჭრა და აკანკალებული მაგრამ მტკიცე ხმით მიმართა — წავიდეთ მამამთილო კრებაზე (მ. მ.). 5. კნეინა ხორეშანმა ფიქრიას აჰხედა და ჰკითხა — ფერი რად წაგსვლია გოგო (მ. ჯ.). 6. კარპიჩამ ვეღარ მოითმინა და მიახალა — კაცო თითს კი არ გვიქნევენ კელსა გვჭრიან კელსა (მ. ჯ.). 7. ... სუსტი ხმით დამიძახა — მოდი შვილო ჯეირან (ქ. ლ.). 8. ბოლოს კიდევ მაინც იმან დაიწყო — იცი რა ჩემო გაბრიელ (ი. ჭ.). 9. შემდეგ ფიქრიამ თავი დაარხია და სთქვა — არხეინად იყავი არსენა გვიშველის (მ. ჯ.). 10. მერე ცხენოსანმა ბავშვს წელზე ხელი მოხვია და უთხრა — ნუ გეშინია გამაგრდით ცხენზე და აბჟანდში ფეხი გაუყარეთ (ნ. ლ.). 11. ერთხელ შაჰ-შაიმ იკითხა — სად არის ადამიანის სული (ნ. ლ.). 12. გიგია სლოკინით გულს იკლავდა — აი, თურმე რაზე ამიხდა მე უბედურს ჩემი სიზმარი (დ. კასრ.). 13. ბოლოს ერთმა შეიბრალა და სწორი პასუხი გასცა — მეფე ბატონი გარდაიცვალა (დ. კასრ.).

ცნობისათვის. ორწერტილი ახმარება შერწყმულსა და რთულ წინადადებაში. იგი აღნიშნავს, რომ წინადადების მომდევნო ნაწილი წარმოადგენს წინა ნათქვამის ახსნა-განმარტებას თუ გაშლილად გადმოცემას.

ორწერტილი დაისმის:

1. თუ ერთგვარი წევრები განმაზოგადებელი (გამაერთიანებელი) სიტყვის შემდეგაა: ჩემთვის ყველაფერი ბევრი მჭონდა: ადგილი, მამული, სახნავი, სათესი, ვენახი, წისქვილი, წყალი, მთა-ბარი ჩემი საკმარი (ვ. ფ.).

2. უკავშიროდ შეერთებული რთული წინადადების ნაწილებს შორის, როცა შეორე ნაწილი გადმოგვცემს პირველის მიზეზს, მიზანს ან შედეგს, ან კიდევ ხსნის, განმარტავს, ვრცლად წარმოგვიდგენს პირველი ნაწილის მნიშვნელობას: ხულობით სოფლის დალაქი იყო და თავისთვის ტკბილად ცხოვრობდა: ჰქონდა საკუთარი სახლ-კარი, ვენახი, ცოტაოდენი სახნავი მიწა, ერთი თვალი წისქვილიც უბრენავდა (ვ. ფ.); მგელი ძალიან დაფიქრა ხუთი გოჭის ხსენებამ: სად ქორფა გოჭების ხორცი და სად ბებერი ღორისა (თ. რ.).

3. პირდაპირი ნათქვამის წინ, თუ ის ავტორის სიტყვების შემდეგაა: ბოლოს ჰკითხა: — მითხარ, რა გქვიან სახელად? (ს. შ.).

სავარჯიშო 416. (ვასამეორებელი). გადაიწერეთ, დასვით საჭირო სასვენი ნიშნები.

1. მამალი ნიბლია მუდამ თავის მეუღლის ზრუნვაში იყო დღე დაფრინავდა მინდორში საჭმლის საზიდავად ღამე კი ბუჩქის შტოებზე იჯდა და ჰდარაჯობდა დედალ ნიბლიას (თ. რ.). 2. (ეერხვი) ზამთრობით ძლიერ დაზაგრული იყო აბეზარი მთის ქარიშხალი მოსვენებას არ აძლევდა ახეთქებდა აქეთ-იქით არწევდა აქვანივით (ვ. ფ.). 3. სირცხვილით დამწვარი სევასტის ჯგუფი ისევ განმარტოვებული იყო ცალკე ჭამდნენ ცალკე ეძინათ ცალკე დადიოდნენ და ცალკე თათბირობდნენ (მ. ჯ.). 4. რაც ნადირი დამიხოცნია იმდენი თმა არა მაქვს თავზე დათვი ღორი ირემი ჯიხვი მგელი ტურა ჯეირანი და სხვ. (ვ. ფ.). 5. გარდა ამისა კიდევ იყო ერთი მიზეზი ჩვენი თავადაზნაურობის ერთი ნაწილი გულგრილად შესცქეროდა ჩვენს ძეგლებს (ქ. გ.). 6. ერთ ადგილში ხუთი ირემი მოკლა სამი ხარი ორი ფური და ერთი-ღა გაჰქცეოდა (ვ. ფ.). 7. პირუტყვი ძალიან ებრალება რაც უნდა იყოს იგი ცხენი ჯორი ხარი ცხვარი ძროხა და სხვ. (ვ. ფ.). 8. ამ სკოლაში შემდეგი სამკაული ელაგა ოციოდე მირყეულ-მორყეული სკამი შეგირდისათვის ერთი პატარა ძველი მაგიდა ფეხ-მორყეული სკამი მასწავლებლისათვის და შეუღებავი ხის მაგიდა (ე. ნ.). 9. დღეს საღამოს კრება იყო დანიშნული უნდა გაესამართლებინათ ორი მეზობელი რომლებსაც მიწაზე დავა და ჩხუბი მოსვლოდათ (ლ. ქ.). 10. სულ რამდენიმე წლის წინათ აქ ერთმანეთს ცვლიდნენ საოკუპაციო ჯარები ჯერ გერმანელები მერე ოსმალოები მერე ინგლისელები თავიანთი შავკანიანი ლეგიონებით (ტ. ტ.). 11. დილით ჯუანშერს უქეიფობა დაეტყო მოდუნდა მოტყდა თითქო დაიღალაო (მ. ჯ.). 12. თვალს კედელზე ჩამოკიდებული გიორგის სურათი მოჰხვდა ალერსიანად უღიმოდა ვაჟკაცი ქალს თითქოს ამხნევებდა უწონებდა საქციელს (მ. მ.). 13. თანადროული ცივილიზაცია უპირატესად სამი ელემენტისაგან იკრებს ენერგიას შავი ნახშირისა თეთრი ნახშირისა და ნავთისაგან (ქ. გ.). 14. ერთ კუთხეში მუცელგამობერილი წითელი ხის განჯინა იდგა რომლის თავზე ელაგა ზეთიანი

შუშები ნელსაცხებლები და მალამოები (შ. დ.). 15. მიმავალნი თავდაჰერით ლაპარაკობდნენ — ფრთხილად ამხანაგო (მ. მ.). 16. აბდუშაჰილი შეკრთა და შეშინებულმა უთხრა — როგორ მაშ დღეიდან აღარაფერი ვიქნებით ერთმანეთისათვის (ა. წ.). 17. რამდენჯერ მიფიქრია ვერც თათრის ტყვიამ მომკლა ვერც გერმანიის შხამიანმა გაზებმა (კ. გ.). 18. მცირე დუმილის შემდეგ განაგრძო „საიდანაა ჩამოსული მიუნხენში“ (კ. გ.). 19. მართლაც საამო სანახავი იყო ელიზბარის ხირიმი თოფი თავსა და ბოლოს ოქროს ვარაყით იყო დაზარნიშებული (ვ. ფ.). 20. ზამთრობით აღარა ჰგალობენ ჩიტები მწუხარე კილოზე კივიან და შეწუხებული აქეთ-იქით აწყდებიან (ვ. ფ.). 21. ტარიელს კედელზე ჩამოკიდებული ჰქონდა ძველებური იარაღი კაჟიანი გრძელი თოფი ქარქაშდაძველებული ხმალი რამდენიმე ხანჯალი და დამბაჩა (ლ. ქ.). 22. ვწუხვარ ორნაირად როგორც შენი მეზობელი და როგორც ერთი შვილის მამა (ლ. ქ.). 23. ხალხიც შეუდგა მსხვერპლის შეწირვას საკლავების ხოცვას სანთლების ანთებას და სხვ. (ვ. ფ.). 24. მოვიდა ჯოგი ნადირთა ანგარიშმიუწთომელი ირემი თხა და კანჯარი ქურციკი მაღლა მხტომელი (რუსთ.).

ᲒᲘᲠᲔ

სავარჯიშო 417. გადაიწერეთ, დასვით ტირე (ტირეები); აგრეთვე — სხვა საჭირო სასვენი ნიშნები.

I. 1. მე პატრონის გულს ვახარებ ჩემს გულს პატრონის ღიღინი (შ. მ.). 2. (არწივი) პირდაპირ მიფრინავდა და საით თითქმის არც თვითონ იცოდა (ვ. ფ.). 3. ერთ ხელში საკმაოდ გაბერილი პორტფელი ეჭირა მეორეში მოზრდილი შავი ქოლგა (შ. დ.). 4. დღე დღეს მოსდევდა კვირა კვირას (დ. კ.). 5. მამა შვილს გადახედავდა შვილი მამას (დ. კ.). 6. მაღლა მწვერვალებზეღა მოჩანდა თოვლი დაბლა ხევებში ზვავი (ვ. ფ.). 7. ბუზებზე ჩიტები ნადირობდნენ და ჩიტებზე ალალი (თ. რ.). 8. ოძელაშვილს ყველგან ჰყავდა დოსტი და ძმადნაფიცი ქიზიყში ნათლიმამა ფარსადან მირზაშვილი თიანეთში სანდრო ცისკარაშვილი გაღმა ბორჩალოში ანდრია ბურნაძე და ათიოდე თათარი იმერეთში ზესტაფონელი ღამბაშიძე ხეობაში რაზმაძე (მ. ჯ.). 9. მეორეს მესამე მიემატა მესამეს მეოთხე მეოთხეს მეხუთე და შესდგა მთელი გუნდი (თ. რ.). 10. მოხვნას საქონელი უნდა საქონელს მოვლა (თ. რ.). 11. ამის გარეშე ნენე დედამიწა უდაბნოდ იქცეოდა და ქვეყანა ტრამალად (მ. მ.). 12. დღეს ღამე მოსდევს დარს ავდარი ტკბილს მწარე სიცოცხლეს სიკვდილი ლხინს მწუხარება ასეთია წუთისოფელი (ვ. ფ.).

II. 1. ღიმილი ჯადოსნური ჰქონდა სიტყვა-პასუხი ტკბილი და

საკმეველივით გაჟღენთილი სიხარული შემპარავი ხოლო ჰკუა-გონება დაბინდული (მ. ჯ.). 2. უკრაინა თავისი დონბასით მუდამ შავი ნახშირის მაგნატი იქნება და აზერბაიჯანი ცეცხლის მპყრობელი (კ. გ.). 3. მეკუპრე იყო ტყავის მკერავი თათარი მექონე ებრაელი (ნ. ლ.). 4. მე მამა შენ შვილი ერთს რჩევას მოგცემ და გამიგონე (ს. შ.). 5. ზამთარი ზამთრად დარჩება გაზაფხული გაზაფხულად (ვ. ფ.). 6. პირველი დიალოგის თემა იყო ტრადიცია და ნოვატორობა ჩვენი ეპოქის ლიტერატურაში მეორისა ახალი რომანის საკითხი (ი. ა). 7. სიტყვა თესლია საქმე ნაყოფი (ა. წ.).

III. 1. ეტლი გაჩერდა და ხალხმა დაინახა ყმაწვილი მიწაზე უძრავად ეგდო (ს. კ.).. 2. ნათქვამია მუცელს აქორებ ქორია აღორებ ღორიაო (ანდ.). 3. თავს ძალას ატანს შეიყვაროს იგი (ვ. ფ.). 5. ბეგი შეეკითხა აქ რაზე უნდა იმუშაოო და ფარნამაც ანიშნა ბარონესას დაბარებული ვარო (შ. დ.). 6. ნატო ჰკვირობდა რამდენი ჯიუტობა იყო ხარატიაანთ გვარში (მ. მ.), 7. მეტყვი წვავალ მეტყვი დავრჩები (მ. მ.). 8. გწადიან ბარში იცხოვრებ გწადიან წახვალ მთაზედა (ვ. ფ.). 9. მარინემ საათს დახედა თორმეტი სრულდებოდა (დ. კ.). 10. ქარი ხვიოდა ჰაერის ტალღები ორივეს ერთნაირად ჰხვდებოდა ზვავი ჩამოწვებოდა ორივეს კალთაზე და მუხლებზე ერთნაირად დალაგდებოდა (ვ. ფ.). 11. არასოდეს არა ვარ ისე გაუგნებელი ამ ბნელსა და ნათელ აღმართ-დაღმართებში ჩემი გზა ვერ გამოვნახო (შ. დ.). 12. მისით ამაყობდა და ყველას მოუწოდებდა გოგიასათვის მიებაძათ (ს. შ.). 13. გავმდიდრდი ისე გავმდიდრდი ჩემი ცხვარი და ძროხა დედამიწას ამძიმებდა (ვ. ფ.). 14. აგერ ნიტუიას და ოისიმეს კინაღამ ჩხუბი მოუვიდათ არა ჩემი დაჭერილია ეს თევზები არა ჩემიო (შ. დ.).

IV. 1. იხვსა ბატსა და ქათამსა ყველას გავკარი კბილია (ხალხ.). 2. ხვნა თესვა თოხნა მკა ყველაფერი შეისწავლა პაწია აკაკიმ. 3. დამშკნარი დიყი შამბი არყი და ურძანი ყველანი ერთად შფოთავდნენ (ვ. ფ.). 4. კაცი ქალი დიდი პატარა ერი მღვდელი მისთვის სუყველა ერთი იყო (ნ. ლომ.). 5. მაგიდაზე თაროებზე სკამებზე ლოგინებზე ყველგან წიგნები ეყარა (დ. შ.). 6. კაცი მხეცი და ჩიტები ყველა საქმეს ჰკიდებს ხელსა (რ.ე.). 7. ქართლ-კახეთი იმერეთი გურია და სამეგრელო ყველა ჩემი სამშობლოა საყვარელი საქართველო (დ. მ.).

V. 1. ღამღამობით განუწყვეტლივ ესმოდა ეს საუცხოო ხმა ბუების ძახილი (ვ. ფ.). 2. დანარჩენი ადგილები სტუმრებს ეჭირათ უცხოელებს (შ. დ.). 3. ორ გადიას ინგლისელს და ფრანგს მასპინძლობს ორი პატარა ქალიშვილი (მ. ჯ.). 4. უმალვე წამოვიხურე ჩემი საფრთხობელა გრძელი ზეწარი და გარეთ გავვარდი (მ. ჯ.). 5. ყველას აკვირვებდა ნაბინა შარავაშიძის ზრდილი ასული (მ. მ.). 6. მთე-

ლი ხალხი კაცი და ქალი იქ მოაწვა (ვ. ფ.). 7. ეს შორეული და დამ-ქანცველი ფრენა ჩვენმა მეცნიერებმა აკადემიკოსებმა აკაკი შა-ნიძემ და გიორგი წერეთელმა მშვენივრად აიტანეს (ი. ა.). 8. ის იყო ყოვლად უვნებელი მშვიდი ცხოველი ირემი (ვ. ფ.). 9. მის წინ დაგლეჯილ ჭილობზე გაწოლილა ბეხა ბებერი ძაღლი (რ. ი.). 10. ერთი უფრო აღიბეჭდა მის ხსოვნაში მოთხრობა ამირანზე (ტ. ტ.). 11. ერთადერთი შვილი ჰყავს ისმაილი (რ. ი.). 12. დოღის პირ-ველობა ქართული დერბი ყოველ წელს დიღმის მინდორზე სწყდე-ბოდა (მ. ჯ.). 13. სიამოვნებით მიდიოდნენ მეზობლები ქალი და კაცი (ნ. ლ.). 14. ჩვენ დედა მამა ჩემი ცოლი კრავაი და მე უზომოდ ვამა-ყობდით პატარა ვამეხით (გ. რ.). 15. ამისი ნაღველი მისი სიმარტოვე შეებრალა და გამოუგზავნა მეგობრად პატარა ყვავილი კესანე (თ. რ.). 16. ის ქალი ამ უღირსი ვაჟბატონის ცოლი ეხლა ჩემი საუკე-თესო მეგობარია (მ. ჯ.).

VI. 1. მედეა თვითონ კოლხიდაა ულამაზესი და ამაყი (ტ. ტ.). 2. ვარსკვლავები უმთვარო ღამეში მოჩანან დიდი შორეული ცივი (გ. რ.). 3. ასეთი იყო დეიდა მაიკო ნიავისა და ყვავილების მეგობარი მათი თანამზრახველი (გ. ლ.). 4. იორზე ვენახში დიდი ჭერამი გვედგა შე-ბუთქვილი დახუნძლული (გ. ლ.). 5. ოთახში დუმილი ჩამოწვა უხეში მძიმე და შემხუთავი (მ. ჯ.). 6. მის კლასში ყველა დიდი და პატარა თანასწორად სმენად იყო გადაქცეული (ა. წ.). 7. კბილები ისევ ისე-თი აქვს თეთრი და მძივივით აწყობილი (რ. ი.). 8. ის იდგა ცის კი-დურზე მაღალი ღარივით აჭიმული (რ. ი.). 9. შევხედე და ქალად ქცეული არწივი გამახსენდა და კიდევ რაღაც მომაგონდა შორეული ბუნდოვანი და ნაღვლიანი (მ. ჯ.). 10. ახირებული კაცი იყო დავითი შურიანი ქედმაღალი და მრისხანე (მ. ჯ.). 11. ყველაზე დიდებული იყო ტომირანდას კარავი ლომის ტყავებით ყვავილებით მოფენილი (ტ. ტ.).

VII. 1. გიგლა ასე ეძახდნენ მახის პატრონს მოვიდა გამოხსნა მტრედი (ა. ყ.). 2. კვირაზე მეტი იყო ასე ეძახდნენ ჩემს მეგობარს ქალს არსად შეხვედროდა (ნ. ლ.). 3. იმ ღამეს ხახულიას ასე ეძახდნენ ბახვას მამას არ სძინებია (გ. წ.). 4. ერთხელ ჯერ გიორგი ათი თორ-მეტი წლისა ძლივს იქნებოდა ერთს მოზრდილს ბიჭს თავისზედ პა-ტარა ბიჭისათვის ქამრის ღილები დაეტყუვნა (ი. ჭ.). 5. ამას წინათ სულ ორი კვირა არ იქნება კინაღამ სოფლის სასამართლომ გომურში არ ჩაამწყვდია (ი. ჭ.). 6. თავადი ლუარსაბ თათქარიძე გახლდათ ჩასუქებული ძველი ქართველი მრგვალი უკაცრავად არ ვიყო ამ სიტყვაზედ როგორც კარგად ნასუქი კურატი (ი. ჭ.). 7. გულში დაგ-როვილი დარდი და ბოღმა ის კი ულევი იყო საკუთარიც და სხვისგან

გაგონილიც ყველაზე თამამად აქ უთქვამთ ხოლმე (ს. კ.). 8. აი ეს ჯორი მოხუც მამაშენს მიართვი და ეს მეფემ საუცხოოდ შემკულ უნაგირზე მიუთითა რომელზედაც თვითონ ეყრდნობოდა დაპირებულ ათ ოქროს მოლარე მოგართმევს (ნ. ლ.). 9. ღმერთი დაინახავს ამას ის გულთამხილავია დაინახავს შემიბრალებს და შემიწყალებს (ი. ჭ.). 10. მე ჩემი ქართული ენის ნაფლეთები შევასწავლე ჩემს ქალიშვილს ლუდმილას უკვე ჩვიდმეტი წლისა იყო მაშინ და ქართული სახელი მზეხა დავარქვი (მ. ჯ.).

VIII. 1. პოეტის მეტაფორული სახეები ეს მთელი სამყაროა (ო. ა.). 2. (ჯიხვს) ასე ახლო ამის მეტი არ ენახა კაცი ეს ამათი სიკვდილი (თ. რ.). 3. სიკვდილი სიკვდილი აი ეს მაშინდელი ჩემი ფიქრი და საზრუნავი (მ. ჯ.). 4. პური ყურძენი და ღვინო ესაა მათი საზრდო (კ. გ.). 5. უხასიათობა ეგ ერთგვარი ხასიათი არისო (შ. დ.). 6. სიდონია ეხლაც წარსულშია ან წარსულია სიდონიას სულში ეს ხომ სულ ერთია (მ. ჯ.). 7. ეხლა იმ მთის ქვემოთ გაიხედე ეგეც შენი ბორჯომი (ა. ხ.). 8. რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს ეგ ვერაფერი სიყვარულია (ი. ჭ.). 9. ეს ქამარი შემოირტყა მეფობის ნიშნად და გასცა ბრძანება რომ არც ერთ ამორძალს ქამარი არ ეტარებია ეს გამოცხადდა დედოფლის უზენაეს უფლებად შემდეგ მან აირჩია გამჭვირვალე ქსოვილი მხევალ ქალზე რომ ნახა ესეც მეფობის ნიშნად (ტ. ტ.).

IX. 1. დიახ მტკიცე ხასიათის ქალია დაუდასტურა ვამეხმა (შ. დ.). 2. თუმცა პატარა ვარ ამბობდა კურდღელი მაგრამ ხნით კი მეც ქვეყნის ტოლი ვარ (თ. რ.). 3. მართალს ვამბობ მაშა მიუგო ქალმა (მ. ჯ.). 4. არ გიამა შვილო მკითხავდა დედა (ვ. ფ.). 5. ეგ საშიში ხალხი არ არის მითხრა დედამ ერთი დედაკაცი და პატარა ბალღია (ვ. ფ.). 6. შეგიძლიათ დასხდეთ უთხრა მათ არწივმა (ვ. ფ.). 7. აქეთ ჩვენი სოფლები ბევრიაო მითხრა რაზმის უფროსმა (ნ. კ.). 8. ახლა როგორ არის დედა ჰკითხა გივიმ (დ. კ.). 9. ცოდვას ნუ აიღებ დიანბეგო კისერზედ ვუთხარი მე პეპია ამ საქმეში ღმერთსავით ალალია და უცოდველი (ი. ჭ.). 10. მოდი ჩაჯექი რაღას უცდი მოესმა მას მანქანიდან მეგობრის ხმა (მ. მ.).

X. 1. ფული რაერთი აქვს ჰკითხა ლუარსაბმა
ორასი თუმანი ექნება
ნაღდად
სულ ბაჯაღლო ოქრო შინა აქვს პარკში შეკრული
გძელაძიანთ ქალი ხომ არ არის
თქვენ ვინ გითხრათ
მე ვიცი

შაინც

ვიცი ის არის განა მე კი გულში არ მქონდა იმ ქალის სახე მორცხვობით ჩაიღიმილა ამ სიტყვაზედ ლუარსაბმა

საიდამ გინახავს თუ

თვალით არ მინახვს მაგრამ ისე ვიცი

მაშ ნებას დამრთავთ თქვენ მაგიერ ველაპარაკო რა-რიგად გაუხარდება ქალსა (ი. ჭ.).

2. აზრიც გესმის მკითხა

რასაკვირველია მესმის

შეგიძლია ქართულად გადაგვითარგმნო ეგ ლოცვები

რაღად გადაგითარგმნით ქართულად რომ უფრო ადრე ვიცოდი

სად ისწავლე

სახლში

ეგ რუსულიც იქ ისწავლე

არა აქ (ა. წ.).

XI. 1. ამ 12 13 წლის წინათ მთის ქართველობა მოაწყდა შირაქს (ვ. ფ.). 2. ჭალის ბოლოს ასე 4 5 ვერსის მანძილზე პატარა სოფელი მოჩანდა (ვ. ფ.). 3. ტარას შევჩენკო უკრაინის უდიდესი მწერალი შეგნებულად შეხვდა ამ დიდ მოძრაობას რომელიც 1800 1870 წლებში დიდ წინააღმდეგობას უწევდა ბარბაროსულ რომანოვების დინასტიას (კ. გ.). 4. შვიდი რვა წლის ბიჭი დედას დაედევნა (ს. შ.). 5. აბულის ეკლესია ვნახეთ V VI საუკუნის ამბავია (გ. ტ.). 6. შესაძლებელია ამ ორი ტომის (VIII IX) გაერთიანება ერთ ტომად (გ. ტ.). 7.სადგურამდე დარჩა ათი თორმეტი კილომეტრი. 8. მათი წონაა 20 25 კილოგრამი. 9. მატარებელი თბილისი მოსკოვი დგას პირველ ლიანდაგზე. 10. მეცადინეობის განრიგია სექტემბერ დეკემბერი.

XII. 1. მარქს ენგელს ლენინის მოძღვრება. 2. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი. 3. გეოგრაფია გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი. 4. გაფრინდაშვილ ალექსანდრიას პარტია ყაიმით დამთავრდა.

ცნობისათვის. ტირეს (ტირეების) ფუნქცია წინადადებაში მრავალფეროვანია. ტირე ზოგჯერ ახმარება ორწერტილს, მძიმისა და ფრჩხილების ადგილზე.

ტირე დაისმის:

1. შემასმენლის გამოტოვებისას: ქოხში მარტო იმის ცოლშვილი იწვა, ქოხის ოქით — იმისი მოჯამაგირე (შ. ა.).

2. როცა შედგენილ შემასმენელში გამოტოვებულდ ზმნური ნაწილი (შესველ ზმნა): ნემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა (ა. წ.).

3. კავშირის გამოტოვებისას: ხელს მოუჭერ — დაიკუთვნებს, გაუშვებ და — გაჩუმდება (გ. ლ.).

4. განმაზოგადებელ სიტყვასთან შერწყმულ წინადადებაში, როცა განმაზოგადებელ სიტყვას უსწრებს ერთგვარი წევრები: ბავშვები, დედაკაცები, ხნიერები — ყველანი მოგროვდნენ (მ. ჯ.).

შენიშვნა. ერთგვარი წევრები ჩვეულებრივ ტირეებით გამოიყოფა, როცა ის ხასიათდება განმაზოგადებელ სიტყვასა და სინტაქსურად მასთან დაკავშირებულ სიტყვებს შორის: ასეთი მანქანები — გუთანი, სალეწი, გამანაირებელი და სხვ. — ამგვარად თბილისშიაც იწოვება (შ. დ.).

5. დანართის წინ, თუ დანართი წინადადების ბოლოშია; თუ დანართი წინადადების შუაშია, იგი თავისი ამხსნელი სიტყვებითურთ ორივე მხრიდან ტირეებით გამოიყოფა; მაგ.: აქ ერთი ძვირფასი მეცნარე სცენის მეორეს — უმთავრესად ჩაი და რაში (ტ. ტ.); რაზმს ჭიშკარშივე მოსხლტა ორი მხედარი — ყაფლანი და ელოზბარი — და უმალვე ეტლთან გაჩნდა (შ. ჯ.).

6. რამდენიმე მომდევნო განკერძოებული განსაზღვრების წინ: თვალები დედისა ჰქონდა — შავწყლიანი და შავწამწამა (ლ. გ.).

7. ჩართული სიტყვებისა და წინადადებების გამოსაყოფად, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის ვრცელია: იმ წუთებში ბეჟიას — ასე ეძახდნენ მწყემსს — ფრინველად გადაქცევა უნდოდა (ა. ყ.).

შენიშვნა. ჩართულის გამოსაყოფად ტირეებთან ერთად ზოგჯერ სვამენ მძიმეებსაც (მძიმე წინ უძღვის ტირეს): აი, იმ მთების სერებზე, — გაიშვირა მთებისაკენ ხელი, — სულ ჩვენებური ხალხის სოფლებიაო (ნ. კ.).

8. „ეს“ და „ეგ“ ნაცვალსახელების წინ, რომლებიც ცვლის წინამდებარე სახელობით ბრუნვაში დასმულ ქვემდებარეს ან პირდაპირ დამატებას: ხელოვნება — ეს ოქროა, მიწის გულში დამარხული (გ. ტ.).

9. ავტორის სიტყვების გამოსაყოფად, როცა ისინი პირდაპირ ნათქვამის შემდეგაა ან მის შიგნითაა მოქცეული (ჩვეულებრივ ტირესთან ერთად მძიმეც დასმის): — არ ვიცი, — მიუგო ქალმა (შ. შ.). — იცი, ნატო, რა უნდა გითხრა, — ყურშად დაიწყო აკმიამ, — აგრე არ იფიქრებს, დაო! (შ. შ.).

10. დიალოგებში პერსონაჟთა ნათქვამის გამოსაყოფად, რომელსაც ჩვეულებრივ ახალი სტრიქონი ეთმობა:

— გეტყობათ, გოგოებო, აქაურები არა ხართ.

— არა, ქალბატონო, — მიუგო ბაბუცამ, — სოფლელები ვართ...

— პატრონი არავინ ჩამოგყვათ?

— არა!..

— ობლები ხართ?

— არა!..

— მაშ რა ამბავია თქვენ თავსა? (ნ. ლ.).

11. სიტყვებს შორის, რომლებიც აღნიშნავს სივრცეს, დროს ან რაოდენობის შეჯნებს. მაგ.: V—VI სართულები, I—II კლასები, 60—70-იანი წლები, VIII—IX საუკუნეები, 15—16 წლის ყმაწვილი, მოსკოვ—თბილისის მატარებელი, ივლის— აგვისტოს არდადეგები.

12. საკუთარ სახელებს შორის, რომელთა ერთობლიობით დასახელებულია რა-

სავაჭრო 418. (გასამეორებელი). გადაიწერეთ, დასვით ტირე (ტირეები); აგრეთვე — სხვა საჭირო სასვენი ნიშნები.

1. წინ ხონჩით პური ედგათ ქაშანურის თეფშზე ცივად დანივრული დედალი (ვ. ფ.). 2. გვიბრძანე და სინათლეს სიბნელედ ვაქცევთ სიხარულს მწუხარებად დღეს ღამედ წყალს სისხლად სიცოცხლეს სიკვდილად... (თ. რ.). 3. შუა ქუჩაში ჩაჯდა მაგრამ თავი აღარ ჩაღუნა პირიქით ზეცას შეხედა (ლ. გ.). 4. ივი ცხოვრობს საქონლით ცხვრით და ძროხით (ვ. ფ.). 5. მთელმა ხალხმა იცის ეს ამბავი ერმაც და მთავრობამაც (მ. ჯ.). 6. შორიდანვე გავუღიმე და სალაში მივეცი უღრმესი თაყვანისა (მ. ჯ.). 7. არა ერთხელ მოუპარავს ღამით ხეზე დაბუდრებული მეზობლის ქათმები და სასიმინდიდან სიმინდი (ა. ქ.). 8. ყოჩაღი ბიჭია ზურაბი აზრიანი გამჭრიახი მხნე და გამძლე (მ. ჯ.). 9. ასეთი კაცის ბადიში პატარა ზაალი ამოდენა ხალხს შინაურსა და უცხოს უბრალოდ ვერ დაენახვებოდა (მ. ჯ.). 10. უბედურება კი ის არის ვერა აქვს მოწყობილი ცხოვრება (შ. დ.). 11. ამირინდო ერთხანად მსახიობად მოეწყო მაგრამ იქაც სთხოვეს მიბრძანებულიყო (ს. შ.). 12. ერთობა ივდითი ზურაბი მართა ყველანი დაშორდნენ (მ. ჯ.). 13. დანარჩენი სტუმრები ორბელიანები კნეინები ბერი შალვა და აზნაურები ფეხით წამოსულიყვნენ (მ. ჯ.). 14. ამ შვიდ ბარტყს ჰინკა ბიჭებს როგორც მათ ეძახდნენ ბუნებით დაწესებული ბავშვობა ხანმოკლე ჰქონდათ (ს. კ.). 15. თუ წელში გამართულა როდისმე ჩვენი ქვეყანა ეგ იმის მეფობის დროს გაიმართა (ი. ჭ.). 16. განსაკუთრებით მაინტერესებდა ფედერაციის გამომცემლობა ეს გამომცემლობა ახლახან დაარსდა (ტ. ტ.). 17. დიდი ბატონი ღმერთმა აცხონოს გულთბილი კაცი იყო (ი. ჭ.). 18. სიტყვას ადვილად არ მოგცემს მაგრამ თუ მოგცა კლდეა უტეხი (ნ. ლ.). 19. ეს ჩხიკვი როგორ კადნიერად და ურცხვად დამცინისო იფიქრა მელიამ (თ. რ.). 20. აქეთ ახლა მარჯვნივ მიახედა ქალიშვილები გოგიმ ცოტა უფრო მაღლა მოწამეთას მონასტერია მერვე საუკუნის ძეგლი (დ. კ.). 21. ... ამისათვის ცალკე რვეული დაახლოებით 150 200 გვერდიანი (გ. ტ.). 22. სახელი „შოთაც" სწორედ როგორც მეცნიერები გვარწმუნებენ ამ პროვინციაშია გავრცელებული X XII საუკუნეებში (ი. ა.).

23. ეხლა მაგას დაიჟინებ თართია-მეთქი

ორაგულია

ეჰ თართია თავი არ მომიკვდება არც ახლა დაიჯერებ

ორაგულია ორაგული დაიძახა კნეინამა
აბა საიდან იცი რომ ორაგულია
შენ საიდამღა იცი რომ თართია (ი. ჭ.).
24. დარეჯანი იქნებოდა 50 წლისა მაგრამ 30 35 წლისას ჰგავდა (ვ. ფ.).

ფრჩხილები

. სავარჯიშო 419. გადაიწერეთ, ჩასვით ფრჩხილებში სიტყვები ან წინადადებები და ასვით სხვა სასვენი ნიშნებიც.

I. 1. ჩვენც ჩვენის ადგილის დედის ხატის სადიდებელი უნდა დავლიოთ (ვ. ფ.). 2. როცა გაცვდებოდა ტყლაპს ნაჭერს წაუგებდა ერთი-ორი კვირა კიდევ მატაროსო (ს. შ.). 3. (ფშაველ) ქალს საშინაოდ აცვია ჯუბა შალის კაბა ფაფანაგი მოკლე ჩოხა და ტყავი (ვ. ფ.). 4. გამოიჩიჩქნეთ ყურები ძმებო ეჩიჩინებოდა წიპრია მზეწვია შეყრილ ჩიტებს (თ. რ.). 5. (მგლებმა) ვერა და ვერ მომწონეს შემბედეს (ვ. ფ.). 6. ორპირამდე მარნამდე ცხენით ვიარე (ა. წ.). 7. მიწაზედ მსხდომი ბელურების ბოინი გუნდი აიშალა (თ. რ.). 8. ასე ამზადებენ მდგნალსაც მთის ტირიფია და ზოგიერთ სხვა ფოთლიანი ხის მწვანე ტოტებს (ნ. კ.). 9. მე დავიბადე 1892 წელს ტობანიერში ქუთაისის მაზრა გურიის საზღვართან (გ. ტ.). 10. კულტურული მემკვიდრეობის შესახებ გამოვლენ ფორსტერი ინგლისი ბრეხტი გერმანია ეგონ-ერვინკიში გერმანია ლუპოლი ტოლსტოი საბჭოთა კავშირი ბენდა ლუი არაგონი გასო საფრანგეთი (გ. ტ.). 11. ეს ის დიმიტრი დავით აბაშიძეა ამბობს ავგუსტინე რომელიც ერთ დროს თბილისის სემინარიაში რექტორობდაო (ი. ა.). 12. შავი ზღვის ნაპირას ფაზისის მდინარის ბოლოს აწინდელი რიონი იყო ფაზის-ქალაქი აწინდელი ფოთი (ტ. ტ.). 13. იდგნენ რქიანი და იმისი ტოლი სულს იღებდნენ ჰაერს სუნთქავდნენ (თ. რ.). 14. მე რადგანაც ნამდვილი ზროები რკინისაა ისრის წვერზე დასაგები არა მქონდა თუნუქისა გავაკეთე (ვ. ფ.). 15. შამანდუხმა გამახარეს ღარადელა ჩირი და თხილი მისცა (ვ. ფ.). 16. ცინტაობა ცხვირის ცემინება არავის გაეგონა (ვ. ფ.). 17. საღი გონება ცხოვრების სწორე გზის მაჩვენებელია ხოლო სნეული გონება იგივე უგონებობა მრუდე გზისა (ვ. ფ.). 18. კედლები ან ალიზისაა გამოუწვავი აგურისა ან ბელტისა ან ქვიტკირისა ან ისე ყორეა (თ. რ.). 19. შემოდგომაზედ მუქთაჯამია კარუზები მამალი ფუტკარი დახოცეს და გადმოყარეს (თ. რ.). 20. როგორც ერთხელ სალახანამ ბიჭის სახელია ცოცხალს ნავთი დაასხა და მერე ცეცხლი წაუკიდა მეც ისე მინდოდა მეჭნა (თ. რ.). 21. ჩვენ-

ში თუ სამი აბაზი 60 კაპ. ღირდა ბორჩალო ყაზახ ახსტაფაში ორი მანეთი მაინც იყო (ნ. კ.).

II. 1. მეტისმეტი სასაცილო რა თქმა უნდა საზიზღარიც რამ არის ამ დროს არუთინა (ვ. ფ.). 2. გუბერნიის მარშალმა სიმონ წერეთელმა პირველმა რადგან იყო მეორე სიმონ წერეთელიც და ისიც მარშალი ჩამოიარა (შ. დ.). 3. მონოგრაფების ეს სქელტანიანი წიგნები 650—950 გვერდი თითოეულში შეეხება საქართველოსა და ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის დარგების მდგომარეობასა და განვითარების საკითხებს (კ. გ.). 4. იმ დასაქცევმა ყიყლიყომ ასე ეძახოდნენ მეტსახელად სოფლის მღვდელს გაუფრთხო ტკბილი სიზმარი... (ვ. ფ.). 5. ქალმა თავი ასწია თითქოს შეკრთა კიდეც თავი დახარა და გაიარა ნელი რხევით (მ. მ.). 6. — რეტიანი ყოფილა და რეტმა მოუარაო საქონლის ბნედას რეტს ეძახიან (თ. რ.). 7. დიახ დიდებულმა გმირმა მეფემ იკისრა მწვერვალიდგან დაბლა ჩამოსვლა და ვინ იცის სხვა რამდენ რასმე კისრულობდა მოიგონეთ ტოტლებენს რომ დაუჩოქა მხოლოდ იმ განზრახვით ერი გაეერთიანებინა და მით საქეყნო საქმე კეთილად წარემართა (ვ. ფ.). 8. მაგიდასთან სხედან და სამხრობენ თავადი შარავაშიძე და მისტერ ჯონ ჰაირტონ ამ ქაცს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით (მ. მ.). 9. დავითმა ასე ეძახდნენ ახალ გამგეს ფული გაუწოდა (დ. კ.). 10. ამ სიტყვებზე შემობრძანდა დიამბეგის მოადგილე ნამდვილი საავადმყოფოში იწვა და ჩაფრების ურიადნიკი ხმალ-ჩამოკანკურებულნი (ა. ყ.). 11. ეს მიმოხილვა დაბეჭდილია ჟურნ. „მნათობისა“, 1962, № 1 და ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების XIII ტომში მე საქმეს მიადევილებს (კ. გ.). 12. მეფის ტახტისაკენ ნახევარცერად ორი მაგიდა იდგა მარჯვნივ ელჩებისათვის მას ამჟამად არავინ უჯდა ხოლო მარცხნივ მეფის ოჯახისათვის (ლ. გ.).

ცნობისათვის. ფრჩხილები ერთი ნიშანია. ფრჩხილებში ჩასმის:

1. სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი, რომლებიც ხსნიან, განმარტავენ, აზუსტებენ წინა სიტყვის მნიშვნელობას: (შიშია) არაჟანშოხდილ ძროხის რძისაგან ამოწურულ კარსა (ყველს) ხრავდა (თ. რ.); იქვე ცეცხლთან იდგა ტაგანი (პატარა ქოდი), ლუდით სავსე (ვ. ფ.).

2. ჩართული სიტყვები და წინადადებები, რომლებიც იძლევიან დამატებით ცნობას, ახსნა-განმარტებას თუ შენიშვნას ძირითად წინადადებაში გამოთქმულ აზრთან დაკავშირებით: სანდროს (უკან მოდიოდა) მოისურვა გაჰას შველა (ნ. კ.); უკვე სადილობა გადასული იყო (სადილობა დილის პერის ჭამას ჰქვიან და სამხარა სადილს ქართლში), როცა ფეფეს გამოეღვიძა (თ. რ.).

შენიშვნა. ფრჩხილებში ჩაისმის:

ა) მსმენელთა რეაქცია სტენოგრაფიულ ანგარიშებში მომხსენებლის ან მოკამათის მიერ გამოთქმული ამა თუ იმ აზრისადმი. მაგ.: (ტაში), (მქუხარე ტაში), (სიცილი), (გამოცოცხლება დარბაზში), (მოძრაობა დარბაზში), (შეძახილები ადგილიდან — გაუმარჯოს მუშათა კლასს!) და სხვ.

ბ) ტექსტში მოყვანილ (დამოწმებულ) წყაროზე მითითება ციტატის ბოლოს (ავტორის გვარის და ნაწარმოების სათაურის, გამოცემის წელის, გვერდისა და სხვ. ჩვენებით). მაგ.: „არსად ისეთი დიდებული დასაფლავება არ იციან, როგორც საქართველოში“ (გ. ტაბიძე, წერილები, სიტყვები, მოგონებები..., ტ. III, 1975, გვ. 59).

გ) რემარკები დრამატულ ტექსტში: ფაცია (შემოდის მორთული): აი, მე მზად ვარ... (შ. დ.).

სავარჯიშო 420. (გასამეორებელი). გადაიწერეთ, ჩასვით ფრჩხილებში სიტყვები და წინადადებებ; დასვით სხვა სასვენი ნიშნებიც.

1. როცა გული დაიმშვიდა კურდღელზე ცუდი არა გაეგონა რა და აბა რად შეეშინდებოდა კურდღელს ჰკითხა (თ. რ.). 2. გამოდის გალაკტიონის ნაწერების III ტომი გამოცემა სახელგამისა. 3. გიულხანუმს ასე ეძახდნენ მოთამაშე მაიმუნს ყელზე რკინის წვრილი და გრძელი ჯაჭვი ჰქონდა მობმული (თ. რ.). 4. გოჩი როდესაც გაძღებოდა მუდამ მაძღარი იყო მაინც წამოჯდებოდა კლდის პირად და ათამაშებდა ძვლებს (ვ. ფ.). 5. მგლების ყმუილი უერთოდ არ ჩაძირდება ჩაივლის (თ. რ.). 6. მდიდარს წინწასულ კაცს ის ეძახის დავლათიანს იღბლიანს (ვ. ფ.). 7. ფაელო რაფაელი იმისი შვილიშვილი იყო (ვ. ფ.). 8. მგონი ერთ ტერფს თათს ქუსლიღა აქვს გადასახვევი (თ. რ.). 9. მელიას უნდოდა ბუდე ერთის ხელით თათით ჩამოეღო მაგრამ ბუდე მაღლა აღმოჩნდა (თ. რ.). 10. გუბერნატორის მიერ ქუჩებში გაკრულია განცხადებები სადაც ის ითხოვს რომ დაცალონ ქალაქში სასწავლებლების და საზოგადო დაწესებულებების საქმიანი ქაღალდები გეორგიევსკში ჩრდილო კავკასიაში გადაიტანონ (გ. ტ.). 11. ილიას მოკვლის წელს თუ ცოტა შემდეგ მეექვსე კლასის გიმნაზიელი ვიყავი ჟანდარმებმა გამჩხრიკეს (ს. შ.). 12. როცა ჯორი დასაპალნებული მიჰყავს კახეთიდან სულადით ან კულუხით ღვინით მაშინ მისი მოგზაურობა სწორედ კუს მგზავრობაა (ვ. ფ.). 13. იოთამმა გაწმინდა სისხლიანი ზრო ისარზე დასაგები წვეტიანი რკინა ჩაადგო საისრეში და წავიდა (ვ. ფ.). 14. გელენჯიკისა და სუჯუკ-კალეს აწინდელი ნოვოროსიისკი ზღვის ყურეში იყო ქალაქები ტოროკოსი და ბატა (ტ. ტ.). 15. ის ვისაც მისტერ ჰაირტონი უწოდეს ძველი ნაცნობია ჩვენი ჰგავდა წმინდა წყლის ამერიკელს (შ. შ.). 16. თქვენ ახლა ერთი ნიგზური მუგუზალი მომიტანეთ (ვ. ფ.). 17. დათო ხორცი ხომ ჩამოიტანე ბაზრიდამ იმ სოფელში ბაზარიც გახლდათ დიაღ

შენი ჭირიმე (ი. ჭ.). 18. გუბერნატორმა სარბევი ეკზეკუცია დანიშნა (ვ. ფ.). 19. შალვას თევზაობა უყვარდა ანკესით ნემსკავით (ვ. ფ.). 20. აქ თუ აქვთ სვავებს მუღარალი თავსაყრელი სასმელ-საჭმელი (თ. რ.). 21. „თეთრი ღუნერალიც“ მოსდევს ასე ეძახდნენ ვარანცოვს (ა. ყ.). 22. ბევრს ბრუციანს ბაჭიას ჩავარტყი ჩემი ბოკვი ნისკარტი გამოყუეჩებულ კოფრჩხოლიაში თავში (თ. რ.). 23. ძლივს არ გავისტუმრე ურმები ტყუილიც უყვარდა ჩვენს ლუარსაბსა ძლივს (ი. ჭ.). 24. ხალხი მოდის ლაშარითაო დღეობაა გაისმა სოფელში (ვ. ფ.). 25. მე და ჩემს ბიძაშვილს ქალს სხლოვანს სოფელია გარეთ დერეფანში გვეძინა (ვ. ფ.). 26. გოგლიაც პირქვე წამოყუნჭალავდებოდა წამოყირავდებოდა წაჰკრავდა ცხვირსა (თ. რ.). 27. მანქანა მის ტირიფის ჩრდილში დააყენეს (ნ. კ.). 28. ხმით მოთქმით დასტიროდა მამას გასათხოვარი ქალი (ვ. ფ.). 29. მშვილდი და კაპარჭი საისრე დედაბოძზე წნელით მიმაგრებულს რქაზე ჩამოჰკიდა (ვ. ფ.). 30. არგონავტების თქმულებაში კოლხიდა დასავლეთ საქართველო გამოყვანილია მაღალი კულტურის ქვეყნად (ი. ა).

ბ რ ჭ ყ ა ლ ე ბ ი

საკარჯიშო 121. ახსენით ბრჭყალებში ჩასმის ცალკეული შემთხვევები.

I: 1. ამ ლეგენდას მხარს უჭერს და თითქოს ადასტურებს ცნობილი ხალხური ლექსი, რომელიც ეპიგრაფად აქვს წამძღვარებული რომანს:

„ხეკორძულას წყალი მისვამს,
მცხეთა ისე ამიგია,
დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს,
რატომ კარგი აგიგია“ (ქართ. ლიტ. X კლ.).

2. ირ. აბაშიძეს უყვარს ლირიკული ინტონაციებით მოკვეთილი მოკლე ფრაზებით მოფერებითი მიმართვა, რომელიც ერთგვარი პოეტური დასკვნაც არის:

„აი რა არის ჩვენი მამული,
რა სიყვარულის ცეცხლით დამწვარი“ (იქვე).

3. ამის მიხედვით ჩვენთვის გასაგებია პოეტის სიტყვებიც:

„თუ ყველაფერი არის სიზმარი
თუ ბინდის ფერი არის ყოველი,
მაშინ რატომ დგას დღეს მცხეთის ჯვარი,
რატომ დგას ისევ სვეტიცხოველი?“ (იქვე).

4. მ. ჯავახიშვილი დასძენს: „აგრეა, გაწზე უნდა გადგენ და გზა ოძელაშვილებს უნდა დაუთმონ, გზა მეტად გრძელი, მათ მიერ ხანგრძლივად ნაცადი და უკვე ბოლომდე დალეწული“ (იქვე).

5. კარგად ამბობს პოეტი:

„ააყირავებს ეს წელი ათი
ათიათასი წლის ისტორიას“ (იქვე).

6. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ამ საკითხის შესახებ წერდა: „ჯერხანად ცნობილი VI საუკუნის ქართული დამწერლობის ძეგლები ისეთი მაღალხარისხოვანი კალიგრაფიული განვითარების საფეხურს წარმოადგენენ, რომ ქართული ანბანის დასაწყისი ხანა 7—8 საუკუნით უწინარეს არის საგულისხმებელი (ქართ. ლიტ., VIII კლ.). 7. მეფე ფინეზს მოურიდებლად ეუბნება: „მრავალნი მწყემსნი უმჯობეს არიან უგვანთა მეფეთა“ (იქვე). 8. ოთამი — კლდედ ქცეული, დაიწყებს გულამოკვნესით: „ვაჰმე, შვილები, ვაჰმე, შვილები!..“ (ვ. ფ.). 9. „მგონი, ბედი მწყალობს“, — გაიფიქრა კვერცხების მაძიებელმა და დერეფანში შეალაჯა (მ. ჯ.).

II. 1. ახალთაობა, ანუ სტუდენტობა, როგორც მაშინ ეძახდნენ, ეხვია „დროებას“ და ძველები „ცისკარში“ იწვევდნენ... 2. (ა. წ.) ამ ოცი წლის წინათ სასტუმრო „საქართველოში“ შეევედი სადილის საპმელად (ა. წ.) 3. ე. თაყაიშვილმა დაღუპვას გადაარჩინა უბრწყინვალესი საისტორიო ძეგლი „ხელმწიფის კარის გარიგება“ (ქ. გ). 4. „გრძელი სუფრული“ და „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“ მადიანად აჰყვა სახლის ბანებსა და ორღობეებს (მ. მ.). 5. ჭადრებთან თავმოყრილ ახალგაზრდებს ოთარი რესტორან „ბეთანიას“ და თავის მანქანას სთავაზობდა (მ. მ.). 6. ორკესტრმა ვიღაცის დაკვეთით „სამშობლო“ დაუკრა (მ. მ.). 7. შამქორი „ქართლის ცხოვრებიდან“ ცნობილია თამარ მეფის ბრძოლების ადგილად (ტ. ტ.) 8. გვაჩვენეს ოთახი, სადაც იწერებოდა „ომი და ზავი“; მეორე ოთახი, სადაც დაიწერა „ანა კარენინა“ (ტ. ტ.). 9. ცვაიგმა წაიკითხა მოხსენება „ტოლსტოი და ეპოქა“ (ტ. ტ.). 10. კ. ბოროზდინი ასე აგვიწერს ორპირში პირველი გემის — „აკერმანის“ შემოსვლას (ტ. ტ.). 11. მათ სწორედ აქ დათქვეს შეხვედრა ამ საღამოს და „ოტელოს“ ნახვა (მ. მ.). 12. მაყურებელმა დიდი ინტერესით ნახა ქართული კინო-ფილმი „ჯარისკაცის მამა“.

III. 1. ამირინდომ ვითომ ვერ გაიგო ზაქარიას ნათქვამი. არ უნდოდა „მზეთუნახავის“ ამბავი გაემჟღავნებინა (ს. შ.). 2. ერთხელ ანცაძემ ასეთი საქმე „მოაკვარახჩინა“ (ს. შ.). 3. შემობრუნდა ... ჯვარფიქალის კარში სარანგები შერჩევით უშვებდნენ ხალხს, — „წვრილ-

ფეხობა“ გარეთ რჩებოდა (ლ. გ.). 4. დედოფალმა სამი პატარა „კაცუნა“ შეამჩნია (ლ. გ.). 5. ცერა თითი ცალ ნესტოზე მიიდო და უფრო ხმიანად „ცალნესტოურად“ დააქუხა, მოიხოცა (ლ. გ.). 6. მდივნად მაიორის „თვალი“ ივანიჩა-აქლემი მოისვეს და ბრალდებული შემოიყვანეს (მ. ჯ.). 7. ნეტა მალე გათავდეს ეს უკადრისი საქმე, — ჩაილაპარაკა ლომოვმა. — რა ჯარის საქმეა აქ მშვიდობიანი ხალხის დარბევა! მაიორმა ჩალურ წვერში ჩაიბღვირა, რადგან „უკადრისი საქმე“ ეჩოთირა (მ. ჯ.). 8. ყინულის ამ ველებერთელა ზღვაზე მცენარეულით დაფარული პატარ-პატარა კუნძულები მოჩანდნენ. ეს „ზღვა“ მთლად უსიცოცხლო არ უნდა ყოფილიყო (ნ. კ.). 9. ტყეები ნაზად ირხევიან, ვით „ჩამოვლის“ დროს მოლეკურე მეგრელი ქალი (ნ. ლ.). 10. ჩვენს გამოურკვეველ მდგომარეობაში კი „გულის მოფხანა“, რჩევის ძებნა, ტყუილი, უმიზნო ლაპარაკი, უმაღლეს მოთხოვნილებას შეადგენდა (ნ. ლ.). 11. პაატას თავისი მეუღლეც, ლევანის დაც, მოეყვანა. „თავის სახლს“ მისული ქალი დამ და დედამ გულმხურვალედ მიიკრეს გულზე (ნ. ლ.). 12. „შავ ტყეში“ პარტიზანები იყვნენ და მათკენ მივისწრაფოდი (ა. ქ.). 13. დაგვესხნენ ფაშისტები და მოდიოდნენ ერთიმეორისაგან ათი ნაბიჯის მანძილით მწკრივგაშლილნი ავტომატებით, პატარა ტანკებით, და ასე „ვარცხნიდნენ“ ტყეს... (ა. ქ.).

14. — წაგაქციეს, სენი წირი მე, წაგაქციეს და მე რა გიყო!..

— ვინ წააქციეს, შე ძაღლის ლეკვო? — შეუტია მეჯინიბეს.

— ოსმა შეცდომა „შეისწორა“;

— მე წაგაქციეს, სენი წირი მე, მენა (მ. ჯ.).

15. ლუარსაბმაც კი იცოდა ბიჭების „დაწიოკება“, როგორც თითონ იტყოდა ხოლმე (ი. ჭ.).

IV. 1. კედლის განჯინიდან გოგორა პური — „ბუხანკა“ გამოიღო დედაბერმა (ა. ქ.). 2. სოფელში კიდევ კარგა ხანს ისმოდა „გარმოშკას“ ჭყვიტინი (მ. ჯ.). 3. ქართულ ლაპარაკში „პოჟოლუსტა“ და „ნიუქელის“ ხშირად ხმარობდა (შ. დ.). 4. მხოლოდ ხანდახან მოადგებიან მატარებელს „ბეზპრიზორნიკები“, მაგრამ მათი რიცხვიც თანდათან კლებულობს (ტ. ტ.). 5. აი, მე მხოლოდ ავაზაკ „ბუნტოვჩიკებს“ ვაპერინებ (თ. რ.). 6. ბეგი მიხვდა, რომ უცხოელის „კარასო“ რუსულ „ხარაშოს“ მაგიერი იყო (შ. დ.). 7. „ნაკოდობას“ ეძახდნენ ერთნაირ ძალმომრეობას, რომლითაც ყოველი მეპატრონე, დიდისა თუ მცირე მონაწილეობის მქონი, თანასწორად იჩემებდა საუკეთესო მთის ალაგებსა (გ. წ.). 8. ბოლოს და ბოლოს ამ მოუსვენარი შრომით ისე კარგად წაიყვანა საქმე, რომ „ნადელ“-ის მიწების შესყიდვასაც კი აპირებდა ნაბატონარ თხლეძირაძისაგან (ე. ნ.). 9. ამიტომ საჭი-

როა მავნე და შენიშნული კაცები თავიდან მოვიშოროთ, „პრიგავორი“ შეუდგინოს საზოგადოებამ და დასაჯოთო (ე. ნ.). 10. „მაცაფოთს ჩევირბენ, ამევიტან და მოგცემო“, ეუბნება გლეხი „ზბორშჩიკს“ ან ნაცვალს (ე. ნ.). 11. უკან სახლზე მიღობილ ფაცხაში „საფარეშოში“ კაზმავდნენ ლიზას ახალი ტანისამოსით (ე. ნ.). 12. ეგრეთ წოდებულ „კრუგოზორზე“ უნდა დავრჩეთ ამაღამ (ნ. კ.).

ცნობისათვის. ბრჭყალებში ჩაისმის:

1. უცვლელად, სიტყვასიტყვით მოყვანილი ციტატები, გამოთქმები, რომლებიც ეკუთვნის სხვას და არა ავტორს: შოთა რუსთაველმა თქვა: „გონიერსა მწერთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს“.

2. რაიმე საგნის, ორგანიზაციის, დაწესებულების, გაზეთების, ჟურნალების, ნაწარმოებების, კინო-ფილმების, სპექტაკლების, გემებისა და სხვათა სახელწოდებები: მისი „კვალი“ ფონს ვერ გავა ლაქუცით და კუდის ქნევით (ა. წ.).

3. ირონიულად გამოყენებული სიტყვები; აგრეთვე ჩვეულებრივისაგან განსხვავებული მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა (თუ სიტყვები): მისმა შვილმა მაოკრისა და ბატონის „თვალყურს“ ნაბუშარ გიგოლას შეჰკადრა, ჩვიდმეტი წლის ჰაბუკმა მოზრდილი კაცი გალახა (შ. ჯ.). ყოველ ხელოვნებას მრავალი განსხვავებული „წამებული“ ჰყავს მომხმარებელთა შორის (კ. გ.).

4. ლიტერატურაში დასაშვები ბარბარიზმები და მოძველებული სიტყვები: „იამშიგმა“ თავისი ძროხის თვალები ჩემსკენ მწყრალად მოაბრუნა (ი. ჭ.); „ძიძაობა“ და ყმაწვილის სოფელში გაბარება ისტორიული ჩვეულება იყო ჩვენს ქვეყანაში (ა. წ.).

შენიშვნა. ბრჭყალებში არ ჩაისმის სიტყვა „სახელობის“ შემცველი სახელწოდებანი: ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი; თბილისის ს. ს. ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი და სხვ.

სავარჯიშო 422. (გასამეორებელი). გადაიწერეთ, ჩასვით ბრჭყალებში სიტყვები და წინადადებები; დასვით სხვა სასვენი ნიშნებიც.

1. ეს სკოლა გაშენებულია მთაზე რომელსაც თურმე წინათ ლოთის მთა ერქვა რადგან ამ ადგილას იყო აშენებული კაბაკი და ხალხიც განუწყვეტლივ ლოთობდა (ტ. ტ.). 2. ამ მხრივ ფრიად საგულისხმო შრომა გამოაქვეყნა ამ რამდენიმე წლის წინათ სტეფანე მენთეშაშვილმა ქიზიყური ენის ლექსიკონი (კ. გ.). 3. ეტაეერის თაროები ივერიის მოამბის და სხვა ჟურნალ-გაზეთების სრული კომპლექტით იყო დატვირთული (ა. ქ.). 4. ისტორიული პოემა მეფე დიმიტრი თავდადებული ილიამ დაწერა 1877—1878 წლებში 5. ის ნაჩუქრობის ქაღალდი ამ 7 8 წლის წინათ ვნახე ძაღლიკას შვილი-

შვილის ხელში (ვ. ფ.). 6. იქვეა გადაშლილი თ. დოსტოევსკის რომანი ძმები კარამაზოვები (ტ. ტ.). 7. იმავე საუკუნის 70—80-იან წლებში შეიქმნა ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული რომანი წამება წმინდისა შუშანიკისი (ი. ა.). 8. როზგი ამ ბოლო დროს შემოიღეს თორემ ადრე ქართველებმა მისი სახელიც არ იცოდნენ (ა. წ.). 9. გამომიდგნენ სტოროჟები წინ მე გავრბოდი კურდღელივით და უკან ისინი მომდევდნენ კიჟინით (ა. წ.). 10. ყოველი ქართველი პატრიოტის აზრი და განწყობილებაა გამოთქმული პოეტის სიტყვებში:

მშობლიურო ჩემო მიწავ
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ
რომ დავიცავ შენს მიღწეებს
შენი დროშის ფერს დავიცავ

(მშობლიურო ჩემო მიწავ), (ქართ. ლიტ. X კლ.).

11. სულხან-საბა ორბელიანის წიგნი სიბრძნე სიცრუისა მრავალ მშვენიერ იგავ-არაკებს შეიცავს ასეთებია მელი მოძღვრად მოხერხებული მხატვარი სოფლის მაშენებელნი და სხვ. მრავ. 12. სიკვდილის წინ მან (ბეკინამ) მოიხმო თავისი პლატონი აცრემლებული თვალებით უკანასკნელად მიტევება სთხოვა მისი სისულელისათვის უბკუობისათვის და შავ-დღეზე გაჩენილი ძმის უდანაშაულო ჩვილის შებრალებას ევედრებოდა (დ. კლდ.). 13. საქმე კარგად წავიდა ფული რიგიანად შემოუდიოდა მუდამ ჰყავდა თითო სოფელი საჭმელად (დ. კლდ.). 14. მართალია მოჭმულ ადგილებში ბევრი მაგინებელი და შემაჩვენებელი ჰყავდა მაგრამ ბევრი მადლიერიც (დ. კლდ.). 15. სონია არ ეშვებოდა თავის მხრივაც ურჩევდა საყვარელ ამხანაგს, უსათუოდ წაემატებინა დანაკლისი და ამორჩეულ ფასონზე შეეკერა რუბაშკა (დ. კლდ.). 16. საჭირო იყო ისეთი რამ ხერხის ხმარება რომ ბეკინას გულის წადილის ასრულებასთან პლატონი იმედიანად ყოფილიყო რომ თავის მიწის ორიოდე ნაფლეთი უკლებლივ შერჩენოდა და დღესაც მის გასაძღომად ძლივს საკმარისი ლუკმა ორად არ გაჰყოფოდა... მისი ტკივილის ბორბალივით მოუსვენრად ბრუნავდა რომ რაიმე ხერხი მოეგონა ძმურად არ გაჰყოფოდა მისი სიმდიდრე (დ. კლდ.). 17. საინტერესოა ავეტიქა სოვდაგრის ქალიშვილის იერემია წარბას საცოლის შემკობა (ქართ. ლიტ., IX კლ.). 18. სვეტზე ჩვენი მოსვლა უკვე ბევრს გაუგია სოფელში ზოგნი მოვიდნენ გვინახულეს განწირულნი ხელაღებულნი (ლ. გ.). 19. ალექსანდრემ შავი თოკის ჩაშვება იწყო ქვემოთ ვახტანგი იცდის და იწვის (ლ. გ.).

20. ალაზნის ტალღას ტაატივით აჰყვა სუფრას გრძელი კახური (მ. მ.). 21. სამი და ოთხი ძალიან ძვირობდა მთელი კლასის ჟურნალი იერემიას სახელობაზე ორით იყო აჭრელებული ერთებიც ხშირად ჰქონდა (გ. წ.).

სასვენი ნიშნები პირდაპირ ნათქვამთან

ბავარჯიშო 428. გადაიწერეთ, აღადგინეთ სასვენი ნიშნები.

I. 1. ავდექი და გენერალს განვუცხადე ნება მიბოძეთ იერიში მივიტანო და ავიღო უსახელო სიმაღლე (ა. ჭ.). 2. კარმენი ტორეადორისაკენ მიისწრაფვის და ცირკის კარებთან მდგარ დონ ხოზეს ეუბნება ან მომკალ ან გზა მომეცი ხოზე კვლავ ემუდარება კარმენ ჯერ კიდევ დრო გვაქვს (ა. ჭ.). 3. ნოდარის უკანასკნელი სიტყვები მომაგონდა როდემდე უნდა იყო ჩემ ხარჯზე (ა. ჭ.). 4. შაქრო კარების მისახურად მიტრიალდა მაგრამ ამ დროს მაგდანას ხმა შემოესმა აბა თუ მოერევი ჩემო დათა შემოიტანე (შ. ა.). 5. ამ დროს მოისმა საზარელი ყვირილი ბანკის ზალიდან ბატონებო რას მერჩით რა დავაშავე რა გინდათ ჩემგან... (გ. წ.). 6. ყურში თითქო ნაცნობი ბოშა ქალი კარმენი ჩასძახოდა გავსწიოთ იქ იქ მშობლიურ მთებში (ა. ჭ.). 7. სატევრის ტარზე ხელს იტაცებდა და ატყოდა ჩვენ კვლავ შევხვედებით (ა. ჭ.).

II. 1. ალბათ საპატიო სტუმარს ელიან ფიქრობდა სათინო (ლ. გ). 2. მამაკაცები მოდიან ხელების საულვაშეზე ასმით ანიშნეს მოსულებს (ლ. გ.). 3. როგორც ზოსიმე სახარებას ისე კითხულობს დავითი ნალეკარ ბილიკს იტყოდა ხოლმე მის შესახებ ალექსანდრე (ლ. გ.). 4. რა ვუყოთ მერე რა დაშავდება იმით რომ უთქმელ და გაუბედავ ახალგაზრდას პირველად მე გავუხსნა გული ფიქრობდა ლალისა (დ. კ.). 5. მამის ხნის რომ გახდება გოგიც ასევე დინჯი და დარბაისელი მამაკაცი იქნება გაიფიქრა მარინემ (დ. კ.). 6. რა ამბავია ეს დიდება შენს სახელს ღმერთო გაიფიქრა ექიმ (ა. ჭ.). 7. როგორ დამწამა მლიქვნელობა ამბობდა თავის გულში და თანდათან ბრაზი ერეოდა (ლ. ჭ.).

III. 1. იქ მაინც არ ამეყვანა მე ტიალს ეს ავადმყოფი ბალღი როგორ ვერ ვუთხარი უარი უსაყვედურებდა თავის თავს ნატო და ამ დანაშაულით იასკეცებდა დარდს (მ. მ.). 2. არა ერთი რომ ჩაიბეროს რა იქნება ჰა მეასეჯერ ეკითხებოდა თავის თავს და უმალვე ცივ უარს ეუბნებოდა (ლ. გ.). 3. ჩვენ კიდევ ვიმღერებთ და ვითამაშებთ შესძახებდა თავისავე თავის ანარეკლს თითქო თავის თავს ებრძვისო (ა. ჭ.). 4. იმ ქალს ეს მუჟიკი მეცილება ბოღმით ივსება ბასილაც და ჭაგარიეით წითლდება (შ. ჯ.). 5. რა უბედურებაა იძახიან მეორენი (ი. ე.).

IV. 1. ეს რა არის აიღო ხელში რვეული
ვერ ხედავ რა არის ხელნაწერია
ვისი შენი
აბა ვისი იქნება ხელოვნური გულგრილობით ვეუბნები მე და ღია ფანჯარაში ვიცქირები
მოთხრობა არის
ჰო მოთხრობაა
სთარგმნე თარგმანი იქნება ხომ
არა იულია ორიგინალია ვუთხარი მე (ჭ. ლ.).
2. შემოვიდა მღედელი
მშვიდობა სახლსა ამას სთქვა და გაჩერდა
დაბრძანდი მამაო უბრძანა ერისთავმა და მიუთითა სელზე
რაღაც უცნაური სიზმარი გინახავს
უფრო ჩვენება ვიდრე სიზმარი ჩემო ბატონო
ხალხი კი გადაგირევია და
არ მინდოდა გამხელა მაგრამ პარაკლისი რომ გადავიხადე მიზეზი მკითხეს და ვეღარ დავფიცე
რა იყო მაინც მაგისთანა
მართლა რომ საოცარი რამ (დიალოგი გრძელდება) (ა. წ.).
3. შინისაკენ რომ მიდიოდნენ იონამ ჰკითხა ვახტანგს
შენ ვისთან ამხანაგობ
ყველასთან
მაინც მაინც
ხომ გითხარი ყველასთან-მეთქი
მეგობარი არა გყავს
როგორ არა
მაინც ვინ
ყველანი ჩემი მეგობრები არიან
მეგობარი კარგია თქვა იონამ
ხო მე კარგი მეგობრები მყავს (თ. ჭ.).
V. 1. იმასაც ამბობენ ჩაურთო უცებ არსენამ რომ მალე ძალიან ბევრი ხალხი უნდა დაიჭირონ და გააციმბირონო (მ. ჯ.). 2. აბა ახლა კი გაფრინდი ჩიტუნიავ მიმართა მან ბელურას შენს საყვარელ ტყეს მიდორ-ველს და ჭალებს დაუბრუნდი... (ლ. ქ.). 3. მე ვამბობ ბეჯითად განაცხადა ყარამანმა რომ ქვა სწორედ იმ ადგილას უხვევს მეორე ქვაბულისაკენ (ლ. ქ.). 4. მე უძალო ქალი ვარ ჰფიქრობდა მარინე და ქვეყნის გზა-კვალისა არაფერი გამეგება (მ. ჯ.). 5. ნიკოჯან იცი რას გეტყვი ჩაერია ლევანი მოდი შენ და ზურაბი დანათესავდით (მ. ჯ.). 6. არა უკაცრავად სრულიად არა ცხარობდა ანტუშა მე სწავლის

და წიგნის წინაალმდეგი არ გახლავარ (ა. ქ.). 7. ცოტა გამაგრდით მეგობრებო ცოტა ხანს ყვიროდა იგი და თოკს იხსნიდა აქეთ საჭირო ღარ არის მანდ დარჩით (ლ. გ.). 8. მიკრძალავთ შეუყვირა ელიკომ შე მიკრძალავთ (ს. შ.). 9. მაგრამ ვინ უნდა გავუგზავნოთ იკითხა ასტრამ ყველანი ისე დაღლილები ვართ იქამდე ვერ მივაღწევთ (ტ. ტ.). 10. დაბომბვა დაბომბვას გააჩნია გაუსწორა ბარნაბამ ჩვენ გაშლილ მინდორზე ლაშქრობის დროს ... გვიყელეს ფაშისტებმა (ა. ქ.).

ცნობისათვის. პირდაპირი ნათქვამი ტირეთი ან ბრუყალებით გამოიყოფა.

1. ორწერტილი დაისმის ავტორის სიტყვების შემდეგ, თუ იგი უსწრებს პირდაპირ ნათქვამს: სატევრის ტარზე ხელს იტაცებდა და იტყოდა: „ჩვენ კვლავ შევხვდებით“ (ა. ქ.).

2. ავტორის სიტყვების წინ მძიმე და ტირე დაისმის, თუ იგი მოსდევს პირდაპირ ნათქვამს: „დავიღუპეთ სულელანი“, — გაიფიქრა ლევანმა (შ. მ.).

3. კითხვის, ძახილის ან კითხვით-ძახილის შინაარსის შემცველი პირდაპირი ნათქვამის შემდეგ იწერება სათანადო სასვენი ნიშანი და ტირე: „ხომ არა ეწყინა-რა ჩემგან?“ — ფიქრობდა ქალი (შ. მ.); „ცხოვრებაც ასეთივე თავაწყვეტილი შდინარეა“ — გაიფიქრა აქიმამ (შ. მ.); „ის გოგო უნდა წამართვას?!“ — ბრაზს ოგუბებს ზაალიც და საბერველიგით პხენეშის (შ. ჯ.).

შენიშვნა. სხვათა სიტყვის ო ნაწილაკდართული პირდაპირი ნათქვამის ბრუყალებში ჩასმა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, რომ იგი სხვისი ნათქვამია: „კაცი ბჟობდა, ღმერთი იცინოდაო“.

4. პირდაპირი ნათქვამი დიალოგში ახალი აბზაცით იწყება და მის წინ ტირე იწერება. (მაშინ ბრუყალები საჭირო ღარ არის):

— ჩემთან ბრძანდებით? — ღიმილით იკითხა მან.
— ჩვენ თამარ როდიონოვას ვახვი გვინდა.
— მე გახლავართ!
— თქვენ?
— მე ვარ თამარ როდიონოვა, მობრძანდით!
— თუ არ შეწუხდებით, მხოლოდ ორი წუთით შემოვალთ.
— მობრძანდით, მობრძანდით! (დ. კ.).

5. როცა ავტორის სიტყვები მოქცეულია პირდაპირ ნათქვამის შიგნით, გასარჩევია რამდენიმე შემთხვევა:

ა) ავტორის სიტყვები მძიმითა და ტირეთი გამოიყოფა, როცა იგი პირდაპირ ნათქვამში ჩართულია ამ ადგილას, სადაც მისი ჩართვის გარეშე ან საერთოდ არაა სასვენი ნიშანი, ანდა საჭიროა მძიმე, წერტილ-მძიმე, ტირე, ორწერტილი: — ამას წინათ, — განაგრძე მე, — ზოოლოგიური ბაღის რკინის გალიაში დამწყვდეული ვეება ვეფხვი ვნახე (ა. ქ.); — ომი უწინაც გვქონია, — იძახის ქალთარაც, — მაგრამ ასე ულვთოდ გამარჯვებულ თათარსაც არ ავუკლივართ (შ. ჯ.); — კაცი ბჟობდა, ღმერთი იცინოდაო, — მიუგო დომბრივმ, — მაგ საქმეს თქვენზე უკეთ რევოლუცია შეასრულებს (შ. ჯ.).

ბ) თუ ავტორის სიტყვები ჩართულია იქ, სადაც მისი ჩართვის გარეშე წერტილია საჭირო, მაშინ ავტორის სიტყვების წინ იწერება მძიმე და ტირე, შემ-

დეგ — წერტილი და ტირე: — გვიან არის, — თქვა საავგაჩოვმა და მთქნარებით გაიზმორა. — ღამე ნებისა! (დ. შ.).

გ) თუ ავტორის სიტყვების ჩასმის ადგილას პირდაპირ ნათქვამში მის ჩაუსმელად საჭიროა ძახილის ნიშანი, კითხვის ნიშანი ან კითხვა-ძახილისა, მაშინ ავტორის სიტყვების წინ სათანადო ნიშანი დარჩება, ხოლო შემდეგ წერტილი და ტირე დაიწერება: — ტომირანდა არასოდეს არ დათანხმდება ასეთ სისულელეზე! — მოისმა ქუხილივით ხმა ტომირანდასი. — არასოდეს ასე არ დავმცირდები, რომ მივმართო იმ ხალხს, რომელიც მე მეზიზღება (ტ. ტ.); — შენ ლაპარაკობ ჩვენზე? — ძლივს დაილუღლუღა მგზავრმა. — განა შენ არ ხარ ღამის ღმერთქალი? (ტ. ტ.); ვინ კითხულობს სინათლეს?! — კითხულობდა ზიზღით და მუქარით ტარტაროზი. — არ გეყოთ, რომ მზის შუქი მუქად გეძლევათ და დილიდან სალამომდე ნება გაქვთ მოიხმაროთ, როგორც გნებავთ (თ. რ.).

შენიშვნა. პირდაპირ ნათქვამში ჩართული ავტორის სიტყვების შემდეგ ორწერტილი და ტირე იწერება იმ შემთხვევაში, თუ ავტორის სიტყვებში არის ორი ზმნა და მათგან პირველი პირდაპირი ნათქვამის პირველ ნაწილს ეხება, ხოლო მეორე — მეორე ნაწილს: „ჩვენებიანთ ნიკა უნდა იყოს!" — გაიფიქრა მან და გაკვირვებით წაიღუღუნა: — დავატკაცებულა ბალღი! (მ. მ.).

სავარჯიშო 424. (ვასამეორებელი). გადაიწერეთ, დასვით საჭირო სასვენი ნიშნები.

1. მოაგონდა სოფელში ვახშმობის დროს გიორგის მიერ თქმული სიტყვები ვანოს სიცოცხლე ყოველი ქართველისათვის არის საჭირო და სასარგებლო (ა. ქ.). 2. გიორგი ლომიძე ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში არ მუშაობს მისწერა მოსკოვს და ამის შემდეგ ბარათი აღარ გამოჩენილა (დ. კ.). 3. ქინაქინა წამოიძახა უცებ გახარებულმა მიხამ (დ. შ.). 4. აჰა ღმერთო რას გადამეკიდა ბერი პაპა კილო-ჰანგებს შორის ფიქრიც ეხირებოდა ყმაწვილს (ლ. გ.). 5. ალბათ დილით ინებებს ბერდიდის ჩამოწვევას ფიქრობდა ჯანდიერი (ლ. გ.). 6. ეს არის ჩემი ბედი გაიფიქრა და თავადაც შემკრთალმა თავი დახარა (ლ. გ.).

7. შენ ტყვია ბიგზვდა ხელში თუ ნამსხვრევი ჰკითხა ოთარმა ბარნაბს

ნამსხვრევი

მეც ნალმსატყორცნით დამჭრეს

მე საჰაერო თავდასხმის დროს დავიჭერი ორ თავდასხმას გადავურჩი მესამეზე კი ბედმა მიმტყუნა.

დაბომბვაზე საშინელი მართლაც არაფერი არის გაუსწორა ბარნაბმა (ა. ქ.).

8. იმ ცხრა ძმამ ბირნათლად მოიხადა ვალი განაგრძო ცალთვალას შვილმა მტერს მტრულად დაუხვდნენ და თავი შეაკლეს (მ. ჯ.). 9. შესდექით დასჭყივლა არსენამ ფეხი არ დასძრათ (მ. ჯ.). 10. ბა-

ტონო გაგვაგებინეთ ზაალს ხომ ჰკითხეთ ჩაილაპარაკა ლაცაბიძემ რა პასუხი მოგახსენათ (მ. ჯ.). 11. მორჩა ყველაფერი ამბობდა ჭრიალა ისევ ჩემი ყოჩაღობა თუ დამიფარავს თორემ სხვა ხსნა არ არის (თ. რ.). 12. წავიდეთ თქვა ხომენკომ და ფეხს რომ აუჩქარა მაშინ დაუმატა საცაა ინათებს (დ. შ.). 13. არა მტკიცედ დარწმუნებით წამოიძახა ვეფხვაძემ ეგ ცნობა ნამდვილია (ს. შ.). 14. მაშ შენ ჯიუტობ უთხრა მკაცრად ნოშრევანმა ჯიუტობ (ს. შ.). 15. ისე აცივდა მოხუცები ამბობდნენ წყალში პირველი ყინული ჩავარდაო (ა. ქ.).

რამდენიმე სასვენი ნიშანი ერთად

სავარჯიშო 425. ახსენით, როგორია მიმართება სასვენ ნიშნებს შორის ადგილს მიხედვით, როცა ისინი ერთადაა.

I. 1. ჩვენი მოსვლის მიზანია, — თქვა ემისარმა, — აგრარული რეფორმის საბოლოოდ გატარება ამ რაიონში. (ს. შ.). 2. — სამი და ათი შაური, — მიუგო პეტრემ, — აქ, შვილო, სავალალო ეგ კი არ არის, მაგას ვინა ჩივის. ეგ სირცხვილი როგორ ვჭამო... (ი. ჭ.). 3. — მეც არ დამვიწყნია არაფერი,—გაათავა ტომირანდამ,—და არც არავის ვაპატიებ (ტ. ტ.). 4. — ციცინო და ჩემი ბეჟანიც წყალში რომ არ ჩასულიყვნენ, — შენიშნა იონამ მანანას, — შენი საყვარელი ყავარჯენი არხიდან თავისთავად ხომ არ ამოფრინდებოდა! (ა. ქ.).

II. 1. ჯერ კიდევ სტუდენტი იყავ, როცა საინტერესო ნარკვევებს ათავსებდა გაზეთ „თბილისში“. თქვეს ძველებური „მრავალეტაჟიერი“, რაჭული „დალიე“, „ჩარირამა“, „მასპინძელსა მხიარულსა“... (ა. ქ.). 3. გვიჩვენეს ოთახი, სადაც იწერებოდა „ომი და ზავი“; მეორე ოთახი, სადაც დაიწერა „ანა კარენინა“ (ტ. ტ.). 4. ეს გრძნობა შესანიშნავად არის გამოხატული აგრეთვე ერთ-ერთ შესანიშნავ ლექსში — „პოეტის საქმე“: „ჩემო ქვეყანავ, დამსვი პოეტად, შენი შრომის და მიწის საქებრად“... (გ. ტ.). 5. გამოსაყენებლად ძველ „ტყის ხორცს“ — მერქანს იყენებს, სწვავს დანარჩენ ყველოსა და ნაფოტს (ლ. გ.).

III. 1. (ზალიკომ) იქვე ორღობეში შეუხვია, რომ გზაზე სხვა ნაცნობი არ შეხვედროდა და არ დაეძახნა: „ჩალიაანთ ზალიკოს გაუმარჯოს!“ (ს. შ.). 2. — ამირინდო გახარებული უსმენდა, მაგრამ „მხოლოდ“ რომ თქვა, შეფიქრიანდა — რა „მხოლოდ?“ თქვი და დაათავე! (ს. შ.). 3. „ბაბალე, აკი გითხარ, რომ არ მიმიღებდა?!“ (ა. წ.). 4. (ვანომ) ესოდენ ნაცნობი, საამური, კაეშნით და მწუხარებით სავსე ხმით გაიბა: „თავო ჩემო, ბედი არ გიწერია...“ (ა. ქ.). 5. რას

ნიშნავს აქ სიტყვა „ფინანსიური?“ (ი. ჭ.). 6. მე ვეკითხები, ხალხი სად არის—მეთქი და ეს კი გაიძახის: „ბატონო ნაჩალნიკო“... (ლ. ქ.). 7. უკვდავია ქართული პოეზიის მშვენება შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

IV. 1. ჩვენს სოფელში ფართოდ იყო გავრცელებული ზედმეტი სახელი, რომელიც ხშირად გამოსახავდა ადამიანის თვისებას: სიხარბეს (მგელი), ეშმაკობას (კუდიანი), სიჯიუტეს (ჯიქი), გარეგნობას (ნიკორა, ყურა, ჯაგრია)... (ნ. კ.). 2. აიარეს სოფ. ჭარები, სნეკვები (ზემო და ქვემო სნეკვი) (ნ. კ.). 3. ხევისბერი იტყოდა: „ვინც მართალი დამალოს და არა თქვას, გაუწყრეს ეგ ჩვენი ბატონის მადლი და დავლათი და ეგ თასივით დაიღვაროს იმის ოჯახი (დააქცევდა თასს); ეგ სანთელივით გაჭრეს იმისი სახსენებელი დედამიწის ზურგზეითა (ვ. ფ.). 4. I პირი მფლობელი ირიბია, მესამე კი (ცხენს) — კუთვნილი (ლ. კ.). 5. თუ ატრიბუტულ განსაზღვრებად კუთვნილებითი ნაცვალსახელია, მაშინ მიცემითსა და ვითარებითში ბრუნვის ნიშნის დართვა აუცილებელია (რომ არ აირიოს პირის ნაცვალსახელში): ჩემს ამხანაგს, შენს ამხანაგს, ჩვენს ამხანაგს, თქვენს ამხანაგს... (ლ. კ.).

V. 1. სხვა ბავშვებისაგან განსხვავებთი, არ მეთამაშა ეზოში, ემჯდარიყავი შინ (როგორი წყნარი ბავშვიაო!), ჩამალული ხავერდგადაკრულ სავარძელში (თ. ჭ.). 2. დამწყები მწერალი ვიყავი და მოთხრობებს იშვიათად მიბეჭდავდნენ (ნუთუ მართლა იყო ეს დრო?), ფანტასტიკურ ლიტერატურას ამრეზით ვუყურებდი, ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ როდისმე ამ საქმეს მოვკიდებდი ხელს (თ. ჭ.). 3. ჩვენში კი ყოველი დღე სავსეა ახალი ადამიანებით, შესანიშნავი მოვლენებით (გიგანტური ზრდაა). (გ. ტ.). 4. სხვა ენებში (რუსულში, გერმანულში...) ამ ურთიერთობას შეთანხმებად მიიჩნევენ (ლ. კ.). 5. მოსემ ხელნაწერი თავის უზარმაზარ პორტფელში გადაუშვა (რედაქცია — ეს პორტფელი იყო) ... (გ. ტ.). 6. — რას გვერჩი ლანძღვას... ქორთუ (ქართველო)? (გ. წ.).

VI. 1. გ. ტაბიძე დ. კლდიაშვილის შესახებ წერს: „როდესაც ხელში ვიღებთ დავიდ კლდიაშვილის წიგნს, არ შეიძლება არ გავიფიქროთ: აი, კლდიაშვილი, განუმეორებლად მეტყველი, თავისებური კოლორიტით მწერალი“ (გ. ტაბიძე, ტ. XII, 1975 წ., გვ. 157). 2. ტ. ტაბიძე მოხუც ლ. ტოლსტოის შესახებ გვაცნობს შემდეგს: „83 წლის კაცი სიკვდილის წინ ჯერ კიდევ გლეხებთან ერთად მუშაობდა, ცხენზე ჩერქეზივით იჯდა და ერთხელაც არ შეშინებია; მისი რკინის აგებულება ყველაფერს იტანდა“ (ტ. ტაბიძე, ტ. III, 1966 წ. გვ. 29).

ცნობისათვის. 1. მძიმისა და ტირეს ერთად ხმარებისას ჯერ დაისმის მძიმე, შემდეგ — ტირე: — მართალია, პაპამისი იტალიელი ყოფილა, — მიუგო გიგომ, — მაგრამ ის უაბუკობისას ჩამოსულა საქართველოში (ა. ჭ.).

2. როცა წერტილი, მძიმე, წერტილ-მძიმე, ორწერტილი ან ტირე ბრჭყალებთან ერთადაა, ისინი მხოლოდ დახურული ბრჭყალების შემდეგ დაისმის: ცეესის ბინოკლი მოვიხსენი და ვუთხარი ექიმს: „მე ამაღამ მივდივარ სვანეთს და ეს ბინოკლი შენთან ძლვნად მომჩნდა“. გავიხსენოთ მისი სპექტაკლები — „კაკალ გულში“, „როგორ“, „თეთრები“, „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“, „ცხვრის წყარო“, „ურიელ აჯოსტა“, „ყვარყვარე თუთაბერი“ (ი. ა.); „მარტინ იდენი“ და „ზღვის მგელი“ — შესანიშნავი მოთხრობებია, დაუვიწყარია (გ. ტ.); — „ასეთი ზედსართავი უმეტესად ზმნური წარმოშობისაა“: სავსე, მაძღარი, მართალი... (ლ. კ.); ბავშვობიდანვე დაფიცებული ვიყავით არ მოგვეკლა არც ერთი ტოროლა, რადგან ვიცოდით „საწუალი ღმის მეხრისა ის არის კარგი მამალი“; მაგრამ ბევრი ტოროლა არ გვინახავს (ტ. ტ.).

3. კითხვის, ძახილის ან კითხვა-ძახილის ნიშნები და მრავალწერტილი დაისმის როგორც ბოლო ბრჭყალების წინ, ისე შემდეგ:

ა) ბოლო ბრჭყალების წინ, თუ იგი განეკუთვნება იმ სიტყვას ან სიტყვებს, რომლებიც ბრჭყალებშია მოქცეული: ესმას თავის სიცოცხლეში პირველად მოესმა შემდეგი სიტყვები, ბოხი ხმით წარმოთქმული: „ნეტაშე ეს ლამაზი ქალი ვინ არის?“ (გ. წ.); „ლეკის გოგო საქართველოს დედოფლად!“ — ვერ იქნა, ვეღარ მოიშორა ლევანმა ეს ხმა (გ. ბ.); რად გიკვირთ, როცა ჩვენს მფარველს ცხარის ცრემლითა ესტირითა?!“ (ვ. ფ.); „ზვიადაურო, ძმობილო, რად არ მაჩვენებ შენ სახეს?!“ (ვ. ფ.); სულხანი ასკვნის: „ნახა მეფემან და მოისმინა სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი, დიდად მოეწონა...“ (ქართ. ლიტ., VIII კლ.); „როგორ მოგწონს, მამობილო?!“ — მკითხა ალმა (ვ. ფ.).

ბ) დაისმის ბოლო ბრჭყალების შემდეგ, თუ იგი ბრჭყალებში ჩასმულ სიტყვებთან ერთად განეკუთვნება მთელ წინადადებას: „ვირს მაშ რა უნდა ჰკადროს კაცმა, თუ არ „აცეობა“, „აჩიობა“? (ვ. ფ.); გაკრა, დაიკარგა ჩემი „თვალლამაზი“... (ვ. ფ.); კინოხელოვნების უმშვენიერესი ნიმუშია ქართული ფილმი „ნაბიჭვრებისაკენ“!

4. არც გახსნილი და არც დახურული ფრჩხილების წინ არ დაისმის: წერტილი, მძიმე, წერტილ-მძიმე, ორწერტილი და ტირე; ისინი დაისმის მხოლოდ დახურული ფრჩხილების შემდეგ: როდესაც აწყობილი ჩონგური მიეცა, ციცინო დიდხანს მისჩერებოდა ცეცხლს (ცეცხლი ხომ ფიქრიანია) (ვ. ტ.). ცალმხრივი დაქვემდებარებისას დამოკიდებული სიტყვა გაბატონებულ სიტყვასთან შეიძლება შეთანხმებული იყოს ბრუნვაში (მაღალ მთები), ბრუნვასა და რიცხვში (მთა-ნ-ი მაღალ-ნ-ი), ან მართული ბრუნვაში (ხის სახლი, დანით დაჭრა), ან მართულ-შეთანხმებული (სახლმა ხისამ, ლექვები მგლისანი), ან კიდევ მირთული (გუშინ წავიდა, იქ იდგა). დაქვემდებარებული სიტყვა სახელზმნაა (ჩვეულებრივ მიმღეობა): აღელვებული ზღვა, დაჭრილი არწივი, დამშვენარი ყვავილი, მდუღარე წყალი, წველა ყველი (ლ. კ.). მისი საუბრიდან გავიგე, რომ კარლ ჰამერი (ასე ეძახდნენ გერმანელ ჯარისკაცს) — ლაიპციგელი ხელოსნის შვილი ყოფილა (ა. კ.).

5. კითხვისა და ძახილის ნიშნები და მრავალწერტილი დაისმის:

ა) დახურული ფრჩხილების წინ, თუ ისინი მხოლოდ იმ სიტყვას ან სიტყვებს განეკუთვნება, რომლებიც ფრჩხილებშია ჩასმული: მაგრამ მთავარიანი ღამე აქ გასაგებელია, პალესტინური მთავარიანი ღამე (თუმცა სად არაა იგი გასაგებელი!) (ი. ა.). მარტივი ფორმა (უთანდებულო) დროის გარემოებად ჩვეულებრივია, როცა

ვასახელებთ დღეებს (ორშაბათს, სამშაბათს...), თვეების რიცხვს (ხუთ თებერვალს, ოც მაისს...), წელს (ათას ცხრაას სამოცდასამ წელს...)... (ლ. კ.); სანამ ჩვენი სახუქრებით დატვირთული გემი ჭერჩის ნავსადგურში იცლებოდა, მე ქალაქში (რაღა ქალაქში?) გავიარე (გ. ტ.).

ბ) დახურული ფრჩხილების შემდეგ, თუ ავი ფრჩხილებში ჩასმულ სიტყვებთან ერთად მთელ წინადადებას განეკუთვნება: სალიტერატურო ერთი ენის საკითხი დღის წესრიგში დაისვა. ამას ბუნებრივად მოჰყვა კითხვა: რომელი უნდა იყოს ეს ერთი ენა? საეკლესიო ენა (ე. ი. მაღალი სტილის ენა), დარბაისელთა ენა (საშუალო სტილის ენა) თუ ხალხური ენა (დაბალი სტილის ენა)? (ა. ჩიქობავა); ბალღებს დევი დაგვიშინებს ღამ-ღამ, თავადაც დაგვხელთავს (გაგვაგიყებს)! (ვ. ფ.).

6. წერტილი არ დაისმის ციტატის შემდეგ, როცა მას ერთვის ფრჩხილებში მითითებული ავტორი და წყარო. ავი დაისმის დახურული ფრჩხილის გარეთ: სინტაქსური თვალსაზრისით სიტყვები იყოფა ორ ჯგუფად. ერთი მხრით გვაქვს თავისთავადი, ანუ დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვები, რომლებიც წევრებად შედიან წინადადებაში, მეორე მხრით კი — ასეთი „სიტყვები", რომელთაც დამოუკიდებლობა აკლიათ, წინადადების წევრობა არ შეუძლიათ, მაგრამ მეტად საჭირონი არიან წინადადებაში: ისინი მნიშვნელობას უცვლიან წინადადების წევრს ან მთელ წინადადებას და ამით გარკვეულ სამსახურს ასრულებენ (ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, ტ. III, 1980, გვ. 35).

სავარჯიშო 428. (გასამეორებელი). გადაიწერეთ, დასვით საჭირო სასვენი ნიშნები.

1. მთის ნოყიერი ბალახი ტკბილი რძით აუვსებს ძროხებს ცურს დაიწმინდება საქონელი გასუქდება პეწი დაედება ფიქრობდა აქმია და შორიდან ეალერსებოდა კოხტა დეკეულებს ტანაყრილ მოზვრებს დარბაისელ თაფლისფერ ფურებს (მ. მ.). 2. თვით სახელოვანმა მამამ ასწავლა სამამაცონი ზნენი სწრთვნიდა თოფის სროლაში და ცხენის ჯირითში (ვ. ფ.). 3. ჰე ჰეი ძახილი ჩამომწვდა სიზმარეთიდან (ლ. გ.). 4. მან არა ერთხელ დააჩოქა ხევის პატარძალი მყინვარი და ამაყი მინგი-თაუ იალბუზი (ლ. გ.). 5. ჯერ კიდევ ვინ იცის ხვამლის სამყარო რა პასუხს გვიმზადებს როგორ იგუებს ამირანის თოკს (ლ. გ.). 6. რას უყურებს გოჩამ ამოიოხრა და ბიძინას შეხედა გაჩუმდი არაფერი წამოგცდესო (კ. ლ.). 7. რა არ შეუძლია სიხარულს გაიფიქრა გაიანემ (კ. ლ.). 8. დაეტაკნენ და გაუგონარია მაშ რა ჯანდაბაა რვა ათასმა რუსმა ორმოცი ათასი სპარსელი ისე დაიფრინა ვითარცა ლომმა კატანი (მ. ჯ.). 9. იმავე წელს საგასტროლოდ ჩამოვედი და თბილისის ოპერაში ალფრედის ტრავიატა ჰერცოგის რიგოლეტო ფაუსტის ფაუსტი და ლენსკის ევგენი ონეგინი პარტიები ვიმღერე (ა. ჭ.). 10. რაზმის შტაბის უფროსი ვანო კეცხოველი იყო ლადოს ძმა (ნ. კ.). 11. რა ჯანდაბამ შემიკრა პირი მაჰმადიანური სპარსულ-თურქული მისწავლია ამ ქრისტიანულ რუსულზე რაღამ მომიწუვიტა ენის კლიტე ახლა რაღა ვქნა თავს გულმიწეწკილ საყვედურით ეკითხებოდა ჯაბა (ლ. გ.). 12. აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა გა-

აყოლა ხმა პელაგიამ მაგრამ სადღა იყო ის ძველი ბგერა ის ხმის შეთამაშება (შ. დ.). 13. ამ დიდ შრომაში ბელა ვიკარს სამი ქართველი ეხმარებოდა ესენი იყვნენ კერესელიძე სახელი უცნობია გრიგოლ წერეთელი და დავით თოლორაია (ს. კ.). 14. გოგლამ თავისი პატარა სამუშაო ოთახიდან ძველისძველი ჟურნალ-გაზეთები გამოიტანა ეს ხომ მისი ჰობია გვერდით დაიხვავა და ათვალიერებს (ს. კ.). 15. მკითხველზე ასეთსავე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდნენ ნოველები შენც გეწვევა ჟამი სინანულისა ამბავი ფერიცვალებისა სენტიმენტალური შემთხვევა არიფანა ანუ სასაცილო მამაკაცები (ს. კ.).

გასამეორებელი სავარჯიშოები პუნქტუაციაში

სავარჯიშო 127. გადაიწერეთ, დასვით საჭირო სასვენი ნიშნები; ახსენით, რატომ დაისმის ისინი.

1. ორი ყმაწვილი გადამტერებული იყო ერთმანეთზე სადაც კი შეხვდებოდნენ ერთმანეთს უთუოდ ჩხუბი უნდა მოსვლოდათ ერთხელ მდინარის პირას წაიკიდნენ და დაიტაკნენ ბევრი იბრძოლეს თავბრუ დაესხათ ვეღარა გაიგეს რა და ერთი მათგანი მდინარეში გადავარდა წყალმა ბავშვი წაიღო და იხრჩობოდა დიდთაგანი ახლომახლო არავინ შეესწრო ყმაწვილები კი იყვნენ იქა ზოგმა ცურვაც იცოდა მაგრამ წყალში ვერავინ შებედა ყველას ეშინოდა მდინარე ადიდებული მიქუხავდა და მიშველება სახიფათო იყო წყალწაღებულ ყმაწვილს უსათუოდ დაღუპვა მოელოდა მაგრამ მას მხსნელად აღმოუჩნდა ის ვისგანაც ამას სრულიად არავინ არ მოელოდა ნაპირზე დარჩენილი ყმაწვილი თავისი პატარა მტრის სიბრალულით აივსო მაღალმა წადილმა გაიტაცა და ადიდებულ მდინარეს არ შეუშინდა ძრო სწრაფად ტანისამოსი ახსენა ღმერთი და გადაეშვა წყალში ცურვა ჩინებული იცოდა და თავის თავის იმედი ჰქონდა

ჩახტა თუ არა ყმაწვილი წყალში მდინარემ იმ წამსვე დააპროწიალა და ჩააყურჩუმელავა ვაიმე ამასაც დაახრჩობს ეს წყეული მდინარე შეჰკივლეს ბავშვებმა მაგრამ მამაცმა ბავშვმა მალე ისევ ამოიყურჩუმელავა წყალს ზევით მოექცა და სწრაფი ცურვით გაეჭანა წყალწაღებული ბავშვისაკენ ბოლოს როგორც იყო მიუახლოვდა დაბნედილ ბავშვსა ცალი ხელი მაგრად ჩასჭიდა და მეორე ხელით და ფეხებით იწყო ცურვა ნაპირისაკენ

საქმე ახლა უფრო გაძნელდა წყალმა არაერთხელ გამოსტაცა ხელიდან ბავშვი არაერთხელ აუვსო პირი და შეუგუბა სული მაგრამ უშიშარი და თავგანწირული ყმაწვილი ბოლოს მაინც ეწია თავის

სასიქადულო გულის წადილს გადაარჩინა თავისი პატარა მტერი და-ხრჩობასა და ცოცხალი გამოიყვანა ნაპირზე

იქ მყოფი ბავშვები აღტაცებულნი ასეთი სამაგალითო საქციელით მისცვივდნენ ყმაწვილს გადაეხვივნენ და მხურვალე გადაკოცნით დააჯილდოვეს.

ამ დღიდან წინანდელი მოსისხლე მტერნი შეიქმნენ გულითადი მეგობრები და ერთმანეთს აღარაფერი ერჩივნათ სიკვდილამდე

(ი. გოგებაშვილი).

2. შუადღე იყო დიდი სიცხე იდგა მინდვრიდან სახლში მიდიოდა პატარა სანდრო სიმშილიც ძლიერ აწუხებდა და წყურვილიცა გზაზე მეზობლის ვენახში ღობესთან დაინახა წითლად დაკუნწლული ვაშლი თვალი ზედ დარჩა პირში ნერწყვი მოუვიდა და კბილებმა კაწკაწი დაუწყო ვაშლები თითქოს უცინოდნენ სანდროსა იწვევდნენ და ეუბნებოდნენ ამოხტი მოგვგლიჯე ჩაგვკბიჩე და პირი ჩაიტკბარუნეო

სანდრო ყოყმანობდა სხვისი ვაშლის ქურდულად მოკრეფა ეძნელებოდა ეთაკილებოდა თავის დღეში ქურდობა არ ექნა ბოლოს ვეღარ მოითმინა სულმა წასძლია ახტა ღობეზე მოიწია ტოტი და ოთხი წითლად დაბრაწული ვაშლი მოგლიჯა

მიდის შინისაკენ სანდრო სჭამს ვაშლსა და თანაც რაღაცა ჯავრსა გრძნობს თითქოს გულში ვიღაც უზის და ეუბნება ეგ ხომ ქურდობა ჩაიდინეო შხამად ეჩვენება ვაშლი საწყალს ბავშვსა სწუხს თავის სულწასულობაზე მაგრამ რა ჰქნას ვაშლებს ხომ ვეღარ მიაბამს ხეზე

მიდის ასე შეწუხებული უცებ სანდრო გაჩერდა რაღაც აზრი მოუვიდა სახე გაუნათდა იქნება წამალი უპოვნა თავის სირცხვილსა

სანდრომ მოჰკურცხლა ვენახის პატრონის სახლისკენ მიირბინა კარებზე და დაიძახა

ნათლიდედ ერთი გარეთ გამობრძანდი

შენ ხარ სანდრო რა გინდა ჩემო კარგო ჰკითხა შინიდანვე დია-სახლისმა

ნათლიდედ გეთაყვა ნუ გეწყინება თქვენს ვენახში განაპირა ხეხილზე ოთხი ვაშლი მოვგლიჯე პირის გასასველებლად და სამაგიერო სიკეთეს გადაგიხდი

შეგარგოს ღმერთმა უთხრა კეთილმა დიასახლისმა

სანდრო დაბრუნდა შინ სინდისდამშვიდებული და ტკბილად შეირგო წითელი ვაშლები

(ი. გოგებაშვილი).

მზე ჩაწურვაზე იყო, როცა მე დათიკო დავინახე ცხენით მინდორ-მინდორ მომავალი. უკან ერთი მეძებარი მოსდევდა. მე ტყეში ხეზე ვიჯექ. ჩამოვედი ხიდან, მოვახტი ცხენს და გულისცემით ტყეში ლოდინი დავუწყე. გზა იმ ტყის პირად იდო. დათიკო იმ გზაზე გამოვიდა და ჩემკენ წამოვიდა. რომ მომიახლოვდა, იმის ღიღინი მომესმა. შევხედე და სრულად იყო იარაღით მოკაზმული. ჩანს, ჩემი ფიქრი ჰქონია-მეთქი, — ვიფიქრე გულში, — რომ ეგრე გამართულია.

დამიპირდაპირდა თუ არა, ვასკუპე ცხენი და ზედ მივაგდე.

— თუ ვაჟკაცი ხარ, გამიმაგრდი! — შევეკუვლე მე. ჯერ ვერ მიცნო.

— ვინა ხარ? მაგრამ, ვინც უნდა იყო, შენ მე ფერს ვერ მაცვლევინებ, — მიპასუხა იმან თამამად და გულმაგრად.

წამი აღარ გაუტარებია: მარდად გადმოიგდო მხარზედა გადაკიდებული ორლულიანი თოფი და თვალის დახამხამების უმალ ორივ ერთად დამახალა. მე თოფს ხელი ავუკარ და იმის ნასროლმა საფანტმა თავზე გადამიარა.

— მე ვარ გაბრო, შენი სულთამხდელი!.. — შევძახე მე და, სანამ სხვა იარაღს მოიხმარდა, მარცხენა ძუძუში დამბაჩა დავეცი.

საწყალი შეტოკდა ცხენზე, გადაიწია გადასავარდნად, მაგრამ თავი შეიმაგრა, კიდევ მოახსწრო ხმლის ამოღება და მოჭნევა. ხმალიც ამცდა, მოხვდა ჩემს ცხენს თავში და იქავ სული გააჩრობინა. ცხენი და მე ერთად დავეცით დედამიწაზე. მანამ მე წამოვდგებოდი, დათიკო ცხენიდან ძირს დაცემულიყო. მე თავზე წავადეგ და დავინახე, რომ ის მშვენიერი ყმაწვილი კაცი, ის თავმომწონე თავადიშვილი ძლივსღა ჰფეთქავდა თავის ყმის ფეხთა წინაშე!.. მაგრამ, გეტყვით ჩემის გულის ძუნწობას, მე ის მაინც არ შემეცოდა.

— წაგაკალ თუ არა შენს უნამუსობას!.. — წავაყვედრე მე.

— ჰმ, — ჩაიცინა იმან ისე გულდინჯად, თითქო ქვეშსაგებში მშვიდობითა წევსო, — ამით გათავდა შენი შერმადინობა?

— როგორი ავთანდილიც შენ იყავ, მეც ისეთი შერმადინობა გაგიწიე.

— წადი, შვილო! სახელად ჩემი სიკვდილიც გეყოფა. დღეს ჩემი დღე არ იყო: რასაც ვესროლე, ავაცდინე. ვაი, რა ცუდად მოვკვდი?! ფუ ჩემს კაცობას! ნიშანიც ვერ დაგასვი.

— რა დროს ეგ არის? ღმერთი მაინც ახსენე და ისე დალიე სული, შე ცოდვით სავსევ!

—დარიგებას თავი დაანებე. ალალი იყოს შენზე ჩემი სისხლი,

კაი ვაჟკაცი ჰყოფილხარ. მეც ბევრი რამ ცუდი მიქნია, არა უშავს რა, — ჩემი ასე ცუდად წახდენა იმაში გამებაროს. აი დედასა!.. რა ცუდად შეგხვდი!.. მაინც შენი ხელით მოვკვდი! გახსოვს, მაშინ რომ გითხარი: სანთელ-საკმეველი გზას არ დაკარგავს-მეთქი. აკი არ დაჰკარგა.

— შენ იყავი მყინვართან რომ დაგვიხსენი? — ვკითხე გაოცებულმა.

— მე ვიყავ თუ არა — შენ რა?

— რისთვის დაგვიხსენი?

— ვერა ჰხედავ? აი, ამ დღისათვისა. პეპია რასა იქს?

— მოკვდა.

— ასე უზიარებლად და მოუნანიებლად, როგორც მე?

— ეგრე.

— ეგეც ბარი — ბარში... მშვიდობით და გამარჯვებით, გამარჯვებულო გაბრიელ!.. ვნანობ, რომ ესე უსახელოდ მოგეკვლევინე. გამარჯვებით...

კიდევ რალაცა უნდა ეთქვა, მაგრამ აღარ დასცალდა: ერთი გაიზმორა, ერთი კიდევ წამოიწივა, დაეცა და სულიც დალია. მოკვდა ის უბედურის შვილი. ტუჩებზე ისეთი ღიმი შერჩა, თითქოს დაიცინებაო. ჰმ, სიცილით მოკვდა ტირილით ნაშობი!

(ი. ჭავჭავაძე).

სავარჯიშო 429. დაწერეთ ტექსტი კარნახით, შემდეგ შეამოწმეთ დაწერილი დაბეჭდილთან.

საწერეთლოში, ზემო იმერეთში, ბევრი კარგი სოფელია და მათ რიცხვში ურევია სავანეც; ის სოფელი, სადაც ჩემი ძიძა ცხოვრობდა და მე ვიზრდებოდი. როგორც სათვალდათვალოდ, ისე ჰაერის სიკეთითაც ის საუცხოო რამ არის და ამიტომაც დაურქმევიათ „სავანე", ე. ი. მოსასვენებელი ადგილი. საჩხერე შორს არ არის: ჩემი სახლიდან წახევარი საათის სასიარულო თუ იქნება. აქ ავიდგი მე ფეხი, აქ ამოვიდგი ენა და აქედანვე იწყება ჩემი მახსოვრობაც. თვალწინ მიდგას ისლით გადახურული ხის სახლი წინა და უკანა კარებით, უფანჯროსარკმლო, მხოლოდ ორი საკვამლურით, ანუ საფაფურით, საიდანაც კვამლი გადიოდა და სამაგიეროდ სინათლე შემოდიოდა. შუა კერაზე, მზარ-თეძოზე წამოწოლილი, დევივით იდვა დიდი, უზარმაზარი ჭირკვი და გაუსხლტლად ზამთარ-ზაფხულ ცეცხლი გუზგუზებდა. გლეხის ოჯახი დილიდან საღამომდე სულ მოძრაობაშია, საქმე არ გამოელევათ და ამიტომაც ბავშვების გრძნობა-გონება სუყოველთვის გამართულია. კაცები დილითვე ადრე მიდიან სამუშაოდ ყანებში. თუ

ტყეში, სადილი და სამხარიც იქ მიუდით და დაღამებამდე ძვირად ბრუნდებიან სახლში. ქალები კი საოჯახო საქმეზე ტრიალებენ. მათ ხელშია საქონლის მოვლა, ფრინველების პატრონობა, სახლის დაგვა-დასუფთავება, სადილ-ვახშმის მზადება და მრავალი სხვა საწვრილ-მანო რამეები. ბავშვი რომ თვალყურს ადევნებს იმათს მუშაობას, თვითონაც ძალაუნებურად მონაწილე ხდება და სწავლობს. ხუთი-ექვსი წლისამ ძალიან კარგად ვიცოდი, თუ როგორ უნდა პირუტყვის ყურის გდება, ფრინველის მოვლა, სადილ-ვახშმის მზადება, გაცრა-გამტკაცება-გამოცხობა, სხვადასხვაგვარ შეჭამანდის მზადება და სხვანი. შესწავლილი მქონდა, თუ როდის და როგორ უნდოდა: ხვნა-თესვა, თოხნა, მკა, სხვლა და სხვანი. ასე რომ, ჩემი შესაფერი ხელსაწყო რომ მქონოდა, ყველაფერს მოვახერხებდი. არ ვიცოდი მხოლოდ წინდა-პაიჭის ქსოვა და კერვა და ისიც იმიტომ, რომ ამბობდნენ: ქალის ხელსაქნარი კაცისათვის დიდი ცოდვა არისო და მეც მეჯერა; მჯეროდა, მაგრამ ჩუმად მაინც გავტეხე ცოდვა და ვისწავლე მატყლის ჩეჩვა და ბამბის პენტვა. აი, როგორ მოხდა ეს: ჩემი ძიძიშვილი, რო-მელიც ჩემთან ძუძუშენაწოვარი და ჩემი კბილა იყო; არასოდეს არ მშორდებოდა, სულ ჩემთან იყო. ერთხელ ავდრიანი დღე იყო. ქა-ლებმა ყანაში მუშებს სამხარი წაუღეს, ჩვენ შინ დაგვტოვეს, თან აღარ წაგვიყვანეს. გვეწყინა, მაგრამ რაღას ვიზამდით? დავრჩით მარ-ტო — მოგვეწყინა. ჯერ დანასობია ვითამაშეთ, მერე კენჭობია, მაგ-რამ მაინც ვერ გავერთეთ, რადგანაც ამგვარი სათამაშოები მოწყენი-ლი და მობეზრებული გვქონდა. ძიძიშვილმა მითხრა: მოდი, ერთი ბა-ბუას წვერები დავუჩეჩოთო; ჩამოიღო საჩეჩელი, მოიტანა მატყლი და დაუწყო ჩეჩვა, თანაც ასე იძახოდა: ასე დაეჩეჩოს ბაბუას წვე-რებიო. ეს ძალიან მომეწონა და მეც მივბაძე. დიდხანს ვერ ვახერ-ხებდი ჩეჩვას, ორჯერ-სამჯერ საჩეჩელის ჩხირები მეჩხვლიტა, მაგ-რამ მაინც თავი არ დამინებებია. ვინ იყო ის ბაბუა, რას ვერჩოდით? ეს წარმოდგენილი არც არ გვქონდა, მაგრამ ძალიან აღტაცებაში მოვყავდით ამ ბაბუას წვერების ჩეჩვას.. (თხრობა გრძელდება).

(აკ. წერეთელი).

სავარჯიშო 430. დაწერეთ ტექსტი კარნახით, შემდეგ შეამოწმეთ დაწერილი დაბეჭდილთან.

1. გადაიქუხა. ჩიტებმა მორთეს ერთხმად სიმღერა. ბალახებმა და ხის ფოთლებმა სიხარულის ცრემლს დაუწყეს ფრქვევა. დედა-ჩემს ნაწვიმზე სიარული უყვარდა... წავიდოდა ველად და მეც თან გამიყოლიებდა. ეხლაც წავედით, შევუდექით ველის პირებს, გავს-წიეთ მთისკენ, ტკბილი ხმა ისმოდა სალამურისა. მთის ძირზე გაშ-

ლილიყო ცხვარი და ტკბილად სძოვდა ახლად დანამულ ბალახს. მზე გორის პირას იყო ჩამალული ნახევრამდე. იმისი მკრთალი სხივები მხოლოდ მთებისა და ტყის წვერებს ეთხოვებოდა.

გორის პირზე, ზევით მხრივ, იჯდა ნაბადწამოხვეული მეცხვარე და შეექცეოდა სალამურს. იმის გვერდით წამოყუნტებულიყო ბანჯგვლიანი, საზარელი, შეუხედავი ძაღლი; ცოცხლად აყოლებდა თვალებს ცხვრის ფარას და ხანდახან აჩერდებოდა ალერსიანად თავის პატრონს.

— ცუდ ადგილას მოვედითო, — მითხრა დედაჩემმა, — მეცხვარე უიარაღოა, იმისი ნუ შეგეშინდება, მაგრამ ის ძაღლი დაიყრის ჩვენს სუნს და იქნება გამოგვეკიდოსო. მობრუნდი უკან. თვალი გეჭიროს: თუ ჩვენკენ გამოიქცა, მე დავენახვები და შენ ბალახებში ჩაიმალეო. ჩვენს დანახვაზე ცხვარი წაფრთხა და დაიწყო ჩვენკენ ყურება. მე ხშირსა და დაბერებულს არჯაკელის გროვაში ჩავიმალე და არ ვაშორებდი თვალს იმ კუდბუთქვა ძაღლს... ცხვრის დაფრთხობა და ძაღლის წკმუტუნი ერთი იყო. სცქვიტა ყურები და გამოექანა ჩემკენ...

მეცხვარემ დაგვცა კივილი. მე ავკანკალდი. დედაჩემს შეასწრო თვალი და გაექანა იმისკენ. დედაჩემი გასრიალდა და ერთს წამს დამეკარგა თვალთაგან. ცრემლი მომერია, გული მომიკვდა: ვაიმე, დედავ, თუ დაგიჭიროს მაგ წყეულმა დიდი ხანი მესმოდა ბრაგაბრუგი და ხევიდან ქვების ჩხრიალი.

ვაიმე, თუ დაიჭირა დედაჩემი და თავის ალმასის კბილებით სწეწოს! დაბინდდა. მეცხვარემ მოუსტვინა ცხვარს და შეაყოლა ბინისაკენ. გულის ფანცქალით ვადევნებდი თვალს იმის მოძრაობას, ცხვრებს სცემდა ზოგს დიდი კომბლით და ზოგს ქვებს ესროდა. ერთს პატარა, ჩემოდენა ბატკანს მიარტყა ქვა, საბრალო წაიქცა და საცოდავად დაიწყო ფეხების ქნევა. მეცხვარე ავიდა ზევით და დაუწყო ძახილი „ყურშიას“. ცოტა ხნის შემდეგ ცის ტატანზე დავინახე, რომ იმისი ყურშია, წითელენაგადმოგდებული, ედგა პატრონს გვერდით.

მე მეშინოდა: ვინ იცის, ჩემის დედის სისხლით აქვს-მეთქი გამურული ლაშ-პირი. დაბნელდა, დაუკუნეთდა. ხმაურობა აღარსაიდან ისმოდა. რა იქნა დედაჩემი? იქნება ვეღარ მიპოვოს, თუ ცოცხალია?

ცოტა ხნის შემდეგ ხავილი შემომესმა. დედაჩემის ხმასა ჰგვანდა. მეც გავეხმაურე. საბრალო, აფორთქლებული მოიჭრა ჩემთან.

— აქა ხარ, შვილო? ნუ გეშინიან, შენი დედა ცოცხალია... ძაღლი და მგელი არაფერს დაგაკლებენ... ცოცხალი ხარო? — მკითხავდა.

მიალერსა დედამ... ნეტა ვის შევსტირო, ვის შევეხვეწო, ვინ არის

ისეთი ძალუმი, რომ დედიჩემის თვალებში ჩამახედოს, დამატკბოს ამისის ალერსით.

როგორ უნდა მოვინელო ეს ჯავრი? ნეტა სისხლის მსმელ მტერს მეც მოვეკალი! რისთვის დავრჩი მე ცოცხალი?!

წინა დღეს ცოცხალს, მშვენებით სავსეს ჩემს ნუგეშს შევსტრფოდი, და რა მომაგონებდა, თუ მეორე დღეს დამეკარგებოდა სამუდამოდ!

(ვაჟა-ფშაველა).

სავარჯიშო 481. დაწერეთ ტექსტი კარნახით. შემდეგ შეამოწმეთ დაწერილი დაბეჭდილთან.

ღამე, როცა სიბნელეს მთელი ქვეყანა მოეცვა, ხალხი სახლებში შეუყუდულიყო და ნამცეცი შუქი არსადა ჩანდა, რომ მგზავრს, გზადაკარგულს, გზა გაეგნო და ნადირებისა და ავი სულების წერა არ გამხდარიყო. კაცები ერთად ვერ მიდიოდნენ, სიბნელის შიშით ერთმანეთს არ იცნობდნენ, მტერს მოყვრისაგან ვერ არჩევდნენ.

ბელზებელი და იმის ხელქვეითნი კი ცდილობდნენ უფრო დაებნელებინათ ისეც შავბნელი ღამე. ფიქრობდნენ როგორმე მოესპოთ დღეც და კაცთათვის მზის შუქი გამოუყენებელი გაეხადათ; რომ კაცთ აღარ შესძლებოდათ ნათელი მზის ხილვა; რომ უკუნითი უკუნისამდე სიბნელეს ემეფნა, ტარტაროზის გასახარელს; რომ ბელზებელისაგან გამოგზავნილ მაჯლაჯუნას ეღრჩო უმწეო ხალხი; რომ ბალღებისათვის სისხლი ეწოვნა, ეპარნა პატარა ბავშვები და დევების ნაშმაკარზე შეეცვალა; რომ მგელკაცას ყმაწვილები ეპარნა, კაცები ეჭამა და მკვდრები სამარიდან ამოეღო; რომ საამურ ბულბულის გალობის მაგივრად მესაფლავე ბუკნაოტის მოზარე კივილი სმენოდა კაცთა მოღალულ ყურს.

– მოულოდნელად სასწაული მოხდა.

ამ თვალგაუჩხვერავ სიბნელეში, შიგ შუა სოფელში, უცებ შუქი გამოჩნდა. ერთ თმაწვერგათეთრებულს კაცს, რომელსაც თავისი სიცოცხლე სულ სინათლეზე ეფიქრა და ემტვრია თავი, ხელში მაღალ ტარზე ანთებული სანთელი ეჭირა, მოდიოდა სოფელში წელგაშლით, ამაყი, თამამი, თავმომწონე.

შუქბარაქიანი სანთელი უხვად აბნევდა სინათლეს გარშემო და არემარეს დღესავით ანათებდა. განათდა გზა, განათდა კუნჭულ-კუთხე, შეაღწია შუქმა ღარიბთა ქოხებში, უღიტინა ბრმას ამოშრეტილ თვალში და სინათლის ძალა აგემა, ჩაიხედა ღრმა ხევებში, მთის ნაპ-

რალებში, ტყის ჩაბნელებულ გულში. გაშუქდა სახე ადამიანისა, გა-ირჩა პირუტყვი და ადამიანი, ხე და ქვა, სულიანი და უსულო.

როგორც ფარვანის ლაშქარი, ისე შემოჰხვეოდა გარს ხალხი: მოხუცი, რომელიც ათი და ოცი წლის განმავლობაში კარში არ გამო-სულა, ეხლა ამ საარაკო შუქის დანახვაზე ყმაწვილური აღტაცებით გამოქანებულიყო და, როგორც სასწაულს, ღვთისაგან მოვლენილს, სასოებით შეჰხაროდა და შეჰღაღადებდა. ბავშვიანი დედაკაცები გზებზევე იჩოქებდნენ, ბავშვებს სანთლისკენ იშვერდნენ და შუქზე უთითებდნენ. აღტაცებული ბავშვებიც მისკენ თავის პაწია ხელებს იშვერდნენ და შეჰფოფინებდნენ. იმედშემოსილი დედები, რომ ეს ახალი მზე ამათ პატარა ჩვილებს სულ სხვა კაცად აქცევდა, სასოე-ბით ბერიკაცის გასავლელ გზაზე იჩოქებდნენ და მიწას ეამბორე-ბოდნენ. ბალღები, გოგოები და ბიჭები, ერთმანეთში არეულნი, აღტაცებულ სიმღერას უმღეროდნენ და აქვე ხელდახელ ქება-დიდე-ბას თხზავდნენ სინათლის შესამკობელსა. ავადმყოფნი, ბრმები, დავრდომილნი მიხოხავდნენ სანთლის დასანახად, თვალებს იფშვნეტ-დნენ და პირჯვარს იწერდნენ. ისმოდა ხმა ღაღადებისა, აღტაცებუ-ლი, დიდებული, მხიარული, სიცოცხლით სავსე, იმედიანი.

(თ. რაზიკაშვილი).

სავარჯიშო 482. დაწერეთ ტექსტი კარნახით. შემდეგ შეადარეთ დაწერილი დაბეჭ-დილთან.

ერთ დროს ჩვენცა გვყოლია ქართლის მეფე გიორგი მეთერთმეტე. იმის დროს ყიზილბაშების ყეენად დაჯდა შაჰ-სულთან-უსეინ. ამ ყეენმა გამოგზავნა დიდი ჯარით თავისი სარდალი, რომ საქართველო აიკლოს და თავისად დაიჭიროს. დაიძახეს ჩვენშიაც ჯარიანობა და თავი მოიყა-რეს ქართველებმა მტრის დასახვედრად. შეიყარა ორი ერთმანეთზე სამ-ტროდ გამართული ჯარი საომრად. ერთ მხარეს დაეწყვნენ ყიზილბაშნი, მეორე მხარეს — ქართველები. გაიმართა ომი. რით გათავდა ეს ომი, ამის ამბავი გრძელია. მე მარტო ერთს რასმე გიამბობთ, რაც ამ ომში მოხდა. როცა გაცხარდა ბრძოლა, მაშინ გამოჰქუსლა ერთმა ყიზილბაშ-მა ცხენი და გამოვარდა მოედანზე რაზმიდან. გაუქროლ-გამოუქროლა ჩვენებს წინ ცხენი, თითქოს ჯირითშია და არა ომშია. ეწყინა ქართველ ყმაწვილობას ასე თამამად და გაბედულად ნავარდობა ყიზილბაშისა: — დახე, როგორ გვბრიყვობს?! კაცად აღარ გვაგდებს, თუ რა ამბავია, რომ ასე უშიშრად გავგირბის და გამოვგირბისო, — იძახდნენ.

ჰკრა ერთმა მოსხეპილმა ყმაწვილმა კაცმა ცხენს ქუსლი და ზედ მიაგდო ყიზილბაშსა. ყიზილბაშმა ჰკრა შიგ გულისფიცარში შუბი და

საბრალო ვაჟკაცი ჯერ ჩამოეკიდა ცხენს და მერე უსულოდ დაეცა დედამიწაზე.

— აი, ქუდიც არ მხურებია, აი, დედის ძუძუც არ შემრგებია, თუ მაგის სისხლი შეგარჩინოო, — დაიძახა ახლა სხვამ და მიაგდო ცხენი ყიზილბაშს. ყიზილბაშმა ესეც ჩამოაგდო ცხენიდან და, უფრო გახალისებულმა გამარჯვებით, გაათამა-გამოათამაშა ცხენი მოედანზე. გავიდა მესამე, გავიდა მეოთხე, გავიდა მეხუთე და ყველას ცალკე იგივე დღე დაადგა თათარმა. ასეთი ყმაწვილი კაცები დახოცა, რომ უკეთესს კაცი ვერ ინატრებდა. შეწუხდა ქართველობა: ეს სირცხვილი როგორა ვუპოვოთ, შინ რა სახელითღა მივიდეთო. არ იცოდნენ, რა ექნათ. ყველას შიში და ფიქრი მიეცა. ვეღარავინ ბედავდა გასვლას. ის ყიზილბაში კი ათამაშებდა მოედანზე ცხენს, თითქოს ყაბახობაზე გამოსულა და ამოდენა ქართველობა აინუნშიაც არ მოსდისო.

— ნიკოლოზ სად არის, ნიკოლოზი! — დაიძახეს ქართველებმა. ეს თუ გვიშველის, თორემ ლამის ამ ურჯულო თათარმა დედაკაცის ლეჩაქი თავზე დაგვხუროს და ისე გაგვისტუმროს შინაო.

— ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილო, ნიკოლოზ! — გაჰკივლეს აქეთიქიდან ჩვენებმა.

გოსტაშაბიშვილი თურმე გაცხარებულ ომში იყო და ამ კივილზე ომიდან გამოვიდა. ჩოხის კალთით გასისხლიანებულ ხმალსა სწმენდდა, როცა მისცივდნენ ჩვენები და თავისი სირცხვილი უამბეს. გოსტაშაბიშვილი, მართალია, ძალიან განთქმული და სახელოვანი ვაჟკაცი იყო, მაგრამ მაშინ სიბერე მორეული ჰქონდა და უწინდებურად აღარც მკლავი ერჩოდა, აღარც მუხლი.

— სად შემიძლია მე ეხლა, დაბერებულსა და დაჩაჩანაკებულს, იმასთან ომის გასწორება, — უთხრა ყმაწვილებს გოსტაშაბიშვილმა, — ჰხედავთ, ახლადულვაშაშლილი ვაჟკაცია, კაცი ლომსა ჰგავს.

— ხუთი ვაჟკაცი მოგვიკლა, იმათ სისხლს ნუ შეარჩენ, იმ ურჯულოსაგან სირცხვილს ნუ გვაჭმევ, — შეევედრნენ ჩვენები.

გოსტაშაბიშვილმა ახსენა ღმერთი, აუკრიბა სადავე ცხენს და ჰკრა ქუსლი. ცხენმა ერთი ორიოდე კამარა შეჰკრა, ისკუპა და თვალის დახამხამების უმალ ვაჟკაცი ვაჟკაცს წინ დაუდგა. ყიზილბაშმა წამოუღერა თავისი შუბი. გოსტაშაბიშვილმა ხელი აუკრა და აიცდინა. ეს ისე მარჯვედ მოუვიდა, რომ ქების ყიჟინა დასცეს. მინამ ყიზილბაში მეორედ შეუტეოდა შუბით, გოსტაშაბიშვილი ცხენდაცხენ ეცა, წასწვდა, ერთიორი ღონივრად შეჰბღერტა და ცხენიდან ძირს დასცა, ასე რომ დაცე-

მუცლს ფეხზე ადგომა გაუძნელდა. ჩამოხტა ცხენიდან გოსტაშაბიშვილი, ააყენა ყიზილბაში ფეხზე და უთხრა:

— ნუ გეშინია, მე თავს არ მოგჭრი. შენი თავი შენის ვაჟკაცობისათვის მიპატიებია. ცოდვაა შენი გაფუჭება. წადი და ღმერთმა გზა მშვიდობისა მოგცესო.

— მეც სიცოცხლეს თუ ვისგანმე ვიჩუქებდი, მარტო შენისთანა ვაჟკაცისაგანაო, — უპასუხა ყიზილბაშმა სალამი მისცა და წავიდა.

(ი. ჭავჭავაძე).

ლექსიკა და სტილისტიკა

ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური სავარჯიშოები

მრავალმნიშვნელოვანი სიტყვები

სავარჯიშო 483. გამოარკვიეთ მ ი წ ა არსებითი სახელის განსხვავებული მნიშვნელობები ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში.

1. ჩვენი ქვეყნის მ ი წ ა, ანანურს რომ ამოვიარე, იქიდან წამოვიღე (შ. ა.).[1]. 2. აღარ მეგონა, თუ მამრი კიდევ მ ი წ ა ზე დადისა (ვ. ფ.). 3. სხვის მ ი წ ის ხვეპა არა გვჩვევია, ჩვენ საკუთარი ჩვენიც ვიკმარეთ (ი. გრ.). 4. მ ი წ ა სხვისაა, ვქირაობ, შრომა კი მარტო ჩემია (რ. ე.). 5. წივნის უცოდინარი კაცი გახლავარ, ბატონო, მ ი წ ის მუშა (დ. კლდ.). 6. ვხნავ, ვთესავ, ვებრძვი მ ი წ ასა (რ. ე.). 7. ათიღო სამი თითით მ ი წ ა და შეჭამა (ვ. ბ.). 8. „მ ი წ ა!“ — აღმოხდა მეზღვაურებს (გ. ტ.). 9. ჩვენს მ ი წ ას მტრის დასახვედრად ბევრი ვაჟკაცი გამოუზრდია (ა. ა.). 10. ცა დედამიწას დაჰხარის და ცას შენატრის ძირს მ ი წ ა (ა. წ.). 11. მემაღაროელეები მ ი წ ის ქვეშ გმირულად შრომობენ.

სავარჯიშო 484. გამოარკვიეთ მ ძ ი მ ე ზედსართაული სახელის განსხვავებული მნიშვნელობები ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში.

1. ხურჯინი იყო ძლიერ მ ძ ი მ ე (ლ. არდ.). 2. მოხუცებული დედ-მამა, წვრილი, აღზრდას მოკლებული და-ძმა მ ძ ი მ ე ტვირთად აწვა ნიკოს (ე. გ.). 3. მ ძ ი მ ე არტილერია დიდი წონისა და მსხვილი ყალიბის ქვემეხია. 4. საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველო გადაიქცა მ ძ ი მ ე ინდუსტრიის ქვეყნად. 5. ჰაერი თიხა-ტალახის მ ძ ი მ ე სუნით გაიჟღინთა (თ. რ.). 6. ამ მ ძ ი მ ე წუთის შემდეგ ჭიაბერმა გამოაცხადა... (შ. დ.). 7. [ორბი] ფრთების მ ძ ი მ ე რხევით გადაეფარა მთას (შ. ა.). 8. მ ძ ი მ ე საქმეს ვერ ებრძოდა, მაგრამ წვრილმანი საქმე ძალიან ეხალისებოდა (ვ. ბ.). 9. [ნიშნობისათვის] მოეწვია მოხუც ზალიკას თავისი მოკეთეები და მეზობლები,

---

[1]საანალიზო წინადადებები ლექსიკოლოგიაში ძირითადად აღებულია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან“.

ამისათვის ამზადებდა პურ-ღვინოს, რომელიც კაი მ ძ ი მ ე ფასად დაუჯდა ღარიბ გლეხს ზალიკას (ე. ნ.). 10. გაზეთის გამოცემა ყოვლად აუტანელ, მ ძ ი მ ე პირობებში მოექცა (დ. კლდ.). 11. დაცარიელებულს ადგილზე მხოლოდ ერთი კაციღა დარჩა, რომელიც მ ძ ი მ ე ფიქრებს წაეღო (ა. ყ.).

სავარჯიშო 485. გამოარკვიეთ მიდის ზმნის განსხვავებული მნიშვნელობები ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში.

1. გამახარე და იმისი ამხანაგები დაბარგული ცხენებით ბოწახის ჭალაზე მ ი დ ი ო დ ნ ე ნ (ვ. ფ.). 2. თბილის-ქუთაისის მატარებელი მ ი დ ი ს სრულ ორ საათზე. 3. კლასი კლასის წინააღმდეგი მ ი დ ი ს (გ. ტ.). 4. თქვენ გულადები მაშინა ხართ, როცა ერთზე ათი მ ი დ ი ხ ა რ თ (ა. ყ.). 5. დეპეშა დეპეშაზე მ ი დ ი ო დ ა. 6. სხვაგან მ ი დ ი ს საზრდო პური (ა. წ.). 7. ხალხმა არ იცოდა, სად მ ი დ ი ო დ ა იმისი ფული (ი. ჭ.). 8. ზაფხულში მდინარე იკლებდა და მ ი დ ი ო დ ა ღელესავით (დ. კლდ.). 9. [ხევში] დიდი საშუე გზა მ ი დ ი ო დ ა. 10. მ ი დ ი ო დ ა ამ ერთგვაროვნებაში დღეები, კვირეები... (ე. ნ). 11. საქმე დაუბრკოლებლად მ ი დ ი ო დ ა (ი. ჭ.). 12. სწავლა უნდა მ ი დ ი ო დ ეს დედა ენაზეო (ი. ჭ.). 13. ბოჭკასავით განზე რომ მ ი დ ი ხ ა რ, გაანძრიე ხელი, ეგებ ლეში დაჰყარო (ს. შ.). 14. მ ი ვ დ ი ვ ა რ თ იმ დასკვნამდე, რომ ერთ წამსაც არ გავჩერდები ქალაქში (ვ. ლ.). 15. იგი კრების გადაწყვეტილების წინააღმდეგ ველარ წ ა ვ ი დ ა. 16. მ ი ს დ ი ო დ ა თ ბრძანებები ხალხთ მეთაურებს ქართლში, კახეთში (ვ. ბ.). 17. რა საქმეზედაც გული არ მ ი გ დ ი ს, იქ რა კვალი უნდა დაამჩნიო? (გ. წ.). 18. გთხოვ, წამიყვანო, გული მ ი მ დ ი ს (ი. მ.). 19. მე, რასაკვირველია, სული მ ი მ დ ი ო დ ა შაქარზე, მაგრამ ვინ მაჭმევდა (ა. წ.). 20. [თეიმურაზს] ფერი მ ი ს დ ი ო დ ა (ლ. არდ.).

სავარჯიშო 486. გამოარკვიეთ არსებითი სახელის მხლებელ ზედსართავებს როდის აქვს პირდაპირი მნიშვნელობა და როდის — გადატანითი.

1. ახალი აზრები, ახალი ამბები, ახალი მთვარე, ახალი ნომრები (გაზეთისა), ახალი სტილი, ახალი ტანსაცმელი, ახალი ღვინო, ახალი ძალები, ახალი წელი...

2. კეთილი გული, კეთილი გუნება, კეთილი დამოკიდებულება, კეთილი ადამიანი, კეთილი საქმე, კეთილი სურვილები, კეთილი ხასიათი...

3. მაგარი გული, მაგარი ვაჟკაცი, მაგარი ზურგი, მაგარი სასმელი,

მაგარი სიტყვა, მაგარი ქვა, მაგარი ღვინო, მაგარი ძილი, მაგარი ხე–ლი...

4. მაღალი ადგილი, მაღალი დანიშნულება, მაღალი დონე, მაღა–ლი კლასი, მაღალი საზოგადოება, მაღალი საფეხური, მაღალი სახ–ლი, მაღალი ტემპერატურა, მაღალი შუბლი, მაღალი წნევა, მაღალი წოდება, მაღალი ხარისხი, მაღალი ხმა, მაღალი ჯილდო...

5. ყრუ ადამიანი, ყრუ კედელი, ყრუ ოთახი, ყრუ პიროვნება, ყრუ სოფელი, ყრუ ხმაური...

6. ცივი გონება, ცივი გული, ცივი იარაღი, ცივი ნიავი, ცივი ოფლი, ცივი პასუხი, ცივი ქვეყნები, ცივი ღამე, ცივი შეხვედრა, ცი–ვი შთაბეჭდილება, ცივი ჩაი, ცივი ჭადი, ცივი ხასიათი, ცივი ჰაერი...

7. ცხარე დღე, ცხარე კამათი, ცხარე საჭმელი, ცხარე სიტყვები, ცხარე სიცხე, ცხარე ტაში, ცხარე შუქი, ცხარე ცრემლი, ცხარე ძმა–რი...

8. წმინდა გრძნობა, წმინდა გული, წმინდა ვერცხლი, წმინდა ზიარება, წმინდა მოგება, წმინდა სანთელი, წმინდა საცერი, წმინდა საიდუმლო, წმინდა სისხლი, წმინდა ქართველობა, წმინდა ხმა, წმინდა წყალი...

სინონიმები, ანტონიმები, ომონიმები

სავარჯიშო 487. მონახეთ სინონიმური სიტყვები ქვემოთ მოყვანილ წინადა–დებებში.

1. არსებითი სახელი დარდი.

1. განა ჩემს მეტი დარდი არა აქვს?! (ი. ჭ.). 2. ბალღების ჯავ–რი ჰქონდა გვადის (ლ. ქ.). 3. ადამიანს ვარამი და ჭირი ალაპა–რაკებს (ი. ჭ.). 4. რა უნდა შენთან სევდას? სად შენ, სად მწუხა–რება?! (ს. კ.). 5. აი კიდევ სევდა ეწვია გულსა, კვლავ ამეშალა მწარე ნაღველი (ი. ე.). 6. დედაბერს შვიდი სოფლის ფიქრი აწუხებდა, იმას კი არავისა ჰქონდა (ანდ.). 7. რომ ერისა მოძმედ ვი–ყო ჭმუნვასა და სიხარულში (ი. ჭ.). 8. [ტაგუს] სტუმრის წუ–ხილი და შიში გადაეცა (ლ. ქ.). 9. ურვა და ცრემლი მომბეზრდა (ს. შ.). დიდ ბატონს რალაც კაეშანი მოაწვა (მ. ჯ.).

II. ზედსართავი სახელი ლამაზი.

1. ლამაზი ქალის პატრონსა უნდა ჰქონდეს თვალი მჭრელი (ხალხ.). 2. კოხტა ბიჭი თვითონ ამშვენებდა ტანისამოსს (ვ. ბ.). 3. სამი კეკლუცი ქალიშვილი განცალკევებით სეირნობდა (ა. ბ.). 4. ...კოპწია ყმაწვილი ქალი კი იცინოდა (ა. წ.). 5. ჩემს ტურფა მხარეს მკერდს დავაკერე სიტყვა საგმირო, სიტყვა ლამაზი (ვ. ფ.).

6. [მოხუცის] მახლობლად იდგა... ერთი მ შ ვ ე ნ ი ე რ ი... ახალგაზრდა (ა. წ.). 7. ბევრია საქართველოში პირიმზე, მ ზ ე თ უ ნ ა ხ ა ვ ი (ა. წ.). 8. როგორი ცქრიალა გოგოა ეგ შეჩვენებული! რა მ ო ხ დ ე ნ ი ლ ი, რა ლამაზი! (ვ. ფ.). 9. ჩაქურაში გამოწყობილი, იარაღში ჩამჯდარი შ ნ ი ა ნ ი ყმაწვილი ყველას გვეცოდებოდა (დ. კლდ.).

III. ზმნა ლაპარაკობს

1. მეზობელი ოთახიდან მასპინძლების ლ ა პ ა რ ა კ ი ისმოდა (ს. კ.). 2. [ჯარისკაცები] სადმე ჩეროში მყუდროდ დასხდებოდნენ და ხმადაბლა მ უ ს ა ი ფ ო ბ დ ნ ე ნ (კ. ლ.). 3. სოფლის სამმართველოს წინ, ხის ძირში, ისხდნენ და ბ ა ა ს ო ბ დ ნ ე ნ (ე. ნ.). 4. უიშვილი ... მხიარულად მ ა ს ლ ა ა თ ო ბ დ ა და მხიარულობდა თავის ცოლშვილთან (ე. ნ.). 5. ცეცხლის პირს დამშვიდებულად ზის და ს ა უ ბ რ ო ბ ს ბებია (ი. გ.). 6. აბა, რას უ ბ ნ ო ბ... გულს ღრმად ეჭდევა გლახასა (ვ. ფ.). 7. [პატარა] ფეხჩაუცმელი მთელი დღე დარბის, ტ ი კ ტ ი კ ე ბ ს, ცქრიალებს (შ. ა.). 8. რაებს არ ბ ო დ ა ვ ე ნ, რაებს არ ლ ა ყ ბ ო ბ ე ნ (ი. ჭ.).

IV. ზმნა აპატიებს

1. ჩემს რეგვენობას ა პ ა ტ ი ა (ი. ჭ.). 2. რაც კერძო პირს შესაძლებელია ე პ ა ტ ი ო ს, იმას ქვეყნის მმართველს ხალხი ვერ მ ი უ ტ ე ე ბ ს (მ. ჯ.). 3. [გოგონა] ისეთი კარგია, ისეთი ლამაზი, შ ე ვ უ ნ დ ო თ, შ ე ვ უ ნ დ ო თ ეს დანაშაული (ი. ნ.). 4. ნუ მომკლავ, შ ე მ ი წ ყ ა ლ ე, მშვენიერო ბაბალე! (რ. ე.). 5. თაყვანსა გცემ, გეაჯები, გთხოვ შ ე მ ი წ ყ ნ ა რ ო (დ. გ.).

სავარჯიშო 488. შეადარეთ ერთმანეთს სიტყვები ხარისხობრივი ნიშნის მიხედვით.

1. დიდი, გიგანტური, ვეებერთელა, კოლოსალური, უზარმაზარი.
2. მინიატიურული, მცირე, ნამცეცა, პატარა, ციცქნა, ჯუჯა.
3. ანაზდეულად, ელვის სისწრაფით, ერთბაშად, თვალის დახამხამებაში, მაშინვე, მომენტურად, მყის, სწრაფად, უეცრად, უცბად, ჩქარა.
4. განგაში, ღელვა, შფოთვა.
5. არამიმზიდველი, გონჯი, მახინჯი, უთვალადო, უშნო, შეუხედაო.
6. გასაჭირი, კატასტროფა, უბედურება, ხიფათი.
7. აურაცხელი, მრავალი, მრავალრიცხოვანი, უამრავი, უანგარიშო, უზღვავი, უთვალავი, ურიცხვი.

სავარჯიშო 489. მონახეთ სინონიმურ მწკრივებში მწვდნობრული, სასაუბრო, ეუღგარული სიტყვები..

1. ბაასი, დუდღუნი, ლაილაი, ლაპარაკი, ლაყბობა, მასლაათი, მუსაიფი, როშვა, საუბარი, ტიკტიკი, ტიტინი, ტლიკინი, ჭიჭყინი, ჯუჯღუნი.

2. გადაირევა, გაგიჟდება, შეირყევა, ჭკუიდან გამოდის, ჭკუიდან იშლება, ხელდება.

3. დადის, დაეთრევა, დაეხეტება, დაძრწის, დაწანწალებს.

4. განიავება, გაფლანგვა, დახარჯვა.

სავარჯიშო 440. გამოარკვიეთ, რა აზრობრივი და სტილური განსხვავებაა გამოყოფილ სინონიმებს შორის ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში.

I. 1. მივიდა ბრძენთან ერთი ყბედი და სთხოვა: მოწაფედ ამიყვანეო (ი. გ.). 2. გამქცევი და დამწევი — ორივე ღმერთს ეხვეწებოდაო (ძვ. ანდ.). 3. ვეხვეწები, ვემუდარები ჩემს შვილს, დამიბრუნდი-მეთქი (ი. ჭ.). 4. ბევრი ვეღრიჯე, მაგრამ, არ იქნა, პირჯვარი ვერ გადავაწერინე (რ. ე.). 5. დათიკო!.. გევედრები, გზიდან ჩამომეცალე, ნუ ამომარეცხინებ შენს სიყვარულს! (ი. ჭ.). 6. გეაჯები მუხლმოდრეკილი... დამიხსენ განსაცდელისაგან! (ს. მ.).

II. 1. გაიმართა ლხინი, ტაშ-ფანდური (ა. ყ.). 2. საცა წვეულება ან ღრეობა გაჩნდებოდა, ანდრია უთუოდ იქ იყო ხოლმე (ი. ეკ.). 3. ხატობა ჰქონდათ ხევსურთა, ლუდის სმა არი, ღრეობა (ვ. ფ.). 4. [არსენა] იქვე ბაღში დაჯდა და ქეიფს შეუდგა (მ. ჯ.). 5. [ნათელას] ათხოვებენ... დღეის სწორს ხადილი აქვთ (გ. წ.). 6. უხდება სუფრას ნადიმი, ვით ამინდს გამოდარება (გ. ლ.). 7. ბერიკობაა თუ არიფანაზე დადიხართ? (ვ. ფ.). 8. იწყება ნადიმები, დარბაზობა მეზობლებში (ნ. ლ.). 9. გავმართე მეჯლისი, ვსვამდი და ვმღეროდი (ვ. ფ.). 10. ასე გათავდა ნადიმი, სმა და ბურობა, ლხინია (რ. ე.). 11. ყეენის ტახტზე აბრძანების დღეობას იხდიდნენ (ა. წ.). 12. ო, მეგობარო, ჩვენი სერობა იქნებ მომავალს შვებას მოუტანს (გ. ტ.). 13. დიდი სტუმრობა უნდა მოეწყო მასპინძელს (ვ. ბ.). 14. აღარ თავდება ღრეობა, ცეკვა-თამაში და შეჭცევა (ს. მ.).

III. 1. წავიდეთ, შვილო, ჩემს ქოხში (ა. ყ.). 2. მე გავემართე მტრის შესაბმელად (გ. ა.). 3. ყველანი ციხის კარებისაკენ გაეშურნენ (ლ. ქ.). 4. მაგდანა ქალაქისაკენ გაემგზავრა (ე. გ.). 5. მონადირეებმა შინისაკენ გასწიეს.

IV. 1. ნეტავი გმირი მე ვიყო, სახელგანთქმული მხედარი (გ. ლ.). 2. სახელმოხვეჭილი ქართველი მეომარი სახელმოხვეჭილი მონადირეც იყო (ა. ად.). 3. ეს აზრი მე გავიგონე აქ ცნობილი მუსიკალური კრიტიკოსისაგან (კ. ლ.). 4. მე გამოჩე-

ნილი მონადირე ვიყავი (ვ. ფ.) 5. ღვაწლმოსილ პედაგოგს შეხვედრა მოუწყვეს. 6. რამდენი ღირსეული მამულიშვილი მოგვკლდა მაშინ! (შ. დ..).

V. 1. ტყავისაგან გააკეთა ... მაგარი და გამძლე ქალამნები (ი. გ.). 2. ერთი იმედი დარჩენოდათ: ქვის ვიწრო, შერკალებული, მყარი ხიდი (შ. დ.). 3. ზოგი უწინდელი ხიდი კი ისეთი მკვიდრი გამომდგარა, რომ აქამდის მთლად შენახულა (ი. გ.). 4. ამ პატარა სახლის ფუძე და კედლები დარჩა მარად მტკიცე და გაუბზარავი („ახალგაზრდა კომუნისტი"). 5. ისრის ტყე ჰაერში ნავარდობს, მაგრამ თასი ჯერ კიდევ ბოძზე ურყევად დგას (შ. დ.). 6. წიფელი წვერში მკვრივი აღმოჩნდა (ვ. ფ.).

სავარჯიშო 441. მოუძებნეთ სინონიმები ქვემოთ მოყვანილ სიტყვებს (გამოიყენეთ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი").

ბნელი, ექიმი, თავაზიანი, კამათი, ლამაზი, მოსავალი, მშიშარა, როშვა, სუფთა, უვიცი, შრომა, ჭკვიანი.

სავარჯიშო 442. მოუძებნეთ განსასაზღვრი არსებითები სინონიმურ ზედსართაველებს შესაბამისი რიგებიდან.

1.გაბედული, მაგარი, მედგარი, მტკიცე, მძლავრი, უშიშარი, ჭეშმარიტი.

2. მყუდრო, უხმაურო, უხმო, ჩუმი,, წყნარი.

3. დაუდგრომელი, დაუდეგარი, დაუღალავი, დაუცხრომელი. მკვირცხლი, მოუსვენარი, მოძრავი.

4. მოუხეშავი, უხეში, ტლანქი, ხეშეში.

5. იმპორტული, საზღვარგარეთული, უცხოური.

განსასაზღვრი არსებითები:

1. ბრძოლა, იერიში, მკლავი, ზურგი, გული, ძილი, გავლენა, სასმელი, ხასიათი, პირობა, ტექნიკა, ვაჟკაცი, ცქერა.

2. ნაბიჯი, სვლა, ლიფტი, ლაპარაკი, მდინარე, ბავშვი, ღამე, კაცი, ამინდი, ადგილი.

3. ადამიანი, ხასიათი, ახალი თაობა, მუშაკი, მშრომელი, კინო, ასოები, ხალხი, ახალგაზრდობა, ახალგაზრდა, პასუხი.

4. ტყავი, თმა, ქსოვილი, თითები, პასუხი, შეცდომა, დედაკაცი, გამოხედვა, ფეხები, მიხვრა-მოხვრა.

5. პრესა, ლიტერატურა, ნაწარმი, საქონელი, ქსოვილი, ვალუტა, გამოცემა, მოწყობილობა, გემი, პასპორტი, ბეჭედი, ენა, წარმოშობა.

სავარჯიშო 443. სინონიმურ ზედსართავ სახელებს შეუერთეთ ფრჩხილებში ჩასმული შესაბამისი არსებითები.

1. აუღელვებელი, აუჩქარებელი, მშვიდი, უშფოთველი, წყნარი (ადამიანი).

2. აშკარა, დაუფარავი, ნათელი, ცხადი (პასუხი).

3. კრიალა, მოწმენდილი, ნათელი, უღრუბლო (ცა).

4. მძაფრი, სასტიკი, ულმობელი, ფიცხელი, ცხარე (ბრძოლა).

5. ლაზათიანი, ლამაზი, მოხდენილი, მშვენიერი, შნოიანი (ქალიშვილი).

6. ამაყი, ამპარტავანი, დიდგული, ზვიადი, მედიდური, ქედმაღალი (პიროვნება).

7. მალული, საიდუმლო, ფარული (ორგანიზაცია).

სავარჯიშო 444. სინონიმური ზედსართავი სახელებისა და ფრჩხილებში ჩასმული არსებითებისაგან აწარმოეთ სიტყვათშეერთებები.

1. გათქვირებული, გასუქებული, მსუქანი, სქელი, ფუნჩულა, გასივებული (ადამიანი, ბატკანი, თვალები, კისერი, ლოყები, საქონელი, ტუჩები, ხელები).

2. გავარვარებული, თაკარა, მცხუნვარე, მხურვალე, ცხარე, ცხელი (დგილი, ამინდი, ბრძოლა, დღე, თონე, კამათი, მზე, რკინა, სალამი, სარტყელი, სიტყვები, სიცხე, ტკივილი, ქვეყნები, ღუმელი, შუადღე, ცრემლი, წყალი, ჰაერი).

3. ანკარა, სუფთა, ფაქიზი, წმინდა, ხალასი (აბრეშუმი, ეზო, ლოგინი, მოგება, მოვალეობა, ოქრო, სავანე, სავარცხელი, სანთელი, საქმე, სიყვარული, სული, ტანი, ტანსაცმელი, ქაღალდი, შალი, წერა, წყალი, წყარო, ხელი).

4. გამოუსადეგარი, მდარე, უვარგისი, უხეირო, ფუჭი, ცუდი (აზრი, ამბავი, ამინდი, გემო, გული, დედაკაცი, კაკალი, კაცი, მუშა, საქმე, საქონელი, ყოფაქცევა, შთაბეჭდილება, ხარისხი, ხელსაწყო).

სავარჯიშო 445. აწარმოეთ სიტყვათშეერთებები სინონიმური არსებითი სახელებისა და ფრჩხილებში ჩასმული სიტყვებისაგან.

1. დასახელება, სახელი, სახელწოდება, მეტსახელი (დაწესებულების, კაცის, კინოფილმის, მოსწავლის, ნაწარმოების, საქონლის, ქუჩის, ძაღლის).

2. დოზა, ნაწილი, ულუფა, წილი (ვალის, კატლეტის, კაცის, მეცნიერების, მოსწავლეების, სახლის, ფულის, ქუჩის, წამლის, ჭეშმარიტების).

3. მწკრივი, რიგი, წყება, ჯერი (ავტომანქანების, ავტომატის, გარეული ბატების, საკითხების, შეცდომების, ჯარისკაცების).

სავარჯიშო 446. წინადადებებში წერტილების ადგილას შეარჩიეთ და ჩასვით სიტყვები ქვემოთ მოცემული შესაბამისი სინონიმური რიგებიდან.

1. ერეკლემ თავისი ... ლაფშა შეაკაზმვინა, ... მოახტა მას და ქართველ ლაშქართან შესახვედრად გაემართა.

2. პენსიონერი მოხუცები ისხდნენ და ..., დიდხანს ... ძრავლის-მომსწრე ბერიკაცები.

3. ქართველი კაცის ... და ... ოდითგანვე ბრძოლასა და შრომაში იწრთობოდა.

4. ქართველი ხალხი დიდად ამაყობს თავისი ..., ... ახალგაზრდებით.

ჩასასმელი სინონიმები:

1. მალი, მარდი, მკვირცხლი, სწრაფი, ცქვიტი.
2. ბაასობდნენ, მასლაათობდნენ, მუსაიფობდნენ, საუბრობდნენ.
3. მოდგმა, შთამომავლობა, ჯილაგი, ჯიში.
4. განათლებული, მცოდნე, ნაკითხი, წიგნიერი.

სავარჯიშო 447. ქვემოთ მოყვანილ რიგებში შემავალი ყველა სინონიმისაგან შეადგინეთ წინადადებები.

1. ალიაქოთი, აურზაური, აყალმაყალი, დაყიდარაბა, ჩხუბი.
2. ბნელი, კუნაპეტი, ლუსკუმი, უკუნი, უშუქარი, წყვდიადი.
3. გაბედული, გულადი, მამაცი, მტკიცე, უშიშარი, შეუდრეკელი, შეუპოვარი.
4. გადაზნექს, გადაღუნავს, გადაწევს, გადახრის.
5. გამოეთხოვა, გამოემშვიდობა, გამოესალმა.
6. გაუტანელი, კერაგი, მზაკვარი, მოღალატე, მუხანათი, მუხთალი.
7. გაყარა, დააცალკევა, დააშორა, დააცილა.
8. გაჭირვებული, უქონელი, ღარიბი, ღატაკი, ხელმოკლე.
9. დაასკდა, დაენარცხა, დაეცა, დავარდა.
10. დიადი, დიდებული, საუცხოო, ღირსშესანიშნავი, ჩინებული.
11. თაღლითი, თვალთმაქცი, კომბინატორი, მატყუარა.
12. ლაჩარი, მშიშარა, მხდალი.
13. სადღესასწაულო, საზეიმო, საპარადო, სატრიუმფო.
14. უკიდეგანო, უსაზღვრო, უნაპირო, უსასრულო.

სავარჯიშო 448. გაასწორეთ განმეორებულსიტყვებიანი წინადადებები სინონიმების გამოყენებით.

1. ჯარსკაცი ერთი იმ მებრძოლთაგანი იყო, რომელიც ბრძოლის ველზე გმირულად იბრძოდა. 2. ცნობილი მეცნიერი ცნობილი მხატვარიც იყო. 3. დიდი ხნის უნახავი ძმის ნახვით ძალიან გაიხარა. 4. მშენებლებმა ცხრასართულიანი შენობის აგება ექვს თვეში დაამთავრეს და ახლა სხვა შენობის აგებას სწრაფად შეუდგნენ, რადგან მისი აგება გეგმით წლის ბოლომდე უნდა დაემთავრებინათ. 5. ხის სახლს ხანძარი გაუჩნდა, მეხანძრეებიც მალე მოვიდნენ და გამძვინვარებული ხანძარი მალე ჩააქრეს. 6. მანქანამ სისწრაფეს უმატა და სწრაფად აიარა ალმართი. 7. საომარმა განგაშმა მეომრებს ომის დაწყება აუწყა. 8. სამეცნიერო სხდომაზე ცხარე მეცნიერული კამათი გაიმართა, ასეთი კამათი ხშირად იმართებოდა სამეცნიერო სხდომებზე.

სავარჯიშო 449. მოძებნეთ ანტონიმები ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში.

1. რომ შეიქნა თექვსმეტი წლის, მთა და ბარი შეაჯერა (ხალხ.). 2. ძირს დედამიწას ჰფიცავდა და მაღლა ზეცაში ღმერთსა (ხალხ.). 3. მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენსა (ხალხ.). 4. ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელიაო (რუსთ.). 5. მხოლოდ ნამსა ვსუტავ დილით და საღამოთი (ვ. ფ.). 6. მაღლა მწვერვალებზეღა მოჩანდა თოვლი, დაბლა ხეებში — ჭვავი (ვ. ფ.). 7. ყოველი არსი, სულიერი თუ უსულო, ხილული თუ უხილავი, ერთსა და იმავე მსოფლიო კანონს ექვემდებარება (ა. ჭ.). 8. ღმერთო, გაუმარჯვე ბატონსა და ყმებს, აჭა მბრძანებელსაო (ა. ჭ.). 9. დიდმა და პატარამ, ვინც კი ოჯახში იყო, თავი მოიყარა (ა. ჭ.). 10. ლხინი ბევრი მინახავს და ჭირი კიდევ მეტი ამიტანია!. (ა. ჭ.). 11. ზევიდან ბნელად დაგყურებს შავი ღრუბელი, ქვეყით კოშებიდე გირტყამს ნიაღვარი (ნ. ლ.). 12. ყმაწვილები შეზარხოშებული არიან, მოსუცები — მთვრალები; დედაბრებმა მოიგონეს თავიანთი წარსული, იმასლაათეს, მკვდარი აქეს და ცოცხალი გაქექეს (ნ. ლ.). 13. ვანმარტოებით მოსახლე იმერელი გლეხი, ერთი ებრძვის მტერს, კვნესა მოყვარეს (ნ. ლ.). 14. ...ჰყიდის ყველა: თავადი, მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ჰკვიანი და სულელი, ღოთი და პირაკრული (ნ. ლ.). 15. მამელუკები ძლიერ კარგად გრძნობდნენ, რომ ახლანდელს გამარჯვება-დამარცხებაზე იყო დამოკიდებული ჰათი ბატონობა ეგვიპტეში (უიარ.).

სავარჯიშო 450. მოუძებნეთ ანტონიმური ცალები ქვემოთ მოყვანილ ზედსართავებს, რომლებსაც წინასწარ შეურჩიეთ აზრობრივად შესატყვისი არსებითი სახელები. ანტონიმების შერჩევისას გათვალისწინეთ სიტყვის მრავალმნიშვნელობიანობა.

ნიმუში. კარგი ამინდი — ცუდი ამინდი, კარგი ხელსაწყო — უვარგისი ხელსაწყო, კარგი გემო — მდარე გემო.

ახლობელი. კეთილი, ბრმა, გონიერი, დიდი, ლამაზი, მაგარი, მაღალი, მაძღარი, მდიდარი, სველი, ტკბილი, უფროსი, ფართო, შინაგანი, ცუდი, ცხარე, წვრილი, წუნარი, ხარბი.

სავარჯიშო 451. მოუძებნეთ ანტონიმები ქვემოთ მოყვანილ სიტყვებს.

აქებს, ახლოს, გონიერი, პირველი, სიმდიდრე, სიმხდალე, სიყვარული, სიცხე, უყვარს, ჩქარა, ცოტა, წევება.

სავარჯიშო 452. ქვემოთ მოყვანილი სავარჯიშოს პირველ ნაწილში გამოყოფილ სიტყვებს მოუნახეთ ომონიმები სავარჯიშოს მეორე ნაწილიდან. ახსენით მათი მნიშვნელობები.

ნიმუში. 1. ბარი — დაბლობი ადგილი, ვაკიანი, 2. მიწრს დასამუშავებელი იარაღი, 3. რესტორანი, სადაც (ფეხზე) დგომელა შეექცევიან სასმელ-საჭმელს.

I. 1. მარტო ერთად ერთის სანთლის **ალი** თრთოდა ლოგინის თავში (ი. ჭ.). 2. ააფრინე **ალალიო**, რაც არ არი არარიო (ანდ.). 3. წჭინდა, **ანკარა** წყაროები ჩამოჩუხჩუხებდნენ (ა. ყ.). 4. **ბანზეით** გადმომდგარიყო თვალუუქუნა თეთრი ქალიო (ხალხ.). 5. ჩვენი კამეჩები მეველეებს **ბაკში** ჰყავთ დაჭერილი (ი. ჭ.). 6. **ბერი** ტიროდა დიაცი, ისმის ქვითინი ქალური (ვ. ფ.). 7. კედელზე იყო დაკიდებული ... დასაკრავი იარაღები: დაირა, ... ნაღარა, **დოლი**, **სალამურები** (რ. ე.). 8. სადგურის **ზარმა** ამცნო ყველას მატარებლის გამოსვლა მახლობელი სადგურიდან (ს. მ.). 9. ბატონს **თოფი** დავუმიზნე, გადმოვიღე მაჭახელა (ა. წ.). 10. ქართლური და კახური **თანამედროვე სალიტერატურო** ქართულის საყრდენი **კილოებია**; 11. ლეკი **ლომისა** სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია (რუსთ.). 12. [ზაზამ] შეისვენა, დამშვიდდა და აივანზე ფრთხილად აიტანა თაეისი **მძიმე** ტანი (ს. კ.). 13. სხვისი ხელით **ნარს** ნუ მოგლეჯ, ეკლიანი **ბალახია (ხალხ.)**. 14. ვისმენ **ხერხის** ჩახლეჩილი ხმით გრიალს (კ. კ.). 15. ძაღლს მიუგდიან საჭმელად **ხელი** მუცალის მკლავისა (ვ. ფ.). 16. ლუკმა გავარდეს, **ჯამში** ჩავარდესო (ანდ.).

II. 1. **ალი** ეშმაკების დედაკაცია, ისეთი ლამაზია, ისეთი, რომ მზეთუნახავსა ჰგავს ... (ნ. ლ.). 2. **ხერხი** ჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა (ანდ.). 3. ერთგვარი წევრების გამოსაყოფად შერწყმულ წინადადებაში **მძიმე** დაისმის, თუ მათ შორის და კავშირი არ არის ნახმარი. 4... მაგისი ნუ გეშინია, **ანკარაა**, არ გავნებს. 5. **ბაკი** წყლით იყო სავსე. 6. ეს არის **ანი**, ეს არის **ბანი**, ისწავლეთ, გენაცვალეთო! (ი. გ.). 7. **ბანი** მითხარით, ბიჭებო, ლექსი

უნდა ვთქვაო (ხალხ.). 8. თორნიკეს დროსაც ამგვარ მღვიმეში ცხოვრობდა ერთი ბერი (ა. წ.). 9. ბატკანი შეარჩიეს ახალი დოლიდან, ნიშანი დაადვეს შუბლზე (მ. მ.). 10. დოლის პურის წითელი სახეობა უძლებს ზამთრის ყინვებს მთა ადგილებში (გაზ. „კომუნისტი“). 11. გლოვა და ზარი იყო სათაგვეთში (ვ. ფ.). 12. დიდ ცერემონიებს, ზარსა და ზეიმს ახირებენ (ი. ჭ.). 13. [ოქრომჭედელი] რამდენს ტანსაცმელს დაიფერთხავდა, იმდენი თოფი ფარჩა, აბრეშუმი და ხავერდი ვარდებოდა ციდან (ნ. ლ.). 14. მტევანი ორ კილომდე იწონის (ა. ქ.). 15. თორღას პატარა რკინის ლომი ეჭირა (ა. ყ.). 16. ნარი ქართული ანბანის მეცამეტე ასოა.. 17. მეფის ქალი შეკრთა, უცბად წამოვარდა, ვითა ხელი (ს. შ.). 18. ღვინისათვის ჭურს ხელი მიუცია. 19. ხათამ ... ნავაჭრის ჯამს დახედა (ვ. ბ.). 20. პეტრე ალალი კაცია.

სიტყვები, ფრაზები, იდიომები

სავარჯიშო 468. გამოარკვიეთ ერთნაირად ჟღერადი ან ერთი ძირისაგან ნაწარმოები სიტყვების განსხვავებული მნიშვნელობები (გამოიყენეთ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“).

ათი — მეათე — მეათედი, აშენება — გადაშენება — დაშენება — მიშენება, ბანიანი — ბანოვანი, გაიგო — დაიგო — მოიგო, გემოიანი — გემოვნება — უგემოვნო, გადაჯდომა — დაჯდომა — შეჯდომა, იდუმალი — საიდუმლო, მარილიანი — სამარილე — უმარილო, მგზავრული — სამგზავრო, მომცრო — მცირე — უმცირესი, საფიქრალი — უფიქრალი — ფიქრიანი, საჩვენო — ჩვენებური, საცეცხლე — საცეცხლური — ცეცხლიანი, საწუთრო — წუთიერი, ხუთიანი — ხუთოსანი.

სავარჯიშო 469. დააკვირდით ფრაზეოლოგიზმებსა და მათ განმარტებებს. ფრაზეოლოგიზმების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები.

გულზე დაწვა — დადარდიანდა, გულზე ცეცხლი მოეკიდა — გაბრაზდა, გულს გაუტეხს — ხალისს დაუკარგავს, ჯანს გაუტეხს — დააძაბუნებს, გული ეუბნება — გრძნობს, ლელოს გაიტანს — მიზანს მიაღწევს, ყელში დანას გამოუსვამს — დაღუპავს, გულიდან ამოიგლეჯს —დაივიწყებს, გული გადაუბრუნდა — შეეშინდა, გული გადააყოლა — გაერთო, პირში ჩალას გამოავლებს — მოატყუებს, პირში ბურთს ჩაჩრის — გააჩუმებს, ხელს შეუშლის — შეაფერხებს, კოპებს შეიკრავს — მოიღუშება, კრიჭას შეიკრავს — დადუმდება, თაეზე ლაფს დაასხამს — შეარცხვენს, წინ დაუდგება — დააბრკოლებს.

სავარჯიშო 455. მსგავსი მნიშვნელობის ფრაზეოლოგიზმებისაგან შეარჩიეთ ერთ-ერთი, შეადგინეთ წინადადებები მათი გამოყენებით.

1. შუბლი შეიჭმუხნა — კოპები შეიკრა, ჩემი გული მოიგო — ჩემი გული მოინადირა, პირში წყალი ჩაიგუბა — პირში წყალი ჩაიყენა, კრინტი არ დაძრა — ხმა გაკმინდა, სული განუტევა — ფეხები გაჭიმა — წერილი წაიღო.

სავარჯიშო 456. დააკვირდით ქვემოთ მოყვანილი გამოთქმების მნიშვნელობებს.

აბუჩად აგდება, ავ თვალს არ ენახვება, აზრზე არ არის, ალერმა დაუქროლა, ალღოს აღება, ამერიკის აღმოჩენა, ანგარიშის გაწევა, ანგელოზების დაფრთხობა, არც ღვინო, არც წყალი, აღვირის ახმოდება, აღვირის წახსნა, მეორედ დაბადება.

ბადეში გაბმა, ბალნის აშვება, ბანის მიცემა, ბარგის აკვრა, ბდღვირის ადენა, ბედის კარზე მიდგომა, ბოლთის ცემა, ბრმა არაღი, ბუზანკალის შეჯდომა, ბუზიც არ აფრენია, ბუქსირზე აყვანა.

გამოსაცალის მონახვა, გველის ქერქში გაძრომა, გვერდის აქცევა, გვერდის დამშვენება, გზაზე დადგომა, გზა-კვალის აბნევა, გზების შეკერა, გზის გაკაფვა, გზის გამრუდება, გუდანაბადის აკვრა, გუდას პირის მოხსნა, გულზე გასკდომა, გულზე კბენა, გულზე მოსვლა, გულზე მოშვება, გულზე ლოდის დაწოლა, გულზე შემონთება, გულზე ხელის დადება, გულზე ხელის კვრა, გულთან ახლოს მიტანა (რისამე), გული ერჩის, გული ეუბნება, გული უკვდება, გული შესტკივა (ვისთვისმე), გულის ამოყრა (ვისიმე, რისამე), გულის აგორება, გულის ამოსკვნა, გულის ატოკება, გულის აღრენა, გულის აძგერება, გულის გადაყოლება, გულის გატეხა, გულის გახსნა, გულის დალეწვა, გულის მოლბობა, გულის პასუხი, გულმა უთხრა, გულში ცეცხლის ტრიალი, გუნდრუკის კმევა, გუნებაში გავლება (რისამე).

დაბალი ღობე, დავთრების არევა, დათვური სამსახურის გაწევა, დანა კრიჭას არ უხსნის, დანაზე ეხევა, დაღის დასმა, დედამიწასთან გასწორება, დიდ გულზე ყოფნა, დრო იხელთა, დროს მოკვლა, დრო მოჭამა, დუშაშის მოსვლა, დღის გაქრობა, დღის დაბნელება, დღის სინათლეზე გამოტანა.

ეკლებზე ზის, ელეთმელეთის მოსვლა, ენა უსწრებს, ენა უცრის, ენად გადაქცევა, ენად გაკრეფა, ენაზე ადგას, ენაზე კბენა, ენაზე კბილების დაჭერა, ენის ამოგნება, ენის დამოკლება, ენის დაშაქრა, ენის მოკვნეტა, ენის ჩაწყვეტა, ერთ ტაფაში წვა, ერთ უღელში ხვნა, ერთი სიცოცხლის გათავება, ეშმაკის შეჯდომა, ეშმაკს შეაფურთხა, იხტიბარს არ იტეხს.

ვარსკვლავ(ებ)ს ეთამაშება, ვირზე უკუღმა ჯდომა, ვირზე შესმა, ვირზე შეჯდომა, ვირის აბანო, ვიწროში მოატანა.

ზურგზე ბოლის ადენა, ზურგზე მტვერის ადენა, ზურგის აწვა, ზურგის გამაგრება, ზურგის შექცევა, ზურგის ჩვენება.

თაგვი კუდს ვერ მოიბრუნებს, თავბრუს დასხმა, თავბრუს დახვევა, თავზარის დაცემა, თავზე გადასდის (რამე), თავზე გადახლა (რისამე), თავზე გადახტომა, თავზე დადგომა, თავზე დასმა (ვისიმე), თავზე დაჯდომა, თავზე ევლება (ვისმე), თავზე კაკლის დამტვრევა, თავზე ლაფის დასხმა, თავზე ლეჩაქის მოხდა, თავზე ნაცრის დაყრა, თავზე საყრელი, თავზე ხახვი არ დააჭრას, თავზე ხელის აღება, თავზე ხელის მოსმა, თავთხლის გადადენა, თავი მოაქვს, თავი უკრა (სადმე), თავი ქვას ახალოს, თავი ქუდში აქვს, თავის აგდება, თავის აშვება, თავის გადადება, თავის გადაკვლა, თავის გამობმა, თავის გამოდება, თავის გართმევა, თავის გაყადრება, თავის დაძვრენა, თავის მოქონვა, თავის შენახვა, თავის პური მოჭამა, თავლაფის დასხმა, თავს გასვლა, თავს დატეხა (რისამე), თავს ზარის დაცემა, თავს შემოვლება, თვალებზე ხელის აფარება, თვალები დაუყენა, თვალების ახელა, თვალი დაუყენა (ვისმე), თვალის ახელა, თვალის ახვევა, თვალის დახამხამებაში, თვალის თვალში გაყრა, თვალის მოჭრა, თვალში ამოღება, თვალში ეჩხირება, თვალში მოსვლა, თვალში ნაცრის ჩაყრა, თითის დაწება, თითის მოკაკვა.

ია-ვარდს უფენს, ილაჯის გაწყვეტა, იოტის ოდენა.

კალაპოტში ჩადგომა. კალთების დაგლეჯა, კალთის გადაფარება. კამათლის მოსვლა. კბილები უკაწკაწებს, კბილების გასინჯვა, კბილების დასობა, კბილის მოკვეთა, კერის გაცივება, კერის დაკვრა, კილში ჩადგომა, კისერზე დაჯდომა, კისრის მოგრეხა, კოვზის ნაცარში ჩაგარდნა, კრიჭის შეკვრა, კუდი ეწვის, კუდის მოქნევა, კუდის ქიცინი

ლაგამის ამოდება, ლარის გატანა, ლაფის დასხმა, ლელოს გატანა, ლეჩაქის ახდა, ლოდის დაწოლა გულზე.

მაგარი ზურგი აქვს, მარაქაში გარევა, მარჯვენის მოჭრა. მახეში გაბმა, მგლის მუხლის მობმა, მეორედ მოსვლა, მეშვიდე ცაზე აყვანა, მეცამეტე გოჭი, მზის გაჭრობა, მიზანში ამოღება, მიწასთან გასწორება, მტვრის ადენა, მუსრის გავლება, მშრალზე დასმა, მხარის დაჭერა, მხარში ამოდგომა.

ნავსის გატეხა, ნამუსის მოწმენდა, ნაცრის ქექვა, ნემსის ყუნწში გაძრომა, ნიავს არ აკარებს, ნირის შეცვლა, ნიშანში ამოღება.

ოთხში ამოღება, ორ ცეცხლს შუა ჩავარდნა, ორმოს გათხრა, ოხტში ამოსვლა.

პატივის აყრა, პატივის დადება, პირზე აკერია (ვინმე, რამე), პი-

რი წყლით აქვს სავსე, პირის გატეხა, პირის შეკვრა, პირში ჩადგომა, პირში მიხლა, პირში წყლის დაგუბება.

ჟრუანტელის დავლა, ჟრუანტელის დავლა ტანში.

რეტის დასხმა, რიგის მიცემა, რიყეზე გაგდება, რძე არ შეშრობია პირზე.

საართო ენის გამონახვა, საკირეში ჩაგდება, სასწორზე შეგდება, საფლავს უთხრის, საღერღელის აშლა, სახელის გავარდნა, სახელის გატეხა, სახელის მოხვეჭა, სისხლის აღება, სისხლის გაშრობა, სიტყვის გატეხა, სიტყვის ჩამორთმევა, სულით დაცემა, სულის ამოხდა, სულის მოთქმა, სულმა წასძლია, სულში ჩაძვრენა.

ტალახში ამოსვრა, ტვინის ადუღება, ტვინის წაღება, ტყავის გაძრობა, ტყემალზე ზის.

ფარდის ახდა, ფაფარის აშლა, ფეხზე დადგომა, ფეხზე დაყენება, ფეხი დაჭირა, ფეხის წატეხა, ფეხის ათრევა, ფეხის მოკიდება, ფეხის მოცელა, ფონს გასვლა, ფრთების გამოსხმა, ფხის გამოჩენა.

ქადაგად დავარდნა, ქანცის გაწყვეტა, ქედის მოხრა, ქერის ორომში ჩავარდნა, ქვას გახეთქს, ქოქის ამოწყვეტა, ქუდის მოხდა.

ღმერთის შეხედვა, ღობე-ყორეს მოდება.

ყალყზე შედგომა, ყელის გამოჭრა, ყელს უწევს, ყინულზე გაცურება, ყურების წაღება, ყურებში თითის დაცობა, ყურის მოკვრა, ყურის ცქვეტა.

შავი კატის გარბენა (ვისიმე შუა), შანის მოგება, შორს დაიჭირა, შორს წასვლა, შუბლის გახსნა, შური იძია, შხამს ასმევს.

ჩაბარდა პატრონს, ჩალის გამოვლება პირში, ჩრდილის მიყენება, ჩხირის მიტეხა.

ცამდე აყვანა, ცარიელზე დარჩენა, ცას ეწევა (სიხარულით), ცეცხლზე ნავთის დასხმა, ცეცხლის მოკიდება, ცეცხლში ჩაგდება, ცივ ქვაზე დარჩენა, ციმა ოფლმა დაასხა, ცოცხლად დამარხვა, ცხვირის აწევა.

ძაფზე ჰკიდია, ძაღლის ყბის გამობმა, ძირიანად მოთხრა.

წარბის შეკვრა, წელებზე ფეხს იდგამს, წელის მომაგრება, წელში გამართვა, წერტილის დასმა, წინ წაწევა, წიხლის დაჭერა, წყლის ამღვრევა.

ჭკუაში დაჯდომა, ჭკუის კოლოფი, ჭკუის წაგება, ჭურში ჯდომა.

ხაზის გადასმა, ხაფანგის დაგება, ხელების შეკვრა, ხელზე დახვევა (ვისიმე), ხელის გამოკვრა (რასმე), ხელის აშვება, ხელის გამართვა, ხელის დაბანა, ხელის მოთბობა, ხელს არ აძლევს, ხმის გავარდნა, ხმის დაყრა.

ჯვარს აცვა, ჯორზე შეჯდომა, ჯოჯოხეთის მაშხალა.

ჰაერში დაკიდება.

გრამატიკულ-სტილისტური სავარჯიშოები

არსებითი სახელის ფორმათა გამოყენება

სავარჯიშო 457. ფრჩხილებში ჩასმული არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვის პარალელურ ფორმათაგან აირჩიეთ ერთ-ერთი ვარიანტი.

1. (ვარსკვლავები — ვარსკვლავნი) ოქროსფრად ციმციმებდნენ (ა. ბ.).[1] 2. (მგლებმა — მგელთ) ეშმაკური სახეები გამოუყვეს სოროებიდან (ნ. ლ.).[2] 3. შეზარხოშებულ (ჯარისკაცებს — ჯარისკაცთ) დაეიწყებათ თავისი თავიც და მოვალეობაც (ვ. ფ.).[3] 4. (პიონერთა — პიონერების) სასახლეში ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა კონცერტი გამართეს.[4] 5. (დიდებულებო — დიდებულნო!) დღევანდელ დღეს აღარ შეგიმძიმებთ (ლ. გ.).[5]

სავარჯიშო 458. ფრჩხილებში ჩასმული არსებითი სახელის პარალელურ ფორმათაგან დატოვეთ სტილისტურად უფრო მიღებული ან თანაბრად ღირებული ერთ-ერთი ფორმა.

1. მოსამსახურეებმა (ბახვასა — ბახვას) და მის ცოლს თბილი წყლით მობანეს სისხლი (გ. წ.).[6] 2. პასკევიჩს უწყლობის, (სიცხისა — სიცხის) და ხოლერის უფრო შეეშინდა (შ. ჯ.)[7] 3. ზოგჯერ ხალხი მარტო სირაქლემების (კვერცხებითა — კვერცხებით) და ხორცით იკვებება (ი. გ.).[8] 4. მთლად ტყავში, (ნაბადსა-ნაბადში) და ყაბალახში გახვეული ბიჭი ცხენს მიერეკებოდა (ა. ყ.).[9] 5. ფიქრობს ხმელი წიფელი თავისთავზე, წარსულზე, (აწმყოსა — აწმყოზე) და მომავალზე (ვ. ფ.).[10] 6. ბეჟია გველივით იკლაკნებოდა (შიშისა — შიშისაგან) და ტკივილისაგან (ა. ყ.).[11] 7. ეგ თქვენი (სურვილისა — სურვილისათვის) და გადაწყვეტილებისათვის მიმინდვია (ა. წ.).[12] 8. ბეჟია (გველივით — გველსავით) იკლაკნებოდა... (ა. ყ.).[13] 9. „განთიადი" — ლექსი (აკაკი წერეთლისა — აკაკი წერეთლის).[14]

სავარჯიშო 459. ზემოტი არსებითი სახელების გამოტოვებით გამართეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი.

1. თბილისში პირველი თოვლის მოსვლამ ყველა გაახარა, განსაკუთრებით ახალგაზრდობა. თბილისში თოვლი იშვიათად იცის.[15] 2. ზამთრის საგამოცდო სესიები მოახლოვდა. სტუდენტები ზამთრის საგამოცდო სესიებისათვის მზადებას შეუდგნენ.[16] 3. ზამთრობით მგელი ესტუმრება ხოლმე ხმელ წიფელს, აიტუზება ხოლმე მგელი ხმელი წიფლის გვერდით და ყმუის. შიშისაგან შეწუხებული.[17] 4.

---

[1] გრამატიკულ-სტილისტურ სავარჯიშოებს ბოლოში თან ერთვის ახსნა-განმარტებები აქ და ქვემოთ მოცემულ საანალიზო მაგალითებზე მითითებული ნუმერაციების შესაბამისად (გვ. 362—376).

ჩვენ მანქანაში ჩავსხედით და გავეშურეთ თელავისაკენ. თელავში ორი წელიწადი ვიქნება, რაც აღარ ვყოფილვარ[18]. 5. საღამო ხანი იყო, როცა ნაიბის სახლის წინ ლეკებმა ქეთო გაატარეს. ნაიბი და მისი ცოლი კარაპანში ისხდნენ. ნაიბმა და იმისმა ცოლმა დაინახეს მიმავალი ორი ლეკი. ერთ ლეკს შენიშნეს ზურგზე გუდა. გუდიდან ბავშვის თავი და სახე ჩანდა.[19] 6. თერგის ხეობაზე ხშირი და ბამბასავით გადაპენტილი ნისლი შემოწოლილიყო, ნისლს მოეფინა მთელი მიდამო, თერგის ხეობის სოფლები შიგ გაბვეულიყვნენ.[20]

სავარჯიშო 100. გააანალიზეთ განმეორებულ არსებით სახელთა სტილისტური ღირებულება ქვემოთ მოცემულ ტექსტში.

1. მინამ ცხენები ჩამოგვიყიდა, დათიკომ რუსული ტანისამოსი გაიძრო და ქართული ტანისამოსი ჩაიცვა. სულ გამოიცვალა ახალ ტანისამოსში. მშვენიერი შესახედავი ყმაწვილი კაცი დადგა (ი. ჭ.).[21] 2. ეს გაზაფხულია. მშვენიერი ბრჭყვიალა გაზაფხულის დილის პირს უღიმის დედამიწას, როგორც დედის კალთაში ჩაგორებული, გამაძღარი, ჯანსაღი ბავშვი დედამისს. ეხლა გაზაფხულია და ყველაფერი ისეა მორთული, როგორც გაზაფხულს შეშვენის (ჭ. ლ.)[22] 3. შვილი მეღუპება, შვილი!.. ჩემი სისხლი, ჩემი ხორცი!.. ერთადერთი შვილი ცოცხალი მემარხება!.. გესმის, ჩემო გაბრიელ! შვილს ვკარგავ. შვილო, მოდი და უნდო ნუ შეიქნები! (ი. ჭ.).[23]

ზედსართავი სახელის ფორმათა გამოყენება

სავარჯიშო 101. დააკვირდით მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით ზოსწონი ზედსართავი სახელების ნიმუშებს ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში.

1. პაწაწა ვარ, ობოლი, ბედმა დამიბრიყვა: ცუდ დროს დავბადი; ტანზედ მაცვია, მოკლებეწვიანი, თეთრი თვლებით მოწიწკლული თხელი ქათიბი (ვ. ფ.). 2. (ძიძია) იყო ტანადი, ლამაზი, მშვენიერის დაკოკრებულის თხელი ტუჩებით. თეთრ-ყირმიზს, ატლასს მსგავს სახეზე დასთამაშებდა მხურვალების ნიშანი ელფერი ... მოქუფრუნე ცისფერი თვალები მაცდურად უკამკამებდა და გულის გამგმირავს ისართ ისროდა; შავი, გრძელი წამწამები გრძლად გადაჭიმოდა; სქელი, შავი თმა ორს ნაწნავად თეთრ ბროლივით ყელს სუროსავით შემოხვეოდა (ა. ყ.).

სავარჯიშო 102. გააანალიზეთ გამეორებული ზედსართავების სტილური ფუნქცია ქვემოთ მოცემულ წინადადებებში.

1. წყლის მოტანილი შეშა წმინდა იქნება და წმინდა საქმეს უნდა მოხმარდეს (ა. წ.). 2. რად მომაშორა ჩემს საყვარელ ბინას, ჩემს საყ-

ვარეულ ადგილს, სადაც მე პირველად ვიგრძენ სიცოცხლე, დავინახე ცა და მზე (ვ. ფ.). 3. ბედნიერი კაცი იყო სარდიონი და ბედნიერადაც ცხოვრობდა (ვ. ფ.) 4. მეც მანდა ვარ, ყოჩაღ, ჭორო, ყოჩაღ! ვგნაცვალე მამაც კაცს, მამაც სიტყვას (ვ. ფ.). 5. კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო (ანდ.). 6. — შენ რაღად, ჩემო გაბრიელ? შენ რაღად, რაღად? — ქვითინებდა ის ტანჯული კაცი; ვთქვათ, მე იმისათვის, რომ უბედურის შვილის უბედური მამა ვარ, შენ რაღად, შე უბედურის დღისავ! (ი. ჭ.).

სავარჯიშო 403. დააკვირდით, როგორ ავსებენ სინონიმური ზედსართავი სახელები საგნის ნიშან-თვისებებს.

1. გაბოროტებული, გულდამწვარი, გულჩათუთქული მოვაჯექ ცხენსა და დავეშვი იმ მთიდან უგზო-უკვლოდ (ი. ჭ.). 2. დალოცა ისეე თავზედხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმორჩავი მღვრიე თერგი (ი. ჭ.). 3. იაგო მარჯვე, ყოჩაღი, გულადი და მოაზრებული ბიჭი იყო (ა. ყ.). 4. დამთვრალსა და გალეშილსა ტკბილი ძილი მოუნდესა (ხალხ.). 5. ღმერთო, ხომ შენ ხარ მოწამე, ჩვენი სიყვარული წმინდა არის, როგორც ანკარა მთის წყაროო (ი. ჭ.).

სავარჯიშო 404. შეასწორეთ წინადადებები, რომლებშიც ზედსართავი სახელები შეუფერებლად ან ზედმეტადაა ნახმარი.

1. მშრომელი მეჩაიეები ჩაის საკრეფად მიეშურებოდნენ.[24] 2. სიმპოზიუმზე კარგი მოხსენებებით გამოვიდნენ რჩეული, ცნობილი მეცნიერები.[25] 3. საკუთარი ძმის ნახვით ძალიან გაიხარა.[26] 4. გრილი გაზაფხულის თბილი სიო საამურად უბერავდა[27]. 5. ქალაქში ჩასვლისას ცუდი ამინდის გამო ცუდ ხასიათზე დავდექით[28]. 6. მოუსვენარი ზღვის წყნარი ტალღები გამუდმებით ეხლებოდნენ ნაპირებს[29]. 7. კონცერტზე შესანიშნავი მომღერლების გამოსვლამ კარგი განწყობილება შექმნა მაყურებელში[30].

რიცხვითი სახელის ფორმათა გამოყენება

სავარჯიშო 405. ახსენით, რა მიზნით არის გამოყენებული განმეორებული რაოდენობითი რიცხვითი სახელი წინადადებებში.

1. გრიგოლ ორბელიანის ორი მწევარი, მაღალი, კნაჭა და გრძელფეხა მწევარი, ორი თეთრი ლარივით გაიწაფა და დაწინაურდა (მ. ჯ.)[31]. 2. ბევრ საპატარძლო ქალებს დარჩათ თვალი გიორგიზედ, ბევრს შეევარდნია გული, ბევრს ჩასახვია გულში იმისი სურვილი (ი. ჭ.)[32].

სავარჯიშო 466. გვითხარით, ფრჩხილებში ჩასმულ ერთი და იმავე მნიშვნელობის სიტყვიერ ფორმათაგან რომელს მიანიჭებდით უპირატესობას და რატომ.

1. გოგია უიშვილი (ორმოციოდე — დაახლოებით ორმოცი) წლის გლეხი იყო (ე. ნ.)[33]. 2. (ორივე — ორივენი, შეჩერდ(ა)ნენ და თვალი გააყოლეს ზღვის ზედაპირს (ა. ბ.)[34]. 3. აქ დაიხოც(ა)ნენ (სამი წელიწადნახევრის განმავლობაში) (სამი წარჩინებული ბელადი — სამნი წარჩინებულნი ბელადნი), მთელს დაღესტანში ცნობილნი საუკეთესო ვაჟკაცებად (ი. გ.)[35].

სავარჯიშო 467. გამოარკვიეთ „ერთი" რიცხვითი სახელის განსხვავებული მნიშვნელობები.

1. ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო (ანდ.)[36]. 2. ერთ [illegible] სწავლულმა კაცმა ზაფხულში ერთი მერცხალი შეიჩვია (ი. გ.)[37]. 3. ერთი ხელი მარჯვენად იწოდება და მეორე მარცხენად (ი. გ.)[38]. 4. ჩვენ ერთ მიზანს ვემსახურებით (ი. ჭ.)[39]. 5. შეიქმნა ერთი საზოგადო მხიარულება (ა. წ.)[40]. 6. აბა, ერთი, ჩავუყაროთ აქ სახლს ფუძე-საძირკველი (შ. მ.)[41]. 7. ფიცარიც იქნება ერთი ათი (ნ. ლ.)[42]. 8. ზვავი რაკი ერთი დაიძვრებოდა, სანამ ჭალაში არ გაიგელვებდა, აღარ შედგებოდა (თ. რ.)[43]. 8. [გადაფრინდა]. ჯტის ... ერთ ამბავშია (თ. რ.)[44].

ნაცვალსახელის ფორმათა გამოყენება

სავარჯიშო 468. ახსენით, რა მიზნითაა გამოყენებული განმეორებული ნაცვალსახელები ქვემოთ მოცემულ წინადადებებში. დაადგინეთ მათი შინაარსობრივი ჯგუფები.

1. მე ვიყავი იმათი გულშემატკივარი ამ ტრიალ ქვეყანაში, ბატონო მე!.. ვაი, რომ უხეიროდ თავი წავიხდინე!.. ეგრე უხეიროდ რომ არ გავფუჭებულიყავ, მე ვიცოდი, რა კაცობასაც მე იმათ გავუწევდი, მაგრამ აღარ დამცალდა (ი. ჭ.)[45]. 2. შევხაროდი იმ რიყერაჟ დილას, იმ ლურჯ ცას, იმ ნამით პირდაბანილს დედამიწას და მე მეგონა რომ ცაც და დედამიწაც ყველა მე შემომხარიან (ი. ჭ.)[46]. 3. ჩვენი წადილი, ჩვენი იმედი ყოველთვის, ძამო, არის საფრთხეში ... (ი. ჭ.)[47]. 4. ამ შორეულ ფაცხა-მღვიმეს ვინ ჰპატრონობს, ვისი არის? და საამო კარ-მიდამოს ვინ შესტრფის და ვინ შეჰხარის? (ა. წ.)[48]. 5. მაშინ რა ვიცოდი მე, სულელმა, რომ უმცროსუფროსობაში სიყვარული სიზმარია? რა ვიცოდი, რომ ბატონ-ყმობას შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება? ეგრე ყოფილა ქვეყანაზედა, ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს! ეს რომ მცოდნოდა, ღმერთს ვფიცავ და ჩემს მამა-პაპის სალოცავსა, გულში ნაღველს ჩავიწერავდი და იმის სიყვარულს კი არ გავიტარებდი, მაშინ რა ვიცოდი (ი. ჭ.)[49]. 6. ამ ჩვენს თავზე ვიფიქროთ, როგორი საშინელი და სა-

ზარელი ყოფაა უპატრონო, უმწეო სხეულისა. არავინ შეიბრალებს, არავინ მანუგეშებელი, არავინ ყურისმგდებელი (ვ. ფ.)[54]. 7. ზოგსა კაცსა კაცი ჰქვია, ზოგსა კაცსა — კაცუნაო, ზოგს დედაკაცს დედაკაცი, ზოგსაც დედაკაცუნაო (ხალხ.)[51]. 8. მტერს ჩემი ყველა დაუთმე, ყველა ვაპატიე, ყველა დავივიწყე (ი. ჭ.)[52].

სავარჯიშო 469. სტილისტურად გაასწორეთ წინადადებები:

ა) ნაზგასმული ნაცვალსახელებიდან ერთ-ერთი ზედმეტია:

კესანე და ია ტკბილი მეზობლები იყვნენ. დაჰბერავდა ნიავი და მიახლიდა მეგობრებს ერთმანეთს. ისინიც გადაიჭდევდნენ ყელზე ყელსა და სტკბებოდნენ სიყვარულით. ისინი მოჰყვებოდნენ ტკბილად ჰუკჰუკს, მაგრამ კაცის ყური კი ძალიან ძვირად გაიგონებდა ამათ ლაპარაკს[53].

ბ) აიცილეთ ორაზროვნება ზედმეტი ნაცვალსახელების ამოღებით:

რაწამს ქალმა თვალი მოჰკრა, ის სიხარულით გაექანა მისკენ[54].

გ) არსებით სახელებს შეუნაცვლეთ ნაცვალსახელები და აცდენთ განმეორებებს თავიდან:

№ 1 საამქროს მუშებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმა ვადაზე ადრე შეასრულონ. № 1 საამქროს მუშები მოწინავენი არიან მთელს ქარხანაში. ადმინისტრაციამ საამქროს მუშებისათვის პანსიონატებისა და სანატორიუმების საგზურები გამოყო[55].

სავარჯიშო 470. ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში გამოარკვიეთ, რა შემთხვევაშია საჭირო პირის ნაცვალსახელების ხმარება და რა შემთხვევაში არა.

1. მე და სვიმონა გამოვედით ჩვენს სოფელში დანარჩენი საქმის გასარიგებლად (ა. ყ.)[56]. 2. მზე გადაიხარა, როდესაც პურის ჭამა გვათავეთ. მე შევუდექ ჩემი მოვალეობის აღსრულებას (ა. ყ.)[57]. 3. — —შენ წიგნის სწავლა გიწდა, ძმობილო? — მიბრძანა დალოცვილმა, — თუ ეგ გულში გედო შენ, რატომ არ მითხარ? რად დამიმალე შენი გულის წადილი? გულდახურული ყოფილხარ შენ[58]. 4. მასწავლებელმა გამომიძახა და მე მკითხა გაკვეთილი[59]. 5. მე ქალაქში დავრჩები, შენ კი სოფელში წადი[60].

სავარჯიშო 471. შეასრულეთ შემდეგი სახის დავალებები:

1. მოუძებნეთ კონკრეტული მნიშვნელობები ასეთი, ამისთანა სიტყვებს, რისთვისაც გამოიყენეთ შესაბამისი ზედსართავები:

ა) ვინც თავისი შეუპოვარი, თავგანწირული შრომით იღვაწა და იცხოვრა ხალხისათვის, ვინც ამის სანაცვლოდ მშობელი ხალხის გულში განუზომელი სიყვარული და მადლიერება დაიმკვიდრა — ა ი ა ს ე თ ი, სწორედ ა ს ე თ ი გმირია უკვდავი.[61]

ბ) მშენებლობის დიდი დროა
რომ არ თქმულა, ი მ ი ს თ ა ნ ა (გ. ტ.)[62].

2. შეცვალეთ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებით ნაცვალსახელები ა მ გ ვ ა რ ი, ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა გ ვ ა რ ი:

ა) ა მ გ ვ ა რ ი სიტყვებით დაიმედებულს, გული საგულეს მჭონდა (ა. წ.)[63]

ბ) აქა-იქ ოთახის სამკაულად ეყარა ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა გ ვ ა რ ი ნივთები: ყარაბაღული თეთრი წაღები, პირმოტეხილი სპილენძის თუნგი, ქონიანი შანდალი, სპილენძის საჩაიეში მოხარშული მყრალი ბალახი, ზურგიელის ნაჭერი, სხვანი და სხვანი (ი. ჭ.)[64]

3. მოძებნეთ წინადადებებში სიტყვები, რომლებიც აკონკრეტებენ „ასეთი მოსწავლის“ მნიშვნელობას:

თამაზი ნიჭიერი, ბეჯითი და თავაზიანი მოსწავლეა. ა ს ე თ ი მოსწავლე ყველას უყვარს.[65]

4. შეცვალეთ ებრ-თანდებულიანი ნაცვალსახელები ვით-თანდებულიანი ნაცვალსახელით:

ა) სახლი ღვთისაა ... შენც შეგივრდომებს,
შ ე ნ ე ბ რ მახვეწარს ძრავალსაც სხვასა (ი. ჭ.)[66].

ბ) პატარა ჩემი ამხანაგები
ჩემს გულჩვილობას იქ დასცინოდნენ,
დავიწყებოდათ თავის დარდები,
როცა ისინი ჩ ე მ ე ბ რ ტიროდნენ (ი. ჭ.).[67]

5. მოუძებნეთ მსგავსი მნიშვნელობის ნაცვალსახელები ხაზგასმულ ნაცვალსახელებს:

ა) არა სთქვა რა, არც მე გკითხავ,
არის ბევრი შეცოდება,
რომ სათქმელად საძნელოა...
არც შენდობა უხერხდება! (ა. წ.)[68].

ბ) მართალს ვიტყვი, შევიქმნები ტყუილისა მოამბე რად?
ვერახს ვუქებ საძაგელთა უფერულთა პირ-საფერად (დ. გ.)[69].

გ) არახს გარგებს სიმძიმილი, უსარგებლო ცრემლთა დენა... (რუსთ.)[70].

საკარჯიშო 472. ნაცვალსახელების გეგმაზომიერი გამოყენებით აიცილეთ თავიდან არასებით სახელთა გამეორებები ქვემოთ მოცემულ ტექსტში.

გიორგი ერისთავი დაიბადა 1813 წელს. გიორგი ერისთავის მამა დავითი იყო ქსნის ერისთავთა მემკვიდრე. გიორგი ერისთავის დედა მარიამი განათლებული ქალი ყოფილა. რვა წლამდე გიორგი ერისთავი დედის უშუალო ხელმძღვანელობით იზრდებოდა. მომავალ პოეტს, გიორგი ერისთავს, დედამ ჩაუნერგა სამშობლოსა და მშობლიური ენის სიყვარული. 1821 წელს გიორგი ერისთავი მშობლებმა თბილისში ჩამოიყვანეს და კეთილშობილთა სასწავლებელში მიაბარეს გიორგი ერისთავი გულმოდგინედ დაეწაფა სწავლას. კეთილშობილთა სასწავლებელში გიორგი ერისთავი ოთხ წელიწადს სწავლობდა...

საკარჯიშო 473. ნაცვალსახელების ადგილას გეგმაზომიერად ჩასვით არსებითი სახელები და ისე გაამართეთ ტექსტი.

დავით კლდიაშვილი დაიბადა 1862 წელს. მისი მამა ხელმოკლე აზნაური იყო. იგი ადრე დაობლდა. მან ბავშვობა მამის ოჯახში და დედულეთში გაატარა. იგი შვიდი წლის იყო, როცა მამამ ქუთაისს წაიყვანა და სასწავლებელში მიაბარა. პირველ ხანებში იგი ვერ შეეგუა ახალ გარემოს, თვალი სოფლისაკენ ეჭირა. ქუთაისის სასწავლებელში იგი გატაცებით კითხულობდა მხატვრულ ლიტერატურას. აქ მან წაიკითხა ი. ჭავჭავაძის პოემა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ". ილიას პოემას მასზე უდიდესი შთაბეჭდილება მოუხდენია...

ზმნის ფორმათა გამოყენება

საკარჯიშო 474. გამოარკვიეთ ერთი და იმავე შინაარსის სიტყვიერ ფორმათაგან სტილისტურად რომელს მიანიჭებთ უპირატესობას, რომელი შეიძლება იყოს მწერლისეული?

1. (გამიქვავდეს — ქვად მექცეს) მაშინ ენა, თუ რომ ვისმე მოვეფერო (ა. წ.). 2. ჭერსა და კედლებს (ათეთრებს — თეთრ ფერს აძლევს). 3. აქ მუშაობა (გვაერთებდა — ერთად გვაკავშირებდა) ყველას (დ. კ.). 4. მერცხლები მოსვლის უმალვე თავიანთ ბუდეს იპოვნიან ხოლმე და (იჩემებენ — თავისად იხდიან), როგორც თავისი პატრონები (ი. გ.). 5. ჯიბო მუდამ დაღვრემილი დადიოდა (გაავდა — ავი გახდა) (ე. გ.). 6. მთელი მიდამო (გაუკაცრიელდა — უკაცრიელი გახდა). 7. გაცურებული ლუარსაბი შაქარსავით (გაუტკბილდა — ტკბილად მოეპყრო) თავის ამჟამად გამარჯვებულ მეუღლესა (ი. ჭ.). 8. თავისი ახალი (გაასხვისა — სხვას მიაკუთვნა). 9. გელა (გააკაცდა — ავი კაცი გახდა), გაბოროტდა (ვ. ბ.).

სავარჯიშო 475. ქვემოთ მოყვანილ ზმნებს დაურთეთ მათთვის განკუთვნილი ზმნისწინები, დაკვირდით უზმნისწინო და ზმნისწინდართული ვარიანტების განსხვავებულ მნიშვნელობებს. შვადგინეთ წინადადებები მათი გამოყენებით.

1. აბამს — მი, და, შე, გა; 2. აბნევს — მი, ა, და, ჩა, შე, გა; 3. ავსებს — ა, და, გა, შე, ამო; 4. იგებს — და, გა, მო, ამო; 5. ურჩევს — გა, და, შე, გადა, ამო.

სავარჯიშო 476. მოუძებნეთ სინონიმური მნიშვნელობის სიტყვები ზმნებს შესაძლო რაოდენობით შესაბამისი რიგებიდან და მიუწერეთ გვერდით. შეადგინეთ წინადადებები თითოეულ მათგანზე.

1. აბობოქრდება —
   ამკვრივებს —
   აღიჭურვება —
   აფერხებს —
   ამკობს —
   აშენებს —
   აქეზებს —
   აუგებს —
   ახრჩობს —

2. გააჩუმებს —
   გაბრაზდება —
   გადაზიდავს —
   გამოიძია —
   გატყდება —
   გაჯავრდება —

3. დააარსებს —
   დაამახინჯებს —
   დაამტვრევს —
   დააფეთებს —
   დანებდება —
   დასნეულდება —
   დაფლეთს —
   დაწყნარდება —

4. ფანტავს —
   ფარავს —
   ფარისევლობს —

5. შეაუღლებს —
   შეაყენებს —
   შეაშფოთებს —
   შეაძულებს —

შებოლავს —
შეებრალება —
შეეყრება —

შესაბამისი რიგები:

1. აბრკოლებს, აგულიანებს, ამშვენიერებს, ამძვინვარდება, ამაგრებს, დაუდგამს, შეიარაღდება, აგებს, გუდავს.

2. გადაიტანს, გაჯავრდება, დაადუმებს, გაცხარდება, გამოიკვლია, დაიმტვრევა.

3. დაასახიჩრებს, დააფუძნებს, დალეწავს, დააფრთხობს, დაბრჩილდება, დაუძლურდება, დაგლეჯს, დამშვიდდება.

4. მალავს, თვალთმაქცობს, აბნევს.

5. შეაჩერებს, დააქორწინებს, აიფორიაქებს, შეაჯავრებს, გამშურავს, შეეცოდება, შეხვდება.

სავარჯიშო 477. გამოარკვიეთ შერწყმული ზმნების წარმოება და მათი ძნიშნელობები ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში.

1. ხიდი რომ წაღებული დაუხვდა, ფონს დაუწყო ძებნა: აატარჩამოატარა წყლის პირად ცხენი და ბოლოს უკანვე გააბრუნა (ა. წ.). 2. შენგან აღძრულსა ფიქრებსა ვეთაყვან-ვენაცვალეო (ვ. ფ.). 3. ნეტავი რისთვის ვიცოცხლე, რისთვის ვათენ-ვაღამე (ვ. ფ.).

წინადადების წევრთა გამოყენება

სავარჯიშო 478. ქვემოთ მოცემულ წინადადებებში ფრჩხილებში ჩასმულ სიტყვათაგან დატოვეთ ერთ-ერთი მართებული ან უმჯობესი ვარიანტი.

1. სამყარო (უსასრულო და უკიდეგანოა — უსასრულოა და უკიდეგანოა)[71]. 2. ვანო და ნოდარი განუყრელი (მეგობრები არიან — მეგობრებია)[72]. 3. იალბუზი მაღალი (მწვერვალია — მწვერვალი არის)[73]. 4. ისინი (აღელვებული — აღელვებულები) იყვნენ[74]. 5. ჩემი მეგობარი (ცოლ-შვილით — ცოლ-შვილითურთ) ჩამოვიდა[75]. 6. (ამხანაგის — ამხანაგისაგან — ამხანაგის მიერ) გამოგზავნილი წერილი მივიღე[76]. 7. ფეხის (მტეხილობის გამო — მოტეხილობისათვის) საავადმყოფოში მოათავსეს[77]. 8. ნინოს (თავისი კლასის ყველა მოსწავლე — ყველა თავისი კლასის მოსწავლე) ერთნაირად უყვარს[78].

მარტივი წინადადების გამოყენება

სავარჯიშო 479. დააკვირდით, რა განსხვავებული ბრძანებითი ელფერი დაჰკრავს მარტივ წინადადებებს მათში შემავალ წევრთა გადაადგილებისას.

1. ვანოს მეგობარი ჩამოვიდა გუშინ ქალაქში.
2. ჩამოვიდა ვანოს მეგობარი გუშინ ქალაქში.
3. გუშინ ჩამოვიდა ვანოს მეგობარი ქალაქში.
4. ქალაქში ჩამოვიდა ვანოს მეგობარი გუშინ[79].

სავარჯიშო 480. გაასწორეთ მარტივი წინადადებების წევრთა შეუსაბამობის შემთხვევები ქვემოთ მოცემულ წინადადებებში.

1. ოტია მეტად გახარებული იყო ვაჟის ყოლით[80]. 2. სამადაძის ხსენებაზე პირველ რიგში ეკვირინემ ტუჩები მოკუმა[81]. 3. თურმე სასიძოს მზითევი ეპატარავა[82]. 4. ტანში შიშისაგან ქრუანტელი დაურბის[83]. 5. მასწავლებლის შეკითხვაზე მოსწავლე სწორად ეუბნება[84]. 6. ოტია თავმოყვარედ მიჰყვებოდა უკან თავის ცოლს[85]. 7. გულს ახარებს მრავალი მოსავალი[86]. 8. მოსწავლემ ლექსი კარგად წარმოთქვა[87]. 9. პლატონი უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა[88].

10. სტუდენტმა ამოცანად ხუთებზე სწავლა დაისახა[89]. 11. ის თავისთავს განათლებულ კაცად ამბობდა[90]. 12. სახლის კედელზე კიბე მიაყენეს[91]. 13. მშრომელები მოწესრიგებულად შეუდგნენ საშემოდგომო თესვას[92]. 14. მქრქალი ელექტროდენი ანათებს კედლის მოხატულობას[93].

სავარჯიშო 481. ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში გაასწორეთ სტილური დარღვევის შემთხვევები ზედმეტი სიტყვების ამოღებით.

1. მამამ პატარა ვანო თავის მხრებზე შეისვა[94]. 2. თეთრ თოვლს არე-მარე მთლად დაეფარა[95]. 3. ვერცხლისფერმა ლაინერმა ჰაერში წრე მოხაზა და ჩრდილოეთისაკენ აიღო კურსი[96]. 4. ტყის გარეული ნადირი დიდთოვლობის გამო ბარში ჩამოვიდა[97]. 5. სოლომონი მშფოთვარე მოუსვენრობით ატარებდა მთელ დღეებს[98]. 6. სახლში წყნარ სიჩუმეს დაესადგურებინა[99]. 7. ბაღში სუფთა ჰაერზე სიარულით სეირნობამ ძილი მოჰგვარა[100]. 8. მძინარე მწყემსს ზევიდან ნაბადი ჰქონდა გადაფარებული[101]. 9. მერცხლები ფრენით დაბრუნდნენ თბილი ქვეყნებიდან[102]. 10. ოთახი შიგნით ელექტროშუქით იყო გაჩირაღდნებული[103]. 11. წვიმა გადაუღებლად წვიმდა[104].

სავარჯიშო 482. მარტივი გაუვრცობელი წინადადება გადააქციეთ გავრცობილად.

1. მდინარე მიიკლაკნება.
2. მოსწავლეებმა სტუმრებს შეხვედრა მოუწყვეს.
3. ფრინველები ესალმებოდნენ განთიადს.
4. ყვავილები გაშლილიყო.
5. მერცხლები ჭიკჭიკებენ.
6. მთები ფიქრს მისცემოდნენ.

სავარჯიშო 483. გამოარკვიეთ, რა სხვაობას იწვევს სახელების გადანაცვლება.

ქალის ლამაზი ფეხსაცმელი
ლამაზი ქალის ფეხსაცმელი

ხის დიდი სახლი
დიდი ხის სახლი

ჩითის კარგი პერანგი
კარგი ჩითის პერანგი

მთის დიდი ჩანჩქერი
დიდი მთის ჩანჩქერი

სავარჯიშო 484. ფრჩხილებში ჩასმულ სინონიმურ კავშირთაგან დატოვეთ მოცემული წინადადებისათვის გამოსადეგი ან სტილისტურად უფრო ხელსაყრელი, ან თანაბარი ღირებულების მქონე ერთ-ერთი ვარიანტი.

1. სტუმარი (და, თუ) მასპინძელი, ქალი (და, თუ) კაცი, მსახური (და, თუ) მებატონეები გამოვიდნენ საკვირველების სანახავად (ნ. ღ.)[105]. 2. ნაცვალი (თუ, და) იასაული ოთარაანთ ქვრივის ეზოში ვერ გაიწაწანებდნენ (ი. ჭ.)[106]. 3. ქალაქამდე ათი (თუ, და) თორმეტი კილომეტრი იქნება[107]. 4. სტუდენტები წავიდნენ (და, თუ) აქ არიან?[108]. 5. პელაგიამ (და, თუ) ნადიამ თავი მოიმძინარეს (ა. ბ.)[109]. 6. კეთილი კაცი იყო გარისევანი, (თუმცა, ოღონდ, მაგრამ) ხელმაგარი, ჯიქი[110]. 7. როსტომი მალე განიკურნა, (ხოლო) სულხანი (კი) იგვიანებდა (მ. ჯ.)[111].

სავარჯიშო 485. დაკვირდით შერწყმული წინადადების სინონიმურ ვარიანტებს. რა ქმნის ამ ვარიანტულ სხვაობას?

1. სტუმარი და მასპინძელი, ქალი და კაცი, მსახური და მებატონე გამოვიდნენ საკვირველების სანახავად.

2. სტუმარი თუ მასპინძელი, ქალი თუ კაცი, მსახური თუ მებატონე გამოვიდნენ საკვირველების სანახავად.

3. სტუმარი, მასპინძელი, ქალი, კაცი, მსახური, მებატონე გამოვიდნენ საკვირველების სანახავად.

4. სტუმარიც, მასპინძელიც, ქალიც, კაციც, მსახურიც, მებატონეც გამოვიდნენ საკვირველების სანახავად.

5. სტუმარიც და მასპინძელიც, ქალიც და კაციც, მსახურიც და მებატონეც გამოვიდნენ საკვირველების სანახავად.

6. სტუმარი, მასპინძელი, ქალი, კაცი, მსახური და მებატონე გამოვიდნენ საკვირველების სანახავად.

სავარჯიშო 486. გახსენით ფრჩხილები. გამოარკვიეთ, რა სტილისტურ ფუნქციას ასრულებენ ნაწილაკები წინადადებებში.

1. თითქოს დაღლილა მიწა(ც) და ცა(ცა)[112]. 2. კომბაინი (კიდეც) მკის და (კიდეც) ლეწავს[113]. 3. აღარ ისმოდა იქიდან შემოდგომით გულის მანათობელი ხარ-ირმის ყვირილი: (აღარც) შვლის ხავილი, (აღარც) ტურის ჩხავილი და (აღარც) ყმუილი მშიერი მგლისა (ვ. ფ.)[114].

სავარჯიშო 487. გახსენით ფრჩხილები. გვითხარით, რა დამატებით მნიშვნელობას სძენს კავშირები ქვემოთ მოცემულ წინადადებებს. ირღვევა თუ არა მათ გარეშე წინადადების სტრუქტურა?

1. არსენა (ხან) ხმალზე ისვამდა ხელს, (ხან) ხანჯალს აწვალებდა, (ხან კიდევ) წელზე დამბაჩას ისინჯავდა (მ. ჯ.)[115]. 2. ჩხიკვი (ან) შველივით დაიხავლებდა, (ან) ხის ტოტებზე დაიწყებდა ფრენას (ვ. ფ.)[116].

სავარჯიშო 488. ფრჩხილებში ჩასმულ ფორმათაგან დატოვეთ წინადადებისათვის შესატყვისი მართებული ფორმა.

1. დღეს დიდი სპორტული დღესასწაულია დინამოს (სტადიონსა, სტადიონზე, სტადიონში) და სპორტის სასახლეში [117]. 2. (მასპინძელმა, მასპინძელი) მიესალმა სტუმარს [118].

სავარჯიშო 489. შეარჩიეთ შესაფერისი განმაზოგადებელი სიტყვა და ჩასვით წერტილების ადგილას შერწყმულ წინადადებებში. გადმოეცით, რა ადგილი უკავია მას ერთგვარ წევრებთან მიმართებით.

1. მამალი მელა მიდიოდა სანადიროდ და მოჰქონდა სოროში ბევრა ...: თევზები, ფრინველები, კურდღლები, თაგვები, ბაყაყები **(ი. გ.)** [119]. 2. მაგიდაზე, თაროზე, სკამებზე, ლოგინებზე — ... წიგნები ეყარა (დ. შ.). [120]

რთული თანწყობილი წინადადების გამოყენება

სავარჯიშო 490. შეასრულეთ შემდეგი დავალებები:

ა) შეადგინეთ თანწყობილი წინადადება მარტივი წინადადებების შეერთებით:

მსაჯის სასტვენის ხმა გაისმა. თამაში დაიწყო.

ბ) თანწყობილი წინადადებებისაგან მიიღეთ მარტივი წინადადებები:

მიწყნარდ-მოწყნარდა ყველაფერი და მეც პირველი საჩუქრით გადამიყვანეს მეორე კლასში (ა. წ.).

გ) კავშირიანი რთული თანწყობილი წინადადება აქციეთ უკავშიროდ:

მეურმეები აიშალნენ, მაგრამ ჩვენმა პეტრემ თავისი სტუმრები თავის ადგილას ვეღარა ნახა (ი. ჭ.).

დ) უკავშირო რთული თანწყობილი წინადადება აქციეთ კავშირიანად:

გაზაფხული დადგა, ფრინველები მოფრინდნენ თბილი ქვეყნებიდან.

სავარჯიშო 491. ჩასვით თავ-თავის ადგილას კავშირები: და, ან ... ან, ხან ... ხან, მაგრამ, ხოლო წერტილების ადგილას ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში. გამოარკვიეთ, როგორი ურთიერთმიმართებაა დამყარებული წინადადების ნაწილებს შორის.

1. კოდალა ხეს უკაკუნებს ... ტოროლა ცაში გალობს (რ. ე.). 2. ჩქარა ვახშამიც მოგვიტანეს ... ყველანი შემოვუსხედით სუფრას (ვ. ფ.). 3. დაიქუხა ... წვიმა წამოვიდა. 4. ... მონადირე წამომადგება თავს, ... მგელს შევეფეთები. 5. ... წვიმს, ... თოვს. 6. წვიმამ გადახილა, ... ცაზე მზე მაინც არ ჩანდა. 7. ბორბალა მაღალი მთაა, ... მყინვარი კიდევ უფრო მაღალია.

საკარჯიშო 492. გაანალიზეთ, როგორ წარმოებს პირველ წინადადებაში გამოხატული აზრის გადმოცემა სხვადასხვაგვარად მომდევნო წინადადებებში. დააკვირდით განსხვავებულ აზრობრივ ნიუანსებს მათ შორის.

1. მზე ჩავიდა და მწყემსებმა ღამის სადგურებს მიმართეს.
2. როცა მზე ჩავიდა, მწყემსებმა ღამის სადგურებს მიმართეს.
3. რაკი (ვინაიდან, რადგან) მზე ჩავიდა, მწყემსებმა ღამის სადგურებს მიმართეს.
4. მზე რომ ჩავიდა, მწყემსებმა ღამის სადგურებს მიმართეს.
5. მზე ჩავიდა, ხოლო მწყემსებმა ღამის სადგურებს მიმართეს.
6. მზე ჩავიდა, მწყემსებმა კი ღამის სადგურებს მიმართეს.
7. მზე ჩავიდა, მწყემსებმა ღამის სადგურებს მიმართეს.
8. მზის ჩასვლისას მწყემსებმა ღამის სადგურებს მიმართეს.
9. მზის ჩასვლისთანავე მწყემსებმა ღამის სადგურებს მიმართეს. [121]

რთული ქვეწყობილი წინადადების გამოყენება

საკარჯიშო 493. ადადგინეთ კავშირები ქვემოთ მოყვანილ რთულ ქვეწყობილ წინადადებებში და ჩასვით ფრჩხილებში. გამოარკვიეთ, რომელ წინადადებაში არ არის საჭირო კავშირი, რომელშიაც საჭირო ან სასურველი.

1. გახარებულმა ალალმა გასწია ტყისაკენ, იქ შეეჯახა თავისი მსხვერპლი (შ. ა.)[122]. 2. დარწმუნებული გახლავარ, აქ რაღაც სხვა ამბავია (ა. წ.).[123] 3. გული ადგილიდან აქეთ-იქით უნდა მიძრა-მოძრას კაცმა, კაცს კაცის სიკეთე უნდა (ი. ჭ.) [124]. 4. დედამ იცოდა, რა იყო შვილის უგუნებობის მიზეზი [125]. 5. მე ძალიან გულითა მსურს, მოვისმინო შენი სტვენა (ა. წ.) [126]. 6. ბევრჯერ უნახავთ, ხუმრას მარტოს მოემკოს დღიური (ვ. ფ.) [127]. 7. ერეკლეს უნდოდა, სპარსელები მოხერხებულობით დაემარცხებინა [128]. 8. ხომ გაიგონე, მცურავებმა ვერ შებედეს შეცურვაო (ა. წ.). [129]

საკარჯიშო 494. მაქვემდებარებელი კავშირები: როცა, როდესაც, რომ, რაზომ, რაკი, როგორც კი, თუ არა ამავე რიგის მიხედვით ჩასვით წერტილების ადგილას განმეორებულ წინადადებებში. გამოარკვიეთ, რა სტილისტურ მსგავსება-განსხვავებულობას ავლენენ ისინი ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში.

1. ... გაიგეს ეს სამწუხარო ამბავი თელავში, ახლო-მახლო სოფლები აღელდნენ.
2. ... გაიგეს ეს სამწუხარო ამბავი თელავში, ახლო-მახლო სოფლები აღელდნენ.
3. ...გაიგეს ეს სამწუხარო ამბავი თელავში, ახლო-მახლო სოფლები აღელდნენ.
4. ... გაიგეს ეს სამწუხარო ამბავი თელავში, ახლო-მახლო სოფლები აღელდნენ.
5. ... გაიგეს ეს სამწუხარო ამბავი თელავში, ახლო-მახლო სოფლები აღელდნენ.

6. ... გაიგეს ეს სამწუხარო ამბავი თელავში, ახლო-მახლო სოფლები აღელდნენ.

7. გაიგეს ... ეს სამწუხარო ამბავი თელავში, ახლო-მახლო სოფლები აღელდნენ. [130]

სავარჯიშო 405. ქვემოთ მოყვანილი რთული ქვეწყობილი წინადადებების დამოკიდებული წინადადება შესაძლო შემთხვევაში გადააადგილეთ იმგვარად, რომ იგი ან უსწრებდეს მთავარ წინადადებას, ან მოსდევდეს მას, ან მთავარის შიგნით იყოს მოქცეული. გამოარკვიეთ, რა აზრობრივი ნიუანსი შეინიშნება გადაადგილებისას მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორის.

1. ჯაჯალამ სიმღერა მაშინ დაიწყო, როცა ყველანი შეგროვდნენ. [131]

2. ჯაჯალა, რომელსაც გაგიჟებით შეყვარებია მათია, ძალზე იტანჯებოდა. [132]

3. ლუარსაბი წამოხტა, მიეგება ძმას, ვერაფერი კი ვერ ჰკითხა, იმიტომ რომ რცხვენოდა (ი. ჭ.). [133]

სავარჯიშო 406. აღადგინეთ მისათითებელი სიტყვები ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში და ჩასვით ფრჩხილებში. გამოარკვიეთ ქვეწყობილი წინადადების სახეები; სად იქნება მისათითებელი სიტყვა საჭირო და სად არა, სად იქნება სასურველი.

1. რასაც ვფიქრობდი, გამართლდა [134]. 2. დედაჩემმა ურჩია მამაჩემს, რომ მეც წავეყვანე ქუთაისში (ა. წ.) [135]. 3. ქალი ვერ ვიხსენებდა რიყო, თუ რას ნიშნავდა იმისი საქციელი (ა. ყ.)[136]. 4. ონისე ვარწმუნდა, რომ მომავლები მოხევეები უნდა ყოფილიყვნენ (ა. ყ.) [137]. 5. პირველად შეჰკრა თვალი ქალს, რომელმაც სწრაფად აუდუღა ბისხლი ძარღვებში (ა. ყ.) [138]. 6. სადაც ტყეა, ბუნება სიცოცხლით არის სავსე (ი. გ.) [139]. 7. გაახილა თუ არა თვალი, ფეხზე წამოიჭრა და ჩაცმა დაიწყო (ა. ბ.) [140]. 8. მე ახალ გაზეთს ვუკითხავდი, რაღაცანაც სათვალე დაჰკარგოდა (გ. ლ.)[141]. 9. დარეჯანმაც ყურთან ლეჩაკი გადაიკეცა, რომ კარგად გაიგოს (ი. ჭ.). [142]

სავარჯიშო 407. რთული ქვეწყობილი წინადადება შესაძლო შემთხვევაში გადაკეთეთ მარტივად. დაადგინეთ წინადადების ტიპი (სახე). გადაკეთების შემთხვევაში გეითხარით, გამოყენების თვალსაზრისით, რომელს მიანიჭებთ უპირატესობას და რომელს ჩათვლით თანაბარი დირებულების მქონედ — მარტივსა თუ რთულს?

1. ვინც ეს ამბავი მოიტანა, ჩვენი მეზობელია[143]. 2. ოთარაანთ ქვრივი კარგად ხედავდა, რომ შვილს გუნება ეცვალა (ი. ჭ.) [144]. 3. შენვე დარწმუნდები, რომ მე მართალი ვარ (შ. ჯ.) [145]. 4. გაიგონეს თუ არა ეს ხმა მგლებმა, მაშინვე მოძურწეს (ნ. ლ.) [146]. 5. ქალი წამ-

დაუწუმ წყალს ითხოვდა, რათა გამშრალი პირი გაესველებინა (ა. ყ.)[147]. 6. გაზეთები აქვეყნებენ ცნობას, რომ გაიხსნა მხატვარ გ. ხუციშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა[148]. 7. ბოლოს ყველა დარწმუნებული იყო, რომ კარგად დაწყებული საქმე წარმატებით ვერ დამთავრდებოდა[149]. 8. მთიულებმა, რომელთაც მოაგონეს წასვლის დრო, გამოიყვანეს ელგუჯა ტკბილი ოცნებიდან (ა. ყ.).[150]

სავარჯიშო 498. გაასწორეთ სტილური დარღვევისა თუ უზუსტობის შემთხვევები ქვემოთ მოყვანილ ქვეწყობილ წინადადებებში.

1. ბავშვი თავისი ოცნებით სჭრიდა მრავალ აკიდოს, აბამდა ერთმანეთზე, აკეთებდა ჯაგნებსა და ჰაკიდებდა დიდი ვაშლის ხის ტოტებზე, რომელიც შუა ვენახში იდგა (ი. გ.)[151]. 2. უველაზე უძველ ოთახში შემოვიდა მშვენიერი სახის მომღიმარი ქალი, რომელიც ძველმა სტუმრებს და თავისი ხელით შემოიხსნა იარაღი, რომელიც რიგ-რიგად ჩამოკიდა ხის კაპებზე[152]. 3. იმას ეკონა, რომ მწყემსი იმიტომ იყო გაჩენილი, რომ სვავისათვის ცხვრები დაეზარდა[153]. 4. დიდი ხანი იყო, რომ ქალებს ეს სიტკბოება აღარ ენახათ (ა. ყ.)[154]. 5. მამალს, დახოცილი ფრინველები რომ დაინახა, ცახცახი დაეწყებინა (ვ. ფ.)[155]. 6. სასტუმრო ოთახი მერცხლის ბუდესავით გადასცქეროდა რიონს, სადაც აკაკის ჯდომა უყვარდა[156]. 7. პური რომ ეთესა, ახლა იქ სიმინდს თესავენ[157]. 8. რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ხელდილით ქალაქში უნდა ყოფილიყო.[158]

პირდაპირი და ირიბი ნათქვამის გამოყენება

სავარჯიშო 499. 1. პირდაპირი ნათქვამი გადააქციეთ ირიბ ნათქვამად. აღნიშნეთ, რა ცვლილებები განიცადა პირდაპირმა ნათქვამმა ირიბად ქცევისას.

ა) [გოჩამ] წყნარად, მაგრამ მტკიცედ წარმოთქვა: — მოიყვანეთ დამნაშავენი (ა. ყ.).[159]

ბ) [ყმაწვილმა] უფრო ახლოს მიწია მისკენ და ხმადაბლებით ჰკითხა: — თქვენ მართლა ეძებთ სადედინაცვლო ქალს? (დ. კ.).

2. ირიბი ნათქვამი შეცვალეთ პირდაპირი ნათქვამით. აღნიშნეთ, რა ცვლილებები განიცადა ირიბმა ნათქვამმა პირდაპირ ნათქვამად შეცვლისას?

ა) იმან გამიცინა და მითხრა, რომ აჩქარებული კაცი ყოფილა, თოფის წამალივით ფეთქავო.[160]

ბ) ხალხი კი იძახოდა, რომ სუნი იცის სვავმა, მაშინვე გაიგებს, სადაც ლეში გაჩნდებაო (თ. რ.).

სავარჯიშო 500. 1) დაურთეთ თქვენი სიტყვები პირდაპირ ნათქვამს (ციტატას).

„ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეპყრა პური?!"

2) წაუმძღვარეთ თქვენი სიტყვები პირდაპირ ნათქვამს (ციტატას).

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი".

3) პირდაპირი ნათქვამი (ციტატა) მოაქციეთ თქვენი სიტყვების შუაში.

„ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა".

4) მოყვანილ წინადადებებს მოუნახეთ შესაბამისი პირდაპირი ნათქვამი (მწერლის სიტყვები).

ა) „მერანში" ნ. ბარათაშვილი მებრძოლი განწყობილებით მიმართავს თავის მერანს:

ბ) ი. ჭავჭავაძე „მგზავრის წერილებში" რუსეთში გატარებული წლების შესახებ ამბობს:

სავარჯიშო 501. შეადგინეთ წინადადებები პირდაპირ ნათქვამზე. ავტორის სიტყვებში გამოიყენეთ ზმნები: **ეუხსნა, ბრძანა, გაეხსენა, განაგრძო, დაეთანხმა, დაიწყო, დილოცა, დაუდასტურა, თქმულა, თქვა, მიმართა კითხვით, მოაგონა, მოახსენა, ნათქვამია, საკითხი წამოჭრა, სთხოვა, უპასუხა, შენიშნა, შეეხსენა, წაჩურჩულა, წამოიძახა, წინადადება წამოაყენა.**

ᲒᲠᲐᲛᲐᲢᲘᲙᲣᲚ-ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲡᲐᲛᲐᲠᲯᲘᲝᲖᲔ ᲓᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲔᲑᲘ

1. სახელობით ბრუნვაში დასმულ ეხ-იანი და ნარ-იანი მრავლობითის პარალელურ ფორმათაგან ეხ-იანი წარმოება ფართოდაა გავრცელებული თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ნარ-იანი შეზღუდულად გამოიყენება. ის, როგორც ძველი ქართული ლიტერატურული ენის კუთვნილება, დღეს უმთავრესად პოეზიაში და ისტორიულ თემაზე დაწერილ ნაწარმოებებში გვხვდება. მისი ხმარება გარკვეული სტილიზების მანიშნებელია.

2. მოთხრობით ბრუნვაში ძველი თ, თ(ა) მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელად იშვიათია. გვხვდება აქა-იქ პოეზიაში და ისტორიულ თემაზე დაწერილ ნაწარმოებებში, გაუვრცობელი ფორმითაა წარმოდგენილი მაშინ, როცა უსწრებს შემსმენელს (ფრინველთ ხმა გაკმინდეს), როცა მოსდევს — ხან გაურკვეველია, ხან გაუგრკობელი — „ხმა გაკმინდეს ფრინველთ(ა)".

3. მიცემით ბრუნვაში ძველი თ(ა) მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელად გავრცელებულია პოეზიაში და ისტორიულ თემაზე დაწერილ ნაწარმოებებში. აქვს სტილური ღირებულება. უფრო მეტად დასტურდება ემფატიკური ა-ს გარეშე: „ჩიტებმაც დიდი მადლობა შესწირეს ღმერთს, ტყეს, ყველა მცენარეთ" (ვ. ფ.).

4. თა სუფიქსი ეხ-ის მაგვარად ნათესაობითში მრავლობითის გამოსახატავად საკმაოდ მყარად მკვიდრდება, გვხვდება უმთავრესად ტერმინოლოგიურ გამოთქმებში, სამეცნიერო ლიტერატურაში, ამა თუ იმ დაწესებულების სახელწოდებებში და სხვ. მაგ.: **ცნობათა ბიურო, პიონერთა სასახლე, მწერალთა კავშირი** და სხვ. უკვე არაბუნებრივია მათი შეცვლა ეხ-იანი მრავლობითით (**ცნობების ბიურო, პიონერების სასახლე** და მისთ.). უფრო გავრცელებულია ემფატიკური ხმოვნის ა-ს დართვით: **ხევსურთა შვილები — ხევსურთ შვილებო.** ეს უკანასკნელი, ე. ი. ა-ს გარეშე, პოეზიაშია და ლექსის რითმის საჭიროებით უნდა აიხსნას.

5. ძველი ნარ-ის გამოყენება ებ-ის ნაცვლად წოდებითში, ისევე როგორც სახელობითში, შეზღუდულია. მეტწილად პოეზიაში და ისტორიულ თემაზე დაწერილ ნაწარმოებებში გამოიყენება. აქვს სტილური ფუნქცია.

6. მიცემით ბრუნვაში დასმული და კავშირის წინ მდგომი არსებითი სახელი გვერდობილი ფორმით ისმარება (ქალსა და კაცს, ქალაქსა და სოფელს).

7. ნათესაობით ბრუნვაში დასმული და კავშირის წინ მდგომი არსებითი სახელი გვერდობილი ფორმით უნდა ვიხმაროთ (ქალისა და მამაკაცის, ქალქისა და სოფლის).

8. მოქმედებით ბრუნვაში დასმული და კავშირის წინ მდგომი არსებითი სახელი გვერდობილი ფორმით უნდა ვიხმაროთ (ქალითა და მამაკაცით, ქალაქითა და სოფლით).

9. თუ არსებითი სახელით წარმოდგენილ ერთგვარ წევრებს მიცემითში დაერთვის შე თანდებული, და კავშირის წინ მდგომი სახელი უთანდებულოდ და გვერდობილი ფორმით უნდა ვიხმაროთ (თბილისსა და ქუთაისში, ქართლსა და კახეთში).

10. თუ არსებითი სახელით წარმოდგენილ ერთგვარ წევრებს მიცემითში დაერთვის ზე თანდებული, და კავშირის წინ მდგომი სახელი უთანდებულოდ და გვერდობილი ფორმით უნდა გამოვიხმაროთ (კარგსა და ცუდზე, საყვარულსა და სიძულვილზე).

11. თუ არსებითი სახელით წარმოდგენილ ერთგვარ წევრებს ნათესაობითში დაერთვის გან თანდებული, და კავშირის წინ მდგომი სახელი უთანდებულოდ და გვერდობილი ფორმით უნდა ვიხმაროთ (სიხარულისა და მწუხარებისაგან, შიშისა და ტკივილისაგან).

12. თუ არსებითი სახელით წარმოდგენილ ერთგვარ წევრებს ნათესაობითში დაერთვის თვის თანდებული, და კავშირის წინ მდგომი სახელი უთანდებულოდ და გვერდობილი ფორმით უნდა ვიხმაროთ (მხარდაჭერისა და თანადგომისათვის, დისციპლინისა და კარგი სწავლისათვის).

13. სტილისტურად თანხმოვანფუძიან სახელთან თანაბრად მიღებულია ვით-თანდებულიანი ფორმები სახელობითსა და მიცემითში (კაცივით — კაცსავით, თვალივით — თვალსავით).

14. ნათესაობითში დასმული მსაზღვრელი სახელისა და მისი საზღვრულის რიგის შეცვლისას მსაზღვრელი სახელი გვერდობილი ფორმით უნდა ვიხმაროთ (გული რკინისა, სიმღერა გამარჯვებისა).

15. ტექსტი შეიძლება გასწორდეს ასე: „თბილისში თოვლის მოსვლამ ყველა გააბარა, განსაკუთრებით ახალგაზრდობა. ჩვენს საყვარელ ქალაქში თოვლი იშვიათად იცის".

16. შეიძლება გასწორდეს ასე: „ზამთრის საგამოცდო სესიები მოახლოვდა, სტუდენტები გამოცდებისათვის მზადებას შეუდგნენ".

17. შეიძლება გასწორდეს ასე: „ზამთრობით მგელი ესტუმრება ხოლმე ხმელ წიფელს, აიტუზება მის გვერდით და ყმუის შიშისაგან შეწუხებული".

18. შეიძლება გასწორდეს ასე: „ჩვენ ჩავსხედით მანქანაში და გავეშურეთ თელავისაკენ, სადაც ორი წელი ვიქნება, რაც აღარ ვყოფილვარ".

19. შეიძლება გასწორდეს ასე: „საღამო ხანი იყო, როცა ნაიბის სახლის წინ ლეკებმა ქეთო გაატარეს. ნაიბი და მისი ცოლი კარავანში ისხდნენ. მათ ფარ-ხეს მიმავალი ორი ლეკი. ერთ-ერთ მათგანს შეამჩნიეს ზურგზე გუდა, სადაც ბავშვის თავი და სახე ჩანდა".

20. შეიძლება გასწორდეს ასე: „თერგის ხეობაზე ხშირი და ბამბასავით გადაპენტილი ნისლი შემოწოლილიყო, რომელსაც მოეფინა მთელი მიდამო, სოფლები შიგ გახვეულიყვნენ".

21. მხატვრულ სტილში განმეორებული არსებითი სახელი სათქმელის ძლიერების, მასზე ყურადღების გამახვილების საუკეთესო ხერხია, წინა პლანზე წამოწეული სიტყვა, გაძლიერებულია ლოგიკური მახვილი. მოცემულ ტექსტში სიტყვა „ტანისამოსის" გამეორებით მწერალი ხაზს უსვამს დათიკოს მოხდენილ ჩარგანობას, რითაც ერთგვარი სინანული აღიძერის მკითხველში მისი, როგორც ჭარბველი კაცის, ზნეობრივი გადაგვარების გამო.

22. წინადადებაში „გაზაფხულის" განმეორებით მწერალი ლაკონურად გვიხატავს წელიწადის ამ შესანიშნავი დროის სიდიადეს, მის მშვენიერებას, სწორედ ამ სტილური ხერხით აღწევს იგი სათქმელის გადმოცემის მხატვრულ სრულყოფას.

23. ტექსტში არსებითი სახელის „შვილის" განმეორებით გახსნილია პერსონაჟის ხასიათი, გადმოცემულია მამაშვილური სიყვარულის უდიდესი ძალა, ჭეიდარს მოსალოდნელი უბედურებით გამოწვეული მწუხარება.

24. წინადადებაში ზედმეტია ზედსართავი სახელი „მშრომელი". იგულისხმება, რომ მეჩაიეები მშრომელი ადამიანები არიან. შესწორდება ასე. „მეჩაიეები ჩაის საკრეფად მიეშურებოდნენ".

25. წინადადებიდან ამოსაღებია ერთ-ერთი მათგანი — ან „რჩეული", ან „ცნობილი". ისინი ერთმანეთს აზრობრივად ვერ ავსებენ. სჯობს უკანასკნელის დატოვება „... გამოვიდნენ ცნობილი მეცნიერები".

26. ამოსაღებია „საკუთარი". ძმა თავისთავად გულისხმობს, რომ ის საკუთარია. შესწორდება ასე: „ძმის ნახვით ძალიან გაიხარა".

27. წინადადებაში უნდა დარჩეს ერთ-ერთი მათგანი (ან „გრილი" ან „ტბილი"): „გრილი გაზაფხულის სიო საამურად უბერავდა" — „გაზაფხულის ტბილი სიო საამურად უბერავდა".

28. შესწორდება ასე: „ქალაქში ჩასვლისას უამინდობის გამო ცუდ ხასიათზე დაედექით".

29. წინადადებაში უნდა დარჩეს ერთ-ერთი მათგანი კონკრეტული ვითარების შესაბამისად (ან „მოუსვენარი" ან „წუნარი"): „მოუსვენარი ზღვის ტალღები გამუდმებით ეხლებოდნენ ნაპირებს" — „ზღვის წუნარი ტალღები გამუდმებით ეხლებოდნენ ნაპირებს".

30. „კარგის" ნაცვლად უკეთესი იქნება „აღმაფრთოვანებელი" — „... აღმაფრთოვანებელი განწყობილება შექმნა მაყურებელში", სტილისტურად უფრო უმჯობესია „აღაფრთოვანა მაყურებელი".

31. განმეორებული რიცხვითი სახელი „ორი" ხაზს უსვამს ნათქვამს, ყურადღებას ამახვილებს მწევრების გაწვრთნილობაზე, ნადირობის ეპიზოდზე.

32. ვანმეორებული გაურკვეველი რიცხვითი სახელი „ბევრი" ხაზს უსვამს, თუ როგორი იყვნენ დაინტერესებული ბევრზე ბევრი საპატარძლო ქალები ცოლად გასაყოლოდნენ გარეგნული მშვენიერებითა და ადამიანური ღირსებებით დაჯილდოებულ გიორგის.

33. უპირატესობა უნდა მივანიჭოთ „ათიოდე", „ოციოდე" და მისთ. ფორმებს ნაცვლად აღწერითი წარმოებისა: „დაახლოებით ათი", „დაახლოებით ოცი" და სხვ.

34. პარალელურად შეიძლება ვიხმაროთ როგორც „ორივე შეჩერდა", ისე „ორივენი შეჩერდნენ".

35. იშვიათად შესაძლებელია, რომ რაოდენობითი და არსებითი სახელები ორივე მრავლობითში იყოს დასმული (ს ა მ ნ ი ა მ ხ ა ნ ა გ ნ ი, ხ უ თ ნ ი ძ მ ა ნ ი...).

36. „ერთი" რაოდენობით რიცხვით სახელთა პირველი ერთეულია, რიცხვთა შორის პირველი რაოდენობით (ერთი სკამი).

37. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელია (ერთმა სწავლულმა კაცმა — ვიღაც სწავლულმა კაცმა).

38. ხმარება ჩამოთვლისას — პირველი, მსგავს საგანთაგან პირველი (გამოუყენებელია დასაპირისპირებლად სიტყვისა მეორე (ერთი თესავს — მეორე ბარავს).

39. ნიშნავს ერთსა და იმავეს, საერთოს (ერთი მიზანი — საერთო მიზანი, ერთი საქმე — საერთო საქმე).

40. ნიშნავს დიდი ხმაურობა, მხიარულება და სხვ. (ატყდა ერთი დავიდარაბა. შეიქმნა ერთი საერთო აღტაცება).

41. აქვს შორისდებულის მნიშვნელობა, გამოხატავს მოწოდებას (აბა, ერთი, საქმეს შევუდგეთ). შეიძლება გამოიხატოს სხვა გრძნობებიც: მაგ., „წადი, ერთი სკამი მომირბენინე" — აქ ერთი გამოხატავს თხოვნას.

42. ნიშნავს სხვა რიცხვით სახელთან დაახლოებით (ათამდე, დაახლოებით ათი).

43. ნიშნავს ერთხელ, ერთი ბირობა (რაკი ერთხელ დაიძინებდა, რაკი ერთი ბირობა დაიძინებდა).

44. ნიშნავს ერთ ამბავშია, ერთ უოფაშია (ძალიან ხმაურობს).

45. ნაცვალსახელების განმეორება სტილური საჭიროებით უნდა აიხსნას, ყურადღება მახვილდება რომელიმე პირზე, კუთვნილებაზე, ჩვენებითობაზე, უარყოფითობაზე და სხვ.

მოყვანილ მაგალითში მე რამდენჯერმე მეორდება. ძირითადი ყურადღებაა გადატანილია პირველ პირზე, ე. ი. მთქმელზე, აქცისრია სტილური ფუნქცია (მე ვიყავი, მარტო მე, მე იმათ გავუწევდი...).

46. წინადადებაში მეორდება ჩვენებითი ნაცვალსახელი ეს. მთქმელი ხაზგასმით გამოხატავს თავის მხიარულ განწყობილებას რიგრაჟი დილის, ლურჯი ცის ნაცვლად პირდაბანილი დედამიწისადმი.

47. წინადადებაში მეორდება კუთვნილებითი ნაცვალსახელი ჩვენი. ყურადღება მახვილდება ყმის სავალალო მდგომარეობაზე ბატონის ხელში (ჩ ვ ე ნ ი წადილი, ჩ ე ვ ნ ი ნუგეში ყოველთვის, ძამო, არის საფრთხეში...),

48. ვინ კითხვითი ნაცვალსახელის განმეორებისას გვაქვს მრავალფეროვანი სტილი, გაძლიერებულია სიტყვის მნიშვნელობა. მოცემულ მაგალითში განმეორებული კითხვითი ნაცვალსახელი ვინ არ მოითხოვს პასუხს, გვაქვს რიტორიკული სტილი (ფაცხა-მღვიმეს ვინ პპატრონობს, ვინ შესტრფის, ვინ შეპხარის?). განმეორებული ვინ ზოგჯერ ძლიერებს დაპირისპირებულობას სხვადასხვა ირით: „განა არ ვიცოდი, — მე ვინ და შენ ვინ.. სად მოგწვდებოდი ცაში ვარსკვლავს" (ი. ჭ.). — აქვს სინანულის ირი. ზოგიერთ შემთხვევაში შეიცავს „ზოგის" გაგებასაც (ვინ რას აკეთებდა და ვინ რას — ზოგი რას აკეთებდა და ზოგი რას).

49. განმეორებული რა კითხვითი ნაცვალსახელის სტილი მრავალფეროვანია — ძლიერდება სიტყვის აზრი. მოცემულ მაგალითში განმეორებულ რა-ს შემცველ წინადადებას დაპკრავს სინანულის ელფერი. ყოველი მომდევნო კითხვა უფრო მეტი კატეგორიულობითაა განმეორებული.

მოვიყვანთ ზოგიერთ ნიმუშს განმეორებული რა ნაცვალსახელის ლექსიკურ-სტილისტური შესაძლებლობიდან:

ა) პერსონაჟი გამოხატავს ნაღველს, დაცინვას, თვითონვე იძლევა პასუხს დასმულ კითხვაზე:

„რა გავაგრძელო, თავადიშვილი
კარგი რა არის, ავი რა იყოს?
— და მამაჩემი გულდაწყვეტილი
ეახლა ამგვარს უხამსსა ბატონს" (ი. ჭ.).

ბ) პერსონაჟი გამოხატავს მწუხარებას, მოითხოვს პასუხს:

„რა ვუყო, რა ვქნა, რა მეშველება,
მიბრძანე შენი კვნესამე, შენი!" (ი. ჭ.).

გ) პერსონაჟი გამოხატავს გულისწყრომას, იძლევა კომენტარს დასმულ კითხვაზე:

„რა ღმერთი გაუწყრა ამ წყეულებს! — გაიფიქრა არსენამ, — რამ დაჩიაჟა, რამ მოადუნა, ვინ გამოფიტა და ვინ დააძაბუნა?! თუ დაბერდნენ და გადაშენდნენ, დროა განზე გადგნენ და გზა დაგვითმონ" (ვ. ჯ.).

ტექსტში რა ნაცვალსახელთან ერთად მეორდება ვინ ნაცვალსახელიც. ისინი აზრობრივად ავსებენ ერთმანეთს.

50. წინადადებაში მეორდება უარყოფითი ნაცვალსახელი არავინ, ყურადღება მახვილდება იმაზე, რომ არავინაა ადამიანის შემბრალე, არავინაა ყურისმგდებელი.

51. წინადადებაში მეორდება განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი ზოგი. ყურადღება მახვილდება ანდაზის ძირითად აზრის გასამკვეთრებლად: მამაკაცების ერთ ნაწილს კაცი ჰქვია, ერთ ნაწილს — კაცუნა და სხვ.

52. წინადადებაში მეორდება განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი ყველა. ყურადღება მახვილდება, რომ მოქმედება მიმდინარეობს გამონაკლისის გარეშე, მთლიანად, სულ (ყველა დაეუთმე, ყველა გაბატიე, ყველა დავივიწყე).

53. სტილი გასწორდება ასე: „კესანე და აი ტკბილი მეზობლები იყვნენ. დაბერავდა ნიავი და მიახლიდა მეგობრებს ერთმანეთს. ისინიც გადაიჭდევდნენ ყელზე ყელსა და სტკბებოდნენ სიხარულით, მოჰყვებოდნენ ტკბილ ჰუკჰუკს, მაგრამ კაცს ყური კი ძალიან ძვირად გაიგონებდა ამათ ლაპარაკს" (თ. რ.).

54. სტილი გასწორდება ასე: „რაწამს ქალმა თვალი მოჰკრა, სიხარულით გაექანა მისკენ".

55. სტილი გასწორდება ასე: „№ 1 საამქროს მუშებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმა ვადაზე ადრე შეასრულონ. ისინი მოწინავენი არიან მთელს ქარხანაში. ადმინისტრაციამ მათ სანატორიუმებისა და პანსიონატების საგზურები გამოუყო".

56. წინადადებებში პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელების (მე, შენ, ჩვენ, თქვენ) ხმარება შედარებით ნაკლებია. ისინი ზმნის ფორმით ივარაუდებიან. ხმარებიან მაშინ, როცა სტილური ფუნქცია აკისრიათ, ლოგიკური მახვილი მათ-ზეა გადასული. მაგ., მე და შენ დაგვავალეს, მე და ის მივდივართ...

საგარჯიშოში გამოყენებული პირველი პირის — მე ნაცვალსახელის ხმარება აუცილებელია, რადგან მთქმელი (ე. ი. პირველი პირი) სხვა პირთან ერთად თავის თავსაც წარმოგვიდგენს მოქმედად (მე და სვიმონა ჩავედით...).

57. მოცემულ მაგალითში მე-ს ხმარება კანონზომიერია: მთქმელი (ე. ი. პირველი პირი) თავის თავს გამოყოფს სხვებისაგან (... ჯამა გავათავეთ. მე შევუდექ...).

58. მოცემულ წინადადებაში შენ ოთხჯერაა ნახმარი. ამათგან პირველი უნდა დარჩეს (შენ წიგნის სწავლა გინდა?), რადგან ამით მთქმელი თავდაზვე, მხოლოდ ერთხელ მიიპყრობს თანამოსაუბრის უურადღებას, განაწყობს მას მოსასმენად, დანარჩენები ამოვარდება, როგორც ზედმეტი და არაფრის მაქნისი.

59. მოცემულ წინადადებაში მე დარჩება, ლოგიკური მახვილი მასზეა (მე მკითხა· გაკვეთილი და არა სხვას).

60. მე და შენ ანტონიმური ნაცვალსახელებია. მოცემულ მაგალითში, ცხადია, იგი დარჩება, როგორც აზრთა დაპირისპირებულობის გამომხატველი.

61. ჩვენებითი ნაცვალსახელის ასეთი-ს მნიშვნელობა შეიძლება დაკონკრეტდეს სინონიმური ზედსართავებით — თავდადებული, თავგანწირული (ის ასეთი თავდადებული, ის ასეთი თავგანწირული...).

62. ჩვენებითი ნაცვალსახელი ამისთანა შეიძლება დაკონკრეტდეს სინონიმური ზედსართავებით — დიდებული, შესანიშნავი (იმისთანა დიდებული, იმისთანა შესანიშნავი...).

63. ჩვენებითი ნაცვალსახელი ამგვარი შეიძლება შეიცვალოს მსგავსი მნიშვნელობის ნაცვალსახელით ასეთი (ასეთი სიტყვებით დაამეცადინეს...).

64. ჩვენებითი ნაცვალსახელი სხვადასხვაგვარი შეიძლება შეიცვალოს მსგავსი მნიშვნელობის ნაცვალსახელით სხვადასხვანაირი (სხვადასხვაგვარი ნივთები — სხვადასხვანაირი ნივთები), ჯობია კი პირველი.

65. ჩვენებითი ნაცვალსახელის ასეთი-ს დამაკონკრეტებლად გამოდგება ზედსართავი სახელი შესანიშნავი (ასეთი შესანიშნავი მოსწავლე).

66. მოცემულ წინადადებაში ებრ-თანდებულიანი ნაცვალსახელი (შენებრ) შეიცვლება ვით-თანდებულიანი ნაცვალსახელით (შენსავით). ამ შემთხვევაში გამოუსადეგარია.

67. მოცემულ წინადადებაში ებრ-თანდებულიანი ნაცვალსახელი (ჩემებრ) შეიცვლება ვით-თანდებულიანი ნაცვალსახელით (ჩემსავით). ამ შემთხვევაში გამოუსადეგარია.

68. მოცემულ წინადადებაში უარყოფითი ნაცვალსახელი (გათიშულია — არა სთქვა რა) შეიცვლება ნაცვალსახელით არაფერი (არაფერი სთქვა). ამ შემთხვევაში გამოუსადეგარია.

69. მოცემულ წინადადებაში უარყოფითი ნაცვალსახელი ვერას შეიცვლება ნაცვალსახელით ვერაფერს (ვერაფერს ეუქნებ...). ამ შემთხვევაში გამოუსადეგარია.

70. მოცემულ წინადადებაში უარყოფითი ნაცვალსახელი არას შეიცვლება ვერაფერს ნაცვალსახელით (არაფერს გარგებს...). ამ შემთხვევაში გამოუსადეგარია.

71. და კავშირით შეერთებულ ერთგვაროვან წევრებთან ზმნური ნაწილის ხმარება მხოლოდ ერთ სახელთან არის საჭირო და არა ორივესთან (ყველასთან): „მისი შემოქმედება მდიდარი და მრავალფეროვანია“, ან კიდევ: „მდიდარია და მრავალფეროვანი“. ამ შემთხვევაში სჯობს პირველი ვარიანტი.

72. თუ შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად მრავლობით რიცხვში დასმული სულიერი სახელია გამოყენებული, მაშინ ზმნური ნაწილი სრული ფორმით უნდა ვიხმაროთ: „არჩილი და ვახტანგი ძმები არიან“.

73. თუ შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი მხოლობითშია, ზმნური ნაწილი, ჩვეულებრივ, შეკვეცილი ფორმით უნდა ვიხმაროთ: „შველი ლამაზი ცხოველია“, „მია ყვავილია“.

74. შედგენილი შემასმენლის მიმღეობური სახელადი ნაწილი ყოველთვის მხოლობითის ფორმით უნდა ვიხმაროთ (ისინი აღელვებული იყვნენ, და არა აღელვებულები იყვნენ).

75. თანაობის გამომხატველი უბრალო დამატების ურთ-თანდებულიანი ფორმა რამდენადმე მოძველებულია, მის ნაცვლად უთანდებულო ფორმა იხმარება (შვილებით ჩამოვიდა; შდრ. შვილებითურთ ჩამოვიდა). მიუხედავად ამისა, მისი (ე. ი. თანდებულიანი ფორმის) გამოყენება ზოგჯერ აუცილებელია; მაგ., ერთ-ერთი ნაშრომის სახელწოდებაა „შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში“ (ლექსიკონითურთ). აქ არ ივარგებდა უთანდებულო ფორმა „ლექსიკონით“.

ხშირად ურთ-თანდებულიან და უთანდებულო ფორმებს ეითარებით ბრუნვაში დასმული ით-სუფიქსიანი სახელის ფორმები ენაცვლება (შვილებიანად ჩამოვიდა). თანაობას აღნიშნავს აგრეთვე სახელებზე დართული თანდებულის მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვები ერთად, თანხლებით (შვილებთან ერთად, შვილების თანხლებით) — აქ და ზემოთ დასახელებულ ფორმათაგან თუ რომელს მიეცემა უპირატესობა ან ისარგებლებენ თანაბარი უფლებით, ამას კონტექსტი გვიჩვენებს. მაგ., არ იქნებოდა სწორი ფორმა „მონადირე ძაღლებითურთ (ძაღლების თანხლებით) დაბრუნდა“, უნდა ითქვას „ძაღლებიანად დაბრუნდა“. ჩვეულებრივია, როცა ამბობენ: შვილებით დაბრუნდა, შვილებითურთ დაბრუნდა, შვილებთან ერთად დაბრუნდა, შვილების თანხლებით დაბრუნდა, შვილებიანად დაბრუნდა.

76. ნათესაობით ბრუნვაში დასმული უბრალო დამატების თანდებულიანი და უთანდებულო ფორმები (ამხანაგის გამოგზავნილი, ამხანაგისაგან გამოგზავნილი, ამხანაგის მიერ გამოგზავნილი) ერთმანეთს ცვლის. ყველა ფორმა მოქმედების ჩამდენ საგანზე მიგვითითებს. პირველ ორთან სიტყვა „გამოგზავნილი“ სწორი არ არის (ამხანაგის წერილი მივიღე, ამხანაგისაგან წერილი მივიღე), საჭიროა მესამესთან (ამხანაგის მიერ გამოგზავნილი წერილი მივიღე).

77. ნათესაობით ბრუნვაში ხშირად ერთმანეთს ენაცვლება გამო და თვის-თანდებულდართული მაზეზისა და მიზნის გარემოებები, რაც ერთგვარ სტილურ გადახრად უნდა მივიჩნიოთ. მოცემულ წინადადებაში სასურველია დარჩეს გამო-თანდებულიანი ფორმა (მ ო ტ ე ხ ი ს გ ა მ ო), რადგან იგი მიზეზის გარემოებაა.

78. წინადადებაში — „ყველა თავისი კლასის მოსწავლე...“ — მსაზღვრელი წევრის (ყველა) სათანადო ადგილზე დაუსმელობით იქმნება ორაზროვნება; უნდა იყოს „თავისი კლასის ყველა მოსწავლე“.

79. წინადადების წევრთა გადაადგილებისას აზრი ერთი და იგივე რჩება, მაგრამ, თუ კარგად დავაკვირდებით, განსხვავებულობის ელფერი მაინც დაჰკრავს მათ. ზოგჯერ წევრთა გადასმ-გადმოსმამ შეიძლება დაარღვიოს სიტყვათა ბუნებრივი წყობა და მივიღოთ სრული უაზრობა. საანალიზო მაგალითიდან წევრთა გადაადგილებისას უაზრობას მივიღებთ ამ შემთხვევაში: „გუშინ მეგობარი ვანოს ჩამოვიდა ქალაქში“.

ზეპირი მეტყველების დროს სათანადო სიტყვაზე განსაკუთრებულ ყურადღებას ინტონაციით გახორციელებთ, წერის დროს კი ამის შესაძლებლობას მოკლებული ვართ. ამიტომ ასეთ სიტყვას ან წინადადების თავში მივუჩენთ ადგილს, ან შემასმენლის წინ. ამის დასტურია ჩვენ მიერ დასაკვირვებლად მოყვანილი მაგალითები:

ა) პირველ წინადადებაში ყურადღება მახვილდება მეგობარზე (მეგობარი ჩამოვიდა).

ბ) მეორე წინადადებაში — ჩამოსვლაზე (ჩამოვიდა მეგობარი).

გ) მესამე წინადადებაში — დროზე (გუშინ ჩამოვიდა).

დ) მეოთხე წინადადებაში — ადგილზე (ქალაქში ჩამოვიდა).

80. უნდა დაიწეროს „ეჯის შეძენით“.

81. უნდა დაიწეროს „თავდაპირველად“.

82. უნდა დაიწეროს „ეცოტავა“.

83. უნდა დაიწეროს „უვლის“.

84. უნდა დაიწეროს „უპასუხებს“.

85. უნდა დაიწეროს „თავმომწონედ“.

86. უნდა დაიწეროს „უხვი“.

87. უნდა დაიწეროს „წაიკითხა“.

88. უნდა დაიწეროს „ჩავარდა“.

89. უნდა დაიწეროს „მიზნად“.

90. უნდა დაიწეროს „თვლიდა“.

91. უნდა დაიწეროს „მიადგეს“.

92. უნდა დაიწეროს „ორგანიზებულად“.

93. უნდა დაიწეროს „ელექტროშუქი“.

94. ამოსაღებია „თავის“.

95. ამოსაღებია „თეთრ“.

96. ამოსაღებია „ჰაერში“.

97. ამოსაღებია „ტყის“, „გარეული“.

98. ამოსაღებია „მშფოთვარე“.

99. ამოსაღებია „წყნარ“.

100. ამოსაღებია „სიარულით“.

101. ამოსაღებია „ზევიდან“.

102. ამოსაღებია „ფრენით".
103. ამოსაღებია „შიგნით".
104. ამოსაღებია „წვიმა".

105. და კავშირის სინონიმია თუ კავშირი. ზოგჯერ ისინი თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს. მოცემულ წინადადებაში ერთ-ერთი შეიძლება ავირჩიოთ. მწერალისეულია და (სტუმარი და მასპინძელი, ქალი და კაცი...).

106. მოცემულ წინადადებაში და კავშირისაგან განსხვავებით თუ კავშირს სხვა იერი დაჰკრავს, კერძოდ ის, რომ, ნაცვლისა და ისაუღის გარდა, ოთარაანთ ქვრივის ეზოში სხვაც ვერავინ გაიწაწანებდა. ამიტომ მწერალიც ამავე მიზნით იყენებს მას (ნაცვალი თუ ისაუღი ოთარაანთ ქვრივის ეზოში ვერ გაიწაწანებდნენ).

107. მოცემულ წინადადებაში თუ კავშირს აკისრია მაკავშირებელი კავშირის ფუნქცია. ამიტომ მას და კავშირით ვერ შეცვლით (ქალაქამდე ათი თუ თორმეტი კილომეტრი იქნებოდა).

108. მოცემულ წინადადებაში თუ კავშირს ახლავს კითხვითობის გაგება, მისი და კავშირით შეცვლა შეიძლებელია: „სტუდენტები წავიდნენ თუ აქ არიანო". შდრ. „სტუდენტები წავიდნენ და აქ არიან". ეს უკანასკნელი უაზრობაა.

109. მოცემულ წინადადებაში ღარჩება და კავშირი, მას თუ კავშირით ვერ შევცვლით (პელაგიამ და ნადიამ...).

110. სინონიმური მაპირისპირებელი კავშირებია მაგრამ, ოღონდ, თუმცა, ნოცემულ წინადადებაში ამათგან ერთ-ერთი შეიძლება ავირჩიოთ, თუმცა მათ შორის ერთგვარი სტილური განსხვავებულობა მაინც შეინიშნება: მაგრამ კავშირით დაპირისპირება უფრო მკვეთრადაა გამოხატული, შედარებით ნაკლებია თუმცა-ს გამოყენებისას, ხოლო მკრთალია ოღონდ კავშირით დაპირისპირების შემთხვევაში. მწერლის მიერ გამოყენებულია თუმცა (კმაილი იყო გარსევანი, თუმცა ხელმკვარი, ჯიქი).

მაგრამ, ოღონდ, თუმცა კავშირების მონაცვლეობა ყოველთვის ვერ ხერხდება: ნინიამ დაახალა თოფი, მაგრამ ააცდინა (ვ. ფ.). — აქ მაგრამ კავშირს ვერ შეეცვლით ხოლო-თი.

111. ხოლო და კი კავშირების ერთდროულად ხმარება დაუშვებელია, დაპირისპირებულობისათვის ერთ-ერთიც საკმარისია. უნდა დარჩეს რომელიმე. მოცემულ წინადადებაში უმჯობესია დარჩეს კი (როსტომი მალე განიკურნა, სულხანი კი ოვეიანებდა).

112. გაძლიერებითი ნაწილაკებია ც .... ც(ა), კიდეც ... კიდეც. მოცემულ წინადადებაში ც(ა) ნაწილაკის დართვით უპირველება მახვილდება ერთგვარ წევრებზე, სახელებზე (მიწაც და ცაც).

113. მოცემულ წინადადებაში განმეორებული კიდეც ... კიდეც ნაწილაკებით ყურადღება მახვილდება ერთგვარ შემასმენლებზე (.... კიდეც მკის, კიდეც ლეწავს).

114. უკუთქმით წინადადებაში ც ნაწილაკი დაერთვის უარყოფით ნაწილაკებს არ, ვერ, ნუ, ადარ, ვეღარ... და ვღებულობთ: არც, ვერც, ნურც, ადარც, ვეღარც. მეორდებიან შერწყმულ წინადადებაში, აკისრიათ ემოციურ-ექსპრესიული დატვირთვა.

მოცემულ წინადადებაში აღარც ... აღარც ნაწილაკებით გაძლიერებულია ეპიტაქსიური-ექსპრესიულობა. თუ ამოვიღებთ, წინადადება მათ გარეშე დაკარგავდა ამ შესაძლებლობას (აღარსად ჩანდა ა ღ ა რ ც ტოროლა, ა ღ ა რ ც გუგული, ა ღ ა რ ც ცოფი, ა ღ ა რ ც მერცხალი, ა ღ ა რ ც მწყერი, ა ღ ა რ ც გვრიტი. შ დ რ. აღარსად ჩანდა ტოროლა, გუგული, ოფოფი...).

115. მაცალკევებელი კავშირი (ხან... ხან) გამოხატავს რიგ-რიგობას, მეორდება ერთგვარ წევრებთან. ამ კავშირების გარეშე წინადადების აღნაგობა ირღვევა და მოქმედების მონაცვლეობის შინაარსისაგან იცლება (ზოგ ხან გამოაშუქებს, ხან თვალებს ხუჭავს. შ დ რ. ზოგ გამოაშუქებს, თვალებს ხუჭავს).

116. მაცალკევებელი კავშირი (ან ... ან) გვიჩვენებს, რომ დასახელებულ ერთნაირ წევრთაგან ერთ-ერთი იქნება ამორჩეული. ამ კავშირის გარეშე, ისევე როგორც განმეორებული ხან ... ხან კავშირის ამოღებით, ირღვევა წინადადების აღნაგობა, იკარგება აზრობრივი მიმართება ერთგვარ წევრებს შორის (ან მოგიყვან იმ ცხენს, ან თავს შეგწირავ შენს მეგობრობას. შ დ რ. მოგიყვან იმ ცხენს, თავს შეგწირავ შენს მეგობრობას).

117. არსებითი სახელი სტადიონი დაირთავს ზე თანდებულს (სტადიონზე და არა სტადიონში). მისი სრულად ხმარება საჭიროა, რადგან მომდევნო სახელი ხახახლეში დაირთავს ში თანდებულს. უნდა დაიწეროს: სტადიონზე და სპორტის სასახლეში და არა სტადიონსა და სპორტის სასახლეში, ან სტადიონში და სპორტის სასახლეში.

118. შერწყმულ წინადადებაში ქვემდებარე ანგარიშს უწევს ბრუნვაში მდგომ ახლოს მდგომ შემასმენელს. მიეხალმა გარდაუვალი ზმნაა, მისი ქვემდებარეა მასპინძელი, რომელიც ბრუნვაუცვლელია და დგას სახელობით ბრუნვაში. ამიტომ სწორი ფორმაა „მასპინძელი მიესალმა" და არა „მასპინძელმა მიესალმა". მოხერხებულობისათვის იქნებოდა გარდამავალ ზმნასთან ახლო მდგომი „მასპინძელმა სტუმარი შინ შეიყვანა".

119. განმაზოგადებელ სიტყვად მოცემულ წინადადებაში შეიძლება ჩაისვას ხაგზელი. იგი უსწრებს ერთგვარ წევრებს.

120. განმაზოგადებელ სიტყვად მოცემულ წინადადებაში შეიძლება ჩაისვას უველგან. იგი მოსდევს ერთგვარ წევრებს.

121. წინადადებებში მოცემული ძირითადი შინაარსი ერთნაირია, მაგრამ ფორმალურ განსხვავებულობასთან ერთად ახასიათებთ ერთმანეთისაგან განსხვავებული აზრობრივი ნიუანსები:

ა) პირველი წინადადება მაჯგუფებელკავშირიანი რთული თანწყობილი წინადადებაა (გამოხატავს მოქმედების დროულ თანამიმდევრობას).

ბ) მეორე წინადადება დროის გარემოებითი დამოკიდებული რთული ქვეწყობილი წინადადებაა (გამოხატავს მოქმედების დროულ თანამიმდევრობას).

გ) მესამე წინადადება მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული რთული ქვეწყობილი წინადადებაა (მთავარში მიზეზია დასახელებული, დამოკიდებულში — შედეგი).

დ) მეოთხე — დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებაა. „როცა" კავშირის ნაცვლად გამოყენებულია „რომ" კავშირი (შეადარეთ მეორე წინადადებას).

ე) მეხუთე წინადადება მაპირისპირებელკავშირიანი რთული თანწყობილი წინადადებაა (გამოყენებულია **ხოლო** კავშირი).

ვ) მეექვსე წინადადება მაპირისპირებელკავშირიანი რთულ თანწყობილი წინადადებაა (გამოყენებულია **კი** კავშირი).

ზ) მეშვიდე წინადადება უკავშირო რთული თანწყობილი წინადადებაა (გამოხატავს მოქმედების თანამიმდევრობას დროში).

თ) მერვე წინადადება მარტივია. გადმოგვცემს ერთდროულ მოქმედებას. გამოხატულია საწყისზე ისას დართვით (ჩასელისას).

ი) მეცხრე წინადადება მარტივია. გადმოგვცემს ერთდროულ მოქმედებას. გამოხატულია საწყისზე თანავე-ს დართვით (ჩასელისთანავე).

122. რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ზოგჯერ გამოტოვებულია **რომ** და თუ კავშირები, რომელთა აღდგენა უმეტესად ხერხდება. მოცემულ წინადადებაში **რომ** კავშირის ხმარება აუცილებელია, მის გარეშე წინადადების ნაწილებს შორის კავშირი რამდენადმე ირღვევა.

123. მოცემულ წინადადებაში **რომ** კავშირის ჩასმა სასურველია.

124. მოცემულ წინადადებაში თუ კავშირი საჭიროა, მის გარეშე წინადადების ნაწილებს შორის ბუნებრივი კავშირი ირღვევა.

125. მოცემულ წინადადებაში თუ კავშირი საჭირო არ არის, რადგან დამოკიდებული წინადადება შეიცავს კითხვით სიტყვას. გვაქვს კითხვითი ნაცვალსახელი **რა**.

126. **რომ** კავშირის გამოტოვება სასურველია, როცა დამოკიდებული წინადადების ზმნა კავშირებითის ფორმაა ან მეორე თურმეობითია გამოყენებული III კავშირებითის ნაცვლად.

მოცემულ წინადადებაში ზმნა II კავშირებითშია (... მოვისმინო შენი სტვენა შდრ. ...**რომ** მოვისმინო შენი სტვენა).

127. **რომ** კავშირის გამოტოვება სასურველია, როცა დამოკიდებული წინადადების ზმნა III კავშირებითშია (მოემკოს).

128. **რომ** კავშირის გამოტოვება სასურველია, რადგან ზმნა II თურმეობითშია III კავშირებითის ნაცვლად (დაემარცხებინა შდრ. დაემარცხებინოს).

129. **რომ** კავშირის გამოტოვება სასურველია, როცა მთავარი წინადადების შემასმენელს ახლავს ხომ ნაწილაკი (ხომ გაიგონე, მცურავებმა ვერ შებედეს... შდრ. ხომ გაიგონე, **რომ** მცურავებმა ვერ შებედეს...).

130. კავშირები: **როცა, როდესაც, რომ, რაწამს, რაკი, როგორც კი, თუ არა** მსგავს მნიშვნელობებს შეიცავენ. გამოიყენება დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების დასაკავშირებლად. მიუხედავად ამისა, მათ შორის სტილური მსგავსება-განსხვავებულობა მაინცაა.

მოცემულ წინადადებებში ერთმანეთის სინონიმებია **რაწამს, როგორც კი, თუ არა** (IV, VI, VII წინადადებებში). ისინი დროის სისწრაფეზე მიუთითებენ და მათი მონაცვლეობა შეიძლება. მათ მაგიერობას ვერ გასწევენ სხვები — **როცა, როდესაც, რომ, რაკი, რომლებსაც** ასევე ერთმანეთის მსგავსი სტილური ნიუანსი აქვთ — გამოხატავენ ჩვეულებრივ დროულ მოქმედებას. ამ უკანასკნელთა ურთიერთმონაცვლეობა თავისუფლად ხერხდება.

131. მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორის ლოგიკური კავშირია. დამოკიდებული წინადადების ადგილი ამა თუ ამ სახის ქვეწყობილ წინადადებაში მყარი არ არის: იგი, ჩვეულებრივ, მოსდევს მთავარ წინადადებას, ან უსწრებს, ან მის შიგნითაა მოქცეული, მაგრამ არა ყოველთვის; მაგ., როცა იმიტომ რომ და რომელიც კავშირები იწყებენ დამოკიდებულ წინადადებას, მაშინ დამოკიდებულ წინადადებას მთავარის წინ ვერ დავსვამთ. მისი ადგილის შეცვლა თავისუფლად შეიძლება დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში: ა) ჯაჯალამ სიმღერა დაიწყო, როცა ყველანი შეგროვდნენ, ბ) როცა ყველანი შეგროვდნენ, ჯაჯალამ სიმღერა დაიწყო, გ) ჯაჯალამ, როცა ყველანი შეგროვდნენ, სიმღერა დაიწყო. გადაადგილების შემთხვევაში ხშირად თავს იჩენს აზრობრივი ნიუანსები. მოყვანილ მაგალითებში ყურადღება მახვილდება აზრობრივად თავში მდგომი წინადადების ნაწილებზე: პირველში — მთავარზე, მეორეში — დამოკიდებულზე. მესამე წინადადებაში დამოკიდებული წინადადება (შუაშია) თიშავს მთავარ წინადადებაში გამოთქმულ აზრს. ამ შემთხვევაში უპირატესობა სტილისტურად პირველ ორს უნდა მიეცეს.

132. მოცემული წინადადება განსაზღვრებითი დამოკიდებულია „რომელიც" საკავშირებელი სიტყვით. ამიტომ მისი თავში მოქცევა შეუძლებელია. შუაში იჭნება: ჯაჯალა, რომელსაც გაგიგებიათ შეყვარებოდა მათია, ძალზე იტანჯებოდა. აქ კი დამოკიდებული წინადადება ერთმანეთისაგან თიშავს მთავარ წინადადებაში გამოთქმულ აზრს. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სტილისტურად პირველი უფრო ხელსაყრელია (როცა დამოკიდებული წინადადება მოსდევს მთავარს).

133. მოცემული წინადადება მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებაა „იმიტომ რომ" საკავშირებელი სიტყვებით. მისი ბუნებრივი ადგილი მთავარის შემდეგაა: დამოკიდებული წინადადება წინამავალ (მთავარ) წინადადებაში დასახელებული მიზეზის განმმარტებელია.

134. რთულ ქვეწყობილ წინადადებაში (შედეგობითის, პირობითისა და დათმობითის გარდა) მთავარ წინადადებაში მისათითებელი სიტყვა ზოგჯერ გვაქვს, ზოგჯერ — არა. როცა გვაქვს, მისათითებელი სიტყვა ხაზს უსვამს, ამკვეთრებს, აძლიერებს სათქმელს, რომელიც უნდა აიხსნას, დაზუსტდეს დამოკიდებული წინადადების შეშვეობით. თუ მისათითებელი სიტყვა მოცემული არ არის, მისი აღდგენა თავისუფლად ხერხდება, მაგრამ საჭიროება მაინც არ იგრძნობა. ასე რომ, მისათითებელი სიტყვის ხმარება-უხმარებლობას სტილური მოთხოვნა განაპირობებს.

მოცემული წინადადება ქვემდებარულ დამოკიდებულია. აღდგენილი მისათითებელი სიტყვაა ნაცვალსახელი ის (ქვემდებარე). წინადადებაში იგი ზედმეტია. მისათითებელი სიტყვა საჭიროა ამ წინადადებაში: ვისაც მოუკლავს, ის მოკლავს ნადირსა მაღლის მთისასა (ხალხ.) იგი ხაზს უსვამს სათქმელს.

135. მოცემული წინადადება პირდაპირი დამატებითი დამოკიდებულია. აღდგენილი მისათითებელი სიტყვა ის (პირდაპირი დამატება) ზედმეტი ჩანს. საჭიროა ამ წინადადებაში: რაც შენ გირჩიოთ, ის იკისრე შენცო (ა. წ.).

136. მოცემული წინადადება ირიბი დამატებითი დამოკიდებულია. მისათითებელია მას (ირიბი დამატება). იგრძნობა, რომ იგი ზედმეტია. საჭიროა ამ წინადადებაში: ვინც ჰკვიანია და გონიერი, იმას უნდა მივყვეთ კვალზეო (ვ. ფ.).

137. მოცემული წინადადება უბრალო დამატებითი დამოკიდებულია. მისათითებელია იმაში (უბრალო დამატება). მისი დატოვება არაფერს შემატებდა წინადადებას. მისი საჭიროება კარგად ჩანს ამ წინადადებაში: ამის შემდეგ ბევრი ილაპარაკეს იმაზე, თუ რისი გაგება სურდათ (ნ. ლ.).

138. მოცემული წინადადება განსაზღვრებითი დამოკიდებულია. მისათითებელი სიტყვაა ის (განსაზღვრება). მისი დატოვება სასურველი არ არის. მიზანშეწონილია ამ წინადადებაში: ის კაცი, რომელიც გუშინ გვეპატიმრა, აქ არის.

139. მოცემული წინადადება ადგილის გარემოებითი დამოკიდებულია. მისათითებელია აქ (ადგილის გარემოება). მისი დატოვება მიზანშეწონილი ჩანს. უნდა ითქვას, რომ ადგილის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში მისათითებელი სიტყვები უმეტესად დატურდება. არა გვაქვს აქ: სადაც კია გვარიშვილი, ყველა მისი გაზრდილია (ა. წ.).

140. მოცემული წინადადება დროის გარემოებითი დამოკიდებულია. მისათითებელ სიტყვაა მაშინვე (დროის გარემოება). მისი გამოყენება ბუნებრივი ჩანს. ყურაღღებას ამახვილებს დროის სისწრაფეზე. მისათითებელი სიტყვა ზედმეტი იქნებოდა ამ წინადადებაში: როცა დაეთხა შინ მივიდა, (მაშინ) საღამო ხანი იყო (ა. ჯ.).

141. მოცემული წინადადება მიზეზის გარემოებითი დამოკიდებულია.

მისათითებელია იმის გამო (მიზეზის გარემოება). მისი დატოვება მიზანშეწონილი არ არის. მიზანშეწონილი იქნება აქ: თავადი უდიდეს სიხარულს გრძნობდა იმის გამო, რომ მკლავმა არ უმტყუნა (რ. გ.).

142. მოცემული წინადადება მიზნის გარემოებითი დამოკიდებულია. მისათითებელია იმისათვის (მიზნის გარემოება). მისი დატოვება სასურველი არ არის; საჭირო იქნება აქ: თებერას იმისათვის გაეხადა ჩვენთან მეკალთვედ დადგომა, რომ მისი სახლ-კარი ჩვენ ახლო იყო (ვ. ბ.). მისათითებელი „იმისათვის" ამ წინადადებაში საკავშირებელი სიტყვის რომ-ის წყვილის ცალია.

143. რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივად გადაკეთებისას მოიშლება დაქვემდებარება. დამოკიდებული წინადადების ზმნა გადაკეთდება საწყისად ან მიმღეობად და თანმხლები სტრუქტურთ შევა მთავარ წინადადებაში, ე. ი. რთული ქვეწყობილი წინადადება იქცევა მარტივ წინადადებად. ორსავე შემთხვევაში აზრი ერთი და იგივეა, მაგრამ ახასიათებთ სტილური სხვადასხვაობა. საზოგადოდ კი აზრის დაზუსტებულობის (კონკრეტულობის) მხრივ რთული ქვეწყობილი წინადადება უფრო გამოსადეგია, ვიდრე მისი გადაკეთების შედეგად მიღებული მარტივი წინადადება. ამის გამო ქვეწყობილი წინადადების მარტივ წინადადებად გადაკეთება ყოველთვის როდია შესაძლებელი.

მოცემული ქვემდებარულ დამოკიდებული წინადადება მარტივად გადაკეთებისას ასეთს სახეს მიიღებს: ამ ამბის მომტანი ჩემი მეზობელია. რთულიც და მარტივიც ამ შემთხვევაში თანაბრად შეიძლება გამოვიყენოთ.

144. მოცემული პირდაპირი დამატებითი დამოკიდებული წინადადება მარტივად ასე გადაკეთდება: „ოთარაანთ ქვრივი კარგად ხედავდა შვილის გუნების შეცვლას". უპირატესობა შეიძლება მიეცეს რთულ წინადადებას. მარტივში პირდაპირ დამატებად ქცეული საწყისი „შეცვლას" სტილს რამდენადმე აუფერულებს.

145. მოცემული უბრალო დამატებითი დამოკიდებული წინადადების გადაკეთებისას მივიღებთ: შენვე დარწმუნდები ჩემს სიმართლეში. ორივე წინადადება (მარტივიც და რთულიც) თანაბარი ღირებულების მქონედ შეიძლება ჩაითვალოს.

146. მოცემული დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მარტივად გადაკეთდება შემდეგნაირად: ამ ხმის გაგონებისთანავე მგლებმა მაშინვე მოძურწეს. უპირატესობა შეიძლება მიეცეს რომელ წინადადებას.

147. მოცემული მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მარტივად გადაკეთდება შემდეგნაირად: ქალი წამდაუწუმ წყალს ითხოვდა გამშრალი პირის გასასველებლად. ორივე წინადადება თანაბრად მისაღებია.

149. მოცემული პირდაპირი დამატებითი დამოკიდებული წინადადება მარტივად ქცევისას ასე წარმოგვიდგება: გაზეთები აქვეყნებენ ცნობას მხატვარ გ. ხუციშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენის შესახებ. სჯობს რომელი წინადადება, რადგან მარტივში არ ჩანს მხატვრის ნამუშევართა გამოფენა უკვე გაიხსნა, თუ მომავალშია მისი გახსნა გათვალისწინებული.

149. მოცემული უბრალო დამატებითი დამოკიდებული წინადადება მარტივად გადაკეთებისას ასეთ სახეს მიიღებს: ბოლოს ყველა დარწმუნებული იყო კარგად დაწყებული საქმის წარმატებით გერ დამთავრებაში. აქ სტილი დარღვეულია — რომელი ქვეწყობილი წინადადების მარტივად გადაკეთება მიზანშეუწონელია, როცა დამოკიდებული წინადადების შემასმენელს ახლავს ვერ, ვიღარ, აღარ, არა და არ ნაწილაკები.

150. მოცემული წინადადება განსაზღვრებითი დამოკიდებულია. იგი მარტივად ვერ გადაკეთდება, რადგან დამოკიდებული წინადადების ზმნის „მოაგონეს" მიმღეობაა „მომგონებელი" და იგი ვერ შეეხამება სიტყვას „მთიულებმა" — წასვლის დროს მომგონებელმა მთიულებმა...

151. მიმართებითი ნაცვალსახელი (რომელიც ვევრ-კავშირი) უმართებულოდაა დაკავშირებული სიტყვასთან „ტოტებზე" (უბრალო დამატებაა). გამოდის, რომ ვაშლის ხის ტოტები იდგა შუა ვენახში. გასწორების ერთ-ერთი ოპტიმალური ვარიანტი შეიძლება იყოს: ... შუა ვენახში მდგარ დიდ ვაშლის ხის ტოტებზე.

152. „რომელიც" ვევრ-კავშირის განმეორება აზრს ამძიმებს. ამიტომ უნდა შეჰკრიბდეს დამოკიდებულ წინადადებათა რაოდენობა. გასწორების ერთ-ერთი ოპტიმალური ვარიანტი ის იქნება, რომ უნდა ამოვარდეს პირველი „რომელიც"— მთავარი წინადადება გახდება შერწყმული: შესვლის უმალ ოთახში შემოვიდა მშვენიერი სახის მქონე მომღიმარი ყმაწვილი ქალი, მიესალმა სტუმრებს და თავისი ხელით შემოიხსნა იარაღი, რომელიც რიგ-რიგად...

153. სტილისტური თვალსაზრისით მართებული არ არის, როცა ერთ წინადადებაში კავშირი რომ რამდენჯერმე მეორდება. წინადადების გასწორების ერთერთი ოპტიმალური ვარიანტი ასეთი იქნება: მეორე დამოკიდებულ წინადადებაში მოიშლება დაქვემდებარება და მასში შემავალი ვევრები შეუერთდება პირველ დამოკიდებულ წინადადებას: იმას ეგონა, რომ მწყემსი სვავისათვის ცხვრების გამბრღვლად იყო გაჩენილი.

154. მოცემულ წინადადებაში რომ კავშირის ნაცვლად უნდა ეწეროს რაც წევრ-კავშირი: დიდი ხანი იყო, რაც ქალებს...

155. მოცემულ წინადადებაში რომ კავშირი გამოყენებულია როცა კავშირის მნიშვნელობით. რომ-კავშირიანი წინადადება მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებად შეიძლება იქნეს გააზრებული. ამიტომ სწორი იქნება: მამალს, დახოცილი ფრინველები როცა დაინახა, ცახცახი დააწყებინა.

156, მოცემული წინადადება უმართებულოდაა აგებული. მიმართებითი ზმნიზედა (სადაც წევრ-კავშირი) უმჯობესია შეიცვალოს მიმართებითი ნაცვალსახელით)

(რომელიც წევრ-კავშირით) და უშუალოდ დაუკავშირდეს მისამართ სიტყვას ოთახს. წინადადეგ შემთხვევაში სხვა აზრს მივიღებთ. წინადადება შეიძლება გასწორდეს ამგვარად: სასტუმრო ოთახი, რომელშიც აკაკის ჯდომა უყვარდა, მერცხლის ბუდესავით გადასცქეროდა რიონს.

157. მოცემულ წინადადებაში უმჯობესია რომ კავშირი შეიცვალოს სადაც წევრ-კავშირით. წინადადება გაფორმდება ამგვარად: სადაც პური ეთესა, ახლა იქ სიმინდს თესავენ.

158. არ — ნაწილაკიანი ფორმა „რადაც არ უნდა დასჯდომოდა" — არასწორი ქართულია. უნდა ვთქვათ და ეწეროთ „რადაც უნდა დასჯდომოდა". მოცემული წინადადებაც ამის შესაბამისად შესწორდება.

159. მოცემულ მაგალითში პირდაპირი ნათქვამის ირიბად გადაკეთებისას შეიცვლება ზმნის პირის ფორმა, (შეორისა მესამისად) და მივიღებთ რთულ ქვეწყობილ წინადადებას: „[გოჩამ] წყნარად, მაგრამ მტკიცედ წარმოსთქვა, რომ მოეყვანათ დამნაშავენი".

160. ირიბი ნათქვამის პირდაპირ ნათქვამად გადაკეთებისას მოიშლება დაქვემდებარება (ამოვარდება კავშირი), მთავარი წინადადება იქცევა მოუბრის ნათქვამად, ხოლო დამოკიდებული წინადადება — პირდაპირ ნათქვამად.

მოცემული წინადადება გადაკეთდება ამგვარად: იმან გამიცინა და მითხრა: — ბიჭარებული კაცი ყოფილხარ, თოფის წამალივით ფეთქავო..

შემოკლებათა განმარტება

აბაშელი ალექსანდრე — ა. ა.
აბაშიძე გრიგოლ — გ. ა.
აბაშიძე ირაკლი — ი. ა.
ადამია ალიო — ა. ად.
არაგვისპირელი შიო — შ. ა.
არდაზიანი ლავრენტი — ლ. არდ.
ასათიანი ლადო — ლ. ა.
ბარნოვი ვასილ — ვ. ბ.
ბელიაშვილი აკაკი — ა. ბ.
გაბაშვილი ეკატერინე — ე. გ.
გამსახურდია კონსტანტინე — კ. გ.
გვეტაძე რაჟდენ — რ. გ.
გოგებაშვილი იაკობ — ი. გ.
გოთუა ლევან — ლ. გ.
გრიშაშვილი იოსებ — ი. გრ.
გურამიშვილი დავით — დ. გ.
დადიანი შალვა — შ. დ.
დუმბაძე ნოდარ — ნ. დ.
ევდოშვილი იროდიონ — ი. ე.
ეკალაძე ია — ი. ეკ.
ერისთავი რაფიელ — რ. ე.
ვაჟა-ფშაველა — ვ. ფ.
თალაკვაძე მარიამ — მ. თ.
თვარაძე რევაზ — რ. თ.
იაშვილი პაოლო — პ. ი.
ინანიშვილი რევაზ — რ. ი.
კასრაძე დავით — დ. კასრ.
კეცხოველი ნიკო — ნ. კ.
კვაჭაძე ლეო — ლ. კ.
კვიცარიძე დავით — დ. კ.
კლდიაშვილი დავით — დ. კლდ.
კლდიაშვილი სერგო — ს. კ.
ყაზბეგი ალექსანდრე — ა. ყ.
შანშიაშვილი. სანდრო — ს. შ.
შენგელაია დემნა — დ. შ.
ცაგარელი ალექსანდრე — ა. ც.
ცახელი პარმენ — პ. ც.
წერეთელი აკაკი — ა. წ.
წერეთელი გიორგი — გ. წ.
ჭავჭავაძე ილია — ი. ჭ.
ჭილაძე თამაზ — თ. ჭ.
ჭონქაძე დანიელ — დ. ჭ.
ლეონიძე გიორგი — გ. ლ.
ლომთათიძე ჭოლა — ჭ. ლ.
ლომოური ნიკო — ნ. ლომ.
ლორთქიფანიძე კონსტანტინე — კ. ლ-
ლორთქიფანიძე ნიკო — ნ. ლ.
მარკ ტვენი (ეუმორისტული მოთხრობები და პანფლეტები — თარგმანი) — მ. ტვ.
მაჩაბელი ივანე — ი. მ.
მგალობლიშვილი სოფრომ — ს. მ.
მეგრელი დუტუ — დ. მ.
მიშველაძე რევაზ — რ. მ.
მრევლიშვილი მიხეილ — მ. მ.
მრევლიშვილი ლადო — ლ. მ.
მღვიმელი შიო — შ. მ.
ნინოშვილი ევგნატე — ე. ნ.
ნიშნიანიძე შოთა — შ. ნ.
ნონეშვილი იოსებ — ი. ნ.
ქართული სალიტერატურო ენის ნორმები — ნორმ.
ორბელიანი გრიგოლ — გ. ო.
რაზიკაშვილი თედო — თ. რ.
რუსთაველი შოთა — რუსთ.
რჩეულიშვილი გურამ — გ. რ.
ტაბიძე გალაკტიონ — გ. ტ.
ტაბიძე ტიციან — ტ. ტ.
უიარაღო (კონსტანტინე თათარაშვილი) — უიარ.
ფურცელაძე ანტონ — ა. ფ.
ქიაჩელი ლეო — ლ. ქ.
ქიქოძე გერონტი — გ. ქ.
ქუთათელი ალექსანდრე — ა. ქ.
ხახუტაშვილი ანა — ა. ხ.
ჯავახიშვილი მიხეილ — მ. ჯ.
ჯორჯაძე ბარბარე — ბ. ჯ.
ჰალდორ ლაქსნესი (ისლანდიის ზარი — თარგმანი) — ჰ. ლაქსნ.
ანდ. — ანდაზა
შ დ რ. — შეადარე
გამოც. — გამოცანა
ხალხ. — ხალხური

გამოყენებული ლიტერატურა

1. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, თბილისი, 1970.

2. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი I, თბილისი, 1972; წიგნი II. 1979; წიგნი III, 1980; წიგნი IV, 1981; წიგნი V, 1983; წიგნი VII, 1985.

3. ქართული ენის გრამატიკის პრაქტიკული დამუშავება (სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელი განყოფილების მსმენელთათვის), შემდგენლები: ნ. ლაშხია, მ. გაჩეჩილაძე, თბილისი, 1979.

4. ნ. ბასილაია, ქართული მართლწერის საკითხები, თბილისი, 1960.

5. ნ. ბასილაია, სასვენი ნიშნების ხმარება ქართულში, თბილისი, 1966.

6. რ. გაბეჩავა, ლექსიკოლოგიისა და სტილისტიკის საკითხთა სწავლება რვაწლიან სკოლაში, თბილისი, 1982.

7. დ. გეწაძე, მართლწერის საკითხების სწავლებისათვის სკოლაში, თბილისი, 1978.

8. აკ. დავითიანი, პრაქტიკული ვარჯიშობა ქართულ ენაში, თბილისი, 1977.

9. მ. თალაკვაძე, ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდიკა, თბილისი, 1975.

10. ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1965.

11. ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, ვარლამ თოფურიას რედაქციით, თბილისი, 1968.

12. ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1977.

13. ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, ნაწილი I, მე-2 გამოც., თბილისი, 1969.

14. ანტ. კიზირია, ქართული ენა, თბილისი, 1984.

15. პ. ლორთქიფანიძე, ე. ქურციკაძე, სავარჯიშოები ქართულ ენაში, თბილისი, 1986.

16. ი. მაისურაძე, ქართული სწორმეტყველების საკითხები, თბილისი, 1966.

17. ვ. რამიშვილი, პუნქტუაციის სწავლების მეთოდიკა, თბილისი, 1954.

18. ვ. რამიშვილი, მეტყველების კულტურის საკითხები საშუალო სკოლაში, თბილისი, 1971.

19. ვ. რამიშვილი, ქართული მართლწერა და მისი სწავლების საკითხები, თბილისი, 1966.

20. ვ. რამიშვილი, სტილისტიკისა და მეტყველების სტილზე მუშაობის საკითხები, თბილისი, 1966.

21. ალ. ღლონტი, ქართული წინადადება, თბილისი, 1978.

22. ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები, თბილისი, 1983.

23. გ. შალამბერიძე, ქართული მართლწერა, თბილისი, 1965.

24. გ. შალამბერიძე, მეტყველების კულტურის საკითხები, თბილისი, 1954.

25. გ. შალამბერიძე, ქართულ სწორმეტყველების ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1980.

26. გ. შალამბერიძე, რ. გაბეჩავა, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბილისი, 1974.

27. რ. შამელაშვილი, განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები ქართულში და მათი სწავლების მეთოდიკა, თბილისი, 1958.

28. ა. შანიძე, თხზულებანი ოთხმეტ ტომად, ტ. III, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1980.

29. ა. შანიძე, ქართული სალიტერატურო ენის საკირბოროტო საკითხები, თბილისი, 1979.

30. ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, ლ. კვაჭაძე, ქართული ენა. IV კლასის სახელმძღვანელო, თბილისი, 1984.

31. ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, V კლასის სახელმძღვანელო, თბილისი, 1984.

32. ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, VI კლასის სახელმძღვანელო, თბილისი, 1984.

33. ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. II, სინტაქსი, VII—VIII კლასების სახელმძღვანელო, თბილისი, 1984.

34. მ. ჩიხლაძე, ზმნიზედის სწავლება სკოლაში, თბილისი, 1955.

35. А. В. Дудников, Русский язык, учебное пособие для гуманитарных групп подготовительных отделений педагогических институтов, Москва. «Просвещение», 1983.

36. Д. Э. Розенталь, Русский язык, пособие для поступающих в вузы, изд. Московского университета, 1972.

37. Л. А. Чешко, Русский язык, учебное пособие для слушателей подготовительных отделений высших учебных заведений, Москва, «Высшая школа», 1981.

სარჩევი

წინასიტყვაობა . . 3

ფონეტიკა

სიტყვა, ბგერა, ასო 5
ბგერების დახასიათება 6
მარცვალი 8
ფონეტიკური მოვლენები 9
ფონეტიკის ზოგადი დახასიათება 11

მორფოლოგია

მეტყველების ნაწილები . 15
სახელები . 15
არსებითი სახელი . 15
ზედსართავი სახელი . 20
რიცხვითი სახელი . 24
ნაცვალსახელი . 27
სახელების ზოგადი დახასიათება . 30
არსებითი სახელის ზოგადი დახასიათება 30
ზედსართავი სახელის ზოგადი დახასიათება 36
რიცხვითი სახელის ზოგადი დახასიათება 39
ნაცვალსახელის ზოგადი დახასიათება 40
სახელთა წარმოქმნა 42
სახელთა წარმოქმნის ზოგადი დახასიათება 45
ზმნა 48
თავისებური ზმნები . . 65
ზმნის ზოგადი დახასიათება . . 66
თავისებური ზმნების ზოგადი დახასიათება 80
სახელზმნა 80
სახელზმნის ზოგადი დახასიათება 85
ფორმაუცვლელი სიტყვები და ნაწილაკები 87
ზმნიზედა 87
თანდებული . 88
კავშირი . 89
ნაწილაკი . 90
შორისდებული . 91
ფორმაუცვლელი სიტყვებისა და ნაწილაკების ზოგადი დახასიათება 91
ზმნიზედის ზოგადი დახასიათება . . 91
თანდებულის ზოგადი დახასიათება . . 93
კავშირის ზოგადი დახასიათება . . 94
ნაწილაკის ზოგადი დახასიათება . . 94
შორისდებულის ზოგადი დახასიათება . . 95

სარჩევი

წინადადება 98
წინადადება შინაარსის მიხედვით 98
წინადადების წევრები 99
წინადადების ზოგადი დახასიათება 100
წინადადების ზოგადი დახასიათება შინაარსის მიხედვით . . 100
წინადადების წევრების ზოგადი დახასიათება 102
წინადადების ტიპები აგებულების მიხედვით 104
მარტივი წინადადება 105
შემასმენელი 105
ქვემდებარე 106
დამატებანი 109
განსაზღვრება 113
გარემოება 115
მარტივი წინადადების ტიპები წევრთა შედგენილობის მიხედვით . . . 118
მარტივი წინადადების ზოგადი დახასიათება 119
შემასმენლის ზოგადი დახასიათება 119
ქვემდებარის ზოგადი დახასიათება 120
დამატების ზოგადი დახასიათება 121
განსაზღვრების ზოგადი დახასიათება 124
გარემოების ზოგადი დახასიათება 125
მარტივი წინადადების ტიპების ზოგადი დახასიათება წევრთა შედგენილობის მიხედვით 127
შერწყმული წინადადება 129
შერწყმული წინადადების ზოგადი დახასიათება 130
განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები 132
რთული წინადადება 135
რთული თანწყობილი წინადადება 136
რთული ქვეწყობილი წინადადება 138
დამოკიდებულ წინადადებათა სახეები 141
რთული სინტაქსური კონსტრუქციები 143
რთული წინადადების ზოგადი დახასიათება 144
რთული თანწყობილი წინადადების ზოგადი დახასიათება . . . 145
რთული ქვეწყობილი წინადადების ზოგადი დახასიათება . . . 146
დამოკიდებულ წინადადებათა სახეების ზოგადი დახასიათება . . 147
რთული სინტაქსური კონსტრუქციების ზოგადი დახასიათება . . . 151

ორთოგრაფია

არსებითი სახელების მართლწერა 153
1. რამდენიმე ერთნაირი ბგერის თავმოყრა არსებით სახელებში . . 153
2. ფუძის კუმშვა 155
3. ფუძის კვეცა 156
4. კუმშვად-კვეცადი სახელები 157
5. ვითარებითი ბრუნვის დაბოლოება 157
6. ფუძისეული ი და სახელობითი ბრუნვის ნიშანი ი ადამიანთა საკუთარ სახელებში 158

7. წოდებითი ბრუნვის დაბოლოება . . . 159
8. ადამიანთა გვარები . . . 161
9. სახელისა და გვარის ერთად ბრუნება . . . 164
10. ფუძისეული ვ-ს შენარჩუნება წოდებითში . . . 165
11. არსებითი სახელი მსაზღვრელად . . . 166
ზედსართავი სახელების მართლწერა . . . 166
ზედსართავი სახელების დაბოლოება . . . 166
რიცხვითი სახელების მართლწერა . . . 168
1. რაოდენობითი რიცხვითი სახელები . . . 168
2. რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელები . . . 169
3. ას ნაწილადართული რიცხვითი სახელები . . . 171
ნაცვალსახელების მართლწერა . . . 173
1. პირის ნაცვალსახელი მათ . . . 173
2. კუთვნილებითი ნაცვალსახელები თავისი და იმისი (მისი) . . . 173
3. კუთვნილებითი ნაცვალსახელები ჩემი, შენი, ჩვენი, თქვენი, მათი მიცემით ბრუნვაში . . . 174
4. ვინ თანდებულდართული კუთვნილებითი ნაცვალსახელები . . . 175
5. მე, ვე, ღა, ღაც(ა) ნაწილადართული ნაცვალსახელები . . . 176
წარმოქმნილ სახელთა მართლწერა . . . 179
ვ-ს შენარჩუნება, დაკარგვა და ჩართვა . . . 179
რთული სიტყვების (კომპოზიტების) მართლწერა . . . 182
1. ერთნებიანი (ერთმნიშვნელობიანი) კომპოზიტები . . . 182
2. ორნებიანი (ორმნიშნელობიანი) კომპოზიტები . . . 186
3. აფიქსებით ნაწარმოები კომპოზიტები . . . 188
4. შემოკლებული სახელები . . . 190
5. შემოკლებული დაწერა . . . 192
ზმნების მართლწერა . . . 192
1. პირის ნიშნები . . . 192
2. ზ-ნ-ს-ნ-ნ-ები . . . 198
3. ავ თემის ნიშნის ხმარების ადგილი ზმნებში . . . 200
4. დროთა III სერიის წარმოებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები . . . 201
5. შუალობითი კონტაქტი . . . 203
6. რამდენიმე ერთნაირი ბგერის თავმოყრა ზმნებსა და ნაზმნარ სახელებში . 204
7. ვ-ს ჩართვა და შენარჩუნება ზმნებში . . . 207
8. რიცხვნაკლი ზმნები . . . 208
ზმნიზედების, თანდებულებისა და თანდებულიანი სიტყვების მართლწერა . . . 211
1. ზმნიზედები . . . 211
2. შერწყმული თანდებულები . . . 212
3. ცალკე მდგომი თანდებულები, ზმნიზედები . . . 218
ქვემდებარისა და შემასხვენელის შეთანხმება რიცხვში . . . 221
სხვათა სიტყვის ნაწილაკების მართლწერა . . . 223
შორისდებულებისა და ხმაბაძვითი სიტყვების მართლწერა . . . 225
დეფისი რთულ შორისდებულებთან და ხმაბაძვით სიტყვებთან . . . 225
განსხვავებული ხაზარჯიშოები ორთოგრაფიაში . . . 226

პუნქტუაცია

წერტილი მარტივი, შერწყმული და რთული წინადადების ბოლოში . . 230
კითხვის ნიშანი 286
ძახილის ნიშანი 288
კითხვით-ძახილის ნიშნები 241
მრავალწერტილი 242
მძიმე 247
მძიმე შერწყმულ წინადადებაში. 247
1. მძიმე უკავშირო შერწყმულ წინადადებაში 247
2. მძიმე კავშირიან შერწყმულ წინადადებაში 250
მძიმე განკერძოებულ ხატყვებსა და გამოთქმებთან 254
1. მძიმე განკერძოებულ განსაზღვრებასთან 254
2. მძიმე დანართთან 262
3. მძიმე განკერძოებულ გარემოებასთან 268
4. მძიმე გარდა და მიუხედავად თანდებულიან სახელებთან . . . 273
5. მძიმე ჩართულ სიტყვებსა და გამოთქმებთან 274
6. მძიმე მიმართვასთან 281
7. მძიმე მიგებით ნაწილაკსა და შორისდებულთან . . . 283
მძიმე რთულ წინადადებაში 285
1. მძიმე რთულ თანწყობილ წინადადებაში 285
2. მძიმე რთულ ქვეწყობილ წინადადებაში 287
წერტილ-მძიმე 291
ორწერტილი 296
ტირე 300
ფრჩხილები 307
ბრჭყალები 310
სახვენი ნიშნები პირდაპირ ნათქვამთან 315
რამდენიმე სახვენი ნიშანი ერთად 319
განსამორებელი სავარჯიშოები პუნქტუაციაში . . 323

ლექსიკა და სტილისტიკა

ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური სავარჯიშოები . . . 333
მრავალმნიშვნელობიანი სიტყვები . . 333
სინონიმები, ანტონიმები, ომონიმები . . 335
სიტყვები, ფრაზები, იდიომები . . 343
გრამატიკულ-სტილისტური სავარჯიშოები . . 347
არსებითი სახელის ფორმათა გამოყენება . . 347
ზედსართავი სახელის ფორმათა გამოყენება . . 348
რიცხვითი სახელის ფორმათა გამოყენება . . 349
ნაცვალსახელის ფორმათა გამოყენება . . 350
ზმნის ფორმათა გამოყენება . . 353
წინადადების წევრთა გამოყენება . . 355
ნარტივი წინადადების გამოყენება . . 355
შერწყმული წინადადების გამოყენება . . 357
რთული თანწყობილი წინადადების გამოყენება . . 359
რთული ქვეწყობილი წინადადების გამოყენება . . 359
პირდაპირი და ირიბი ნათქვამის გამოყენება . . 361
გრამატიკულ-სტილისტურ სავარჯიშოებზე დართული განმარტებები . 362
შემოკლებათა განმარტება . . 377
გამოყენებული ლიტერატურა . . 378

Отар Сергеевич Гачечиладзе

ГРУЗИНСКИЙ ЯЗЫК

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета

Тбилиси 1992

გამომცემლობის რედაქტორი მ. ჯანელიძე

ტექნიკური რედაქტორი ფ. ბუდაღაშვილი

კორექტორები მ. ვარამაშვილი, ლ. ბაღოშვილი

სბ 1677

გადაეცა წარმოებას 22.05.91. ხელმოწერილია დასაბეჭდად 7.11.91.

საბეჭდი ქაღალდი 60×90 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 24.

საღრ.-საგამომც. თაბახი 23,07.

ტირაჟი 15000. შეკვეთის № 487.

ფასი 20 მან.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.